

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო ჟრომათა პრეგული

№1

GURAM TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY  
VOLUME OF SCIENTIFIC WORKS

თბილისი-TBILISI

2011



**გურამ თავარტკილაძის სასწავლო  
უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟurnალიათა  
კრებული**

**№ 1**

**GURAM TAVARTKILADZE TEACHING  
UNIVERSITY VOLUME OF SCIENTIFIC  
WORKS**

**№ 1**

**თბილისი - Tbilisi**

**2011**

**გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის  
სამეცნიერო შრომათა კრებულის სარედაქციო საბჭო**

**სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე  
პროფ. გიორგი მათიაშვილი**

**სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა:**

პროფ. ბალანჩივაძე რევაზ – მთავარი რედაქტორი  
პროფ. თავართქილაძე ამირან – პასუხისმგებელი მდივანი  
პროფ. ბუსტრა ჩერეკ /ნიდერლანდების სამეფო/  
პროფ. ლიაკონიძე ინგა  
პროფ. ვეინანდს ლიკ /ნიდერლანდების სამეფო/  
პროფ. ვეკუა მარინა  
პროფ. იაკუბოვსკი სერგეი /ოდესა/  
პროფ. ლობჟანიძე გივი  
პროფ. ნიზჟად ჰამიდ /აშშ/  
პროფ. უვანია თალიკო  
პროფ. რუე ჟილ /საფრანგეთი./  
პროფ. ულენტი თემური  
პროფ. სტრომე ჩარლზ მორგანი /აშშ/  
პროფ. უკლება მაია  
პროფ. ფიცხელაური შენგელი  
პროფ. ჩაგელიშვილი ლალი  
პროფ. ჰაინესი ბარბარე /აშშ/.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, როგორც მრავალდარგობრივი ჟურნალი, აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ, ჰუმანიტარულ და სამართლის მეცნიერებებს. ამ ჟურნალთან თანამშრომლობა, გარდა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებისა, შეუძლიათ სხვა უნივერსიტეტების პროფესორებსაც, მათ შორის, უცხოელ ავტორებსაც.

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ზემოაღნიშნულ დარგებში, უპირველეს ყოვლისა, უმაღლეს სასწავლებლებში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლების მეცნიერული კვლევა-ძიების შემდგომ განვითარებას, ორიგინალური კონცეფციებისა და ინოვაციების წარმოჩენას, ამ დარგების წინსვლაში ჩვენს მონაწილეობას, სამეცნიერო საქმიანობაში ახალგაზრდა სპეციალისტების ჩართვას, მათი სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებას.

კრებულის სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან ქართველი და უცხოელი მეცნიერები, ზემოაღნიშნული დარგების კვალიფიციური სპეციალისტები. უცხოელ მეცნიერთა მონაწილეობა სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში აამაღლებს კრებულის ავტორიტეტს, საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ აკადემიური კონტაქტები და ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მოზიდვას კრებულში სათანამშრომლოდ. თავის მხრივ, ეს შესაძლებელს გახდის იმას, რომ მათი სამეცნიერო პროდუქცია, ორიგინალური კონცეფციები და კვლევები გავაცნოთ ქართულ სამეცნიერო ინტელიგენციას, დავგეგმოთ ერთობლივი პროექტები.

საერთაშორისო კონტაქტების გაფართოების მიზნით სასურველად მიგვაჩინა, კრებულში სათანადო ადგილი დავუთმოთ საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევის შედეგებს, მათ მიერ შემოთავაზებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გაშუქებას.

Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University are a multi branch journal covers economic, social and humanitarian and law sciences. Professors of other HEI as well as foreign authors can cooperate with our scientific journal.

The purpose of the journal is to foster scientific research development in different scientific fields mentioned above, support the introduction of the innovations, our participation in the development of these fields. It will also support the involvement of the young specialists, raise their scientific potential.

The editorial board of the journal consists of well-known Georgian and foreign scientists, highly qualified specialists. Participation of the foreign authors will support the exchange scientific product between Georgian and foreign scientists that will make it possible to carry out joint scientific projects.

In order to enhance international cooperation, the journal presents and reviews the conclusions and recommendations, the research results carried out by the international organizations acting in Georgia.



## შ ი ნ ა ა რ ს ი

### სამართლის მეცნიერებები

|  |    |
|--|----|
| ვენედი ბენიძე – სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის .....  | 6  |
| ჰელმუტ კური, ედიშერ ფუტკარაძე, მიხეილ ვიურგერი – დანაშაულებრივი ხელყოფის შიში<br>ქართველ სტუდენტებში.....  | 12 |
| გივი ლობჟანიძე – მმართველობა და თვითმმართველობა ჩინეთში /სამართლებრივი ასპექტები/ .....  | 29 |
| შენგელი ფიცხელაური - მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ამოღების უნივერსალური სამეცნი-<br>ერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალიზებული კომპლექტების შექმნა..... | 36 |
| რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია – საერთაშორისო შვილება-გაშვილების სამართლებრივი<br>საფუძვლები .....   | 42 |
| სერგო ჭელიძე – ნივთიერი ობიექტების მტკიცებულებად გამოყენების ისტორიული ასპექტები.....  | 48 |

### ეპონომიკური მეცნიერებები

|   |     |
|---|-----|
| დავით ვეკუა – ფისკალური პოლიტიკის სრულყოფისა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების<br>გზები საქართველოში.....                                 | 53  |
| ამირან თავართებილაძე – საქართველო – ბიზნესის დაწყების რეფორმატორი.....  | 59  |
| სოფიკ თევდორაძე – გლობალიზაცია და ტრანსნაციონალური კომპანიები<br>სასტუმრო ინდუსტრიაში .....   | 69  |
| ლია თოთლაძე – საქართველოში სახელმწიფო სანარმოთა მართვის სრულყოფის საკითხისათვის..   | 73  |
| სერგეი იაკუბოვსკი, ტატიანა როდიონოვა – მიკროეკონომიკური დისბალანსი ცენტრალურ<br>და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.....                          | 78  |
| დავით კალანდარიშვილი, ლიანა ყარალაშვილი – ერთი ტიპის საკუთრივ მნიშვნელობათა<br>ამოცანა დაბალი რიგის მატრიცებისათვის.....                      | 84  |
| ვასილ კაციაშვილი – ISO 9001-2000 /ხარისხის მართვა/ სტანდარტი და საოპერაციო რისკის<br>მართვის ურთიერთკავშირი.....                              | 94  |
| ნათელა ლაცაბიძე – აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ<br>პირთა უმუშევრობის მიზეზები და დასაქმების სრულყოფის გზები..... | 102 |
| თალიკო უვანია – სწავლების მართვის სისტემები კომპლექსური შეფასების ტესტის ფორმი-<br>რების ალგორითმი .....                                      | 109 |
| ჩარლზ მორგან სტრომე – დაგეგმვა – საგადასახადო აღმინისტრაციის ძირითადი ინიციატუ-<br>მენტი განვითარებად ქვეყნებში .....                         | 115 |
| ლაშა ტაბატაძე – სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები და სახელმწიფოს<br>სტრატეგია.....  | 119 |
| კობა ჩაგელიშვილი – საქონლის წინააღმდეგი .....   | 125 |
| ლალი ჩაგელიშვილი – ინოვაციური ეკონომიკა გლობალიზაციის პირობებში.....  | 130 |

### სრციალური და პუბლიტარული მეცნიერებები

|   |     |
|---|-----|
| ნონა ახალაშვილი – ლიდერის ფენომენი პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში .....                       | 137 |
| თამარ ბარბაქაძე – აკაკი წერეთელი და „ქართლის ჭირი“.....                               | 144 |
| ნანა გოგიჩაშვილი – გენისის ფსიქოპათოლოგიური მახასიათებლები .....                      | 151 |
| მილდრედ კალანდარიშვილი – სად არის დასასარულის დასაწყისი ან დასაწყისის დასასრული?!.... | 158 |
| გურამ კუტალაძე – წუნდა /ეტიმოლოგიური ცდა/.....  | 163 |
| ლაურა კუტუბიძე – ზუბაშვილი – ფაქტისა და კომენტარის ურთიერთმიმართება .....             | 167 |
| ელია ლომიძე – აგონურის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე უურნალისტიკაში .....              | 172 |
| თამარ მერაბიშვილი – დისკურსის არსი.....   | 178 |
| თამარ ფანცულაგა – ზენობის ფილოსოფიის საკითხები .....                                  | 182 |
| ლალი ყაულაშვილი – ანთიმოზ ივერიელი – განმანათლებელი და მესტრამბე .....                | 190 |
| მარინე ჩაგელიშვილი – შეფასების როლი უცხოური /ინგლისური/ ენის სწავლებისას .....        | 194 |
| დალი ჩიკვილაძე – პრესის გენეზისისათვის .....  | 201 |

### განსხვება

|   |     |
|---|-----|
| ვალერი ვაშაკიძე – თინათინ ყაუხჩიშვილი – მკვლევარი და მასწავლებელი ..... | 208 |
|---|-----|

## CONTENTS

### SCIENCES OF LAW

|   |    |
|---|----|
| <i>Venedi Benidze</i> – For Completion of Criminal Law Legislation .....  | 6  |
| <i>Helmut Kury, Edisher Phutkaradze, Micheil Wuenger</i> – Fear of the Criminal Violation in Georgian Students ...  | 12 |
| <i>Givi Lobzhanidze</i> – Government and Self-government in China /Legislative aspects/ .....   | 29 |
| <i>Shengeli Pitskelauri</i> – Creation of Universal Scientific and Technical Means and Specialized Packages for<br>Discovering and Picking up the Evidences ..... | 36 |
| <i>Roman Shengelia, Ekaterine Shengelia</i> – Legal Bases of The International Adoption .....   | 42 |
| <i>Sergo Chelidze</i> – Historic Aspects of Application of material objects as Evidances.....   | 48 |

### SCIENCES of ECONOMICS

|  |     |
|--|-----|
| <i>David Vekua</i> – Ways of Elaborating Fiscal Policy and of Improving Investment Environment .....                       | 53  |
| <i>Amiran Tavartkiladze</i> – Georgia -- a Reformer Nation in Ease of Doing Business Index .....                           | 59  |
| <i>Sopiko Tevdoradze</i> – Globalization and Transnational Companies in Hotel Industries.....                              | 69  |
| <i>Lia Totladze</i> –The Improvement in Management in State Enterprises in Georgia .....                                   | 73  |
| <i>S.O. Yakubovskiy, T.A. Rodionova</i> – External Imbalances of Central and Eastern European Countries .....              | 78  |
| <i>David Kalandarishvili, L. Karalashvili</i> – Eigenvalue Problem for The Certain Type of The Low order<br>Matrices ..... | 84  |
| <i>Vasil Katsiashvili</i> – ISO 9001-2000 and operational Risk Management .....  | 94  |
| <i>Natela Latsabidze</i> – Unemployment And The Ways of Improving Employment for Internally Displaced<br>Person .....      | 102 |
| <i>Taliko Zhvania</i> – An Algorithm of forming a Test of Complex Estimation in E- learning management System ....         | 109 |
| <i>Charles M. Stromme</i> – Tax Targets Hurt Tax Administration .....  | 115 |
| <i>Lasha Tabatadze</i> – The Priorities of Social Policyand State Strategy.....  | 119 |
| <i>Koba Chagelishvili</i> – Promotion in Retail Chain .....  | 125 |
| <i>Lali Chagelishvili</i> – Innovative Economyunde The Conditions of Globalization .....                                   | 130 |

### SOCIAL AND HUMANITY SCIENCES

|  |     |
|--|-----|
| <i>Nona Akhalashvili</i> – Phenomena of Leader in Political Psychology .....                         | 137 |
| <i>Tamar Barbakadze</i> – Akaki Tsereteli and „Kartlis Chiri“. The Misfortunes of Georgia/ .....     | 144 |
| <i>Nana Gogichashvili</i> - Psychopathological cCharacteristics of Geniuses .....                    | 151 |
| <i>Mildred Kalandarishvili</i> – Where is The Beginning of The End or The End of The Beginning ..... | 158 |
| <i>Guram KutaladZe</i> - Tsunda /Etimological Experiment/ .....                                      | 163 |
| <i>Laura Kutubidze</i> - Zubashvili – Relation Between Fact and Comment .....                        | 167 |
| <i>Elza Lomidze</i> –Aspects of Agonistic in Modern Journalism .....                                 | 172 |
| <i>Tamar Merabishvili</i> – Discourse as a Phenomenon .....  | 178 |
| <i>Tamar Panculaia</i> – Issues of Philosophy of Morality .....                                      | 182 |
| <i>Lali Kaulashvili</i> – Antimoz Iverieli – Enlightener and Typographer .....                       | 190 |
| <i>Marine Chagelishvili</i> – The Role of Assessment in English Language Teaching.....               | 194 |
| <i>Dali Chikviladze</i> – The Issue of Genesis of Press.....   | 201 |

### MEMORIAL

|  |     |
|--|-----|
| <i>Valeri Vashakidze</i> – Tinatin Khaukhchishvili - Researcher and Teacher..... | 208 |
|--|-----|

# სამართლის მეცნიერებები

## ვალიური კონკრეტული მიზანის სისტემის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფილი შეფასება

### სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის

2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედდა საქართველოს პარლამენტის მიერ 2009 წლის 7 ოქტომბერს მიღებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლის დადებითი და უარყოფითი მხარეების სრულყოფილი შეფასება და განზოგადება ამ ეტაპისათვის შეუძლებელია უაღრესად მწირი საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის უქონლობის გამო, თუმცა ზოგიერთი მოსაზრება ახალი საპროცესო კანონმდებლობის ავკარგიანობასთან დაკავშირებით მაინც შეიძლება გამოითქვას, მით უმეტეს, საკითხი ეხება ისეთ უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტს, რომელზედაც დამოკიდებულია არაერთი ადამიანის ბედი და მომავალი.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ და დადებით მოვლენად არ მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ ახალმა კოდექსმა კვლავ დაამკვიდრა ის ძირითადი პრინციპები, რომელიც დეტალურად იყო განცერილი 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. უპირველეს ყოვლისა, აღნიშნული ეხება ისეთ ფუძემდებლურ პრინციპებს, როგორიცაა პიროვნების ღირსების დაცვა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, სასამართლო სხდომის საჯაროობა და ზეპირობა, კანონირება და სასამართლოს დამოუკიდებლობა და რაც მთავარია, მხარეთა შეჯიბრებითობა და თანასწორობა. სწორედ ამ პრინციპების დანერგვა და განხორციელება იყო საქართველოს კონსტიტუციისა და 1998 წლის 20 თებერვალს მიღებული საპროცესო კანონმდებლობის მთავარი მონაპოვარი, რამეთუ ამ ორი უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტით საბოლოოდ ეთქვა უარი დრომოქმულ, საბჭოურ ეპოქაში დანერგიილ ინკვიზიციურ პროცესს.

მისასალმებელია, რომ ახალმა კოდექსმა გააგრძელა სახელმწიფოს მიერ 90-იანი წლების ბოლოდან აღებული კურსი და ზემოხსენებული პრინციპების დამკვიდრებით შექმნა ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მყარი გარანტიები. შესაბამისად, ამ პრინციპების განხორციელების გზებმა და მეთოდებმა სათანადო ასახვა ჰქონდა მის კონკრეტულ ნორმებში. აღნიშნულის საილუსტრაციოდ არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ჩვენ მხოლოდ რამოდენიმეზე გავამახვილებთ ყურადღებას.

მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-9-ე მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებისთანავე სისხლის სამართლის პროცესი ხორციელდება მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის საფუძველზე“. პროცესში მონაწილე მხარეს უფლება აქვს თვითონ ან სასამართლოს მეშვეობით მოიპოვოს მტკიცებულება და წარუდგინოს იგი სასამართლოს. ამავე კოდექსის 25-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს აეკრძალა ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელშემწყობ მტკიცებულებათა დამოუკიდებლად მოპოვება და გამოკვლევა და ეს მხოლოდ მხარეების პრეროგატივა გახდა. შემოღებულ იქნა ინფორმაციის გაცვლა ბრალდებისა და დაცვის მხარეების მიერ შესაძლო მტკიცებულებათა წარდგენის თაობაზე, ამასთან, დაცვის მხარეს მტკიცებულებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლის თაობაზე მიეცა საგამონაკლისო უფლება. ახალი კოდექსით გაუქმდა წინასწარი გამოძიება და შესაბამისად, მხარეთა მიერ მტკიცების და დაცვის განხორციელების ტვირთი სასამართლოში გადავიდა. 4 თვითონ 2 თვემდე შემცირდა გამოძიების დროს ბრალდებულთა წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ვადა. შემოღებულ იქნა წინასასამართლო სხდომა, რომელიც ერთგვარი ფილტრაციაა საქმის მთავარ სასამართლო სხდომაზე განხილვისათვის. შეიცვალა მოწმეთა და დაზარალებულთა დაკითხვის წესებიც და ასეთი უნდა მოხდეს არა გამოძიებაში, არამედ სასამართლოში. გარდა აღნიშნულისა, ახალი კოდექსით შემოღებულ იქნა სხვა არაერთი ნორმა, რომელმაც, ჩვენი აზრით, კანონის განუხრელად დაცვის შემთხვევაში, უნდა უზრუნველყოს სწრაფი და სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება, აღკვეთოს ადამიანის კონსტიტუციურ უფლებათა და თავისუფლებათა არამართლზომიერი შეზღუდვა.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დადებითი მომენტებისა, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი დაზღვეული არ არის შეცდომებისაგან და აქედან გამომდინარე, მიგვაჩინა, რომ მისი ცალკეული, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებები უარყოფითად იმოქმედებს იმ ღირებულებების დაცვაზე, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ახალი კოდექსის მიღებაზე და მის შემდეგაც, სამეცნიერო წრეებში, პრაქტიკოს იურისტებსა და საზოგადოებაში ცხარე კამათი მიმდინარეობს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით. გამოითქვა არაერთი განსხვავებული შეხედულება. ნაწილი დადებითად აფასებს მის დამკვიდრებას, ხოლო ნაწილს მკვეთრად უარყოფითი პოზიცია აქვს. ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელ პოზიციას ვიზიარებთ და აი რატომ.

ცნობილია, რომ ყველა გამამტყუნებელი განაჩენი უნდა იყოს:

1. კანონიერი – (ანუ იგი გამოტანილი უნდა იყოს საქართველოს კონსტიტუციის და სხვა კანონების მოთხოვნათა დაცვით);

2. დასაბუთებული (ანუ მისი დასკვნები უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს).

3. სამართლიანი (ანუ დანიშნული სასჯელი შეესაბამებოდეს დამნაშავის პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს).

მაშასადამე, კანონი პირის მსჯავრდებისათვის მოითხოვს ამ სამივე კომპონენტის არსებობას. რა მდგომარეობაა ამ მიმართებით ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულ საქმესთან მიმართებაში? როგორც ცნობილია, ნაფიც მსაჯულებს გამოაქვთ ვერდიქტი (გამამტყუნებელი ან გამამრთლებელი). ეს ვერდიქტი (თუ ცხადია ნაფიცი მსაჯულებიც მანამდე არ იქნა დათხოვნილი) სავალდებულოა საქმის განმხილველი მოსამართლისათვის. ნაფიცი მსაჯულები არც გამამტყუნებელ და არც გამამართლებელ ვერდიქტს არ ასაბუთებენ. სავალდებულოა მხოლოდ ფორმის დაცვა (რა საქმე განიხილეს, ვის მიმართ და სცნეს იგი დამნაშავედ თუ გაამართლეს). მოსამართლე ამ ვერდიქტის საფუძველზე ვალდებულია გამოიტანოს შეესაბამისი განაჩენი (გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი) და იგი ვალდებული არ არის დაასაბუთოს, რატომ გამოიტანა ასეთი გადაწყვეტილება.

მაშასადამე, გამოდის, რომ განაჩენის სავალდებულო კომპონენტიდან ერთ-ერთი უმთავრესი – დასაბუთებულობა სახეზე არა გვაქვს. ამდენად მსჯავრდებულისათვის თუ სხვა მხარისათვის გაუგებარი რჩება, რა მტკიცებულებათა უტყუარ ერთობლიობას ემყარებოდა ჯერ ვერდიქტი და შემდეგ განაჩენი. ცხადია, ასეთის არ არსებობის პირობებში, როგორც ბრალდების, ისე დაცვის მხარეს გაუჭირდება დაასაბუთოს და მოიყვანოს სანინააღმდეგო არგუმენტები მოსამართლის მიერ მიღებულ უკანონო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ამ საკითხზე ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში უკვე შექმნილია პრეცენდენტი და იგი მალე გახდება ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის.

საქმის ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილვის დროს დიდი ალბათობაა იმისა, რომ დაშვებული იქნეს შეცდომა და გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს უფრო ემოციურ ფონზე და არა სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობით. ამის ფიქრის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ ნაფიცი მსაჯულები არაპროფესიონალები არიან და ბუნებრივია, მათ გაუჭირდებათ ისეთ რთულ ლაბირინთებში გარკვევა, როგორიც არის მტკიცებულებათა შეფასება. მართალია მოსამართლე მათ აძლევს სათანადო განმარტებას და შეესაბამისად, გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი ვერდიქტის ფორმას, მაგრამ ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ნაფიცი მსაჯულები საქმის არსში დეტალურად გაერკვნენ და სამართლებრივად დაასაბუთონ მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება. მტკიცებითი სამართალი თავისი ბუნებით ერთ-ერთი ურთულესი დარგია და ხშირ შემთხვევაში ამ დარგის სპეციალისტებსაც კი უჭირთ მის ცალკეულ ნიუანსებში გარკვევა. ასეთ პირობებში არასპეციალისტმა ნაფიცმა მსაჯულმა რომ შეცდომა დაუშვას, სრულებითაც არ არის გასაკვირი. საბოლოო ჯამში გვინდა დავასკვნათ, რომ ნაფიც მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტი ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს, რომ მიღებული იქნეს უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება. შეიძლება ვინმე შემოგვედაოს, ასეთი შეცდომა შესაძლებელია გამოცდილმა იურისტმაც დაუშვასო, მაგრამ დამეთანხმებით, რომ კარგი პროფესიონალის მიერ საქმის განხილვის პირობებში შეცდომის დაშვების ალბათობა გაცილებით ნაკლებია.



კანონის სერიოზულ ხარვეზიად მიგვაჩინია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვა მხოლოდ თბილისში. თუ ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვა უფრო ეფექტურია და მეტ გარანტიებს ქმნის ადამიანთა კანონიერი უფლებების დასაცავად, მაშინ რა დააშავეს ზუგდიდის, გორის, რუსთავის ან სხვა რაიონის თუ ქალაქის მცხოვრებლებმა? მათ რა, არ სჭირდებათ გარანტიები თავისი უფლებების დასაცავად? ცხადია ამ კანონპროექტის ავტორები შემომედავებიან, რომ ჯერ-ჯერობით ეს ხომ ექსპერიმენტია, მაგრამ ჩვენის აზრით, ექსპერიმენტი საკუთარი მოსახლეობის მიმართ სრულიად მიუღებელია და არაფრით არ არის გამართლებული. სწორი იქნებოდა, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით საქმის განხილვა თუნდაც ერთ კონკრეტულ მუხლზე მომხდარიყო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და არა მხოლოდ თბილისში. ასეთია თითქმის ყველა ქვეყნის პრაქტიკა, ხოლო თუ თბილისის გარდა შესაბამისი ბაზა არ არის, არ უნდა გვეჩერა და როცა ასეთი ბაზა შეიქმნებოდა, შემდეგ მიგვეღო გადაწყვეტილება.

სრულიად დაუსაბუთებლად და მიზანშეუწონლად მიგვაჩინია დაზარალებულის ინსტიტუტის შესუსტება და შესაბამისად, დაზარალებულის უფლებამოსილების შეზღუდვა. აქ სიტყვა „შესუსტება“ მხოლოდ პირობითად შეიძლება იქნას გამოყენებული, რადგან ფაქტობრივად ეს ინსტიტუტი წმინდა ფორმალობად გადაიქცა და დაზარალებული თავისი უფლება-მოვალეობებით მხოლოდ პროცესის ისეთივე მონაწილეა, როგორიც მოწმე, თარჯიმანი, დამსწრე და ა.შ. დაზარალებული ახალი კანონმდებლობის მიხედვით აღარ არის მხარე და შესაბამისად, აღარ აქვს უფლება მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღოს მის გამოკვლევაში და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები, გაასაჩივროს მისი აზრით მოსამართლის (სასამართლოს) უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებანი, საკუთარი შეხედულება გამოთქვას სასჯელის ორინისტიბასთან დაკავშირებით და სხვა. ის, რომ დაზარალებულს უფლება აქვს პროკურორისაგან წინასწარ მიიღოს ინფორმაცია წინასასამართლო და მთავარი სასამართლო სხდომის ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ. ასევე ის, რომ სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისა და სასჯელის შეფარდების შესახებ სასამართლო სხდომაზე მისცეს ჩვენება ზიანის შესახებ და უფასოდ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილების (განჩინების, განაჩენისდა სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების) ასლები, არაფერს ცვლის, რადგან როგორც ზემოთ აღინიშნა, მას ამ ინფორმაციის მიღებით არავითარი ბერკეტი არ გააჩინია ზემოქმედება მოახდინოს დაშვებულ უკანონობაზე – მიღებულ არასამართლიან გადაწყვეტილებაზე.

შესაძლებელია დაზარალებულის უფლებამოსილებები, რაც წინა კოდექსით იყო განსაზღვრული, ჩვენც რამდენადმე გადამეტებულად მიგვაჩინდა და იგი კორექტირებას საჭიროებდა, მაგრამ არა ისეთი სახით კორექტირებას, როგორითაც მოხდა. დაზარალებული იყო ბრალდების მხარე და თუ პროკურორი უარს იტყოდა ბრალდებაზე ან შეცვლიდა ბრალდებას, მას უფლება ჰქონდა სასამართლოში მხარი დაეჭირა წინანდელი ბრალდებისათვის. ასეთ შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნა არა წყდებოდა და ბრალდების ფუნქციას, როგორც კერძო ბრალდებელი, თვითონ ითავსებდა (სუბსიდიური სისხლისსამართლებრივი დევნა). ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს ენიჭებოდა პროკურორის ფუნქცია, რაც ჩვენი აზრით, გადამეტებული იყო. თუ კანონმდებელი დაზარალებულს მსგავს უფლებამოსილებას შეუზღუდავდა, იგი შესაძლებელია სამართლიანადაც ყოფილიყო მიჩნეული, მაგრამ ის, რომ დაზარალებული მხოლოდ მოწმის უფლებამოსილებით სარგებლობს და არც ერთი სახის გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება არა აქვს, ჩვენი აზრით, არა მარტო შეცდომაა, არამედ დაზარალებული მოქალაქის უფლებების აშკარა ხელყოფაა.

ვერ გავიზიარებთ კანონმდებლის იმ სულისკვეთებას, რომ გამამტყუნებელ განაჩენს სასჯელის დანიშვნითა და მისი მოხდისაგან გათავისუფლებით სასამართლო ადგენს, თუ განაჩენის გამოტანის მომენტისათვის ახალი კანონი აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას (269-ე მუხლის მე-5-ე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი), ე.ო. თუ პირმა დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ სასამართლოში საქმის განხილვის დასრულებამდე მის მიერ ჩადენილი ქმედების დეკრიმინალიზაცია მოხდა, სასამართლო ამ პირის მიმართ დაადგენს გამამტყუნებელ განაჩენს, დაუნიშნავს სასჯელს და ამის შემდეგ სასჯელის მოხდისაგან გაანთავისუფლებს. აქედან გამომდინარეობს, რომ ბრალდებული დამნაშავედ უნდა იქნას ცნობილი იმ ქმედებისათვის, რომელიც განაჩენის გამოტანის დროისათვის დანაშაულად აღარ ითვლება და მას უნდა დაენიშნოს შესაბამისი სასჯელი. კი მაგრამ, ვის გაუგია პირის დამნაშავედ ცნობა იმ ქმედებისათვის, რომელიც გამამტყუნებელი განაჩენის გამო-

ტანის დროს დანაშაულად აღარ ითვლება? დანაშაული ხომ სისხლის სამართლის კოდექსის განმარტებიდან გამომდინარე სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება? განაჩენის გამოტანის დროისათვის ხომ აღარ იყო კონკრეტული ქმედება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული? მაშინ როგორ შეიძლება დაისაჯოს პირი ამ ქმედებისათვის და დაენიშნოს სასჯელი? ეს მხოლოდ შეცდომა არ არის – ეს უკვე სხვა უფრო მეტია, რომლის თაობაზეც საუბარს აღარ გავაგრძელებ. აღნიშნული კანონპროექტის ავტორებს ერთ განმარტებას ვთხოვ მხოლოდ – რა ვუყოთ იმ პირს, რომელიც სპეცულაციისათვის იყო მიცემული სისხლის სამართლის პასუხისმგებაში 20 წლის წინ, საქმე არსებითად განსახილველად სასამართლოს ჰქონდა გადაცემული, მაგრამ ბრალდებული მიმალული იყო (ასეთ დროს ხანდაზმულობის ვადის დინება წყდება) და დღეს დააკავეს? დამნაშავედ ვცნოთ და დავსაჯოთ და შემდეგ ჯენტლმენურად გავანთავისუფლოთ სასჯელის მოხდისაგან?

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით რეგულირებული არ არის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის პირის ექსტრადიცია, შესაბამისად, არ არის დადგენილი პროცედურა, თუ რა წესით ხდება უცხო სახელმწიფოში სამართლებრივი დახმარების შესახებ შუამდგომლობის გაგზავნა, როგორ ხდება საქართველოს მოქალაქის მიერ უცხო სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულის შესახებ მოთხოვნის განხილვა, რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს ექსტრადაციის მოთხოვნა, რა წესით უნდა მოხდეს უცხო სახელმწიფოში ექსტრადაციას დაქვემდებარებული პირის მიმართ სისხლის საპროცესო იძულების ღონისძიებების გამოყენება და ა.შ. ეს თემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია სახელმწიფო-თაშორის ურთიერთობებში და მისი ასე უყურადღებოდ დატოვება არაფრით არ არის გამართლებული. შესაძლებელია ამ საკითხზე ცალკე კანონიც იქნეს მიღებული (მაგ.; კანონი ექსტრადიციის შესახებ), მაგრამ რეალობა ის არის, რომ დღეის მდგომარეობით რაიმე შიდა ნორმატიული აქტი, რომელიც ამ საკითხს დაარეგულირებდა, მიღებული არ არის. საპროცესო კოდექსის გარდამავალ დებულებებშიც ამის შესახებ არაფრითი ნათვამი. ჩვენი აზრით, პირის ექსტრადიცია – მაინც პროცედურული საკითხია და მისმა ცალკეულმა დებულებებმა შესაბამისი ასახვა უნდა ჰქონოს სწორედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში. უკიდურეს შემთხვევაში, მითითებული მაინც უნდა იყოს, რომელი კანონმდებლობით უნდა გადაწყდეს ეს საკითხი.

ზემოთ აღინიშნა, რომ შეჯიბრობითობისა და თანასწორობის პრინციპის დამკვიდრებამ თავისი სათანადო ასახვა ჰქონება მის ცალკეულ ნორმებში და ეს ტენდენცია დადგებითად იქნა შეფასებული. ის, რომ მხარეებს უფლება აქვთ დამოუკიდებლად ჩაატარონ ისეთი საგამოძიებო მოქმედებები, როგორიც არის დათვალიერება, ამოცნობა, საგამოძიებო ექსპერიმენტი და ა.შ., სწორედ მხარეთა თანასწორობის დაცვაზე მიუთითებს. ეს ყველაფერი კარგი და მისასალებელია, მაგრამ პროცედურულად როგორ უნდა განხორციელდეს ყოველივე აღნიშნული ისე, რომ ზიანი არ მიადგეს მართლმსაჯულების სწორად განხორციელების ინტერესებს, ძნელი წარმოსადგენია. მაგ.; სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 125-ე მუხლის შესაბამისად დანაშაულის კვალის, ნივთიერი მტკიცებულების აღმოჩენის, შემთხვევის ვითარებისა და სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებების გარკვევის მიზნით მხარეს უფლება აქვს დაათვალიეროს შემთხვევის ადგილი, საცავი, სადგომი, საგანი, დოკუმენტი ან ინფორმაციის შემცვლელი სხვა ობიექტი. ვთქვათ და გამოძიებას დაცვის მხარემ და დაათვალიერა შემთხვევის ადგილი, რის შედეგადაც ამოიღო საქმისათვის მნიშვნელობის მქონე საგანი თუ დოკუმენტი. რა საპროცესო დოკუმენტი უნდა გააფიოროს დაცვის მხარემ ამის თაობაზე და რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი, გაურკვეველია; ან დაცვის მხარემ შემთხვევის ადგილის დათვალიერების დროს ამოიღო ცეცხლსასროლი იარაღი, რომელზედაც შესაძლოა იყოს თითის ანაბეჭდები, რომელიც მას არ აწყობს. განა რომელიმე გონიერ ადამიანს მოუვა აზრად ის, რომ დაცვის მხარე ამ კვალის წაშლის გარეშე გადასცემს ექსპერტიზას მას გამოსაკვლევად? ერთი სიტყვით, იმის თქმა შეიძლება, რომ უფლებამოსილებები მხარეებს შორის იმგვარადაა გადანაწილებული, რომ ყველაფერი დასწრებაზეა, ხოლო შემდეგ თვით ამ მხარეზეა დამოკიდებული, როგორ მოხდეს მეორე მხარისათვის ამ ინფორმაციის გადაცემა. არავითარი რიგითობა, თუ პირველმა ვინ უნდა ჩაატაროს საგამოძიებო მოქმედება, თუ ვთქვათ ორივე მხარისთვის ერთდროულად გახდა ცნობილი ამის ჩატარების აუცილებლობის შესახებ, კანონით გათვალისწინებული არ არის. პრაქტიკოსი იურისტები დამეთანხმებიან იმ სიძნელეების არსებობაში, რომლის გადალახვაც მათ ამ მიმართებით მოუწევთ. ჯერ-ჯერობით აღნიშნული წინააღმდეგობები საგამოძიებო პრაქტიკა-



ში არ არის, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ როცა მხარეები ბოლომდე გაერკვევიან თავიანთ უფლებამოსილებებში (განსაკუთრებით დაცვის მხარე), მსგავსი შემთხვევები საკმაოდ ძევრი იქნება.

ახალ სისხლის სამართლის პროცესში აღარ არის სპეციალური თავი თუ ცალკეული ნორმა, რომელიც პირის რეაბილიტაციის საკითხს დაარეგულირებდა. ამ საკითხის განხილვა-გადაწყვეტა მთლიანად სამოქალაქო სამართალწარმოების სფეროში გადავიდა, რაც, ჩვენი აზრით, ასევე არ არის გამართლებული. 1998 წლის 20 თებერვლის კანონში დეტალურად იყო გაწერილი, თუ როგორ და რა წესით უნდა მომხდარიყო იმ პირის რეაბილიტაცია, რომელსაც ზიანი მიადგა. უკანონო დაკავების, დაპატიმრების, მსჯავრდების თუ მის მიმართ ჩადენილი სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად.

სპეციალური ცალ-ცალკე ნორმებით იყო რეგულირებული უკანონი და დაუსაბუთებელი საპროცესო მოქმედების შედეგად რეაბილიტირებულისათვის და დაზარალებულისათვის მიყენებული ქონებრივი, ფიზიკური და მორალური ანაზღაურების წესი, რეაბილიტაციის საფუძვლები და ა.შ. არსებობდა ნაწილობრივი რეაბილიტაციის ინსტიტუტი. ამ საკითხების სრულად გადატანა თავისი პროცედურებით სამოქალაქო სამართალწარმოების სფეროში ცხადია არ მომხდარა და არც მოხდება, რადგან რიგი საკითხებისა, რომელიც რეაბილიტაციასთან არის დაკავშირებული, სისხლის სამართლის პროცესის სფეროა და არა სამოქალაქო სამართლის. რა უნდა აუნაზღაურდეს რეაბილიტირებულს სრულად (ხელფასი, პენსია, დახმარება, ფულადი ანაზღაურება ობლიგაციებით თუ სხვა.), ვინ უნდა მოახდინოს მისი გაანგარიშება. (პროცესის მწარმოებელმა ორგანომ, პროკურორობა თუ სხვამ და ა.შ..), ამ საკითხების გარეშე რეაბილიტაცია, როგორც ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენის ინსტიტუტი, ვერ იქნება სრულყოფილი.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არაფერია ნათქვამი, თუ როგორ და რა წესით მოხდეს ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება, როცა გამოვლინდება, რომ ეს ქონება უკანონიდ იყო დაყადაღებული ან ყადაღის საჭიროება აღარ არსებობს, რომელი ორგანო იღებს ამ საკითხზე საპროცესო დოკუმენტს (პროკურორი, მოსამართლე).

ზედმეტად მიგვაჩნია მოსამართლის უფლებამოსილების შეზღუდვა მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს დამაზუსტებელი შეკითხვების დასმის თაობაზე.

საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლის მე-6-ე ნაწილის შესაბამისად, მოსამართლე მხოლოდ მაშინ არის უფლებამოსილი და ისიც გამონაკლის შემთხვევებში, დასვას დამაზუსტებელი შეკითხვა, თუ ამაზე მხარეებიც არიან თანახმა, ე.ი. თუ მოსამართლეს სურს რაიმე დააზუსტოს, მან აუცილებლად უნდა ჰკითხოს მხარეებს და მხოლოდ თანხმობის მიღების შემდეგ დასვას ეს შეკითხვა. ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს შეზღუდვა გამომდინარეობს მხარეთა შეჯიბრებითობისა და თანასწორობის პრინციპიდან, რომ მოსამართლე არ უნდა ჩაერიოს ბრალდების დამადასტურებელ ან დაცვის ხელმემწყობ მტკიცებულებათა მოპოვებასა და გამოკვლევაში და მის მიერ შეკითხვის დასმა შესაძლებელია რომელიმე მხარის სასარგებლო აღმოჩნდეს, მაგრამ თუ საუბარია დამაზუსტებელი შეკითხვის დასმაზე, ეს არ შეიძლება იყოს მხარისათვის ზიანის მომტანი და საკითხის დაუზუსტებლობით მხოლოდ მართლმსაჯულების ინტერესები შეიძლება დაზარალდეს.

გვაქვს სხვა არაერთი შენიშვნა, რომელთა გათვალისწინების შემთხვევაში კიდევ უფრო დაიხვეწება და სრულყოფილი გახდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. ამით კიდევ მეტი გარანტიები შეიქმნება ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების დასაცავად. ამ საკითხებზე ჩვენ ურნალის მორიგ ნომრებშიც გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.

## ვენედი ბენიძე

### სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის

#### რეზიუმე

სტატიაში „სრულვყოთ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა“ საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღწევებსა და ცალკეულ ხარვეზებზეა საუბარი. დადგებითად არის შეფასებული ის გარემოება, რომ საპროცესო კანონმდებლობით დამკვიდრდა ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც უდაოდ შეუწყობენ ხელს მართლმსაჯულების სწორად განხორციელებას და კანონიერების განმტკიცებას. ამასთან, გამოთქმულია ცალკეული შენიშვნა არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით. სტატიაში განვითარებულია მოსაზრება, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ვერ იქნება გარანტი სამართლიანი პროცესის და სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისათვის, რის დასადასტურებლად მოყვანილია კონკრეტული არგუმენტები. უარყოფითადაა მიჩნეული ის გარემოება, რომ ახალი კოდექსით არ არის გათვალისწინებული ექსტრადიციისა და რეაბილიტაციის მარეგულირებელი საკითხები და შესუსტებულია დაზარალებულის ინსტიტუტი.

**Venedi Benidze,**

#### For Completion of Criminal Law Legislation

#### Abstract

The article ‘Let’s Complete the Criminal Law Procedural Legislation’ deals with the achievements and separate failures in new Criminal Law Procedural Code of Georgia. The author responds positively to the change in legislature, as far as it sets those core principles that will support righteous administration and reinforcement of justice. The author expresses his viewpoints about the issue and makes comments on the failures existing in the new legislation.

The author develops the approach that jury court can’t be the guarantee for righteous administration of justice and presents grounded arguments to support his views. The author considers it the fault of new code that it does not cover the issues regulating extradition and rehabilitation, the institute of injured party. The statements are supported with real examples.





ჰელოუტ კური,  
ედიშერ ფუტკარაძე,  
მიხეილ ვიურგარი

## დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის თემა მეტად აქტუალურია კრიმინოლოგიური და სის- ხლისამართლებრივი პოლიტიკის თვალსაზრისით არა მხოლოდ სსრკ-ში შემავალი აღმოსავ- ლეთ ევროპის ქვეყნებში, არამედ საერთაშორისო მასშტაბითაც. დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის საკითხი უფრო და უფრო აქტუალური, სადისკუ- სიონ გახდა 1980-იანი წლების ბოლოსათვის, განსაკუთრებით კი 1990-იან წლებში. ამ დროს მნიშვნელოვანი იყო საზღვრების გახსნასთან, გაზრდილ მიგრაციასთან, უმუშევრობის მატე- ბასთან და ფინანსურ პრობლემებთან დაკავშირებული საფრთხეები. ეს საფრთხეები კი თავის მხრივ, ნაწილობრივ დაკავშირებული იყო ჩადენილი და რეგისტრირებული დანაშაულის ზრდას- თან.

გამოკითხვის მიხედვით, დანაშაულებრივი ხელყოფის შიში ხშირად განიხილება დამნაშა-  
ვეობასთან ბრძოლის დასასაბუთებლად. ამისათვის სამართლიანად არის მიჩნეული მოსახლეო-  
ბის დამოკიდებულება დანაშაულებრივი ხელყოფის შიშზე და სანქციების შეფასებაზე.

კილიასის მიხედვით, დამნაშავეობის შიშს „გერმანელი ავტორები განიხილავენ მკაცრი  
შეფასების საფუძველად. იგი არის დაბრკოლება სისხლისამართლებრივი რეფორმის განხორ-  
ციელებისას და საფრთხე სამართლებრივი სახელმწიფოსათვის, რადგანაც აძლიერებს მოქალა-  
ქეთა უფლებების აკრძალვებს“<sup>1</sup>. კილიასს მედიის მიერ დამნაშავეობის თაობაზე ინფორმაციის  
გავრცელება არ მიაჩინა იმის საფუძვლად, რომ „მედია პასუხისმგებელი იყოს დამნაშავეობის  
გადაჭარბებული შიშისათვის“<sup>2</sup>. მედიის საშუალებით ინფორმაციის გავრცელებასა და დანაშაუ-  
ლებრივი ხელყოფის შიშს შორის დამოკიდებულების გამოკვლევამ გვიჩვენა მათ შორის სუსტი  
კავშირი<sup>3</sup>. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია, რომ დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის შეფა-  
სების საზომი, მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება უმნიშვნელოდ მივიჩნიოთ.

1960-იანი წლების მეორე ნახევარში დანაშაულის მსხვერპლთა გამოკითხვის ზრდასთან  
ერთად, წესისამებრ, იმატა მოქალაქეთა შიშმა დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნის თა-  
ობაზე. როგორც ლი გარკვევით აღნიშნავს, აშშ-ში დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის საკითხი  
გახდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური თემა<sup>4</sup>. „შიში გახდა თანამედროვეობის განსაზღვრული ნი-  
შანი“<sup>5</sup>. გერმანიაში 1990-იანი წლების დასაწყისში, საზღვარგარეთის, განსაკუთრებით კი ბრი-  
ტანეთის ნიმუშის მიხედვით, წარმოიშვა ახალი მიმართულება. მნიშვნელოვანი მოტივაციური  
ფაქტორის როლი ჰქონდა საკმაოდ საკამათო – დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის საკითხს<sup>6</sup>.

დანაშაულის მსხვერპლთა გამოკითხვა შეძლებისდაგვარად უნდა გაფართოებულიყო,  
ამიტომ დანაშაულის ჩადენის სხვა დამატებითი ასპექტები, უმნიშვნელო და ნაკლებად პრაქტი-  
კული არ უნდა გამხდარიყო.

დამნაშავეობის შიშის საკითხთან დაკავშირებით 1965 წელს აშშ-ში სწავლების ფარგლებ-  
ში განვითარდა „სტანდარტული თემატიკა“, რომელშიც გამოკითხული იქნა ლამეში სიბნელის

<sup>1</sup> Killias, M. (2002). Grundriss der Kriminologie. Eine europäische Perspektive. Bern: Stämpfli, 42-727 ff.

<sup>2</sup> Killias, M. (2002). Grundriss der Kriminologie. Eine europäische Perspektive. Bern: Stämpfli, 414 ff.

<sup>3</sup> Garofalo, J. (1981). Crime and the mass media: A selective review of research. Journal of Research in Crime and Delinquency 18, 319-350; Schwarzenegger, C. (1992). Die Einstellungen der Bevölkerung zur Kriminalität und Verbrechenskontrolle. Freiburg: Eigenverlag Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Strafrecht, 128 ff.; Killias, M. (1989). Les Suisses face au crime. Grünsch: Rüegger, 19 ff.

<sup>4</sup> Lee, M. (2001). The genesis of 'fear of crime'. Theoretical Criminology 5, 467-485.

<sup>5</sup> Sessar, K., Stangl, W., van Swaanningen, R. (Hrsg.) (2007). Großstadtängste – Anxious Cities. Untersuchungen zu  
Unsicherheitsgefühlen und Sicherheitspolitiken in europäischen Kommunen. Berlin, Wien: LIT Verlag., 11 ff.

<sup>6</sup> Dölling, D., Feltes, T., Heinz, W., Kury, H. (Hrsg.) (2003). Kommunale Kriminalprävention – Analysen und Perspektiven –  
Ergebnisse der Begleitforschung zu den Pilotprojekten in Baden-Württemberg. Holzkirchen/Obb.: Felix Verlag.

დადგომის შემდეგ თავიანთ საცხოვრებელ უბანზე მარტო სიარულისას შიშის საკითხი<sup>1</sup>. საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტებმა განახორციელეს დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის საკითხის კვლევა. მის წინაპირობას წარმოადგენდა გერმანიაში სისტემატიურად განხორციელებული „სოციალურ მეცნიერებაში შემუშავებული მეთოდით მოსახლეობის გამოკითხვა“ (ALLBUS) და ასევე საკმაოდ მდიდარი ეროვნული და საერთაშორისო სწავლება მსხვერპლის თაობაზე. აქვე აღსანიშნავია, რომ ეს არ გვაძლევს ერთიან „სტანდარტულ ინდიკატორს“. არსებობს მისი განსხვავებული ვერსიები, რაც საკმაოდ ართულებს მიღებული შედეგების შედარებას. კროითერს მაგალითისათვის მოჰყავს სტანდარტული ინდიკატორის სხვადასხვა ვერსია, რომლებიც გამოყენებული იქნენ გერმანულენოვან გამოკვლევებში<sup>2</sup>.

აქვე საყურადღებოა შემდეგი პუნქტი: დანაშაულებრივი ხელყოფის შიში არის კომპლექსური კონსტრუქცია, რომელიც არ შეიძლება მოიცვას ერთმა კითხვამ. უმეტესად განსხვავებულია აფექტური და კოგნიტიური კომპონენტები<sup>3</sup>. ობერგფელ-ფუქსსა და კურის თავიანთ გამოკვლევებში შეეძლოთ ორ ფაქტორზე მიეთითებინათ. ისინი კოგნიტიურ და ემოციონალურ შიშს ახასიათებენ და ასახელებენ მხოლოდ ერთეულ მაგალითებს. ამ საფუძვლებით ნაკლებად სარწმუნოა გამოკითხვის შედეგებით დახასიათებული „დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის“ სინამდვილე. იგი ნაწილობრივ მოიცავს ამ ასპექტს და უმეტესწილად განსაზღვრავს „სხვა“ შიშს ანდა საფრთხეს ღირებულებისადმი<sup>4</sup>. დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის თაობაზე გამოკითხვა-გამოკვლევა შეეხო სხვადასხვა სახის შიშებს, სადაც დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნის შიშს მხოლოდ ნაწილი უკავია<sup>5</sup>. ზოგიერთი ავტორი ცდილობს დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის სფეროს დიფერენცირებას, რისკის შიშისა და სხვა შიშის გამიჯვნას<sup>6</sup>.

თუკი საერთაშორისო ანდა ქვეყნის მასშტაბით დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის შედარებისას გამოვიყენებთ კითხვარების განსხვავებულ ფორმასა და შერჩევის მეთოდს, არსებითად განსხვავებულ ანდა შეცვლილ მონაცემებს მივიღებთ. გამოკითხვის მეთოდთა გავლენით, შეიძლება მკვეთრად განსხვავებული მონაცემები მივიღოთ<sup>7</sup>. მედიის მიერ მოწოდებული მონაცემები დანაშაულებრივი ხელყოფის შიშზე, ამ გარემოებების გათვალისწინებით, დიდი სიფრთხილით უნდა შევაფასოთ. მედიის შეფასებები ასეთ კრიტიკულ ინტერპრეტაციაზე არ არის წესისამებრ, სარწმუნო, რადგან იგი ნაკლებად ინფორმირებულია შეფასების უზუსტობებზე და მის საიმედოობაზე.

ამ გარემოებათა გათვალისწინებით, მეცნიერთა ნაწილი დიდ ყურადღებას აქცევდა დამნაშავეობის შიშის კვლევის ნამდვილობას, კანონიერებას, განსაკუთრებით, სტანდარტული თემატიკის გამოყენებისას.<sup>8</sup> გამოკვლევების დროს განიხილებოდა ასევე დამნაშავეობის შიშის შეფასების სხვა საიმედო შესაძლებლობები. ინგლისში ჩატარებული გამოკვლევების ავტორებმა დაადგინეს დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის შეფასების დამოკიდებულება გამოყენებულ მეთოდზე.<sup>9</sup>

<sup>1</sup> Kreuter, F. (2002). Kriminalitätsfurcht: Messung und methodische Probleme. Leske und Budrich, Opladen, 47 ff.

<sup>2</sup> Kreuter, F. (2002). Kriminalitätsfurcht: Messung und methodische Probleme. Leske und Budrich, Opladen. 236 ff.

<sup>3</sup> Boers, K., Kurz, P. (1997). Kriminalitätseinstellung, soziale Milieus und sozialer Umbruch. In: Boers, K., Gutsche, G., Sessar, K. (Hrsg.), Sozialer Umbruch und Kriminalität in Deutschland. Opladen: Westdeutscher Verlag, 187-253.

<sup>4</sup> Fattah, E.A. (1993). Some common conceptual and measurement problems. In: Bilsky, W., Pfeiffer, C., Wetzel, P. (Eds.), Fear of crime and criminal victimization. Stuttgart: Enke, 45-70.

<sup>5</sup> Sessar, K., Stangl, W., van Swaaningen, R. (Hrsg.) (2007). Großstadtängste – Anxious Cities. Untersuchungen zu Unsicherheitsgefühlen und Sicherheitspolitiken in europäischen Kommunen. Berlin, Wien: LIT Verlag.

<sup>6</sup> Sessar, K. (2008). Fear of Crime or Fear of Risk? Some Considerations Resulting from Fear of Crime Studies and Their Political Implications. In: Kury, H. (Hrsg.), Fear or Crime – Punitivity. New Developments in Theory and Research. Bochum: Universitätsverlag Dr. Brockmeyer, 25-32.

<sup>7</sup> Lichtblau, A., Neumaier, A. (2004). Die Messung der Kriminalitätsfurcht. Ein Versuch der Kombination einer quantitativen und qualitativen Herangehensweise. Freiburg: Psychologisches Institut, unveröffentlichte Diplomarbeit.

<sup>8</sup> Kury, H., Lichtblau, A., Neumaier, A. (2004). Was messen wir, wenn wir Kriminalitätsfurcht messen? Kriminalistik 58, 457-465; Kury, H., Lichtblau, A., Neumaier, A., Oberfell-Fuchs, J. (2005). Kriminalitätsfurcht. Zu den Problemen ihrer Erfassung. Schweizerische Zeitschrift für Kriminologie 4, 3-19.

<sup>9</sup> Ditton, J., Bannister, J., Gilchrist, E., Farrall, S. (1999a). Afraid or angry? Recalibrating the ‚fear‘ of crime. International Review of Victimology 6, 83-99; Farrall, S., Gadd, D. (2004). The frequency of the fear of crime. British Journal of Criminology 44, 127-132.



## 2. დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა

მოსახლეობის დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნის მოჩვენებითი ანდა ნამდვილი შიში გერმანიაში განიხილება გაძლიერებული დამნაშავეობის წინააღმდეგ ზომების მიღების საფუძვლად<sup>1</sup>. უპირველეს ყოვლისა, საარჩევნო პერიოდში მეტად მოტივირებულია შინაგანი უსაფრთხოება რაიმე პრობლემისადმი. ამ დროს გამოთქმული მოწოდებები, წესისამებრ, განიხილება პოტენციურ დამნაშავეებთან მკაცრ დამოკიდებულებაში. საქსონიაში არჩევნების დროს, 2008 წ. მინისტრი კოხი, ცდილობდა საარჩევნო კამპანიის წარმართვას ხმების მოსაპოვებლად უცხოელი ახალგაზრდების მიერ ჩადენილი ქმედების აქტუალობით<sup>2</sup>. თუმცა ამით მნიშვნელოვანი ხმები დაკარგა.

ამ „მოწოდებათა“ სიმარტივე მოსახლეობის უმრავლესობაში იწვევს უეჭველ, გარდაუვალ ბრალდებას, როგორც ეს გვიჩვენა საქსონიაში არჩევნების მაგალითმა. ვინაიდან ამ „მოწოდებებმა“ გამოიწვია ბრალდება, ეს წარმოადგენს მათი გამეორების საფუძველს<sup>3</sup>. აღსანიშნავია ისიც, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი უკმაყოფილოა სისხლისსამართლებრივი დევნის სისტემის მუშაობით, რაც კიდევ უფრო ძლიერდება დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის საკითხის კრიტიკული ანალიზით.<sup>4</sup> გერმანიაში ერთ-ერთი პოლიტიკური პარტია თავის პოლიტიკურ „პროგრამაში“ ცენტრალურ ადგილს უთმობდა დამნაშავეებთან მკაცრ დამოკიდებულებას. პოუგი და სხვა მეცნიერები, ინგლისა და უელსში ჩატარებული ემპირიული გამოკვლევების მიხედვით გვიჩვენებენ, რომ „penal climate“-ს სწრაფ ცვლილებასთან ერთად ახალგაზრდა თავისუფლება-ადგვეთილთა რიცხვი 1991-დან 2003 წლამდე დროის მონაკვეთში 71%-ით გაიზარდა.<sup>5</sup> ეს წარმოადგენს მნიშვნელოვან საფუძველს საზოგადოებაში დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის გამო მკაცრი შეფასებისათვის.

სადაო არ უნდა იყოს ის გარემობა, რომ დამნაშავეობისა და მისი შიშის თაობაზე სახალხო მსჯელობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის მიერ მკაცრი სანქციების მოთხოვნაზე. რამდენადაც ეს მნიშვნელოვანია სასამართლოს მიერ სანქციათა გამოყენებისას, ამიტომ არ შეიძლება მისი ამომზურავად შეფასება. სანქციების შეფასებისას დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის გავლენას გადაჭარბებული მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს. ამაზე სამართლიანად მიუთითებს კილიასი.<sup>6</sup>

მკაცრი სანქციები უკანასკნელ წლებში გამოყენებული იქნა არასრულწლოვნების, უცხოელებისა და სქესობრივი დანაშაულის ჩამდენთა მიმართ. უკანასკნელ ჯგუფთან მიმართებაში 1990-იან წლებში დაიწყო მასმედიის მონაწილეობა იმ შედეგების გათვალისწინებით, რომ მათი სისხლისსამართლებრივი დევნია მნიშვნელოვნად გაძლიერდა. ასე მიიღო, მაგალითად, გერმანიის ბუნდესტაგმა 2004 წლის 18 ივნისს კანონი დამატებითი პრევენციული დასკვნის თაობაზე, რომლის მიხედვითაც ფედერაციის რამდენიმე მიწა ამ ღონისძიების „წინასწარ გადაწყვეტაში“ უკავე გაერთიანდა. უკანასკნელ ათწლეულში შემცირდა გერმანიაში რეგისტრირებულ სქესობრივ დანაშაულთა რიცხვი, ცალკეულ სქესობრივ დანაშაულთა გამოხატვის საფუძველზე, უპირველეს ყოვლისა კი, ბავშვების წინააღმდეგ ჩადენილი სქესობრივი დანაშაულის გამო. მიუხედავად ამისა მედიის მიერ დანახული იქნა „მზარდი“ პრობლემა, რაც საერთაშორისო მასშტაბით მისი გაშუქების საფუძველს ქმნიდა.<sup>7</sup> მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის შესაბამისად,

<sup>1</sup> Roberts, J.V., Stalans, L.J., Indermaur, D., Hough, M. (2003). Penal populism and public opinion. Lessons from five countries. Oxford: Oxford University Press.

<sup>2</sup> Pfeiffe, C., Baier, D. (2008). Jugendgewalt als Wahlkampfthema. Eine kriminologische Analyse zum hessischen Landtagswahlkampf des Jahres 2008. In: Görgen, T., Hoffmann-Holland, K., Schneider, H., Stock, J. (Hrsg.), Interdisziplinäre Kriminologie. Festschrift für Arthur Kreuzer zum 70. Geburtstag. Zweiter Band. Frankfurt: Verlag für Polizeiwissenschaft, 550-574.

<sup>3</sup> Obergfell-Fuchs, J. (2008). „Punitivity“ within the Criminal Justice System in Germany. In: Kury, H. (Ed.), Fear of Crime – Punitivity. New Developments in Theory and Research. Bochum: Universitätsverlag Dr. Brockmeyer, 303-320.

<sup>4</sup> Hough, M., Roberts, J.V. (2004). Confidence in justice: An international review. Home Office Findings 243. London: Home Office.

<sup>5</sup> Hough, M., Jacobson, J., Millie, A. (2003). The decision to imprison: Key findings. Prison Reform Trust, London.

<sup>6</sup> Killias, M. (2002). Grundriss der Kriminologie. Eine europäische Perspektive. Bern: Stämpfli. 240 ff.

<sup>7</sup> Roberts, J.V., Stalans, L.J., Indermaur, D., Hough, M. (2003). Penal populism and public opinion. Lessons from five countries. Oxford: Oxford University Press.

იტალიაში დროის მცირე მონაკვეთში მომხდარი სამი სქესობრივი ძალადობის გამო, მოხდა უცხოელების გაკრიტიკება. მოსახლეობის მძვინვარება უფლებამოსილების გადამეტებით თავს დაატყდა სავარაუდო უცხოელ დამნაშავეებს. იტალიელი მინისტრი რობერტო კალდეროლი პოპულისტურად მოითხოვდა სქესობრივი დანაშაულის ჩამდენთა იძულების გზით კასტრაციას.

დასავლეთის ქვეყნებში დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის სისხლისსამართლებრივ-პოლიტიკურთან ერთად აქვს ეკონომიკური მნიშვნელობა. მხედველობაშია მისაღები გერმანიაში მოქალაქეთა გადაჭარბებული ზრუნვა თავიანთ უსაფრთხოებაზე. კერძო, პირადი უსაფრთხოება არის გერმანიასა და სხვა დასავლეთის ქვეყნებში უმნიშვნელოვანესი დარგი, რომელიც უკანასკნელ წლებში სწრაფად იზრდება. გერმანიაში 1990-იანი წლების დასაწყისში წამოწყებული პროექტი „კომუნალური სისხლისსამართლებრივი პრევენცია“ მნიშვნელოვნად განვითარდა მოქალაქეების დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნის რეალური ან სავარაუდო შიშის საკითხის გამოკვლევით. გერმანიაში ყოველწლიურად ტარდება „პრევენციის დღე“ (Praeventionstag), მაგალითად, 2004 წელს იგი ჩატარდა შტუტგარტში. აქაც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო მოხსენებებს დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის თემაზე. საზოგადოებრივი განვითარება გვიჩვენებს, რომ სისხლისსამართლებრივი პრევენცია უფრო და უფრო მნიშვნელოვანი თემა ხდება, რომელიც მოიცავს მოსახლეობის მსჯელობას „დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის“ თაობაზე. ამ ასპექტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, გვქონდეს „დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის“ თაობაზე სამედო მონაცემები და კრიმინოლოგიურ კვლევაში განვავითაროთ, შეძლებისდაგვარად, მათი შეფასების სამედო მაჩვენებლები.

### 3. დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის საკითხი გერმანიაში

გერმანიაში დღეისათვის არ არსებობს ხანგრძლივი მეცნიერული გამოკვლევა დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის თაობაზე. ასეთი გამოკვლევები სისტემატიურად მიმდინარეობს დიდ ბრიტანეთში „British Crime Surveys“ მიერ. აშშ-ში და ნიდერლანდებში, შესაბამისად, Crime Surveys ახორციელებს მსგავს გამოკვლევებს. გერმანიაში შედარებისათვის არსებობს მონაცემები, რომლებიც მიღებული იქნა 1991 წლის საზოგადოებრივი უსაფრთხოების გამოკითხვით. გამოკითხვას ერქვა გერმანელთა შიში - „Angst der Deutschen“, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, გამოკითხული იქნა დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნის თემაც. ეს მონაცემები გარკვევით გვიჩვენებს, რომ გერმანელთა შიში პილო 20 წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა. დანაშაულებრივი ხელყოფის შიში უფრო ნაკლებმნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე უმუშევრობის ან სიბერეში მარტიდ დარჩენის შიში, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანი გახდა ამ საკითხზე აქტუალური მსჯელობის გამო (იხ. ცხრილი 1).

#### ცხრილი 1. გერმანელთა შიში 2008

([http://www.ruv.de/de/presse/r\\_v\\_infocenter/studien/aengste\\_deutsche\\_2008.jsp](http://www.ruv.de/de/presse/r_v_infocenter/studien/aengste_deutsche_2008.jsp))

| გერმანელებს ყველაზე დიდი შიში აქვთ იმის, რომ:               | 2008 გამოკითხულთა შედეგები %-ში | 1991 წლის გამოკითხვის მიხედვით 7 ყველაზე დიდი შიში %-ში |
|---|---------------------------------|---|
| საყოფაცხოვრები მინიმუმი ძლიერ აინტენსივური გამოკვლევის შიში | 76                              | 34  |
| მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა იქნება                        | 58                              |   |
| ბუნებრივი კატასტროფა მოხდება                                | 58                              |   |
| სიბერეში სხვისი ტვირთი გახდება                              | 53                              | 30  |
| მძიმედ ავად გახდება   | 51                              | 22  |
| პოლიტიკოსთა უზომო მოთხოვნები იქნება                         | 49                              |   |
| უმუშევარი დარჩება   | 48                              | 30  |
| გერმანიაში უმუშევრობა იქნება                                | 47                              |   |
| ბავშვები ნარკოტიკებს მიეჩვევიან                             | 42                              |   |
| ცხოვრების დონეს სიბერეში ვერ შეინარჩუნებს                   | 41                              |   |
| ტერორიზმი იქნება  | 41                              |   |
| უცხოელების გამო დაძაბულობა იქნება                           | 37                              |   |
| სიბერეში მარტიდ დარჩება                                     | 31                              | 49  |
| იქნება ომი გერმანიის გაყოფით                                | 31                              | 28  |
| დანაშაული მოხდება   | 25                              | 34  |
| ოჯახი ან პარტნიორობა დაენგრევა                              | 21                              |   |



ამ ცხრილის შედეგები გარკვევით გვიჩვენებს, რომ გერმანელებს დღეისათვის (2008) ყველაზე მეტად აშინებთ საყოფაცხოვრებო მინიმუმის ძლიერ აწევა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის (კრიზისის) საფრთხე, ბუნებრივი კატასტროფები და სიბრერეში სხვის ტვირთად დარჩენა. დანაშაულებრივი ხელყოფის შიში უსწრებს მხოლოდ ოჯახის ან პარტნიორობის დანგრევის საფრთხეს. გერმანელების შიში დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნაზე ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკური საფრთხისა და სილარიბის გაძლიერების შიშის გამო.

როგორც 1-ლი ცხრილიდან ჩანს, ეს გარემოება სხვაგვარი იყო 1991 წელს, როცა დაიწყო გამოკვლევა პოლიტიკური ცვლილებებიდან ცოტა ხნის შემდეგ და ორივე გერმანული სახელმწიფოს გაერთიანებამდე. მნიშვნელოვნად შეიცვალა წლების განმავლობაში ასევე 7 ყველაზე დიდი შიში (საშიშროება). ამ ხანგრძლივი დროის მონაცემების შედარების მიხედვით, 1991 წელს გერმანელებს ყველაზე მეტი შიში ჰქონდათ უცხოელების გამო დაძაბულობის საფრთხისა (49%), რაც 2008 წ. მხოლოდ 37%-მა დაასახელა. 1991 წელს დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის გვერდით თანაბრად იყო დასახელებული საყოფაცხოვრებო მინიმუმის ძლიერ აწევის შიში (34%). 2008 წელს მხოლოდ 25%-ს ჰქონდა დანაშაულებრივი ხელყოფის შიში, რითაც ამ პუნქტმა მე-2-დან მე-15 ადგილზე გადაინაცვლა. საყოფაცხოვრებო მინიმუმის ძლიერ აწევის საფრთხემ პირველ ადგილზე გადაინაცვლა და იგი დაასახელა 76%-მა. დანაშაულებრივი ხელყოფის შიშისა და უცხოელების გამო დაძაბულობის საფრთხის გარდა, სხვა დასახელებულმა საშიშროებებმა ნაწილობრივ იმატა. ეს იმაზე მიუთითებს, რომ 1991 წლიდან შიშმა საერთო ჯამში მნიშვნელოვნად მოიმატა. ქვემოთ მოყვანილი გრაფიკი გვიჩვენებს გერმანელთა შიშის ზრდას 2005 წლამდე, მის შემდგომ კი შემცირებას. ამავე დროს შიში (შიშები) აღმოსავლეთ გერმანიაში უფრო მაღალია, ვიდრე დასავლეთ გერმანიაში, რაც დაკავშირებულია ცვლილებების გამო გამოწვეულ დიდ პრობლემებთან.

გრაფიკი 1: შიშის განვითარება გერმანიაში – 1991-დან 2008 წლამდე  
(აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის შედარება)



#### 4. ქართველ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები

დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში ყოველთვის გვაქვს ესა თუ ის ინფორმაცია დანაშაულებრივი ხელყოფის შიშისა და მისი განვითარების თაობაზე. მსგავსი ემპირიული გამოკვლევები არ არსებობს ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ ამ ქვეყნების უმრავლესობაში საფრთხის შეგრძნება, ასევე დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნის შიში უფრო ძლიერია, ვიდრე დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში. ეს განპირობებულია უკანასკნელ ათწლეულში მოქარბებული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცვლილებებით, უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა კავშირის დაშლით. მეცნიერებმა თავიანთ შედარებით გამოკვლევებში აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის დაადგინეს ცვლილებების შემდეგ აღმოსავ-

ლეთ გერმანიაში, მოლოდინის შესაბამისად, დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის უფრო მეტი გამოვლენა, ვიდრე დასავლეთში. <sup>1</sup> უსაფრთხოების შეგრძნება შეფასებული იქნა ფრაიბურგსა და იენაში ჩატარებული წერილობითი გამოკითხვის მიხედვით. იგი მოიცავდა სხვადასხვა, მათ შორის, სტანდარტულ თემატიკას. იენაში გამოკითხულთა ორ მესამედზე მეტმა მიუთითა ბინაში ღამე მარტოდ ყოფნის შიშზე. გასაოცრად დიდია შიშის შეგრძნება მოხუც და ახალგაზრდა გამოკითხულთა შორის. ფედერაციის ახალ მიწებში განსაკუთრებით დიდია ახალგაზრდა ქალებში საფრთხის შიში. 25 წლამდე ასაკის ქალთა ერთი მეხუთედი მიუთითებდა ღამე ბინაში მარტოდ ყოფნის შიშზე.

მნიშვნელოვანია ასევე სქესობრივი გავლენა: ქალები გამოთქვამენ უფრო დიდ შიშს, ვიდრე კაცები. ასე, მაგალითად, ფრაიბურგში გამოკითხულთაგან მხოლოდ 0,7% კაცებისა, მაგრამ 7,7% ქალებისა მიუთითებდა ღამეში ბინაში მარტოდ ყოფნის შიშზე, იენაში გამოკითხულთაგან ეს მიუთითა 2,2% კაცებმა და 15,6% ქალებმა. აღმოსავლეთ გერმანელებს დანაშაულებრივი ხელყოფის შიში მკვეთრად მეტი აქვთ, ვიდრე დასავლეთ გერმანელებს. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ გამოკვლევა ჩატარდა პოლიტიკური ცვლილებებიდან საკმაოდ მაღალი, სანამ ჩამოყალიბდებოდა საერთო საფრთხეები. შიშის ვიქტიმიზაციასთან დამოკიდებულების დადგენა ამ თემატიკით ძნელია.

სხვადასხვა ქვეყანაში საერთაშორისო შედარებითი გამოკითხვის ფარგლებში შერჩეული იქნა საქართველო. გამოკითხვა ჩატარდა შერჩეული ქვეყნების უნივერსიტეტების სტუდენტებში. ამიტომ შედეგები არ არის ქვეყნის მთელი მოსახლეობის თვალსაზრისის შესაბამისი, არამედ მხოლოდ ახალგაზრდა, საქმაოდ კარგად განათლებული მოქალაქეებისა, რომლებიც სხვადასხვა ქალაქიდან არიან. საერთაშორისო მონაცემების შედარებისას უნდა გავითვალისწინოთ ეს გარემოება. მართალია, გამოკითხვაში შერჩეული და მონაწილე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების, სომხეთის, რუსეთისა და საქართველოს მონაცემები შესაბამისად სრული არ არის, მაგრამ მათ შეუძლიათ კრიმინოლოგიისათვის მნიშვნელოვან საკითხებზე შეფასების გაკეთების საფუძვლის მოცემა.

გამოკვლევა თითოულ ქვეყანაში განხორციელდა სტანდარტული კითხვარის მიხედვით, რომელიც მოიცავდა სანქციათა შეფასების, დანაშაულებრივი ხელყოფის შიშისა და დანაშაულის მსხვერპლის ნიშნების საკითხს. გამოიკითხა სრული ანონიმურობით რამოდენიმე უმაღლესი სასწავლებლის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტი. გამოკითხვები ჩატარდა 2005-დან 2008 წლებში. საქართველოში გამოკითხვები განხორციელდა 2007 და 2008 წლებში.

გამოკითხული იქნა სულ 523 სტუდენტი საქართველოს შემდეგ 11 უმაღლეს სასწავლებელში: თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი, შპს თბილისის უნივერსიტეტი, ი. ჭავჭავაძის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის საზღვაო აკადემია, შ. რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტი, ბათუმის ვ. ბაგრატიონის ინსტიტუტი, კონსერვატორია და ბათუმის ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტი, ბათუმის სამედიცინო-პედაგოგიური კოლეჯი. სტუდენტები იურისპრუდენციასთან ერთად სწავლობდნენ 29 სხვადასხვა სპეციალობას. ე.ი. გამოკითხული იქნა 29 სპეციალობის სტუდენტი. ამ სპეციალობებს მიეკუთვნება დიპლომატია, უცხო ენა, დიზაინერი, საერთაშორისო ურთიერთობები, საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია, სამედიცინო, ისტორია, უურნალისტიკა, ეკონომიკური, მეზღვაური, გემთნამყვანი, საბაჟო-საგადასახადო საქმე, მუსიკოსი, გამოთვლითი ტექნიკა, კომპიუტერი, პედაგოგიური, მენეჯმენტი, ფილოლოგი, გეოგრაფია, მათემატიკა, ბიოლოგია, ქიმია, ტურიზმი, არქეოლოგია, ფიზ. აღზრდა და სხვა. ქართველ სტუდენტებთან ერთად გამოკითხული იყვნენ რუსი და სომები ეროვნების სტუდენტები. რელიგიის მიხედვით სტუდენტთა უმრავლესობა იყო მართლმადიდებელი ქრისტიანი, რომელთა გვერდით იყვნენ გრიგორიანელები და ისლამისტები, ასევე ზოგიერთი ათეიისტი. საქართველოში გამოკითხვა მოიცავდა საკმაოდ განსხვავებული და ფართო სპექტრის სტუდენტებს 29-ზე მეტი სპეციალობით, ამავე დროს არა მხოლოდ თბილისიდან, არამედ აჭარის რეგიონიდანაც.

<sup>1</sup> Kury, H., Obergfell-Fuchs, J., Würger, M. (2000). Gemeinde und Kriminalität. Eine Untersuchung in Ost- und Westdeutschland. Freiburg: edition iuscrim. 543 ff.




ქვემოთ გაანალიზებული იქნება გამოკითხვის შედეგები დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის თემასთან მიმართებაში. უპირველესად გადმოცემული იქნება შედეგები „სტანდარტული თემის“ მიხედვით (ლამით საცხოვრებელ უბანში მარტო ყოფნისას საფრთხის შეგრძნების საკითხი), რომელიც დაკონკრეტებულია კითხვით „თუ რამდენად ხშირად იგრძენით თავი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ნამდვილად სახიფათოდ?“. ამას მოყვება შიშთა ფართო სპექტრის თემატიკის შედეგები. ბოლოს მოცემული იქნება ის განსხვავება, რაც არსებობს დანაშაულებრივი ხელყოფის შიშზე სიკვდილით დასჯის მომხრე და მოწინააღმდეგე სტუდენტებს შორის.

#### 4.1. დანაშაულებრივი ხელყოფის შიში სტანდარტული თემატიკის მიხედვით

სხვადასხვა ქვეყანაში სტუდენტების საერთაშორისო გამოკითხვის საშუალებას წარმოადგენს „სტანდარტული თემატიკა“. ეს თემატიკა მოიცავს დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის საკითხს, სახელდობრ, შემდეგი ფორმულირებით: „იფიქრეთ მხოლოდ თქვენს საცხოვრებელ უბანზე, ყოველივე იმაზე, რაც შეიძლება შეგემთხვეთ 5 წუთის გზაზე. რამდენად უსაფრთხოდ გრძნობთ თავს, ანდა იგრძნობთ თუ თქვენ ამ უბანში ღამით მარტო იქნებით? გრძნობთ თქვენ თავს ძალიან უსაფრთხოდ, საკმაოდ უსაფრთხოდ, საკმაოდ სახიფათოდ, ძალიან სახიფათოდ, არ ვიცი“. გამოკითხულებს შეეძლოთ 4-საფეხურიან სკალაზე მიეთითებინათ საფრთხის მოცულობაზე. მე-2 გრაფიკი გვიჩვენებს ამ კუთხით მიღებულ შედეგებს.

გრაფიკი 2: საფრთხის შეგრძნება საცხოვრებელ უბანში ღამით გარეთ  
ყოფნისას საქართველო, N=517, მონაცემები %-ში



როგორც ამ გრაფიკიდან ჩანს, გამოკითხულ სტუდენტთა 41,2% გრძნობს თავს „საკმაოდ უსაფრთხოდ“ (კაცები = 50,1%; ქალები = 36,2%). 10,8% გრძნობს თავს „ძალიან უსაფრთხოდ“ (კაცები = 15,2%; ქალები = 7,1%). სულ 48,0% (კაცები = 34,7%; ქალები = 56,7%), ე.ო. თითქმის გამოკითხულთა ნახევარი თავს გრძნობს „საკმაოდ სახიფათოდ“ (23,9%; კაცები = 17,6%; ქალები = 29,2%). შესაბამისად, „ძალიან სახიფათოდ“ (24,1%; კაცები = 17,1%; ქალები = 27,5%). მამაკაცებსა და ქალებს შორის განსხვავება სტატისტიკურად საკმაოდ მნიშვნელოვანია ( $P<01$ ), ეს ნიშნავს იმას, რომ ქალები საკმაოდ სახიფათოდ გრძნობენ თავს, ვიდრე მამაკაცები. მსგავსი შედეგებია საერთაშორისო მასშტაბითაც. ქალები ავლენენ დანაშაულებრივი ხელყოფის მაღალ შიშს.

ასეა, მაგალითად, გერმანულ გამოკვლევებშიც, რომლებიც პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ განხორციელდა.<sup>1</sup> იენაში გამოკითხული მამაკაცების სულ 51,8%-მა (ფრაიბურგში 24,8%) მიუთითა, რომ ღამით გარეთ თავის საცხოვრებელ უბანში თავი „ძალიან სახიფათოდ“ ანდა „საკმაოდ სახიფათოდ“ გრძნობს, საქართველოში მამაკაცი სტუდენტების 34,7%-მა მიუ-

<sup>1</sup> Kury, H., Obergfell-Fuchs, J., Würger, M. (2000). Gemeinde und Kriminalität. Eine Untersuchung in Ost- und Westdeutschland. Freiburg: edition iuscrim. 550 ff.

თითა, რომ დამით თავის საცხოვრებელ უბანში თავს გრძნობს „ძალიან სახიფათოდ“ ან „საკმაოდ სახიფათოდ“, ხოლო იენაში ქალების 83,2%-მა (ფრაიბურგში 64,8%), საქართველოში კი მდედრობით სქესის სტუდენტების 56,7%.


ერთის მხრივ, ფრაიბურგისა და იენის, მეორეს მხრივ, საქართველოს მონაცემებს შორის განსხვავების დროს, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ საქართველოში გამოიკითხა მხოლოდ სტუდენტობა, შესაბამისად, მხოლოდ ახალგაზრდა ადამიანები. ფრაიბურგსა და იენაში კი შერჩეული იყო საკმაოდ ფართო სპექტრი და მათ შორის ასაკოვანი ადამიანებიც, რომლებიც, ჩვეულებრივ, დანაშაულებრივი ხელყოფის დიდ შიშის უთითებენ. ორივე სქესთან მიმართებაში, უპირველეს ყოვლისა, კი მამაკაცებთან, ფრაიბურგსა და იენას შორის შედეგების შედარებისას, დანაშაულებრივი ხელყოფის შიში ფრაიბურგში საკმაოდ დაბალია. პოლიტიკური და ეკონომიკური რღვევა მიმდინარეობდა აღმოსავლეთ გერმანიაში. იენის მოსახლეობას ეს უფრო მეტად შეეხო, ვიდრე ფრაიბურგისას. დამნაშავეობის დონე, პოლიტიკური ცვლილებების შემდეგ, დასავლეთის მიწებში სტაბილური დარჩა, მაგრამ მან მნიშვნელოვნად იმატა აღმოსავლეთ გერმანიაში. ამას გვამცნობდა მასმედიის საშუალებები, რომლებიც დამატებით გავლენას ახდენდა იქაურ მოსახლეობაზე. საქართველოში გამოკითხული მამაკაცები შიშის შეფასებით დგანან ფრაიბურგსა და იენას შორის. გამოკითხულ ქალებს რაც შეეხება, ფრაიბურგელებმა გვიჩვენეს საკმაოდ მაღალი ციფრი (64,8%). საქართველოში გამოკითხულ ქალი სტუდენტების მიერ გაკეთებული შეფასება კი აღნევს 56,7%-ს.

დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის შეფასების უფრო დასაკონკრეტებლად, ქართველი სტუდენტები დამატებით შემდეგ კითხვას პასუხობდნენ: რამდენად ხშირად იგრძენით თავი უკანასკნელი 12 თვის განმავლობაში ნამდვილად სახიფათოდ? მე-3 გრაფიკი გვიჩვენებს მიღებულ შედეგებს.

#### გრაფიკი 3: რამდენად ხშირად იგრძენით თავი უკანასკნელი 12 თვის

განმავლობაში ნამდვილად სახიფათოდ?

საქართველო, N = 519; მონაცემები %-ში




აქ მოყვანილი მონაცემები ნაწილობრივ ზღუდავენ სტანდარტულ თემატიკაში მოყვანილ შედეგებს. მე-3 გრაფიკიდან როგორც ჩანს, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (57,3%; კაცები = 64,0%, ქალები = 47,7%) თავს არასდროს ან იშვიათად გრძნობს ნამდვილად სახიფათოდ. „არასდროს“ გრძნობს 11,6% (კაცები = 15,1%, ქალები = 7,2%) და „იშვიათად“ 45,7% (კაცები = 48,9%, ქალები = 40,5%). ეს იმაზე მიუთითებს, რომ სტანდარტული თემა იკვლევს ზოგად შიშს და მასში არ არის დაზუსტებული, დაკონკრეტებული საფრთხის განცდა. მიუხედავად ამისა, 15,1% (კაცები = 11,7%, ქალები = 19,2%) მიუთითებს, რომ მათ უკანასკნელი წლის განმავლობაში „ხშირად“ ნამდვილად სახიფათოდ იგრძნეს თავი, სხვა 27,6%-თან (კაცები = 24,3%, ქალები = 33,1%) ეს იყო შემთხვევითი. სქესთა შორის განსხვავება სტატისტიკურად კვლავ მნიშვნელოვანია. ეს ნიშნავს, რომ ქალები გასული წლის განმავლობაში უფრო ხშირად გრძნობდნენ თავს სახიფათოდ, ვიდრე მამაკაცები, რაც ადასტურებს ქალების უფრო მეტ დანაშაულებრივი ხელყოფის შიშს.



კითხვაზე – არის თუ არა თქვენს ქალაქში სადმე სხვა უბანი, სადაც თქვენ არ გსურთ მარტო გავლა ღამით? – რომელიც გვაძლევს საკუთარი საცხოვრებელი უბნის გარდა სხვა სპეციფიური შიშის სივრცეს, სულ გამოკითხულთა 69,2% იძლეოდა დადებით შეფასებას - „დიახ“ (კაცები = 58,1%, ქალები = 73,1%). სქესთა შორის განსხვავება კვლავინდებურად მნიშვნელოვნად მაღალია. ეს ნიშნავს იმას, რომ ქალები აჩვენებენ საკმაოდ მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს ასეთი უბნების არსებობაზე. სულ გამოკითხულთა თითქმის მესამედი (30,8%; კაცები = 41,9%, ქალები = 26,9%) უარყოფს ასეთი უბნების არსებობას.

**გრაფიკი 4: არის თუ არა თქვენს ქალაქში სადმე სხვა უბანი, სადაც თქვენ არ გსურთ მარტო გავლა ღამით?**

საქართველო, N = 523, გაყოფილია სქესის მიხედვით %-ში.




#### 4.2. გარეთ გამოსვლასთან დამოკიდებულება

შემდგომ კითხვაში შემოწმებული იქნა, თუ რამდენად ხშირად დადიოდნენ გამოკითხული სტუდენტები ღამით გარეთ თავიანთ საცხოვრებელ უბანში. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ახალგაზრდა ადამიანები, ჩვეულებრივ, უფრო ხშირად დადიონ ღამით გარეთ, ვიდრე ასაკოვნები, რომლებსაც საკუთარი ოჯახი აქვთ. მე-5 გრაფიკი გვიჩვენებს მიღებულ შედეგებს.

**გრაფიკი 5: რამდენად ხშირად დადიხართ ფეხით ამ უბანში ღამით გარეთ?**

საქართველო: N = 523, მონაცემები %-ში



როგორც მე-5 გრაფიკიდან ჩანს, სულ 56,0% (კაცები = 68,1%, ქალები = 47,0%) „ხშირად“ (26,8%; კაცები = 31,9%, ქალები = 22,3%) და „შემთხვევით“ 29,2% (კაცები = 36,2%, ქალები = 24,7%) არიან ღამე გარეთ უბანში. ფრაიბურგში გამოკითხულ მოზარდ უფროსკლასელთა 15,7% გამოთქვამს, რომ ისინი ღამით არ ივლიდნენ მარტო, იენაში ეს ციფრი შეადგენს 18,6%-ს. საქართველოში ყველა გამოკითხული სტუდენტის 9,3% (კაცები = 6,7%, ქალები = 12,8%) აჩვენებს, რომ თავიანთ საცხოვრებელ უბანში საღამოს ფეხით არ ივლიდა, დანარჩენი 34,7% (კაცები = 29,2%, ქალები = 40,2%) ფიქრობს, რომ ეს იქნებოდა „იშვიათი“ შემთხვევა. სქესთა შორის განსხვავება სტატისტიკურად კვლავ მნიშვნელოვანია (P<01).

#### 4.3. დანაშაულებრივი ხელყოფის შიში სხვა საფრთხეებთან მიმართებაში

შემდეგი ორი თემატიკა მოიცავს დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის დიფერენცირებას. იგი განხორციელდა, ერთი მხრივ, დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის საკითხის გამოკითხვით და, მეორე მხრივ, მისი კავშირით სხვა საფრთხეებთან, როგორიცაა ავადმყოფობა, უმუშევრობა ანდა მოხუცებულობაში მარტოდ დარჩენა. ამით შესაძლებელია უკეთესად შეფასდეს დანაშაულებრივი ხელყოფის შიში სხვა საფრთხეებთან მიმართებაში.

##### 4.3.1. სხვადასხვა დანაშაულებრივი ხელყოფის შიში შედარებით ასპექტში

ერთ-ერთი თემატიკის მიხედვით, გამოყენებული იქნა ოთხსაფეხურიანი სკალა („სრულიად შეუწებელი“-დან „ძალიან შეწებებულამდე“) სხვადასხვა დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის შესაფასებლად, უპირველეს ყოვლისა, იმის დასადგენად, თუ რომელი დანაშაული გამორიცხავს შიშს. შესაბამისი კითხვა ასეთია: „ზოგიერთ ადამიანს აქვს საკმაო საფუძველი, რათა თავი საფრთხეში იგრძნოს. ზოგიერთისთვის ეს შეეხება მხოლოდ განსაზღვრულ ვითარებას, რა დროსაც არსებობს სხვა ხალხი, ვინც მსგავს ვითარებაში თავს ოდნავ შეწებებულად გრძნობს. გთხოვთ, აღნიშნოთ ყოველ სტრიქონზე, თუ რამდენად შეწებებული ხართ ამჟამად ამის გამო. გრძნობთ თავს სავსებით შეწებებლად, ცოტა შეწებებულად, საკმაოდ შეწებებულად, ძალიან შეწებულად, ...“ მოცემულია სულ 7 დანაშაულის (შემთხვევის) ჩამონათვალი ოთხსაფეხურიანი პასუხების სკალით.

ცხრილი 2: მე შეწებებული ვარ...

საქართველო, შეფასება სკალით 1-დან („საკვებით შეწებებელი“) 4-მდე („ძალიან შეწებული“), გაყიდვითი სქესის მიხედვით.

|  | N   | საქართველო | კაცი | ქალი | ტ-ტესტი |
|--|-----|------------|------|------|---------|
| საგზაო მოძრაობებისას შესაძლო დაზიანებისაგან      | 513 | 2.52       | 2.32 | 2.61 | n.s.    |
| საჯარო ადგილის შესაძლო უდიერად მოქცევისაგან      | 523 | 2.28       | 2.12 | 2.38 | n.s.    |
| * შესაძლო ცემისა და დაზიანებისაგან               | 523 | 2.81       | 2.53 | 2.97 | p<.05   |
| *** ჩემს საცხოვრებელ ბინაში შესაძლო შემოჭრისაგან | 528 | 3.04       | 2.69 | 3.17 | p<.001  |
| ** შესაძლო თავდასხმისა და ძარცვისაგან            | 531 | 3.12       | 2.84 | 3.25 | p<.01   |
| * შესაძლო გაქურდვისაგან                          | 516 | 3.01       | 2.79 | 3.18 | p<.01   |
| ** შესაძლო მკვლელობისაგან                        | 512 | 3.21       | 2.98 | 3.35 | p<.01   |

როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, გამოკითხულთა უმეტესს ეშინია შესაძლო მკვლელობის ( $M = 3,21$ ). შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოკითხულ ახალგაზრდა სტუდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილს საკმაოდ აწუხებს შესაძლო მკვლელობა. მეორე ადგილზე მოდის შესაძლო თავდასხმისა და ძარცვის შიში ( $M = 3,12$ ). იგი უსწრებს საცხოვრებელ ბინაში შესაძლო შემოჭრის შიშს ( $M = 3,04$ ), შესაძლო გაქურდვის შიშს ( $M = 3,01$ ), შესაბამისად, შესაძლო ცემისა და დაზიანების შიშს ( $M = 2,81$ ). მეექვსე ადგილს იკავებს საგზაო მოძრაობისას შესაძლო დაზიანების შიში ( $M = 2,52$ ). შედარებით ნაკლებ შიშს იწვევს საჯარო ადგილას შესაძლო უდიერად მოქცევა ( $M = 2,28$ ). ეს იმაზე მიუთითებს, რომ ახალგაზრდა ქართველ ქალებსა და მამაკაცებს, უპირველეს ყოვლისა, აწუხებთ მძიმე დანაშაულების შიში. ამასთან შედარებით, საგზაო მოძრაობისას შესაძლო დაზიანებისა და საჯარო ადგილას შესაძლო უდიერად მოქცევის შიში ნაკლებმნიშვნელოვანი ხდება.

ამავე დროს, მოცემულ დანაშაულებთან მიმართებაში შიში გვიჩვენებს მნიშვნელოვან განსხვავებას სქესის მიხედვით.


ყველა მოცემულ შემთხვევაში ქალები გვიჩვენებენ უფრო დიდი შიშის განცდას, რა დროსაც 7-დან 5 შემთხვევაში განსხვავება სტატისტიკურად ძალზე მნიშვნელოვანია. ეს კვლავ ადასტურებს, რომ ქალები უფრო მშიშარა არიან. სტატისტიკურად მათ უფრო მეტად ეშინიათ საცხოვრებელ ბინაში შემოჭრის, თავდასხმისა და ძარცვის, გაქურდვის, შესაძლო მკვლელობის, ისევე, როგორც ცემისა და დაზიანების. ქალების ამ გაძლიერებულ შიშს, უპირველეს ყოვლისა,



კავშირი აქვს მათ ბუნებრივ მონაცემებთან. მამაკაცისგან გამოწვეული საფრთხის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ნაკლები ფიზიკური ძალის გამო, ქალებს უფრო ცოტა შანსი აქვთ თავდაცვისათვის.

### გრაფიკი 6: მე შენუხებული ვარ...

(„ძალიან შენუხებული“), გამიჯნულია სქესის მიხედვით



### 4.3.2. დანაშაულებრივი ხელყოფის შიში სხვა საფრთხეებთან შედარებისას

შემდგომი თემა შეეხება დანაშაულებრივი ხელყოფის შიშს სხვა საფრთხეებთან მიმართებაში. მოცემულია სულ 14 შემთხვევა, რომლებმაც შეიძლება შიში გამოიწვიონ. ესენია: ძალადობის მსხვერპლად შესაძლო ყოფნა, ქვეყნისათვის ტერორიზმის საფრთხე, ავტოსაგზაო შემთხვევაში მოხვედრა და სხვა 11 სისხლისამართლებრივად ნაკლებმიმდევნელოვანი საფრთხე, როგორიცაა მძიმე ავადმყოფობა, სიბრეში სხვის ტვირთად ყოფნა ანდა ოჯახის ან პარტნიორობის დანგრევა. მე-3 ცხრილი გვიჩვენებს საერთო და სქესის მიხედვით გამიჯნულ შედეგებს.

### ცხრილი 3: მე შენუხებული ვარ იმით, რომ ...

საქართველო: საერთო მონაცემები და სქესის მიხედვით გამიჯნული; სქესთა შორის განსხვავების t-ტესტი

|   | საქართველო | კაცი | ქალი | t_ტესტი |
|---|------------|------|------|---------|
| მძიმედ ავად გავხდები                                      | 2.69       | 2.54 | 2.76 | n.s.    |
| ავტოსაგზაო შემთხვევაში მოხვედები                          | 2.51       | 2.48 | 2.65 | n.s.    |
| *** ძალადობის მსხვერპლი გავხდები                          | 2.43       | 2.26 | 2.81 | p<.001  |
| ** უმუშევარი დავრჩები                                     | 2.58       | 2.29 | 2.78 | p<.01   |
| ** ჩემი ცხოვრების დონეს ვერ შევინარჩუნებ                  | 2.71       | 2.48 | 2.91 | p<.01   |
| სიბრეში სხვისი ტვირთი გავხდები                            | 2.09       | 2.01 | 2.15 | n.s.    |
| სიბრეში მარტო დავრჩები                                    | 2.21       | 2.16 | 2.38 | n.s.    |
| * ჩემი ოჯახი ან პარტნიორობა დაინგრევა                     | 2.65       | 2.39 | 2.72 | p<.05   |
| ჩერნობილის მსგავსი შემთხვევა განმეორდება                  | 2.19       | 2.11 | 2.25 | n.s.    |
| საყოფაცხოვრებო მინიმუმი ძლიერ აინევს                      | 2.39       | 2.31 | 2.52 | n.s.    |
| ჩვენს ქვეყანაში ბევრი უცხოელი ჩამოვა                      | 2.05       | 2.08 | 1.99 | n.s.    |
| სამოქალაქო ომი დაინტენცია                                 | 2.72       | 2.68 | 2.79 | n.s.    |
| ** ჩემი პენსია/უზრუნველყოფა სიბრეში გარანტირებული არ არის | 2.61       | 2.46 | 2.82 | p<.01   |
| ჩვენს ქვეყანას ტერორიზმი დაემუქრება                       | 2.82       | 2.77 | 3.04 | n.s.    |

მიღებული შედეგები განსაზღვრავენ ზემოთ მოყვანილ მონაცემებს დანაშაულებრივი ხელყოფის შიშთან მიმართებაში იმ ასპექტით, რომ ზოგჯერ იგი მეორეხარისხოვანი ხდება სხვა საფრთხეებთან შედარებით. გერმანიაში მიღებული შედეგები ამას ადასტურებს. დანაშაულებრივი ხელყოფის შიში მცირდება, როცა წამოიქრება სხვა სიძნელეები. გამოკითხვის მიხედვით, შერჩეული 14 პრობლემიდან, დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნის შიშს უკავია მე-9 ადგილი, მამაკაცებთან იგი ზოგჯერ მე-10 ადგილზეც ინაცვლებს, ქალებთან მე-4 ადგილით კი იკავებს საფრთხეთა ჩამონათვალში საქმაოდ თვალსაჩინო მდგომარეობას. ეს თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ საქართველოშიც დანაშაულებრივი ხელყოფის შიში მოსახლეობისათვის, შესაბამისად, ახალგაზრდა სტუდენტებისათვის, არ არის ყველაზე დიდი საფრთხე. ეს არ არის მოულოდნელი. დანაშაულებრივი ხელყოფის შიშს თუკი შევადარებთ სხვა საფრთხეს, საქართველოში და გერმანიაში, იგი დაბალია. ამაზე მიუთითებს დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის შეფასების თემატიკა. საინტერესო და მეთოდურად მნიშვნელოვანია ის, რომ დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნის შიში მნიშვნელოვნად მცირდება მაშინ, როცა ერთმანეთთან არის შედარებული ცალკეული „საფრთხეები“, შიშის გამომწვევი შემთხვევები. მე-2 ცხრილის მიხედვით, გამოკითხულებს ძლიერ ეშინათ „შესაძლო თავდასხმისა და ძარცვის“ (3,12), ასევე „საცხოვრებელ ბინაში შესაძლო შემოჭრის“ (3,04), „შესაძლო გაქურდვის“ (3,01) ანდა „შესაძლო მკველობის“ (3,21). შედარებით დაბალია „დანაშაულებრივი ხელყოფის შიში“ (2,43 შეადარეთ ცხრილი 3). სხვა შესაძლო საფრთხეებთან პირდაპირი შედარება განსაზღვრავს დანაშაულებრივი ხელყოფის შიშს. ასეთია ახალგაზრდა ქართველთა მიერ შიშის (საფრთხეების) შეფასება შეთავაზებული თემატიკის მიხედვით. (შეადარეთ ცხრილი 4).

#### ცხრილი 4: მე შეწუხებული ვარ იმით, რომ...

**საქართველო:** საერთო მონაცემები და სქესის მიხედვით გამიჯნული, ჩამოთვლილია შეწუხების ხარისხის მიხედვით, შეწუხების ხარისხი გამიჯნულია სქესის მიხედვით

|   | საქართველო<br>შეფასება | ხარისხი  |           |          |
|---|------------------------|----------|-----------|----------|
|   |                        | საერთო   | კაცები    | ქალები   |
| ჩვენს ქვეყანას ტერორიზმი დაემუქრება                     | 2,82                   | 1        | 1         | 1        |
| სამოქალაქო ომი დაიწყება                                 | 2,72                   | 2        | 2         | 5        |
| ჩემი ცხოვრების დონეს ვერ შევინარჩუნებ                   | 2,71                   | 3        | 4         | 2        |
| მძიმედ ავად გავხდები                                    | 2,69                   | 4        | 3         | 7        |
| ჩემი ოჯახი ან პარტნიორობა დაინგრევა                     | 2,65                   | 5        | 7         | 8        |
| ჩემი პენსია/უზრუნველყოფა სიბერეში გარანტირებული არ არის | 2,61                   | 6        | 6         | 3        |
| უმუშევარი დავრჩები                                      | 2,58                   | 7        | 9         | 6        |
| ავტოსაგზაო შემთხვევაში მოვხვდები                        | 2,51                   | 8        | 4         | 9        |
| <b>ძალადობის მსხვერპლი გავხვდები</b>                    | <b>2,43</b>            | <b>9</b> | <b>10</b> | <b>4</b> |
| საყოფაცხოვრებო მინიმუმი ძლიერ აინგვს                    | 2,39                   | 10       | 8         | 10       |
| სიბერეში მარტო დავრჩები                                 | 2,21                   | 11       | 11        | 11       |
| ჩერნობილის მსგავსი შემთხვევა განმეორდება                | 2,19                   | 12       | 12        | 12       |
| სიბერეში სხვისი ტვირთი გავხდები                         | 2,09                   | 13       | 14        | 13       |
| ჩვენს ქვეყანაში ბევრი უცხოელი ჩამოვა                    | 2,05                   | 14       | 13        | 14       |

ახალგაზრდა ქართველებს ყველაზე მეტად აშინებთ ტერორიზმის საფრთხე (2,82), სამოქალაქო ომის დაწყება (2,72), ცხოვრების დონის შენარჩუნების შეუძლებლობა (2,71), მძიმე ავადმყოფობა (2,69), ოჯახის ან პარტნიორობის დანგრევა (2,65), პენსიის, უზრუნველყოფის გარანტიის არარსებობა (2,61), უმუშევრად დარჩენა (2,58) ანდა ავტოსაგზაო შემთხვევაში მოხვედრა (2,51). ამის შემდეგ მხოლოდ მე-9 ადგილზეა დასახელებული ძალადობის მსხვერპლად ყოფნის შიში. ავტოსაგზაო შემთხვევაში მოხვედრის შიში, მე-2 ცხრილში მოყვანილი შედეგებისგან განსხვავებით, აქ უსწრებს დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნის შიშს.

გამოკითხულებმა, უპირველეს ყოვლისა, დაასახელეს ტერორიზმისა და სამოქალაქო ომის დაწყების შიში. ეს ისეთი საფრთხეა, რომელიც შეიძლება შეეხოს მთელ ქვეყანას და შემდგომ თითოეულ მოქალაქეს. შემდეგ დასახელებული იქნა ისეთი საფრთხეები, როგორიცაა მძიმე ავადმყოფობა, ფინანსური, ეკონომიკური სიძნელეები (კრიზისი), ავტოსაგზაო შემთხვევები და ოჯახის ან პარტნიორობის დანგრევა. ამათან შედარებით, ნაკლებმნიშვნელოვანი




ჩანს ჩერნობილის მსგავსი შემთხვევის განმეორებისა და სიბერეში მარტოდ დარჩენის შიში. ყველაზე ნაკლებ საფრთხედ იქნა დასახელებული ქვეყანაში ბევრი უცხოელის ჩამოსვლა.

მამაკაცებთან შედარებით, ქალები მნიშვნელოვნად ნაკლებ დაურმუნებლობას, შიშს გვიჩვენებენ ისეთ საფრთხეებთან მიმართებაში, როგორიცაა: სამოქალაქო ომის დაწყება, მძიმე ავადმყოფობა ანდა ავტოსაგზაო შემთხვევაში მოხვედრა. ამის საწინააღმდეგოდ, მამაკაცებთან შედარებით ქალები გვიჩვენებენ უფრო მეტ შიშს ისეთი საფრთხეების მიმართ, როგორიცაა: სიბერეში ჰენსიის, უზრუნველყოფის გარანტიის არარსებობა, უმუშევრად დარჩენა ანდა დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნა. ეს განსხვავება გასაგები და სარწმუნოა. ასე, მაგალითად, წესისამებრ, ქალები ავლენენ ჯანმრთელობისადმი უკეთეს დამოკიდებულებას. ისინი ხშირად მიდიან ექიმთან გამოკვლევების ჩასატარებლად, შესაბამისად, აქვთ მეტი ინფორმაცია თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რაც ამცირებს მათ შიშს მძიმედ ავადმყოფობის თაობაზე. ქალები უფრო ნაკლებად მგზავრობენ ავტომანქანით, რაც ასევე ამცირებს მათ შიშს ავტოსაგზაო შემთხვევაში მოხვედრასთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, ქალებს სამუშაოს ძიების დროს მამაკაცებთან შედარებით არახელსაყრელი პოზიცია აქვთ, გამოიმუშავებენ შედარებით ნაკლებს, მათ უფრო ხშირად ემუშავებათ უმუშევრობა, ვიდრე თავიანთ მამაკაც კოლეგებს. ოჯახზე უფრო მეტი ზრუნვის გამო, ქალები ღებულობენ შედარებით დაბალ პენსიისა და უზრუნველყოფას. საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულია დანაშაულის უფრო დიდი შიში ქალებში, ვიდრე მამაკაცებში.

სქესის მიხედვით შიშის შეფასება გვიჩვენებს, რომ ქალებს, მამაკაცებთან შედარებით, თითქმის ყველა თემატიკის მიხედვით, უფრო მეტი შიში აქვთ. 14 შედარებული თემატიკიდან მხოლოდ 5 არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. (შეადარეთ ცხრილი 3; გრაფიკი 7). ქალები, მამაკაცებთან შედარებით, უფრო მეტად არიან შენუხებული ისეთი საფრთხით (შიშით), როგორიც არის: დანაშაულის მსხვერპლად ყოფნა (კაცები = 2,26, ქალები = 2,81; P<001), უმუშევრად დარჩენა (2,29 – 2,78; P<01), ცხოვრების დონის შენარჩუნების შეუძლებლობა (2,48 – 2,91; P<01), ოჯახის ან პარტნიორობის დანერგვა (2,39 – 2,72; P<05) და პენსიის, უზრუნველყოფის გარანტიის არარსებობა (2,46 – 2,82; P<01). უმრავლესი თემატიკის მიხედვით, ტენდენციურად ქალებმა უფრო მეტი შიში გამოავლინეს, ვიდრე მამაკაცებმა. გამონაკლისს წარმოადგენს ქვეყანაში ბევრი უცხოელის ჩამოსვლის შიში (2,08 – 1,99), თუმცა განსხვავება ამ საფრთხესთან მიმართებაში კაცებსა და ქალებს შორის უმნიშვნელოა.

გრაფიკი 7: მე შენუხებული ვარ იმით, რომ ...

საქართველო: შედეგები გამიჯნულია სქესის მიხედვით, t-ტესტი სქესთა შორის განსხვავებასთან მიმართებაში




#### 4.4. დანაშაულებრივი ხელყოფის შიში და სანქციების შეფასება

კვლევის დროს შემოწმებულია, თუ როგორ მოქმედებს დანაშაულებრივი ხელყოფის შიში სანქციების შეფასებაზე, მოცემულ შემთხვევაში სიკვდილით დასჯის გამართლების ფორმით (ამავე დროს გათვალისწინებულია, რომ მშიშარა ადამიანები უფრო მეტად ემსრობიან სიკვდილით დასჯას). მე-5 ცხრილი და მე-8 გრაფიკი გვიჩვენებს მიღებულ შედეგებს.

### ცხრილი 5, გრაფიკი 8: მე შენუხებული ვარ იმით, რომ ...

საქართველო: საერთო მონაცემები, გამიჯნული სიკვდილით დასჯის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის, t-ტესტი მათ შორის განსხვავების დასადგენად

|  | N   | საქართველო | მომხრე | მოწინააღმდეგი | t-ტესტი |
|--|-----|------------|--------|---------------|---------|
| საგზაო მოძრაობებისას შესაძლო დაზიანებისაგან      | 515 | 2.52       | 2.54   | 2.47          | n.s.    |
| საჯარო ადგილის შესაძლო უდიერად მოქცევისაგან      | 521 | 2.28       | 2.31   | 2.28          | n.s.    |
| * შესაძლო ცემისა და დაზიანებისაგან               | 520 | 2.81       | 2.89   | 2.73          | n.s.    |
| *** ჩემს საცხოვრებელ პინაში შესაძლო შემოჭრისაგან | 526 | 3.04       | 3.11   | 2.89          | p<.0    |
| ** შესაძლო თავდასხმისა და ძარცვისაგან            | 530 | 3.12       | 3.16   | 3.01          | p<.0    |
| * შესაძლო გაქურდვისაგან                          | 514 | 3.01       | 3.05   | 2.90          | p<.01   |
| ** შესაძლო სიკვდილისაგან                         | 513 | 3.21       | 3.24   | 3.12          | p<.01   |



როგორც მე-5 ცხრილიდან და მე-8 გრაფიკიდან ჩანს, სიკვდილით დასჯის მომხრეები ავლენენ დიდ შიშს. ამავე დროს 7 შესადარებელი თემატიკიდან 4 სტატისტიკურად მეტად მნიშვნელოვანია. სიკვდილით დასჯის მომხრეებს ყველაზე მეტად ემინიათ შემდეგი მძიმე დანაშაულების: საცხოვრებელ პინაში შემოჭრა, თავდასხმა და ძარცვა, ქურდობა და მკვლელობა.

მეორე თემატიკასთან დაკავშირებით, რომელიც დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის სხვა შესაძლო შემთხვევებთან დამოკიდებულებას შეეხება, შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ორ შემთხვევასთან დაკავშირებით გვაქვს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება სიკვდილით დასჯის მომხრეებსა და მოწინააღმდეგებს შორის (იხ. ცხრილი 6).

### ცხრილი 6: მე შენუხებული ვარ, რომ ...

საერთო მონაცემები, რომლებიც გამიჯნულია სიკვდილით დასჯის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა მიხედვით, t-ტესტი ამ ორ ჯგუფს შორის განსხვავებასთან მიმართებაში

|  | საქართველო | მომხრე | მოწინააღ-მდეგი | t-ტესტი |
|--|------------|--------|----------------|---------|
| მძიმედ ავად გავხდები                     | 2.69       | 2.67   | 2.74           | n.s.    |
| ავტოსაგზაო შემთხვევაში მოვხდები          | 2.51       | 2.54   | 2.47           | n.s.    |
| ** ძალადობის მსხვერპლი გავხდები          | 2.43       | 2.50   | 2.31           | p<.01   |
| უმუშევარი დავრჩები                       | 2.58       | 2.57   | 2.58           | n.s.    |
| ჩემი ცხოვრების დონეს ვერ შევინარჩუნებ    | 2.71       | 2.70   | 2.74           | n.s.    |
| სიბერეში სხვისი ტვირთი გავხდები          | 2.09       | 2.10   | 2.08           | n.s.    |
| სიბერეში მარტო დავრჩები                  | 2.21       | 2.19   | 2.23           | n.s.    |
| ჩემი ოჯახი ან პარტნიორობა დაინგრევა      | 2.65       | 2.68   | 2.61           | n.s.    |
| ჩერნობილის მსგავსი შემთხვევა განმეორდება | 2.19       | 2.19   | 2.17           | n.s.    |



|   |      |      |      |       |
|---|------|------|------|-------|
| საყოფაცხოვრებო მინიმუმი ძლიერ აინტენსივური განვითარების შემთხვევაში | 2.39 | 2.38 | 2.42 | n.s.  |
| ჩვენს ქვეყანაში ბევრი უცხოელი ჩამოვა                                | 2.05 | 2.06 | 2.03 | n.s.  |
| სამოქალაქო ომი დაინტენსივური განვითარების შემთხვევაში               | 2.72 | 2.71 | 2.75 | n.s.  |
| ჩემი პენსია/უზრუნველყოფა სიბერებში გარანტირებული არ არის            | 2.61 | 2.60 | 2.64 | n.s.  |
| ** ჩვენს ქვეყანას ტერორიზმი დაემუქრება                              | 2.82 | 2.87 | 2.71 | p<.01 |

სიკვდილით დასჯის მომხრეები მიუთითებენ მნიშვნელოვნად მაღალ შიშჩე, რომელიც გამოწვეულია ძალადობის მსხვერპლად ყოფნისა (2,50 – 2,31; P<01) და ქვეყნისათვის ტერორიზმის საფრთხით (2,87 – 2,71; P<01). ეს შეესაბამება იმ მოლოდინს, რომელიც გამოკითხვის თემატიკის მიხედვით, მეტ-ნაკლებად მოქმედებს ცხოვრების მძიმე პირობებზე. მათზე გავლენას ვერ მოახდენს მკაცრი სანქციების შემოღება. სიკვდილით დასჯის მომხრეები ტენდენციურად მიუთითებენ ასევე გაძლიერებულ შიშჩე ავტოსაგზაო შემთხვევაში მოხვედრის საფრთხის გამო (2,54 – 2,47), რაც იმით აიხსნება, რომ ავტოსაგზაო შემთხვევები უმეტესად დაკავშირებულია მოძრაობის წესების დარღვევასთან. მოსახლეობის დიდი ნაწილის შეხედულებით, მკაცრი სანქციების გამოყენებით, შესაძლებელია ამ დარღვევების შემცირება. სხვა თემატიკასტან დაკავშირებით, სიკვდილით დასჯის მომხრეებისა და მონინაალმდეგების შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება.

## 5. დასკვნა

საქართველოში დანაშაულებრივი ხელყოფის შიშთან დაკავშირებით ჩატარებული გამოკვლევებით მიღებული შედეგები საინტერესოა თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ადრე, საბჭოთა კავშირის ქვეყნებში, ასეთ თემაზე გამოკვლევები თითქმის არ არსებობდა. 1980-იანი წლების ბოლოს, პოლიტიკური ცვლილების შემდეგ აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიას შორის ჩატარებული შედარებითი გამოკვლევიდან ვიცით, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის მსგავსი ცვლილება, ერთი მხრივ, იძლევა იმის იმედს, რომ ბოლოს და ბოლოს ბევრი რამ გაუმჯობესდება და რამდენიმე წლის შემდეგ კი იწვევს იმედგაცრუებას. ყველაფერი გამოწვეულია იმით, რომ ძველი სისტემა ბევრ შეზღუდვებსა და კონტროლს მოიცავდა, იმავდროულად უზრუნველყოფდა მკაცრ წესრიგსა და „უსაფრთხოებას“, რაც სისტემის დაშლასთან ერთად აღარ არსებობდა. საბჭოთა ქვეყნების დამოუკიდებლობა, ერთი მხრივ, ნიშნავდა, ჩვეულებრივ, მეტ თავისუფლებას, მეორე მხრივ კი, ბევრი უსაფრთხოების დაკარგვას და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღბას. ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო საკმაოდ მცირე დროში. ამან განაპირობა საზოგადოებრივი განხეთქილებები და მასთან დაკავშირებით ბევრი საფრთხისა და შიშის წარმოშობა.

ამას ემატება ისიც, რომ დამნაშავეობის ინტენსივობა დაბალი იყო ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში იქ გაბატონებული ძლიერი კონტროლისა და დანაშაულის ჩადენისათვის ხელსაყრელი პირობების სიმცირის გამო. ეს აისახებოდა არა მხოლოდ ოფიციალურად რეგისტრირებულ დანაშაულზე, რაც სახელმწიფოს მიერ ყოველთვის გამოიყენებოდა უპირატესობის დასადასტურებლად, არამედ რეალურად ჩადენილ დანაშაულებსაც შეეხებოდა. ასევე საყურადღებო იყო საკმაოდ დიდი კონტროლი მედიაზე, რომელიც ძალიან ცოტას მოუთხრობდა დამნაშავეობის თაობაზე. სახელმწიფო იცვლებოდა სწრაფად მოპოვებული თავისუფლებით. ამან განაპირობა პრესის თავისუფლება, საბაზრო ეკონომიკის შემოღება და საზღვრების გახსნა.

ყოფილი გდრ-ის ტერიტორიაზე, დღევანდელი გერმანიის ახალ მიწებზე, დამნაშავეობის ინტენსივობა მკვეთრად იზრდებოდა. ეს აღარ იყო დამაღული მოსახლეობისათვის, რადგან მედია ამის თაობაზე მოუთხრობდა. ამას ემატებოდა ყოფილი სოციალისტური ქვეყნებისათვის ნაკლებად ცნობილი პრობლემები. ასეთია გაზრდილი უმუშევრობა, მეტი შეჯიბრებითობა და კონკურენცია, მაღალი ფასები და სოციალური დაცვის შესუსტება. ეს განაპირობებს მოსახლეობის საფრთხეს (შიშს). ამ გარემოებებზე დაყრდნობით, გაიზარდა საფრთხისა და შიშის დონე, ასევე დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნის „შიშიც“. ამ „შიშთან“ დაკავშირებით პრობლემატურია ის საკითხი, რომ იგი მკაფიოდ გავმიჯნოთ სხვა შიშისაგან. ეს უნდა განხორციელდეს საერთო „საფრთხეთა სფეროსგან“ ამ შიშის გამიჯვნით მეთოდურად სრულყოფილ შეფასების საფუძველზე. წინამდებარე გამოკვლევით მოცემულია საფუძველი ამ პრობლემის შემდგომი განვითარებისათვის.

შედეგები გვიჩვენებს დანაშაულებრივი ხელყოფის საკმაოდ დიდ შიშის საქართველოში. ამ დროს, უპირველესად, გასათვალისწინებელია ის, რომ აქ გამოკითხული იყვნენ ახალგაზრდა ადამიანები. ისინი, ყველა შემთხვევაში, დანაშაულებრივი ხელყოფის ნაკლებ შიშს აჩვენებდნენ, ვიდრე გამოკითხული ასაკოვნები. ჩვენი კვლევა გვიჩვენებს შედეგების დამოკიდებულებას მეთოდებთან. იმისდა მიხედვით, თუ როგორ და რა კონტექსტში ხდებოდა დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის საკითხის გამოკითხვა, მიღებული შედეგები იცვლებოდა არც თუ ისე უმნიშვნელოდ. დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის მიღებული მაღალი მაჩვენებელი უნდა აიხსნას მოსახლეობის მდგომარეობით.

დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის თემა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი მოქმედებს პრევენციული ღონისძიების შემოღებაზე. ამას ემატება ისიც, რომ მშიშარა ადამიანები ხშირად იცვლიან თავიანთი ცხოვრების წესს, არიან ნაკლებად აქტიურები, რითაც ხელს უწყობენ შიშის გაძლიერებას, ვიდრე მის შემცირებას.

დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის დიფერენცირებული გაგება ასევე გვიჩვენებს, რომ დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნის შიში შედარებით დაბალია ისეთი საფრთხეების შიშთან, როგორიცაა: მძიმე ავადმყოფობა, უმუშევრად დარჩენა, ცხოვრების დონის შენარჩუნების შეუძლებლობა, ე.ი., უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური საფრთხეები. საქართველოში ადამიანების მთავარ, ცენტრალურ პრობლემად არ ჩანს დანაშაულის მსხვერპლად შესაძლო ყოფნის შიში. მათ უფრო აწუხებთ ეკონომიკური საფრთხეები. მათ აქვთ გერმანიის მოქალაქეების მსგავსი შიში, მიუხედავად მყაფიოდ განსხვავებული ეკონომიკური დონისა. გამოკითხვებმა ასევე გვიჩვენა, რომ დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის მქონე ადმიანებს მკაცრი სანქციების გამართლებისათვის უფრო მეტი მიღრეკილება აქვთ, ვიდრე ნაკლებად მშიშრებს, რაც სრულად სარწმუნოა.

ქართველ სტუდენტებთან საკმაოდ ვრცლად ჩატარებული გამოკვლევის აქ მოყვანილი მონაცემები გვაძლევს მნიშვნელოვან შედეგებს, რომლებიც შემდგომი სამეცნიერო გამოკვლევებითა და სტატისტიკური ანალიზით უნდა გადამოწმდეს. ეს მონაცემები მიუთითებს ასევე ემპირიული კრიმინოლოგიური კვლევების აუცილებლობაზე ისეთ გარდამავალ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. რუსეთთან 2008 წლის ომისა და ქვეყნის დიდ ტერიტორიაზე რუსეთის არმიის შემოსვლის შემდეგ, მიღებული შედეგები შეიცვლებოდა. ეს კი მიუთითებს შემდგომი გამოკვლევების აუცილებლობაზე.



## ჰელმუტ კური, ედიშერ ფუტკარაძე, მიხეილ ვიურგერი

დანაშაულებრივი ხელყოფის შიში ქართველ სტუდენტებში

### რეზიუმე

ნაშრომში გამოკვლეულია დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის სისხლის სამართლებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობა, დანაშაულებრივი ხელყოფის შიშის საკითხი გერმანიაში. ქართველ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები, დანაშაულებრივი ხელყოფის შიში სტანდარტული თემატიკის მიხედვით, გარეთ გამოსვლასთან დამოკიდებულება, დანაშაულებრივი ხელყოფის შიში სხვა საფრთხეებთან მიმართებაში და შედარებით ასპექტში, დანაშაულებრივი ხელყოფის შიში და სანქციების შეფასება.

**Helmut Kury, Edisher Phutkaradze, Micheil Wuenger**

### Fear of the Criminal Violation in Georgian Students

#### Abstract

In the laboured was explored criminal-political significance fear of the criminal violation, fear of the criminal violation issue in Germany. Poll results of the Georgian students. Fear of the criminal violation of the according to the standard themes, going out with on attitude, fear of the criminal violation other threats to the attitude fear of the criminal violation. fear of the criminal violation comparative aspects, fear of the criminal violation and rate of the sanctions.



## გივი ლოგუანიძე

### მმართველობა და თვითმმართველობა ჩინეთში (სამართლებრივი ასპექტები)

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მდებარეობს ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიაში, რომის ტერიტორია 9,6 მილიონ კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. მოსახლეობის რაოდენობამ ჩინეთში 1305 მილიონს გადააჭარბა, მათი 91% ჩინელია. სახელმწიფო ენა ჩინურია. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ათეისტია, მორწმუნებს შორის არიან კონფუციანელები, დაოისტები და ბუდისტები. ჩინეთი მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს ქვეყანად ითვლება, რომლის ცივილიზაცია 5 ათას წელს ითვლის. 1911 წლამდე იწოდებოდა იმპერიად, ხოლო 1912 წლიდან 1925 წლამდე კი რესპუბლიკად. 1949 წლიდან მოიხსენიება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკად.

ჩინეთში მოვლენათა განვითარებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა მშრომელი მასების ანტიიმპერიალისტურმა და ანტიფეოდალურმა მოძრაობამ, რომელიც „4 მაისის მოძრაობის“ სახელწოდებითაა ცნობილი (1919წ.). მონაწილეობდა რა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მოძრაობაში, ეროვნული ბურჟუაზია, ამ დროიდან მოყოლებული გადადის მეორე პლაზე და ანტიფეოდალურ, ანტიიმპერიალისტურ რევოლუციაში ჰეგემონის როლს ასრულებს პროლეტარიატი.

მოვლენათა განვითარება ხელისუფლებას აიძულებდა უარი ეთქვა მილიტარისტებთან შეთანხმების ტექსტებზე. მან მხარდაჭერა სთხოვა ხალხთა მასებს, აღიარა კომუნისტურ პარტიათა კავშირი. გომინდანის პროგრამა ჩამოყალიბებულია „სამი სახალხო პრინციპის“ სახით, რომელმაც ანტიიმპერიალისტური და ანტიფეოდალური შინაარსი მიიღო: 1) ჩინელი ხალხის გათავისუფლება იმპერიალისტური ჩაგვრისაგან, ეროვნებათა თანასწორობა, 2) სახელმწიფოს დემოკრატიული მოწყობა, 3) მიწის განაწილება პრინციპით: „ყოველ მხვნელს თავისი სახნავი“, ბანკების, გზათა და მიმოსვლის საშუალებათა ნაციონალიზაცია.

ჩინეთის რესპუბლიკის ეროვნულ მთავრობაში, რომელიც ჩინეთის სამხრეთში, კანტონში მოქმედებდა, 1925 წლიდან მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მემარცხენე გომინადანელები, რომლებიც კომუნისტებთან თანამშრომლობდნენ. ეს მთავრობა აწყობს ჩრდილოეთის ლაშქრობას (1925 წ.) სამხედრო მილიტარისტებისაგან ჩინეთის დასაბრუნებლად.<sup>1</sup>

ჩინეთის სახელმწიფო მმართველობა და თვითმმართველობა ეფუძნება ნაციონალურ თავისებურებებს და ქვეყნის ისტორიულ უნიკალობას, რამაც ასახვა პპოვა მოდერნიზებული სოციალისტური სისტემის ფორმირებაში. ხელისუფლების მიზნები და ამოცანები დაფიქსირებულია 1982 წლის კონსტიტუციაში, სადაც წერია: სახელმწიფოს უპირველესი ამოცანაა, რომ მთელი შესაძლებლობით განხორციელდეს სოციალისტური მოდერნიზაცია. ჩინელი ხალხი, განურჩევლად წარმომავლობისა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანებლობით, რომელიც შეიარაღებულია მარქსიზმ - ლენინიზმის და მათ ძედუნის იდეებით, მიემართება საერთო სახალხო დიქტატურის მეშვეობით დემოკრატიისა და სოციალიზმის გზით.<sup>2</sup> ჩინეთის კომპარტიის 2008 წლის თებერვლის მე-17 ყრილობაზე, გამოცხადდ „სოციალურად პარმონიული საზოგადობის აშენება“, რომელიც მიიღნევა შემოსავლების თანაბარი გადანაწილების გზით, სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეთა შორის.

თანამედროვე ჩინეთის მუნიციპალური მმართველობა და თვითმმართველობა, როგორც 1992 წლის კომუნისტური პარტიის მე-14 ყრილობის მასალებშია მითითებული ეყრდნობა და ეფუძნება ჩინეთის სპეციფიკას, რომლითაც გამორიცხულია „მრავალ პარტიულობა და დასავლური პარლამენტარიზმ“. აქედან გამომდინარე:

ა) ჩინეთის სახელმწიფოებრივი მმართველობა იგება კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ პრინციპებზე.

ბ) ქვეყანაში სტაბილურობის და პოლიტიკური სისტემის გარანტად გამოდის ჩინეთის კომუნისტური პარტია.

<sup>1</sup> ზ. ჩერნილოვსკი, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, ტ. II. M. 2005, გვ. 259

<sup>2</sup> Китай на пути модернизации и реформ (под. ред. М.Л. Титаренко) M. 1999. с. 430-435



გ) ჩინეთის სახელმწიფო მმართველობის თავისებურებებს წარმოადგენს მისი ავტორიტა-რული ხასიათი.

დ) თანამედროვე ჩინეთის ხელისუფლება აქტიურად იბრძვის ორი მიმართულებით: დაძლიოს სოციალური პირობები, რისთვისაც ატარებს საკუთარი მომსახურეობის „განთესვის“ პოლიტიკას მსოფლიო მასშტაბით და ებრძვის ძველ კომუნისტურ ბიუროკრატიულ მენტალიტეტის სახელმწიფო შტორში.

ჩინეთის სახელმწიფო მმართველობა თავისი შინაარსით ორბუნებრივობით ხასიათდება, რაც გამოიხატება მთავრობისა და პარტიულ ხელისუფლებაში, გარკვეულ დონემდე ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პარტიული ჩინოვნიკების ფუნქციათა გაორებით. საბოლოოდ ისე, როგორც ყოფილ საბჭოთა კავშირში ასევე ჩინეთში მაღალჩინოსანი პარტიული ფუნქციონალები აკონტროლობენ შესაბამის სახელისუფლო სტრუქტურებს.

სახელმწიფო მმართველობის სისტემა მკაფრად იერარქიულია ქვევიდან ზევით. ჩინეთის საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს „სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობა“. აღმასრულებელ ხელისუფლებას ეწოდება „სახელმწიფო საბჭო“, რომლის დაქვემდებარებაში შედიან სამინისტროები და კომიტეტები. საბჭო 1949 წლიდან შედგებოდა 32 კაცისაგან, რომელიც შემდგომში გაიზარდა 100-მდე. ქვეყნის პოლიტიკური ცენტრია პეკინი. ქვეყანა დაყოფილია 5 საფეხურიან ადმინისტრაციულ ერთეულებად, როგორიცაა პროვინცია (31), მსხვილი ქალაქები (332), ოლქები (2862), რაიონები (44891) და სოფლები (90600). პროვინციის სტატუსი გააჩნია 4 დიდ ქალაქს (პეკინი, შანხაი, ტიანცინი, ჩენცინი). სოფლის გარდა ყველა დანარჩენი ითვლება სახელმწიფო მექანიზმად, ხოლო სოფელი ეს არის ადგილობრივ თვითმმართველობაზე დაფუძნებული ერთეული და კანონმდებლობით არ ითვლება სახელმწიფო სტრუქტურათა იერარქიის ნაწილად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კონსტიტუციის შესაბამისად საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა ყრილობა და მისი მუდმივ-მოქმედი კომიტეტი, რომლის წევრები აირჩევიან 5 წლის ვადით, ყრილობებსა და კონფერენციებზე, რომლებიც ტარდება პროვინციებსა და სამხედრო ნაწილებში. სესია იკრიბება წელიწადში ერთჯერ.

1986 წლიდან კომიტეტის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 3000 კაცით. წარმომადგენელთა ყრილობა ერთპალატიანი ორგანო. მის შემადგენლობაში შედის პრეზიდიუმის სესია, მუდმივმოქმედი კომიტეტი, სოციალურ საკითხთა კომისია, საარჩევნო ერთეულების დელეგაციები. სესიებს წინ უძლვის მოსამზადებელი სხდომები, სადაც ირჩევენ პრეზიდიუმს და სესიის კანცელარიის უფროსს. იღებენ დღის წესრიგს და წყდება სხვა საორგანიზაციო საკითხები.

მკვლევარები მიუთიოთებენ ჩინეთის საკანონმდებლო ორგანოს სუსტ მხარეებზე, რაც გამოწვეულია ა) ჩინეთის ხელისუფლების ნებისმიერი შტოს მუშაობასა და საქმიანობაზე კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებს, დარჩენილი შტოები ფაქტობრივად მის შინაარს აფიორმებენ. ბ) უმნიშვნელო აღმასრულებელი სტრუქტურების როლი მმართველობის სისტემაში. გ) საკანონმდებლო ორგანო (სესია) არ იკრიბება სისტემატიურად, რაც არაეფექტურს ხდის მისი მუშაობის შეღებებს.

საკანონმდებლო საქმიანობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მუდმივმოქმედი კომიტეტი. თუმცა მას რეგლამენტით გარკვეულად შეზღუდული ფუნქციები გააჩნია, ვიდრე წარმომადგენელთა სესიას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავჯდომარე ითვლება სახელმწიფოს მეთაურად და აღმასრულებელი ხელისუფლების თავკაცად, რომელიც აირჩევა სრულიად ჩინეთის სახალხო ყრილობაზე. ამ თანამდებობაზე არჩევის უფლება აქვს პირს, რომელსაც შეუსრულდა 45 წელი. ერთსა და იმავე პიროვნებას თავჯდომარის პოსტის დაკავება, მხოლოდ ორჯერ შეუძლია. მის კომპეტენციაში შედის კანონების გამოქვეყნება, მაღალი რანგის თანამდებობის გარკვეულ პირთა დანიშვნა, ქვეყნის ორდენებით და მედლებით დაჯილდოვება, ხელშეკრულებით რატიფიკაცია და დენონსაცია საზღვარგარეთის ქვეყნებთან და შეწყალების აქტის მიღება, საგანგებო და საომარი მდგომარეობის გამოცხადება და ა.შ.

სახელმწიფო საბჭო (მთავრობა) კონსტიტუციის 85-ე მუხლით ითვლება აღმასრულებელ ხელისუფლებად ანუ უმაღლეს ადმინისტრაციულ ორგანოდ. იგი შედგება პრემიერ-მინისტრის და კაბინეტისაგან სადაც შედიან: ვიცე-პრემიერები, სახელმწიფო მრჩევლები, მინისტრები, გე-

ნერალური აუდიტი და გენერალური მდივანი, სულ 38 კაცი, რომელსაც ნიშნავს პრემიერი და ამტკიცებს წარმომადგენელთა ყრილობა. ეს ორგანო ისევე, როგორც სხვა ქვეყნების ხელისუფლება ხელმძღვანებლობს ადმინისტრაციულ საქმიანობას ქვეყნის მასშტაბით. სამინისტროებისა და სხვა უწყებების საქმიანობა განსაზღვრულია შესაბამისი კანონმდემლობით.

უკანასკნელ პერიოდში სახელმწიფო საბჭოს კომპეტენციები საგრძნობლად გაიზარდა. ის იქცა კანონშემოქმედ ორგანოდ. სათათბიროს აქვს მუდმივმოქმედი კომიტეტი, რომელიც კვირაში ორჯერ იკრიბება, სადაც ცალკეულ უწყებათა ხელმძღვანელები წარდგებიან ანგარიშებით განეული მუშაობის შესახებ. მიუხედავად ამისა ამ ორგანოს საქმიანობა მაინც არ არის მკაცრად დაკონკრეტებული. ამდენად იგი თავის ქმედებაში თავისუფალი არ არის.

ჩინეთში ერთ-ერთ მოქმედ სტრუქტურას სახელისუფლო ჯაჭვში წარმოადგენს ცენტრალური ადმინისტრაცია, რომლის ორგანიზაციული მხარე ფრაგმენტული ავტორიტარიზმის ჩარჩოებშია მოქცეული და ატარებს ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკას. ცენტრალური ადმინისტრაცია თავისი სტრუქტურით შედგება ცალკეული ბიუროკრატიული ჯგუფებისაგან, რომლებსაც საკუთარი ფუნქციები გააჩნიათ. სტრუქტურის სათავეში მოიაზრება სახელმწიფო საბჭო, შემდეგ მოდის სამინისტროები და ცენტრალური უწყებები შესაბამისი სამმართველოებით მუნიციპალურ განყოფილებამდე. ცალკეული სამინისტროები ემორჩილებიან რა სახელმწიფოს საბჭოს, თავის მხრივ შედგებიან მის დაქვემდებარებაში მყოფი პროვინციალური, სამხარეო, რაიონული სამმართველოებისა და განყოფილებებისაგან. მეორე მხრივ, მოქმედებს ორმაგი დაქვემდებარების პრინციპი, რაც ნიშნავს, რომ ნებისმიერი სახელისუფლო სტრუქტურის პარალელურად შექმინილია შესაბამისი პარტიული ორგანოები.

ასეთი სტრუქტურული მოწყობა აფერხებს საკითხების ოპერატიულ გადაწყვეტას ადგილებზე, რაშიც გამოიხატება ცენტრალური ადმინისტრაციის საქმიანობის ფრაგმენტულობა. სახელმწიფოებრივი ადმინისტრირების თანამედროვე მოდელი ემსახურება იდეოლოგიურ ორიენტაციას – სოციალიზმის აშენებას „ჩინური სპეციფიკით“ და მოქმედებს ჩინეთის კომპარტიის პატრონაჟის ქვეშ.<sup>1</sup>

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მართლსაჯულებას ახორციელებს სასამართლო ორგანოები. სასამართლო სტრუქტურა შემდეგნაირადაა დაყოფილი, უმაღლესი სასამართლო, საშუალო და დაბალი რეგიონის სასამართლოები.

რეგიონალური მმართველობა ჩინეთში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის თანხვედრია, როგორც წესი, ჩინეთში მიღებულია ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის სამდონიანი სისტემა, უმაღლეს დონეს წარმოადგენს პროვინცია, ცენტრალური დაქვემდებარების ავტონომიური ქალაქები და რაიონები. საშუალო დონეს მიესადაგება ავტონომიური ოლქები, მაზრები, ავტონომური მაზრები და ქალაქები. ქვედა დონედ მიიჩნევა თემი, დასახლება, ნაციონალური დასახლება და რაიონული ქალაქები.

ადგილობრივი მმართველობის ორგანოების სამართლებრივი სტატუსი განსაზღვრულია კონსტიტუციის 95-ე და 121-ე მუხლებით, ასევე 1982 წლის 10 დეკემბრის კანონით (ადგილობრივი კრებების ორგანიზაციის შესახებ) ადგილობრივი კრებების მოწვევის ხანგრძლივობა 3 წელია. დეპუტატები იკრიბებიან წელიწადში ერთჯერ, რიგგარეშე სხდომის მოწვევა შეიძლება დეპუტატთა 1/5 გადაწყვეტილებით.

სახალხო წარმომადგენელთა ადგილობრივი კრებების კომპეტენციაში შედის: შესაბამის ტერიტორიაზე კონსტიტუციის კანონების, პოლიტიკური გადაწყვეტილების, ბრძანებულების, დადგენილებების და შემდგომი სახალხო წარმომადგენელთა ყრილობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა. კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულში სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების უზრუნველყოფა, ბიუჯეტის შესრულების და ხარჯების ანგარიშის წარდგენა, სხვადასხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ორგანოთა ფორმირება, სოციალისტური საკუთრების და კანონიერების, ადამიანის უფლებებისა და თავისებურებების დაცვა.

ადგილობრივი კრებების ბაზაზე იქმნება მუდმივმოქმედი კომიტეტები, რომლებიც ანგარიშვალდებული არიან მის წინაშე.

<sup>1</sup> China actucell. 1998. M. p. 56



ადგილებზე აღმასრულებელ ორგანოებს წარმოადგენენ ადგილობრივი სახალხო მთავრობები, რომლებიც ცენტრალური ორგანოების დაქვემდებარებაში იმყოფებიან, რაც გამოიხატება, ერთის მხრივ, ადგილობრივ კრებებთან და ზემდგომ ხელისუფლებასთან მიმართებაში.

ჩინეთში თავისი სპეციფიკით ხასიათდება ადმინისტრაციული ავტონომია, რადგანაც ნაციონალური უმცირესობის კომპაქტური დასახლებანი, როგორიცაა იუგურები, ტიბეტელები, უჩანიები, სუკინები, მაჯურიელები, მონლოლები და სხვები უფლებამოსილი არიან ქონდეთ სამი სახის ავტონომიური წარმონაქმნი: ავტონომიური რაიონი, ავტონომიური მხარე და ავტონომიური მაზრა. ჩინეთში არის ხუთი ავტონომიური რაიონი, 30 ავტონომიური მხარე და 124 ავტონომიური მაზრა. ავტონომიური წარმონაქმნები არის უნიტარული ფორმის შემადგენელი ნაწილი. ადგილობრივი ავტონომიები შესაბამისი უწყებებით წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. ადგილობრივი ავტონომიების სტრუქტურული დანაყოფები წარმოადგენენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. მათ სტატუსს განსაზღვრავს ჩინეთის კონსტიტუციის VI განყოფილების III თავი „ავტონომიური ერთეულების თვითმმართველობის ორგანიზაცია“, რომლებსაც პოლიტიკური და იდეოლოგიური დატვირთვა გააჩნია და ემსახურება ქვეყნის ერთიანობასა და მთლიანობას. ავტონომიებს ეძლევათ უფლება გამოსცენ ნორმატიული აქტები, გამომდინარე მათი სამართლებრივი სტატუსებიდან. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური ხელისუფლების მიერ შეთავაზებული ინსრუქტურები და დებულებები არ შეესაბამება ავტონომიების რეალურ პირობებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ მათი შეჩერება, ან ცვლილებების შეტანა (ცენტრთან შეთანხმებით).

ავტონომიები, გამომდინარე სახელმწიფოს გეგმებიდან, დამოუკიდებლად ეწევიან თავიანთ ეკონიმიკურ პოლიტიკას, განკარგავენ საკუთარ ფინანსებს. რაც შეეხება საგანმანათლებლო და სოციალურ სფეროებს. მათ კომპაქტენციაში შედის: სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაცია, სამეცნიერო-კულტურულ სფეროებში დამოუკიდებელი საქმიანობა. იცავენ ეროვნული კულტურის ძეგლებს და სხვა ლირებულებებს, ზრუნავენ მათ შემდგომ განვითარებაზე.

რაც შეეხება უშუალოდ ადგილობრივ თვითმმართველობას, იგი მოწესრიგებულია კონსტიტუციით. 111-ე მუხლში აღნიშნულია, რომ ყველაზე მასიური ორგანო ადგილობრივი თვითმმართველობით უზრუნველსაყოფად არის მოსახლეობის საქალაქო და სასოფლო კომიტეტები, რომელიც იქმნება ადგილებზე მცხოვრებთა მიერ. ამ კომიტეტების დახმარებით მოსახლეობა ახორციელებს „ადგილობრივ თვითმმართველობას, თვითაღზრდას და თვითმსახურებას“. ჩინეთში ადგილობრივი საზოგადოებრივი თვითმმართველობის სისტემა ითვლება პოლიტიკური რეფორმების მნიშვნელოვან მიღწევად.

კომიტეტების მუშაობა წარიმართება ორი მნიშვნელოვანი მიმართულებით:

1. თვითმმართველობის მიერ დასახული მიზნების განხორციელება, რაც ნიშნავს ყველა საკითხის გადაწყვეტას, ეხება ქალაქისა თუ სოფლის პრობლემებს. მოსახლეობას შორის სამოქალაქო დავების მოწესრიგებას. კონსტიტუციისა და კანონების პროპაგანდას, მოსახლეობის აღზრდას საზოგადოებრივი საკუთრების პრიორიტეტის გათვალისწინებით და სოციალისტური იდეებით გამსჭვალული სულიერი კულტურის შენარჩუნებით.

2. ადმინისტრაციული საქმიანობის მიმართულებით: აღსანიშნავია ხელისუფლების წარმომადგენელთა დახმარება. ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის გატარებაში ადგილებზე, ცენტრალური ხელისუფლების ნაწილობრივი პოზიციის შესრულება ადმინისტრირების სფეროში. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მარცვლეულის შესყიდვა, არმიაში გაწევა, კომპანიის ხელშეწყობა, ბავშვთა შობადობის დაგეგმარება. კოლექტიური მიწათსარგებლობის მართვა, უსახსროთა დახმარება, სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლა. ე. ი. მოქმედებს ფორმულა „ხალხი არის ყველაფრის გამგებელი“. კომიტეტის შემადგენლობაში შედიან: თავმჯდომარე და მისი მოადგილები, 3-დან 7-მდე ხალხის მიერ არჩეული წევრები სამი წლის ვადით. ქალაქის თუ სოფლის კომიტეტები ქმნიან მიღებულ კომისიებს, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანდაცვის, ეკოლოგიის და სხვა სფეროების მიხედვით კომისიები დაკავებული არიან საზოგადოებრივი საქმიანობით, აგვარებენ ადგილებზე დავებს, ეხმარებიან წესრიგის დამცველებს, აგროვებენ ინფორმაციებს თუ რა სურს ხელისუფლებისაგან ადგილობრივ მცხოვრებლებს და ა. შ.

## ჩინეთის სამართლის სისტემა

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამართლის სისტემა ატარებს განსაკუთრებულ ხასიათს. იგი არის ძველი ტრადიციული სამართლისა და თანამედროვე კანონმდებლობის შენაერთი, რომელიც ჩამოყალიბდა სოციალური სულისკვეთებით, ჩინური სპეციფიკით და რომანულ-გერმანული პრინციპებით.

ძველი ჩინური სამართლებრივი კულტურისათვის დამახასიათებელია ტრადიციული მორალური ნორმების უპირატესობა სამართლის ნორმებთან მიმართებაში. ასეთი მიდგომები სათავეს იღებს კონფუციანულთა მოძღვრებიდან, რომელიც იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა და ჩინეთის სახელმწიფო ხელისუფლებისათვის მოყოლებული უძველესი დროიდან.

ჩინეთი მრავალი საუკუნის მანძილზე არ იცნობდა ოფიციალურ იურიდიულ პროფესიას. სასამართლო ფუნქციებს ადმინისტრატორები ასრულებდნენ, რომლებმაც, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ ოფიციალური სასამართლო და ხელმძღვანელობდნენ იმ ადამიანთა რჩევებით, რომლებიც ცნობილი გვარების მემკვიდრეები იყვნენ და ეკუთვნოდნენ ჩინოვნიკების წრეს. აქედან გამომდინარე არ არსებობდა არც ერთი იურისტის სამართლებრივი დოქტრინა.

მიუხედავად ამისა, ჩინეთში არსებობდა სხვა მიდგომები სამართალთან. ჩვენს წელთაღრიცხვამდე III საუკუნეში ჩამოყალიბდა ლეგისტების სკოლა, რომელმაც შეიმუშავა ხელისუფლების კონცეფცია, რომლის მიხედვით, ხალხს უნდა მართავდნენ კეთილშობილი და კანონმორჩილი ადამიანები. ლეგისტების შეხედულებები ჩამოყალიბებულია ხან ვეიძის ტრაქტატში, სადაც ლეგისტები თვლიან, რომ საჭიროა მუდმივმოქმედი კანონები, რომელიც მმართველმა ზედმინევნით კარგად უნდა იცოდეს და ხელქვეითები კი ასრულებდნენ მათ.

206 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ხანის დინასტიის დროს აღსდგა კონფუციანულთა სკოლა და მოძღვრება, რომელმაც დიდხანს იარსება ჩინურ მოძღვრებათა ისტორიში. მათ შემდგომში ჩამოყალიბებს ადმინისტრაციული ნორმები, რომლებიც ასევე შეიცავდნენ სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის ნორმებს.

1644-1911 წლების მანძილზე ცინის დინასტიის მმართველობის ეპოქაში შეიქმნა ორი სისტემატიზირებული კანონთა კრებული. ერთი ეხებოდა ადმინისტრაციულ სამართალს, მეორე სისხლის, სამოქალაქო და საოჯახო სამართალს. ამ კოდექსების ძირითადი მუხლები მოქმედებდნენ XX საუკუნის დასაწყისამდე.

სინხაის ცნობილი 1911 წლის რევოლუციით ჩინეთში დაიწყო ტრადიციული სამართლის მოდერნიზაცია. რესპუბლიკის ჩამოყალიბების შემდეგ უზარმაზარი სამუშაო შესრულდა თანამედროვე კოდექსების შექმნის თვალსაზრისით. 1912 წელს მიღებულ იქნა პირველი სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც შეივსო 1928 წელს. 1929-1931 წლებში შეიქმნა სამოქალაქო სამართლის მატერიალური და პროცესუალური კოდექსები. 1930 წელს მიწის კოდექსი. აღნიშნული საკანონმდებლო აქტებით ჩინეთში დაიწყო ევროპული სამართლის ჩამოყალიბება და იგი შევიდა რომანულ-გერმანული სამართლის ოჯახში, თუმცა მაინც ინარჩუნებდა ტრადიციულ ხასიათს.

1925-1949 წლებში ჩინეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის პერიოდში მომდლავრდა და გაიმარჯვა კომუნისტურმა პარტიამ მათ ძელუნის ხელმძღვანელობით. 1949 წლის პირველი ოქტომბრიდან ჩინეთი ინოდება სახალხო რესპუბლიკად, იმთავითვე გაუქმებულ იქნა ყველა ნორმატიული აქტი და ჩინეთში დაიწყო საბჭოთა კანონმდებლობის რეცეფცია. 1950-1951 წლებში გამოიცა კანონები, ქორწინების, პროფესიული კავშირების, აგრარული საკითხების, სასამართლოების ორგანიზაციის და ა.შ.

ჩინეთში, სამართლის სფეროში სერიოზული რეფორმები დაიწყო 1979 წლიდან, რომელიც დღესაც გრძელდება პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების პარალელურად მათი სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი დღესაც სოციალისტური ქვეყანაა, საზოგადოებრივ საკუთრებასთან ერთად უშვებს კერძო საკუთრებას, საბაზრო ეკონომიკა უკვე დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ცხოვრებაში.<sup>1</sup> ჩინეთი მაინც რჩება ერთპარტიულ სახელმწიფოდ და საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ექვემდებარება პარტიულ კონტროლს. აქედან გა-

<sup>1</sup> Гудошников Л.М., Кокарев К.П. Реформа государственного аппарата КНР. М. 2000. стр. 433-435



მომდინარე: 1. ჩინეთის კომპარტია ადგენს „დღის წერიგს“, რადგანაც ყველა წარმომადგენ-ლობით ორგანოს 80% პარტიის წევრია. 2. ჩინეთის კომპარტია ატარებს საკადრო პოლიტიკას, ყველა ხელმძღვანელ თანამდებობაზე ინიშნება კომუნისტი. 3. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ლიდერებს უფლება აქვს ვეტო დაადოს არასასურველ ნორმატიულ აქტებს. ამას უწოდებენ პარტიულ „მცირე მენეჯმენტულ“ საქმიანობას. 4. ჩინეთის პოლიტიკურ სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია „ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას“, სადაც შედის: საზღვაო, საჰაერო და სახმელეთო ძალები. 5. ნომენკლატურული სისტემა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა კომპარტიის საქმიანობაში, რომელთა მეშვეობით კონტროლს ახორციელებს ქვეყნის მასშტაბით ყველა მოსამსახურებე. ამ სისტემაში 8-მილიონამდე ადამიანია დასაქმებული. 6. პარტიის წევრობა, როგორც ხელისუფლების მორჩილების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. 7. სტრუქტურული განსხვავება, რაც ემსახურება ორგელისუფლებიანობის შენიდბვას, რათა აშკარა არ იყოს პარალელური ორგანოები ერთსა და იმავე სფეროში, იგულისხმება სახელისუფლო სტრუქტურებთან ერთად პარტიული ორგანოები, რაც თავის დროზე ახასიათებდა საბჭოთა კავშირის მმართველობის სისტემას.

და ბოლოს, შეიძლება ასეთი დასკვნების გაკეთება, განსხვავებით სსრ კავშირისაგან ჩინეთის ხელისუფლებას (კომ. პარტიის) აღმოაჩნდა იდეებისადმი მეტი ერთგულება და ამავე დროს ეპოქასთან მიმართებაში ადაპტაციის უნარი, რითაც ავტორიტეტი შეინარჩუნა საზოგადოებაში. ფორმები კი კარგად შეუხამა კერძო საკუთრებასა და საბაზრო ეკონომიკას. ქვეყანა აგრძელებს მმართველობის ერთპარტიულ პოლიტიკას. ამავე დროს თავისი ადგილი დაიმკვიდრა მსოფლიოს „ეკონომიკურ გეოგრაფიაში“, რამაც გარკვეული ასახვა პპოვა ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის ძიებაში და ალბათ, ჩინეთში მიმდინარე რეფორმები გარკვეულ კორექტივებს შეიტანს მმართველობის დეცენტრალიზებისაკენ ორიენტაციის გზაზე.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Constitution of the people's Republic of Chinor Beijing, 2008
2. Китай на пути модернизации и реформ (под. ред. М.Л. Титаренко) М. 1999
3. ზ. ჩერნილოვსკი, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია, ტ. II. М. 2005
4. China actucell. 1998. М. 7. p. 56
5. Гудошников Л.М., Кокарев К.П. Реформа государственного аппарата КНР. М. 2000
6. დ. ლობუანიძე, გ. ლობუანიძე, მსოფლიო წესრიგი და საერთაშორისო სამართლებრივი სისტემები, თბ. 2007

## გივი ლობჟანიძე

### მმართველობა და თვითმმართველობა ჩინეთში (სამართლებრივი ასპექტები)

#### რეზიუმე

წარმოდგენილ ნაშრომში ავტორი დეტალურად გადმოგვცემს ჩინეთის მმართველობასა და თვითმმართველობას, რომელიც დაფუძვნებულია ეროვნულ თავისებურებებზე. განხილულია სახელმწიფოს სამთავრობო სისტემა თავისი სამინისტროებითა და კომიტეტებით. ავტორი ნათლად ასახავს იმ გარემოებას თუ რა დიდი ყურადღება ეთმობა მეცნიერთა მხრიდან ჩინეთის სამართლებრივი ორგანოს სუსტი მხარეების ანალიზს.

მოცემული პუბლიკაცია ნათლად ასახავს ჩინეთის სამართლის სისტემას, რომელიც წარმოადგენს ძველი ტრადიციული სამართლისა და თანამედროვე კანონმდებლობის ნაზავს. ძველად, სასამართლოს ფუნქციებს ითავსებდნენ ადმინისტრატორები, რომელთაც არანაირი წარმოდგენა არ გააჩნდათ სამართალზე, მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, სწორედ ეს ცვლილებები მკაფიოდა ასახული მოცემულ ნაშრომში.

**Givi Lobzhanidze**

### GOVERNMENT AND SELF-GOVERNMENT IN CHINA (LEGISLATIVE ASPECTS)

#### Abstract

The author discusses government and self-government in China based on the national peculiarities. Here is shown the whole government system of state with its ministries and committees. According to the author scientists pay special attention to the negative and weak sides of China's legislative organ.

The publication clearly reflects the system of law in China. It is a mix of the old traditional law and the modern legislation. In the old times the functions of court were given to the administrators, who knew nothing about law. Since that time, many things have changed and all these changes are discussed in the given article by the author.





## შეგები ფიცელაური

### მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ამოღების უნივერსალური სამართლო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალური კომპიუტერული სამართლების შემთხვევა

დანაშაულთა გამოძიებაში უშუალო წარმატების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორებია მის განმახორციელებელ პირთა მაღალი კვალიფიკაცია და კრიმინალისტიკური ტექნიკის საკმაოდ ფართო და ოსტატური გამოყენება.

საგამოძიებო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ გამოძიებაში შედეგის ეფექტიანად მიღწევა ზოგჯერ მუხრუჭდება, ხოლო ზოგჯერ ძალზე გაძნელებულია სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებათა არასრულყოფილების შედეგად, რომლებსაც იყენებენ გამომძიებელი და სპეციალისტი, აგრეთვე ორგანიზაციულ-მეთოდიკური ხასიათის ნაკლოვანებებისა და კრიმინალისტიკური ტაქტიკის რეკომენდაციების უგულებელყოფის გამო.

მნიშვნელოვანია ალინიშნოს, რომ ამ საკითხის გადასაწყვეტად თეორიული დასაბუთება და კონკრეტული პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გაკეთებულია. სპეციალურ ლიტერატურაში მუდმივად აისახება საერთო და კერძო ხასიათის საინტერესო წინადადებები, რომლებიც შემდგომში, პრაქტიკაში დანერგვის შემთხვევაში, უპირობოდ, შეასრულებენ დადებით როლს მტკიცებულებათა გამოვლენის, ფიქსაციისა და გამოკვლევის ეფექტიანი კონკრეტული მეთოდიკების შემუშავებაში.

შემოთავაზებულ საშუალებებსა და მეთოდიკებზე არ შევჩერდებით, ყურადღებას გავა-მახვილებთ მხოლოდ წინასწარ გამოძიებაში სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების ორგანიზაციულ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მტკიცებულებითი ხასიათის ინფორმაციის მოპოვებისა და გამოკვლევის ეფექტიანობის ამაღლებას.

პირველი მიმართულება მდგომარეობს სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა ნაერთის სრულყოფაში, რომლებიც თავმოყრილია საგამოძიებო პორტფელში და მათი კომპლექსის მაქ-სიმალურად შესატყვისობაში წაყენებულ მოთხოვნებთან. ამგვარი ნაერთების მთავარი ნაკლოვანება, მათ შორის პროექტორ-კრიმინალისტის ჩემოდნისა, მდგომარეობს იმაში, რომ მათ არ გააჩნიათ სინათლის ფილტრების კომპლექტი. ამასთან, დოკუმენტებისა და სხვა ობიექტების სინათლის ფილტრის გამოყენებით დათვალიერება უკვე დიდი ხანია რეკომენდებულია.

პირველ ხანებში შეიძლება რეკომენდებულ იქნეს ფოტოგრაფიული სინათლის ფილტრების შერჩევა, რომლებიც გამოიყენება აღმძეჭდავ ფოტოგრაფიაში, კერძოდ: KC-1, KC-10, OC-12, JC-12, JC-17, JC-18, JC3C-5, CC-1, CC-4, FC-1, PC-9 (ფილტრის მარკის პირველი ასო აღნიშნავს ობიექტისაგან ანარეკლი სინათლის გატარების ფერის ზონას, სახელდობრ, წითელი, ნარიჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი, ისფერი, მენამული, მეორე ასო - სინათლის ფილტრის მასალას, კერძოდ, შუშას). განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნივთიერი მტკიცებულებების გამოკვლევის მარტივი ხერხები ლურჯ და წითელ სხივებში, ისინი ცნობილ ხარისხში ცვლიან უხილავ სხივებში გამოკვლევებს, რომლებიც გამოირჩევიან სირთულითა და მრავალი უხერხულობით გამომძიებლის ლაბორატორიის გამოყენების პირობებში. მიუხედავად შესაძლებლობების არსებობისა, მტკიცებულებათა გამოკვლევა სინათლის ფილტრების დახმარებით გამომძიებლთა მიერ იშვიათად გამოიყენება, ისევე როგორც სხვა ეფექტური საშუალებები. ამაზე მიუთითებს გამომძიებელთა ანკეტირება და სისხლის სამართლის საქმეთა შესწავლა.

ამასთანავე, სინათლის ფილტრის დახმარებით ფერების დაყოფის მეთოდის სიმარტივე და ეფექტიანობა მოითხოვს, რომ გამომძიებლის მიერ ნივთიერ მტკიცებულებათა ყოველი დათვალიერების დროს არ იქნეს იგი გამოყენებული, განსაკუთრებით დოკუმენტების დათვალიერებისას, ვინაიდან ხშირად მათზე შეიძლება არსებობდეს ისეთი კვლები და ნიშნები, რომლებიც არ განსხვავდებიან ფერის კონტრასტული ფონისაგნ. გარდა ამისა, დოკუმენტებში ცვლილებები შეიტანება, როგორც წესი, საღებავით, რომელიც გარეგნულად არ განსხვავდება იმ საღებავისა-გან, რომლითაც შესრულებულია დოკუმენტის ნამდვილი პირი.

ნივთმტკიცებების, განსაკუთრებით დოკუმენტების დათვალიერებისას, მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას განათების სხვადასხვა სახე, რაც გამომძიებელის ლაბორატორიის პირობებში სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ თუ საჭირო შეიქმნა გამოკვლევა განათების სახეებისა და სინათლის სპეცირული შემადგენლობის თანმიმდევრული შეცვლით (სახელდობრ, ყველაზე მე-

ტად მიზანშეწონილია ნივთმტკიცებათა გამოკვლევა), მაშინ ასეთი მუშაობა აღმოჩნდება მეტად შრომატევადი და ხანგრძლივი.

ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი გამოსავალია: აუცილებელად უნდა შეიქმნას უნივერსა-ლური ხელსაწყო, რომელიც საშუალებას მოგვცემს თანმიმდევრულად გამოვიკვლიოთ ობიექტი განათების ცვალებად პირობებში. ეს იდეა ხორციელდებოდა 1969 წელს, მაგრამ ფინანსური და ორგანიზაციული უთანხმოების გამო მან ვერ პოვა ყოველდღიურ პრაქტიკაში დანერგვა. კიეველმა კრიმინალისტებმა დაამზადეს უნივერსალური წრიული გამნათებელი ხელ-საწყო (УКОП) ნივთიერ მტკიცებულებათა დათვალიერებისა და ფოტოგრაფირების დროს კონ-ტრასტების შესაცვლელად.

ხელსაწყო წარმოადგენს რვარგოლიან ჭიქას შიგნითა დიამეტრით 300 მმ, გამნათებლები განლაგებულია ბლოკებზე ორ იარუსად. გამბნევი შუშები საჭიროების შემთხვევაში შეიძლება შეიცვალოს სინათლის ფილტრებით, მათ შორის ინფრანითელით და ულტრაისფერით. უკანას-კნელ შემთხვევაში დამატებით პატრონებში ჩაიდება ნათურები „УФО“. ხელსაწყო რამდენიმე რეჟიმში მუშაობს, რომლებიც უზრუნველყოფენ პრაქტიკულად შეუზღუდავ შესაძლებლობებს განათების პირობების შერჩევაში. პულტიდან შეიძლება ორივე იარუსის ჩართვა, ორივე იარუ-სიდან ნახევრის ჩართვა, ასევე ნებისმიერი იარუსიდან ნახევრის ჩართვა. გარდა ამისა, ყოველ ნათურას აქვს ავტონომიური ჩართვა. ამრიგად, შესაძლებელია გვერდით, ცერადმიმართული, გამვლელი, წრიული, ვერტიკალური განათება სხვადასხვა კომბინაციაში და სხვადასხვა სპექ-ტრული შემადგენლობით.

„УКОП“-ის ტიპის ხელსაწყოს უპირატესობა ეჭვს არ იწვევს აგრეთვე სხვადასხვა პირო-ბებში თითოს კვლების გამოვლენისა და ფოტოგრაფირებისას, მაგრამ გარკვეული სიძნელეები და უხერხულობა იქმნება თითებისა და ხელისგულების უხილავი და სუსტად ხილული ანაბეჭდე-ბის გამოვლენისა და ფიქსაციის დროს.

გრაფიტისა და არგენტინორატის ფხვნილების, აგრეთვე ცალკეული შემთხვევებისათვის რეკომენდებული სხვადასხვა უანგისა და შეღებილი შენაერთების, მათ შორის მაგნიტური ფუნ-ჯის გამოყენებისას გამოძიების პირობებში იქმნება ორგანიზაციული და ტექნიკური სიძნელეე-ბი. ხელის კვლების იოდის ორთელით გამოვლინების რეკომენდებული ხერხი, რომელსაც გარ-კვეული ტექნიკური ეფექტი აქვს, კიდევ უფრო აფართოვებს გამომძიელის სამეცნიერო-ტექნი-კური საშუალებების არსენალს.

მდგომარეობა კიდევ უფრო რთული ხდება, როდესაც დათვალიერების დროს ვხვდებით ხელის თითების ძველ კვლებს. ასეთი კვლების დამუშავებისათვის შემოთავაზებული აზოტმჟა-ვა ვერცხლი ან ნინჭიდრინი მოითხოვს გამოყენების სპეციალურ და არამარტივ ტექნოლოგიებს. ეს კი გამომძიებლის ტექნიკურ საშუალებათა ნაერთს აქცევს ვეებერთელად და ტლანქად. ამ აზრით, არ შეიძლება მივიჩნიოთ სასარგებლოდ შერჩევით (და აუცილებლობით) ფლეიცისებუ-რი ან მაგნიტური ფუნჯის გამოყენება კვლების დასამუშავებლად. ამ მიმართულებით გამოიყე-ნება მუქი და გამჭირვალე დაქტილოფირები, რაც, სამწუხაროდ, უკანასკნელ დროს საკმაოდ დეფიციტური გახდა საქართველოში.

მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში შეიძლება მივაღწიოთ საშუალებებისა და ხერხების შემდგომ სრულყოფასა და უნივერსალობას. როგორც ერთ-ერთი ვარიანტი, შეიძ-ლება შეთავაზებული იქნეს მრავალმიზნობრივი მაგნიტური ფხვნილები, რომლებმაც უკანას-კნელ პერიოდში უკრაინისა და საქართველოს საგამოძიებო პრაქტიკის შემოწმება გაიარეს, სახელდობრ: (1) ნარევი - მაგნიტური ფხვნილის, რომელმაც მიიღო სახელწოდება „მა-ლაქიტი“, აეროსილის ( $SiO_2$ ), ტყვიის უანგის, იოდის ფხვნილის; და (2) ნარევი - „მალაქიტი“-სა და ყვითელ-მწვანე ლუმინალისა. მეორე ფხვნილი ახდენს ლუმინესცირებას ულტრაისფერ სხი-ვებში.

ეს ფხვნილები (ისინი მხოლოდ ორია) ერთი მაგნიტური ფუნჯის დახმარებით საშუალებას იძლევა გამოვლინდეს და დაფიქსირდეს ხელის კვლები, მათ შორის საკმაოდ ძველი, ქალალდზე, მუყაოზე, გარანდულ ან შეღებილ ხეზე, კედლებზე, კირით ან ცარცით დაფარულ, აგრეთვე ფე-რად კვლისმატარებლებზე.

ყურადღებას იქცევს ხელის კვლების ასლების გადაღებისათვის ფხვნილებით შეღებილი წებვადი ლენტის გამოყენების შესაძლებლობა, რომელსაც უშვებს გაერთიანება „სვერა“ რულო-ნებში ზოლის სიფართით 12, 19, 38, 60 და 96 სანტიმეტრი. ამ ხერხის უპირატესობა მდგომარე-



ობს, ჯერ ერთი, მის არადეფუციტურობაში, მეორეც, მწებავი ფენის მაღალი მწებვარება უზრუნველყოფს მასზე ფხვნილის უწვრილესი ნაწილაკების გადატანას, რომლებითაც დამუშავებულია კვალი, რაც ყოველთვის არ ხდება ხოლმე დაქტილოფირზე გადატანისას და მესამე, მოცემული ხერხის მთავარი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ დაქტილოსკოპიური ფირის მაღალი ელასტიკურობა უზრუნველყოფს კვლების გადატანას რელიეფური ზედაპირიდან.

საგამოძიებო პრაქტიკაში ნივთიერი მტკიცებულებების დათვალიერების წარმოების, აგრეთვე მათი და მთლიანად გარემოების გამოყვლევისას, ზოგჯერ წარმოიშობა იმის საჭიროება, რომ შესწავლილ იქნეს ობიექტის უბანი, რომელიც ძნელად მისადგომ ადგილზეა. შემოთავაზებული ხერხი სარკის დახმარებით დათვალიერებისა და ფოტოგრაფირების ჩატარების შესახებ ძალზე შეზღუდულ შესაძლებლობებს იძლევა და ტექნიკურად მოუხერხებელია.

თავის დროზე გვთავაზობდნენ სინათლისგამტარების გამოყენების ხერხს, რომლებიც დამზადებული იყო შუშის ან პლეკიგლასისაგან მიღების, სოლების, პრიზმების სახით. მაგრამ ამ შემოთავაზებულ მეთოდებს შეზღუდული გამოყენება აქვთ და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საჭიროებენ სპეციალურ მომზადებას, მაგალითად, სინათლისგამყვანის დაბოლოებისათვის საჭირო ფორმების მიცემას, რაც შესაძლებელია სტაციონალურ ლაბორატორიის პირობებში.

უნივერსალური სამარჯვის შექმნისათვის, რომელიც მოგვცემს ობიექტის ძნელად მისადგომი უბნების დათვალიერების, გამოკვლევისა და ფოტოგადაღების შესაძლებლობას, საგამოძიებო და საექსპერტო პრაქტიკაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ოპტიკური შუშის ბოჭკო. სამარჯვი შეიძლება დამზადდეს საჭიროების მიხედვით ხებისმიერი დიამეტრის, იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა რაოდენობის ბოჭკოები იქნა აღებული. სინათლის სხივი შუშის ბოჭკოში ვრცელდება ნებისმიერი ხვეულის (გაღუნვის) მიხედვით. გამტარის „ტორცოვანი“ უბნები იხეხება და გაპრიალდება, რითაც იქმნება თავისებური ეკრანი. თუ გადამცემ ეკრანს მივუახლოებთ განათებული ობიექტის გამოსაკვლევ უბანს ერთ მილიმეტრამდე, მაშინ მიმღებ ეკრანზე კარგად გამოჩნდება მოცემული უბნის პირდაპირი გამოსახულება ნატურალურ ფერებში.

ძნელად მისადგომი გაუნათებელი უბნების გამოკვლევა ინარმოება ასეთივე გამტარით, რომელზეც დაამაგრებენ უფრო პატარა დიამეტრის სინათლის ბოჭკოებს, ისინი გამოყვანილ იქნება ძირითადი გამტარის ერთი მხრიდან გადამცემი ეკრანის სიბრტყეში, ხოლო მეორე მხრიდან - შეერთებული ერთიანად, მიმღები ეკრანის ზემოდან რამდენიმე სანტიმეტრით და ოდნავ გვერდზე (რათა ხელი არ შეუძლოს დაკვირვებას). ამ დამატებით პატარა ეკრანში წარმართული იქნება ნორმალური ფანჯრის ჩვეულებრივი ნათურის სინათლის სხივი, რომელიც სავსებით საკმარისია გამოსაკვლევი უბნის დათვალიერებისა და ფოტოგადაღებისათვის. სრულყოფასა და უნიფიკაციას საჭიროებს მიკრობიექტებთან მუშაობის ტექნიკური აღჭურვილობა და მეთოდიკა. განსაკუთრებული ადგილი აქ უჭირავს მეტად რთულ პროცესუალურ პრობლემას, რაც დაკავშირებულია მიკრობიექტების მტკიცების სფეროში შეტანასთან, მაგრამ ეს სცილდება ჩვენი გამოკვლევის ჩარჩოებს, ხოლო მოკლედ ამ საკითხის განხილვა შეუძლებელია. ტექნიკურ მიმართებაში კი გამომძიებლის კომპლექტი მომარაგებული უნდა იყოს პორტატიული ოპტიკური სამარჯვით, გეოლოგიური მიკროსკოპის ტიპის 50-მდე გამადიდებლით, რომელიც შედგება ავტონომიური ტუბუსისაგან ოკულიარითა და ობიექტივით, მოწყობილობისაგან მაგნიტური და ნებოვანი წვეტებით („ბუიკებით“), შეფუთვისათვის განკუთვნილი პაკეტებითა და ფლაკონებით. გარდა ამისა, პროკურორ-კრიმინალისტის ნაკრები და მოძრავი კრიმინალისტიკური ლაბორატორია მომარაგებული უნდა იყოს მცირეგაბარიტიანი მტვერსასრუტებით, სპეციალური ფილტრებით მიკრონანილაკების შესაგროვებლად.

მთელს მსოფლიოში კრიმინალისტები დაკავებული არიან სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების კომპლექტების შექმნისა და სრულყოფის საკითხებით. მათი გამოყენება შესაძლებელია საგამოძიებო და საძიებო მუშაობაში. საკმაოდ წარმატებული მცდელობებია იმ ინსტრუმენტების, მასალებისა და სამარჯვების შერჩევისათვის, რომლებიც ერთობლიობაში შეძლებენ უზრუნველყონ დამაჯერებელი მუშაობა შემთხვევის ადგილზე მტკიცებულებითი ინფორმაციის გამოვლენის, ფიქსაციის, დათვალიერებისა და გამოკვლევისათვის.

სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა ყველა ეს ნაკრები, თავმოყრილია საგამოძიებო ჩემოდანში, საგამოძიებო ჩანთებში, საგამოძიებო პორტფელებში და ძირითადად, აკმაყოფილებს საგამოძიებო პრაქტიკის მოთხოვნებს, მაგრამ, ამავე დროს, ყველა იმ ამოცანის გადაწყვეტა ვერ ხერხდება, რამდენადაც შეუძლებელია გათვალისწინებულ იქნეს სიტუაციების მთელი მრა-

ვალსახეობა, კვლევებისა და გარემოებათა ხასიათი. იმისაკენ მისწრაფებამ, რომ გათვალისწინებულ იქნეს ყველა შესაძლო ვარიანტი, სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა კომპლექტების ავტორებს უბიძგა იქითკენ, რომ შეეტანათ მათში ისეთი საშუალებები, რომლებიც შესაძლოა საჭირო გახდეს მხოლოდ ძალზე იშვიათ შემთხვევებში და აგრეთვე ისეთები, რომლებიც ადვილად შეიძლება შეცვლილ იქნეს ანდა შეივსოს ადგილზე. მაგალითად, სკოტლანდ-იარდის ჩემოდანში არის ხელსაწყო რუკაზე მანძილის გასაზომად, ორი ელექტროფანარი (დიდი და მცირე), სამედიცინო თერმომეტრი, კომპინეზონი, რეზინის ნინსაფარი, რეზინის ჩალიჩები, ხელბოკილები და ზოგიერთი სხვა საგნები, რომელიც იშვიათად გამოიყენება. ანალოგიური სურათი შეინიშნება აგრეთვე თანამეგობრობის დამოუკიდებელ სახელწიფოთა გამომძიებლების სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების დაკომპლექტებისას. 1967 წელს, გარდა საგამოძიებო ჩემოდნისა, პრაქტიკაში შეიქმნა სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების კომპლექტი პროცურორ-კრიმინალისტისათვის, კრიმინალისტიკური მოძრავი ლაბორატორია, სადაც შევიდა ინდუქციური ლითონსაძიებელი, მაგნიტური ტრალი, ოპტიკური სარკის ხელსაწყო ნაკლებად ხილვადი კვლების აღმოსაჩენად, ხელსაწყო სუნის ამოსაღებად, ნორმატიული ულტრაიისფერი გამნათებელი, ელექტრონულ-ოპტიკური გარდამქმნელი, გამნათებელი ხელსაწყო მონოქრომატული სინათლის ფილტრების ნაერთით.

სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა ამ კომპლექტის დახმარებითაც კი არ შეიძლება გადაწყვეტილ იქნეს ყველა ამოცანა, რომელიც წარმოიშობა შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და სხვა საგამოძიებო მოქმედებათა შესრულებისას, რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ ეს კომპლექტი, გარკვეული აზრით, უნიკალური, მეტად ძვირადღირებული და, საერთოდ, საკმაოდ დიდია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ყველა კომპლექტში არ შედის დიქტოფონი და პორტატიული ვიდეოკამერა, რომლებიც ძალზედ აუცილებელია ვერბალური ინფორმაციისა და დინამიკური საგამოძიებო მოქმედებების ფიქსაციისათვის – სწორედ იმ ინფორმაციისა, რომელიც ამ დრომდე პრაქტიკულად მოკლებულია აღბეჭდვის ობიექტურ ხერხებს. დიქტოფონს, როგორც ხმოვან „ჩასანერ წიგნაკს“, შეუძლია შეუფასებელი დახმარება გაუწიოს გამომძიებელს შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას, აქვე შემდგომში შეიძლება მომზადდეს ხარისხიანი დათვალიერების ოქმი.

ასევე მნიშვნელოვანია სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა კომპლექტების შექმნა და განვითარება, რომლებიც განთავსებული იქნება სპეციალურად აღჭურვილ ავტომობილებში. ასეთ ავტომობილებში (მიკროავტობუსებში) შეიძლება განთავსდეს (და ათავსებენ კიდევ) ყველაფერი, რაც საჭიროა მტკიცებულებითი ინფორმაციის წარმატებული აღმოჩენის, ფიქსაციისა და გამოკვლევისათვის, დაწყებული ინსტრუმენტებიდან და საკანცელარიო ნაერთებიდან, სპექტრის უხილავ სხივებში ობიექტებზე დაკვირვების ხელსაწყოებამდე, სინათლის ფილტრების, ხმისა და ვიდეოტექნიკის ნაერთებამდე, აგრეთვე ულტრამოკლეტალლიან რადიოსადგურამდე.

პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ ყოვლისმომცველ კომპლექტებს (პორტატიულებს, ჩემოდნებს, კრიმინალისტიკის მოძრავ ლაბორატორიებს) ღირსების მიუხედავად, აქვთ აგრეთვე ერთი მნიშვნელოვანი ნაკლი: კომპლექტები ძალზე დიდია, გააჩნია სასარგებლო მოქმედების დაბალი კოეფიციენტი, მოითხოვს დროისა და მოცულობის მიხედვით არცთუ მცირე პროფესიონალურ მოვლა-მომსახურებას. ამ მიზნით, მიზანშენონილია შეიქმნას სპეციალიზებული სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების კომპლექტები ზოგიერთი კატეგორიის დანაშაულთა გამოძიებისა და ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებათა შესრულების დროს გამოსაყენებლად.

ასეთი კომპლექტების უპირატესობა, ცხადია, თუკი, რა თქმა უნდა, ორგანიზაციული თვალსაზრისით, ისინი უნაკლოდ იქნება უზრუნველყოფილი. მაგალითად, ავტოსაგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის ადგილზე მუშაობისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს ფოტოგადაღება, მათ შორის – სტერეოსკოპიული და მეტრული, ასევე მასალები და მოწყობილობანი სატრანსპორტო საშუალებების მოცულობითი და ზედაპირული კვლების ფიქსაციისათვის (თაბაშირი, წებოვანი ლენტა, გახეხილი რეზინა და სხვ.), საზომ საშუალებათა ფართო ნაერთი (სახაზავი, საზომი („რულეტკა“), ტრანსპორტირი, მანომეტრი, დესელერომეტრი, ეკლიმეტრი), აგრეთვე სპეციალური აღმკვეთი და შემოლობვის ნიშნებისა და მოწყობილობების ნაკრები (საგზაო ნიშნები, ლენტები, ციმციმა, შუქამრეკლები) და ასევე დიქტოფონი.



კრიმინალისტებმა, რომლებიც ფეთქებადსაშიში საქმეების გამოძიებით არიან დაკავებული, შემოგვთავაზეს მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების სპეციალიზებული ნაკრები, რომელშიც ფოტონაერთის გარდა, მოათავსეს ლითონისაძიებელი, მაგნიტური ამწე, მიკროობიექტებთან მუშაობის ნაერთი, სათვალთვალო სარკე, ლუპა გამნათებლით, ინსტრუმენტების ნაკრები, დიქტოფონი და სხვ.

ანალოგიური ტიპის ნაკრები შეიძლება დავაკომპლექტოთ და გამოვიყენოთ პრაქტიკულად ყველა კატეგორიის დანაშაულთა გამოძიების დროს, რომელთაც ჩადენისას რჩება გარკვეული ტიპური მატერიალური ასახულობა.

ამრიგად, ე.ნ. „საველე“ კრიმინალისტიკის განვითარების მიზნით (სტაციონარულის, ლაბორატორიულისაგან განსხვავებით) შეიძლება ფორმულირებულ იქნეს ზოგიერთი მოთხოვნა. ამ საკითხზე მუშაობდა მრავალი კრიმინალისტი. მათი წინადადებების, მეცნიერულ-ტექნიკური საშუალებების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გაკავეთოთ დასკვნები და შევიტანოთ წინადადებები, კერძოდ:

1) საჭიროა შეიქმნას სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა უნივერსალური საბაზო ნაერთი, რომლებიც უზრუნველყოფენ მტკიცებულებითი ინფორმაციის აღმოჩენისა და ფიქსაციის საკმარის დონეს, საქმის კატეგორიისა და საგამოძიებო სიტუაციისაგან დამოუკიდებლად;

2) მაქსიმალური ძალისხმევა იქნეს გამოყენებული ადგილზე ნივთიერი წარმონაქმნების აღმოჩენისა და გამოკვლევის უნივერსალურ საშუალებათა შექმნისათვის, რომლებსაც აქვთ მრავალმიზნობრივი დანიშნულება და შეცვლიან ბევრ ერთმიზნობრივ საშუალებებს, მაგალითად, ზემოთ აღნერილი „УКОП“;

3) წარმოებულ იქნეს სპეციალიზებული ნაკრების დაკომპლექტება სხვადასხვა სახის კვლებისა და სხვა ნივთიერ მტკიცებულებებზე მუშაობისათვის, დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით;

4) შეიქმნას და პრაქტიკაში დაინერგოს ლაბორატორიული საველე კომპლექსები, განთავსდებული, ძირითადად, ავტომობილებში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ГНИДИН Н.Е., ЮРКИВ В.И. Сложные дактилоскопические порошки с улучшенными проявляющими свойствами//Криминалистика и судебная экспертиза, вып. 33 – Киев: Вища школа, 1986. – С. 68;
2. АНУФРИЕВ А.В. О применении скlevающей ленты для копирования следов пальцев рук. // Криминалистика и судебная экспертиза, вып. 28 – Киев: Вища школа, 1984. – С. 2;
3. Фотографические и Физические методы исследования вещественных доказательств. – М.5 Юриздат, 1962. – С. 261;
4. ფიცხელაური შ. – სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებების და სპეციალური ცოდნის გამოყენების პრობლემა გამოძიების პროცესში (თეორია და პრაქტიკა), გამ. „მერიდიანი“, 2005 წ. გვ. 139–149.

## შენგელი ფიცხელაური

**მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ამოღების უნივერსალური  
სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებებისა და სპეციალიზებული კომპლექტების შექმნა**

### რ ე ზ ი უ მ ე

წარმოდგენილი ნაშრომი შეეხება მტკიცებულებათა აღმოჩენისა და ამოღების სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს. საუბარია ასევე სპეციალიზებული კომპლექტების შექმნის პრობლემებზე და მათ დიდ მნიშვნელობაზე დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში. ყურადღებაა გამახვილებული საგამოძიებო მოქმედებებისას ზემოაღნიშნული საშუალებების გამოყენების ორგანიზაციულ საკითხებზე, რომელთა სწორი გადაწყვეტა მტკიცებულებითი მნიშვნელობის მქონე საგნების, ობიექტების, ინფორმაციის მოპოვებისა და გამოკვლევის ეფექტიანობის ნინაპირობას წარმოადგენს.

**Shengeli Pitskelauri**

**Creation of universal scientific and technical means and specialized packages  
for discovering and picking up the evidences**  
**Abstract**

The article deals with scientific and technical means of discovering and picking up the evidences. It also discussed the creation of specialized packages and their significance in fighting against the crime. The attention is focused at organizational issues of the application of the above mentioned means in investigation. Optimal decision of these organizational issues is the precondition for collecting and investigating the materials, objects and information having evidential value.





## რომან შეგებია, ეკატერინე შეგებია

### საერთაშორისო გვილერა – გამვილების საგართლებრივი საფუძვლები

ბავშვის შვილად აყვანა იურიდიული ფაქტია, რომელიც შვილად ამყვანსა და ნაშვილებს შორის წარმოშობს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობას, რაც ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორის არსებობს. შვილად აყვანის ინსტიტუტის ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ არას-რულწლოვანი პირებისათვის აღზრდისა და რჩენის ნორმალური პირობების შექმნა, რომლებიც დაობლდნენ ან მათ მშობლებს არ გააჩნიათ შვილების აღზრდისა და რჩენის ჩვეულებრივი პირობები (მშობლის უფლება-მოვალეობების ჩამორთმევა, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან ქმედუუნაროდ გამოცხადება, მძიმე მატერიალური და ოჯახური მდგომარეობა და სხვა). გამონაკლის შემთხვევებში შესაძლებელია სრულწლოვანის შვილად აყვანაც.

შვილად აყვანა არა მარტო ბავშვების ინტერესებს შეესაბამება, არამედ შვილად ამყვანთა მშობლიური გრძნობის გამოვლენისა და განხორციელების შესაძლებლობაცაა. შვილად აყვანა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იგი ბავშვის კეთილდღეობასა და ინტერესების დაცვას უზრუნველყოფს და მშვილებელსა და ნაშვილებს შორის მყარი და მუდმივი საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი გახდება.

მშობლებსა და შვილებს შორის სამართლებრივ ურთიერთობათა წარმოშობის სხვა საფუძვლებისაგან (ბავშვის დაბადება რეგისტრირებულ ქორნინებაში, მშობლების ნებაყოფლობითი და მამობის სასამართლო წესით დადგენა) განსხვავებით, შვილად აყვანას სისხლით წათესაობა არ უდევს საფუძვლად. მიუხედავად ამისა, მშვილებელსა და ნაშვილებს შორის წარმოშობა სისხლით ნათესაური კავშირის მსგავსი ურთიერთობები. მათ შორის იურიდიულად არავითარი სხვაობა არ არის. გარდა ამისა, უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა ე.წ. სისხლით ნათესაურ ურთიერთობებში მათი გამომრიცხავი ელემენტების შეჭრა. მაგალითად, როცა ბავშვი ჩნდება ხელოვნური განაყოფიერებით ან სუროგატული დედობის გამოყენების საფუძველზე, დედობა ან მამობა შეიძლება ალიარებულ იქნეს იმ პირის მიერ, რომელიც სინამდვილეში არ არის ბავშვის ბიოლოგიური მშობელი. ამავე დროს, თუ ბავშვის შვილება ხდება შედარებით ადრეულ ასაკში და ოჯახში მისი აღზრდისა და რჩენის ნორმალური პირობები არსებობს, მის მიმართ გამოყენებული მშობლიური ზრუნვა და სიყვარული სისხლით ნათესაური ურთიერთობის იდენტური ხდება.

ქართული კანონმდებლობით დეტალურადაა მოწესრიგებული ის საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც წარმოიშობა ქვეყნის შიგნით ბავშვის შვილად აყვანასთან დაკავშირებით, ძირითადი სამართლებრივი ბაზა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და სპეციალური კანონებია. განსაზღვრული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე კანონქვემდებარე აქტებსაც. რაც შეეხება საერთაშორისო შვილება – გაშვილებას, უკანასკნელ პერიოდში იგი სულ უფრო აქტუალური ხდება არა მარტო ცივილიზებული ქვეყნების უმრავლესობის, არამედ საქართველოსთვისაც. შესაბამისი საერთაშორისო კონვენციების ძირითადი დებულებებისა და ნორმების საქართველოში ამოქმედება და მათ საფუძველზე ეროვნული კანონმდებლობის სრულყოფა ჩვენი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ საკითხების მიმართ ყურადღების გამახვილება.

საქართველოდან ბავშვის უცხო ქვეყანაში გაშვილება, აგრეთვე უცხოელი ბავშვის საქართველოში შვილება შესაძლებელია იმ საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებისა და ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, რომლებიც საერთაშორისო გაშვილებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს სპეციალურად არეგულირებენ. ამ მხრივ აღსანიშნავია გაეროს 1989 წლის კონვენცია „ბავშვთა უფლებების შესახებ“ და თავისი 1993 წლის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“. საქართველო, მრავალი მოწინავე ქვეყნების მსგავსად, ორივე კონვენციასა მიერთებული. ამ კონვენციების ძირითადი დებულებები და რეკომენდაციები გათვალისწინებულია საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონში „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, რომლის 19-ე მუხლი ეძღვნება საერთაშორისო გაშვილებას. აღნიშნული კონვენციები საქართველოში საფუძვლად დაედო შესაბამისი კანონმდებლობის სრულყოფას. ამიტომ, ბუნებრივია, ამ კონვენციების ძირითადი ნორმების რეცეფცია

ქართულ სამართალში მის პროგრესულობასა და სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში წარმატებულ ინტეგრირებაზე მეტყველებს.

გაეროს კონვენციის 28-ე მუხლის მიხედვით, ბავშვის უცხო ქვეყანაში გაშვილება მიჩნეულ უნდა იქნეს როგორც მისი მოვლის ალტერნატიული საშუალება, თუ ბავშვი არ შეიძლება აღსაზრდელად გადაეცეს ან შეუერთდეს ოჯახს, რომელიც შეძლებდა უზრუნველეყო მისი აღზრდა ან შვილად აყვანა, აგრეთვე თუ ბავშვის დაბადების ქვეყანაში (წარმოშობის სახელმწიფო) მისი მოვლის რაიმე უზრუნველყოფა შეუძლებელია. სხვა ქვეყანაში (მიმღები სახელმწიფო) ბავშვის გაშვილების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთივე ნორმები და გარანტიები, როგორიც გამოიყენება ქვეყნის შიგნით შვილად აყვანის დროს. სხვა ქვეყანაში ბავშვის გაშვილებამ მასთან დაკავშირებულ პირებს არ უნდა მისცეს გაუმართლებელი ფინანსური შემოსავლები. სახელმწიფოებს შორის მიღწეული ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებების გზით უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სხვა ქვეყანაში შვილებასთან დაკავშირებული საკითხების კომპეტენტური ორგანოების მიერ გადაწყვეტა. ამავე კონვენციით განსაზღვრულია შვილად აყვანის საყოველთაოდ მიღებული პრინციპები.

რაც შეეხება ჰავაგის კონვენციას, იგი უფრო ფართოდ და დეტალურად არეგულირებს საერთაშორისო გაშვილების უმნიშვნელოვანეს საკითხებს. მის პირველივე მუხლში აღნიშნულია კონვენციის მიზნები. ესენია: გარანტიების შექმნა იმისათვის, რომ საერთაშორისო გაშვილება განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და საერთაშორისო სამართლით აღიარებული მისი ძირითადი უფლებების დაცვით; სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვთა მოტაცების, გაყიდვისა და ვაჭრობის აკილების გარანტიებს; შვილებასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულებების მოწინავე სახელმწიფოებში გაშვილების აღიარების უზრუნველყოფა კონვენციით მიღებული დებულებების შესაბამისად.

ჰავაგის კონვენციის მიხედვით, საერთაშორისო გაშვილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ წარმოშობის სახელმწიფოს კონპეტენტური ხელისუფლება დაადგენს, რომ ბავშვის გაშვილება შესაძლებელია, კერძო – შესაბამისი განხილვის შემდეგ განსაზღვრავს წარმოშობის სახელმწიფოში ბავშვის მოწყობის შესაძლებლობებს და მივა იმ დასკვნამდე, რომ საერთაშორისო გაშვილება პასუხობს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს; დარწმუნდება იმაში, რომ გაშვილებასთან დაკავშირებული პირები ინფორმირებული არიან იმის შესახებ, რომ ბავშვის გაშვილება გამოიწვევს ბავშვსა და მის ოჯახს შორის სამართლებრივი კავშირის შეწყვეტას; ბავშვის გაშვილებაზე არსებობს დაინტერესებული პირების წერილობითი თანხმობა, ასეთი თანხმობა არ იყო გაცემული გასამრჯელოს ან სხვა სახის რაიმე კომპესაციისთვის და არ იყო გამოთხოვილი უკან, დედის თანხმობა კი გაცემული იყო ბავშვის დაბადების შემდეგ; ბავშვი ინფორმირებულია გაშვილების შესახებ და მისგან მიღებულია თანხმობა იურიდიულად უხარვეზო წესების საფუძველზე.

საერთაშორისო გაშვილებისათვის აუცილებელია აგრეთვე მიმღები ქვეყნის კომპეტენტურმა ხელისუფლებამ განსაზღვროს – სავარაუდო მშვილებლებს აქვთ თუ არა შვილად აყვანის უფლება და შეეფერებიან ისინი თუ არა მშობლიურ უფლება-მოვალეობათა განხორციელებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს, აქვს თუ არა ბავშვს ამ სახელმწიფოში შესვლისა და ცხოვრების უფლება.

კონვენციის მიხედვით ხელშეკრულების მონაწილე ყოველი სახელმწიფო ნიშნავს ცენტრალურ ორგანოს, რომელსაც დაეკისრება საერთაშორისო გაშვილებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. თუ სახელმწიფოს ავტონომიური ერთეულები აქვს, შეუძლია რამდენიმე ასეთი ორგანო შექმნას. ცენტრალური ორგანოები ითანამშრომლებენ ერთად და ხელს შეუწყობენ თავიანთ სახელმწიფოებში ხელისუფლების საქმიანობას ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში. ისინი ერთმანეთს წარუდგენენ ინფორმაციებს თავიანთი ქვეყნების იმ კანონების შესახებ, რომლებიც შეეხება გაშვილების საკითხებს და აცნობებენ ერთმანეთს კონვენციის ამათუ იმ დებულების გამოყენების მხრივ წარმოშობილ დაბრკოლებებს. ცენტრალური ორგანოები აგროვებენ და ერთმანეთს უცვლიან ინფორმაციებს ბავშვის მდგომარეობისა და პერსპექტიული მშვილებლების შესახებ, რაც სავალდებულოა ბავშვის გაშვილების აქტის შესასრულებლად, ცდილობენ დააჩქარონ გაშვილების პროცედურა, გაშვილების შემდეგ ატარებენ კონსულტაციებს თავიანთ სახელმწიფოებში გაშვილების წესისა და არსებული დახმარებების სისტემის შესახებ, ერთმანეთს უზიარებენ საერთაშორისო გაშვილების სფეროში მიღებულ გამოცდილებას.



ჰაგის კონვენციით შესაძლებლად არის მიჩნეული ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების მიერ ისეთი კომპეტენტური დაწესებულების განსაზღვრა, რომელსაც შეეძლება მეორე სახელმწიფოში შეასრულოს საერთაშორისო გაშვილებასთან დაკავშირებული ფუნქციები ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის მიღწეული პირობებისა და უფლებამოსილებათა ფარგლების მიხედვით. ასეთ დაწესებულებებს აკრედიტებული ორგანოები ენოდება. მათ საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს კომპეტენტური ხელისუფლება.

პირები, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ერთ ხელშეკრულ სახელმწიფოში და სურთ იშვილონ მეორე სახელმწიფოში მუდმივად მცხოვრები ბავშვი, მიმართავენ თავის სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს მათი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამის შესახებ ინფორმაცია მიენოდება შესაბამისი სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს. თუ მიმღები სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო დარწმუნდება იმაში, რომ განმცხადებელს აქვს შვილად აყვანის უფლება და ამისათვის არის შესაფერისი კანდიდატურა, იგი ამზადებს მოხსენებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მისი პიროვნების, უფლებების, მშვილებლად შესაბამისობის შესახებ, ბიოგრაფიულ მონაცემებს, ოჯახის ისტორიას, ჯამრთელობის მდგომარეობის ცნობებს, სოციალური გარემოცვის სურათს, შვილად აყვანის მიზანს, საერთაშორისო გაშვილების შესაძლებლობებს, აგრძელვე ცნობებს იმ ბავშვის შესახებ, რომლის აყვანაც სურს და მასზე მზრუნველობას პირებს. ამის შემდეგ მსგავს საქმიანობას ახორციელებს წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო გასაშვილებელი ბავშვის შესახებ. მის მიერ მომზადებული მოხსენება, რომელშიც დაწვრილებითი ცნობებია მოცემული ბავშვის პიროვნების, მისი მდგომარების, ისტორიის, ეთნიკური, რელიგიური და კულტურული წარმომავლობის შესახებ, გადაეცემა მიმღები სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოს. მოხსენებით ბარათს თან უნდა დაერთოს გაშვილებაზე დადგენილი წესით მიღებული თანხმობის დამადასტურებელი ცნობები. მოხსენებაში მიეთითება იმის შესახებ, პასუხობს თუ არა გათვალისწინებული პროგრამა ბავშვის ინტერესებს.

წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ შესაძლებელია ნდობა საგარაუდო მშვილებლისადმი, შეიძლება მიღებული იქნეს იმ შემთხვევაში თუ ამ სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ უზრუნველყო მშვილებლის თანხმობის მიღება ბავშვის შვილად აყვანაზე; მიმღები სახელმწიფო დაეთანხმა წარმოშობის სახელმწიფოს ამგვარ გადაწყვეტილებას; ორივე სახელწიფოს ცენტრალური ორგანოები შეთახმდნენ იმის შესახებ, რომ გაშვილება შესაძლებელია; მიმღებმა სახელმწიფომ განსაზღვრა, რომ ბავშვს აქვს იქ შესვლისა და მუდმივად ცხოვრების უფლება (ამ უფლების მიღებაზე ზრუნავენ ორივე სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოები).

აღნიშნული პროცედურების განხორციელება ნიშნავს საერთაშორისო გაშვილებაზე შეთანხმების მიღწევას. ამის შემდეგ უნდა მოხდეს ბავშვის გადაცემა მიმღებ სახელმწიფოში. ორივე სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო უზრუნველყოფს ბავშვის უსაფრთხო გადაცემას შესაბამის პირობებში და თუ ეს შესაძლებელია, მშვილებლის თანხლებით. თუ ბავშვის გადაცემა არ განხორციელდება, მიმღები და წარმოშობის სახელმწიფოების ცენტრალური ორგანოების მიერ მომზადებული მოხსენებები უკან ბრუნდება. იმ შემთხვევაში, როცა ბავშვის გადაცემის შემდეგ მიმღებ სახელმწიფოში მოხდა მისი ხელახალი გაშვილება და ამ სახელმწიფოს ცენტრალურმა ორგანომ დაადგინა, რომ მშვილებლთან ცხოვრების დროს ადგილი ჰქონდა ბავშვის ინტერესების დარღვევას, იგი ჩამოართმევს ბავშვს მშვილებლებს და ახორციელებს მასზე დროებით მეურვეობას ან მზრუნველობას. წარმოშობის სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებთან კონსულტაციების შემდეგ შეეცდება ახალი გაშვილების მიზანშენონილობის საკითხის გარკვევას. თუ მშვილებლის ახალი კანდიდატურაც ვერ პასუხობს დადგენილ მოთხოვნებს, მაშინ ბავშვზე მუდმივ მეურვეობას ან მზრუნველობას ახორციელებს ცენტრალური ორგანო მანამდე, ვიდრე არ იქნება მიღებული თანხმობა გაშვილებაზე წარმოშობის სახელმწიფოდან. ასეთი თანხმობის მიუღებლობის შემთხვევაში, მიმღები სახელმწიფოს ცენტრალური ორგანო მოვალეობის უკეთებს ბავშვის დაბრუნებას მისი ინტერესების გათვალისწინებით.

ჰაგის კონვენცია არ ეხება წარმოშობის სახელმწიფოს ნებისმიერ კანონს, რომელიც მოითხოვს, რომ ამ ქვეყანაში მუდმივად მცხოვრები ბავშვის გაშვილება უნდა მოხდეს ამავე სახელმწიფოში ან კრძალავს ბავშვის გაგზავნას მიმღებ სახელმწიფოში გაშვილების პროცედურის დამთავრებამდე.

„შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნაწილი, რომელიც საერთაშორისო გაშვილებას ეხება, ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს მაქსიმალურად ითვალისწინებს და განსაზღვრავს ზოგიერთ დამატებით დებულებას. საქართველოში საერთაშორისო გაშვილება შესაძლებლად არის მიჩნეული. მასზე ვრცელდება ქვეყნის შიგნით დადგენილი ნორმების მოქმედება. საზოგადოებაში შეიძლება არსებობდეს განსხვავებული მიდგომა უცხო სახელმწიფოებში ბავშვების გაშვილების დასაშვებობასთან დაკავშირებით. ზოგიერთები მასში მატერიალურად უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის მათ გადასარჩენათ აუცილებელი დახმარების განევის ერთ-ერთ ფორმას ხედავენ. გამოთქვავენ საწინააღმდეგო მოსაზრებებსაც, რომ მდიდარი სახელმწიფოების შეძლებული მოქალაქები სარგებლობებს ღარიბი სახელმწიფოების მდგომარეობით და აქ ბავშვების შეიძლად აყვანით იქმნიან მშობლიურ გრძნობათა გამოხატვის შესაძლებლობას თუ სხვა, ანგარებითი მიზნები არ დგას ასეთ გაშვილებათა უკან. ყოველი შემთხვევისთვის, ნებისმიერმა სახელმწიფომ მაქსიმალური ყურადღება უნდა გამოიჩინოს თავისი მოქალაქის უცხო სახელმწიფოში გაშვილებისას.

საქართველოდან გაშვილება დაიშვება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში და კანონით მკაცრად განსაზღვრული პირობების არსებობისას. კანონის მიხედვით, საქართველოდან უცხო ქვეყანაში ბავშვის გაშვილება შეიძლება განხილული იქნეს როგორც ბავშვზე ზრუნვის აღტერნატიული ფორმა – თუ არ შეიძლება ბავშვი დაუბრუნდეს ბიოლოგიურ ოჯახს ან შვილად იქნეს აყვანილი საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ და მისი საქართველოში გაშვილება შეუძლებელია. ამ სამი პირობის ერთდროულად არსებობა აუცილებელი საერთაშორისო გაშვილების პროცედურის დასაწყებად. უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოდან შეუძლია იშვილოს გასაშვილებელ ბავშვთა ცენტრალურ რეესტრში აღრიცხვაზე მყოფი გასაშვილებელი ბავშვის სტატუსის მქონე პირი. ასეთ რეესტრს აწარმოებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი სამსახური – სააგენტო, რომელიც არის მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანო, ხოლო მისი ტერიტორიული ერთეულებია მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ცენტრალურ და არა ადგილობრივ რეესტრში ხდება საზღვარგარეთ გასაშვილებელი ბავშვებისა და უცხოელი მშვილებლების აღრიცხვა. უცხო ქვეყანაში ბავშვის გაშვილების საკითხი მხოლოდ მაშინ დადგება თუ იგი რეესტრში აღრიცხვაზე აყვანიდან 8 თვის განმავლობაში ვერ იქნა გაშვილებული საქართველოში. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია აღნიშნული ვადის შემცირება სასამართლოს მიერ. ამ შემთხვევაში ცენტრალური ორგანოს სოციალური მუშავი ატარებს კვლევას, რომლის საფუძველზე წარდგენილ დასკვნაში უნდა აღინიშნოს მიზეზები, რომელთა გამოც ვერ მოხერხდა ამ ბავშვისათვის საქართველოში მშვილებლის გამონახვა. თუ მიზეზები ობიექტურია, საქართველოს ცენტრალური ორგანო ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით ინყებს მისი უცხო ქვეყანაში გაშვილების პროცედურის განხორციელებას. იგი ჰააგის კონვენციის მოთხოვნათა გათვალისწინებით უკავშირდება ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ანალოგიურ სამსახურებს და ცვლის ინფორმაციას. თუ რომელიმე ქვეყანა არ არის კონვენციის მონაწილე ხელშემკვრელი მხარე ან ამ ქვეყნის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული საერთაშორისო გაშვილების საკითხებში ცენტრალური ორგანოს შექმნა, მაშინ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ამტკიცებს მშვილებელი ქვეყნის ცენტრალურ ორგანოსთან, ხოლო მისი არ არსებობის შემთხვევაში – ასეთ ქვეყანაში ლიცენზირებულ ან აკრედიტებულ შესაბამის დაწესებულებასთან დასადები სპეციალური ხელშეკრულების ფორმას. ცენტრალური ორგანოს მიერ მშვილებელი ქვეყნის შესაბამის ორგანოსთან დადებული ხელშეკრულება უნდა შეესაბამებოდეს გაეროსა და ჰააგის კონვენციების, აგრეთვე საქართველოს კანონის მოთხოვნებს.

უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოდან ბავშვის შეიძლად აყვანა შეიძლება, თუ უცხოელი მშვილებელი აქმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და აღრიცხულია საქართველოს ცენტრალურ რეესტრში. გასაშვილებელ ბავშვსა და შვილად აყვანის მსურველ პირს შორის არანაკლებ 16 წლიანი ასაკობრივი სხვაობის მოთხოვნა არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როცა გასაშვილებელი ბავშვის შვილად აყვანა სურს უცხოელ დედინაცვალს ან მამინაცვალს.



საქართველოდან უცხო ქვეყანაში ბავშვის გასაშვილებლად სავალდებულოა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის დადგენა, რასაც ახორციელებს საქართველოს ცენტრალური ორგანოს მიერ შექმნილი კომისია. ასეთი კომისიის მუშაობის წესს, მის შემადგენლობასა და კომისიის მიერ ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გადამოწმების პირობებს ამტკიცებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო გაშვილება ძირითადად ხდება საქართველოსა და შესაბამისი უცხო ქვეყნის ცენტრალურ ორგანოებს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, ქართული მხარის ნების გამოვლენა მაინც ქართული სასამართლოს შესაბამის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. პარტნიორი ქვეყნისათვის კი შეიძლება სასამართლოს ჩარევა შვილებასთან დაკავშირებულ საკითხებში მისი კანონმდებლობით არც იყოს გათვალისწინებული. უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საქართველოდან ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში, ცენტრალური ორგანო ვალდებულია საერთაშორისო გაშვილების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ამის აუცილებლობა განპირობებულია საზღვარგარეთ გაშვილებული ბავშვის ინტერესებსა და მდგომარეობაზე ერთობლივი მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

ზემოაღნიშნული წესის მიხედვით ხდება უცხო ქვეყნებიდან ბავშვის შვილად აყვანა საქართველოს ცენტრალურ რეესტრში აღრიცხვაზე მყოფ შვილად აყვანის მსურველთა მიერ. საქართველოს ცენტრალური ორგანოს თანამშრომლები – სოციალური მუშაკები ვალდებული არიან იცნობდნენ საერთაშორისო გაშვილების სფეროში მოქმედ საერთაშორისო კონვენციების მონაწილე სახელმწიფოთა საკანონმდებლო მოთხოვნებს. მათ ეს მოთხოვნები უნდა განუმარტონ საქართველოს იმ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც უფლება აქვთ და სურთ უცხო ქვეყნიდან ბავშვის შვილად აყვანა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1989 წლის კონვენცია „ბავშვთა უფლებების შესახებ”, ბავშვთა უფლებების დაცვა. კრ. თბ., 2002;
2. ჰავაგის 1993 წლის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ”, ბავშვთა უფლებების დაცვა. კრ. თბ., 2002;
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997 წ.);
4. საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ”;
5. რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ., 2011;
6. ზვიად გაბისონია, საერთაშორისო კერძო სამართალი, თბ., 2006;
7. Kegel G., Sehrang., internationales Privatrecht, München, 2000.

## რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია

საერთაშორისო შვილება – გაშვილების სამართლებრივი საფუძვლები

### რეზიუმე

შვილად აყვანა იურიდიული ფაქტია, რომელიც შვილად ამყვანსა და ნაშვილებს შორის წარმოშობს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობებს, რაც ბიოლოგიურ მშობლებსა და შვილებს შორის არსებობს. უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო აქტუალური ხდება საერთაშორისო შვილება-გაშვილების სამართლებრივი პრობლემები. საქართველოდან ბავშვის უცხო სახელმწიფოში გაშვილება, აგრეთვე უცხოელი ბავშვის საქართველოში შვილება შეიძლება ისეთი ნორმატიული აქტების საფუძველზე, როგორიცაა: გაეროს 1989 წლის კონვენცია „ბავშვთა უფლებების შესახებ“, ჰააგის 1993 წლის კონვენცია „ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს 2009 წლის 18 დეკემბრის კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“.

საერთაშორისო შვილება-გაშვილება ხორციელდება ბავშვის დაბადების (წარმოშობის სახელმწიფო) და სხვა (მიმღები სახელმწიფო) ქვეყნების მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანოების მიერ მიღწეული შეთანხმების საფუძველზე. საქართველოდან უცხო ქვეყანაში ბავშვის გაშვილებისათვის საჭიროა ქართული სასამართლოს ნებართვაც.

**Roman Shengelia, Ekaterine Shengelia**

### Legal Bases of the International Adoption

#### Abstract

Adoption is a legal fact which produces between adoptive parents and adopted such legal relations which exist between biological parents and children. During the last period more relevant have become legal issues of the international adoption. Adoption of the child from Georgia to another state, as well as the adoption of the foreign child to Georgia is possible on the basis of such regulatory acts as: United Nations Convention of 1989 "On the rights of the child", Hague Convention of 1993 "On Protection of Children and Cooperation within the Scope of the International Adoption", the Civil Code of Georgia and the Law of Georgia on December 18<sup>th</sup>, 2009 "On adoption and foster care". International adoption is carried out on the basis of the reached agreement by the central bodies of guardianship and trusteeship between the countries of birth of the child (the State of origin) and another (the Host State). Permission of the Georgian court is also necessary for adoption of the child from Georgia in foreign country.





## სერგო ჭალიძე

### ნივთიერი ობიექტების მტკიცებულებად გამოყენების ისტორიული ასპექტები

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ოდითგანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა ცალკეულ საგნებს, მატერიალურ ობიექტებს, რომლებიც მტკიცებით სამართალში ნივთიერი მტკიცებულების სახელითაა ცნობილი. 2009 წელს მიღებული საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 25-ე ნაწილით: „ნივთიერი მტკიცებულებაა - საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომელიც წარმოჩენით, აღმოჩენის ადგილითა და დროით, ნიშან-თვისებებითა და მასზე დარჩენილი კვალით დაკავშირებულია სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან და შეიძლება დანაშაულის აღმოჩენის, დამნაშავის დადგენის ან ბრალდების უარყოფის თუ დადასტურების საშუალება იყოს“.

ამ სახის მტკიცებულებებთან დაკავშირებით არსებული პრობლემები ყოველთვის იპყრობდა პრაქტიკაში თუ მეცნიერი იურისტების ყურადღებას. როგორც ისტორიული წყაროების შესწავლამ ცხადყო, ნივთიერ სამხილებს, როგორც საქმის გადაწყვეტისა და ჭეშმარიტების დადგენის საშუალებას, უძველესი დროიდან ენიჭებოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა საგამოძიებო თუ სასამართლო პრაქტიკაში. ასე, მაგ.: ნივთიერი მტკიცებულებებით საქმის გადაწყვეტას ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტის სასამართლოები ახდენდნენ. ისეთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, როგორიც იყო საფლავის შეურაცხყოფა, დიდი ყურადღება ექცეოდა დანაშაულის ადგილის დათვალიერებას, რომელიც, რა თქმა უნდა, ძირითადად იქ დარჩენილი კვლებისა და სხვა ნივთიერი სამხილების შეკრების მიზნითაც ტარდებოდა.<sup>1</sup>

საპერძენთში, ათენის სახელმწიფოში მოქმედი „დრაკონტის კანონების“ მიხედვით, რომელიც ძვ. წთ.-აღ-ის მე-7 საუკუნით თარიღდება, ისეთ მტკიცებულებათა გვერდით, როგორიცაა ბრალდებულის, მოწმის ჩვენება, აღიარებულია ასევე ნივთიერი მტკიცებულება.<sup>2</sup>

ინდოეთის უძველეს სამართლის ძეგლში „მანუს კანონები“, რომელიც სავარაუდოდ შედგენილი უნდა იყოს ძვ.წთ.-აღ-ის მე-2, ახ.წთ.-აღ-ის მე-2 საუკუნეებში, ნათქვამია, რომ „სამართლიანმა მეფემ არ უნდა დასაჯოს ქურდი, თუ მას ვერ უპოვნიან ნაქურდალს, ხოლო ნაქურდალი ნივთით ან ქურდობის იარაღით შეპყრობილ კი უყოყმანოდ უნდა დასაჯონ სიკვდილით“.<sup>3</sup>

მოყვანილი მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქურდობის საქმეებზე ნივთიერ სამხილებს. მათი არსებობა საკმარისი იყო დამნაშავის დასასჯელად, ხოლო არარსებობისას კი შეიძლებოდა ქურდი გაემართლებინათ კიდეც. საინტერესოა ისიც, რომ კანონმდებელი ნივთიერ მტკიცებულებად განიხილავს არა მარტო ნაქურდალ ნივთს, რასაც მეტნაკლებად ვხვდებით სხვა უძველეს სამართლის ძეგლებში, არამედ ქურდობის იარაღს.

მეროვინგების ფრანკთა სახელმწიფოს პირველი მეფის, ხლოდვიგ პირველის დროს (მე-5 - მე-4 ს.ს.-ის მიჯნა) შედგენილი „სალიკური სამართალი“ ასევე ცნობს ნაქურდალ ნივთს, როგორც ნივთიერ მტკიცებულებას და მის საფუძველზე წყვეტს საქმეს.

ასე, მაგ.: „სალიკური სამართლის“ 38-ე ტიტული ითვალისწინებს ისეთ ინსტიტუტს, როგორიცაა „კვალდაკვალ დევნა“. თუ ამ დროს ვინმესთან აღმოჩნდებოდა ნაქურდალი პირუტყვი და ვერ დაამტკიცებდა, რომ მისი კანონიერი მესაკუთრე იყო, იგი მას ჩამოერთმეოდა და თანაცდაჯარიმდებოდა. დაახლოებით იმავე შინაარსის იყო 67-ე ტიტული, სადაც საუბარია დაკარგული ნივთის სხვასთან აღმოჩენაზე და იმაზე, თუ რა გავლენას ახდენდა ამ ტიპის სამხილი სასამართლო პროცესზე.<sup>4</sup>

ჩინეთის ტერიტორიაზე მე-10 - მე-12 საუკუნეებში ჩამოყალიბებული ე. წ. ძინის სახელმწიფოში მოქმედი სამართალი ასევე ფართოდ იყენებს ნივთიერ სამხილს, როგორც მტკიცებულებას.

<sup>1</sup> ცაცანაშვილი მ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, ტ.1, თბ., 1995, გვ.20.

<sup>2</sup> ЧЕРНИЛОВСКИЙ З.М. ВСЕОБЩАЯ ИСТОРИЯ ГОСУДАРСТВА И ПРАВА, М., 1996, СТР. 77.

<sup>3</sup> ЧЕРНИЛОВСКИЙ З.М. იხ. დასახ. ნამრომი, გვ. 56.

<sup>4</sup> დოლიძე ი., ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, თსუ გამომცემლობა, თბ., 1950, გვ.50.

მხოლოდ მასზე დაყრდნობით ანუ მაგ.: კონტრაპანდული საქონლის ამოღების შემთხვევაში სჯიდნენ კონტრაპანდისტს, ხოლო ის, ვინც ნივთიერი სამხილით გამოცხადდებოდა ხელისუფლების წარმომადგენელთან და მოინანიებდა დანაშაულს, თავისუფლდებოდა სასჯელისაგან.

ნივთიერი სამხილით ხელისუფლების წარმომადგენელთან გამოცხადება ასევე ითვლებოდა სასჯელის შემამსუბურებელ გარემოებად.

ნივთიერი მტკიცებულების ცნება რუსეთში ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში დამკვიდრდა. ი. ევერსი მის წარმოშობას უკავშირებს რუსეთსა და საბერძნეთს შორის 911 წელს დადებულ ხელშეკრულებას, რომლის პირველ მუხლში მოხსენიებული სიტყვის - „ჩვენების“ ქვეშ ავტორი მოიაზრებს „ყველა გარეგან ნიშანს, ჭრილობას, ლაქას“<sup>1</sup>.

ცნობილ რუსულ სამართლის ძეგლში „РУССКАЯ ПРАВДА“ მოხსენიებულია დაზიანებები ადამიანის სხეულზე, რომლებიც ადამიანის ხილვად კვლებს მიეკუთვნებოდა და რომლებსაც კანონმდებელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.<sup>2</sup> ასე, მაგ.: „მოკლე სამართლის“ მე-2 მუხლით: „თუ ადამიანი მივა სასამართლოში, ნაცემი, სისხლიანი და დალურჯებული, მოწმის ძეპნა საჭირო აღარაა“.

ხილვადი კვლების გარდა, „РУССКАЯ ПРАВДА“ და ზოგიერთი სხვა სამართლებრივი დოკუმენტი იცნობს ტერმინს - „ნივთი“, განსაზღვრავს მოპარულის ამოღებისა და მიღების წესს.<sup>3</sup>

ძველი რუსეთის სამართლებრივ აქტებში საუბარია მტკიცებულებითი ინფორმაციის შემცველ კონკრეტულ საგნებზე: მოპარულ პურზე, თევზზე, ფულზე, გაყალბებულ სიგელებზე, საქმისათვის მნიშვნელოვან გადამალულ მასალებზე და ა. შ.

ტერმინი „ნივთიერი მტკიცებულება“ პირველად შემოტანილი იქნა 1812 წლის 27 იანვარს მიღებულ საველე სასამართლონარმოების წესდებაში, რომლის 31-ე პარაგრაფში ნათქვამია: „საქმეს მიეკუთვნებული მასალები (ქაღალდები) შეიძლება იყოს... დოკუმენტი ან ნივთიერი მტკიცებულება, რომლებიც ამხელენ დანაშაულს“.

1857 წლის კანონი „სასამართლონარმოების შესახებ“ მიუთითებს ინსტრუმენტებზე - ნივთიერ მტკიცებულებებზე, რომლებიც გამოიყენებოდა საკრედიტო ბილეთებისა და ნაბეჭდი პასპორტების გაყალბებისათვის.<sup>4</sup>

1864 წელს მიღებული სისხლის სასამართლონარმოების წესდება მტკიცებულების დამოუკიდებელ სახედ მოიხსენიებს ნივთიერ მტკიცებულებას, რომლებსაც მიაკუთვნებს: „იარაღს, რომლითაც ჩადენილია დანაშაული, გაყალბებულ დოკუმენტებს, მონეტებს, სისხლიან ან დაზიანებულ საგნებს და საერთოდ ყველაფერს, რაც ნაპოვნია ადგილის დათვალიერების, ჩხრეკის ან ამოღებისას და რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ დანაშაულის აღმოჩენას და დამნაშავის დადგენას“.<sup>5</sup>

სასამართლო მტკიცებულებათა შორის ნივთიერ მტკიცებულებებს ძველი დროიდან აღიარებს ქართული სამართალი. ასე, მაგ.: საქართველოს მეფე გიორგი მესამეს 1170 წლის სიგელში ნათქვამია: „თუ ნაპარევი შე-ლა-ხდეს მღუმისა გლეხსა“...<sup>6</sup> ამ მოყვანილი ნაწყვეტიდან ირკვევა, რომ თუ ნაქურდალი აღმოაჩნდებოდა პირს, იგი განიხილებოდა, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, ობიექტური ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად.

გიორგი მეხუთე ბრნეინვალის 1334-1335 წლების „ძეგლის დადება“-ში საუბარია ისეთ ნივთიერ სამხილზე, როგორიცაა კვალი. კერძოდ, მოხსენიებულია „გერში“ - ს ინსტიტუტი: „გერშის საქმე ასრე იქმნას: ვისაც პირსა ზედა გერში აჩნდეს ანუ ცხვირი მოეკვეთნოსო . . . თუ გერში სად საჩინო იყოს ასრე, რომე არ დაშავდებოდეს და დააჩნდეს“.<sup>7</sup>

<sup>1</sup> ЭВЕРС И. ДРЕВНЕЙШЕЕ РУССКОЕ ПРАВО, М., 1835, СТР. 151-152.

<sup>2</sup> ПРАВДА РУССКАЯ, М.-Л., 1947, СТР. 58.

<sup>3</sup> იხ. იქვე, გვ. 102.

<sup>4</sup> СВОД ЗАКОНОВ РОССИЙСКОЙ ИМПЕРИИ, Т. 15, М., 1857, СТР. 61-62.

<sup>5</sup> იხ. იქვე, გვ. 62-63.

<sup>6</sup> ჯავახიშვილი ივ. თხზულებათა 12 ტომი, თბ., 1984, გვ. 353.

<sup>7</sup> დოლიძე ი. გიორგი ბრნეინვალის სამართალი, თსუ გამომცემლობა, თბ., 1957, გვ. 115.



„გერში“-ს ინსტიტუტი ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ქართულ ჩვეულებით სამართალში. აღნიშნული საკითხები სრულყოფილადაა დამუშავებული ცნობილი ქართველი ეთნოგრაფის რუსუდან ხარაძის ნაშრომებში,<sup>1</sup> რომლის მიხედვითაც, თუ გიორგი მეხუთე ბრწყინვალის „ძეგლის დადება“-ში „გერში“ მხოლოდ ჭრილობის მნიშვნელობით იხმარება, ხევსურულ ანდრეზებში ის შეიძლება ყოფილიყო დაჭრილის ან მოკლულის რაიმე ნივთი და სხვა. მას, ვისაც მოკლულის გერში აღმოაჩნდებოდა, მკვლელად ჩაითვლებოდა.<sup>2</sup>

აღნიშნული სამხილი, როგორც მტკიცებულება, გამოიყენებოდა არა მარტო მკვლელობის საქმეებზე დამნაშავეთა დასადგენად, არამედ იმ დროისათვის მეტად გავრცელებული ისეთი დანაშაულის დროს, როგორიც იყო ქურდობა. „გერშად“ მიიჩნეოდა მოპარული პირუტყვის ჩლიქის კვალი, ტყავი, ასევე ქურდის ნაკვალევი, რაც საშუალებას აძლევდა დაზარალებულს, ეპოვნა დამნაშავე და მისთვის ბრალიც დაედო.<sup>3</sup>

ანალოგიური სამართლებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა „გერშს“ ფშავშიც, რომელზეც ერთმნიშვნელოვნად იყო დამოკიდებული ქურდობის საკითხის გადაწყვეტა. იმ შემთხვევაში, თუ კვალი დაზარალებულს ვინმესთან მიიყვანდა ან მასთან აღმოჩნდებოდა, შეეძლო მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება.

„გერშს“ ნივთიერი მტკიცებულების მნიშვნელობა ჰქონდა ასევე ჩრდილო კავკასიის ხალხებში, მაგალითად დალესტანში, სადაც სამხილად ითვლებოდა იარაღზე, ტანსაცმელზე, სხვა საგნებზე არსებული ნაკვალები. მას, ვისაც მოკლულის ნივთი აღმოაჩნდებოდა, ბრალი ედებოდა მკვლელობაში.

ამ პერიოდის დაღესტანურ, ხევსურულ, ფშავურ, საქართველოს სხვა კუთხეების სოფლებში ვხვდებით კოლექტიური პასუხისმგებლობის გადმონაშთს. ნივთიერი მტკიცებულების მნიშვნელობა იმდენად დიდი იყო, რომ თუ დაზარალებული კვალს რომელიმე სოფელში აღმოჩენდა, შეეძლო მოეთხოვა ქურდის მოძებნა და ნაქურდალის ანაზღაურება.<sup>4</sup>

ნივთიერი სამხილების მტკიცებულებად მოხსენიების შემთხვევები ხშირია საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ცალკეულ აქტებში. ასე, მაგ.: 1919 წელს უკრაინაში მიღებული ინსტრუქცია სახალხო გამომძიებლებისათვის ნივთიერ მტკიცებულებებს მიაკუთვნებს „საგნებს, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია დანაშაულის აღმოჩენა და დამნაშავის მხილება“, ხოლო 1921 წლის ინსტრუქცია კი მათ რიცხვს მიაკუთვნებს: „საგნებს, რომლებიც გამოიყენებოდა, როგორც იარაღი დანაშაულის ჩასადენად ან რომელზეც შემონახულია დანაშაულის კვლები ან საგნები, რომლებზეც მიმართული იყო ბრალდებულის მოქმედება და რომელთა მეშვეობით შესაძლებელია დანაშაულებრივი ფაქტის აღმოჩენა და დამნაშავის დადგენა“.<sup>5</sup>

1961 წლის სსრ კავშირის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ნივთიერ მტკიცებულებათა ჩამონათვალს დაემატა ფული, ძვირფასეულობა და სხვა ნივთები, მოპოვებული დანაშაულებრივი გზით.

2009 წელს მიღებული საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის თანახმად: „მტკიცებულებაა - კანონით დადგენილი წესით სასამართლოში წარდგენილი ინფორმაცია, ამ ინფორმაციის შემცველი საგანი, დოკუმენტი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი, რომლის საფუძველზედაც მხარეები სასამართლოში ადასტურებენ ან უარყოფენ ფაქტებს, სამართლებრივად აფასებენ მათ, ასრულებენ მოვალეობებს, იცავენ თავიანთ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ხოლო სასამართლო ადგენს, არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარკვეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას“.

<sup>1</sup> ხარაძე რ. ხევსურული ანდრეზი- ხალხური სამართლის წყარო. მიმომხილველი, ტ.2. თბ., 1945.

<sup>2</sup> იხ. იქვე, გვ.394-395.

<sup>3</sup> დავითაშვილი გ. სასამართლო მტკიცებულებანი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, გამომც. მერიდიანი, თბ., 1998, გვ. 123.

<sup>4</sup> დავითაშვილი გ. სასამართლო მტკიცებულებანი ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, გამომც. მერიდიანი, თბ., 1998, გვ. 125.

<sup>5</sup> ЗЕМЛЯНСКИЙ П.Т. УГОЛОВНО-ПРОЦЕССУАЛЬНОЕ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО, КИЕВ, 1972, С.245.

როგორც ვხედავთ, განსხვავებით ძველი საპროცესო კანონმდებლობისაგან, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, ყველა სახის, მათ შორის, ნივთიერი სამხილების მტკიცებულებად ცნობა ხდება სასამართლოში მათი წარმოდგენის შემდეგ, ხოლო შეფასება კი წარმოებს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობის და უტყუარობის თვალსაზრისით.

შეფასება მტკიცების პროცესის ურთულესი ელემენტია, რომელიც წარმოადგენს მტკიცების სუბიექტის აზრობრივ შემეცნებით საქმიანობას, დაფუძნებულს აზროვნების ობიექტურ კანონზომიერებებზე და გამოიხატება საქმეში არსებული მონაცემების დასაშვებობისა და შესახებობის, ნამდვილობისა და საკმარისობის განსაზღვრაში, რათა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მიღებული იქნას შესაბამისი გადაწყვეტილება. სამწუხაროდ, ახალ საპროცესო კოდექსში არაფერია ნათქვამი საქმარისობაზე, რაც ხარვეზად მიგვაჩინია. აღნიშნულ კომპონენტს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რაც, ვფიქრობთ, ერთ-ერთი წინაპირობა იქნება ობიექტური და სამართლიანი განაჩენის გამოტანისათვის.

საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, მტკიცებულებათა შეფასება ხდება შინაგანი რწმენის საფუძველზე. შინაგანი რწმენა - ეს არის ადამიანის ცნობიერების მდგომარეობა, რაც ხასიათდება მისი დასკვნებისა და ცოდნის სისწორის დაჯერებით. იგი ყველა დროში, რა თქმაუნდა, მხოლოდ სამართლიან სასამართლოში, ემყარებოდა რეალურად არსებულ მონაცემებს, რასაც საბოლოო ჯამში მივყავართ კიდეც ჭეშმარიტ დასკვნამდე. მას, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს სუბიექტურ კატეგორიას, უნდა ჰქონდეს ობიექტური საფუძველი. ეს არ უნდა იყოს საქმეზე არსებული მონაცემების გაუთვალისწინებლად მიღებული თვითნებური გადაწყვეტილება. აუცილებელია საქმის მასალების გულდასმით და დაწვრილებით შესწავლა, ხოლო დასკინის დასაბუთებული სახით გადმოცემა პროცესუალურ დოკუმენტში.

შინაგანი რწმენა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც არა მხოლოდ შეფასების მეთოდი, არამედ მისი შედეგიც. ამ თვალსაზრისით ეს ნიშნავს სუბიექტის რამები დარწმუნებას, რწმენის ფიქოლოგიურ მდგომარეობას,

ნივთიერი მტკიცებულება, როგორც სასამართლო მტკიცებულების ერთ-ერთი დამოუკიდებელი სახე, ჯერ კიდევ ადრეული საუკუნეებიდან მკვიდრდება მსოფლიოს უძველესი ცივილიზაციის სახელმწიფოთა სისხლის სამართალწარმოებაში. მას განვითარების დიდი ისტორია აქვს საქართველოშიც, სადაც მტკიცებულების აღნიშნულ სახეს ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა სასამართლოში სამართლიანი, ობიექტური და კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანისას.

დღეისათვის, როცა მტკიცებულებათა სისტემა უფრო დემოკრატიული და სრულყოფილია, ხოლო სამეცნიერო-ტექნიკური საშუალებები - ბევრად განვითარებული, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებს ეძლევათ მეტი შესაძლებლობა, წარმატებით გამოიყენონ ნივთიერი ობიექტები როგორც ცალკეული დანაშაულების გამოძიებისას, ასევე საქმის სასამართლოში განხილვისა და გადაწყვეტის დროს. ვფიქრობ, პრაქტიკოსი მუშაკების მიერ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ნივთიერ მტკიცებულებებთან მუშაობას, რაც უდაოდ წინგადადგული ნაბიჯი იქნება დამნაშავეობასთან წარმატებული ბრძოლის საქმეში.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- დოლიძე ი., ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, თსუ გამომცემლობა, თბ., 1950;
- დოლიძე ი. გიორგი ბრწყინვალის სამართალი, თსუ გამომცემლობა, თბ., 1957;
- ჯავახიშვილი ივ. თხზულებათა 12 ტომი, ტ. 7. თბ., 1984;
- ცაცანაშვილი მ. სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, ტ. 1, თბ., 1995;
- ხარაძე რ. ხევსურული ანდრეზი - ხალხური სამართლის წყარო, „მიმომხილველი“, ტ. 2. თბ., 1945;
- დავითაშვილი გ. სასამართლო მტკიცებულებანი ხევსურულ ჩვეულებით სამართლში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 1998;
- ЧЕРНИЛОВСКИЙ З.М. ВСЕОБЩАЯ ИСТОРИЯ ГОСУДАРСТВА И ПРАВА, М., 1996;
- СВОД ЗАКОНОВ РОССИЙСКОЙ ИМПЕРИИ, Т. 15, М., 1857;
- ЭВЕРС И. ДРЕВНЕЙШЕЕ РУССКОЕ ПРАВО, М., 1835;
- ЗЕМЛЯНСКИЙ П.Т. УГОЛОВНО-ПРОЦЕССУАЛЬНОЕ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО, КИЕВ, 1972, 245.



## სერგო ჭელიძე

### ნივთიერი ობიექტების მტკიცებულებად გამოყენების ისტორიული ასპექტები

#### რეზიუმე

ნარმოდგენილი ნაშრომი შეეხება მტკიცებით სამართალში ნივთიერი მტკიცებულების სახელით ცნობილი საგნების, მატერიალური ობიექტების გამოყენების ისტორიულ ასპექტებს. საუბარია ჩვენი ქვეყნის სამართლის ძეგლებში, ჩვეულებით სამართალში, უძველესი ცივილიზაციის სახელმწიფოებში მათ მნიშვნელობაზე დამნაშავეობასთან ბრძოლის საქმეში, ასევე იმ თავისებურებებზე, რაც ამ სახის მტკიცებულებათა შეფასებას უკავშირდება.

Sergo Chelidze

#### Historic aspects of application of material objects as evidences

##### Abstract

The article deals with historic aspects of application of subjects known in evidential law as material evidences, material objects. It discusses the significance of material evidences in fighting the crime in legal sources of this country, in customary law as well as in states of old civilization. It also analyses the peculiarities concerning the evaluation of such kind of evidences.



# ეპონომიკური მაცნეობრეგისტრი

## დავით ვაკუა

### **ფისკალური პოლიტიკის სრულყოფის და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების გზები საქართველოში**

ეკონომიკის ტრანსფორმაციამ და მაკროეკონომიკურმა გარემოს შეცვლამ, ფისკალური პოლიტიკის განხორციელების თვალსაზრისით საქართველოში თვისოპრივად ახალი გარემო შექმნა. გაჩნდა მოსაგვარებელ პრობლემათა მთელი სპექტრი, რომელიც უკავშირდება, როგორც კონკრეტულად საგადასახადო სისტემის ადმინისტრირების ოპტიმიზაციის პრობლემას, ასევე მთლიანად ფინანსური რესურსების ეფექტიანად აკუმულირების, გადანაწილებისა და გამოყენების პროცესს.

საგადასახადო პოლიტიკა, როგორც ფისკალური პოლიტიკის უმნიშვნელოვანი სეგმენტი ეროვნული ეკონომიკის განვითარების და დამატებითი ფინანსური რესურსების ფორმირების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა. ამიტომ აუცილებელია მოხდეს საგადასახადო სისტემის ადაპტაცია საბაზრო პირობებთან ისე, რომ იგი გახდეს ეკონომიკის მოქნილი რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ხოლო ამ სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება წარმატებული ეკონომიკური რეფორმის საწინდარია.

საშემოსავლო ბაზის სრულყოფა უნდა განხორციელდეს არა მხოლოდ საკანონმდებლო ადმინისტრაციული ღონისძიებების დახვეწით, არამედ ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების პირობების შექმნითაც.

დღეს საქართველოს ფისკალური სისტემა, ისე როგორც მთლიანად ქვეყნის ეკონომიკა აწყდება ორ უმნიშვნელოვანებს პრობლემას. ერთის მხრივ, ეს არის მსოფლიო ფინანსურ კრიზისთან დაკავშირებული პრობლემები, რაც ფინანსური დეფიციტით არის განპირობებული და მეორეს მხრივ, ეს არის ამ სისტემის ინსტიტუციონალური მოდერნიზაციის შემდგომი რეფორმირების აუცილებლობა, რაც საგადასახადო ორგანოებში გადამხდელებთან მუშაობის თანამედროვე ფორმების დანერგვასაც გულისხმობს. ეს კი განპირობებულია იმით, რომ საქართველოში დაბეგვრა წმინდა ადმინისტრაციული სისტემიდან ტრანსფორმირდება ელექტორალურ სისტემად, სადაც მეტია საგადასახადო სისტემის მუშაკების თანამშრომლობის აუცილებლობა ბიზნესთან, გადამხდელებთან, საგადასახადო აგენტებთან, ბანკებთან და სხვა, ვიდრე გადახდაზე მხოლოდ ფინანსური და ადმინისტრაციული მეთოდების და ბერებულის გამოყენებით მათი იძულება.

საგადასახადო სისტემის რეფორმის პრაქტიკული მნიშვნელობის, მისი მართებულობისა და სისწორის შეფასების კონკრეტული ტესტი კი უნდა იყოს მისი შედეგი და ადაპტაციის უნარი არსებულ რეალიებთან.

2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსი, რომელიც მიზნად ისახავს:

- საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას შემცირებული გადასახადებისა და დაბალი განაკვეთების მეშვეობით;
- საგადასახადო კულტურის ამაღლებას გამარტივებული ადმინისტრაციული მექანიზმებით;
- ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერას, მათ შორის მცირე ბიზნესის საშეღავათო პირობების გამოყენებით.

ამ მიზნის რეალიზაციისათვის მთლიანად შეიცვალა საგადასახადო კოდექსის სტრუქტურა და წყობა, მოხდა საგადასახადო და საბაზო კოდექსების გაერთიანება, შეიქმნა საგადასახადო ომბუდსმენის ინსტიტუტი, გადამხდელებს ახალი კოდექსის თანახმად შეუძლიათ ისარგებლონ პირადი საგადასახადო აგენტის მომსახურებით, განისაზღვრა მიკრობიზნესისა და მცირე



ბიზნესის სტატუსი და ის შეღავათები, რომლითაც შეუძლიათ ისარგებლონ ამ სტატუსის მქონე გადამხდელებმა და სხვა. ეს უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯია საგადასახადო სისტემის სრულყოფის მიმართულებით და ის უდაოდ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სტიმულირებას.

ბოლო ხუთი წლის (2006-2010 წ.) მონაცემებით საქართველოში გადასახადის გადამხდელები საგადასახადო ტვირთის თვალსაზრისით საკმაოდ ლიბერალურ პირობებში იმყოფებიან. ეს ტვირთი წლების მიხედვით 24 პროცენტის ფარგლებში მერყეობს, რაც ევროპის ქვეყნებთან შედარებით (მაგ., საფრანგეთი 45%) ყველაზე ”მსუბუქად” შეიძლება ჩაითვალოს. საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების მიზანი იყო რეგიონში ყველაზე ლებერალური საგადასახადო კანონმდებლობის საშუალებით, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების შენარჩუნება და საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების ფონზე, შემდგომ წლებში პირველ წლებში შესაძლო საგადასახადო დანაკარგების კომპენსირება უნდა მოეხდინა.

მიუხედავად ასეთი ლიბერალური გარემოსი, რასაც საგადასახადო კანონმდებლობა უქმნიდა და ახლაც უქმნის ზოგადად ბიზნესის განვითარებას ბოლო ხუთი წლის (2006-2010 წ.) საგადასახადო შემოსავლების სტატისტიკის მონაცემებით კვლავ ძალზედ მწირია მოგების გადასახადის ხვედრითი წილი მთლიანი შემოსავლების სტრუქტურაში (საშუალოდ 18 პროცენტი), რაც უშუალოდ ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირებაში ბიზნესის ”საკმაოდ მოკრძალებულ” მონაწილეობაზე მიგვანიშნებს. მცირეა არა მარტო მოგების გადასახადის ხვედრითი წილი მთლიან შემოსავლებში, არამედ არასასურველია მისი ზრდის დინამიკაც 2010 წელს მოგების გადასახადმა შეადგინა 576 მილიონი ლარი, 2009 წელს - 518 მილიონი ლარი, ხოლო 2008 წელს კი 592 მილ. ლარი ანუ პრაქტიკულად იგი არ იზრდება, უფრო მეტიც, 2010 წელს 2008 წელთან შედარებით 3 პროცენტიანი კლებაც კი დაფიქსირდა.<sup>1</sup>

ბუნებრივია, რომ გადასახადების ფინანსური წყაროების წარმოშობაშიც ბიზნესის მონაწილეობა გადამწყვეტია (მაგალითად ის ყველაზე დიდი დამქირავებელია) რადგან მხოლოდ მოგების გადასახადია ის ერთდაერთი გადასახადი, რომელიც ბიზნესმენს აქვს საკუთარი ”ჯიბიდან” ამოსალები. ყველა სხვა მას ირიბად ეხება, რადგან ბიუჯეტს საშემოსავლო გადასახადით ავსებენ ფიზიკური პირები, ხოლო დღგ-სა და აქციზით კი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა.

მოგების გადასახადის მოქმედი ტარიფის პირობებში 2009 წლის გადასახადის გადახდის შემდეგ ბიზნესისათვის დარჩა 2,5 მილიარდ ლარზე მეტი ფინანსური რესურსი მოგების სახით და საიდანაც მხოლოდ 20% როგორც საინვესტიციო წყარო მოხმარდა ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას.

2006-2009 წლებში სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით საქართველოს ეკონომიკაში ინვესტირებულია 8,8 მილიარდი ლარი, აქედან 6 მილიარდ ლარზე მეტი შემოსულია არასახელმწიფო ფინანსური სექტორიდან, რაც უდაოდ პოზიტიური შედეგია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით, მაგრამ ამ კაპიტალში მხოლოდ 44% ჩვენი ბიზნესის მონაწილეობაა დანარჩენი 56% უცხოური კაპიტალის ხვედრითი წილია.<sup>2</sup>

მწირი ფინანსური რესურსების პირობებში, როდესაც სახელმწიფო სექტორი საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაციის გზით ამცირებს საჯარო ფინანსების ოდენობას, კერძო კაპიტალის ზრდის მიზნით ბიზნესის მხრიდან მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის დივიდენდებად გადანაწილება დღევანდებით ქართული ეკონომიკისათვის აშკარად ფუფუნებაა. ფინანსური რესურსების დეფიციტის პირობებში ყველა ტიპის რესურსი უნდა მოხმარდეს განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ამ გზით სოციალური სტაბილურობის მიღწევას. და არა (განსაკუთრებით დიდი ოდენობის დივიდენდების მიღებით) ზოგიერთი ბიზნესმენის პირადი აქტივების და ქონების დაგროვებას.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ბიზნესი თავისუფალია მოგების განკარგვაში, ხოლო მათი იძულება საინვესტიციო აქტიურობისაკენ თეორიულადაც გამორიცხულია. ამიტომ საგადასახადო რეგულაციის მექანიზმების გამოყენებით უნდა შექმნას სათანადო მოტივაცია და წახა-

<sup>1</sup> [www.mof.ge](http://www.mof.ge)

<sup>2</sup> [www.Geostat.ge](http://www.Geostat.ge)

ლისდეს ბიზნესი აქტიურ საინვესტიციო საქმიანობაზე, რათა შესაძლებელი გახდეს ნარჩენი მოგების, როგორც დამატებითი ფინანსური რესურსების ეკონომიკაში რეინვესტირებისა.

როგორც ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური პრაქტიკა გვიჩვენებს მიზნობრივი საგადასახადო შეღავათები აღმოჩნდნენ უფრო ეფექტური ინსტრუმენტები საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირებისათვის, ვიდრე საგადასახადო ტარიფების შემცირება. მიუხედავად ამისა ჯერ კი-დევ დომინირებს მოსაზრება, რომ ტარიფების შემცირება სანვესტიციო აქტივობის ამაღლების პანაცეაა და მათით მანიპულირება კი საგადასახადო რეგულირების ყველაზე მოქნილი ინსტრუმენტი.

მოგების ამოღების ოპტიმალური წილის განსაზღვრისათვის საჭიროა ყოველმხრივი კვლევების ჩატარება სანარმოთა აქტიურობის დასადგენად სხვადასხვა პროცენტული განაკვეთების გამოყენების შემთხვევაში. არ შეიძლება მათი დონის მინიმუმადე შემცირება, რათა არ დაირღვეს ბიუჯეტის მოთხოვნები და საფრთხის ქვეშ არ დადგეს მისი შესრულება, ხოლო გადასახადმა კი შეწყვიტოს ეკონომიკური რეგულატორის ფუნქციის შესრულება.

ნობელის პრემიის ლაურეატის ცნობილი ეკონომისტის დ.სტიგლიცის აზრით ” გადასახადების მექანიკური შემცირება განკუთვნილია არა ეკონომიკის სტიმულირებისათვის, არამედ ფულის გადაცემაზე იმათთვის, ვისაც ის საკმარისზე მეტი აქვს”.<sup>1</sup> დ.სტიგლიცი ძალზედ მწვავედ აკრიტიკებს როგორც დასავლეთში, ასევე ჩვეში პოპულარულ მოსაზრებებს საგადასახადო მრუდის შესახებ გამოთქმულს ამერიკელი მეცნიერის ლაფერის მიერ და მის მიერ აგებულ მრუდს აბსურდულს უწოდებს. მისი აზრით ”ლაფერის მრუდი გამოწვილია თითიდან, ხოლო მისმა მოსაზრებებმა გადასახადების შემცირებასთან დაკავშირებით აშშ ბიუჯეტი მიიყვანა უზარმაზარ დეფიციტამდე”.<sup>2</sup>

საგადასახადო ღონისძიებების სისტემა, რომელიც ზემოქმედებს ეკონომიკაში საინვესტიციო პროცესებზე, პირობითად შეიძლება დავყოთ პასიურ და აქტიურ სახეებად. ინვესტიციური საქმიანობის სტიმულირების პასიურ მეთოდებს მიეკუთვნება გადასახადების განაკვეთების შემცირება - ისეთი, როგორიცაა მოგება, დამატებული ღირებულების გადასახადი, საშემოსავლო გადახდა ამ მეთოდის მთავარი ნაკლი მდგომარეობს შემდგები: ამცირებს რა გადასახადის განაკვეთებს სახელმწიფო წინასწარ გადასახადის გადამხდელებს უკეთებს ”საჩუქარს” და-მატებითი მოგების ან შემოსავლის სახით იმ იმედით, რომ ისინი ამ სახსრებს გამოიყენებენ ინვესტიციებისათვის, მაგრამ თუ გადასახადის გადამხდელებს არ აქვთ ამის კეთილი ნება და კონკურენციაც ქვეყანაში არასაკმარისია, დამატებით ინვესტიციებს გადამხდელებისკენ არ უნდა ველოდოთ.

აშშ და დასავლეთ ევროპაში განხორციელებულმა სტატისტიკურმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ ტარიფების შემცირების გზით მიღებული დამატებითი მოგების მხოლოდ ერთი მესამედი იხარჯება ინვესტიციაზე, ხოლო დანარჩენი ნაწილი კი მიმართება პირად გამდიდრებაზე.<sup>3</sup>

საინვესტიციო საქმიანობის მიზნით საგადასახადო სტიმულირების აქტიურ მეთოდებს მიეკუთვნება:

- მოგება გადასახადის შემცირების ხარჯზე დაჩქარებული საამორტიზაციო პოლიტიკა; რადგან მსოფლიოში სწრაფი ტექნიკური პროგრესის გამო მნიშვნელოვან როლს თამაშობს ”დროის ფაქტორი”. დაჩქარებული ამორტიზაცია ბაზებს გაუძლიერებს საინვესტიციო მოტივაციას;

- დასაბეგრი მოგებიდან ხარჯების გამოქვითვა, რომელიც მიემართება ინვესტიციებზე მათი შემდგომი დიფერენციისათვის ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და მიმართულებების მიხედვით;

- მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან განთავისუფლება იმ საწარმოების (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) რომლებიც თავისი საქმიანობიდან მიღებული მოგების ამ ნაწილს მიმართავენ რეინვესტირებაზე.

<sup>1</sup> Стиглиц Д. Ревущие девяностые. М. 2005 გვ. 79

<sup>2</sup> იქვე გვ. 227-380

<sup>3</sup> Соколов М. «Фантом в теории или кривая лафффера». ж. «Экономист», №2 2010 г. ст. 46



აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ 2010 წლის მიღებულმა საქართველოს საგადასახადო კოდექსმა უკვე გააჩინა ასეთი პრეცენდენტი და ამ კოდექსის 99 მუხლის „რ“ პუნქტის თანახმად სამედიცინო დაწესებულებები სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული მოგების დაბეგვრის დროს სარგებლობენ ამ შეღავათით.

მოგების დაბეგვრასთან დაკავშირებით ზემოთჩამოთვლილი აქტიური მეთოდების გამოყენება ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგან მოგების გადასახადი, როგორც პირდაპირი ბეგარა, უშუალოდ ძლიერ გავლენას ახდენს მენარმის, როგორც სამეურნეო ეკონომიკურ შედეგებზე, ასევე მის მომავალ სამეწარმეო ქცევასა და აქტივებზე. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ უცხოეთის ბევრ ქვეყანასთან შედარებით საქართველოში მისი დონე დაბალია, რადგან მოგების მიღებას განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდება, ეკონომიკის სხვადსხვა სეგმენტში შეიძლება სადისკუსიო საგნად ვაქციოთ ტარიფების დიფერენციაციის თემა ცალკეული დარგებისა და წარმოების საქმიანობის მიხედვით.

საქართველოში დაწყებულია ტურისტული ბაზრის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი გარდაქმნის პროცესი. ამ მხრივ უნდა განხორციელდეს წამახალისებელი ღონისძიებები, რისთვისაც აუცილებელია ფისკალური თვალსაზრისით ხელსაყრელი გარემო-პირობების შექმნას. ამ მიზნით ერთ-ერთი პრიორიტეტი ტურიზმში დასაქმებული ბიზნესმენებისათვის და ინვესტორებისათვის გასაგებ და სტაბილურ საგადასახადო პოლიტიკას ენიჭება. ტურისტულ ბაზარზე საგადასახადო პოლიტიკამ უნდა შექმნას ისეთი ფისკალური გარემო, რომელმაც უნდა მოიზიდოს უცხოელი ინვესტორები.

ეკონომიკის რეგულირების მიზნით საბაზრო ეკონომიკის ბევრ ქვეყანაში (განსაკუთრებით კრიზისების დროს) თითქმის ყველა მთავრობა ატარებს აქტიურ დისკრეტულ ფისკალურ პოლიტიკას, მაგრამ ეს ჩარევების ხარისხი სრულიად განსხვავებულია და დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე.

თუ ტურიზმს განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მოვიაზრებთ, ცხადია ტურისტული ბიზნესიც საჭიროებს ასეთი ტიპის ჩარევებს და აქ განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მივუძღვეთ დაბეგვრის პრობლემებს. ამ მხრივ შეიძლება განხორციელდეს საგადასახადო ტვირთის შემამსუბუქებელი ღონისძიებები, კერძოდ შემოღებულ იქნას განსაკუთრებული საგადასახადო შეღავათები, შემცირებული პროცენტული განაკვეთები, ნულოვანი დაბეგვრის რეჟიმი და სხვ.

ჩვენი აზრით, უფრო სამართლიანი მექანიზმი იქნება ნაცვლად საგადასახადო ტარიფების დაკლებისა და დიფერენციაციისა, მივცეთ ტურისტულ ბიზნესს საკანონმდებლო დონეზე საშუალება მოახდინოს მოგების გადასახადის რეინვესტირება საკუთარ ბიზნესში. ასეთიც მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან ერთის მხრივ, არ დაარღვევს ქვეყანაში დაბეგვრის სამართლიანობის პრინციპს და მეორე მხრივ, მართლაც ეს იქნება სახელმწიფოს მხრიდან ტურიზმისადმი მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭრა.

ცხადია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი დაკარგავს გარკვეულ შემოსავალს ამ ბიზნესიდან, მაგრამ მეორეს მხრივ მას აღარ დასჭირდება ტურიზმის ხელშეწყობის ღონისძიებების სუბსიდირება ბიუჯეტიდან. ეს პირდაპირი ფისკალური ეფექტის მომტანია ტურიზმის განვითარებისათვის საქართველოში, მაგრამ არაა კლებ მნიშვნელოვანია ირიბი მულტიპლიკაციური ეფექტი, რომელიც ასეთი ხელშეწყობის პირობებში ინვესტიციების ზრდის შედეგად არის შესაძლებელი მიიღოს ტურიზმმა. ბევრი ინვესტორისათვის ამ ბიზნესში ასეთი ხელშეწყობა უდაოდ მიმზიდველია და ისინი შეეცდებიან დამატებითი მოგების მიღების მიზნით გაზარდონ საინვესტიციო აქტიურობა.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ფისკალური პოლიტიკის ისეთი მექანიზმების ეფექტიანდ გამოყენება, როგორიცაა ტურიზმში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსურის რესურსების გადანილება.

ამ მიზნით, ვფიქრობთ, რომ საინტერესო იდეა შეიძლება იყოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფარგლებში ტურისტული ბაზრის და ინფრასტრუქტურის განვითარების საინვესტიციო ფონდის შექმნა.

ფონდმა კონკურსის საფუძველზე უნდა გამოავლინოს და დააფინანსოს საინტერესო ტურისტული ბიზნეს-პროექტები, დაეხმაროს ტურისტულ ბიზნესს ხელმისაწვდომი და შეღავათიანი სესხების აღებაში. რიგ შემთხვევებში იგი გამოვიდეს კრედიტორის როლში და უმეტეს შემ-

თხვევებში, როგორც გარანტი ტურისტული ორგანიზაციების კომერციულ ბანკებთან ფინანსურ ურთიერთობაში. ასეთი მიდგომა გააძლიერებს დარგის დაკრედიტების პერსპექტივას და შესაძლებელს გახდის ტურისტულ ბაზარზე შემოვიდეს უფრო მეტი სახელმწიფო რესურსები, ასევე ბანკების მეშვეობით კერძო კაპიტალი.

ჩვენის აზრით შემოთავაზებული ფისკალური ღონისძიებები საფუძველს დაუდებს შეუქცევადი გახდეს საქართველოში ბიზნესის განვითარების პროცესი, გაუმჯობესდეს მისი დარგობრივი, ტერიტორიალური და ხარისხობრივი სტრუქტურა; შეიქმნას ქვეყანაში უკეთესი საინვესტიციო გარემო.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი 2010 წ. 17 სექტემბერი.
2. ბახტაძე ლ., კაკულია რ., და სხვ. "საგადასახადო საქმე". თბილისი, 2007 წ.
3. ტერაშვილი ნ. "საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა". თბილისი, 2006 წ.
4. მესხია ი., ნიკოლეიშვილი ო. "გადასახადები და დებეგვრა". თბილისი, 2002 წ.
5. ვეკუა დ. "ფისკალური პოლიტიკის გავლენა ტურისტული ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში". საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ბათუმი-სტამბოლი 2010 წ.
6. Стиглиц Д. Ревущие девяностые. М. 2005
7. Соколов М. «Фантом в теории или кривая лаффера». ж. «Экономист», №2 2010 г.
8. Statistical Abstract of the U.S. 2009 г.
9. [www.mof.ge](http://www.mof.ge)
10. [www.Geostat.ge](http://www.Geostat.ge)



## დავით ვეკუა

### ფისკალური პოლიტიკის სრულყოფის და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების გზები საქართველოში

#### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საგადასახადო პოლიტიკის ის აქტუალური საკითხები, რომელიც უკავშირდება ეროვნული ეკონომიკის განვითარებას და დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიების პროცესს. შემოთავაზებულია ის მეთოდები, რომლებმაც შეიძლება მოახდინონ საინვესტიციო საქმიანობის მიზნობრივი სტიმულირება. განხილულია ტურიზმის სფეროში ფისკალური პოლიტიკის ის ასპექტები, რამაც უნდა დააჩქაროს ტურისტული ბაზრის როგორც რაოდენობრივი ისე თვისობრივი გარდაქმნის პროცესი.

**David Vekua**

### **Ways of Elaborating Fiscal Policy and of Improving Investment Environment**

#### **Abstract**

The work discusses the key issues of tax policy that relate to development of national economy and to the process of attraction of additional financial resources. There are proposed the methods, which can provide target stimulation for investment activities. There are also discussed the aspects of fiscal policy in tourism sphere that should accelerate the process of quantitative as well as qualitative transformation of tourism market.



## ამირან თავართებილადი

### საქართველო – პიზენის დაცუების რეფორმატორი

მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ყოველწლიური ანგარიშის „**Doing Business-2009**“-ს მსოფლიო რეიტინგში საქართველო წამყვან პოზიციას ინარჩუნებს. ამასთან, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის ბიზნესის წარმოების მხრივ, სწორედ საქართველო ლიდერობს.

**კვლევაში ნათქვამია, რომ მსოფლიოს 183 ქვეყანას შორის საქართველომ ყველაზე დიდ პროგრესს მიაღწია და, ამ კრიტერიუმების მიხედვით, ყველაზე აქტიური რეფორმატორია.**

2003 წლიდან მოყოლებული ანგარიშმა „ბიზნესის წარმოება“ სტიმული მისცა 113 –ზე მეტ რეფორმას მსოფლიოში. თავის მხრივ, ანალიტიკური პროექტი „ბიზნესის წარმოება“ 5000-ზე მეტი ადგილობრივი ექსპერტის – მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ბიზნეს-კონსულტანტების, იურისტების, ბუღალტრების, სახელმწიფო მოხელეებისა და წამყვანი მეცნიერების გამოკვლევებს ეფუძნება. განსაზღვრულია გარკვეული ინდიკატორები, რომლებიც აუცილებელია ბიზნესის წარმოებისთვის.

მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს ბიზნესის დაწყებისათვის გასავლელი ყველა პროცედურათა ერთობლიობა ( ფირმის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრირება, საბანკო ანგარიშის გახსნა და სხვა ოპერაცია). პროცედურა დასრულებულად ითვლება მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს ყველა საჭირო დოკუმენტს: სახემწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელ დოკუმენტს, საგადასახადო-საინდიფიკაციო ნომერს, საბანკო ანგარიშს და სხვა.

საქართველოში გატარებულ რეფორმებს მსოფლიო ბანკის გარდა ფონდი „**HERITRAGE**“-ც აფასებს. „Heritage Foundation“-ის 2009 წლის შეფასებით, „საქართველოს კანონმდებლობით ბიზნესის დაწყების, ფუნქციონირებისა და დახურვის თავისუფლება კარგად არის დარეგულირებული.“<sup>1</sup>

**ამ სტატიის პუბლიკაციის მიზანია გავაანალიზოთ თუ როგორ აღმოჩნდა საქართველო ამავე რეიტინგით წარსულში 112-ე ადგილიდან მონინავე ქვეყანათა სიაში.**

კვლევა აჩვენებს, რომ ქვეყნის ეკონომიკური წარმატებისათვის აუცილებელი არ არის დიდი გეოგრაფიული არეალი ან მდიდარი ბუნებრივი რესურსები. საჭიროა დროის შესატყვისი გააზრებული თანმიმდევრული ეკონომიკური რეფორმების განხორციელება.

„რეფორმა“ ქართულად ცვლილებას ნიშნავს, რამდენადაც მას უფრო ხშირად დადებით კონტექსტში მოიხსენიებენ, ამდენად რეფორმის ზუსტი თარგმანი იქნებოდა გააზრებული და შედეგის მომტანი ცვლილება.

მიმართია რომ, დამოუკიდებელი ქვეყნის პირველ წლებში, ბიზნესის წარმოების მიზნით გამოცემული რეგულაციები არც კი შეიძლება განვიხილოთ, რამდენადაც იგი „სიბნელეში ხელის ცეცებით“ მოძრაობას უფრო წააგავდა. სოციალიზმის სისტემას უეცრად მთავარი არტერია გადაეკეტა, ალტერნატიული წყაროების გარეშე ელემენტარული ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა და ნაჩქარევად შეიქმნა რეგულაციები.. 1991 წლიდან მოქმედებდა კანონი სამენარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ, მიუხედავად ამ დოკუმენტის მიღების მნიშვნელობისა, მისთვის არავის უწოდებია კანონი, მით უფრო რეფორმა. იგი უფრო პილიტიკურ-საჯარო ხასიათის აქტი იყო. მასში გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების რეგლამენტაცია სამთავრებო დადგენილებებითა და სხვა კანონქვემდებარე აქტებით ხდებოდა. იგი უფრო სოციალიზმიდან საბაზრო ეკონომიკაზე მექანიკურად გადასვლის აუცილებლობამ განაპირობა. ეკონომიკის პრინციპების, თავისუფალი კერძო მენარმეობის განვითარება უფრო ქაოტურ, სოციალიზმის ნიშნების შემცველ ქმედებებს წააგავდა, თავისი ყველა უარყოფითი ნიშნით, როგორიცაა ფარული მენარმეობა, უფლებებისა და ვალდებულებების გაუზრებლობა და ა. შ.

ამ პერიოდმა სერიოზული უარყოფითი კვალი დააჩნია ქართულ სამენარმეო კულტურის

<sup>1</sup> Heritage foundation - 2009



ფორმირებას, მთლიანად ქვეყანაში ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბების პროცესს.

**ბიზნესის დაწყების, სახელმწიფო სამენარმეო და საგადასახადო რეგისტრაციის პროცესის საწყის ეტაპად მხოლოდ პირობითად შესაძლებელია განვიხილოთ 1991-1994 წლები. პირობითად, „სოციალისტური წარსულიდან გამოსავლის ძიების წლები“.**

1994 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ევროპულ კანონმდებლობაზე ორიენტირებული კანონი „მენარმეთა შესახებ“. დრომ, სრულიად განსხვავებულმა ეპოქამ შესატყვისი კანონი მოითხოვა. ძნელია ამ კანონის მნიშვნელობაზე საუბარი, უდაო და აუცილებელი. ოღონდაც, გულახდილად დაგვიანებული.

კანონის მიღებამ უდაოდ მნიშვნელოვანი სასტარტო პოზიცია შექმნა. მაგრამ, დაიკარგა დრო და განვლილ პერიოდში უამრავი გამოუსწორებელი შეცდომა დაფიქსირდა. მკითხველს რომ სწორი შეხედულება შეექმნას, დავიხმარ იმ პერიოდში ჯერ კიდევ 1993-94 წელს საქართველოში მოღვაწე უცხოელ ექსპერტთა აზრს. ბრემენის უნივერსიტეტის პროფესორი, შემდგომში „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი თანავტორი როლთ კნოპერი აღნიშნავდა: „სამენარმეო საქმიანობაში მონაწილე ყველა პირი უნდა ემორჩილებოდეს ერთიან წესებს, ე. ი. პრივილეგიები არ უნდა არსებობდეს არც სახელმწიფოსთვის, არც ყოფილი სოციალისტური საწარმოს ხელმძღვანელობითი პირებისთვის, არც უცხოელი ინვესტორებისთვის. დაცული უნდა იყოს ერთიანი სტრუქტურული სქემა იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომელიც თითოეული საწარმოს სამართლებრივ ფორმას ახასიათებს. რაც, თავის მხრივ, არ ხდის აუცილებელს სახელმწიფო საწარმოების გადაჭარბებულ გაცემას კერძო საკუთრებაში, რომლის დროსაც ქონების განიავება ადვილი მოსალოდნელია. საბაზრო ეკონომიკა მხოლოდ მაშინ შეიძლება ფუნქციონირებდეს, როცა სახელმწიფოც ერთ-ერთი პარტნიორია და თვითონვე იცავს მოქმედ კანონებს“.<sup>1</sup> მაგრამ მოხდა ისე, რომ სამენარმეო სამართლის კანონისმიერი ნორმების არარსებობის პირობებში, სხვადასხვა დროებითი რეგულაციებით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების ნაწილი კერძო სექტორში გადავიდა, პრივატიზაციის პროცესები გაიარა მრავალმა საწარმომ, ფორმალურად ჩამოყლიბდა მესაკუთრე-აქციონერთა (ამავე საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა) კლასი. თავისუფალი ბაზრის უპირატესობა თითქოსდა თვალნათლივ წარმოჩინდა, მეტიც სამენარმეო საქმიანობის უფლებები არც თუ ისე ურიგოდ მოვირგეთ, მაგრამ ვალდებულებები არც კი გაგვიაზრებია. რეალობაში მკვეთრად გაიზარდა თავისუფალი-საბაზრო, მაგრამ ფარული ეკონომიკის, მისი კრიმინალიზაციის პროცესი. უმრავლეს შემთხვევებში არასწორი მართვისა და რეალური პასუხისმგებლობის არარსებობის პირობებში განიავდა, გაიძარცვა და განადგურდა ყოფილი გიგანტური სოციალისტური საწარმოები. თავდაპირველად მუშა-მოსამსახურეთა საფუძველზე წარმოქმნილი აქციონერთა დიდი ნაწილი რეალური მესაკუთრის ნაცვლად, მხოლოდ გაუფასურებული აქციის მფლობელ პირებად იქცნენ. ამავდროულად სახელმწიფო ვერ უზრუნველყო, მათ შორის სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მართვა.

ამ პირობებში, თუნდაც დაგვიანებით „მენარმეთა შესახებ“ კანონის და სხვა თანამდევი კანონმდებლობის მიღება უდაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. 1994 წლიდან დაიწყო ახალი (მეორე) ეტაპი საბაზრო ეკონომიკის შესატყვისი საკანონმდებლო რეგულაციებით, რომელიც საკმაოდ გაჭიანურდა და წლამდე 2004 გაგრძელდა.

ამ წლების ტრადიციული სტრატეგია, მარტივი ფრაგმენტული გადაწყვეტილებები („მენარმეთა შესახებ“ კანონში, „სამოქალაქო და საგადასახადო“ კოდექსებში და სხვა კანონებში შეტანილი ცვლილებები) სწრაფი განვითარების პრობლემას ვერ გადაწყვეტდა. საჭირო იყო სახემნიფო პოლიტიკური ნების და საერთაშორისო, დონორი ორგანიზაციების ძალისხმევის ერთობლივი და ერთდროული ოპტიმიზაცია. ამ საკითხებისადმი არაორდინალური მიდგომების, სწრაფი ცვლილებების სტრატეგიის გამოყენება. კანონის ერთ-ერთი ძირითადი ავტორები ბატონები ლ. ჭანტურია და თ. ნინიძე აღნიშნავდნენ კიდევაც, რომ კანონი „მენარმეთა შესახებ“ ქართული მართლშეგნებისათვის მაინც ახალი ქმნილებაა. მასში განმტკიცებული ბევრი დებულება სრულიად უცხოა ჩვენი თეორიისა და პრაქტიკისათვის, მაგრამ შიში ახლის დანერგვის წინაშე არ უნდა გახდეს ხელშემშენებელი პროგრესისათვის.“ ამავე გამაფრთხილებელი პათოსით იყო განმსჭვალული 1996 წელს „მენარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარების პირველი გამოცე-

<sup>1</sup> მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარები - პირველი გამოცემის წინათქმა. ლ. ჭანტურია 1996 წ.

მის რედაქტორის პროფ. სერგო ჯორბენაძის ჩანაწერი: „სამენარმეო საქმიანობა მკაცრ წესრიგსა და უმაღლეს პასუხისმგებლობას გულისხმობს, რაშიც პირველ რიგში უნდა დარწმუნდნენ მენარმეები, რადგანაც კანონის დაცვას მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია მათვის, ვიდრე მის დარღვევას, გვერდის ავლას.“<sup>1</sup>

კანონის მიღებიდან პირველსავე წლებში (1994–1998) ასიათასზე მეტი საწარმო დაფუძნდა. კანონი რეალურ მოქმედებაში შევიდა, მაგრამ მისი სწორი ადაპტაცია ვერ მოხდა. ზოგადად საზოგადოება, მენარმე სუბიექტები მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ გარდამავალი სოციალისტური წარსულიდან რეალურ კანონზე დაფუძნებული საბაზრო ეკონომიკის პრობლემატიკასთან. კანონის თანახმად, სასამართლო ახორციელებდა საწარმოთა სახემლწიფო რეგისტრაციას. რამაც სასამართლო პრაქტიკა ნორმების ახლებური ინტერპრეტაციის პრობლემების წინაშე დააყენა. რიგ შემთხვევაში მათი ინტერპრეტაცია არც თუ ისე მართებული იყო. განსაკუთრებით ეს გამოვლინდა საწარმოთა დაფუძნებასთან, პირველადი შესატანის, საზოგადოებიდან გასვლისა და გარიცხვის ურთიერთობებში, წილის გასხვისების თავისებურებებში, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის რეორგანიზაციის, დაშლის, გაყოფის, შერწყმის, ლიკვიდაციის საკითხებში, რომელთა განხორციელება ინელებოდა დროში და უამრავ ფორმალურ დოკუმენტაციის მოითხოვდა. თანხვედრი პრობლემატიკა წარმოჩნდა ამავე საწარმოთა საგადასახადო რეგისტრაციის საკითხებში. რეალობაში საგადასახადო სამსახურები მოუმზადებელნი აღმოჩნდნენ გადამხდელთა აღრიცხვის პროცესისათვის. სხვადასხვა რაიონულ სამსახურებში სარეგისტრაციო დოკუმენტების „საქალადო საქმეების“ განხილვა ინელებოდა დროში, მიკერძოებისა და რიგ შემთხვევებში კორუფციული, „კანონს მიღმა“ ინტერპრეტაციით გამოირჩეოდა.

**2004 წლიდან, ქვეყანაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესებამ სამენარმეო აქტივობისა და ბიზნეს ლეგალიზაციის მაჩვენებელთა მკვეთრი ზრდა გამოინვია. „თუ 2001-2003 წლებში, ახლად რეგისტრირებულ გადამხდელთა საშუალო წლიური მაჩვენებელი 17 ათასს არ აღემატებოდა, 2004 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 30 ათასი, ხოლო 2006 წელს 100 ათასი შეადგინა, რამაც 6-ჯერ და მეტად გადააჭარბა 2003 წელს რეგისტრირებულ გადამხდელთა რაოდენობას“.<sup>2</sup>**

2003 წლის შემდგომ საწარმოთა რეგისტრაციის მაჩვენებელთა ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ხელშემწყობი ფაქტორი იყო სახელმწიფოს მხრიდან შემოსავლების ლეგალიზაციის, ამ ნაწილში ადმინისტრირების მექანიზმების გაუმჯობესების, ანტიკორუფციული ღონისძიებების გატარების, ბიზნესის რეგისტრაციის პროცედურების გამარტივების, საგადასახადო კანონმდებლობის რეფორმირებისათვის სწრაფვა.

ამ ღონისძიებების ერთობლიობამ აამაღლა არა მარტო ახლად ჩამოყალიბებული საწარმოების, არამედ წარსულში არალეგალურად მოქმედი ბიზნესის რეგისტრაციის მაჩვენებლები. ამასთან, 2004-2007 წლებში ბიზნესის ხელშემწყობის, მისი რეგულაციის და საგადასახადო ტვირთის შემცირებამ უპრეცენდენტოდ გაზარდა ახლად ჩამოყალიბებული ბიზნესის რაოდენობა.

სწორედ ეს პერიოდი შეიძლება ჩაითვალოს ბიზნესის წარმოების, ბიზნესის დაწყების, სახელმწიფო სამენარმეო და საგადასახადო რეგისტრაციის პროცესის, ქრონოლოგიურად მესამე და ამავდროულად რეფორმის პირველ ეტაპად.

2005-2007 წლებში, მომზადდა და მოღებულ იქნა სხვადასხვა სახის კანონთა პაკეტი, ცვლილებები შევიდა საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსებში, კანონებში: მეწარმეთა შესახებ, მოსაკრებლების, სახელმწიფო რეესტრის, უცხოელ მოქალაქეთა სამართლებრივი სტატუსის შესახებ და სხვა თანამდევ საკანონმდებლო აქტებში.

თუ ადრე, სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გადამხდელთა რეგისტრაციის საკითხები რეგულირდებოდა ფინანსთა მინისტრის 4 სხვადასხვა ნორმატიული აქტით, გამარტივების მიზნით, გამოიცა ფინანსთა მინისტრის ბრძანებები (2006 წელს N 717, 2007 წელს შესაბამისი ცვლილებებით-N 233). ამ ერთი ნორმატიული აქტით შესაძლებელი გახდა ყველა კატეგორიის გადამხდელთა სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის ერთიანი წესებისა და პროცედურების გაერთიანება.

როგორც აღვნიშნეთ, ძველი წესების მიხედვით საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციას

<sup>1</sup> ს. ჯორბენაძე - „მეწარმეთა შესახებ“ კანონის რედაქტორისგან, 1996 წ.

<sup>2</sup> ფინანსთა სამინისტრო - კრებული UNDP- 2007 წ.



საერთო სასამართლოები, ხოლო ფონდებისა და კავშირების რეგისტრაციას იუსტიციის სამინისტროს სამსახურები აწარმოებდნენ, რომლის შემდგომ აღნიშნულ იურიდიულ პირთა საგადასახადო რეგისტრაციას საგადასახადო ორგანოები ახორციელებდნენ. შესაბამისად, ბიზნესისათვის გართულებული იყო 2 სხვადასხვა უწყებაში რეგისტრაციის პროცესი, რომელსაც საბანკო ანგარიშის, საჯარო რეესტრში ქონების რეგისტრაციის აუცილებლობაც ემატებოდა.

საკანონმდებლო ცვლილებათა შედეგად 2005 წლიდან საწარმოთა (მათ შორის არასამენარმეო იურიდიულ პირთა) სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაცია „ერთი ფანჯრის“ პრინციპით საგადასახადო ინსპექციებში ერთიანი პროცედურით ხორციელდებოდა. „თუ, წარსულში მენარმე სუბიექტი აღნიშნული მიზნებისათვის ავსებდა 2 სხვადასხვა ფორმის განცხადებას, ცვლილებათა შედეგად ერთს. ამასთან, განცხადება აღარ საჭიროებს დამატებით ნოტარიულ დამოწმებას. სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციაზე გაიცემოდა ორი სხვადასხვა მოწმობა, ახალი წესით გაიცემა ერთი“.<sup>1</sup>

საწარმოს (ინდ.საწარმოს გარდა) სახელმწიფო რეგისტრაციისას, რეორგანიზაციისას, ცვლილების რეგისტრაციისას, ლიკვიდაციისას, ასევე აღნიშნული პროცესების ჩატარებაზე უარის თაობაზე, გამოიცემოდა 8 სხვადასხვა ფორმის ბრძანება (გადაწყვეტილება), ახალი წესით საწარმოს რეგისტრაციაზე გადაწყვეტილებას წარმოადგენს გაცემული მოწმობა.

ამასთან, საკანონმდებლო ცვლილებებამდე საწარმოს სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის პროცესი ერთობლიობაში ხორციელდებოდა 25 (20+5) დღის ვადაში, ფონდებისა და კავშირების რეგისტრაციის – 30 დღემდე, ხოლო ინდენციარმოს შემთხვევაში – 6 სამუშაო დღის განმავლობაში. განხორციელებული ცვლილებების სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის პროცედურების „ერთი ფანჯრის“ პრინციპით შერწყმისა და გამარტივების შედეგად, ორივე პროცესი სრულდება, შესაბამისად 3 და 1 სამუშაო დღეში.

„3-ჯერ შემცირდა საწარმოების სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციისას განცხადებების ფორმებში შესატანი მონაცემების რაოდენობა, თუ ძველი წესით განცხადებებში შეიტანებოდა 37 (საწარმოს შემთხვევაში) და 30 (ინდენციარმოს შემთხვევაში) სხვადასხვა ინფორმაცია, ახალი კანონით იგი შესაბამისად შეადგენს 14 და 10 ერთეულს. საწარმოთა სახელმწიფო რეგისტრაციისათან დაკავშირებული განცხადებიდან და სამენარმეო რეესტრის ფორმულარებიდან ამოღებული იქნა ე.წ. არაფრისმთქმელი მონაცემები, სამეურნეო წლის დასაწყისისა და დამთავრების შესახებ, სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი წევრის შესახებ, პროფესიის, დაბადების ადგილის შესახებ და სხვა. თუ, ძველი წესი ითვალისწინებდა ბიზნესის აღრიცხვის, დამოწმების, შეთანხმებისა და ვიზირების 12 სხვადასხვა პროცედურას, ახალი წესით მათი რაოდენობა 4-მდე შემცირდა.

**ახალი რეგისტრაციის პროცესი უზრუნველყოფდა გადამხდელთა ზუსტი იდენტიფიცირებას.** თუ, ადრე ინდენციარმეთა რეგისტრაცია შესაძლებელი იყო ნებისმიერი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით (პასპორტი, სამხედრო ბილეთი, ლტოლვილის მოწმობა, სხვა). 2004 წლიდან რეგისტრაცია ხორციელდება მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით, მისი პირადი ნომრის ფიქსირებით. **საყურადღებოა, რომ თუ წარსულში რეგისტრაციის მონაცემთა სანდოობა (უტყუარობა) 35 % შეადგენდა, უკვე 2006 წელს მან 97 %-ს მიაღწია“.<sup>2</sup>**

2006 წლის ივლისის საკანონმდებლო ცვლილებათა შედეგად, ფიზიკურ პირთა რეგისტრაცია შესაძლებელი გახდა საბანკო დაწესებულებაში გადასახადის გადახდისას, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის პირადი ნომრით, რომელიც ავტომატურ რეუსიმში იქცევა საიდენტიფიკაციო ნომრად. მკვეთრად გაუმჯობესთა გადამხდელთა რეგისტრაციის მონაცემთა მაჩვენებელი, რისი დადასტურებაცაა მსოფლიო ბანკის 2006 წლის გამოკვლევაში ფიქსირებული შეფასება, სადაც საქართველო წამყვან რეფორმატორ ქვეყნად იქნა მოხსენიებული „ბიზნესის დაწყებისას, რეგისტრაციის პროცედურების სიმარტივის“ პარამეტრების მიხედვით. აღსანიშნავია რომ, მიუხედავად მიღწეულისა ბიზნესის დაწყების პროცესის რეორმირება არ შეჩერებულა. წარმოებული საქმიანობის პრაქტიკამ ახალი პრობლემატიკა და მოთხოვნები წარმოაჩინა – საგადასახადო სამსახურების მხრიდან კანონის ნორმათა ერთგვაროვანი გაგება და პროცედურების ერთნაირად განხორციელების, ერთიანი მონაცემთა ელექ-

<sup>1</sup> გაერთოს განვითარების პროგრამა საქართველოში - 2007 წ.

<sup>2</sup> ფინანსთა სამინისტროს სამაგიდო წიგნი. ს. თავართქმდა არ შეჩერებულა.

ტრონული ბაზის აუცილებლობა და სხვა.

2006 წლის ბოლოს, აშშ ხაზინის (მრჩევლები: ჩარლზ სტრომე, პოლ სანკესი) რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებულ იქნა „გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესების, სისტემის საკანონმდებლო-ნორმატიული და მატერიალურ-ტექნიკური რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის 2006-2009 წლების ეტაპობრივი განვითარების პროგრამა“. ამავე პერიოდში სერიოზული ცვლილებები შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, არასამერწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის წესებსა და დებულებებში. 2007 წლის მარტს, გამოიცა სრულიად ახალი ნორმატიული აქტი, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N 233 - „ფიზიკური და იურიდიული პირების, მათი ფილიალების (წარმომადგენლობების) და გადასახადის სხვა გადამხდელების სახელმწიფო ან / და საგადასახადო რეგისტრაციის წესის შესახებ“.

2006 წელს დაიწყო და 2008-ში დასრულდა ქვეყნის მასშტაბით ერთიანი კომპიუტერული ქსელის, ერთიანი მონაცემთა ბაზის ფორმირება. თითქმის მთლიანად შეიცვალა გადამხდელთა აღრიცხვის საინფორმაციო ტექნოლოგია და ისტრუმენტალური საშუალებანი, რომელთა შორის ერთ-ერთი ძირითადი და მნიშვნელოვანი მიმართულება მონაცემთა საცავების ე.წ. სუპერ-ბაზის აგება იყო. რომელშიაც თავს იყრიდა ქრონოლოგიურ ინფორმაციათა მთელი სპექტრი.

საყურადღებოა, რომ მსოფლიო რეიტინგში „ბიზნესის დახურვა“, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყოველუამს ერთ-ერთი მოუწესრიგებელი, პრაქტიკაში უაღრესად რთულად განსახორციელებელი საკითხი იყო და გაკოტრების კანონის არსებობის პირობებშიც პრაქტიკული რეგულაცია ამ მიმართებით არ და ვერ ხდებოდა. მიუხედავად ამისა, საქართველომ 92-ე ადგილიდან, 86-ე ადგილზე გადაინაცვლა. ლიცენზიის მიღების საკითხში 152-ე დან 42-ე ადგილი.

წინა წელთან შედარებით, 2007 წელს საქართველომ „ბიზნესის კეთების“ 10 ინდიკატორით მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა (112-ე ადგილიდან გადაინაცვლა 37-ე ადგილზე). მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ათიდან, ცხრა ინდიკატორულ მაჩვენებელში წინსვლაა დაფიქსირებული.

„საერთო მაჩვენებლით საქართველო უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა იტალია, ესპანეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, სლოვენია, ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი, უნგრეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და ტაივანი. ხოლო ყოფილი საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან მხოლოდ ლატვიას, ლიტვას, ესტონეთს და სლოვაკეთს ჩამორჩება“.<sup>1</sup>

„ბიზნესის წარმოება 2008“ მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, საქართველო უკვე მე-18 ადგილზეა მსოფლიოში, სადაც ბიზნესის წარმოებისათვის ყველაზე ხელსაყრელი გარემოა შექმნილი. აღნიშნული გამოცემა მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის ყოველწლიურ ანგარიშებს შორის რიგით მეზუთეა.

„ბიზნესის წარმოების“ანგარიშის ერთერთმა ავტორმა სიმეონ დიანკოვმა განაცხადა: „როდესაც სამი წლის წინ საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმების გატარება დაიწყო. იგი 112-ე ადგილზე იყო და ჩამორჩებოდა რეგიონის ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა სომხეთი, რუსეთი, ყაზახეთი, თურქეთი. მას შემდეგ საქართველო 95 პუნქტით დაწინაურდა და შესაბამისად, ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ასეთ პროგრესს მოკლე ხანში მიაღწია“.<sup>2</sup>

ამასთან, „მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ მიიღო ახალი კანონი გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ, მან ვერ უზრუნველყო მევალეთა აქტივების ეფექტური გამოყენება. კანონის მიზანი: გაკოტრების პროცედურების დასრულებისათვის საჭირო დროის შემცირება გარიგების საქმის წარმოების ყველა საფეხურის მცირე ვადაში დასრულების გზით, ვერ მოხდა“.<sup>2</sup> იმუამად გაკოტრების პროცედურების გასავლელად მინიმუმ 3 წელი იყო საჭირო. მაშინ საქართველოში ვალის ამოღების მაჩვენებელი დაახლოებით 23 % იყო. შედარებისათვის, ვალის ამოღების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იაპონიაშია დაფიქსირებული და 92 %-ს შეადგენდა. ხოლო, გაკოტრების პროცედურების დასრულებისათვის კი 7 თვეა საჭირო.

<sup>1</sup> IFC (International Finance Corporation – „ბიზნესის წარმოება 2008“, პრესრელიზი.

<sup>2</sup> IFC, "Doing Business – 2009"



ამავე ანგარიშის მიხედვით 2006-2007 წლებში მსოფლიოს 98 ქვეყანაში 200-მდე რეფორმა გატარდა. აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში 59 რეფორმა გატარდა, მათ შორის 52 დადებითი ხასიათის იყო, რამაც ბიზნესის წარმოების სიმარტივის რეგულირებაზე იქმნია ზეგავლენა.

საყურადღებოა რომ, მაშინ როდესაც, 1996 წელს საქართველოს ეკონომიკის თავისუფლების ხარისხი 40,1 % იყო, 2007 წლისთვის მან 68,7 %-ს მაღალია. საქართველოს მაჩვენებელი მე-20-ეა ევროპის 41 ქვეყანაში და ეს მაჩვენებელი უტოლდება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს, ნინა წელთან შედარებით ინდექსი 3,9 %-ით გაიზარდა.

ანგარიში „ბიზნესის წარმოება 2008“ 178 ქვეყანას ადარებს ერთმანეთს ბიზნესის სიმარტივის თვალსაზრისით, ბიზნესის რეგულირების 10 ინდიკატორზე დაყრდნობით. სინგაპური უკვე მეორე წელია ლიდერობს საერთო რეიტინგში 178 ქვეყანას შორის, აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ყველაზე მოწინავენი არიან: ესტონეთი (17), **საქართველო (18)**, ლატვია (22), ლიტვა (26), სლოვაკეთი (32), სომხეთი (39), უნგრეთი (45), ბულგარეთი (46) და რუმინეთი (48). IFC რეიტინგი ეფუძნება ისეთ ინდიკატორებს, როგორიცაა ბიზნესის დასაწყებად მთავრობის მიერ დაწესებული მოთხოვნების შესასრულებლად საჭირო დრო და დანახარჯები, ბიზნესის წარმოება, ვაჭრობა, გადასახადები და ბიზნესის დახურვა. (ამ რეიტინგის მომზადებისას არ ხდება ისეთი ცვალებადი მაჩვენებლების შესწავლა, როგორიცაა მაკროეკონომიკური პოლიტიკა, ინფრასტრუქტურის ხარისხი, ვალუტის კურსის ცვალებადობა, ინვესტორების პოზიცია და სხვა ანალოგიური მონაცემების ანალიზი).

შესაძარებლად მოვიყვანთ ზოგიერთ ანალიტიკურ დასკვნას საერთაშორისო სავალუტო ფონდის ანგარიშიდან.

„უნგრეთში გაადვილდა ბიზნესის დაწყება, კომპანიის შესახებ და კორპორაციული პროცედურების შესახებ ახალი აქტების მიღების შედეგად დაინერგა რეგისტრაციისათვის საჭირო სტანდარტული ფორმები, ასევე პრინციპი „დუმილი თანხმობის ნიშანია“ და კომპანიის ელექტრონულ რეჟიმში რეგისტრაცია. ცვლილებების შედეგად ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო დრო 38-დან 16 დღემდე შემცირდა.

ანალოგიური მაჩვენებლები აზერბაიჯანში 52 დღიდან 30 დღემდე შეამცირეს, ბელორუსიაში დაინერგა „ერთი სარკმლის“ პრინციპი ბიზნესის რეგისტრაციისათვის, რამაც რამდენადმე შეამცირა ვადები. ჩეხეთის რესპუბლიკაში 24 დღიდან 17 დღემდე შეამცირეს ბიზნესის დასაწყებად საჭირო დრო. ესტონეთში დანერგეს სტანდარტული სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. ასევე ექვსიდან ხუთამდე შეამცირეს ბიზნესის დასაწყებად საჭირო პროცედურები, რითაც 35 დღიდან 7 დღემდე შემცირდა საჭირო დრო და განახევრდა დანახარჯები. მაკედონიაში გაუქმდა ბიზნესის დასაწყებად საჭირო მინიმალური კაპიტალის მოთხოვნა და ა.შ.

ყველაზე დიდი ნახტომი ჩვენმა ქვეყანამ „ბიზნესის დაწყების“ რეფორმირებით განახორციელა. 2007 წლიდან ბიზნესის დაწყება (სახემლნიტო და საგადასახადო რეგისტრაცია) საქართველოში „ერთი ფანჯრის პრინციპით“ ხორციელდება 3 დღის ვადაში. სწორედ ამ დროიდან შეიძლება ჩაითვალოს ამ სფეროში რეფორმის მესამე ეტაპის დაწყება.

იმუამად საქართველოში 100 მოსახლეზე 15 ბიზნესი იყო რეგისტრირებული. ასეთივე მაჩვენებელია დაფიქსირებული მაღალი ბიზნესი. ჩეხეთსა და სლოვაკეთში ეს მაჩვენებელი 13-ს უტოლდება (ისევე, როგორც სინგაპურში), ხოლო ესტონეთსა და პოლონეთში 100 მოსახლეზე 12 ბიზნესი მოდის (ისევე, როგორც პონგ კონგში, ჩინეთი).

2009 წელს „ბიზნესის კეთების სიმარტივის“ ინდექსით შეფასდა 181 ქვეყანა, მათ შორის საქართველო. აღნიშნული შეფასების მიხედვით პირველი ათეული უკავიათ შემდეგ ქვეყნებს: სინგაპური, ახალი ზელანდია, აშშ, პონგ-კონგი, დანია, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ირლანდია და ავსტრალია.

ამ წელს საქართველომ ქვეყნების რეიტინგში დაიკავა მე-15-ე ადგილი და უსწრებს ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა: გერმანია, ბელგია, შვედეთი, შვეიცარია და ა.შ.

2009 წლის ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსის რეიტინგი  
(პირველი 15 ქვეყანა)<sup>1</sup>

| ქვეყანა             | ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი | ბიზნესის დაწყება | საკუთრების რეგისტრირება | ბიზნესის ლიკვიდაცია |
|---------------------|-------------------------------------|------------------|-------------------------|---------------------|
| სინგაპური           | 1                                   | 10               | 16                      | 2                   |
| ახ. ზელანდია        | 2                                   | 1                | 3                       | 17                  |
| ა.შ.შ               | 3                                   | 6                | 12                      | 15                  |
| ჰონგ კონგი,<br>ჩინე | 4                                   | 15               | 74                      | 13                  |
| დანია               | 5                                   | 16               | 43                      | 7                   |
| დიდი ბრიტ.          | 6                                   | 8                | 22                      | 9                   |
| ირლანდია            | 7                                   | 5                | 82                      | 6                   |
| კანადა              | 8                                   | 2                | 32                      | 4                   |
| ავსტრალია           | 9                                   | 3                | 33                      | 14                  |
| ნორვეგია            | 10                                  | 33               | 8                       | 3                   |
| ირლანდია            | 11                                  | 17               | 15                      | 16                  |
| იაპონია             | 12                                  | 64               | 51                      | 1                   |
| ტაილანდი            | 13                                  | 44               | 5                       | 46                  |
| ფინეთი              | 14                                  | 18               | 21                      | 5                   |
| საქართველო          | 15                                  | 4                | 2                       | 92                  |

აღსანიშნავია, რომ 2008 წელს, რუსეთის მხრიდან საქართველოს ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის მიუხედავად, შემდგომ წლებში (2008-2010) განსახორციელებული რეფორმები ბიზნესგარემოს გაუმჯობესების მიზნით არ შეჩერებულა. აქცენტი გადატანილი იქნა ბიზნესის კეთების საერთო რეიტინგის გაუმჯობესების, ბიზნესის დაწყების, საკუთრების რეგისტრაციის და ბიზნესის ლიკვიდაციის (ჩამონათვალში ამ უანასკნელი მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს არც თუ ისე სახარპიელო 92-ე ადგილი ეკავა) პროცედურათა გამარტივებაზე.

როგორც ავღნიშნეთ, აქამდე კომპანიის ლიკვიდაციის პროცედურების დასრულებისათვის საშუალოდ 3.3 წელი იყო საჭირო. ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, „2004 წლიდან 2010 წლამდე ლიკვიდაციის რიგში 500 კომპანიამდე იდგა“. ხოლო, ინდ. მენარმის ლიკვიდაცია მომქმედი კანონმდებლობით შესაძლებელი იყო მხოლოდ მისი გარდაცვალების ან ქმედუუნაროდ გამოცხადების შემთხვევაში.

იმუამად, მენარმეთა შესახებ კანონის შესაბამისად, ინდმენარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი, კომანდიტურ საზოგადოებაში – კომპლემენტარი პასუხს აგებენ მთელი თავისი, მ. შ. პირადი ქონებით. ანალოგიურად, საწარმოთა დირექტორები, რომელთა ქმედებამ ან უმოქმედობამ სერიოზული ზიანი მოუტანა საწარმოს, პასუხს აგებენ პირადად, თავისი ქონებით. შესაბამისად, აუცილებელი იყო ქონების რეგისტრაციის მონაცემთა ბაზის წვდომა, შესაბამისი მატერიალურ ტექნიკური შესაძლებლობები, ინფრასტრუქტურა და სხვა პირობები. შესაბამისად, დაისვა ბიზნესის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის სააგენტოში გადატანის საკითხი.

„მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში შევიდა რამდენიმე სერიოზული ცვლილება (N 5913 -2008წ. N 1974; 2457;-2009წ. N 2779; 3753; -2010წ.) მენარმე სუბიექტების დაფუძნების, მისი რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის თაობაზე. შესაბამისობაში მოვიდა კანონები საჯარო რეესტრის წარმოების, ლიცენზირებისა და ნებართვების, მოსაკრებლების შესახებ. ცვლილებები შევიდა საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსებში და სხვა თანმდევ კანონებში.

შესაბამისად, 2010 წლის 1 იანვრიდან „მენარმე სუბიექტების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მომქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“ <sup>2</sup> ბიზნესის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციამ „ერთი ფანჯრის პრინციპით“ საგადასახადო სამსახურებიდან საჯარო რეესტრში გადაინაცვლა, რითაც უზრუნველყოფილი იქნა სამენარმეო ქონებრივი და საგადასახადო მონაცემთა ერთობლივი ელექტრონული ბაზის შექმნა, მისი ახალი პროგრამული ანალიზი და წარმოება. კიდევ უფრო გაუმჯობესდა მენარმე-

<sup>1</sup> ინფორმაცია (ცხრილი) ამოდებულია ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის მასალებიდან.

<sup>2</sup> „მენარმეთა შესახებ“ კანონი (25,12,2009 N2457) მუხლი 4.2.



თა მომსახურეობის ხარისხი, დაიდგა “რიგის მომწესრიგებელი” თანამედროვე აპარატურა. იქვე ამოქმედა „უფასო საკონსულტაციო მომსახურეობის“, ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო დოკუმენტების (წესდების, პარტნიორთა კრების ოქმის და სხვა) მომზადების როლი. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფისებში განთავსდა კომერციული ბანკების ფილიალების სამსახურები. მენარმე სუბიექტებს იქვე იმავე შენობაში (საჯარო რეესტრში) შეუძლიათ გახსნან საბანკო ანგარიში, შეიტანონ, შეავსონ საწესდებო კაპიტალი, განახორციელონ სხვა (მომსახურეობის, მოსაკრებლის გადახდა) ოპერაციები.

აღსანიშნავია, რომ კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად ბიზნესის რეგისტრაციისათვის წარსადგენი დოკუმენტები არ საჭიროებენ აუცილებელ სანოტარო დამოწმებას. მენარმე სუბიექტებს, პარტნიორებს, ხელმძღვანელობით უფლებამოსილ პირებს იქვე საჯარო რეესტრში შეუძლიათ შეადგინონ, ხელი მოაწერონ სადამფუძნებლო დოკუმენტებს. გაუქმდა საწარმოს ბეჭდის აუცილებლობის, შპს-ში მიწიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნა და ა.შ.

ამოქმედდა „მენარმეთა შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილება: „საწარმოს ლიკვიდაციის პროცესი უნდა დასრულდეს საწარმოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან არა უგვიანეს 4 თვისა“.<sup>1</sup> გაუმჯობესდა მომსახურეობის ხარისხი. თუ წარსულში სამენარმეო რეგისტრაციას მხოლოდ 9 რეგიონალური საგადასახადო ინსპექცია ახორციელებდა, დღეს ყოველივეს საჯარო რეესტრის 64 ტერიტორიული სამსახური ემსახურება. 2010 წლის 4 თებერვლიდან სამენარმეო რეესტრის ამონაწერების მიღება ინტერნეტის მეშვეობითაც არის შესაძლებელი.

არსებობს მოსაზრება, რომ ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის „ერთი ფანჯრის პრინციპით“ განხორციელების მოდელი რომელიმე ერთი დასავლური ქვეყნიდან გადმოტანილი ასლია. სახელდება ავსტრიული, ჩეხური ესტონური, უნგრული თუ სხვა ქვეყნების მოდელები. ეს მსჯელობა არასწორია, თუმცადა გვეამაყება, რომ ამ ქვეყნების ჩამონათვალში არ სახელდება არც რუსული, ბელორუსული და არც თურქენული მოდელური სქემები. საქართველოში სახელმწიფო და საგადასახადო რეგისტრაციის მოდელის ზუსტად მსგავს, ერთიან საკანონმდებლო აქტს ვერ ნახავთ ვერც ერთი ქვეყნის კანონმდებლობაში. ეს არის ქართული მოდელი. იგი შექმნილია საერთაშორისო ექსპერტთან თანამშრომლობით ქვეყნის რეალობის გათვალისწინებით, რომელიც ემყარება კონტინენტური ევროპის სამართლებრივ ტრადიციას, მის ძირითად პრინციპებს. ამ მოდელში წარმოჩინებულია ბიზნესის ხელშეწყობის, მენარმეთა მომსახურეობის გამარტივების, მონაცემთა უტყუარობის, გადამხდელთა ზუსტი იდენტიფიცირების, რეგისტრაციის მონაცემთა დაბეგვრის მიზნებისათვის გამოყენების ამოცანები.

ბიზნესის დაწყება საქართველოში ძალიან მარტივია, შეიძლება ითქვას, რომ ბიუროკრატიული ან პროცედურული ბარიერები საწარმოს დარეგისტრირებისათვის თითქმის არ არსებობს. რაც თავის მხრივ, ნამდვილად თამამი და წარმატებული რეფორმის შედეგია. მაგრამ, დრო ახალ პრობლემატიკასაც წარმოშობს. პრობლემა, რომელიც უპირველესად წარმოქმნება ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალი სამენარმეო კულტურის, ნორმებისა და წესების გაუთვითცნობიერებულობის, სამენარმეო სუბიექტთა, დამფუძნებელთა, აქციონერთა, მეპაიეთა, დირექტორების, პროცესურისტების უფლებებისა და მოვალეობების გაუზრუნებლობით. ბიზნესის წარმოებისათვის სხვა თანმდევი ხელშეწყობი პირობების გაუმართაობით.

მსოფლიო ბანკი, იმავე ანგარიშის მიხედვით, მკაფიოდ აყალიბებს რეფორმის შემდგომი განვითარების მოთხოვნას: „ ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია სამენარმეო კულტურის დონე. აუცილებელია მენარმეების ინფორმირებულობის დონის გაზრდა მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, ასევე სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის პრაქტიკის დანერგვა, იმ პირთა აზრის გონივრული გაზიარება და გათვალისწინება, ვისი საქმიანობაც უნდა დაარეგულიროს ამა თუ იმ კანონმა“... რასაც არ შეიძლება, რომ არ დავეთანხმოთ. გამოიკვეთა საყურადღებო ტენდეციები: „საშუალოდ ყოველწლიურად, ყოველი 100 ბიზნეს სუბიექტიდან 74 რეგისტრირდება ინდ. მენარმის სახით, 24-მდე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2-მდე არასამენარმეო იურიდიული პირები. ხოლო სხვა სუბიექტების რაოდენობა ძალზე უმნიშვნელოა. მაგ: 2010 წელს სულ ახლად რეგისტრირებულ სუბიექტთა სა-

<sup>1</sup> „მენარმეთა შესახებ“ კანონი (3,11,2009 N1974) მუხლი 10.

ერთო რაოდენობიდან (46679), მხოლოდ 15-ია სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 18-კოპერატივი, 27-სააქციო საზოგადოება და 3 კომანდიტური საზოგადოებაა.<sup>“1”</sup> რაც, ქვეყანა-ში ბიზნესის წამყვანი და ქმედითი (როცა კაპიტალი და პასუხისმგებლობა ერთიანდება) ოგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების განუვითარებლობაზე მეტყველებს.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის განვითარებისთვის და, მით უმეტეს, ბიზნესის დაწყებისათვის ფინანსურ რესურსებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. რაც არ უნდა მარტივი იყოს კომპანიის დარეგისტრირება, თუ ფინანსები არ არის ხელმისაწვდომი (აյ უპირველე-სად იგულისხმება საბანკო საკრედიტო ხელმისაწვდომობა, პროცედურების სიმრავლე, ხანგრძლივობა, საპროცენტო განაკვეთი და სხვა ) ყველაზე პერსპექტიული ბიზნესიც კი განვითარებული ან/და სათუო იქნება. ამ მიმართებით საფიქრალი მართლაც ბევრია. თუ გავაანა-ლიზებთ მენარმეთა და სხვადასხვა საბანკო დაწესებულებებს შორის გაფორმებულ საკრედიტო ხელშეკრულებებს, აშკარად წარმოჩინდება ტენდენცია – არასასურველი, ბიზნესის ხელშემ-შლელი, უფრო მეტიც, რიგ შემთხვევაში საქართველოს (სამოქალაქო კოდექსი) და საერთა-შორისო (ვენის კონვენცია) კანონმდებლობის ერთ ერთი ძირითადი მოთხოვნის: „მხარეე-ბის თანაბარუფლებიანობის“ დაუცველობის შესახებ.

2008 წლის მაისიდან „მენარმეთა შესახებ“ კანონში შევიდა უაღრესად საინტერესო მუხ-ლი-57.1 – „სანარმოს რედიმიცილება“, რომლის თანახმად „შესაძლებელია უცხო ქვეყნის სა-ნარმოს საქართველოში გადმოტანა“, მაგრამ რედიმიცილების წესი და პირობები, რომელიც ამავე მუხლის თანახმად მთავრობის დადგენილებით უნდა იყოს დადგენილი, ჯერჯერობით განსაზღვრული არ არის. ვფიქრობ, ამ მუხლის სრულყოფილად ამოქმედება სერიოზულად შე-უწყობს ხელს ქვეყანაში უცხოური წარმოების, ინვესტიციების განხორციელებას.<sup>2</sup>

ასევე, ვფიქრობ, სათანადო ყურადღებას მოითხოვს კანონით განსაზღვრული სანარ-მოს საფირმო სახელწოდების საკითხი. 6.5 მუხლის თანახმად „სანარმოს სახელწოდებას არ უნდა ერთვოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესა-მე პირი ან / და გამოიწვიოს შეცდომა, ან/ და გაუგებრობა“. მოსალოდნელი შეცდომის თავი-დან ასაცილებლად ყოველი ახალი ფირმა რეგისტრაციისას უნდა შეიცავდეს მკაფიო განსხვავე-ბებს ყველა იმ ფირმისაგან რომლებიც წარსულში უკვე რეგისტრირებულია. სამწუხაოოდ, აღ-ნიშნული საკითხის რეგულირება წარსულში, როცა არ არსებობდა რეგისტრაციის ერთიანი კომპიუტერული ბაზა, არ და ვერ ხდებოდა. ვფიქრობ, ახლა ყველანაირად შესაძლებელია თავიდან ავიცილოთ ორი, სამი, ხუთი და მეტი ერთიდაიგივე საფირმო სახელწოდებების მქონე სანარმოები. ახალი არ დავარეგისტრიროთ, ხოლო წარსულში არსებულ ასეთ სანარ-მოებს „განმეორებითი რეგისტრაციის“ ფორმატის გამოყენებით შევუცვალოთ, ან რაიმე დანამატით განვასხვავოთ თითოეული.

ამ კვლევაში წარმოჩინებული წარმატება გააზრებული და სწორი რეფორმირებით იქ-ნა მიღწეული. რეფორმა კი, თავის მხრივ, უპირველესად მუდმივ განახლებას და ინოვაციას მოითხოვს, რომელიც ძველი, თუ დროით მოტანილი ახალი პრობლემატიკის გააზრების გა-რეშე შეუძლებელია.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

- Heritage Foundation. 2009 წელი.
- „მენარმეთა შესახებ“ კანონის კომენტარები. 1996 წელი.
- ფინანსთა სამინისტროს კრებული „სანარმოთა რეგისტრაცია“ UNDP- 2007 წ.
- გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში. 2007 წელი.
- საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის სტატისტიკური მონაცემები.
- IFC „Doing Business“. 2008-2009 წელი.
- [www.freetheworld.com](http://www.freetheworld.com) (ოფიციალური ვებ-გვერდი).
- ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის მასალები.

<sup>1</sup> წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო. 2010 წლის 12 თვის მაჩვენებელი

<sup>2</sup> „მენარმეთა შესახებ“ კანონის 57.1 მუხლი.



## ამირან თავართელაძე

### საქართველო – ბიზნესის დაწყების რეფორმატორი

#### რეზიუმე

ნაშრომში განხილულია მსოფლიო ბანკის ბოლო 5 წლის გამოკვლევები „ბიზნესის წარმოების“ შესახებ, რომლის მიხედვით, 183 ქვეყანას შორის საქართველომ ყველაზე დიდ პროგრესს მიაღწია და ყველაზე აქტიური რეფორმატორია. ასეთი შედეგი მიღწეულია 2004-2009 წლებში აშშ ხაზინის რეკომენდაციებისა და საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული გააზრებული და სწორი რეფორმირებით. სტატიაში შემოთავაზებულია ნინადადებები აღნიშნული პროცესის შემდგომი სრულყოფისა და ოპტიმიზაციისათვის.

**Amiran Tavartkiladze**

#### Georgia – The Reform of Starting Business

#### Abstract

In previous work I have discussed findings of the World Bank on business administration in Georgia during the last 5 years. According to them Georgia has achieved the biggest progress and is the top reformer among the 183 countries. These results have been achieved in 2004-2009 with the help of US Treasury recommendations and with the intelligent and reasonable reforms implemented by the Georgian government. In the article I have included suggestions about future development and optimization of abovementioned process.



## სოციკო თევზდორაპი

### გლობალზაფია და ტრანსნაციონალური კომპანიები სასტუმრო ინდუსტრიაში

XX საუკუნის მიწურულს მსოფლიოში ახალი ტიპის ეკონომიკა ე.წ. გლობალური ეკონომიკა ჩამოყალიბდა. „ეს არის ეკონომიკა, რომელსაც შეუძლია როგორც ერთიანმა სისტემამ, მთელი პლანეტის მასშტაბით იმუშაოს, რეალური რეჟიმისა და დროის პირობებში“[1].

გლობალიზაცია სისტემური და კომპლექსური პროცესია, რომელიც თანმიმდევრულად ცვლის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას. ყალიბდება ე.წ. „გლობალური საზოგადოება“- ყველა ვეკუთვნით ერთ გლობალურ საზოგადოებას, რომელიც შედგება ლოკალური საზოგადოებებისაგან. ასეთი ღრმა ცვლილებების აღსაქმელად მზად არ აღმოჩნდა მსოფლიო საზოგადოების უდიდესი ნაწილი, თუმცა უმრავლესობა ხვდება, რომ იგი გარდაუვალი პროცესია და რომ მისი აღტერნატივა არ არსებობს. გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში მონაწილეობის გარეშე ქვეყნები ვერ შეძლებენ ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევას.

გლობალიზაციის საფუძვლად ითვლება მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის პროცესი. განსაკუთრებით ინტენსიურად ეს პროცესი წარიმართა XX საუკუნის 60-იანი წლების შუახანიდან. ინტერნაციონალიზაციას მივყავართ საერთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებამდე, მის გაღრმავებასა და ინტენსიფიკაციამდე. ამ პროცესის მთავარი მაჩვენებელია სახელმწიფოებს შორის ეკონომიკური გაცვლის გაძლიერება, რომელიც ეყრდნობა შორის მზარდ საერთაშორისო დანაწილებას. მაგრამ, ეს არ არის მხოლოდ ექსპორტ-იმპორტის პროცესი. ეს არის ეროვნული ბაზარი, რომელიც მსოფლიო ბაზრის ერთ ინტეგრირებულ ასპექტს წარმოადგენს. XX საუკუნის 90-იანი წლებში ამ პროცესმა მიგვიყვანა პლანეტის ეკონომიკური სივრცის მრავალჯერად შეკუმშვამდე და საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების განვითარების რთულ სისტემამდე. ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ზრდის ყველაზე უფრო ზოგად მაჩვენებლად ითვლება საერთაშორისო ვაჭრობის ზრდა. ამ თვალსაზრისით, მომსახურებით ვაჭრობა, მათ შორის ტურისტულითაც, არ არის გამონაკლისი. ტურიზმი ეკონომიკის ის დარგია, რომელიც წარმატებას სწორედ ასეთი ინტერნაციონალიზაციის მეშვეობით აღწევს. ამასთან, მაღალია ტურიზმის შესაძლებლობების მაშტაბები კონვერტირებადი ვალუტის მოზიდვის თვალსაზრისით. ტურიზმში უაღრესად მაღალია მულტიპლიკატორული ეფექტი, რაც გულისხმობს იმას, რომ ტურიზმში შექმნილი ერთი სამუშაო ადგილი სხვა დარგებში ქმნის ორ სამუშაო ადგილს.

მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვანად გაიზარდა XX საუკუნის ბოლო მესამედში. 1995 წელს მომსახურების ექსპორტის ყოველწლიურმა მოცულობამ გადააჭარბა 1 ტრლნ. დოლარს, ხოლო საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობის საერთო ღირებულებაში მომსახურების წილმა ერთი მეოთხედი შეადგინა. თუ 1980 წელს მომსახურების მსოფლიო ექსპორტი შეადგენდა 367 მლრდ. დოლარს, 1990-ის – 803 მლრდ. დოლარს, 2001 წელს მან უკვე შეადგინა 1350 მლრდ დოლარი, ანუ XX საუკუნის ბოლო მესამედში მომსახურების მსოფლიო ექსპორტი ყოველ ათ წელიწადში თითქმის ორჯერ იზრდებოდა.

ტრანსნაციონალური კომპანიები გლობალური ეკონომიკის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია. გაერთიანებული ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიო ვაჭრობის 70% და ინვესტიციების 80% ტრანსნაციონალურ კომპანიებზე მოდის. მათი ხელის წილი მსოფლიო მშპ შეადგენს 58%.

ტრანსნაციონალურ კომპანიებს უდიდესი გავლენა აქვთ გლობალიზაციის პროცესის ინტენსიურ განვითარებაზე. მათი რაოდენობა 78000-ია, ხოლო შვილობილი კომპანიებისა – 800000. შვილობილი კომპანიების ნახევარზე მეტი განლაგებულია განვითარებად ქვეყნებში.

საერთაშორისო ტურიზმში ინტერნაციონალიზაციის პროცესების ნათელი მაგალითია ტრანსნაციონალური კომპანიები (ტნკ), რომლებიც განთავსების სექტორის მაგალითზე განხილებიან. ტნკ-ს თავისებურებები ყველაზე უფრო გამოკვეთილად ვლინდება ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიაში. ტნკ-ი იღებენ სასტუმრო ქსელის სახეს, რომლებიც გარდაიქმნენ საერთაშორისო ცხოვრების შესამჩნევ მოვლენად. ამ ქსელების გაჩენის ერთ-ერთი მიზეზი დაკავშირებულია ბიზნესის ადაპტაციასთან გლობალურ ტენდენციებთან მსოფ-



ლიო საზოგადოების განვითარებაში. ე.ი. ვლინდება საერთაშორისო ტურიზმის წინსწრებით განვითარებაში, საქმიან მოგზაურობებში, ეკონომიკის გლობალიზაციაში. ამ ტენდენციის რეალიზაციის ფორმად ითვლება უცხოელი ტურისტებისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონის მოქალაქეების მომსახურებისა და ცხოვრების უნიფიცირებული სტანდარტებით უზრუნველყოფა. მაგალითად, პირველი საერთაშორისო სასტუმრო ქსელი „Hilton“-ი თავის ჩამოყალიბებას უნდა უმაღლოდეს ამერიკულ ავიასატრანსპორტო კომპანიას „Pan American“-ს. აწყობდა რა ფრენებს ლათინური ამერიკის ქვეყნებში, კომპანიამ აღმოაჩინა, რომ იქ არ არის იმ დონის სასტუმროები, როგორსაც ამერიკელი ბიზნესმენები მიეჩივნენ.[2] მეორე მიზეზი – ეს უკვე ეკონომიკურია. ბრიტანელი სპეციალისტების მიერ ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენეს, რომ სასტუმროების გაერთიანებით ქსელში ერთი ნომრის შემოსავალი შვიდჯერ მეტია, ვიდრე დამოუკიდებელ სასტუმროებში. გარდა ამისა, დამოუკიდებელი ობიექტები ვერ განახორციელებენ უახლესი ძვირადღირებული ტექნოლოგიებისა და გლობალური მარკეტინგული პროგრამების დამუშავებას. ფილიალების მქონე ქსელებს შეუძლიათ მყარად გადაიტანონ დაბალი დატვირთვების სეზონი.

სასტუმროს ქსელების განვითარების ერთ-ერთი ფორმის სახით შეიძლება განვიხილოთ ტაიმშერის ინდუსტრია. ტაიმშერი შეიძლება განვმარტოთ როგორც დასასვენებელი ადგილის ყიდვა ერთი ან ორი კვირით. ტაიმშერის ინდუსტრიამ განვითარება დაიწყო 1970-იანი წლებიდან ბინების (სახლების) გაცვლის პროგრამიდან აშშ-ში. კურორტების რაოდენობის (43,6% საერთო დონიდან) და მეპატრონეთა რიცხვის (1,5 მლნ. ადამიანი) მიხედვით ტაიმშერის ლიდერად ითვლება აშშ. ტაიმშერის ბაზრის განვითარებაში მიიზიდეს ისეთი მსხვილი კომპანიები, როგორებიცა სასტუმროების ქსელი „Marriott“-ი. აშშ-ის შემდეგ ტაიმშერის ბიზნესის განვითარების დონის მიხედვით მეორე ადგილზეა ევროპა. აქ უმსხვილეს ბაზრად ითვლება დიდი ბრიტანეთი.

ამჟამად სასტუმროების მეურნეობა მსოფლიოში განიცდის გარდატეხის პერიოდს. ადგილი აქვს სექტორის სტრუქტურულ გარდაქმნას, იცვლება წარმოების ორგანიზაციისა და მართვის ფორმები, ტრანსნაციონალური საქმიანობის ორგანიზაციის მოდელები.

ინვესტიციების გარეშე შეუძლებელია ტურისტული ინდუსტრიის განვითარება. მტო-ს მონაცემებით მსოფლიო მასშტაბით ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციების მოცულობა შეადგენს ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობის 12%, აქედან უდიდესი ნაწილი ტრანსნაციონალურ კომპანიებზე მოდის.

საქართველო 105 საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი ქვეყნის მშპ-ის 9% შეადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, ტურიზმში ინვესტიციების მოცულობა და მისი სტრუქტურა ოფიციალურ დოკუმენტებში ცალკე მუხლად არ გამოიყოფა, რაც არ იძლევა ღრმა ანალიზის საშუალებას. კერძოდ, თუ რა ხარისხითა ჩართული საქართველოს ტურიზმი გლობალიზაციის პროცესში და აქედან გამომდინარე, ძნელია განისაზღვროს ტურიზმის გლობალიზაციის მიმართულებების სტრატეგია.

გლობალიზაცია რთული პროცესია. იგი მსოფლიო პროგრესის საფუძველია, მაგრამ როგორც ყველა პროცესს, მასაც თან სდევს ნეგატიური მომენტები. საქართველოს ტურიზმის გლობალიზაციის პროცესის სწორი მენეჯმენტი საშუალებას მოგვცემს შევიდეთ „ოქროს მილიარდის“ ქვეყნების სივრცეში.

უნდა აღინიშნოს, რომ Global Policy-ს გლობალიზაციის ინდექსის რეიტინგში 62 ქვეყანას შორის საქართველო არ ფიგურირებს, რაც მიუთითებს იმაზე, რომ გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის ხარისხი დაბალია.

ბოლო პერიოდამდე, სამი ათწლეულის განმავლობაში ყველაზე ეფექტიანად ითვლებოდა გლობალიზაციის ამერიკული მოდელი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა სასტუმროს ბიზნესის განვითარებაში. ეს მოდელი ეყრდნობა ნაკადურ-მასობრივი წარმოების სისტემის პრინციპებს, რომლებიც პირველად დაინერგა აშშ-ში. ფორდის ავტოქარხნებში. ეს სისტემა ეფუძნება საწარმოო პროცესების სტანდარტიზაციას, ტიპიზაციას და კონვეირიზაციას. სასტუმროს მეურნეობაში წარმოების ნაკადურ-მასობრივი ორგანიზაციის ამერიკულმა მოდელმა გამოხატულება პირველა უმაღლეს დონეზე სტანდარტიზებულ ეროვნულად ორიენტირებულ განთავსების საშუალებებში. მათი ქსელი სწრაფად გაფართოვდა ისეთი სასტუმროების კომპანი-

ების წყალობით, როგორებიცაა „Holiday Inn“, „Best Western Motel“, „Howard Johnson Hotel“ და სხვა.

ახალ საბაზრო პირობებში წარმოების გაუპიროვნებელ-კონვეირულ სისტემას აკლდა მოქნილობა. ამერიკული ტნ-ი აღმოჩნდნენ უუნარონი სწრაფი რეაგირება მოეხდინათ მუდმივად ცვალებად სამომხმარებლო მოთხოვნებზე. თანამედროვე ეტაპზე დივერსიფიკაცია საერთოდ და კერძოდ ტურიზმში, დარგის მენეჯმენტის სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენს.

სასტუმროს ბიზნესის ორგანიზაციისა და მართვის ამერიკული მოდელის კრიზისი სხვადასხვა ფორმებში ვლინდება. მსოფლიო ბაზარზე გამოვიდნენ იაპონური, ბრიტანული, სიანგანის (ჰონგ-კონგის), სკანდინავიისა და საფრანგეთის ოპერატორები, რომლებმაც შეავინწროვეს ამერიკული კომპანიები. ამ მხრივ ყველაზე სანიმუშოა ფრანგული ჯგუფი „Accor“-ი. ამერიკულისგან განსხვავებით სასტუმროს საქმის ორგანიზაციისა და გაძლოლისადმი ევროპული მიდგომა თავიდანვე იყო უფრო რბილი და ნაკლებად ორიენტირებული სტანდარტიზაციაზე. ფრანგული ჯგუფის „Accor“-ის ხელმძღვანელობის აზრით, კომპანიამ საერთაშორისო წარმატებას მიაღწია მეურნეობის მოქნილი სისტემისა და უცხოურნაციონალურ გარემოში ჩართვის შედეგად.

სხვა მოდელს აზიური წარმოშობა აქვს და მსოფლიოში სულ უფრო მეტ გავრცელებას პოულობს იაპონურ და სიანგანურ (ჰონგ-კონგი) სასტუმროების ქსელებთან ერთად. ის მთლიანად ორიენტირებულია შორეულ პერსპექტივაზე. ტნ-ს და ყველა მისი საწარმოს ცხოვრების უნარიანობის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად ითვლება მისი მოქნილობა და გრძელვადიან პერიოდში ფუნქციონირების ეფექტიანობა. ასეთი მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, რამდენადაც სასტუმროს აზიური ტნ-ი ზრდიან პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოცულობებს. ზოგიერთი სპეციალისტების შეფასებით, 2019 წლისათვის 10 წამყვანი სასტუმროს ქსელიდან მსოფლიოში ნახევარს აზიური ფესვები ექნება.

ამგვარად, სასტუმროების ქსელების, როგორც ტრანსნაციონალური კაპიტალის ახალი ფორმის, განვითარებას იქამდე მივყავართ, რომ მთელს მსოფლიოში გაფანტული ერთი ტიპის სასტუმროების ფილიალების ფართო ქსელი, ითვლება ტნ-ს მყარი ფუნქციონირების საწინდრად, რითაც აძლიერებს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ტრანსნაციონალიზაციის ტენდენციებს.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. Кастельс М. Информационная эпоха: экономика, общество и культура. с 105. М., 2000.
2. Филипповский Е.Е. Шмарова Л.В. Экономика и организация гостиничного хозяйства. М.: Финанси и статистика, с 9. 2003.
3. Квартальнов В.А., И.В. Зорина (Под.ред и др). Экономика туризма М., 2002
4. Колодко Г. Глобализация и сближение уровней экономического развития - ж. «Вопросы экономики», #36. 2005.
5. Медлик С., Инграм Х. Гостиничный бизнес. М.: ЮНИТИ-ДАНА, 2005.
6. [www.hotelconsulting.ru](http://www.hotelconsulting.ru)



## სოფიკო თევდორაძე

### გლობალიზაცია და ტრანსნაციონალური კომპანიები სასტუმრო ინდუსტრიაში

#### რეზიუმე

გლობალიზაცია სისტემური და კომპლექსური პროცესია, რომელიც თანმიმდევრულად ცვლის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას. გლობალიზაციის საფუძვლად ითვლება მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის პროცესი.

საერთაშორისო ტურიზმში ინტერნაციონალიცაზიის პროცესების ნათელი მაგალითია ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებიც განთავსების სექტორის მაგალითზე განიხილებიან. ტნკ-ის განვითარება სასტუმრო ინდუსტრიაში აძლიერებს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ტრანსნაციონალიზაციის ტენდენციებს.

**Sopiko Tevdoradze**

#### **Globalization and Transnational Companies in Hotel Industries**

#### **Abstract**

Globalization is a systematic and complex process that successively alters the social structure of community. Internationalization of the world economy is considered to be the basis for the globalization process.

In international tourism transnational companies are the clear examples of internationalization; they are analyzed on the example of location sector. Development of transnational companies in hotel industry strengthens the world economy globalization and transnationalization tendencies.



## ლია თოთლაძე

### საქართველოში სახელმწიფო სანარმოთა მართვის სრულყოფის საკითხისათვის

თანამედროვე პირობებში, ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ახალ ამოცანებს უყენებს სახელმწიფოს. საერთაშორისო კავშირების ინტენსიური გლობალიზაციის პროცესი, ტრანსნაციონალური კორპორაციების ეკონომიკური ექსპანსია და ა.შ. ამ პირობებში იზრდება სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა. აუცილებელია სახელმწიფოს შეეძლოს საკუთარი პოზიციების დაცვა როგორც საგარეო, ასევე საშინაო ბაზარზე. მეტად მნიშვნელოვანია მისი, როგორც მესაკუთრის პოზიცია.

სახელმწიფო (საჯარო) სექტორის შემადგენლების დიაპაზონი ძალიან დიდია: წმინდა სახელმწიფო სანარმოებიდან დაწყებული შერეული სანარმოებით დამთავრებული, ცენტრალური ხელისუფლების ფინანსებიდან დაწყებული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფინანსებით დამთავრებული. ეკონომიკურად ეფექტიანი სახელმწიფო ნიშნავს სახელმწიფოს, რომელიც იცავს ეროვნულ ინტერესებს და უზრუნველყოფს თავის ეკონომიკურ უსაფრთხოებას შეუზღუდავი საერთაშორისო კონკურენციის პირობებში. სახელმწიფო ეკონომიკურად ეფექტიანად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეფექტიანია თავად ეკონომიკა. სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ეკონომიკაში მარეგულირებელი ღონისძიებებით ჩარევით, არამედ თავადაც უნდა მონაწილეობდეს ეროვნული ეკონომიკის ფუნქციონირებაში. ანუ თავადაც უნდა იყოს ეკონომიკური სუბიექტი. სახელმწიფო ეკონომიკურად ეფექტიანია, როდესაც ქვეყანაში შესაძლებელია ნებისმიერი სახის მენარმეობის ფუნქციონირება. თითქმის ყველა მაღალგანვითარებულ ქვეყანაში მაღალია სახელმწიფოს წილი რკინიგზასა და საპარტო ტრანსპორტში. ასევე მაღალია სახელმწიფო საკუთრების წილი ავტომობილების წარმოებაში (ავსტრია, საფრანგეთი, ნიდერლანდები), მეტალურგიულ წარმოებაში (ავსტრია, იტალია, შვედეთი, ესპანეთი, ინგლისი). სახელმწიფო სექტორის სტრუქტურის ელემენტების არსებული ჩამონათვალიც კი იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად დიდია მისი პოტენციალი ეკონომიკური ზრდისათვის. დღეისათვის ეკონომიკურ ზრდაში უმნიშვნელოვანესი სწორედ სახელმწიფო სექტორი შეიძლება გახდეს [3].

სახელმწიფო სექტორის მთავარი მახასიათებელი არა მხოლოდ მისი მასშტაბებია, არამედ სტრუქტურა და ხარისხი, რომელიც თავის თავში მოიცავს ეკონომიკური ზრდის ელემენტებს. სახელმწიფო სექტორი გამოირჩევა ეკონომიკური ზრდის ყველაზე უფრო პერსპექტიული ფაქტორების კონცენტრაციის მაღალი დონით, ისეთები როგორიცაა ფინანსური რესურსები, სამეცნიერო-ტექნოლოგიური პიტენციალი, ბუნებრივი რესურსები.

სამწუხაროდ ეკონომიკური რეფორმების გატარების მთელს პერიოდში საქართველოში სახელმწიფომ ვერ გამოავლინა ეფექტიანი სტრატეგიული მესაკუთრის თვისებები. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სანარმოების ფუნქციონირების ბოლო ათწლეულის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ამ პერიოდში სახელმწიფო გვევლინებოდა არა მათ სტრატეგიულ, ეფექტიან მესაკუთრედ, არამედ ძირითადში შემოიფარგლებოდა მხოლოდ პასიური ფუნქციით – მხოლოდ მათი ფლობის. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ამოქმედება მაღალტექნოლოგიური დარგების ამუშავების წინაპირობა შეიძლება გახდეს [4].

2002 წლისთვის საქართველოში სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით ფუნქციონირებდა დაახლოებით 1 800-მდე სანარმო, მათ შორის 388 დაფუძნებული იყო უშუალოდ ყოფილი სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ, ხოლო 1400-მდე სანარმო - ამავე სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოების მიერ. სანარმოთა დაახლოებით 80% დაფუძნებული იყო შეზღუდული პასუხისმგებლების საზოგადოებების, ხოლო დანარჩენი 20% - სააქციო საზოგადოებების სახით [2].

2003 წლისათვის სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ სანარმოთა უმრავლესობა, წამგებიანი იყო და მათი საკუთრების ფორმის შეცვლა აქტუალური საკითხი იყო. სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 1800 სანარმოდან დაახლოებით 60-70 პროცენტი წამგებიანი იყო. ამის ძირითად მიზეზს ცუდ მენეჯმენტი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში დაბალი კონკურენტუნარიანობა და მოძველებულ ტექნოლოგიები იყო. სახელმწიფომ შეიმუშავა სამოქმედო გეგმა,



რომელიც სხვა ღონისძიებებთან ერთად სახელმწიფო კომპანიების პრივატიზებას ითვალისწინებდა. მათ შორის 20 საწარმოს განკურძოების პროცესი დაიწყო. ამ ნუსხაში მოხვდნენ ისეთი კომპანიები, როგორიცაა „ჭიათურმარგანეცი“ და „მადნეული“. ამასთან, გადაწყდა, რომ 17-მდე უიმედო საწარმო ლიკვიდაციას დაექვემდებარებოდა. იმ საწარმოებიდან, სადაც სახელმწიფო უმეტეს შემთხვევაში 100 პროცენტიან წილს ფლობს, ქვეყანა კუთვნილ დივიდენდებს ვერ იღებდა. უფრო მეტიც, ბევრი საწარმო, საბუღალტრო ანგარიშების მიხედვით, წაგებაზე მუშაობდა, ეს კი ეჭვს იწვევდა. ამ საწარმოთა დირექტორები სახელმწიფო ქონებას, როგორც საკუთარს, ისე იყენებდნენ. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო საგალუტო ფონდმა მოითხოვა მსხვილი სახელმწიფო საწარმოების აუდიტის ჩატარება, რათა გარკვეულიყო, რამდენად ობიექტურად ხდებოდა თანხების აღრიცხვა. ამასთან, ფონდი საერთაშორისო აუდიტს არა მთლიანად 1800 საწარმოში, არამედ 3 უმსხვილეს კომპანიაში ითხოვდა, რის მეშვეობითაც ზოგადი წარმოდგენა შეიქმნებოდა იმაზე, თუ რა ქონებას ფლობს სახელმწიფო და როგორ წანილდება მოგება. საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის 2009 წლის 12 ოქტომბრისა და 6 ნოემბრის ბრძანებების (N121/43; N139/43) საფუძველზე ჩატარდა სისპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ მიერ დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისა და მიღებული გადაწყვეტილებების კანონშესაბამისობის აუდიტი. ამ აუდიტის შედეგად გამოვლინდა:

- ✓ საწარმოთა მართვის სააგენტოს მის დაქვემდებარებაში არსებული 1426 საწარმოდან 2008 წლის ფინანსური ანგარიში (2009 წლის 2 ნოემბრის მონაცემებით) არ წარუდგინა (ან არასრულყოფილი სახით წარუდგინა) 506-მა სახელმწიფო საწარმომ;
- ✓ სააგენტოს არ გააჩნდა ინფორმაცია იმ 506 სახელმწიფო საწარმოს შესახებ, რომლებიც მის დაქვემდებარებაში არიან და უნდა წარედგინათ ფინანსური ანგარიში;
- ✓ სააგენტოს, როგორც სახელმწიფოსაგან უფლებამოსილ პარტნიორს აღნიშნული და სხვა არამომგებიანი საწარმოების მიმართ შესაბამისი ღონისძიებები არ გაუტარებია;
- ✓ არ იყო აღრიცხული რა ქონებას ფლობენ სახელმწიფო საწარმოები და შესაბამისად, ეს ქონება არ არის სათანადოდ ჩართული ეკონომიკურ ბრუნვაში;
- ✓ ჯეროვანი კონტროლი არ ხორციელდებოდა დივიდენდების სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვაზე; საწარმოთა მართვის სააგენტოს მიერ არასათანადოდ ხორციელდებოდა საწარმოთა მართვის ბიზნეს-გეგმების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგი;
- ✓ არც თუ იშვიათად, სახელმწიფო საწარმოები ისე იღებდნენ ვალდებულებებს, რომ ამის შესახებ სააგენტო არ იყო ინფორმირებული. ამან კი შედეგად: ვალების ხელოვნური და დაუსაბუთებელი გაზრდით საწარმოთა გადახდის გადახდის უნარიანობა შემცირდა.

კონტროლის პალატამ მიიჩნია, რომ სააგენტომ სახელმწიფო საწარმოთა შემდგომი ფუნქციონირებისას სახელმწიფოს მართვაში შენარჩუნების მიზანშენონილობის საკითხზე სისტემურად უნდა იმსჯელოს და შესაბამისი წინადადებებით მიმართოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს. სწორედ ამ ორი უწყების გადაწყვეტილებით უნდა განსაზღვრულიყო ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ-სტრატეგიული სფეროები და მხოლოდ ამ პროფილის სახელმწიფო საწარმოები დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში დანარჩენი კი დაექვემდებაროს პრივატიზებას.

საქართველოს კონტროლის პალატის მიერ გამოვლინდა, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი 1400-ზე მეტი საწარმოდან, 2009 წლის მონაცემებით, მხოლოდ 317 იყო მომგებიანი, ხოლო 163-მა საწარმომ საანგარიშო წელი ზარალით დასრულა, რაც მძიმე მდგომარეობის მაჩვენებელია. ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების მართვა კარდინალურ სრულყოფას მოითხოვს. ზოგადად, სახელმწიფო საწარმოთა მართვის სფეროში შესაძლებელია გამოიყოს სამი ეტაპი: პირველ ეტაპზე - 1998 წლამდე ყურადღების ცენტრში იყო პრივატიზაციის განხორციელება, ხოლო სახელმწიფოს წილების მართვა ფაქტობრივად უგულებელყოფილი იყო. მეორე ეტაპი - მოი-

ცავს 1998-2001 წლების პერიოდს, როდესაც სახელმწიფოს წილების მართვის უფლება გადაეცა დარგობრივ სამინისტროებს, მაგრამ ამას რაიმე სერიოზული შედეგები საწარმოთა მომგებიანობის ამაღლების თვალსაზრისით არ მოჰყოლია. და ნაცვლად იმისა, რომ სამინისტროებს დარგში პოლიტიკის გატარების ფუნქცია განეხორციელებინათ, მათ უშუალოდ საწარმოს სამეურნეო საქმიანობაში ჩარევა დაიწყეს. ფაქტობრივად, სამინისტროებმა დაკარგეს მათი მთავარი ფუნქცია - პოლიტიკის გატარების ფუნქცია. მომდევნო, მესამე ეტაპზე - 2002 წლის შემდგომ კი სახელმწიფო საწარმოთა მართვას ქონების მართვის სამინისტრო ახორციელებდა [1].

სახელმწიფო 1800-მდე საწარმოს მესაკუთრე იყო და ამ საწარმოში დირექტორები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები უშუალოდ ხელისუფლების მიერ ინიშნებოდნენ. ე.ი სახელმწიფო გამოდიოდა ბაზარზე, როგორც ამ კომპანიების მესაკუთრე და კომერციული საქმიანობის განმხორციელებელი. შემდგომში მართვის გაუმჯობესების მიზნით, თვითონ სამინისტროს ინიციატივით განხორციელდა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს რეორგანიზაცია, რის შემდეგაც პრივატიზაციის განხორციელების ფუნქცია გადაეცა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს, ხოლო სახელმწიფო საწარმოთა სამართავად შეიქმნა, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - „საწარმოთა მართვის სააგენტო“. საწარმოთა მართვის თვალსაზრისით სამინისტროები უშუალოდ ერეოდნენ ამ საწარმოების სამეურნეო საქმიანობაში, ნიშნავდნენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს და დირექტორებს, რომელთაც ხშირად არავითარი ინიციატივა და არავითარი ინტერესი არ გააჩნდათ ამ საწარმოების ეფექტიანად ფუნქციონირებისათვის. ისინი თავს ამ საწარმოების ბატონ-პატრონად თვლიდნენ და მათი თანამდებობა აღქმული იყო, როგორც მხოლოდ „თბილი ადგილი“ და მიუხედავად იმისა, რომ საწარმო იყო წამგებიანი და მათი მუშაობის შედეგიანობაზე პასუხისმგებლები უშუალოდ აღნიშნული პიროვნებები იყვნენ, მაინც პერიოდით მაღალი ხელფასები და სხვადასხვა არალეგალური შემოსავლები. ყოველივე აღნიშნული ხელს უშლიდა გაჯანსაღების პროცესების დაწყებას, საწარმოთა რესტრუქტურიზაციას, პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებას, გაკოტრების მექანიზმების ამუშავებას, ინვესტიციების მოზიდვას და სხვა. ხშირად საწარმოთა დავალიანების წარმოშობის მიზეზი საწარმოთა სუსტი მენეჯმენტი, ქაოსი და ხელისუფლების უსუსურობა იყო.

ქონების მართვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნა ანუ რესტრუქტურიზაცია საშინაო და საგარეო ბაზრებზე მათი კონკურენტუნარიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. თუ საწარმო პრივატიზაციისთვის არ არის განკუთვნილი, მაშინ რესტრუქტურიზაცია შეუძლებულ ეტაპად ხორციელდება, რომელიც პრივატიზაციას წინ უსწრებს. სამწუხაროდ, საქართველოში პრივატიზაცია ხშირად რესტრუქტურიზაცია-მდე ხორციელდებოდა, რადგან საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნისთვის, გაჯანსაღების-თვის საჭირო ინვესტიციები არ იყო. ამიტომ ამ პროცესს თან ახლდა მასობრივი უმუშევრობა, წარმოების მკვეთრი დაცემა, რამაც საბაზო ეკონომიკაზე გადასვლა გაახანგრძლივა და გაართულა. რიგ შემთხვევებში რესტრუქტურიზაცია არასწორად იყო გაცნობიერებული და მასში, ფაქტობრივად, საწარმოს წვრილ ერთეულებად დანაწევრებას გულისხმობდნენ, რომლებსაც კოლექტივის წევრები ან მათი ხელმძღვანელები ეპატრონებოდნენ. ასეთი დანაწევრება ინვეზდა საწარმოო პარატის დაშლას, მის გაყიდვას ჯართის სახით, რაც არაერთხელ დაფიქსირდა ცალკეულ დარგებში, მათ შორის: მსუბუქ და კვების მრეწველობაში, მანქანათმშენებლობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებაში და ა.შ.[1].

უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს საწარმოებში სახელმწიფოს წარმომადგენლის ინსტიტუტის მუშაობის სრულყოფას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრი არ არის სამეურნეო მუშაკი. იგი საწარმოში სახელმწიფოს პოლიტიკის გამტარებელია. ამიტომ დაუშვებელია მისი უშუალოდ აღმასრულებელი დირექტივის ფუნქციებში ჩარევა ან პასიურობა და დირექტივის ზეგავლენის ქვეშ მოქცევა. აუცილებელია საწარმოთა ბიზნესგეგმების შემუშავება და განხორციელება, მათ მიერ მარკეტინგული, ტექნოლოგიური, კონკურენტული, საგარეო-ეკონომიკური, ფინანსური სტრატეგიის რეალიზაცია, ანტიკრიზისული მართვის დაუფლება, რადგან სხვანაირად წარმატების მიღწევა გლობალიზაციის და რისკების გამრავლების პირობებში შეუძლებელია. უნდა დაჩქარდეს საწარმოთა რესტრუქტურიზაციის, ლიკვიდაციის და შემდგომში პრივატიზების



პროცესები. წამგებიანი საწარმოების პრივატიზება შესაძლებელია განხორციელდეს გაკოტრების შემდეგ აქტივების სახით ან პირდაპირ მოვახდინოთ მათი პრივატიზება სიმბოლურ ფასად, შემდგომი ინსვესტიციების განხორციელებისა და პროფილის შენარჩუნების მიზნით, თუ ეს პროფილი ქვეყნისთვის აუცილებელია.

სახელმწიფო უნდა გათავისუფლდეს წამგებიანი და ზარალიანი საწარმოებისგან, ვინაიდან სახელმწიფო საწარმოების დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან წარმოუდგენელია - ეს საწარმოები ჩვეულებრივი კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან. განსაკუთრებულ შემთხვევაში ისეთი საწარმოები უნდა დარჩეს სახელმწიფო საკუთრებაში, რომელთაც ამა თუ იმ ფორმით სოციალური დანიშნულება გააჩნიათ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთეული, აუცილებელი შემთხვევები უნდა იყოს. სახელმწიფომ, როგორც მესაკუთრემ, როგორც პარტნიორმა, არ შეიძლება შეინახოს წამგებიანი საწარმოები და იქ დაქირავებულ მენეჯერებსა და ხელმძღვანელებს მაღალი ხელფასები უხადოს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სახელმწიფო საწარმოთა ოპტიმიზაციას, ზარალიანის მომგებიანად გარდაქმნას და მათ მაქსიმალურ ხელშეწყობას. უაღრესად მნიშვნელოვანია, უფუნქციო საწარმოების საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობებისა და მიწის ნაკვეთების აღრიცხვა და პრივატიზება, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს დამატებით შემოსავალს მოუტანს.

ამ ეტაპზე, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საწარმოთა მართვის სააგენტოს ძალისხმევის შედეგად 40 საწარმო ლიკვიდაციის რეჟიმშია და 49 საწარმო სალიკვიდაციოდაა მომზადებული, 102 საწარმო უკვე გამსხვილდა, 16 მათგანი შერწყმის პროცესშია და 111 საწარმოს გაერთიანება განიხილება, 16 საწარმო კი გაკოტრების რეჟიმშია. პალატის აუდიტის შედეგებმა დღის წესრიგში დააყენა აღნიშნულ სექტორში უფრო რადიკალური რეფორმის განხორციელების საჭიროება. შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე, სამინისტროს ახალმა ხელმძღვანელობამ შეიმუშავა საწარმოთა მართვის სააგენტოს რეფორმირების პროგრამაც.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. პავლიაშვილი ს. პრივატიზაციის ფენომენი და პრობლემები საქართველოში. თბილისი, „ტექნიკური ინიციატივი“, 2009.
2. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები.
3. 3. Якобсон Л.И. Государственный сектор экономики. Москва. 1996.
4. Стиглиц Дж. Экономика государственного сектора. Москва. 1997.
5. Управление государственной собственностью в условиях переходной экономики. Бандурин В.В., Кузнецов В. Ю. Москва. 1999.

## ლია თოთლაძე

### საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა მართვის სრულყოფის საკითხისათვის

#### რეზიუმე

სახელმწიფო საწარმოთა მართვა და სახელმწიფოს მიერ სამეურნეო სუბიექტის ფუნქციების განხორციელება სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, თემაში განხილულია საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა არსებული მდგომარეობა და სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით ანალიზირებულია კონკრეტულ საწარმოთა ეფექტიანობის საკითხები და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

ნაშრომი განხილულია ისეთ აქტუალურ საკითხი, როგორიცაა სახელმწიფო საწარმოთა მდგომარეობა, მათი ეფექტიანობა და განვითარების პერსპექტივები საქართველოს ეკონომიკაში. ნაშრომში აღნერილია საქართველოში სახელმწიფო საწარმოთა არსებული და რეტროსპექტიული მდგომარეობა. თემაში განხილულია ამ სფეროს ეფექტიანობის საკითხები დღევანდელი დღისათვის. ანალიზირებულია აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მითითებით კონტროლის პალატის მიერ ამ სფეროში ჩატარებული აუდიტის შედეგები. მოყვანილია ამ კვლევის შედეგები და ამ შემოწმების საფუძველზე გაკეთებული დასკვნები ამ საწარმოთა განვითარებისათვის.

**Lia Totladze**

#### The Improvement in Management in State Enterprises in Georgia

##### Abstract

Management of State-Owned Enterprises is an important function of a state. Hence the topic of Georgia state enterprises and the state of statistical data based on the efficiency of enterprises analyzed specific issues and made appropriate conclusions.

Discusses such topical issues, such as state enterprise status, their efficiency and development prospects in Georgia. The work described in the Georgia State-Owned Enterprises and the retrospective condition, subject matter discussed in this sphere of the effectiveness of the current issues of the day. Analyzed the International Monetary Fund as well as a reference by the Chamber of Control in Audit results. Are the results of this examination and analyzed on the basis of the conclusions of the enterprises development.





**S.O. YAKUBOVSKIY, T.A. RODIONOVA  
I.I. MECHNIKOV ODESSA NATIONAL UNIVERSITY**

## **EXTERNAL IMBALANCES OF CENTRAL AND EASTERN EUROPEAN COUNTRIES**

The problem of external imbalances is a burning issue for Central and Eastern European (CEE) countries that joined the European Union and now aim to join European monetary union. The main aim of this paper is to view the external position of the CEE countries since their EU accession and during and after the Global financial crisis. The paper highlights the most salient features of the capital flows structure in terms of relative importance of FDI, portfolio and debt categories in the overall level of external liabilities of CEEC. The CEE countries included throughout this study are the Czech Republic, Hungary, Poland, Slovak Republic, Bulgaria and Romania.

After the EU accession the CEE countries have been running large external imbalances, which facilitated a more rapid convergence rate in economic development of these countries compared with other EU members. By EU accession CEE countries fully liberalized their capital accounts during the transition period. Robust economic growth was accompanied by substantial capital inflows and large current account deficits in some countries. This is a standard case in economic theory explaining countries with insufficient domestic savings employing imported capital to increase investments and finance economic growth. With a lack of absorptive capacity of the CEE financial systems to properly channel the inflowing capital, an ensuing over-investment, and consumption boom gave rise to current account deficits.

Prior to EU membership large capital inflows were inevitable in the transition period when capital markets became open, exchange rate flexibility was limited and interest rates were higher compared to EU levels. The consumer price inflation in all CEE significantly decreased during the transition period. Interest rates declined but real interest rates increased to relatively high levels during the process of disinflation. Given the sufficient interest rate differentials, compensating investors for exchange rate risk, huge amount of foreign capital was attracted to CEE countries.


Liberalization associated with the transitional process implied a higher level of inflation for the domestic country compared to its trading partners, leading to the appreciation of the real exchange rate under the policy of fixed nominal exchange rate. This created a macroeconomic pressure on the banking system: real appreciation means that the depreciation of the local currency is smaller than the inflation differential, which gave a strong incentive both for companies and for banks to refinance themselves in foreign currency (it is rational for a resident to take a foreign exchange denominated loan and pay lower FX-interest rates if a lower depreciation of the local currency than the interest rate differential between local currency and FX-interest rates is expected) (Schröder 2001). Capital inflows led to growth of FX-denominated lending. This in turn led to the external debt accumulation. Such lending might be interrupted by real depreciation as a consequence of correcting accumulated imbalances, which arose as a result of previous real appreciation.

Clearly, when countries simultaneously offer high real interest rates and the prospect of steady real appreciation, they are likely to attract substantial portfolio and shorter-term capital inflows. The non-FDI inflows - portfolio and other investments - usually pose more difficulties to monetary authorities in terms of economic policy, external vulnerability, and financial stability than direct investment flows. It is generally recognized that FDI are much more stable compared to portfolio and other investments: FDI flows have provided transition economies with more opportunities to share risk with and obtain technology from their trading partners than have non-FDI flows. The profitability of the FDI is likely to be linked to the performance of the domestic economy: higher return on FDI is likely to be associated with a higher rate of domestic output growth, making repayments more affordable (Lane, Milesi-Ferretti 2007). Given the substantial interest rate differentials in CEE countries large interest-rate-sensitive financial inflows (portfolio and financial credit flows), which can be highly volatile, contributed to credit booms, complicating monetary and exchange rate policies. As the burden of interest on debt and principal repayments increases over time, borrowing countries need to ensure that trade surpluses allow the external position to stabilize or decline,

relative to the size of economy. The size of the needed trade surpluses depends on the outstanding stock of accumulated liabilities and economic growth. However, as will be shown in the following analysis, the external borrowing mainly in the form of financial credits of the banking sector boosted consumption in CEE, which was spent on imported goods, and did not produce sources to finance external liabilities.

The international capital flows contribute significantly CEE countries and help to finance their current account deficits. Due to the general lack of domestic savings in these countries, capital inflows are necessary to finance domestic investments and thus economic growth. The financial account of the balance of payments (Figure 1) measures the net effects of financial investment flows: Figure 1 shows that all countries experienced net capital inflows and therefore a surplus of the financial account balance, which had an increasing pattern after the EU accession, and rather unsustainable surge in net inflows just before the global financial crisis. The cumulative financial account balance in the years from 2004 until 2009 shows remarkably high values for Bulgaria, Romania and Hungary (Table1), compared with Poland, Slovak Republic and Czech Republic, ranging from 18% to 120% of GDP.

**Figure 1. Financial account (in millions of U.S. dollars)**



Source IMF *International Financial Statistics*

Looking at the Figure 1 it can be seen that the highest surge of net inflows was experienced by Poland, where in 2007 it amounted to US\$38.8 billion, which is a 197% increase compared to previous year's net inflows. Other countries, except for Czech and Slovak Republics, experienced similar problems: in 2007 there was a huge net capital inflow to Romania, Bulgaria, and in 2008 to Hungary. Then, for these countries net capital inflows likewise plummeted in the aftermath of the global recession. Such a huge volatility of capital inflows can not be sustainable for an economy and requires an identification of problems leading to such high fluctuations.

Looking at the structure of the financial account provides further insights in the composition of foreign capital flows. Table 1 shows that all the countries experienced net capital inflows of FDI, portfolio and other investments (exception is Bulgaria, where there was a net outflow of portfolio investments, though not substantial). If in the period before EU accession FDI significantly dominated other and portfolio investments (Arvai 2005), in the period from 2004 until 2009 structural shift took place in the financial account towards other investments, which are now prevailing over FDI in some countries: in Hungary other investments amount to 72% of total inflows, in Romania – 51%, Slovak Republic – 47%. On the other hand, in Czech Republic major capital inflows are in the form of FDI – 90%, Bulgaria – 73% of the capital inflows are from FDI, Poland – 43%.



**Table 1. Breakdown of cumulative Net Capital Inflows 2004-2009**

| Country         | FDI | Portfolio investment | Other Investment | Total amount (in millions of U.S. dollars) | Sum in % of GDP |
|-----------------|-----|----------------------|------------------|--|-----------------|
| Bulgaria        | 73% | -7%                  | 34%              | 56406.0                                    | 120%            |
| Czech Republic  | 90% | 2%                   | 8%               | 35833.0                                    | 18%             |
| Hungary         | 19% | 10%                  | 72%              | 78781.8                                    | 61%             |
| Poland          | 43% | 17%                  | 40%              | 156039.6                                   | 36%             |
| Romania         | 48% | 1%                   | 51%              | 109960.2                                   | 69%             |
| Slovak Republic | 47% | 6%                   | 47%              | 31089.9                                    | 35%             |

Source: IMF, *International Financial Statistics*, UNCTAD, own calculations.

Note: Financial derivatives are not reported as their weight is negligible.

In 2007, just before the unfolding of the global financial crisis, the CEE experienced a substantial surge in their net capital inflows (Hungary - in 2008). The main driving force of these huge inflows was other investments (OI) component of the financial account (see Table 2): for Poland net OI amounted to US\$ 28 billion (which is 73% of net inflows in 2007), having increased by 358%(!) from the level of 2006; Romania experienced a surge of OI by 141% amounting to US\$19.6 billion (67% of net inflows); Bulgaria saw a 900%(!) increase of net OI in 2007 (from US\$741 million in 2006 to US\$7466 million in 2007); Hungary stands out of this group because it had a boom of financial account in 2008, reasons for this case will be discussed later. The only exception is Czech Republic, for which financial account was not that volatile as for the other CEE countries. Net OI of Czech Republic in 2007 decreased relative to the previous level by 95%.

**Table 2. Net Other Investment Capital Inflows in 2007**

| Country         | Total amount (millions of U.S. dollars) | % of total net inflows | Percentage increase from 2006 |
|-----------------|---|------------------------|-------------------------------|
| Bulgaria        | 7465.86                                 | 38%                    | 907%                          |
| Czech Republic  | 85.55                                   | 1%                     | -95%                          |
| Hungary*        | 25395.90                                | 93%                    | 237%                          |
| Poland          | 28353.00                                | 73%                    | 358%                          |
| Romania         | 19573.20                                | 67%                    | 141%                          |
| Slovak Republic | 4745.66                                 | 68%                    | 118%                          |


\* since Hungary experienced a surge of financial account in 2008, data is reported for this year, for the purpose of the analysis Source: IMF, Balance of Payments Statistics.

It should be investigated what other investments consisted of for CEE countries in 2007, when there was such a high surge of these flows. According to the IMF classification the major groups in “other investment flows” category are trade credits and loans (usually referred to as financial credits) as well as currency and deposits. Other investment flows are reported for the monetary authorities, general government, the banking sector, and other sectors (predominantly the enterprise sector). The sectoral breakdown of other investment flows reveals not only some common trends, but also some differences across the countries. For Poland, in 2007 the major component of other investments liabilities was loans (financial credits), share of which was 44% (banks and enterprise sector being main debtors) and currency and deposits – 47% (monetary authorities and banks sharing equally). Bulgaria in 2007 had the same picture: loans (banks and enterprise sector being main debtors) and currency and deposits were the main components of OI liabilities. Romania: dominating component were loans and currency and deposits as well, the debtors - banks and enterprise sector. For Hungary, in 2008 the major components of other investments liabilities were loans – share of which was 66%. Within this category the main borrowers were monetary authorities (36%) – which

was the first tranche of the IMF bailout of US\$6.3 billion; other sectors (27%) and banks (20%). Czech Republic: currency and deposits of banks – 60% of OI liabilities Slovak Republic: currency and deposits of banks – 87% of OI liabilities.

While the financial account shows the flows of international capital, Figure 2 summarizes the stocks of international investments. The net international investment position (NIIP) represents the sum of all claims by CEEC residents on foreign residents less the claims of foreigners on the CEEC. The level of net foreign assets is considered to be a fundamental determinant of external sustainability (Lane, Milesi-Ferretti 2001). The figures clearly show that all countries under consideration have net liabilities to the world. The NIIP/GDP ratio is primarily a signal, of the weight of an economy's debt service obligations; when the NIIP/GDP ratio reaches a certain size, investors may decide to limit their acquisition of the economy's assets, fearing that larger NIIPs may not be serviceable. The NIIP has been deteriorating for all the countries during the considered period, making these countries highly exposed to international financial markets environment. The high degree of indebtedness can be seen from the ratio of net liabilities to GDP. The worst situation is in Hungary, for which net foreign liabilities amount to 129% of GDP in 2009, and in Bulgaria – 115% of GDP. Net liabilities amount to 69% of GDP in Slovak Republic, 66% in Romania, 65% in Poland and 45% of GDP in Czech Republic in 2009.

**Figure 2. Net International Investment Position (in % of GDP)**



Source: IMF, Balance of Payments and International Investment Position Statistics, UNCTAD, own calculations.


Compared to other countries from the region Hungary stands out to have the most important role of the foreign capital in the economy. The ratio of the liabilities of Hungary, controlled by foreign investors through FDI, amounts to 194% of GDP in 2009, having increased from 163% of GDP in 2008, and from 60.7% in 2005 according to the UNCTAD World Investment Report 2010. It is followed by Bulgaria with inward FDI stock ratio to GDP amounting to 107%, which is also quite substantial, but not as high as in Hungary. The same ratio for other countries is much lower: for Czech Republic it is 60%, Slovakia - 57%, Romania 46% of GDP, and Poland is just 42% of GDP.

Consequently, the external debt of CEE countries reached levels that give rise to serious concerns about the risks for their financial stability. The external debt ratio (relative to GDP) can be used as a measure of the vulnerability of the economies to changes of the external value of their currencies.

As a result of capital inflows, a large stock of foreign debt was accumulated: as can be seen from Figure 3 Bulgaria and Hungary have external debt levels higher than 100% of GDP. For Bulgaria up to 97 percent of debt was denominated in foreign currency in 2010 Q3 according to the World Bank quarterly external debt statistics. For Hungary foreign currency debt amounts to 82% of the total external debt, Romania – 89%. In such situation a depreciation of the national currency can have a dramatic impact on the debt service these countries have to bear, what in particular happened in Hungary, where as a consequence of the Forint huge depreciation in 2008, the external debt level surged to over 150% of GDP in year 2009.




**Figure 3. External Debt as % of GDP**



Source: ECB Statistical Data Warehouse

The depreciation of the national currencies laid a heavy burden on domestic borrowers, who took the loans in foreign currencies. While in Poland, Slovak Republic and Czech Republic the share of mortgages taken in foreign currencies was not significantly large - 26, 20 and 10% respectively, in Hungary and Romania 59 % of mortgages were denominated in foreign currencies – Swiss francs and euro. The devaluation resulted in a surge of non-performing loans in the credit portfolios of the banks.

**Figure 4. Current account as % of GDP**



Source: IMF, Balance of Payments and International Investment Position Statistics

The large current account deficits in CEE countries were the result of substantial capital inflows (see Figure 4). It is reasonable to report Visegrad Group separately from Bulgaria and Romania, since the latter experienced huge current account (CA) deficits amounting to more than 10% of GDP in 2006 – 2008. Before the crisis the CA balance was negative, reflecting not only the trade deficits, but also a negative balance on investment income as the NIIP gets more and more negative. In Hungary the main component contributing to the negative CA was negative investment income of US\$10.9 billion (98% of CA) in 2008. In Bulgaria and Romania the main component of negative CA were trade deficits, amounting to -US\$12.6 billion and to - US\$28.2 billion respectively. In Poland both large trade deficit and negative investment income constituted CA deficit. In Czech and Slovak Republics the CA deficits are much more sustainable, compared to other CEE, with income balance contributing to negative CA. Starting from 2008 all the countries except Czech Republic experienced the so-called current account reversals.

Especially strong CA adjustment took place in Hungary and Bulgaria: Hungarian CA for the first time became positive, in Bulgaria CA reduced from -23% of GDP in 2008 to -10 % of GDP in 2009.

**Concluding remarks.** Countries in the region have become dependent on western financial capital, which in the global financial crisis led to their vulnerability. Along with the growth of bank external borrowing of the countries, the current account deficit of balance of payments rapidly increased to the unsustainable levels, which after facing a “sudden stop” lead to the CA reversals and devaluations of national currencies. It is clear that the CEE countries will have to run future surpluses on their balance of goods, services and transfers to stabilize their net external position. CEE countries are not a homogenous bloc. Hungary, Bulgaria and Romania, in particular, have followed similar boom-bust trajectory: external imbalances in these countries rivaled, and in some cases exceeded the maximum allowable threshold of imbalances. Current account deficits in Romania, Bulgaria were well over 10% of GDP in 2008. Bulgaria operates a fixed exchange rate system and a key concern is whether crisis would shake confidence in Bulgaria’s currency board. Romania and Hungary may have flexible exchange rates, however, they have needed IMF-led rescue packages. Given the large trade deficits Bulgaria and Romania are currently running, the needed shift in trade balance to stabilize their net external position is substantial. Other countries in the region – Czech Republic, Poland, Slovakia – also built up imbalances in recent years. Nevertheless, their imbalances never reached the same proportion as those of Hungary, Bulgaria and Romania. Overall, their economies are in stronger positions to weather any contagion. Slovakia successfully entered the Eurozone in 2009, while Poland qualified for a US\$ 20.5 billion flexible credit line (FCL) from the IMF. An FCL is a precautionary facility, available only to countries with very strong fundamentals, which can be drawn upon at any time and without meeting any specific conditions. Such a facility should help provide Poland with a defense against contagion.

#### Literature:

- Arvai Z. 2005. “Capital Account Liberalization, Capital Flow Patterns, and Policy Responses in the EU's New Member States.” *IMF Working Paper* vol. 05/213, November, Washington, D.C. Lane P., and Milesi-Ferretti G. 2007 “Capital flows to central and Eastern Europe”, *Emerging Markets Review*, 8(2):106-123
- Lane P., and Milesi-Ferretti G. 2001. “The external wealth of nations: measures of foreign assets and liabilities for industrial and developing countries”, *Journal of International Economics*, 55(2): 263-294
- Schröder, Michael. 2001. *The new capital markets in Central and Eastern Europe*. Berlin: Springer.
- Roubini, Nouriel: “Is Eastern Europe on the Brink of an Asian-Style Crisis?” RGE Monitor: 10.06.2009. <http://www.rgemonitor.com>
- International Monetary Fund, 2011. “Balance of Payments Statistics.” <http://www.imf.org/external/np/sta/bop/bop.htm>
- International Monetary Fund, 2011. “International Financial Statistics” <http://www.imfstatistics.org/imf/>
- World Bank, 2011. “Quarterly External Debt Statistics” <http://databank.worldbank.org/ddp/home.do?Step=12&id=4&CNO=1068>
- European Central Bank, 2011. “Statistical Data Warehouse”. <http://sdw.ecb.europa.eu/>
- UNCTAD, 2011. “World Investment Report 2010” <http://www.unctad.org/Templates/WebFlyer.asp?intItemID=5539&lang=1>





## EIGENVALUE PROBLEM FOR CERTAIN TYPE OF THE LOW ORDER MATRICES

Many problems of technique and science are reduced to the solving of partial differential equations with different conditions. To receive the numerical solutions of such problems, diversity of difference schemes of the different order of accuracy are used. One of such approximating methods is known as a method without saturation based on the approximating method of the academician Shalva Mikeladze for the ordinary differential equations, which gave possibility to raise the order of accuracy by increasing a number of approximating points. Applying this method to the partial differential equations of elliptic type gave certain type matrices known as centrosymmetric or double symmetric matrices. Peculiarities of such matrices give possibility to reduce them to the half order matrices and make easy constructing of the characteristic equation and finding eigenvalues and eigenvectors.

Let us consider eigenvalue problem for the symmetric and at the same time centrosymmetric square matrix with any integer entries.

$$A\vec{x} = \lambda\vec{x} \quad \text{or} \quad (A - \lambda I)\vec{x} = \vec{0},$$

where  $A$  is  $m$ -order square double symmetric matrix with  $a_{ij} = a_{ji}$  and  $a_{ij} = a_{m+1-i, m+1-j}$ .

Besides, sum of elements in each row is the same number. We will show that one of the eigenvalues is equal to this number.

### 1. Second order matrix

The second order ( $m = 2$ ) symmetric (centrosymmetric) matrix is automatically double symmetric

$$A = \begin{bmatrix} a & b \\ b & a \end{bmatrix}.$$

And the characteristic equation with the above mentioned property will have the following form

$$|A - \lambda I| = \begin{vmatrix} a - \lambda & b \\ b & a - \lambda \end{vmatrix} = (a - \lambda)^2 - b^2 = (a - \lambda - b)(a - \lambda + b) = 0.$$

From the factorized characteristic equation we will have two distinguished eigenvalues

$$\lambda_1 = a + b, \quad \lambda_2 = a - b.$$

Now substituting each of the found eigenvalues into the characteristic equation we will find corresponding eigenvectors.

$$A - \lambda_1 I = \begin{bmatrix} a - a - b & b \\ b & a - a - b \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} -b & b \\ b & -b \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} -b & b \\ 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & -1 \\ 0 & 0 \end{bmatrix}.$$

According to the eigenvalue problem  $(A - \lambda_1 I)\vec{x} = \vec{0}$ , corresponding equivalent system of linear equations is  $\begin{cases} x_1 - x_2 = 0 \\ x_2 \text{ is free.} \end{cases}$ . That means  $\begin{cases} x_1 = x_2 \\ x_2 = x_2 \end{cases}$ . So  $\vec{x} = \begin{bmatrix} x_1 \\ x_2 \end{bmatrix} = \begin{bmatrix} x_2 \\ x_2 \end{bmatrix} = x_2 \begin{bmatrix} 1 \\ 1 \end{bmatrix}$ . The eigenvector

corresponding to the first eigenvalue is determined with the accuracy of a constant factor (as generally all eigenvectors).

Let us consider the first eigenvector as  $\vec{v}_1 = \begin{bmatrix} 1 \\ 1 \end{bmatrix}$ . Analogically we can find the second eigenvector

$\vec{v}_2 = \begin{bmatrix} -1 \\ 1 \end{bmatrix}$ . These two vectors are orthogonal since inner product is zero -  $(\vec{v}_2 \cdot \vec{v}_1) = 0$ .

Normalizing these orthogonal vectors we may construct orthonormal matrix  $P$ , which inverse will be its transpose. This matrix will reduce given  $A$  matrix to the diagonal  $D$  matrix, which main diagonal contains found eigenvalues.

$$A = PDP^T = PDP^{-1}, \text{ where } P = \begin{bmatrix} \frac{1}{2} & -\frac{1}{2} \\ \frac{1}{2} & \frac{1}{2} \\ \frac{1}{2} & \frac{1}{2} \end{bmatrix}, D = \begin{bmatrix} a+b & 0 \\ 0 & a-b \end{bmatrix}, a \neq b, \text{ as } A \text{ is invertible (nonsingular matrix).}$$

## 2. Third order matrix

Let us assume that the considered matrix is double symmetric (symmetric and centrosymmetric at the same time) with property, that sum of elements in each its row is the same number.

$$A = \begin{bmatrix} a & b & c \\ b & a-b+c & b \\ c & b & a \end{bmatrix},$$

and the characteristic equation is

$$|A - \lambda I| = \begin{vmatrix} a-\lambda & b & c \\ b & a-b+c-\lambda & b \\ c & b & a-\lambda \end{vmatrix} =$$

Let us use the above mentioned property and collect the sum of all columns in the last column and then subtract the last row from the first two rows.

$$\begin{array}{ccccccccc} a & \lambda & b & a & b & c & \lambda & a & c & \lambda & a & 2b & c & \lambda & a & b & c & \lambda & 0 \\ b & a & b & c & \lambda & a & b & c & \lambda & b & c & a & 2b & c & \lambda & b & c & \lambda & 0 \\ c & b & a & b & c & \lambda & b & c & \lambda & c & b & b & a & b & c & \lambda & 0 \end{array}$$

$$a \quad c \quad \lambda \quad a \quad 2b \quad c \quad \lambda \quad a \quad b \quad c \quad \lambda \quad 0.$$

We have received the third order factorized characteristic equation, so actually eigenvalues are found.

$$\lambda_1 = a+b+c, \lambda_2 = a-c, \lambda_3 = a-2b+c.$$

Now substituting each of the found eigenvalues into the characteristic equation we will find corresponding eigenvectors.

$$(A - \lambda_1 I) = \begin{bmatrix} -b-c & b & c \\ b & -2b & b \\ c & b & -b-c \end{bmatrix} \left( \begin{smallmatrix} 1 \\ 1 \\ b \end{smallmatrix} \right) \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & -2 & 1 \\ -b-c & b & c \\ c & b & -b-c \end{bmatrix} \xrightarrow{\quad} \downarrow \quad \downarrow \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & -2 & 1 \\ 0 & -b-2c & b+2c \\ 0 & b+2c & -b-2c \end{bmatrix} \xleftarrow{(1)} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & -2 & 1 \\ 0 & 1 & -1 \\ 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \xleftarrow{(2)} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 0 & -1 \\ 0 & 1 & -1 \\ 0 & 0 & 0 \end{bmatrix}, \begin{cases} x_1 - x_3 = 0 \\ x_2 - x_3 = 0 \\ x_3 \text{ is free} \end{cases} \begin{cases} x_1 = x_3 \\ x_2 = x_3 \\ x_3 = x_3 \end{cases}$$

$$\vec{x} = \begin{bmatrix} x_1 \\ x_2 \\ x_3 \end{bmatrix} = x_3 \begin{bmatrix} 1 \\ 1 \\ 1 \end{bmatrix}.$$



Eigenvector, corresponding to the eigenvalue  $\lambda_1$  is  $\vec{x}_1 = \begin{bmatrix} 1 \\ 1 \\ 1 \end{bmatrix}$ . Analogically, we will find eigenvectors,

corresponding to  $\lambda_2$  and  $\lambda_3$ . Substituting  $\lambda_2 = a - c$  into the matrix record of the equation  $(A - \lambda_2 I)\vec{x} = \vec{0}$  and fulfill elementary row operations will have

$$\begin{array}{c} \left[ \begin{array}{ccc} c & b & c \\ b & -b+2c & b \\ c & b & c \end{array} \right] (-1) \Rightarrow \left[ \begin{array}{ccc} c & b & c \\ b & -b+2c & b \\ 0 & 0 & 0 \end{array} \right] \left( \frac{1}{c} \right) \Rightarrow \left[ \begin{array}{ccc} 1 & \cancel{b/c} & 1 \\ b & -b+2c & b \\ 0 & 0 & 0 \end{array} \right] (-b) \leftarrow \Rightarrow \\ \Rightarrow \left[ \begin{array}{ccc} 1 & \cancel{b/c} & 1 \\ 0 & -b^2/c -b+2c & 0 \\ 0 & 0 & 0 \end{array} \right] \left( \frac{1}{-b^2/c -b+2c} \right) \Rightarrow \left[ \begin{array}{ccc} 1 & \cancel{b/c} & 1 \\ 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 0 \end{array} \right] \left( -\cancel{b/c} \right) \Rightarrow \left[ \begin{array}{ccc} 1 & 0 & 1 \\ 0 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 0 \end{array} \right]. \end{array}$$

We have received a system of homogeneous equations:

$$\begin{cases} x_1 + x_3 = 0 \\ x_2 = 0 \\ x_3 \text{ is free} \end{cases} \Rightarrow \begin{cases} x_1 = -x_3 \\ x_2 = 0 \\ x_3 = x_3 \end{cases}, \text{ so } \vec{x} = \begin{bmatrix} -x_3 \\ 0 \\ x_3 \end{bmatrix} = x_3 \begin{bmatrix} -1 \\ 0 \\ 1 \end{bmatrix}. \text{ Consequently, the eigenvector corresponding}$$

to the second eigenvalue  $\lambda_2$  is  $\vec{x}_2 = \begin{bmatrix} -1 \\ 0 \\ 1 \end{bmatrix}$ .

$$\begin{array}{c} \lambda_3 = a - 2b + c, (A - \lambda_3 I) = \left[ \begin{array}{ccc} 2b-c & b & c \\ b & b & b \\ c & b & 2b-c \end{array} \right] \left( \frac{1}{b} \right) \Rightarrow \left[ \begin{array}{ccc} 1 & 1 & 1 \\ 2b-c & b & c \\ c & b & 2b-c \end{array} \right] (-2b+c) \left( \frac{-c}{b} \right) \leftarrow \vdots \Rightarrow \\ \Rightarrow \left[ \begin{array}{ccc} 1 & 1 & 1 \\ 0 & -b+c & -2b+2c \\ 0 & b-c & 2b-2c \end{array} \right] (1) \Rightarrow \left[ \begin{array}{ccc} 1 & 1 & 1 \\ 0 & 1 & 2 \\ 0 & 0 & 0 \end{array} \right] (-1) \Rightarrow \left[ \begin{array}{ccc} 1 & 0 & -1 \\ 0 & 1 & 2 \\ 0 & 0 & 0 \end{array} \right]. \end{array}$$

Corresponding system of homogeneous equations is following:

$$\begin{cases} x_1 - x_3 = 0 \\ x_2 + 2x_3 = 0 \\ x_3 \text{ is free} \end{cases} \Rightarrow \begin{cases} x_1 = x_3 \\ x_2 = -2x_3, \text{ so } \vec{x} = \begin{bmatrix} x_3 \\ -2x_3 \\ x_3 \end{bmatrix} = x_3 \begin{bmatrix} 1 \\ -2 \\ 1 \end{bmatrix}. \end{cases}$$

Thus, the corresponding eigenvector of the third eigenvalue  $\lambda_3$  is  $\vec{x}_3 = \begin{bmatrix} 1 \\ -2 \\ 1 \end{bmatrix}$ .

Let us bring well-known theorems:

Theorem 1. If  $\vec{v}_1, \dots, \vec{v}_r$  are eigenvectors that correspond to distinct eigenvalues  $\lambda_1, \dots, \lambda_r$  of a  $n \times n$  matrix  $A$ , then set  $\{\vec{v}_1, \dots, \vec{v}_r\}$  is linearly independent.

As it is known, a square matrix  $A$  is said to be diagonalizable if  $A$  is similar to a diagonal matrix, that is, if  $A = PDP^{-1}$  for some invertible matrix  $P$  and some diagonal matrix  $D$ . The next well-known theorem gives a characterization of diagonalizable matrices and tells how to construct a suitable factorization.

2. The Diagonalization Theorem. A  $n \times n$  matrix  $A$  is diagonalizable if and only if  $A$  has  $n$  linearly independent eigenvectors. In fact,  $A = PDP^{-1}$ , with  $D$  a diagonal matrix, if and only if the columns of  $P$  are  $n$  linearly independent eigenvectors of  $A$ . In this case, the diagonal entries of  $D$  are eigenvalues of  $A$  that correspond, respectively, to the eigenvectors in  $P$ .

The sufficient condition for a matrix to be diagonalizable:

Theorem 3. A  $n \times n$  matrix with  $n$  distinct eigenvalues is diagonalizable. As we consider symmetric matrices next well-known theorems will show their preferences.

Theorem 4. If  $A$  is symmetric, then any two eigenvectors from different eigenspaces are orthogonal.

Theorem 5. A  $n \times n$  matrix  $A$  is orthogonally diagonalizable if and only if  $A$  is symmetric matrix.

Using all these theorems we may construct  $3 \times 3$  orthogonal matrix  $P$  with orthonormal columns (orthonormal eigenvectors).

$$P = \begin{bmatrix} \frac{1}{\sqrt{3}} & -\frac{1}{\sqrt{2}} & \frac{1}{\sqrt{6}} \\ \frac{1}{\sqrt{3}} & 0 & -\frac{2}{\sqrt{6}} \\ \frac{1}{\sqrt{3}} & \frac{1}{\sqrt{2}} & \frac{1}{\sqrt{6}} \end{bmatrix}.$$

Using property of orthogonal matrices,  $P^{-1} = P^T$ , we will have

$$P^{-1} = \begin{bmatrix} \frac{1}{\sqrt{3}} & \frac{1}{\sqrt{3}} & \frac{1}{\sqrt{3}} \\ -\frac{1}{\sqrt{2}} & 0 & \frac{1}{\sqrt{2}} \\ \frac{1}{\sqrt{6}} & -\frac{2}{\sqrt{6}} & \frac{1}{\sqrt{6}} \end{bmatrix}.$$

It gives us possibility to evaluate any power of matrix  $A$ , since  $A^n = PD^nP^{-1}$ , where

$$D^n = \begin{bmatrix} \lambda_1^n & 0 & 0 \\ 0 & \lambda_2^n & 0 \\ 0 & 0 & \lambda_3^n \end{bmatrix}.$$

### 3. Fourth order matrix

Let us consider the same type symmetric and centrosymmetric matrix with the same property of its rows

$$A = \begin{bmatrix} a & b & c & d \\ b & a & d & c \\ c & d & a & b \\ d & c & b & a \end{bmatrix}.$$

Its corresponding characteristic equation  $|A - \lambda I| = 0$  according to the folding procedure of evaluating given determinant will give following eigenvalues:

$$|A - \lambda I| = \begin{vmatrix} a - \lambda & b & c & d \\ b & a - \lambda & d & c \\ c & d & a - \lambda & b \\ d & c & b & a - \lambda \end{vmatrix} = \begin{vmatrix} a - \lambda & b & b + c & a + d - \lambda \\ b & a - \lambda & a + d - \lambda & b + c \\ c & d & a + d - \lambda & b + c \\ d & c & b + c & a + d - \lambda \end{vmatrix} =$$



$$\begin{aligned}
 &= \begin{vmatrix} a-d-\lambda & b-c & 0 & 0 \\ b-c & a-d-\lambda & 0 & 0 \\ c & d & a+d-\lambda & b+c \\ d & c & b+c & a+d-\lambda \end{vmatrix} = \begin{vmatrix} a-d-\lambda & b-c & a+d-\lambda & b+c \\ b-c & a-d-\lambda & b+c & a+d-\lambda \end{vmatrix} = \\
 &= [(a-d-\lambda)^2 - (b-c)^2] \cdot [(a+d-\lambda)^2 - (b+c)^2] = (a-b+c-d-\lambda)(a+b-c-d-\lambda) \times \\
 &\quad \times (a-b-c+d-\lambda)(a+b+c+d-\lambda) = 0
 \end{aligned}$$

$$\lambda_1 = a+b+c+d, \quad \lambda_2 = a+b-c-d, \quad \lambda_3 = a-b+c-d, \quad \lambda_4 = a-b-c+d.$$

Now using the same algorithm and substituting each of the found eigenvalues into the characteristic equation we will find corresponding eigenvectors.

For  $\lambda_1 = a+b+c+d$  we will have

$$A - \lambda_1 I = \begin{bmatrix} -b-c-d & b & c & d \\ b & -b-c-d & d & c \\ c & d & -b-c-d & b \\ d & c & b & -b-c-d \end{bmatrix} \Rightarrow$$

According to the Gauss-Jordan method let us use the following row operations: add all other rows to the first one and then interchange the first one (zero row) with the last one devided by  $d$ .

$$\begin{aligned}
 &\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & \cancel{c/d} & \cancel{b/d} & \frac{-b-c-d}{d} \\ 0 & d & -b-c-d & b \\ 0 & -b-c-d & d & c \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \xrightarrow{\begin{array}{l} (-c)(-b) \\ \vdots \\ \leftrightarrow \end{array}} \Rightarrow \\
 &\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & \cancel{c/d} & \cancel{b/d} & \frac{-b-c-d}{d} \\ 0 & -\frac{c^2}{d} + d & -\frac{bc}{d} - b - c - d & \frac{bc + c^2 + cd}{d} + b \\ 0 & -\frac{bc}{d} - b - c - d & -\frac{b^2}{d} + d & \frac{b^2 + bc + bd}{d} + c \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \left( \frac{d}{c+d} \right) \Rightarrow
 \end{aligned}$$

Scaling the second and the third rows we will have

$$\begin{aligned}
 &\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & \cancel{c/d} & \cancel{b/d} & -\frac{b+c+d}{d} \\ 0 & d-c & -(b+d) & \frac{b+c}{d} \\ 0 & -(c+d) & d-b & b+c \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \left( \frac{1}{d-c} \right) \Rightarrow \\
 &\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & \cancel{c/d} & \cancel{b/d} & -\frac{b+c+d}{d} \\ 0 & 1 & \frac{b+d}{c-d} & -\frac{b+c}{c-d} \\ 0 & -(c+d) & \frac{c-d}{d-b} & b+c \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \left( c+d \right) \xrightarrow{\begin{array}{l} - \\ \vdots \\ \leftrightarrow \end{array}} \Rightarrow
 \end{aligned}$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & \frac{c}{d} & \frac{b}{d} & -\frac{b+c+d}{d} \\ 0 & 1 & \frac{b+d}{c-d} & -\frac{b+c}{c-d} \\ 0 & 0 & \frac{2d(b+c)}{c-d} & -\frac{2d(b+c)}{c-d} \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \xrightarrow{\quad} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & \frac{c}{d} & \frac{b}{d} & -\frac{b+c+d}{d} \\ 0 & 1 & \frac{b+d}{c-d} & -\frac{b+c}{c-d} \\ 0 & 0 & 1 & -1 \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \xleftarrow{\left( \begin{array}{c} \frac{b+d}{c-d} \\ \vdots \\ -\frac{b}{d} \end{array} \right)} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & \frac{c}{d} & 0 & -\frac{c+d}{d} \\ 0 & 1 & 0 & -1 \\ 0 & 0 & 1 & -1 \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \xleftarrow{\left( \begin{array}{c} -\frac{c}{d} \\ \vdots \\ -\frac{b}{d} \end{array} \right)} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 0 & 0 & -1 \\ 0 & 1 & 0 & -1 \\ 0 & 0 & 1 & -1 \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix}.$$

On the basis of previous reasoning we may conclude, that the eigenvector corresponding to  $\lambda_1$  is

$$\vec{x}_1 = \begin{bmatrix} 1 \\ 1 \\ 1 \\ 1 \end{bmatrix}.$$

Using the same technique for the  $\lambda_2 = a + b - c - d$ ,  $A - \lambda_2 I =$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} -b+c+d & b & c & d \\ b & -b+c+d & d & d \\ c & d & -b+c+d & b \\ d & c & b & -b+c+d \end{bmatrix} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 2(c+d) & 2(c+d) & 2(c+d) & 2(c+d) \\ b & -b+c+d & d & c \\ c & d & -b+c+d & b \\ d & c & b & -b+c+d \end{bmatrix} \xleftarrow{\left( \begin{array}{c} \frac{1}{2(c+d)} \\ \vdots \\ -\frac{b}{d} \end{array} \right)} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ b & -b+c+d & d & c \\ c & d & -b+c+d & b \\ d & c & b & -b+c+d \end{bmatrix} \xleftarrow{(-b)(-c)(-d)} \Rightarrow$$



$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & -2b+c+d & d-b & c-b \\ 0 & d-c & -b+d & b-c \\ 0 & c-d & b-d & c-b \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & 2(d-b) & 2(d-b) & 0 \\ 0 & d-c & d-b & b-c \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & 1 & 1 & 0 \\ 0 & d-c & d-b & b-c \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & 1 & 1 & 0 \\ 0 & 0 & c-b & -(c-b) \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & 1 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 1 & -1 \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 0 & 2 \\ 0 & 1 & 0 & 1 \\ 0 & 0 & 1 & -1 \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 0 & 0 & 1 \\ 0 & 1 & 0 & 1 \\ 0 & 0 & 1 & -1 \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix}.$$

On the basis of the same reasoning the eigenvector, corresponding to the eigenvalue  $\lambda_2$ , is

$$\vec{x}_2 = \begin{bmatrix} -1 \\ -1 \\ 1 \\ 1 \end{bmatrix}. \text{ Similarly we will receive the third and fourth eigenvectors.}$$

For  $\lambda_3 = a - b + c - d$  we will have

$$A - \lambda_3 I = \begin{bmatrix} b-c+d & b & c & d \\ b & b-c+d & d & c \\ c & d & b-c+d & b \\ d & c & b & b-c+d \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 2(b+d) & 2(b+d) & 2(b+d) & 2(b+d) \\ b & b-c+d & d & c \\ c & d & b-c+d & b \\ d & c & b & b-c+d \end{bmatrix} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ b & (b-c+d) & d & c \\ c & d & (b-c+d) & b \\ d & c & b & (b=c+d) \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & -c+d & d-b & c-b \\ 0 & -c+d & b-2c+d & b-c \\ 0 & c-d & b-d & b-c \end{bmatrix} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & -c+d & d-b & c-b \\ 0 & 2(d-c) & 2(d-c) & 0 \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & 1 & 1 & 0 \\ 0 & -c+d & d-b & c-b \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & 1 & 1 & 0 \\ 0 & 0 & c-b & c-b \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & 1 & 1 & 0 \\ 0 & 0 & 1 & 1 \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 1 & 0 & -1 \\ 0 & 0 & 1 & 1 \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 0 & 0 & 1 \\ 0 & 1 & 0 & -1 \\ 0 & 0 & 1 & 1 \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix}.$$

On the basis of the same reasoning,  $\vec{x}_3 = \begin{bmatrix} -1 \\ 1 \\ -1 \\ 1 \end{bmatrix}$ .

For  $\lambda_4 = a - b - c + d$  we will have  $A - \lambda_4 I =$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} b+c-d & b & c & d \\ b & b+c-d & d & c \\ c & d & b+c-d & b \\ d & c & b & b+c-d \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 2(b+c) & 2(b+c) & 2(b+c) & 2(b+c) \\ b & b+c-d & d & c \\ c & d & b+c-d & b \\ d & c & b & b+c-d \end{bmatrix} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ b & b+c-d & d & c \\ c & d & b+c-d & b \\ d & c & b & b+c-d \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & c-d & d-b & c-b \\ 0 & d-c & b-d & b-c \\ 0 & c-d & b-d & b+c-2d \end{bmatrix} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & c-d & d-b & c-b \\ 0 & 0 & 0 & 0 \\ 0 & 2(c-d) & 0 & 2(c-d) \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & 1 & 0 & 1 \\ 0 & c-d & d-b & c-b \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & 1 & 0 & 1 \\ 0 & 0 & d-b & d-b \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow$$

$$\Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 1 & 1 \\ 0 & 1 & 0 & 1 \\ 0 & 0 & 1 & 1 \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 1 & 0 & 0 \\ 0 & 1 & 0 & 1 \\ 0 & 0 & 1 & 1 \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix} \Rightarrow \begin{bmatrix} 1 & 0 & 0 & -1 \\ 0 & 1 & 0 & 1 \\ 0 & 0 & 1 & 1 \\ 0 & 0 & 0 & 0 \end{bmatrix}.$$

Consequently,  $\vec{x}_4 = \begin{bmatrix} 1 \\ -1 \\ -1 \\ 1 \end{bmatrix}$ .

According to the above mentioned theorems all found eigenvectors are linearly independent, since all eigenvalues are distinct. Besides, as  $A$  is symmetric, then any two eigenvectors from different eigenspaces are orthogonal. It is easy to see that  $(\vec{x}_i \cdot \vec{x}_j) = 0$ ,  $i, j = \overline{1, 4}$ .

Using all above mentioned theorems we may construct  $4 \times 4$  orthogonal matrix  $P$  with orthonormal columns (orthonormal eigenvectors), which gives us possibility to evaluate any power of matrix  $A$ .



$$P = \begin{bmatrix} 1 & -1 & -1 & 1 \\ 1 & -1 & 1 & -1 \\ 1 & 1 & -1 & -1 \\ 1 & 1 & 1 & 1 \end{bmatrix}, \quad P^* = \begin{bmatrix} \frac{1}{2} & -\frac{1}{2} & -\frac{1}{2} & \frac{1}{2} \\ \frac{1}{2} & -\frac{1}{2} & \frac{1}{2} & -\frac{1}{2} \\ \frac{1}{2} & \frac{1}{2} & -\frac{1}{2} & -\frac{1}{2} \\ \frac{1}{2} & \frac{1}{2} & \frac{1}{2} & \frac{1}{2} \end{bmatrix}, \quad (P^*)^{-1} = \begin{bmatrix} \frac{1}{2} & \frac{1}{2} & \frac{1}{2} & \frac{1}{2} \\ -\frac{1}{2} & -\frac{1}{2} & \frac{1}{2} & \frac{1}{2} \\ -\frac{1}{2} & \frac{1}{2} & -\frac{1}{2} & \frac{1}{2} \\ \frac{1}{2} & -\frac{1}{2} & -\frac{1}{2} & \frac{1}{2} \end{bmatrix}$$

**Literature:**

1. Карапашвили Л. Ш. О сходимости одного варианта метода прямых и свойствах центросимметрических матриц. –Сообщ. АН Груз.ССР, 1985, т.117, №1, с. 41-44.
2. Lee Anna. Centrohermitian and Skew-Centrohermitian matrices. – Linear Algebra Appl., 1980, vol. 29, p. 205-210,
3. Lay David. Linear Algebra and its Applications. - 2000

**D. Kalandarishvili, L. Karalashvili**

## **Eigenvalue Problem for the Certain Type of the Low Order Matrices**

### **Abstract**

Many problems of technique and science are reduced to the solving of partial differential equations with different conditions. To receive the numerical solutions of such problems, diversity of difference schemes of the different order of accuracy are used. One of such approximating methods is known as a method without saturation. One approach to this method was received by means of the approximating method of the academician Shalva Mikeladze for the ordinary differential equations, which gave possibility to raise the order of accuracy by increasing number of approximating points. Using discrete and semi-discrete approximating schemes for solving the boundary value problem for the elliptic type partial differential equations with Dirichlet condition gave certain type matrices known as centrosymmetric or doublesymmetric matrices. Peculiarities of such matrices give possibility to reduce them to the half order matrices and make easy the constructing of the characteristic equation. The characteristic equation of such matrices is constructed in factorized form. All eigenvectors are given in explicit form. Such type of matrices has the same eigenvectors (eigenspaces) which in general do not depend on their elements. The diagonal form of such matrices contains their eigenvalues. When centrosymmetric matrices are also symmetric, matrix of spectral decomposition is constructed including the fourth order. Columns of the matrix of spectral decomposition represent orthonormal eigenvectors of the initial one. Matrix of decomposition and its inverse reduce the initial matrix to the diagonal form, which is very useful to find any power of the given matrix, raising into the power only the real eigenvalues of the diagonal form. Few theorems are represented to emphasize the peculiarities of such matrices.

**დ. კალანდარიშვილი, ლ. ყარალაშვილი**

**ერთი ტიპის საკუთრივ მნიშვნელობათა ამოცანა დაბალი რიგის მატრიცებისათვის**

### **რეზუმე**

მეცნიერებისა და ტექნიკის მრავალი ამოცანა დაიყვანება კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების ამოხსნამდე სხვადასხვა პირობებში. ასეთი ამოცანების რიცხვითი ამოხსნების მისაღებად გამოიყენება სხვადასხვა სიზუსტის მქონე სხვაობიანი სქემები. ერთეულთა ასეთი მიახლოებითი მეთოდი ცნობილია როგორც გაჯერების გარეშე მეთოდი. ამ მეთოდის ერთი მიდგომა იყო მიღებული ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებებისთვის აკადემიკოს შალვა მიქელაძის მიახლოებითი მეთოდის საშუალებით, რომელიც სააპროქსიამციო წერტილების რიცხვის გაზრდით სიზუსტის რიგის ანევის საშუალებას იძლევა. დისკრეტული და ნახევრად-დისკრეტული სქემების გამოყენებამ ელიფსური ტიპის კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებისთვის დირიხლეს პირობით სასაზღვრო ამოცანის ამოხსნებულად წარმოქმნა ისეთი ტიპის მატრიცები, რომლებიც ცნობილია როგორც ცენტრსიმეტრიული ან ორმაგად სიმეტრიული. ამ ტიპის მატრიცების რიგი ორჯერ მცირდება და აიოლებს მახასიათებელი განტოლების აგებას, რომელიც მოიცემა ფაქტორიზებული სახით. ყველა საკუთრივი ვექტორი აიგება ცხადი სახით. საზოგადოდ ამ ტიპის მატრიცებს მისი ელემენტებისგან დამოუკიდებლად აქვთ ერთი და იგივე საკუთრივი ვექტორები (საკუთრივი ვექტორ-სივრცეები). ასეთი მატრიცების დიაგონალური მატრიცა შეიცავს საკუთრივ რიცხვებს. როდესაც ცენტრსიმეტრიული მატრიცა სიმეტრიულიც არის, აგებულია სპექტრალური დეცომპოზიციის მატრიცა მეოთხე რიგის ჩათვლით. სპექტრალური დეცომპოზიციის მატრიცის სვეტები წარმოადგენენ ორთონორმირებულ საკუთრივ ვექტორებს. დეცომპოზიციის მატრიცას და მის შებრუნებულს დაყავს ორმაგად სიმეტრიული მატრიცა დიაგონალურ სახეზე, რაც ამარტივებს საწყისი მატრიცის ნებისმიერი ხარისხის პოვნას მხოლოდ საკუთრივი რიცხვების ამ ხარისხში აყვანით, რომლებიც დიაგონალური მატრიცის ელემენტებია. ნაშრომში რამდენიმე თეორემაა წარმოდგენილი ამ ტიპის მატრიცების თავისებურებების გათვალისწინებით.





## ვასილ კაციაშვილი

### ISO 9001-2000 (ხარისხის მართვა) სტანდარტი და საოცენაციო რისკის მართვის ურთიერთყავშირი

დღევანდელ გლობალიზებულ მსოფლიოში კომპანიები სულ უფრო და უფრო დიდ გავლენას ახდენენ ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და სოციალურ პროცესებზე. შესაბამისად, სულ უფრო მეტ ყურადღებას იმსახურებს ბიზნესის პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე, ანუ კორპორატიული საზოგადოებრივი (სოციალური) პასუხისმგებლობა. თანამედროვე მსოფლიოში საზოგადოებას აინტერესებს არა მხოლოდ კომპანიის ბიზნეს-საქმიანობის საბოლოო შედეგები, არამედ ისიც, თუ როგორ ახორციელებს კომპანია თავის საქმიანობას: როგორ იხარჯება ბუნებრივი რესურსები, როგორია დამოკიდებულება დაქირავებული თანამშრომლების მიმართ, როგორ ზეგავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობა რეგიონისა და ადგილობრივი თემის/საზოგადოების განვითარებაზე და ა. შ.

საზოგადოებრივი კეთილდღეობის მიღწევის საქმეში ბიზნესის გადამწყვეტი როლის გათვალისწინებით, მომხმარებელი სულ უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებს კომპანიებს, რათა მათ თავიანთი საქმიანობა აწარმოონ ეთიკურად, საზოგადოების სოციალური, ეკონომიკური და გარემოს დაცვითი ინტერესების გათვალისწინებით.

ყველა ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან. როგორც ცნობილია მაღალ მომგებიანობას მაღალი რისკი ახლავს თან და პირიქით. ამიტომ აუცილებელია რისკის მართვა, თუმცა პოტენციური შეფერხებების წინასწარ განსაზღვრა არც ისე ადვილია. მსოფლიოში არსებულ მსხვილ კომპანიებს აქვთ საკუთარი რისკ მენეჯმენტის დეპარტამენტი, რომელიც რისკის მართვის განყოფილებას წარმოადგენს და განსაზღვრავს მათ საქმიანობას, თუმცა ზოგი კომპანია მას თავს არიდებს ფინანსური შეფერხებებისა თუ სხვა მიზეზების გამო.

ზოგადად რისკი იყოფა რამოდენიმე კატეგორიად: საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკად. წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება რისკ მენეჯმენტის არსი და კერძოდ საოპერაციო რისკის მნიშვნელობა, თუ რა დარღვევებს იწვევს საოპერაციო რისკი,

საოპერაციო რისკების ადეკვატური მართვის გარეშე კომპანიების ხელმძღვანელობა მოკლებულია ინფორმაციას, შიდა არსებულ ვითარებასა და პრობლემის სიღრმის შესახებ. აღნიშნული პრობლემის სერიოზული სახე უკვე ძნელად ექვემდებარება გადაწყვეტას. ამდენად, საოპერაციო რისკის ადეკვატური მართვა ამ რისკით გამოწვეული რაიმე პრობლემის საწყის ეტაპზე გამოვლენისა და გადაწყვეტის საშუალებას აძლევს ფირმებსა და კომპანიებს დიდ კორპორაციებში იმისათვის, რომ საფუძვლიანად მოხდეს რისკ-მენეჯმენტის გატარება, მას ჰყოფენ სხვადასხვა ტიპის რისკად და მათ ინდივიდუალურად განიხილავენ. ეს სახეობები განისაზღვრება ამ რისკის გამომწვევი მიზეზებისა და მისგან გამოწვეული შედეგების მიხედვით. ფინანსური მომსახურების სფეროსთვის და კომერციული ბიზნესებისათვის, რისკი წარმოადგენს მათი საქმიანობის განუყოფელ ნაწილს.

90-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საკრედიტო და საბაზრო რისკები მრავალმხრივი კვლევისა და დებატების საფუძველი გახდა, რამაც ფინანსური ინსტიტუტების და არა მარტო ფინანსური ინსტიტუტების მიერ ამ რისკების იდენტიფიკაციის, გაზომვისა და მართვის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

ბოლო პერიოდში ფინანსური მომსახურების სფეროში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი, რომელიც ფინანსური ტექნოლოგიების სირთულის ზრდის პარალელურად მიმდინარეობს, ბიზნეს საქმიანობას სულ უფრო მრავალფეროვანს და რთულს ხდის. ეს მიზეზები განაპირობებენ, იმას რომ კომაპნიების ზედამხედველები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ საოპერაციო რისკის იდენტიფიკაციას, გაზომვასა და მართვას.

საოპერაციო რისკი გაცილებით მეტია, ვიდრე რეალობაში ისტორიულად გათვითცნობიერებული ტერმინი – „საოპერაციო“. საოპერაციო რისკის კარგად მართვა, ფაქტობრივად, ორგანიზაციის მთელი შიდა სისტემის ე.ი. მის კარგად მართვას ნიშნავს და პირიქით, სადაც საოპერა-

ციონ რისკის მართვა არ ესმით ან არ შესწევთ უნარი მართონ იგი, ერთი-ორად იზრდება პრობლემები და გაკოტრების აღწათობა. კომპანიები საოპერაციო რისკების უგულებელყოფით არა-ერთ პრობლემას აწყდებიან. ხშირად ხელმძღვანელობა ვერ ფლობს შიდა ვითარებასა და პრობლემის სიღრმეზე არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული პრობლემის სერიოზული სახე კი შემდგომში ძნელად ექვემდებარება გადაწყვეტას. ამდენად, საოპერაციო რისკის ადეკვატური მართვა პრობლემის საწყის ეტაპზე გამოვლენისა და მისი გადაწყვეტის საშუალებას აძლევს ორგანიზაციებს. შესაბამისად, ამას მოჰყვება ბიზნეს საქმიანობის სტაბილურობა და ფინანსური მდგრადობა.

საოპერაციო რისკს არაერთი ინტერპრეტაცია აქვს. მაგალითად საბანკო სისტემაში იგი არასაბაზრო და არასაკრედიტო რისკადაც მოიხსენიება. ძირითადად კი საოპერაციო რისკი უკავშირდება პერსონალისა და შიდა ან გარე სისტემების არაადეკვატური ქცევის შედეგად გამოწვეულ შედეგს. სხვადასხვა სისტემაში საოპერაციო რისკს სხვადასხვა ჯგუფად ჰყოფენ მისი გამოწვევი მიზეზების მიხედვით: საოპერაციო რისკი წარუმატებელი ტრანზაქციებიდან და თაღლითური ვაჭრობიდან; ფიზიკური რისკი აქტივების დაზიანებით გამოწვეული - ეს იქნება კომპიუტერების დაზიანება თუ სხვა შიდა ინტერიერის დაზიანება; დანაშაულებრივი ქმედება შიდა თუ გარე ფაქტორებიდან გამომდინარე; მომხმარებლის არასინდისიერი ქმედებიდან;

საოპერაციო რისკი ბიზნესის აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია, ხოლო რისკების მართვა – იმ მასშტაბური სამუშაოს ნაწილია, რომელსაც კომპანიის მენეჯმენტი ღირებულების შესაქმნელად ეწევა. თუმცა, უკანასკნელ წლებში მრავალი კორპორაციის კრაში იმაზე მიუთითებს, რომ კომპანიების უმრავლესობას რისკების მართვის ადეკვატური სისტემა არ გააჩნია; უფრო მეტიც – ბევრ კომპანიას არასწორადაც კი ესმის მათ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების ხასიათი.

1997-2002 წლებში 200 წამყვანი ფინანსური კომპანიის კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 90 მათგანი სერიოზული პრობლემის ნინაშე იდგა, ანუ თითქმის ყოველი მეორე კომპანიის საქმიანობა სერიოზული რისკების ქვეშ ექცეოდა. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ რისკების იდენტიფიკაციასა და მის გამოვლენაში ხელმძღვანელობა ვერ ერკვევა. ამ დასკვნას კომპანიების დირექტორთა საბჭოს წევრების გამოკითხვაც ადასტურებს. 2005 წელს დირექტორთა საბჭოს წევრების სამ მეოთხედზე მეტმა აღიარა, რომ ვერ ერკვევა კომპანიის ნინაშე არსებული ძირითადი რისკების არსში. დირექტორთა კიდევ ერთმა მეოთხედმა მიიჩნია, რომ მათ კომპანიებში არ შეუძლიათ რისკების ეფექტიანი შეფასება და მართვა, ხოლო 20%-მა განაცხადა, რომ მათ კომპანიებში საერთოდ არ აკეთებენ ასეთ შეფასებას. თუ დირექტორთა საბჭოს წევრებმა არაფერი იციან რისკების მართვის შესახებ, ცხადია, ეს პირდაპირ აისახება უმაღლესი რანგის მენეჯერების საქმიანობაზე. ტოპ-მენეჯერებს იშვიათად მოეთხოვებათ რისკის გათვალისწინებით ფინანსურ შედეგიანობაზე ორიენტირება. ისინი თავიანთ საქმიანობაში შედარებით მარტივ მაჩვენებელებს იყენებენ – წმინდა მოგება, მოგების წილი ერთ აქციაზე ან აქციის ფასის ზრდის პროგნოზი. რისკ-მენეჯმენტის სრულყოფა დირექტორთა საბჭოს მხრიდან ქმედით კონტროლს, გადაწყვეტილების შემუშავებისა და მიღების ყოველდღიურ პროცესში რისკ-მენეჯმენტის მეთოდების ინტეგრირებას მოითხოვს. კომპანიები, რომლებმაც ვერ მოახერხეს რისკების მართვის პროცესის აწყობა, სერიოზულ პრობლემებს იქმნიან: გაუთვალისწინებელი და, ხშირად, მნიშვნელოვანი დანაკარგები ფულის ნაკადის და აქციის ფასების რყევებს იწვევს, რაც აკნინებს კომპანიის საქმიან რეპუტაციას კლიენტების, თანამშრომლების თუ ინვესტორების თვალში. როდესაც კომპანიები ცდილობენ, საკუთარი თავი და აქციები არასტაბილურობისაგან დაიცვან, ზოგჯერ იმ ბიზნეს-მოდელებზე გადადიან, რომლებიც მინიმალურ რისკებს გულისხმობს.

რისკების კონცენტრაცია თავისთავად ცუდი მოვლენა არაა. ყველაფერს კომპანიის რისკისადმი დამოკიდებულება განსაზღვრავს. მაგრამ, სამწუხაროდ, კომპანიათა უმეტესობას არ გააჩნია რისკის მართვის სტრატეგია. თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, სწორედ მის არსებობაზეა დამოკიდებული საინვესტიციო გადაწყვეტილებების სისწორე და ეფექტიანობა. მაშასადამე, რისკის სტრატეგიის შემუშავება ნებისმიერი ორგანიზაციისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა. გონივრული სტრატეგია გამოყოფს რისკების იმ ტიპებს, რომლებიც კომპანიას მაქსიმალურ მოგებას ჰპირდება, დასაშვები რისკების ზღვრულ სიდიდეზე<sup>2</sup>.



11 სექტემბრის ტერორისტულმა აქტმა, „ბერინგსის“, „ენრონის“ და სხვა მსხვილი კომპანიების გაკოტრებამ ცხადყო, რომ არსებული რისკის მასშტაბები სცილდება მხოლოდ საკრედიტო და საბაზო რისკებს. გარდა აღნიშნული რისკებისა, ბიზნეს სექტორი დგას თაღლითობის, სისტემების მოშლის, ტერორიზმის, თანამშრომელთა მხრიდან კომპენსაციების მოთხოვნის და სხვა რისკების წინაშე, რომლებიც შეიძლება გაერთიანდეს ტერმინის – „საოპერაციო რისკის“ ქვეშ.

• შიდა მაქინაციები – მაგალითად: ტრანზაქციის შეცდომით გატარება, თანამშრომელთა მიერ ჩადენილი ქურდობა, თაღლითობა, მითვისება, გამოძალვა, ქრთამის აღება და სხვა;

• გარე მაქინაციები – მაგალითად: გარეშე პირების მიერ ჩადენილი ქურდობა, თაღლითობა, ყაჩაღობა, გაყალბება (ფულის, ჩეკების, დოკუმენტების), „ჰაკერობა“ და სხვა;

• თანამშრომელთა ქცევა და უსაფრთხო სამუშაო გარემო – მაგალითად: თანამშრომელთა მხრიდან კომპენსაციების მოთხოვნა მორალური ან ფიზიკური ზიანისა და დისკრიმინაციის-თვის, თანამშრომელთა ორგანიზებული გაფიცვები და სხვა;

• ბიზნესის, პროდუქტების და კლიენტთა ქცევები – მაგალითად: კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის გამუდავნება, უთანხმოება საკონსულტაციო საქმიანობასთან დაკავშირებით, ლიმიტების გადაჭარება, ფულის გათეთრება და სხვა;

• მატერიალური აქტივების დაზიანება – მაგალითად: ტერორიზმი, ვანდალიზმი, სტიქიური უბედურებები და სხვა;

• საქმიანობის შეფერხება და სისტემების მოშლა – მაგალითად: კომპიუტერების და პროგრამების მწყობრიდან გამოსვლა, შეფერხებები სატელეკომუნიკაციო სისტემებში, შეფერხებები კომუნალურ სფეროში და სხვა;

• აღსრულება, მომსახურების მინოდების და პროცესების მართვა – მაგალითად: მონაცემთა არასწორი შეყვანა, არასწორი კომუნიკაცია, არაზუსტი ანგარიშგებების მომზადება, არასრულყოფილი იურიდიული დოკუმენტაცია, ვადების დაუცველობა და სხვა საოპერაციო რისკის მართვის აუცილებლობა.

რისკებთან და მათ მართვასთან დაკავშირებული საკითხები დღემდე კამათის საგანია. ზოგიერთი ფიქრობს, რომ პრობლემის საუკეთესო გადაწყვეტა იმ რიცხობრივ<sup>3</sup> მაჩვენებლებს ეფუძნება, რომლებიც უკვე მომხდარი მოვლენების ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება. საწინააღმდეგო აზრის მიხედვით, მომავლის გაურკვევლობის გამო გადაწყვეტილებები მხოლოდ სუბიექტურ ნარმოდგენებს ეფუძნება. საკითხავი კი ისაა, რამდენად განსაზღვრავს ნარსული მომავალს. მომავლის განსაზღვრა არ შეგვიძლია, მაგრამ ვისწავლეთ რიცხვთა გამოყენება იმის დასადგენად, თუ რა მოხდა ნარსულში. რა დონეზე შეგვიძლია გვქონდეს იმედი, რომ მოვლენათა მსვლელობა მომავალში შესაბამისი აღმოჩნდება იმასთან, რაც ნარსულში მოხდა რისკების გონივრული მართვისთვის კომპანიამ უნდა იცოდეს, თუ რა სახის რისკებთანაა დაკავშირებული მისი საქმიანობა. ამისათვის კი ობიექტურად უნდა შეფასდეს ყველა ძირითადი რისკი, გაცნობიერებულ უნდა იქნას, კონკრეტულად რომელი და რა დონის რისკისთვის არის მზად კომპანია. ამის მისაღწევად ზოგიერთი კომპანია რისკების მართვის ეფექტიან სისტემას ქმნის, რომლის გამოყენებით შეძლებს რისკების ზუსტ იდენტიფიცირებას და შეფასებას, რათა მენეჯმენტს და დირექტორთა საბჭოს სანდო ინფორმაცია მიაწოდოს. ამოცანა ისეთი კულტურის ფორმირებაა, რომლის დროსაც კომპანიის მენეჯმენტი დაინტერესებული იქნება არა მხოლოდ მოგების მიღებით, არამედ, რისკების ადეკვატური მართვით. ანუ, თითოეული თანამშრომლის წახალისების მოცულობა დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებზე, არა-მედ იმაზეც, თუ რამდენად ეფექტურად მართავს იგი რისკებს<sup>4</sup>.

თუ თვალს გადავავლებთ ოპერაციათა სტრატეგიის შერჩევის ისტორიას დავინახავთ: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში მოხდა ხარისხიანი პროდუქციის მოთხოვნის მკვეთრი ამაღლება, რომელიც ომის დროს იყო შეკავებული. იმისათვის, რომ დაეკმაყოფილებინათ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნა, ამერიკელმა მნარმოებლებმა პრიორიტეტად აირჩიეს პროდუქციის დიდი მოცულობა; ხოლო ამავე პერიოდში იაპონურ კომპანიებს მთელი თავისი ძალისხმევა მიმართული ჰქონდათ გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ამაღლებისკენ. აქედან გამომდინარე, სხვადასხვა ქვეყნის კომპანიები საკუთარი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის

სრულიად განსხვავებული პრიორიტეტებით ხელმძღვანლობდნენ. ნებისმიერი ოპერაციათა სტრატეგიის გზა წარმატებისაკენ გამოიხატება პრიორიტეტების ყველა შესაძლო ვარიანტების მაქსიმალურად ზუსტად შერჩევაში.

დღეს ბაზარზე საქონლისა და მომსახურების ფართო არჩევანია. მომხმარებელი საქონლისა და მომსახურების შერჩევას ახდენს სხვადასხვა ნიშნით, ზოგს იზიდავს ხარისხი და მახასიათებლები, ზოგს ფასი. ამის შესაბამისად კომპანიებს ბაზარზე უხდებათ სხვადასხვაგვარი პოზიციებით შესვლა, რისთვისაც ისინი იარაღად იყენებენ სხვადასხვა კონკურენტულ მაჩვენებლებს

ხარისხი არის თვისებებისა და მახასიათებლების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. მისი მახასიათებლებია: დანიშნულება, საიმედოობა, ტექნოლოგიურობა, ესთეტიკურობა, ეკოლოგიურობა, უსაფრთხოება. დღესდღეობით პროდუქციის ხარისხს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნებისმიერი კომპანიის საქმიანობაში.

პროდუქციის ხარისხის უზრუნველსაყოფად კომპანიაში გათვალისწინებული და დაკმაყოფილებული უნდა იქნეს მომხმარებლის მოთხოვნები. სრულებით ნათელია, რომ მომხმარებელი ერთმანეთთან აფარდებს ფასსა და ხარისხს, შესაბამისად იგი არ გადაიხდის ზედმეტს. მაღალი ფასი კი მხოლოდ მაღალი ხარისხით განისაზღვრება. მეორეს მხრივ, არასაკმარისად ხარისხიანი საქონელი გამოიწვევს იმ პოტენციური მყიდველების დაკარგვას, რომლებიც მზად არიან გადაიხადიან მეტი, თუმცა იმ შემთხვევაში, თუ პროდუქციას ექნება განსაზღრული უპირატესობები.

ხარისხის შექმნასთან თავისთავად წარმოების პროცესს აქვს ასევე უაღრესად დიდი მნიშვნელობა, რამდენადაც იგი დაკავშირებულია პროდუქციის საიმედოობასთან. მიუხედავად იმისა, კომპანია რომელ პროდუქტს ანარმოებს - იქნება ეს საკვები პროდუქტი, თუ სხვა სამომხმარებლო საქონელი, მომხმარებლებს აინტერესებს, რომ მის პროდუქციას არ ჰქონდეს დეფექტი. ასე რომ, პროდუქციის დამზადების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი მიზანი მდგომარეობს საქონლის დამზადებაში - ტექნოლოგიური შეცდომებისა და დეფექტების გარეშე. მოთხოვნები პროდუქციის დამზადების მიმართ განისაზღვრება მისი ტექნიკური მახასიათებლებით, რომელიც წაჩვენებია საბუთებში.

ხარისხის ტოტალური მართვა მოიცავს ისეთ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მისი პროდუქტისა და მომსახურეობის უპირატესობას კონკურენტების ანალოგიურ პროდუქტთან და მომსახურეობასთან შედარებით. იგი ეყრდნობა ხარისხის დაგეგმვის, უზრუნველყოფის, პოლიტიკისა და გაუმჯობესების ღონისძიებებს. იგი მიმართულია ორ ოპერაციულ ამოცანაზე:

- 1) მაღალხარისხიანი პროდუქტისა და მომსახურების დაპროექტება და;
- 2) მათი წარმოების უზრუნველყოფა.

დაპროექტების ხარისხის ძირითადი მაჩვენებლებია: მწარმოებლურობა, განსაკუთრებულობა, საიმედოობა, რეპუტაცია, რეაქცია, ესთეტიკური მაჩვენებლები და ა.შ.

მსოფლიოში არსებობს ხარისხის მართვის არაერთი საშუალება, რომელსაც მრავალი მსხვილი კომპანია თუ ბიზნეს დაჯგუფება იყენებს. დიდი ორგანიზაციები მას საკუთარი რისკ-მენეჯმენტის განსახორცილებლად აკეთებენ. მათ შორის ერთ-ერთ ასეთ ყველაზე გავრცელებულ, უმსხვილეს რისკ-მენეჯმენტის დაწესებულებას წარმოადგენს KPMG.

საერთაშორისო რისკ-მენეჯმენტის ორგანიზაცია დაკომპლექტებულია ხუთ ნაწილად:

- I ნაწილი: რისკ-მენეჯმენტი, ხარისხის მართვა და ხელმძღვანელობა;
- II ნაწილი: პროფესიონალური მართვა;
- III ნაწილი: კლიენტის მოწვევა და მიღება;
- IV ნაწილი: მენეჯმენტის განხორციელება;
- V ნაწილი: ინფორმაციული ტექნოლოგიები და თავდაცვა.

**ISO მსოფლიო ბაზარზე – მისი წარმოშობის ისტორია და მოღვაწეობა.**

ხარისხი განსაზღვრავს პროდუქტისა და მომსახურების ვარგისიანობას, აქედან გამომდინარე, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან გაჩნდა იდეა იმის შესახებ, რომ აუცილებელი იყო ხა-



რისხის მართვის კოტროლი. ეს მოტივი პირველად საქმიანობიდან გავრცელდა და 1966 წლიდან ინგლისის სახელმწიფომ გააუღერა ხარისხისა და საიმედოობის შემდეგი სლოგანი: „ხარისხი ყველას საქმიანობაში“ (Quality in everyone's business). გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ამ საქმიანობაზე დროისა და ფულის ამაოდ ხარჯვის მიუხედავად შედეგი მიღწეულ იქნა 1969 წელს, როდესაც ბრიტანეთის მთავრობამ შეიმუშავა გეგმა მწარმოებელთა წინააღმდეგ. ეს გეგმა გულისხმობდა იმ მომწოდებელთა დასჯას, რომლებიც არ დაიცავდნენ დაწესებულ კანონზომიერებებს ხარისხის გასაუმჯობესებლად.

1971 წელს BSI (British Standard's Institute) შეიმუშავა ახალი სტანდარტები BS 9000 ხარისხის გაუმჯობესებისათვის, რომლის დანერგვაც გადაწყვიტეს ელექტრონულ ინდუსტრიაში. შემდეგ 1974 წელს იგივე დაწესებულებამ განაახლა სტანდარტები და დაინერგა BS 5179. მეოცე საუკუნის 70-იან წლებში BSI არაერთ შეხვედრას მართავდა საწარმოებთან და სხვადასხვა კომპანიებთან, რათა ჩამოყალიბებინათ ხარისხის მართვის სტანდარტები. ეს შეხვედრები დაგვირგვინდა 1979 წელს BS 5750-ის შემუშავებით. ეს უკანასკნელი გახდა ყველა იმ დროინდელ მთავარ საწარმოთა მართვის მიმართულება. ყველა ინდუსტრია ცდილობდა დაენერგო თავისთან ეს ახალი სტანდარტები, რათა შეძლებოდათ ხარისხის კონტროლი 1987 წელს ბრიტანულ სტანდარტებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა ISO 9001-2000 სტანდარტები.

შექმნილ სტანდარტებზე შეინიშნებოდა ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა თავდაცვითი სამსახურების აშკარა ზეგავლენა. ეს სტანდარტები კარგად მოერგო წარმოების სფეროსაც, უფრო მეტიც ხელს უწყობდა მკაცრი ზომების გატარებას საწარმოო დაწესებულებასა და ქარხნებში. მკაცრი სამსედრო სტანდარტები ითვალისწინებდა იმ მოთხოვნების დაკმაყოფილებას, რომლებიც დაკავშირებული იყო წარმოების პროცესების თითოეულ სვლის შემონმებასთან და არა შედეგობრივ ზედაპირულ მენეჯმენტთან. რაც წარმოადგენდა ამ ახალი სტანდარტების დანერგვის მიზანს.

ISO 9001-2000 სტანდარტების მიმოხილვა და გადამოწმება ხდება ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. მისი მოდიფიცირება მოხდა 1994 წელს. ეს უკანასკნელი მის წინამორბედთან შედარებით ითვალისწინებდა კორუფციის პრევენციას. იმ ორგანიზაციაში, სადაც ინერგებოდა ეს ახალი სტანდარტები, ხდებოდა საწარმოო პროცესების ზედმიწევნით შესრულება. ახალი ზომების მიღება ასევე ეხმარებოდა ორგანიზაციაში საწარმოო პრობლემის გამოაშვარავებას. ბუნებრივია ISO სტანდარტების დანერგვა და განხორციელება ერთბაშად სრულყოფილად ვერ მოხერხდებოდა. ეტაპობრივად ხდებოდა ახალი სახელმძღვანელო სისტემის შემუშავება, ახალი მოთხოვნების დანერგვა და იმპლემენტირება, რომელიც მთლიანად ემსახურებოდა ISO სტანდარტების მოთხოვნებს. თუმცა ამ პროცესების გარემოსთან ადაპტირება საკმაოდ დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული<sup>5</sup>.

ISO სტანდარტების 9001-2000 ახალი ვერსია დაკავშირებულია რადიკალურად განსხვავებულ აზროვნებასთან. იგი მოიცავს წარმოების პროცედურების მენეჯმენტს. ვინაიდან და რადგანაც ყველამ დაინახა ახალი სტანდარტების უპირატესობა, გადაწყდა მისი დანერგვა და განხორცილება ყველა საწარმოო კომპანიაში. საზოგადოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ფირმის განვითარება და კონკურენტუნარიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად წარმატებით ასრულებს იგი საწარმოო რესურსების ეფექტური მართვის ორგანიზებას. სწორად ამაში გამოიხატება ოპერაციათა მენეჯმენტის და ISO სტანდარტების ძირითადი ამოცანა.

ISO სტანდარტების იმპლემენტირება და განხორციელება მიმართულია სწორი მენეჯმენტისაკენ. მენეჯმენტი დაკავებულია ორგანიზაციული სისტემების დაპროექტებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალური, შრომითი რესურსების, მოწყობილობებისა და საწარმოო სიმძლავრეების ეფექტურ გამოყენებას პროდუქციის დამზადებისა და რეალიზაციის პროცესში. იგი განიხილავს, ერთი მხრივ, ოპერაციული სტრატეგიისა და საწარმოს კონკურენტუნარიანობის საკითხებს, მეორეს მხრივ ოპერაციათა მენეჯმენტის ინსტრუმენტებსა და მეთოდებს, რომელებიც საშუალებას აძლევს ფირმას განსაზღვროს თავისი საქმიანობის სწორი მიმართულება, შექმნას და შეინარჩუნოს კონკურენტული უპირატესობა. ISO სტანდარტების ყველა მიმართულების დანერგვის საერთო საფუძველს წარმოადგენს 8 ხარისხის პუნქტი, ესენია:

1. თითოეული საფეხურისა და ეტაპის თანმიმდევრობით თვალყურის მიღევნება.
2. მომხმარებელზე ორიენტირება და მათი რიცხოვნობის ზრდა.
3. ორიენტირება ხელმძღვანელობაზე.
4. ახალი მიმწოდებლების შეძენა, მათი საქმეში ჩართვა და შემოერთება.
5. დაგეგმილი მენეჯმენტის განხორციელება და მასთან მიახლოვება.
6. სისტემის უწყვეტი გაუმჯობესება.
7. სწორი გადაწყვეტილებების მიღება.
8. მომწოდებლებთან ორმხრივად კეთილმეგობრული ურთიერთობის დამყარება.

ISO იშიფრება, როგორც საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაცია (“International Organization for Standardization”) ISO 9001-2000 - სტანდარტიზაციის საერთაშორისო სისტემა წარმოადგენს სტანდარტიზაციის ნაციონალური ორგანიზაციების საერთაშორისო ფედერაციას. ISO სტანდარტები ეს არის სტანდარტების კომპლექსი, რომელიც ფუნქციონირებს ნაციონალურ და საერთაშორისო სისტემაში და უზრუნველყოფს ხარისხის მენეჯმენტის სისტემის დანერგვას ორგანიზაციაში.

საერთაშორისო სტანდარტების ქსელი მოიცავს 162 ქვეყანას. მათი ცენტრალური ფილიალი კი მდებარეობს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, საიდანაც იმართება მთელი სისტემა. ISO წარმოადგენს ორგანიზაციას, რომელიც აკავშირებს ერთმანეთთან სახელმწიფოსა და კერძო სტრუქტურებს. ერთის მხრივ, ის ინსტიტუტები, რომლებიც ფლობენ ISO -ს საერთაშორისო სტანდარტებს მოიცავს სამთავრობო სტრუქტურებს ან ჩამოყალიბებულია მათ მიერ, ხოლო მეორეს მხრივ, სხვა წევრი კომაპანიები დაფუძნებულია მხოლოდ კერძო სტრუქტურით. სტანდარტები უზრუნველყოფს პროდუქტისა და მომსახურების სასურველ მდგომარეობას, ხარისხს, სამედოობასა და უსაფრთხოებას ეკონომიკური დანახარჯებით.

მაშასადამე ISO სტანდარტები ემსახურება შემდეგს:

- სტანდარტები უზრუნველყოფს პროდუქტისა და მომსახურებისა წარმოების ეფექტურობასა და უსაფრთხოებას;
- ქვეყნებს შორის სამართლიანი და უსაფრთხო ვაჭრობის ჩამოყალიბებას;
- მთვრობისათვის ტექნოლოგიური, უსაფრთხოებისა და გარემო კანონმდებლობის ბაზების შექმნას;

- კარგი მენეჯმენტის ათვისებასა და ტექნოლოგიური უპირატესობების ფლობას;
- ინვაციის გავრცელებას;
- პროდუქტისა და მომსახურების უსაფრთხო მომხმარებლებსა და კლიენტებს;
- მუშაობის გაადვილების მიზნით საერთო გადაწყვეტილებების მიღებას, საერთო პრობლემების გადასაჭრელად;

ISO სტანდარტების მიღება, დანერგვა და განხორციელება თავისთავად უკავშირდება და-დებით შედეგებს ბიზნესისათვის ISO სტანდარტების მიღება დაკავშირებულია მიმწოდებლების ფართო განვითარებასთან მოცემულ კონკრეტულ სექტორში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთაც. ინვატორებისათვის ამ სტანდარტების მიღება ნიშნავს მათი ინოვაციების ფართო გავრცელებას და მნარმოებლებთან მჭიდრო კავშირების დამყარებას. კლიენტებისათვის სტანდარტების დადებით მხარეს წარმოადგენს მათ ფართო არჩევანს პროდუქტისა და მომსახურების ხარისხიან და კონკურენტულ გარემოში.

ISO 9000 და ISO 14000 ჯგუფის სტანდარტები ცნობილია, როგორც „მართვის სისტემის საერთო სტანდარტები“. ეს ნიშნავს, რომ მათი გამოყენება შეუძლია ნებისმიერ ორგანიზაციას მიუხედავად იმისა არის ის ბიზნესსაწარმო, ასოციაცია თუ სახელმწიფო უწყება.

ISO სტანდარტების დანერგვით მთელი საზოგადოება მოგებული რჩება. ხარისხის მართვის დახმარებით სანარმოები ზრდიან შემოსავლებს და კმაყოფილდება მომხმარებლის მოთხოვნა პროდუქციის და მომსახურების ხარისხთან მიმართებაში.

– ISO სტანდარტები, როგორც საოპერაციო რისკის მართვის ერთ-ერთი ხელსაყრელი ინსტრუმენტი.



ISO სტანდარტების დანერგვის ძირითადი მიზანი საქართველოს ბინზესისთვის არის მათი წვლილის შეტანა იმ საზოგადოებაში, რომელშიც ჩვენ ყველა ვცხოვობთ. ISO სტანდარტების დანერგვა ნიშნავს ხარისხის, ეკოლოგიის, უსაფრთხოების, ეკონომიკის, სანდოობის, ეფექტურობის გაზრდას.

ISO სტანდარტების დანერგვა ორმხრივად მომგებიანია როგორც მენარმის ასევე მომხმარებლისთვის. ამ სტანდარტების დანერგვა უზრუნველყოფს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას - უცხოელი ინვესტორები, რომლებიც ქვეყანაში შემოვლენ აუცილებლად იმ კომპანიებს დაუკავშირდებიან, რომლებიც ISO სტანდარტებს იყენებენ და მათთან თანამშრომლობის დაწყებამდე თავისთავად მოითხოვენ, ISO 9000 სერთიფიკატს.

საქართველოს სტირდება, რომ მისი საექსპორტო პროდუქცია მოწოდებული იქნას მომხმარებლის მიერ. პროდუქცია, რომელიც აკმაყოფილებს სამომხმარებლო ბაზრის სტანდარტებს, კონკურენტუნარია. ხარისხის დემონსტრირება თავდაპირველად კომპანიაში იწყება. კომპანიას შეუძლია მიიღოს სარგებელი, როგორც თვით კომპანიის შიგნით ასევე მის გარეთ საერთაშორისო მოთხოვნების დაკმაყოფილების გზით, რაც გულისხმობს: ხარჯების დაზოგვას, გაუმჯობესებულ შრომის ნაყოფიერებას, თანამშრომელთა დაკმაყოფილებას, გაუმჯობესებულ კონტროლს ბიზნესზე, საჭირო საქმიანობების განსაზღვრას, დეპარტამენტებს შორის პარმონიულ მუშაობას და ხარისხიან პროდუქტს.

როგორც მოსალოდნელი იყო კერძო სექტორმა უფრო კარგად გაიზიარა ხარისხის მართვის სისტემის მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული დანერგვა, რათა გამხდარიყო კონკურენტუნარიანი. ახალი სტანდარტების დანერგვა საქართველოში ადვილი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული სტანდარტები მნიშვნელოვანია, ISO სტანდარტები ამარტივებს საერთაშორისო ვაჭრობის პროცესს.

საქართველოში საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის ორგანიზაცია იყენებს საერთშორისო სტანდარტებს. ბევრ ქვეყანაში მიღებულია ეროვნული სტანდარტების გვერდით საერთშორისო სტანდარტების გამოყენებაც.

ISO 9001: 2000 სერთაშორისო სტანდარტების ხარისხის სისტემის დანერგვით კომპანია ხდება კონკურენტუნარიანი. მათ ასევე უნდა დანერგონ თავიანთი ნარმოების ან მომსახურების შესაბამისი სტანდარტი. სავარაუდოდ ქართველი ბიზნესმენების დაინტერესება ამ სტანდარტების მიმართ საკმაოდ დიდია. ISO სტანდარტების დანერგვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბიზნესისთვის მომგებიანია, იგი ნებაყოფლობითია და მიუხედავად ამისა, ბევრი განვითარებული ქვეყანა იყენებს ათასობით საერთაშორისო სტანდარტს ეროვნული სტანდარტებთან ერთად.

### სქოლიობი:

1. David Barners “Operations Management”; Pearson 2010 (p 255)
2. [http://www.iso.org/iso/about/discover-iso\\_isos-name.htm](http://www.iso.org/iso/about/discover-iso_isos-name.htm)
3. <http://www.quality-assurance-solutions.com/>
4. Markland Vickery Davis“Operations Management” Pearson 2009 (p 435)
5. <http://www.iso.org/iso/catalogue.htm>

### გამოყენებული ლიტერატურა

1. David Barners “Operations Management”; Pearson 2010
2. Markland Vickery Davis“Operations Management” Pearson 2009
3. [http://www.iso.org/iso/about/discover-iso\\_isos-name.htm](http://www.iso.org/iso/about/discover-iso_isos-name.htm)

[http://www.faa.gov/library/manuals/aviation/risk\\_management/ss\\_handbook/media/chap15\\_1200.pdf](http://www.faa.gov/library/manuals/aviation/risk_management/ss_handbook/media/chap15_1200.pdf)

4. <http://investor.verisk.com/faq.cfm>
5. <http://www.engineers-international.com/23-28-23.php>
6. <http://www.quality-assurance-solutions.com/>

## ვასილ კაციაშვილი

### ISO 9001-2000 (ხარისხის მართვა) სტანდარტი და საოპერაციო რისკის მართვის ურთიერთკავშირი

#### რეზიუმე

ყველა ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობა დაკავშირებულია გარკვეულ რისკთან. როგორც ცნობილია, მაღალ მომგებიანობას მაღალი რისკი ახლავს თან და პირიქით. ამიტომ აუცილებელია რისკის მართვა, თუმცა პოტენციური შეფერხებების წინასაზღვრა არც ისე ადვილია. მსოფლიოში არსებულ მსხვილ კომპანიებს აქვთ საკუთარი რისკ მენეჯმენტის დეპარტამენტი, რომელიც რისკის მართვის განყოფილებას წარმოადგენს და განსაზღვრავს მათ საქმიანობას, თუმცა ზოგი კომპანია მას თავს არიდებს ფინანსური შეფერხებებისა თუ სხვა მიზეზების გამო.

ზოგადად რისკი იყოფა რამოდენიმე კატეგორიად: საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკად. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება რისკ მენეჯმენტის არსი და კერძოდ საოპერაციო რისკის მნიშვნელობა, თუ რა დარღვევებს იწვევს საოპერაციო რისკი,

საოპერაციო რისკების ადეკვატური მართვის გარეშე კომპანიების ხელმძღვანელობა მოკლებულია ინფორმაციას, შიდა არსებულ ვითარებასა და პრობლემის სილრმის შესახებ. აღნიშნული პრობლემის სერიოზული სახე უკვე ძნელად ექვემდებარება გადაწყვეტას. ამდენად, საოპერაციო რისკის ადეკვატური მართვა ამ რისკით გამოწვეული რაიმე პრობლემის საწყის ეტაპზე გამოვლენისა და გადაწყვეტის საშუალებას აძლევს ფირმებსა და კომპანიებს

**Vasil Kaciashvili**

#### ISO 9001-2000 and Operational Risk Management

#### Abstract

ORM is and ISO 9001-2000 a decision-making tool to systematically help identify operational risks and benefits and determine the best courses of action for any given situation. In contrast to an Operational and Support Hazard Analysis (O&SHA), which is performed during development, ORM is performed during operational use. For example, an ORM might be performed before each flight. This risk management process, as other safety risk management processes is designed to minimize risks in order to reduce mishaps, preserve assets, and safeguard the health and welfare.





## ნათელა დაცაბიძე

### აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უმუშევრობის მიზანები და დასაქმების სრულყოფის გზები

შრომის ბაზრის ფორმირება საქართველოში უმდიმესი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში დაიწყო. ფორმირების პროცესში მყოფი ეროვნული შრომის ბაზრის ფუნქციონირება კიდევ უფრო გაართულა იძულებით გადაადგილებულ პირთა მასობრივმა უმუშევრობამ. გასული საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას, 2008 წლის ზაფხულში, რუსეთის აგრესის, რუსეთ-საქართველოს საომარი კონფლიქტის შედეგად, კიდევ რამდენიმე ათასი ოჯახი დაემატა. იძულებით გადაადგილებული შრომისუნარიანი მოსახლეობის უმრავლესობამ, სამწუხაროდ, უმუშევართა რიგები „შეავსო“. ასეთ პირობებში, კიდევ უფრო აქტუალური გახდა რეგიონული თუ ლოკალური შრომის ბაზრების გამოკვლევა – უმუშევრობის გამომწვევი მიზეზების, მასშტაბების, ხანგრძლივობის, უმუშევართა სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის, სოციალური მდგომარეობისა და სხვა მახასიათებლების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოპოვება-შეფასების მიზნით. გამოკვლევის საფუძველზე მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე გამოთქმული მოსაზრებები, შენიშვნები, ჩამოყალიბებული დასკვნა და დასაქმების უზრუნველყოფის წინადადებები გაცილებით არგუმენტირებული და დასაბუთებულია, ვიდრე მხოლოდ ოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებზე დაფუძნებული რეკომენდაციები. აღსანიშნავია ისიც, რომ მეცნიერული კვლევების უაღრესად დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, მისი ფინანსური უზრუნველყოფა ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება. ამ მხრივ მისაბაძი გამონაკლისია დანიის ლტოლვილთა საბჭოს დაინტერესება და მხარდაჭერა საქართველოს შრომის ბაზრის პრობლემების კვლევით. სწორედ დანიის ლტოლვილთა საბჭოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში განხორციელდა ეროვნული შრომის ბაზრის კვლევა<sup>1</sup> - შრომის ბაზრის დეტალური ანალიზის შედეგად გამოვლინდა მისი ფუნქციონირების თავისებურებები, დამსაქმებელთა გამოკითხვის საფუძველზე დადგინდა კონკრეტული პროფესიები და სპეციალობები, რომლებზეც არსებობს მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნა, შეფასდა ბაზრის მხრიდან მოთხოვნილი პროფესიებისა და სპეციალობების შესაბამისობა ამჟამად უმუშევარ, იძულებით გადაადგილებულ პირთა პროფესიულ-კვალიფიციურ შემადგენლობასთან, შემუშავდა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმების რეკომენდაციები და უმუშევართა გადამზადების კონკრეტული ღონისძიებების პროექტი (აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგების პრეზენტაცია შედგა საერთაშორისო კონფერენციაზე და იგი შეფასდა როგორც რეგიონული შრომის ბაზრის კომპლექსური გამოკვლევა).

როგორც აღინიშნა, პროექტის ფარგლებში განხორციელდა შრომის ბაზრის ორივე მხარის – მოთხოვნა-მიწოდების შესწავლა. წინამდებარე სტატიაში წარმოჩინდება გამოკვლევის<sup>2</sup> ერთეული მხარე, სახელდობრ, აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უმუშევრობის მიზეზები და შემოთავაზებული იქნება დასაქმების ხელშეწყობის კონკრეტული ღონისძიებები.

კვლევის შედეგების რეპრეზენტატულობის უზრუნველსაყოფად, მკვლევართა ჯგუფმა მიზანშეწონილად ჩათვალა საქართველოს ორივე რეგიონიდან - აფხაზეთიდან და ცხინვალიდან იძულებით გადაადგილებული პირების გამოკითხვა მათი კომპაქტური ჩასახლების ადგილებზე. ასეთი ჩასახლების ადგილებზე უფრო აშკარად იკვეთება ყველა ის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, რაც აწუხებს იძულებით გადაადგილებულ მოსახლეობას. გამოკითხვამ მოიცვა ორივე სქესის 202 რესპონდენტი (მათგან 59% მამაკაცი, 41% - ქალი), რომელთა უმრავლესობა, 56%-30-49 წლის ასაკშია, 18% - 50 წლის და უფროსი ასაკისაა, ხოლო 26%- 29 წლამდე ასაკის ახალგაზდებია. ერთ-ერთი მეტად დამაფიქრებელი მხარე, რაც გამოკითხვის მონაცემების ანალიზისას

<sup>1</sup> შრომის ბაზრის კვლევა განხორციელდა მელევართა ჯგუფის მიერ (ჯგუფის ხელმძღვანელი პროფესიონორი მირიან ტუხაშვილი, ჯგუფის წევრები მურმან ცარციძე, ციური ანთაძე, მზია შელია, მამუკა თორია, ნათელა ლაცაბიძე)

<sup>2</sup> 2010 წლის აპრილში, ავტორის მონანილეობით ჩატარდა სოციოლოგიური გამოკვლევა – ინტერვიუ-ანკეტირების მეთოდით. ქ. თბილისში და ქ. ზუგდიდში გამოკითხული იქნა აფხაზეთიდან, ხოლო ქ. გორში ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული უმუშევარი პირები.

გამოიკვეთა, არის უმუშევართა განათლების დონე. გამოკითხულთაგან ნახევარს აქვს უმაღლესი განათლება (უმაღლესი განათლების მქონეთა წილი აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა შორის 71, ხოლო ცხინვალის რეგიონიდან გადაადგილებულთა შორის 28%-ია), 31%-ს – საშუალო სპეციალური და საშუალო პროფესიული, ხოლო 19%-ს – ზოგადი საშუალო. როგორც წესი, მიღებული განათლება ადამიანს იცავს უმუშევრობის რისკისაგან, თუმცა, ეს კანონზომიერება იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ, ნაკლებად ვრცელდება (ისევე, როგორც მთლიანად საქართველოს სინამდვილეში). კიდევ უფრო საგანგაშოა აღნიშნული, უმუშევართა ასაკობრივი შემადგენლობის ფონზე (გამოკითხულთა 82%-ის ასაკი 50 წელს ქვემოთაა). ახალგაზრდა, შრომისუნარიანი და განათლებული ადამიანისათვის უმუშევრობა დამამძიმებელია არა მარტო ეკონომიურად, არამედ ფსიქოლოგიურად.

გამოკვლევამ აჩვენა, რომ უმუშევრობა იძულებით გადაადგილებულ პირთა დიდი ნაწილის ხვედრია. გამოკითხულთა 48% მიუთითებს, რომ მისი ოჯახის შრომისუნარიანი წევრებიდან მხოლოდ ერთია დასაქმებული. მცირეა იმ ოჯახების წილი, სადაც ორი ან სამი წევრია დასაქმებული (შესაბამისად 9% და 3%). რესპონდენტთა 37% აღნიშნავს, რომ ოჯახის არცერთი შრომისუნარიანი წევრი არ არის დასაქმებული. შრომისუნარიანი ასაკის პირების მასობრივი უმუშევრობა ერთნაირად მწვავეა როგორც აფხაზეთიდან, ასევე ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახებისათვის. ძნელი წარმოსადგენი არ არის იმ ოჯახების ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, სადაც შრომისუნარიანი წევრების უმრავლეობა ან ყველა, წლობით უმუშევარია. არსებული ვითარება კიდევ უფრო დამაფიქრებელია იმის გამო, რომ ქ. თბილისში და ქ. ზუგდიდში იძულებით გადაადგილებული პირები მხოლოდ ფულად შემოსავლებზე არიან დამოკიდებული. იგივე ითქმის ცხინვალის რეგიონიდან გადაადგილებულებზეც. გამოკვლევის პროცესში, დამატებითი ინფორმაციის მოპოვების მიზნით, დასმული იქნა კითხვა – „ხომ არ აქვთ საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთები, საიდანაც ნატურალური ფორმით დამატებით შემოსავალს მიიღებენ“. რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ თითოეულ ოჯახს საკუთრებაში გადაეცა 1500 კვ. მ. მიწის ნაკვეთი, მაგრამ მათი უმრავლესობა მიწას არ ამჟავებს იმის გამო, რომ ნაკვეთი არ არის შემოღობილი, მათ კი ნაკვეთების შემოფარგვლის საშუალება არ აქვთ.

საგულისხმოა, რომ გამოკითხულ უმუშევართა დიდ ნაწილს აქვს შრომითი საქმიანობის გამოცდილება. უმუშევრობამდე მრეწველობაში დასაქმებული იყო გამოკითხულთა 3, მშენებლობაში 13, ვაჭრობაში 16, განათლების სფეროში 7, ჯანმრთელობის დაცვაში 6%. გამოკითხულთა 12%-ს საერთოდ არ უმუშავია. გამოკითხულთა ასაკობრივი შემადგენლობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, მათი დიდი ნაწილი სხვადასხვა უმაღლესი სასაწავლებლების კურსდამთავრებულია, ვინც პირველად გამოვიდა შრომის პაზარზე და შესაძლოა წლების განმავლობაში ვერ ახერხებს დასაქმებას. შრომით გამოცდილებაზე ყურადღების გამახვილება საჭიროდ ჩაითვალა იმის გამო, რომ იგი გათვალისწინებული იქნას გადამზადების პროგრამების შემუშავებისას. მუშაობის პერიოდში გამოკითხულთა დიდი ნაწილი (69%) დაქირავებული იყო სხვადასხვა ხანგრძლივობის კონტრაქტით: 40% განუსაზღვრელი ვადით, 15% განსაზღვრული ვადით, 12% სრული სამუშაო დროის პირობებში, ხოლო 2% არასრული სამუშაო დროით. დასაქმებულთა 6% სეზონურად, ხოლო 3% – ეპიზოდურად მუშაობდა. თვითდასაქმებულთა წილი დასაქმებულთა შორის მხოლოდ 19% იყო, რაც საკუთარი ბიზნესის მართვის დიდ გამოცდილებაზე არ მეტყველებს. თვითდასაქმების დაბალი მაჩვენებელი კიდევ ერთი მიმანიშნებელი შტრიხია უმუშევართა გადამზადების კონკრეტული მიმართულებების დაგეგმვისას.

იძულებით გადაადგილებულ პირთა უმუშევრობის თავისებურებებზე მსჯელობა შეიძლება მისი ხანგრძლივობის მიხედვითაც. უმუშევართა 36% სამ წელზე მეტი ხანია არ მუშაობს. განსაკუთრებით საგანგაშოა უმუშევრობის ხანგრძლივობა აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა შორის, გამოკითხულთა 49%-ს სამ წელზე მეტია არ უმუშავია, 7%-ის უმუშევრობის ხანგრძლივობა სამ წლამდე პერიოდს მოიცავს, 20%-ის ორ წლამდე პერიოდს. ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულთა დიდი ნაწილი – 53% თითქმის ორი წელია უმუშევარია. თუმცა დიდია სამ წელზე მეტი ხანგრძლივობით უმუშევართა წილიც (22%). გრძელვადიანი უმუშევრობა სერიოზულ პრობლემებს წარმოშობს როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით. ხანგრძლივი უმუშევრობა იწვევს დეკვალიფიკაციას, საჭიროა დიდი დრო სამუშაოზე ხელმეორედ ადაპტაციისათვის. მით უფრო, რომ ნებისმიერ კონკურეტუნარიან საწარმოში ინვაციური პროცესებიდან გამომდინარე, იცვლება წარმოების ტექნოლოგია. ასეთ შემთხვევაში უმუშევრის კვალიფიკაცია არასაკმარისია მუშაობის დასაწყებად და მას ხანგრძლი-



ვი გადამზადება ესაჭიროება, რაც თავის მხრივ, დიდ ფინანსურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული.

სამუშაო ადგილის დაკარგვის მიზეზების შესწავლით დადგინდა, რომ უმუშევართა საკმაოდ დიდმა ნაწილმა (გამოკითხულთა 47%) სამუშაო ადგილი იძულებით გადაადგილების გამო დაკარგა. უმუშევრობის მიზეზად გამოკითხულთა 33% სამუშაო ადგილის გაუქმებას ასახელებს. ხელფასის სიმცირის გამო უმუშევარი აღმოჩნდა გამოკითხულთა 6% (ისინი არ ასახელებენ ანაზღაურების კონკრეტულ ოდენობას, მაგრამ სავარაუდოა, რომ ანაზღაურება მეტად მიზერული იქნებოდა, სხვა შემთხვევაში, ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მომუშავე არ დატოვებს სამუშაო ადგილს), დაძაბული სამუშაო რეჟიმის გამო სამსახური დატოვა 2%-მა, ხელმძღვანელთან კონფლიქტისა და თანამშრომლებთან შეუთავსებლობის გამო 2%-მა, ხოლო სხვადასხვა მიზეზის გამო -7%-მა.

საგულისხმოა, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობას მუშაობის დაწყების სურვილი აქვს და აქტიურად ეძებს სამუშაოს. მათი ნაწილი – 53% მხოლოდ სრული სამუშაო დროის პირობებით ეძებს სამუშაოს, 38% თანახმა იმუშაოს არასრული სამუშაო დროით. რეპონდენტებმა კითხვაზე, რატომ სურთ მხოლოდ სრული სამუშაო დროით დასაქმება, უპასუხეს: „ისედაც დაბალი ანაზღაურების პირობებში, არასრული სამუშაო დროით დასაქმებიდან მიღებული ხელფასის დიდი ნაწილი მგზავრობის და მხოლოდ მომუშავის კვების ხარჯებს დაფარავს, ოჯახის აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოფას ვერ შეძლებენ. მით უფრო, რომ ისინი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით არ არიან დაკავებულნი“. აღსანიშნავია ისიც, რომ სამუშაო ადგილის ძიებისას უმუშევარი მოსახლეობა ხშირად გადაულახავ სიძნელებს აწყდება. 27% ვერ პოულობს თავისი პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაფერის სამუშაოს, დაახლოებით ნახევარი – 49% ვერანაირ სამუშაოს ვერ პოულობს პროფესიისა და კვალიფიკაციის მიუხედავად. გამოკითხულთა 9%-მა სამუშაოს მოძიების მთავარ სირთულედ მეტისმეტად დაბალი ხელფასი დაასახელა, 5%-მა უცხო ენის არცოდნა, ხოლო 9%-ს სამუშაოს დაწყებაზე უარი უთხრეს ასაკის გამო. სამუშაოს მოძიების სირთულეებიდან გამომდინარე, ლოგიკურია, რომ უმუშევრები დიდ პრეტენზიას არ აცხადებენ სამუშაო ადგილების მიმართ. თუმცა ანკეტაში დასმულმა კითხვამ „სად გირჩევნიათ სამუშაოს დაწყება“, საშუალება მისცა მათ გამოეხატათ თავისი თვალსაზრისი სამუშაოს არჩევასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა 37% უპირატესობას ანიჭებს სამუშაოს დაწყებას მიღებული პროფესიით, 45%-თვის სულერთია, რა პროფესიით იმუშავებს, ოლონდ მუშაობის დაწყების შესაძლებლობა მიეცეს, 12%-ს ურჩევნია სახელმწიფო სექტორში დასაქმება. სახელმწიფო სექტორში დასაქმებას უპირატესობას ანიჭებს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა 20 და ცხინვალის რეგიონიდან გადაადგილებულთა 3%. ასეთი განსხვავება წინა შრომითი გამოცდილებითა და მიღებული პროფესიებით აიხსნება.

კვლევის პროცესში საჭიროდ ჩაითვალი გარკვეულიყო დამოკიდებულება ახალი პროფესიის ათვისებასთან დაკავშირებით. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა 20% თვლის, რომ მათთვის საჭიროა გადამზადება და ახალი პროფესიის ათვისება, დაახლოებით ამდენივემ უარყოფითი პასუხი გასცა დასმულ კითხვაზე, ხოლო 61%-ს მიაჩნია, რომ გადამზადება და ახალი პროფესიის ათვისება ცუდი არ იქნება. იძულებით გადაადგილებულ პირთა არცთუ აქტიური დამოკიდებულება გადამზადებისა და ახალი პროფესიის ათვისებისადმი, ფაქტობრივად მასობრივი, ხანგრძლივი უმუშევრობის პირობებში, დამაფიქრებელია. ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ რესპონდენტებს, ეთხოვათ დამატებით მოეთხროთ გადამზადებისადმი მათი დამოკიდებულების შესახებ. აღმოჩნდა, რომ ერთ ნაწილს უკვე გავლილი აქვს სტილისტის ან კომპიუტერული საოფისე პროგრამების გადამზადების კურსები, ფლობს შესაბამის სერთიფიკატს, მაგრამ ვერ მოახერხა დასაქმება ვერანაირი ფორმით (თუნდაც დროებითი ან ეპიზოდურად). ვინაიდან გამოკვლეული დასახლება ქ. გორთან ახლოს მდებარეობს, სავარაუდოა, რომ ლოკალური შრომის ბაზარი გაჯერებულია ზემოაღნიშნული სპეციალობის კადრებით. უმუშევრთა ნაწილიდან, ვინც გადამზადების სურვილი გამოთქვა, 16%-ს გადამზადება უნდა იმ სპეციალობაში, რომლის მიხედვითაც იშოვის სამუშაოს, ამდენივეს სურს გადამზადება ბუღალტრის და ეკონომისტის სპეციალობით, 11% უპირატესობას ანიჭებს სამშენებლო სპეციალობებს, 5% კულინარიას და ა.შ.

იძულებით გადაადგილებულ პირთა მასობრივი უმუშევრობა, რასაკვირველია, აისახება ოჯახის შემოსავლებზე. საშუალოდ ერთი ოჯახის შემოსავალი თვეში 180 ლარამდეა, რაც ხშირ შემთხვევაში, ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, საარსებო მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ცხინვალის რეგიონიდან გადაადგილე-

ბულთა შორის, ოჯახის შემოსავალი აქ თვეში საშუალოდ 120 ლარია, რაც თითქმის ორჯერ ნაკლებია აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ოჯახთა საშუალო თვიურ შემოსავალზე. დევნილობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე (რაც რასაკვირველია, სამწუხარო მდგომარეობაა), მათ უფრო მეტად მოახერხეს ადაპტირება ახალ საცხოვრებელ გარემოსთან და ოჯახიდან ერთი ან მეტი წევრის დასაქმება უფრო ხშირია ცხინვალიდან გადაადგილებულებთან შედარებით. ოჯახების უმრავლესობისათვის (69%) შემოსავლის ძირითადი წყარო სახელმწიფო დახმარებაა. შემოსავლის ძირითად წყაროდ აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა 64 და ცხინვალის რეგიონიდან გადაადგილებულთა 74% სწორედ სახელმწიფო დახმარებას ასახელებს. ოჯახის დასაქმებული წევრების ხელფასი შემოსავლის ძირითად წყაროდ დაასახელა გამოკითხულთა 11%-მა (მათ შორის აფხაზეთიდან გადაადგილებულთა 17-მა და ცხინვალის რეგიონიდან გადაადგილებულთა 5%-მა), ნაცნობებისა და ახლობლების დახმარება 8%-მა (ქართველებისათვის ესოდენ ტრადიციული – ნათესავებისა და ახლობლების დახმარების შესახებ იშვიათად მიუთითებენ ცხინვალის რეგიონიდან გამოკითხულები. ისინი გულისტყვილით აღნიშნავენ, რომ ახლო ნათესავების უმრავლეობა იძულებით გადაადგილებულია, ამიტომ მათგან ვერ იღებენ დახმარებას და თვითონაც უმწეო მდგომარეობის გამო, არათუ დახმარების გაწევა, ხშირად ახლობლების მონახულებაც უჭირთ), პირადი ნივთების გაყიდვა 2%-მა, ხოლო მიწის ნაკვეთიდან მიღებული მოსავალი 9%-მა. მიწის ნაკვეთიდან მიღებული შემოსავალი ცხინვალის რეგიონიდან გადაადგილებული ოჯახების 15%-ის შემოსავლის ძირითადი წყაროა. როგორც უკვე აღინიშნა, ოჯახების უმრავლესობა ვერ ამუშავებს მიწის ნაკვეთს. რეგიონის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ტრადიციებიდან და მიწის მოსავლიანობიდან გამომდინარე, ნამდვილად ღირებული იქნება სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობისათვის დახმარება მიწის ნაკვეთების შემოღვასა და სარწყავი სისტემის მოწესრიგებაში.

ეკონომიკურ აქტიურობასა და დამატებითი შემოსავლის წყაროს ძიებაზე მიუთითებს მოსახლეობის მხრიდან საკუთარი საქმის წამოწყების მცდელობა. გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა (54%) მიუთითა, რომ ჰქონდა მცდელობა დაეწყო საკუთარი საქმე (აფხაზეთიდან გადაადგილებულნი ამ მხრივ მეტი აქტიურობით გამოირჩევიან, მათი 60% ეცადა ჰქონოდა საკუთარი ბიზნესი). რესპონდენტები ასევე მიუთითებენ საკუთარი საქმის შენარჩუნებისა და განვითარების ხელისშემშლელ მიზეზებზე. უმთავრეს მიზეზად ისინი კაპიტალის სიმწირეს ასახელებენ. ამ მიზეზზე მიუთითა გამოკითხულმა 65%-მა. ბიზნესის შენარჩუნების ხელისშემშლელ მიზეზად ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული წინააღმდეგობები დაასახელა გამოკითხულთა 8%-მა, არასათანადო განათლება და გამოუცდელობა 2%-მა, არაკონკურეტუნარიანი გარემო 8%-მა, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის სიმცირე 13%-მა (ცხინვალის რეგიონიდან გადაადგილებულნი ინტერვიუერებთან საუბარში აღნიშნავდნენ, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით გაირეს სპეციალური გადამზადება, შეძლეს კრედიტის აღება და მათსავე დასახლებულ ტერიტორიაზე გახსნეს სილამაზის სალონი, ასევე რამდენიმე სავაჭრო ობიექტი, მაგრამ მოსახლეობის დაბალი მსყიდველობითუნარიანობის გამო ვერ შეძლეს მათი შენარჩუნება). აღსანიშნავია, რომ გამოკითხულები ბიზნესის დაწყების ხელისშემშლელ მიზეზად თითქმის არ ასახელებენ კორუფციას (ამ მიზეზზე მხოლოდ ერთმა პროცენტმა მიუთითა).

აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა უმუშევრობის მიზეზების შესწავლა, მათი სოციალურ-დემოგრაფიული, პროფესიულ-კვალიფიციური, განათლების დონის და სხვა მახასიათებლების ანალიზი, რომელიც ზემოაღნიშნულ გამოკვლევაში, საქმარისი სიღრმით არის განხორციელებული, გარკვეული დასკვნის ჩამოყალიბების საშუალებას იძლევა:

- იძულებით გადაადგილებულ პირთა უმუშევრობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია მისი გრძელვადიანი ხასიათი (უმუშევართა 36% სამ წელზე მეტი ხანია არ მუშაობს).

- მაღალია უმუშევარი მოსახლეობის განათლების დონე – გამოკითხულთაგან ნახევარს უმაღლესი განათლება აქვს.

- იძულებით გადაადგილებული პირები არსებითად სახელმწიფოს მხრიდან გაცემულ ფულად დამხმარებაზე არიან დამოკიდებული. ოჯახის შემოსავალი, ხშირ შემთხვევაში, ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით, საარსებო მინიმუმსაც ვერ აკმაყოფილებს.

- იძულებით გადაადგილებულ პირებს, მცდელობის მიუხედავად, არ აქვთ საკუთარი საქმის გაძლოლის დადებითი გამოცდილება. გამოკითხულები საკუთარი საქმის შენარჩუნებისა და განვითარების ხელისშემშლელ უმთავრეს მიზეზებად ასახელებენ კაპიტალის უკმარისობას, საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნის სიმცირეს.



– იძულებით გადაადგილებულ პირთა საერთო შრომითი და პროფესიული სტაჟის ხანგრძლივობა, ასაკის მიუხედავად, 9 წელსაც ვერ აღწევს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათთვის უმუშევრობა მხოლოდ ამჟამინდელი მდგომარეობა არ არის.

– სამუშაო ადგილის დაკარგვის ძირითადი მიზეზი იძულებით გადაადგილებას უკავშირდება (გამოკითხულთა 47%-მა სამუშაო ადგილი ამ მიზეზის გამო დაკარგა).

– იძულებით გადაადგილებულ პირთა უმრავლესობა აქტიურად ეძებს სამუშაოს. გამოკითხულთა 37% უპირატესობას ანიჭებს სამუშაოს დაწყებას მიღებული პროფესიით, 45%-თვის სულერთია, რა პროფესიით იმუშავებს, 12%-ს ურჩევნია სახელმწიფო სექტორში დასაქმება.

– უმუშევარ მოსახლეობას დიდი სირთულეები ხვდება სამუშაო ადგილის ძიებისას. ნაწილი ვერ პოულობს თავისი პროფესიისა და კვალიფიკაციის შესაფერის სამუშაოს, დაახლოებით ნახევარი ვერანაირ სამუშაოს ვერ პოულობს პროფესიისა და კვალიფიკაციის მიუხედავად, სხვა სირთულეებიდან დასახელდა მეტისმეტად დაბალი ხელფასი, უცხო ენის არცოდნა, ასაკი.

იძულებით გადაადგილებულ პირთა უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქებისა და უმუშევრობის პრობლემის მოგვარების მიზნით უნდა გამოიყოს დასაქმების რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულება, რომელთაგან მნიშვნელოვანია დროებითი და საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზაცია. საჭიროა დამუშავდეს დასაქმებაზე ორიენტირებული სპეციალური პროგრამა, რომლის რეალიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი თვითმმართველობების და დამსაქმებლების შეთანხმებული, კოორდინირებული თანამშრომლობით. პროგრამის მიზანი უნდა იყოს, არა მხოლოდ საზოგადოებრივი სამუშაოების ერთჯერადი ორგანიზება და დროებითი დასაქმება, არამედ საზოგადოებრივი სამუშაოების პრესტიული ამაღლება – ინტელექტუალური სამუშაოების გაფართოების ხარჯზე.

იძულებით გადაადგილებულ პირთა დასაქმების პრობლემების მოგვარებისა და შრომის ბაზარზე მათი ადაპტაციის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს მხრიდან სამენარმეო ინიციატივისათვის მხარდაჭერა – სამუშალო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის გზით. ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები, მომსახურების თანამედროვე სფეროების განვითარება, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებთან ინტევრაცია – დასაქმების გაფართოებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის კარგი წინაპირობაა. ხელსაყრელი ეკონომიკური გარემო გამოყენებული უნდა იქნეს ეფექტუალური სამუშაოების გაფართოებლად.

ცალკე მიმართულებად უნდა გამოიყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა. სპეციალური ქვოტების დადგენა, მათი გარკვეული ნაწილის გარანტირებული დასაქმების წინაპირობა უნდა გახდეს. გარანტირებული სამუშაო ადგილების შექმნასთან ერთად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული კატეგორიის პირების პროფესიული მომზადება-გადამზადება საბიუჯეტო სახსრების ხარჯზე. დასაქმების ხელშეწყობასთან ერთად, რაც მათ მატერიალურ სტიმულირებას უზრუნველყოფს, არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას და საზოგადოებრივ რეაბილიტაციას.

იძულებით გადაადგილებულ პირთა შორის უმუშერობის შემცირებას არსებითად შეუწყობს ხელს სახელობო სასწავლებლების რეაბილიტაცია და სპეციალისტთა მომზადება ან გადამზადება. ამასთან, სპეციალისტთა მომზადება უნდა განხორციელდეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გათვალისწინებით-პაზრის მოთხოვნების შესაბამისად. უფრო მეტიც, სახელობო სასწავლო დაწესებულებების ქსელის აღდგენა და სპეციალისტთა მომზადება „მიბმული“ უნდა იყოს კონკრეტული დარგის საწარმოების მოთხოვნებთან და წარმოების განვითარების რეალურ შესაძლებლობებთან.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანთაძე ც. საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე. მიგრაცია 3. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2009.
2. ნადარეიშვილი მ. ნაქაძე ვ. იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესახებ. თბილისი, 2008
3. ტუხაშვილი მ. აუცილებელია საქართველოს შრომის ბაზრისა და მიგრაციის კომპლექსური შესწავლა. „მიგრაცია“ 2. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2008.
4. შელია მ. დასაქმების ასაკობრივი პრობლემა. ქ. „სოციალური ეკონომიკა“, N6, 2005.
5. Hart Robert A., Moutos Thomas. Human Capital, Employment and Bargaining. Cambridge University Press, 2008.

- 
6. Heise A. Economic Governance and Employment: Policy, Polity and Politics of Economic Rise and Decline. Lit Verlag, 2008.
  7. Tsartsidze M. Specific Features and Trends in the Development and Functioning of the Georgian Labor Market. Problems of Economic Transition. NO. 7, M.E. Sharpe Inc. Armonk NY. November 2003.
  8. Царцидзе М. Лацабидзе Н. О преодолении массовой безработицы и обеспечении эффективной занятости в Грузии. Журнал "Общество и экономика" №10, Москва, 2004.
  9. Лацабидзе Н. Царцидзе М. Спрос на рабочую силу и тенденции его изменения. Журнал "ЭКО" № 2, изд-во "Наука", Новосибирск, 2006.



## ნათელა ლაცაბიძე

**აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა  
უმუშევრობის მიზეზები და დასაქმების სრულყოფის გზები**

### რეზიუმე

იძულებით გადაადგილებულ პირთა უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის შემსუბუქება და მასობრივი უმუშევრობის დაძლევა დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარებითაა შესაძლებელი, რომელთაგან უნდა გამოიყოს: დროებითი და საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზაცია დასაქმებაზე ორიენტირებული სპეციალური პროგრამების საფუძველზე; სახელმწიფოს მხრიდან სამეწარმეო ინიციატივისათვის მხარდაჭერა-საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის გზით; შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დასაქმების ხელშეწყობა – როგორც გადამზადების სპეციალური პროგრამების განხორციელების, ასევე სპეციალური ქვოტების დადგენით, რაც მათი გარკვეული ნაწილის გარანტირებული დასაქმების წინაპირობა გახდება; სახელობო სასწავლებლების რეაბილიტაცია და სპეციალისტთა მომზადება ან გადამზადება, რომელიც დაკავშირებული იქნება კონკრეტული დარგის საწარმოების მოთხოვნებთან და წარმოების განვითარების რეალურ შესაძლებლობებთან.

**Natela Latsabidze**

### **UNEMPLOYMENT AND THE WAYS OF IMPROVING EMPLOYMENT FOR INTERNALLY DISPLACED PERSONS**

#### **Abstract**

Alleviation of grave economic conditions and overcoming of mass unemployment of internally displaced persons is possibly by carrying out employment active policy from which it can be outlined: organization of temporary and public works on the basis of special programs oriented towards employment; state support for entrepreneurial initiative – by way of helping medium-sized and small business development; support for handicapped persons employment by way of realizing special retraining programs as well as setting special quotas that will become a precondition for guaranteed employment of their certain part; reinstatement of professional educational institutions and specialists' training or retraining which will be related to the demands of enterprises of concrete branch and real possibilities of manufacture development.



## თაღიკო ჟვანია

### სცავლების მართვის სისტემები კომპლექსური შეჯასების ტესტის ფორმირების ალგორითმი

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც დღევანდელი ქართული განათლების - სისტემის წინაშე დგას, სასწავლო პროცესში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვაა. განსაკუთრებით ეს სწავლების მართვის სისტემებს (LMS – Learning management systems) ეხება, რომელიც ელექტრონული სწავლების მეთოდის რეალიზების საშუალებას იძლევა [1,2].

ელექტრონული სწავლების სისტემა Moodle (Modular Object-Oriented Dynamic Learning Environment), რომელსაც ჩვენი უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში ვნერგავთ, წარმოადგენს Web-ზე (ქსელზე) დაფუძნებულ სასწავლო კურსების ორგანიზების გარემოს. სისტემა Moodle სწავლების ინტერაქტიული ტიპის დანერგვისათვის არის შექმნილი, რაც შესაძლებლობას იძლევა უფრო მოქნილი და თანამედროვე გავხადოთ სწავლების პროცესი. სისტემა დაახლოებით 75 ენაზეა თარგმნილი, მათ შორის ქართულზე და მსოფლიოს 212 ქვეყანაშია დანერგილი [3]. სწავლების მართვის სისტემა Moodle-ის მრავალმხრივი შესაძლებლობები სასწავლო პროცესის თითქმის ყველა ასპექტს მოიცავს და ამ გარემოში სასწავლო კურსის თითოეული დეტალის რეალიზება შეიძლება. Moodle-ში გათვალისწინებულია არა მხოლოდ სასწავლო კურსის შექმნის, არამედ მისი მართვისა და კონტროლის ფართო შესაძლებლობები. Moodle-ის ვებ პორტალზე - სასწავლო მასალის განთავსების გარდა, შესაძლებელია სტუდენტთა გამოკითხვების ჩატარება, მათვის საშინაო დავალებების მიცემა, სხვადასხვა სახის ტესტირებისა და ფორუმების ორგანიზება, სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში ჩართვა და ა.შ. [1,4].

სწავლების მართვის სისტემა Moodle ღია კოდის მქონე პროგრამულ უზრუნველყოფას წარმოადგენს, რომელიც ვრცელდება GNU GENERAL PUBLIC LICENSE ლიცენზიის პირობებით, ამიტომ მიწოდება და გამოყენება ხდება უფასოდ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის - ფაქტი, რომ ღია კოდის მქონე პროგრამული უზრუნველყოფის მომხმარებლებს სისტემის ძირითად კოდთან მუშაობისა და ამ კოდის საკუთარი შექმნილი პროგრამების (Plugin) დამატების შესაძლებლობა გააჩნიათ. ამიტომ, ღია კოდის მქონე სისტემები განუწყვეტილი განახლების პროცესი იმყოფებიან, რაც მუდმივად ზრდის მათ შესაძლებლობებს. კერძოდ, თუ სისტემაში არ არის გათვალისწინებული იმ ამოცანის შესრულების შესაძლებლობა, რაც აუცილებელია სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისათვის, შესაძლებელია მომხმარებლის მიერ შექმნილი დამხმარე პროგრამული უზრუნველყოფის ინტეგრირება Moodle-ის პროგრამულ გარემოში. დამხმარე პროგრამული უზრუნველყოფების სპეციფიკა შეზღუდული არ არის. მომხმარებელს შეუძლია გააფართოვოს სისტემის შესაძლებლობები ცოდნის მიღების ნებისმიერი მიმართულებით [1,2].

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი ცოდნის მიღების პროცესში სტუდენტთა ტესტირებაა. ზოგადად, ტესტი - ესაა ინსტრუმენტი, რომელიც შედგება სტატისტიკურად გათანაბრებულ კითხვათა (დავალებათა) სისტემისაგან, ჩატარების სტანდარტიზებული პროცედურისაგან და - შედეგების წინასწარ განსაზღვრული დამუშავებისა და ანალიზის ტექნოლოგიისაგან, რომლის - დანიშნულებაა გამოსაცდელის პიროვნული ცოდნის დონისა და ხარისხის შეფასება [5,6,7]. ტესტირებისას მასწავლებლის მიზანს სტუდენტის მიერ მიღებული ცოდნის მაქსიმალურად ობიექტური შემოწმება და შესაბამისად, შეფასება წარმოადგენს. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, თუ რა პრინციპით არის ტესტი შედგენილი, როგორ არის შერჩეული მასში შემავალი დავალებები, ხდება თუ არა ცოდნის მრავალმხრივი და სრულყოფილი შემოწმება. ზოგადად, ყველაზე გავრცელებული კრიტერიუმები, რომლითაც ტესტი ფასდება, არის

- ტესტის სისრულე (რამდენად ფარავს იგი განვლილ (შესამოწმებელ) მასალას);
- სირთულე (მოთხოვნის შესაბამისად);
- ტესტის ვარიანტების ეკვივალენტურობა.

ამრიგად, სრულფასოვანი ტესტის მოსამზადებლად საკმაოდ დიდი დრო და ენერგია არის საჭირო. სასწავლო პროცესის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოსაცდელი ტესტის შედგენისას



სხვადასხვა სტრატეგია შეიძლება იყოს გამოყენებული. მაგალითად, სასწავლო მასალის სრულად მომცველი ტესტის შედგენა, საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემფასებელი ტესტის შედგენა, ისეთი ტესტის შედგენა, რომელიც მოგვცემს ინფორმაციას, თუ რა არ იცის ან რა იცის გამოსაცდელმა სტუდენტმა და ა.შ.

საინფორმაციო ტექნოლოგიის, კერძოდ, სწავლების მართვის სისტემების სასწავლო გარემოში დანერგვა, მნიშვნელოვნად ამარტივებს ტესტირების მომზადების, ჩატარებისა და მიღებული შედეგების ანალიზის პროცესს. ამგვარ სისტემებში, როგორც წესი, გათვალისწინებულია ტესტირების მოდულები, რომლებიც მასწავლებლებს აძლევენ ტესტების შედგენის მოხერხებულ შესაძლებლობას და ამავე დროს, თავადაც ახდენენ ტესტების გენერირებას შემთხვევით შერჩევის გენერატორების საშუალებით.

სწავლების მართვის სისტემა Moodle-ის ტესტირების მოდული, სხვა მსგავსი სისტემების ანალოგიურად, ტესტში ჩასართავი დავალებების ბანკის ეფექტურად შედგენის შესაძლებლობას იძლევა, სადაც ტესტური დავალებების სტრუქტურირება და თემატურად (კატეგორიებად) დალაგება არის შესაძლებელი. ტესტური დავალებების ბანკში კატეგორიები შეიძლება იერარქიულად მოწესრიგდეს. ანუ, შეკითხვების ძირითად კატეგორიაში შეიძლება ქვეკატეგორიების ჩართვა, რომლებიც, თავის მხრივ, ასევე შეიძლება ქვეკატეგორიებს მოიცავდნენ. შეკითხვათა ბანკის იერარქიაში დონეების რაოდენობა შეზღუდული არ არის. სისტემას ასევე გააჩნია ტესტის შემთხვევითი წესით გენერირების მექანიზმი, მაგრამ ტესტის შემთხვევითი წესით გენერირებისას შეუძლებელია ზემოთ ჩამოთვლილი სტრატეგიებიდან რომელიმეს მითითება.

შესაბამისად, ძირითადი პრობლემა მდგომარეობს სწავლების მართვის სისტემის საშუალებით ტესტური დავალებების ბანკიდან კონკრეტული სტრატეგიის შესაბამისი ტესტების ავტომატურ ფორმირებაში შემთხვევითი წესით. თუ შესაძლებელი იქნება ტესტირების მოდულის მოდიფიცირება ისე, რომ სისტემამ შეძლოს ტესტების გენერირება მითითებული კრიტერიუმების საფუძველზე, ეს მნიშვნელოვნად გაზრდიდა სისტემის ეფექტურობას მისი სასწავლო პროცესში გამოყენების თვალსაზრისით.


განვიხილოთ ტესტის შედგენის ერთ-ერთი სტრატეგია, რომლის არსიც შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ტესტირების მიზანია სტუდენტთა ცოდნის კომპლექსური შემოწმება, შესაფასებელი სასწავლო მასალის ყველი თემის გათვალისწინებით, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის გაგება, ესმის თუ არა სტუდენტს მასალა მთლიანად, გააზრებული აქვს თუ არა შესასწავლი მასალის სხვადასხვა თემებს შორის ურთიერთკავშირი და ლოგიკური ჯაჭვი. ტესტის შედგენის მოცემული სტრატეგიის შემთხვევაში ძირითადი პირობაა შესაფასებელი მასალის სრული დაფარვა ანუ რაც შეიძლება მეტი თემის შემოწმება. შევნიშნოთ, რომ ტესტის შედგენა ამ სტრატეგიით მიზანშენილია მაშინ, როდესაც ტესტში შედარებით მცირე რაოდენობის შეკითხვები უნდა იყოს ჩართული.

თუ შეკითხვების ბანკში არსებული ყველა შეკითხვა სრულყოფილად მოიცავს სასწავლო მასალის ყველა თემას და ყველა ამ თემის შესაფასებლად საჭირო კითხვების ჩართვა შესაძლებელია ტესტში, მაშინ ტესტი შესაფასებელ მასალას სრულად მოიცავს და პრობლემა ამონტურულია. მაგრამ ძირითადი პრობლემა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ გამოსაცდელ ტესტში ჩასართავი შეკითხვების რაოდენობა შეზღუდულია და, როგორ წესი, გაცილებით ნაკლებია ბანკში არსებული შეკითხვების რაოდენობაზე. შესაბამისად, ჩნდება შეკითხვა: რა პირიციპით უნდა შეარჩიოს სისტემამ შეკითხვები ბანკიდან ისე, რომ დაცული იყოს ცოდნის სრულყოფილი შემოწმების პირობაც და კონკრეტული სტრატეგიაც ცოდნის შესაფასებლად?

სასწავლო მასალა, როგორც წესი, სტრუქტურირებულად არის ორგანიზებული. ნებისმიერი სახელმძღვანელოს სარჩევი წარმოადგენს ხისებურად ორგანიზებულ სტრუქტურას, სადაც - სახელმძღვანელოს ძირითადი თავები და ქვეთავები ხის სხვადასხვა დონეზეა განლაგებული (ნახ. 1.).

ხის ძირი, ნულოვანი კვანძი, რომელიც ნულოვან დონეზე მდებარეობს, შეესაბამება შესასწავლი მასალის (სახელმძღვანელოს) სახელწოდებას და ის, ბუნებრივია, მთელ მასალას მოიცავს. ხის ნულოვანი კვანძი დაკავშირებულია პირველი დონის კვანძებთან, რომელიც სასწავლო მასალის ყველაზე უფრო გამსხვილებულ ერთეულებს, თავებს შეესაბამება. ხის პირველ დონეზე კვანძების რაოდენობა სახელმძღვანელოში თავების რაოდენობის ტოლია. თუ პირველ დონე-


ზე თავები მოიცავს ქვეთავებს, მაშინ კვანძები პირველ დონეზე უკავშირდება მეორე დონის კვანძებს და ა.შ. საბოლოოდ, მივაღწევთ ხის ფოთლებს ანუ კვანძებს, რომლებიც შეესაბამება შესასწავლი მასალის განუყოფელ, მიზიმალურ ერთეულებს. რეალურად, სასწავლო მასალის ცოდნა ამ მინიმალურ ერთეულებში განლაგებული ინფორმაციის ფლობით განისაზღვრება.



ნახ. 1.

რადგანაც სწავლების მართვის სისტემა Moodle-ში შესაძლებელია შეკითხვების ბანკში - არსებული შეკითხვების მოწესრიგება სტრუქტურირებულად, მიზანშეწონილი იქნება, თუ შეკითხვების დალაგებასასწავლო მასალის სტრუქტურის ანალოგიურად მოხდება. კერძოდ: შეკითხვების ბანკის ხისებური სტრუქტურის ძირითად კატეგორიაში ნულოვან კვანძში მოთავსებული შეკითხვები კომპლექსურად ამონმებენ შესაფასებელი მასალის ცოდნას. იმისათვის, რომ ამ კატეგორიაში მოცემულ შეკითხვაზე უპასუხოს, სტუდენტს მთელი მასალის ცოდნა მოეთხოვება. ხის პირველ დონეზე მოთავსებული შეკითხვების კატეგორიები სასწავლო მასალის შედარებით მსხვილი ერთეულების ცოდნას ამონმებს. ცხადია, რაც უფრო წინ ვმოძრაობთ ხეზე, მით უფრო კონკრეტდება გამოსაკითხი მასალა და შეკითხვები უფრო და უფრო ნაკლებად კომპლექსურია. შეკითხვების ბანკის უკიდურესად მარჯვნივ მდებარე კატეგორიებში, ხის ფოთლებში, უნდა იყოს მოთავსებული შეკითხვები, რომლებიც სასწავლო მასალის მინიმალურ ერთეულებში მოცემული საკითხების ცოდნას შეამონმებს. ცხადია, ხის ფოთლების რაოდენობა ასეთი მინიმალური ერთეულების რაოდენობის ტოლია.

ამგვარად ორგანიზებული შეკითხვებითა ბანკის შემთხვევაში ჩვენს მიერ დასახული სტრატეგიის შესაბამისად ტესტების ფორმირებისათვის, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების ცოდნის კომპლექსურ და სრულ შემონმებას, კითხვის კატეგორიის ხეზე მოძრაობა იწყება ფესვებიდან და ფოთლებისკენ მიემართება. ხეზე მოძრაობის ალგორითმი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:



შემოვიტანოთ აღნიშვნები:  $V$  ასახავს კვანძებს (კატეგორიებს) კითხვების კატეგორიების ხეზე, ხოლო  $q$  - საგამოცდო ტესტში შესაყვანი კითხვების რაოდენობას ( $q < V$ ). ( $K_0, K_1, K_2 \dots K_n$ ) გამოხატავს კატეგორიების რაოდენობას შეკითხვების კატეგორიების ხის ყოველ დონეზე, ანუ კვანძების რაოდენობას თითოეულ მათგანზე. მ-ით აღნიშვნება დონეების რაოდენობა (ნახ.2).

პირველ საფეხურზე შესაძლებელია შეკითხვის შერჩევა ხის ძირზე (ნულოვან კვანძზე) განთავსებული შეკითხვების მთავარი კატეგორიიდან. იმ შემთხვევაში თუ  $q=1$ , პრობლემა გადაჭრილია და ტესტიც მზადაა. თუ  $q>1$ , შესაძლებელია ხის შემდეგ - პირველ დონეზე გადასვლის შესაძლებლობის განხილვა. თუ ( $q-1 < K_1$ ), ეს ნიშნავს, რომ შეკითხვების ამ რაოდენობით შეუძლებელია შეკითხვების კატეგორიის ხის პირველ დონეზე განთავსებული ყველა თემის დაფარვა. ამიტომ, შეკითხვების საჭირო რაოდენობა შემთხვევით შეირჩევა ამ დონიდან და ტესტის შედგენის პროცესი დასრულდება. ამ შემთხვევაში შესწავლილი მასალის სრულად დაფარვის პირობა შესრულდება შეკითხვის მთავარი კატეგორიიდან შერჩევით. გავიხსენოთ, რომ ამ კატეგორიის შეკითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა სასწავლო მასალის ყოვლისმომცველი ცოდნა. აქ არ ვიხილავთ დანარჩენი კითხვების შერჩევის მეთოდს, მაგრამ ის არ შეცვლის შეკითხვების კატეგორიების ხეზე მოძრაობის მთავარ ალგორითმს.

თუ ( $q-1 > K_1$ ), მაშინ მოხდება ამ დონეზე მდებარე კითხვების თითოეული კატეგორიიდან შეკითხვის ჩართვა ტესტში და შესაძლებელია განვაგრძოთ მოძრაობა შეკითხვების კატეგორიის ხეზე და განვიხილოთ მეორე დონის თემებიდან ტესტში შეკითხვების ჩართვის შესაძლებლობები. თუ ( $(q-1-K_1) < K_2$ ), მაშინ შეკითხვების რაოდენობა არასაკმარისია კითხვების კატეგორიის ხის მეორე დონეზე განთავსებული ყველა თემისთვის და ამიტომაც, შეკითხვები ნებისმიერი წესით შემთხვევით შეირჩევა ამ დონიდან. თუ ( $(q-1-K_1) > K_2$ ), შესაძლებელია ამ დონის შეკითხვების თითოეული კატეგორიიდან ერთი შეკითხვის შერჩევა და შეკითხვების კატეგორიის ხის შემდეგ დონეზე გადასვლა და ა.შ.

ეს პროცედურა შეიძლება განმეორდეს, ვიდრე მივაღწევდეთ ხის ფოთლებს, ანუ სანამდე არ შესრულდება პირობა

$$\left( q - \sum_{n=0}^m (Kij) < 0 \right).$$

სადაც  $m$  არის ბოლოს მიღწეული დონის რიგითი რიცხვი ( $m=0,1,2,\dots,n$ ).

შედეგად, ვიღებთ უმაღლესი კატეგორიების შეკითხვებისგან შემდგარ ტესტს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სტუდენტების ცოდნის კომპექსური შემოწმება. ნახ.2-ზე  $V_{ij}(i=0,1,2,\dots,n; j=1,2,\dots,K_n)$  არის შეკითხვების კატეგორიებზე განთავსებული კვანძები,  $(K_0, K_1, \dots, K_n)$  – კვანძების რაოდენობა თითოეულ დონეზე, ხოლო პუნქტირით აღნიშნულია შეკითხვების კატეგორიების ხეზე მოძრაობის მიმართულება.

ზოგჯერ საჭირო ხდება შეკითხვების თითოეული კატეგორიიდან გარკვეული ნინასწარ განსაზღვრული შეკითხვების რაოდენობის შეყვანა. თუ თითოეული კატეგორიიდან საჭირო შეკითხვების რაოდენობას აღვნიშნავთ –  $d_{ij}$ , სადაც  $i$ -ის შეკითხვების კატეგორიის ხის დონის აღმნიშვნელი რიგითი ნომერი, ხოლო  $j$  – კონკრეტული დონის კვანძის (კატეგორიის) ნომერი. მაშინ ამ მოთხოვნის გათვალისწინებით ზემოთ მოცემული ალგორითმის მოდიფიცირების შედეგად, შეკითხვების ყოველი კატეგორიიდან შეკითხვების შერჩევა და შეკითხვების ხის შემდეგ დონეზე გადასვლის პროცედურა განმეორდება მანამდე, ვიდრე არ შესრულდება პირობა:

$$\left( q - \sum_{n=0}^m \sum_{j=1}^{K_n} (dij) < 0 \right).$$

სადაც  $m$  არის ბოლოს მიღწეული დონის რიგითი რიცხვი ( $m=0,1,2,\dots,n$ ).

ამგვარად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სწავლების მართვის სისტემებში ჩაშენებულია ტესტირების მოდულები, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტომატური ტესტების გენერირებას, მაგრამ არსებულთაგან არც ერთი ავტომატურად არ უზრუნველყოფს ტესტების გენერირებას კონკრეტული კრიტერიუმებზე დაყრდნობით. ამიტომ, ტესტების შედგენის ზემოთ განხილული ალგორითმს, ისევე როგორც სხვა სტრატეგიებზე დაფუძნებული ალგორითმების რეალიზებას, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს და მისი შემდგომი დანერგვა გააძლიერებს სწავლების მართვის სისტემის Moodle-ის ტესტირების მოდულის ეფექტურობას.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Jason Cole and Helen Foster, Using Moodle, Second Edition, O'Reilly Media, Inc., 2008;
2. William Rice, Moodle E-Learning Course Development, Packt Publishing, 2007;
3. [www.moodle.org](http://www.moodle.org);
4. Jeff Stanford, In the mood for Moodle, ENGLISH TEACHING professional, Issue 54 January 2008, [www.etprofessional.com](http://www.etprofessional.com);
5. თ. უვანია, დ. კაპანაძე, მ. კიკნაძე „LMS Moodle-ში ტესტური დავალებების ანალიზისა და ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“ არჩილ ელიაშვილი მართვის სისტემების ინსტიტუტი, შრომათა კრებული, №14, 2010 ;
6. დ. კაპანაძე, თ. უვანია, მ. კიკნაძე „LMS Moodle-ს გარემოში თანაბარი სირთულის ტესტების შექმნის შესახებ“, სტუ, შრომები №2, თბილისი, ISSN 1512-0996, 2006;
7. დ. კაპანაძე, ზ. ბოსიკაშვილი, თ. უვანია „ტესტების გენირერების ავტომატიზება“, მონოგრაფია, „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2009



## თალიკო ჟვანია

სწავლების მართვის სისტემებში კომპლექსური შეფასების ტესტის ფორმირების ალგორითმი

### რეზიუმე

ნაშრომში აღწერილია სწავლების მართვის სისტემის LMS Moodle-ს შესაძლებლობები და სასწავლო პროცესში მისი გამოყენების ადგილი. განხილულია ელექტრონული სწავლების გარემოში ტესტების ავტომატური ფორმირებისათვის ტესტურ დავალებათა ბაზის ფორმირების საკითხები და შემოთავაზებულია ცოდნის კომპლექსური შეფასების ტესტის ფორმირების ალგორითმი.

**Taliko Zhvania**

### An Algorithm of Forming a Test of Complex Estimation in E-learning Management System

#### Abstract

The possibilities and the place of the usage of an e-learning management system LMS Moodle is described. In the electronic learning environment for automatic forming issues of the database for testing assignments is discussed and the complex algorithm of estimation of knowledge is offered.



---

**CHARLES M. STROMME**

## **TAX TARGETS HURT TAX ADMINISTRATION**

Tax targets are the assignment of revenue goals to individual tax collectors or to groups of collectors or by geographic area, or to a tax agency (or subdivision) in general, often all three.

Tax targets may also be assigned to individual taxpayers or businesses. It is the amount they are required to pay, regardless of their correct liability.

In one country I interviewed the chief of an important foreign investment company. He was welcomed by the head of the tax agency and told “You won’t even have to compute your taxes. We’ll send someone by every month to tell you how much you owe.”

Should the government of a democratic nation assign a tax or revenue target to a compliant taxpayer? No. The nature of a free society is that a compliant taxpayer pays his taxes without regard for the revenue needs of the government. As long as he fully complies with the tax laws, he is deemed to have paid his tax debt and he is not subject to arbitrary revenue demands by his government. If at some point he decides not to work or earn for the rest of the year, he may do so without fear of sanctions for not meeting an arbitrary tax target assigned to him.

Should the government of a free nation assign a tax revenue target to a *group* of compliant taxpayers? Again the answer is no, and for the same reasons. It is within the power of a government to tax its citizens but the government of a free nation must not extort funds to meet arbitrary revenue targets. At the heart of every free society is the freedom from arbitrary confiscation of property. No government that calls itself free can take its citizens’ property – including money to meet tax or revenue goals -- without due process of law.

If a tax agency has a tax target and/or assigns targets to tax offices or individual employees as a method of tax administration, and if that tax agency does not routinely and effectively pursue collection of tax arrears from non-compliant taxpayers, then it must follow that **the tax agency can only meet its targets by collecting revenue from taxpayers who are already compliant**. This must be done by coercion, intimidation and extortion of payments for taxes that are not due, future credit for which may never be forthcoming, under the threat of audits and future tax assessments that may be groundless.

As axiomatic as it is that tax agencies should collect taxes, the reverse is equally clear: Tax agencies should *not* collect “extra” taxes from compliant taxpayers **because by definition compliant taxpayers are already satisfying their tax obligations.**

By adhering to tax targets and not giving to its tax collectors the tools necessary for them to collect delinquent tax arrears, a nation forces its tax agency to pressure its most compliant and successful taxpayers for inappropriate payments. Only those who feel they have the most to lose -- those taxpayers with a successful business and/or a promising future, those taxpayers who are in the best position to build the future of your host country -- will submit to official extortion. Such tax practices stifle free enterprise, force an underground economy, punish those who are legitimately successful, destroy GDP and promote economic failure.

In one country I tracked down the person who was responsible for setting targets for the tax agency. I thought “This must be a smart man with his finger on the nation’s economic pulse.” I found him in a small one-man office reading a newspaper. After my translator introduced me and told him why I was there I asked him “Can you tell me how you set monthly tax targets?” “Sure” he said. “I just add 10% to last year’s target and divide by twelve.” Oh, I see. That uninformed man was the basis of a nation’s tax administration system. What a pity.

Tax targets do have three big advantages – targets are easy to understand, easy to assign and the results are easy to measure. It takes no great management skill to tell a tax employee that he must collect a million (insert your currency) this month or lose his job.

The tax manager, the tax collector and ultimately the taxpayer all understand tax targets. The system is older than Biblical tax collection: **“The king wants a pig. You have a pig. Your tax target is one pig and**



**we'll take it right now.**" Off goes the tax collector, happy because he has met his target of one pig. The king is happy because he gets the pig. No one hears the farmer swearing that he will never again give another pig to the king.

Tax administration by tax targets is not sustainable. It inevitably leads to corrupt collection methods such as involuntary advance payments, false reporting, supplemental or emergency tax targets and the abuse of those citizens from whom revenue may be most easily collected, regardless of means: "**The king wants another pig. We know you used to have a pig. Find us another pig or we'll burn down your barn.**"

Alas, the king eventually wants more pigs than are available, the barns eventually get burned down and the means to ever raise pigs again is destroyed. Whether the target setter is the king's tax collector, a commissar or minister, the tax agency or an international donor, the setting of tax targets always corrupts a tax system and always discourages honest compliance with all laws, tax or otherwise.

\* \* \* \* \*

Tax arrears already considered "uncollectible" should not be a factor in current tax arrears collection work.

Who owes "uncollectible" taxes? That group will always include the usual suspects like defunct businesses, deceased taxpayers, insolvent entities of all kinds and taxpayers who have simply run or hidden from their obligations. Former communist nations will also include their own peculiar institutions such as defunct collective farms and state factories.

It is inappropriate to include non-existent taxpayers in any calculation of current collectible tax arrears. Those taxes will never be collected. They often remain on the books only to overstate collectible debt for the national budget, thus maintaining the illusion that debt may be repaid through the collection of current arrears.

"Advance payments" is a euphemism for payments made by taxpayers that exceed their tax obligations. You'll hear all kinds of justifications for them: They are payments in expectation of future tax liabilities; they are an effort to help out their tax agency/government; they are voluntary off-the-book loans to the tax agency/government. There are others; few, if any, of them are true.

Advance payments are a serious threat to a national budget. Too often, they are treated as revenue rather than loans or payables. Thus, no provision is made for either repayment or credit to future liabilities. They are an expedient for making target, even though the taxpayer's tax liability may be more, thus reducing rather than increasing national revenue.

The assignment of tax targets often relies on unrealistic revenue expectations based in part on the balance of uncollectible arrears and on advance payments. For instance, if a tax agency or office does not "write off" (remove from the collectible tax rolls) uncollectible tax debts, it follows that it erroneously reports a larger amount of collectible tax debts than it can reasonably expect to collect. That erroneous report will cause an even more unrealistic tax target the next time since targets inevitably go up, not down.

In another scenario, an international lender or donor may demand a national revenue target to support the appearance of a nation's ability to repay the donor's loans. With no other way of estimating its ability to repay a loan, the borrowing nation must ignore the impossibility of collecting its uncollectible tax arrears. It meekly assigns tax targets equal to the donor's demands and all the tax problems begin again.

Developing nations, for that matter any nations, should resist demands for revenue targets. Instead, they must develop revenue forecasting models that will let them predict revenue flow, and thus their ability to repay their loans and fund their obligations, with some accuracy.

Otherwise, a tax agency must keep its total of seemingly collectible tax arrears higher than they actually are. That way, it appears that a universe of at least partially collectible arrears exists that can be used to satisfy the donor's repayment schedule. Deleting uncollectible arrears from its books would reduce the borrowing nation's apparent ability to repay its loans, with undesirable consequences.

There is a predictable response when a tax collector or tax office or nation is unable to meet a revenue target. Almost inevitably, the response is “*raise the next target*”. Given the way targets work, it is the only response that makes sense in that context, despite its manifest absurdity. “We didn’t get enough money last time, so we have to raise next month’s (or year’s, etc.) target.” It ignores the ability of a targeted group of taxpayers to meet its revenue target because that ability was never measured or taken into account in the first place. **Tax targets emphasize revenue needs without considering the ability of the taxpayer universe to meet those needs.**

Another drawback of tax targets is that they are self-limiting. Targets do not provide for unexpectedly good results. The reason is the natural tendency to stop working once a target is met. After all, to substantially exceed a target might only lead to a greater and harder-to-achieve target for the next period. Tax collectors often defer excess collections until the following period to insure easily meeting the next target. Revenue is delayed or lost.

**Budget forecasting is the antithesis of tax targets.** Budget forecasting develops mathematical models, continually revising and improving them, that predict a revenue stream. Its drawbacks are that it can be complicated and sophisticated and it can seldom be relied upon to provide a revenue windfall. It can be an unwanted dose of harsh reality at a time when a realistic economic appraisal may be the last thing a government wants. **“The king wants ten pigs this year but we can only provide seven and still have some pigs for next year. How will we solve this problem?”** Tax targets and the king’s pig targets are the same thing.

Budget forecasting has one overwhelming advantage: It can provide for a sustainable revenue and expenditure program and allow a government to fine-tune and grow its economy. Budget forecasting is absolutely indispensable for planned and sustainable economic growth or, in the alternative, to mitigate -- where tax targets exacerbate -- the effects of an economic downturn.

Sustainable economic growth comes from a successful private economy, not from a confiscatory central government. Only those nations which understand that simple fact and which manage their tax system accordingly have any possibility of future sustainable economic growth and lasting sovereignty.

Economic success can be encouraged but not demanded. Nations that ignore that rule will squeeze their compliant taxpayers until they become insolvent – stealing the pigs and burning down the barns with the irrational hope that farmers will raise even more pigs next year. In the process, they destroy their national economic foundation and force their citizens into an underground economy in which taxes are never paid. In the end, the king loses everything.

Unfortunately, as long as targets are in place, abusive practices will be encouraged at the expense of effective tax administration. The lessons are clear:

1. Repudiate tax targets in favor of budget forecasting;
2. Resist budgets or loan repayment schedules that are tied to revenue targets;
3. Write off uncollectible tax arrears so that arrears collection can be accurately forecast as a part of tax revenue;
4. Grow revenue by maximizing tax collection from non-compliant entities and optimizing current tax collection from compliant taxpayers.



Charles M. Stromme

## Tax Targets Hurt Tax Administration

### Abstract

“Tax targets” are common tools in tax administration in developing countries but not unknown in others. Tax administration based on tax targets invariably leads to corruption, under-collected revenue and over-stated tax arrears that may be considered collectible. Tax targets must be repudiated in favor of budget forecasting, which can aid in the growth of the private sector and mitigate the effects of an economic downturn, coupled with modern tax arrears collection reform.

### ჩარლზ მორგან სტრომე

დაგეგმვა - საგადასახადო ადმინისტრაციის ძირითადი ინსტრუმენტი განვითარებად ქვეყნებში

### რეზიუმე

საგადასახადო გეგმიური პარამეტრები არის საგადასახადო ადმინისტრაციის ჩვეულებრივი ინსტრუმენტი განვითარებად ქვეყნებში, რომელიც ართუ უცნობია სხვაგანაც. საგადასახადო ადმინისტრირება, რომელიც ეყრდნობა საგადასახადო პარამეტრებს, ყოველთვის მიისწრაფის კორუფციისაკენ, შეუგროვებელი შემოსავლებისა და გაზიადებული საგადასახადო დავალებებისაკენ, რომლებიც მიმჩნევა ამოსალებად შესაძლებლად. საგადასახადო პარამეტრები უარყოფილი უნდა იქნეს საბიუჯეტო პროგნოზირების სასარგებლოდ, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს კერძო სექტორის ზრდას და შეარბილოს ეკონომიკური რეცესიისა და საგადასახადო დავალიანებების ამოღების ეფექტი.



## ლაპა ტაბათაძე

### სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები და სახელმწიფო სტრატეგია

თუ არა ისევ ცოდნა, სხვა  
კერაფერი გვიხსნის სიღარიბისაგან,  
ხსნა მხეობასა და გარჯაშია.  
(ილია ჭავჭავაძე)

#### შესავალი

საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე სოციალური გარდაქმნები და დემოკრატიული ღირებულებების ფორმირება არ მიმდინარეობს უმტკიცნეულოდ. დამოუკიდებლობის პირველი წლები უკიდურესად მძიმე იყო. ადგილი ჰქონდა ეკონომიკური კავშირების მოშლას და ბაზრების დაყარგვას. წარმოიშვა ღარიბებს შორის უღარიბესი ფენები. საქართველოში ჩამოყალიბდა შემოსავლების განაწილების უფრო მაღალი ხარისხის უთანასწორობა. ყოველივე ზემოაღნიშნულმა წარმოშვა სოციალური რისკების საფრთხეები. სოციალური რისკი განიხილება, როგორც, საფრთხე, რომელიც წარმოიშობა და გამოვლინდება საზოგადოების სოციალური ცხოვრების სფეროში და რომელმაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს ცალკეული სოციალური ჯგუფისა და/ან მთელი საზოგადოების არსებობასა და განვითარებაზე. სოციალურ რისკებს შორის ყველაზე მწვავე პრობლემაა სიღარიბე. იგი დღემდე ერთ-ერთ უმთავრეს და მტკიცნეულ პრობლემად რჩება ჩვენს ქვეყანაში. თავის მხრივ, სიღარიბე გლობალური პრობლემაა, სიღარიბის დაძლევის და მისი მასშტაბის მნიშვნელოვანი შემცირების საკითხი მხოლოდ საქართველოს არ ანუხებს. დღეს მსოფლიოში 2.4 მილიარდი ადამიანი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს.<sup>1</sup>

#### ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგრმარეობა. (მოკლე ეკონომიკური ექსკურსი)

სიღარიბე, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა, საქართველოში გაცილებით ადრეული პერიოდიდან იღებს სათავეს. უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებმა, გეგმიანი ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაიწყეს, პოლიტიკოსებისათვის სიღარიბე ცენტრალურ პრობლემას არ წარმოადგენდა. გარდა ამისა ნავარაუდევი იყო, რომ ახალი ეკონომიკური რეფორმების შედეგად ქვეყნები სწრაფად მიაღწევდნენ ეკონომიკურ ზრდას და მოქნილი სამუშაო ძალის და განათლების მაღალი დონით შესაძლებელი იქნებოდა სიღარიბის მასშტაბების კიდევ უფრო შემცირება. სამწუხაროდ ვარაუდი არ გამართლდა და წარმოების დონის შემცირებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყნების ეკონომიკაზე, რაც საბოლოოდ სიღარიბის დონის ზრდით გამოიხატა.

ეს პროცესი განსაკუთრებით დაეტყო დსტ-ს ქვეყნებს. ბევრ ქვეყანაში ეკონომიკური რეფორმები ვიწრო, კერძო ინტერესებიდან გამომდინარე იქნა წარმართული (კორუფცია, ჩრდილოვანი ეკონომიკა) და აბსოლუტურად იგნორირებულ იქნა საზოგადოებრივი ინტერესები, რამაც ფაქტიურად გადაწყვიტა ეკონომიკური რეფორმების ბედი და მასიურ სიღარიბეს დაუდო სათავე. 1992 წლიდან საქართველოში დაიწყო ლ.ბალცეროვიჩის „შოკური თერაპიის“ გეგმის განხორციელება. „შოკური თერაპიის“ პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის კლასიკურ სქემად ქცეული „ბალცეროვიჩის გეგმის“ მნიშვნელოვანი ნაწილი, სამწუხაროდ ობიექტური, თუ სუბიექტური მიზეზების ვერ განხორციელდა.

მათ შორის განსაკუთრებით შოკური თერაპიის არსის განმსაზღვრელი ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორიცაა საბიუჯეტო დოტაციების და სუფსიდიების გაუქმება და ბრუნვაში არსებული ფულის მასის მკაცრი შეზღუდვა, (კონტროლი). სამართლიანობა მოითხოვს

<sup>1</sup> მსოფლიო ბანკის ანგარიშები 2010წ, გვ 79.



აღინიშნოს, რომ განუხორციელებული პუნქტების ნაწილი ვერც განხორციელდებოდა, რადგან იმ დროს საქართველოს, უნინარეს ყოვლისა, საკუთარი ფულად-საკრედიტო სისტემა არ გააჩნდა. ასეთ ვითარებაში „შოკური თერაპიის“ მეთოდის ძირითადად მხოლოდ ფასების ლიბერალიზაციაზე დაყრდნობით განხორციელებული არასრულფასოვანი მოდიფიკაცია კრახისთვის იყო განწირული. შემდგომ პერიოდში, მთავრობის მიერ შემოღებული იყო დროებითი ვალუტა კუპონი, რომელმაც, სათანადო მონეტარული პოლიტიკისა და რეალური ეკონომიკის გარეშე ლოგიკური დასასრული ჰქოვა, წარმოქმნა რა მულტი სავალუტო რეზიმი, რის შედეგადაც 1 აშშ დოლარის ოფიციალური გაცვლითი კუპონთან მიმართებაში შეადგენდა 2.5 მილიონ კუპონს. სწრაფი ეკონომიკური რეფორმების გატარებისას დაგროვილი გამოცდილება ცხადყოფს, რომ ქვეყნები, რომელთაც არჩევანი „შოკური“ რეფორმები იყო, ეკონომიკური აღმავლობის ფაზაში პირველები შევიდნენ.

ამ დებულების სისწორეს საქართველოს გამოცდილებაც ადასტურებს. 1995 წელს „შოკური თერაპიის“ სქემის რეალიზაციის შედეგად ხუთწლიანი ეკონომიკური ვარდნა ზრდით შეიცვალა, რაც თავის მხრივ, ეროვნული ვალუტის და მონეტარული პოლიტიკის არსებობითაც იქნა განპირობებული: მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 1995 წელს 3%-მდე იყო, ხოლო 1997-2000 წლებში ის წელიწადში საშუალოდ 9-10%-ს შეადგენდა. თავის მხრივ, საქართველოს ეკონომიკის განვითარების შემდგომი წლებიც დაახლოებით მსგავსი სტატისტიკითაა წარმოდგენილი, თუ არ ჩავთვლით (2000-2001 წლის ეკონომიკურ კრიზისს).<sup>1</sup>

თავის მხრივ შევნიშნავდი, რომ სილარიბის და სოციალური უთანასწორობის გამომწვევი მიზეზები მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური არ გახლავთ. სილარიბის მაპროვოცირებელ ფაქტორებად შესაძლებელია მივიჩნიოთ:

- ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის კლება, (დემოგრაფიული კვდომა);
- მოსახლეობის დაბერების ტემპების დაჩქარება;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუარესება;
- უმუშევრობის ზრდა;
- ხარისხიანი განათლების ნაკლები ხელმისაწვდომობა;
- ეროვნულ და ზნეობრივი ფასეულობების გაუარესების ტენდენცია, (სულიერ-ზნეობრივი კრიზისი).

1989-2004 წლებში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა 1 მლნ 88 ათასი კაცით შემცირდა (4321.5 ათასი) და დღემდე აღნიშნულმა მაჩვენებელმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწია საწყის ნიშნულს, (5341.8 ათასი). მოსახლეობა ბოლო 18-20 წლის განმავლობაში დემოგრაფიულად დაბერებულია. 90-იან წლებში, თუ საშუალო ასაკი 31-33.1 წელს შეადგენდა, ბოლო პერიოდის ანალოგიურმა მაჩვენებელმა 39.3 წელი შეადგინა და პროგნოზული გაანგარიშებებით ორი ათეული წლის შემდეგ საშუალო ასაკი 45,4 წლამდე გაიზრდება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მონაცემებით, რეგისტრირებულ დაავადებათა რაოდენობა 2000-2009 წლებში 412,8 ათასიდან - 807,5 ათასამდე გაიზარდა. შემაშფოთებელია სტატისტიკა, 0-14 წლამდე ასაკის მოსახლეობაში, სადაც სხვადასხვა დაავადებათა შემთხვევები მატულობს. 90-იანი წლებიდან დღემდე სიღარიბე და უმუშევრობა ქვეყნისათვის უმწვავეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემად იქცა და იგი დაახლოებით სულ მცირე 4-ჯერ გაიზარდა. ოფიციალური სტატისტიკით უმუშევრობის დონე ქვეყანაში დღეის მდგომარეობით 16,5% შეადგენს, თუმცადა, მისი რეალური მაჩვენებელი გაცილებით მაღალია. დღეს მოქმედი აღრიცხვის მეთოდიკით თვითდასაქმებულად ითვლებიან პირები, რომლებიც საკვლევი კვირის განმავლობაში, თუნდაც 1 საათით უსასყიდლოდ მუშაობდნენ საოჯახო მეურნეობაში/მამულში. კერძოდ: თევზაობდნენ, აგროვებდნენ კენკრას, კრეფ-დნენ სოკოს, ხარშავდნენ მურაბას, კერავდენ, ქსოვდნენ და ა.შ. უმუშევრობის მაღალ დონესთან ერთად საქართველოში პრობლემატურია მოსახლეობის სოციალური დიფერენციაციისა და უთანასწორობის ზრდა. შემოსავლებისა და მოხმარების უთანასწორობის მაჩვენებლით (ჯინის კოეფიციენტი), მსოფლიოს 143 ქვეყანას შორის საქართველო 2009 წლის მდგომარეობით 33-ე ადგილზეა, ანუ მსოფლიოში მხოლოდ 32 ქვეყანას აქვს საქართველოზე უარესი მაჩვენებელი და ეს ქვეყნები ძირითადად აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნებია.

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანგარიში 20006.

<sup>1</sup>თავისმხრივ, მნიშვნელოვანი ეკონომიკური გამოცოცხლება აღინიშნება 2004 წლიდან, როდე-საც დაიწყო მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გატარება. სახელმწიფო პენსია 55 ლარამდე, ხოლო ხანდაზმულთა პენსია 80 ლარამდე გაიზარდა, თუმცალა ჯერ კიდევ გასაკეთებელი ბევრია.

2009 წლის სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით საშუალო მომხმარებლის პრიო-რიტეტები საარსებო მინიმუმი 114,1 ლარს, ხოლო შრომისუნარიანი მამაკაცის 126,1 ლარს შე-ადგენდა. პენსიის ჩანაცვლების კოეფიციენტი საშუალო ხელფასთან მიმართებაში 14%-ს შეად-გენდა. 2005-2006 წლებში მთავრობის მიერ დამტკიცდა ძირითადი მონაცემებისა და მიმართუ-ლებების (BDD) დოკუმენტი და მასში განერილ იქნა 2007-2010 წლების გეგმა, მათ შორის ეკო-ნომიკის სფეროშიც.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქვეყნის მიზანია, მდგრადი ეკონომიკური ზრდისა და კერძო სექტორში დასაქმების გაზრდის მიღწევა. აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში, 2006 წელს ინი-ცირებულ იქნა პროგრამა, რომელიც 50000 სტაუიორის კერძო სექტორში სამთვიანი სტაუირე-ბის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებას ითვალისწინებდა. აღნიშნული პროგრამა განხორ-ცირებულ იქნა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან 24 მლნ. ლარი გადაირიცხა სათანადო ხარჯების ასანაზღაურებლად. დასაქმების ხელის შემწყობ სოციალურ პოლიტიკას მოყვა შემდგომი გაგ-რძელებაც.

2007 წლის მთავრობის №110 დადგენილებით დამტკიცდა ახალი დასაქმების კიდევ უფრო ეფექტუანი პროგრამა. დადგენილების თანახმად პროგრამის მონაწილენი, ტურიზმისა და მონა-თესავე დარგებში მომუშავე მცირე და საშუალო ზომის საწარმოები (მენარმეები) იყვნენ. მათ უნ-და მიემართათ პარტნიორი ბანკისადმი და უნდა დაემტკიცებინათ, რომ სამუშაო ადგილების შექ-მნა შეუძლიათ. სესხის გარდა, პროგრამა საშუალებას აძლევდა მასში მონაწილეებს, გაევლოთ უფასო პროფესიული ტრეინინგი და კონსულტაცია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2009-2010 წლებში სტარტი აიღო რეგიონალური განვითარების პროგრამამ, რომელიც ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მიუხედავად ძალისხმევისა, სოციალური პრობლემები ჯერ კიდევ რთულად მოსაგვარებელია.

დღეს საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური ვითარება ატარებს უფრო მეტად ადგი-ლობრივ ხასიათს და იგი განპირობებული არ არის გარეგანი ფაქტორებით (თუ აგვისტოს ომს არ ჩავთვლით), რადგან საქართველოს ეკონომიკა ისე მჭიდროდ არ არის ინტეგრირებული მსოფლიო ეკონომიკასთან, როგორც ესპანეთი, საფრანგეთი, ირლანდია, ინგლისი, აშშ და ა.შ. ამიტომ მხოლოდ იმის მტკიცება, რომ საქართველომ სერიოზული დარტყმა მსოფლიო ეკონომი-კური კრიზის გამო მიიღო, არ იქნება სრულყოფილი. უნდა გამოიყოს რიგი ხარვეზები, რომლე-ბიც რეფორმების პარალელურად აღინიშნა:

- საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაკადები კონ-ცენტრირებული იყო პრივატიზაციასა და უძრავი ქონების შეძენაში, რამაცაშარა დისპალანი გამოიწვია, როცა ფინანსური რესურსების ნაკადის ტემპი ქვეყანაში საგრძნობლად აღემატებო-და ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდის ტემპს;

- სამშენებლო ბიზნესში „სამშენებლო პირამიდები“ გაჩნდა;

ბანკები თავიანთ საკრედიტო რესურსებს ძირითადად დასავლურ ფინანსურ ბაზრებზე შედარებით იაფი რესურსების ხარჯზე ავსებდნენ, ხოლო ეს კრედიტები უმთავრესად მშენებ-ლობისა და იმ სამომხმარებლო საყოფაცხოვრებო საქონლის შეძენის მიზნით გაიცემოდა, რო-მელიც მთლიანად იმპორტირებულია საქართველოში. ამრიგად, იმპორტირებული საკრედიტო რესურსების ხარჯზე ფინანსდებოდა „ფინანსური პირამიდებით“ დასნეულებული სამშენებლო ბიზნესი და სამომხმარებლო საყოფაცხოვრებო საქონლის იმპორტი, რაც ქვეყნის ეკონომიკაზე ვერანაირად ვერ აისახა დადებითად, და მეტიც, იმპორტის წახალისება გამოიწვია.

2008 წელს რუსეთის აგრესის შედეგად მომხდარმა ომა, დააჩქარა ეკონომიკური კო-ლაფსი, რაც გამოიხატა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირებაში. კერძოდ 2007 წელს ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2 მილიარდ აშშ

<sup>1</sup> საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი, მაკროეკონომიკური მაჩვენებლების ანგარიში 2010.



დოლარს შეადგენდა, 2008 წელს მისი რაოდენობა დაახლოებით 1.6 მილიად დოლარამდე შემცირდა, ხოლო 2009 წელს კი 658 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.<sup>1</sup>

## სილარიბის დონის შემცირების სტრატეგიული მიმართულებები

რადგანაც დასაქმების აქტიური პოლიტიკა ეს არის ის მთავარი ეკონომიკური ბერკეტი, ორგანიზაციული და სამართლებრივი ღონისძიებების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია უმუშევრობის შემცირებისაკენ. ამ მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში და მცირე ბიზნესის განვითარებით შესაძლებელი გახდება სილარიბის დონეზე მკვეთრი ზემოქმედება. მცირე საწარმოების მიმართ მიზანშენანილია გამოყენებულ იქნეს ფინანსური ხელშეწყობის შემდეგი ფორმები:

- პირდაპირი დაკრედიტება კომერციული ბანკების მეშვეობით;
- გარანტირებული კრედიტები ანუ საბანკო კრედიტის გარანტირებული დაზღვევა;
- გრანტების გამოყოფა განსაზღვრულ პროექტებზე;
- საბანკო პროცენტის სუბსიდირება;
- წილობრივი მონაწილეობა საინვესტიციო პროგრამებში.

თავის მხრივ, მცირე ბიზნესის განვითარების მაღალეფექტიან სფეროდ საქართველოში, პირველ რიგში, უნდა მივიჩნიოთ აგროსამრეწველო კომპლექსის დარგები და ტურიზმი. კვების და მსუბუქი მრეწველობა ხასიათდება კონკურენტუნარიანობით. მოსახლეობის სოციალური პირობების გაუარესება, რომ შენელდეს, საჭიროა კარდინალური ცვლილებები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაში, კერძოდ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დასაქმების ხელშეწყობისა და უმუშევრობის მიზნით დასაქმების ეფექტიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციას. ამ მიზნით, უნდა შემუშავდეს დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის ახალი კონცეფცია, სადაც ყურადღება გამახვილდება შემდეგ მიმართულებებზე:

საქართველოს მთავრობის მიერ ახალი კონცეფციის მიღების შემთხვევაში, მის ბაზაზე უნდა მომზადდეს „დასაქმების სახელმწიფო რეგულირების შესახებ“ კანონპროექტი;

- დასაქმების სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაციისათვის სპეციალური სახელმწიფო უწყების შექმნა;
- უნდა ჩამოყალიბდეს მობილური, ეფექტიანი, დამსაქმებლის მოთხოვნებზე ორიენტირებული დასაქმების სახელმწიფო სამსახური;
- პროფესიული კადრების მომზადების სისტემის მიახლოება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

- ზრდასრულთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სისტემის განვითარება;
- უნდა შემუშავდეს ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული „შრომის კოდექსის“ ახალი ვარიანტი, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც დამქირავებლის, ასევე დაქირავებულის ინტერესები. (საარსებო მინიმუმი, მინიმალური ხელფასი, სამუშაო დროის ხანგრძლივობა, შვებულების ხანგრძლივობა, სოციალურ-შრომითი ნორმატივები), რომლებიც დადგენილია შრომის საერთაშორისო კონვენციებითა და „ევროპის სოციალური ქარტიით“;
- უნდა მომზადდეს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა სოციალური დაზღვევის მოდელზე თანდათანობით გადასვლისთვის, სავალდებულო (სახელმწიფო) და ნებაყოფლობითი (კერძო) დაზღვევის პრინციპების ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე. დაზღვევის სისტემაზე გადასვლისთვის საფუძვლების მოსამზადებლად;
- აუცილებელია სოციალური დახმარების სფეროში სახელმწიფო და არასახელმწიფო უწყებების ძალისხმევის კოორდინაცია, რაც გაზრდის დახმარების ეფექტიანობას;

<sup>1</sup> ვ.პაპავა „ნეკრო ეკონომიკის ზომბირება“ თბ,2010წ.

- ორგანიზაციულ ცვლილებებს წინ უნდა უსწრებდეს სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონალური ანალიზი და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა ხდებოდეს კონკრეტულ უწყებათა ტრანსფორმაცია ან გაუქმება.

## დასკვნა

სიღარიბე პოლიტიკოსთა და ეკონომისტთა წინაშე მდგარი ერთ-ერთი მტკიცნეული პრობლემაა. მისი გადაჭრის ტრივიალური გზაა ეკონომიკური განვითარება, საქონლისა და მომსახურების წარმოების გაფართოება, რომელიც თავის მხრივ, უზრუნველყოფს ცხოვრების დონის გაზრდას. ამასთანავე, დღევანდელ საქართველოს ეროვნულ ეკონომიკაში ალბათ არ არსებობს უფრო რთულად გადასაჭრელი პრობლემა, ვიდრე სიღარიბის დონის შემცირება. აუცილებელია მეტი ძალისხმევა სახელმწიფოს მხრიდან პრობლემის მოგვარების მიზნით, რადგან როგორც აღინიშნა სიღარიბე არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, სოციალური, თუ ეკონომიკური პრობლემების და სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების შეფერხების. საჭიროა შემუშავებულ იქნას ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის ეფექტური პროგრამა, რომელიც კერძო სექტორის მხარდაჭერით და სახელმწიფოს უშუალო კოორდინაციით იქნება წარმართული. საკითხი უფრო სერიოზულ მიდგომას საჭიროებს სამოქალაქო საზოგადოების მხრიდანაც, სამოქალაქო სექტორი არ შეიძლება იყოს მისი პასიური მომხმარებელი. საზოგადოების თანამონანილეობა სახელმწიფო პოლიტიკის მიზნების განხორციელებაში დააჩქარებს დემოკრატიისა და თანასწორობის განვითარებას.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ც.ანთაძე – სოციალური რისკები, თბ, 2010 წ;
2. ც.ანთაძე – საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე. თბ, 2009 წ;
3. 6. ჭითანავა – გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ, 2000წ;
4. გ.ნულაძე, 6.მალლაფერიძე – საქართველოს დემოგრაფიული პერსპექტივები, თბ.2005წ;
5. შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო – უმუშევრობასთან ბრძოლა – განხორციელებული რეფორმები, 2005-2009წ;
6. „მენარმეობა საქართველოში“, სტატისტიკური კრებული, 2009წ
7. United Nations Human Development, 2010 ( Net world: Oxford university Press, 2010)
8. Capital Controls and Capital Flows in Emerging Economies, National Bureau of Economic Research, USA, Chicago, 2008.
9. <http://liberali.ge/node/3746>
10. <http://www.mof.ge/4069>
11. <http://www.geostat.ge>
12. [www.economy.ge](http://www.economy.ge)



## ლაშა ტაბატაძე

### სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტები და სახელმწიფოს სტრატეგია

#### რეზიუმე

წინამდებარე ნაშრომის - სტატიის მიზანია, გაანალიზდეს და შეფასდეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, წარმოაჩინოს და განაზოგადოს სოციალური რისკების სახეები და საფრთხეები. ამასთანავე, გამოკვეთოს ქვეყნის სოციალური პოლიტიკის პრიორიტეტები და დასახოს სტრატეგია, რომელიც ეფექტიან პოლიტიკად მოევლინება ქვეყანაში არსებულ სოციალური პრობლემების მოგვარების საკითხს.

**Lasha Tabatadze**

### The Priorities of Social Policy and State Strategy

#### Abstract

The purpose of the article is to analyse and appreciate the social and economical situation of the country, to highlight and generalize the kinds of social risks and dangers.

It aims to emphasize the social and political priorities of the country and to set the strategy which will be effective to settle the social problems that exist in the country.



## კობა ჩაგელიშვილი

### საქონლის ნიც თანავის მათოდაგი

გაყიდვების სტიმულირების აქცია – მომხმარებელზე ზეგავლენის და საქონლის წინ წანევის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდია. სტატისტიკის მიხედვით, ყიდვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების 70%-ს ადგილი აქვს უშუალოდ მაღაზიაში, ასევე ყოველი მეორე მომხმარებელი მზად არის მიიღოს ის დამატებითი სარგებელი რომელსაც სთავაზობს გამყიდველი – ფასდაკლება, უფასო საჩუქარი, საქონლის საგემოვნო თვისებების გასინჯვის შესაძლებლობა. სარეკლამო საქონლის მიმართ მომხმარებლის მზარდ ინტერესზე დამოკიდებულია არა მარტო მომწოდებლის მოგება, არამედ სავაჭრო ობიექტის შემოსავალიც.

როგორ გავაკეთოთ ისე, რომ გაყიდვების სტიმულირების აქციამ რეალურად მოგვიტანოს შედეგი? როგორ გამოვთვალოთ მისთვის ოპტიმალური ბიუჯეტი? რა შემთხვევაში უნდა ვისარგებლოთ სარეკლამო სააგენტოების დახმარებით?

ვიდრე მივიღებთ გადაწყვეტილებას სტიმულირების აქციის ჩატარების შესახებ, კარგად უნდა გავაანალიზოთ, თუ რისი მიღწევა გვინდა. შესაძლებელია ჩვენი მიზანი იყოს ჩვენი მომხმარებლის შესყიდვების ჯერადობის გაზრდა. შესაძლოა თქვენ გსურთ გაყიდვების მოცულობის გაზრდა ან თუნდაც ვასწავლოთ მომხმარებელს როგორ უნდა ისარგებლოს თქვენი საქონლით. მიზანი განსაზღვრავს აქციის შინაარსს. ყველა მარკეტინგულ ღონისძიებას გააჩნია საკუთარი ნიუანსები. მისი გაუთვალისწინებლობა გამოიწვევს დიდ დანახარჯებს და ნულოვან ეფექტს. მაგალითად, გადაწყვეტილება დავარიგოთ უფასოდ სარეკლამო საქონლის ნიმუშები, ანუ ჩავატაროთ „სემპლინგი“. ერთი მხრივ, ეს კარგი სვლაა იმიტომ, რომ მომხმარებელს უყვარს რაიმეს უფასოდ მიღება, მაგრამ თუ საუბარია მასობრივ საქონელზე, მაშინ ნიმუშები უნდა დაურიგდეს მომხმარებელთა დიდ რაოდენობას, თუ თქვენი საქონლის შესახებ კიდევ 500 ადამიანი გაიგებს, ეს არ იმოქმედებს მნიშვნელოვნად გაყიდვების მოცულობაზე. თუ კი 50 ათასი მომხმარებელი დააგემოვნებს თქვენს საქონელს, ეს ნამდვილად მნიშვნელოვანი იქნება, მაგრამ ამავე დროს 50 ათასი სარეკლამო ნიმუშის დამზადება-ეს საკმაოდ ძვირადლირებული სიამოვნებაა. ამიტომ, „სემპლინგის“ ჩატარებას მაშინ აქვს აზრი, როდესაც არის ამის მატერიალური შესაძლებლობა. რაღა თქმა უნდა, ბევრი რამ დამოკიდებულია თვითონ საქონელზეც, ასე მაგალითად, სადეგუსტაციო ყველის ნატეხის და ერთი შეფუთვა შემწვარი კარტოფილის ბურბუშელის ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. გასათვალისწინებელია, რომ სტიმულირების აქციები ყველა სახეობის საქონლისთვის არ გამოდგება. მაგალითად, არანაირი აზრი არა აქვს 5%-იან ფასდაკლებას ფუფუნების საგნებზე. ამ ნაბიჯს, პირიქით, შესაძლოა უარყოფითი შედეგიც კი ჰქონდეს. შეძლებულმა მომხმარებელმა, რომელიც ანალოგიურ საქონელს იძენს, შეიძლება იფიქროს, რომ ან ხარისხია დაბალი ან მოქმედების ვადაა გასული ან კიდევ სხვა რამ. დაბალფასიანი საქონლის შემთხვევაში კი, აღნიშნული მეთოდი ნამდვილად გამოიწვევს გაყიდვების მოცულობის ზრდას.<sup>1</sup>

მკაფიოდ უნდა გვქონდეს განსაზღვრული სასურველი შედეგის მიღწევისათვის რა სახსრები უნდა დაიხარჯოს, ანუ რა მოცულობის უნდა იყოს აქციის ბიუჯეტი. დავუშვათ ხართ მფლობელი მაღაზიასა, სადაც იყიდება საშუალო ფასის ფეხსაცმელი. თქვენი მიზანია აქციის შედეგად 25%-ით გაზარდოთ ერთი თვის მანძილზე გაყიდვების მოცულობა. ფეხსაცმლის საშუალო ფასია 30\$, თვეში იყიდება 1000 წყვილი ფეხსაცმელი და მოგება შეადგენს 20%-ს. მოგების საერთო ჯამი შეადგენს 6000\$. თუ გაყიდვების მოცულობა გაიზრდება 25%-ით, მაშინ მოგება გაიზრდება 1500 \$ -ით. აქედან გამოდინარე, ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 1500 \$-ს. სხვაგვარად, ბიუჯეტის გადამეტება გამოიწვევს ზარალს. განხილული მოკლევადიანი ეფექტის მაგალითია, მაგრამ შესაძლებელია აგრეთვე გავიანგარიშოთ გრძელვადიანი ეფექტიც. დავუშვათ, პირველ თვეში გაყიდვები გაიზრდება 25%-ით, ხოლო მომდევნო 11 თვეში კი

<sup>1</sup> Векслер. А. Связи с общественностью для бизнеса. Нижний Новгород, PR-Эксперт, 2001, с 115



ყოველთვიურად - 10%-ით. აქედან გამომდინარე, წლიური მოგება აქციის ჩატარების გარეშე შეადგენს 72000 \$. გაყიდვების დაგეგმილი ზრდის შემთხვევაში - 80.1 \$ ათასი. გამოდის, რომ აქციის შედეგად მოგების სახით დამატებით მიიღება – 8100 \$, ანუ დასაშვებია დანახარჯები აქციაზე დაიგეგმოს ამ ბიუჯეტის ფარგლებში. როდესაც გამოვიანგარიშებთ ბიუჯეტს, უნდა დავსვათ შემდეგი კითხვა – შესაძლებელია თუ არა იგივე შედეგის მიღწევა სხვა მეთოდებით ან ნაკლები დანახარჯებით? თუ პასუხი დადგებითია, მაშინ აქციის ჩატარება აზრს კარგავს.

ვის დავუკვეთოთ აქციის ჩატარება, თუ თქვენ მაინც გადაწყვიტეთ ეს, ვინ მოახდენს პროექტის რეალიზებას? ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მასშტაბურია პროექტი და გაქვთ თუ არა ანალოგიური პროექტების განხორციელების გამოცდილება. თუ ეს მხოლოდ მოკლევადიანი აქციაა, რომელიც სულ რამდენიმე სავაჭრო წერტილში ტარდება, მაშინ, ალბათ, თქვენ გაართმევთ თავს ასეთ ღონისძიებას, მაგრამ, თუ აქცია მასშტაბურია, უკეთესია დახმარებისთვის მიმართოთ სააგენტოს. რა თქმა უნდა, ეს უფრო ძვირი დაგიჯდებათ, მაგრამ სხვა გამოსავალი არ არის, მით უმეტეს, თუ აქციას გეგმავთ ერთდროულად რამდენიმე ქალაქში.<sup>1</sup>

როგორ შევარჩიოთ სარეკლამო სააგენტო? შესაძლოა გავითვალისწინოთ ახლობლების რჩევა ან ვენდოთ სააგენტოს რეპუტაციას, მაგრამ ყველა შემთხვევაში უკეთესია ჩატატაროთ ტენდერი 3-5 სააგენტოს შორის. ტენდერის ჩატარებამდე შესაძლებელია შევადგინოთ ტექნიკური დავალება აქციის ჩატარების აღწერილობით. რაც უფრო დეტალურად იქნება განვერილი დავალება, მით უკეთესია. სააგენტოს სპეციალისტებმა, თავის მხრივ, უნდა გაანალიზონ აქციის იდეა, შეიმუშაონ აქციის მექანიზმი და გრაფიკი, დაიქირაონ და განვრთნან პერსონალი. ასევე უნდა შეიმუშაონ აქციის სარეკლამო მასალების დიზაინი, მოამზადონ მასალების აქციის ადგილამდე მიტანის ლოგისტიკური დეტალები და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, უნდა მოამზადონ აქციის ბიუჯეტის საკუთარი ვარიანტი. თუ თქვენ გადაწყვიტეთ აქცია ჩატაროთ დამოუკიდებლად, მაშინ ეს ყველა დავალება უნდა შეასრულონ თქვენმა თანამშრომლებმა. საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებულია გაყიდვების სტიმულირების მეთოდები (იხ. სქემა).

საბოლოო მომხმარებელზე ორიენტირებული გაყიდვების სტიმულირების მეთოდები

| აქციოს სახეობა | მიზანი   | უპირატესობა   | ნაკლოვანება  |
|----------------|--|---|--|
| კუპონები       | მოთხოვნის სტიმულირება  | გამყიდველებს<br>ასტიმულირებს                          | მომხმარებელმა შეიძლება გადადოს ყიდვა                                 |
| ფასდაკლება     | საცდელი შესყიდვების ზრდა   | ამცირებს მომხმარებლის რისკს უცნობი საქონლის მიმართ    | მცირდება საქონლის ფასეულობის შეცნობა                                 |
| პრემიები       | საქონლის მიმართ კეთილგან-წყობა                                   | მომხმარებელს მოსწონს ფასდაკლებები                     | ხშირად მომხმარებელი ყიდულობს საქონელს პრემიის გამო.                  |
| კონკურსები     | ყიდვის ჯერადობის ზრდა  | მიზნობრივი აუდიტორიის მოზიდვის შესაძლებლობა           | მომხმარებლისგან მოითხოვს გარკეცულ ცოდნას და უნარებს                  |
| „სემპლინგი“    | ახალი საქონლის გასინჯვის სტიმულირება                             | ამცირებს უცნობი საქონლის ყიდვასთან დაკავშირებულ რისკს | მოითხოვს მნიშვნელოვან დანახარჯებს                                    |
| ექსპოზიციები   | აცდელი შესყიდვების სტიმულირება დაეხმაროს სხვა საქონლის გაყიდვებს | საქონლის დემონსტრირება                                | რთულია საცალო ქსელში დაარჩმუნო ფართის გამოყოფის აუცილებლობის შესახებ |
| ფასდაკლება     | გაყიდვების სტიმულირება   | მოთხოვნის სტიმულირება                                 | კონკურენტები იოლადიმეორებენ იგივეს                                   |

<sup>1</sup> Торекуль. Б. Сага об ИКЕА. Москва, Астрель, 2003 г, с 147.

რატომ არის ამ ყველა დეტალის წინასწარ დამუშავება ასეთი მნიშვნელოვანი? - თუ წინასწარ არ გადავიტანთ ამ ყველაფერს ქალალზე, შეიძლება დავუშვათ ბევრი შეცდომა. ხშირ შემთხვევაში ტენდერის დროს ირჩევენ იმ კომპანიას, რომელმაც წარმოადგინა პროექტი ყველაზე დაბალ ფასად, მაგრამ ეს მიღებომა არასწორია, მხოლოდ ბიუჯეტის ოდენობა არ წარმოადგენს გადამწყვეტ კრიტიკულს არჩევანისთვის. მნიშვნელოვანია დაითვალით, თუ რა იქნება მომხმარებელთან ერთი კონტაქტის ღირებულება აქციის დროს. ფასის გარდა, ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ ფაქტორებს:

- რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, თუ არა პროექტის რეალიზება;
- შეესაბამება თუ არა აქციის მიზნები აქციის ჩატარების მეთოდებს, ხშირად ქალალზე წარმოადგენილი პროექტის რეალურად განხორციელება საკმაოდ რთულია;
- რამდენად რეალურია პროექტი, კარგად ესმის თუ არა სააგენტოს თქვენი მიზნობრივი აუდიტორიის ქცევის მოდელი;
- შეესაბამება, თუ არა აქციის ჩატარების მეთოდები თქვენი სავაჭრო მარკის ან საქონლის პოზიციონირებას;

პროექტის რეალიზაციის პირობებზე მსჯელობა ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია.

ხშირად სააგენტოს წარმომადგენლები ეკითხებიან დამკვეთს – რა მოცულობის ბიუჯეტი გაგაჩნიათ. თუ პასუხობთ, რომ დავუშვათ, გაგაჩნიათ – 10.000 \$-ს ბიუჯეტი, დარწმუნებული იყავით, რომ ზუსტად ამ ღირებულების პროექტს შემოგთავაზებენ, როდესაც რეალურად ის შესაძლოა ღირდეს მხოლოდ – 3000-\$-4000-\$. ამიტომ, კითხვაზე – რა ბიუჯეტი გაქვთ? უნდა უპასუხოთ – რა ღირს ამგვარი აქციის ჩატარება? უკეთესია შესთავაზოთ სააგენტოს წარმოადგინოს სხვადასხვა ღირებულების პროექტი და ნახოთ რომელი რას ითვალისწინებს და ამით უფრო კარგად გაერკვევით, თუ როგორ ფორმირდება ხარჯების სხვადასხვა მუხლი.

ბიუჯეტის ოპტიმიზაციისათვის საჭიროა გაანალიზოთ ყველა მუხლი და იპოვოთ ხარჯების შემცირების შესაძლებლობები. მაგალითად, დაგეგმილი გაქვთ 1000 სარეკლამო „პოსტერი“-ს დამზადება, სავარაუდოა, რომ ეს საკმაოდ დიდი რაოდენობაა, თუკი აქციის გეგმავთ 200 სავაჭრო წერტილში. სარეკლამო მასალების ხარისხი – ეკონომიის შემდეგი საშუალებაა. როგორც ცნობილია, სარეკლამო მასალების ღირებულება დამოკიდებულია ქალალდის სიმკვრივესა და სისქეზე, მაგრამ ასევე არ ღირს ზედმეტი ეკონომიის მიზნით მეტისმეტად თხელი ქალალდის გამოყენება – ეს მომხმარებლისთვის მიმზიდველი არ იქნება. ყველა მუხლის გამჭირვალება მოგცემთ იმის საშუალებას, რომ დაინახოთ სად არის ეკონომიის ფარული რეზერვი. თუ გეუბნებიან, რომ სარეკლამო მასალების ხარჯი, აღებული ერთ ქალაქზე შეადგენს 500 \$, ეს არაკორექტულია, მასალების რაოდენობა განსხვავდება ქალაქების ზომის მიხედვით. სხვადასხვა დაშორების გამო ლოგისტიკის ხარჯები განსხვავებულია და სარეკლამო აგენტების ანაზღაურებაც განსხვავებული იქნება იმის გამო, რომ ქალაქებში ცხოვრების დონე განსხვავდება. საკუთრივ სააგენტოს მოგება შესაძლოა მეტისმეტად მაღალი იყოს და იგი ფარულად ამ მოგების თანხას ხშირად შეიტანს საერთო ბიუჯეტში. ნებისმიერი აქციის წარმატების მნიშვნელოვანი ფაქტორია გამოცდილი აგენტები, რომლებიც ატარებენ აქციას.<sup>1</sup> თუ გინდათ მიიღოთ შედეგი და დახარჯული ფული ჰაერზე გადაყრილი არ აღმოჩნდეს, უნდა ასწავლოთ აგენტებს, რა უნდა გააკეთონ და როგორ, უნდა გააცნოთ დეტალურად თქვენი საქონელი და თქვენი მიზნობრივი ჯგუფი. მიუღებელია რაიმე თვითშემოქმედება აგენტების მხრიდან. ხშირად აქციაში მონაწილე აგენტები თვლიან რომ მათ მხოლოდ სამუშაოზე ყოფნისთვის აძლევენ გასამრჯელოს. ერთ-ერთი აქციის მაგალითზე ქალბატონმა სთხოვა სარეკლამო სააგენტოდან გოგონას, რომელიც აკეთებდა შამპუნის რეკლამას, აეხსნა შამპუნის განმასხვავებელი ნიშნები, რაზეც გოგონამ უხეშად უპასუხა – მე არ ვალდებული ყველა კითხვაზე გიპასუხოთ. ბუნებრივია, ასეთი პასუხი უარყოფით ზემოქმედებას იქონიებს მომავალ შესყიდვებზე. თუ გადაწყვიტეთ, მოაწყოთ „სემპლინგი“, აგენტებმა კარგად უნდა იცოდნენ ვინ მიეკუთვნება

<sup>1</sup> Барлетта. М. Как покупают женщины. Вершина, 2004, с 56



მიზნობრივ ჯგუფს და ვის უნდა დაურიგონ ნიმუშები. აგენტი, რომელმაც ეს არ იცის, ჩამოურიგებს ნიმუშებს ყველას, ანუ შესაძლოა ასეთ შემთხვევაში ჰიგიენური საფენები დაურიგდეთ ახალგაზრდებსაც და საპენსიო ასაკის ქალბატონებსაც. აგენტი დაარიგებს ასეთი წესით ყველა ნიმუშს და ჩათვლის, რომ მისი საქმე შესრულებულია, ხოლო თქვენი კომპანია დაკარგავს უამრავ ფულს.

აუცილებელია სარეკლამო აგენტი გამოირჩეოდეს საერთო მასიდან, რათა იგი იოლი შესამჩნევი იყოს და მოიზიდოს მომხმარებელი აქციის ჩატარების ადგილზე, ამიტომ მას უმზადებენ სპეციალურ სამოსს ან გამორჩეულ თავსაბურს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ აგენტები უნდა შეირჩეს აქციის მიზნის შესაბამისად და გათვალისწინებულ იქნეს სარეკლამო საქონლის თავისებურება. სასაცილო იქნება, თუ სრული აღნაგობის სარეკლამო აგენტს დავავალებთ გასახდომი საშუალების რეკლამირებას ან სახის საცხების რეკლამირებისათვის ავარჩევთ გოგონას არასასიამოვნო სახის კანით.<sup>1</sup>

ვინც არ უნდა ჩატაროს სარეკლამო აქცია – თქვენ, თუ სარეკლამო სააგენტომ საჭიროა ყველა შემთხვევაში შუალედური შეფასებები და მთლიანად აქციის მსვლელობის კონტროლი. შუალედური შეფასებებისას ყოველთვის იქნება მასში კორექტივის შეტანის საშუალება და შედეგი იქნება უფრო მეტი, ვიდრე კორექტივების გარეშე. თუკი აქცია ატარებს გრძელვადიან ხასიათს, კონტროლის საუკეთესო საშუალებაა ყოველკვირული ანგარიშების წარმოება. კვირის ბოლოს უნდა იყოს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენი მომხმარებელი მოიცვა აქციამ ან რამდენი სარეკლამო ნიმუშია დარიგებული ყოველ სარეკლამო წერტილში. კვირის ანგარიშები საშუალებას იძლევა რაიმე ხარვეზის შემთხვევაში დროული რეაგირება გააკეთოთ ხოლო თუ აქციას ატარებს სააგენტო, უნდა მოეთხოვოს ხარვეზის გამოსწორება, ან თუნდაც მთლიანად აქციის მსვლელობის პროცესის შეცვლა. საჭიროა დროდადრო აქციის ჩატარების ადგილებზე გასვლა, რათა შემოწმდეს როგორ მიმდინარეობს აქცია. ამ ფუნქციის შესრულება შეუძლიათ გაყიდვების ან მარკეტინგის სამსახურის თანამშრომლებს.

როდესაც აქცია დამთავრებულია, საჭიროა საბოლოო შემაჯამებელი ანგარიშის შედგენა, რათა დადგინდეს გეგმიური და ფაქტობრივი მაჩვენებლების თანაფარდობა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1 Векслер. А. Связь с общественностью для бизнеса. Нижний Новгород, PR-Эксперт, 2001, с 115.

2 Торекуль. Б. Сага об ИКЕА. Москва, Астрель, 2003 г, с 147.

3 Барлетта. М. Как покупают женщины. Вершина, 2004, с 56

4 Бузукова. Е. Ассортимент розничного магазина. Методы анализа и практические советы. Питер-Бург, 2006, с 125

<sup>1</sup> Бузукова. Е. Ассортимент розничного магазина. Методы анализа и практические советы. Питер-Бург, 2006, с 125

**კობა ჩაგელიშვილი**

**საქონლის წინ ნაწევის მეთოდები**

**რეზიუმე**

როგორც ცნობილია, სავაჭრო ოპერაციების დაახლოვებით 90% სრულდება საცალო ვაჭრობის ქსელში და ამიტომაც, მარკეტინგული ღონისძიებების მთელი კომპლექსი უფრო აქტიურად გამოიყენება სწორედ ამ ქსელებში. აღსანიშნავია, რომ გაყიდვების სტიმულირების მეთოდებს შორის ყველაზე ფართედ გამოიყენება სავაჭრო აქციები. ნაშრომში ავტორის მიერ განხილულია სავაჭრო აქციების ჩატარების თავისებურებანი საცალო ქსელში, მისი ყველა უარყოფითი შედეგი, რომელიც შეიძლება თან სდევდეს მას. ნაჩვენებია აქციის ბიუჯეტის შედგენის პრინციპები და ყველა ის შეცდომები, რომელიც ხშირად ახასიათებთ მარკეტინგის მესვეურთ აქციის მოწყობისას.

**Koba Chagelishvili.**

**Promotion in retail chain**

**Abstract**

Nowadays most business transactions are made through retail chains and real marketing actions are also done in retail outlets. That's why it's so important to look at promotional actions in retail chains especially. Many marketers plan and implement plenty of promotional actions but only few of them are really successful. That's why we should concentrate our attention of methods of implementation those actions. Author underlines in article importance of targeted promo-actions, there are shown budgeting issues for actions, methods for estimating efficiency of it and also standard mistake which are made by most marketers.





## ლალი ჩაგებიშვილი

### ინოვაციური ეკონომიკა გლობალიზაციის პირობები

#### შესავალი

თანამედროვე ეკონომიკის განვითარებას, პირველ რიგში, ინოვაციებისა და გლობალიზაციის განვითარების დონე განსაზღვრავს. ინოვაციები, ახალი იდეების, მეცნიერული აღმოჩენებისა და გამოგონებების საფუძველზე ახალი მეთოდების, ტექნოლოგიების, მენეჯმენტისა და მარკეტინგული გადაწყვეტილებების რეალურ დანერგვას გულისხმობს.

ინდუსტრიული ეკონომიკის პირობებში ინოვაციური საქმიანობა უპირატესად ეროვნული ეკონომიკის საზღვრებში მიმდინარეობდა, მაგრამ დღეს სიტუაცია რადიკალურად იცვლება, რადგანაც ისევე როგორც ყველა სხვა სფერო, ინოვაციური საქმიანობაც გლობალიზაციის ზემოქმედებას განიცდის. ეს იმას ნიშნავს, რომ ინოვაციების წარმოება და გავრცელება დღეს სცდება ეროვნულ საზღვრებს და მრავალეროვნულ ხასიათს იძენს. ამასთან, ერთ ქვეყანაში შემუშავებული ინოვაციები ძალიან სწრაფად ვრცელდება სხვა ქვეყნებში, რაც ბუნებრივია მათი განვითარების ტემპს აჩქარებს.

ზემოაღნიშნულიდან ნათელია, რომ თანამედროვე პირობებში ინოვაციური გლობალიზაცია როგორც მიკრო, ასევე მაკრო და მეზო დონეებზე, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება.

აქედან გამომდინარე, ინოვაციური საქმიანობის შესწავლა გლობალიზაციის პირობებში, ერთ-ერთ ყველაზე უფრო აქტუალურ, თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემას წარმოადგენს.

#### პრობლემის ანალიზი

გლობალიზაციის ტერმინის გამოყენება სპეციალურ ლიტერატურაში 80-იანი წლების დასაწყისიდან იწყება, მაგრამ დაახლოებით 15 წლის განმავლობაში ამ ტერმინის გამოყენება იშვიათი და ფრაგმენტული იყო. საზოგადოებრივ აზროვნებაში და პოლიტიკაში იგი 90-ანი წლების მეორე ნახევრამდე ძალიან სუსტად იყო გაცნობიერებული და ასახული. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1987 წელს კონგრესის ბიბლიოთეკაში, რომელიც ყველაზე დიდი ბიბლიოთეკა მსოფლიოში გლობალიზაციის პრობლემაზე მხოლოდ სამი წიგნი აღმოჩნდა. აღნიშნული ადასტურებს, რომ გლობალიზაციისადმი ინტერესი ბოლო 10 წლის განმავლობაში აფეთქების ხასიათს იღებს, რადგან დღეს არა მარტო პრესაში, პოლიტიკაში, ეკონომიკაში და სპეციალურ ლიტერატურაში იგი ყველაზე უმნიშვნელოვანეს პრობლემად არის აღიარებული, არამედ უფრო მეტიც, საყოველთაო გლობალიზაციის პროცესი განსაზღვრავს ინდივიდის, კორპორაციის და ქვეყნის განვითარებას.

გლობალიზაციის შესახებ კამათი გრძელდება და ალბათ ყოველთვის იქნება, რადგანაც არ არსებობს მასზე რთული და ყოვლისმომცველი მოვლენა, იგი ფაქტიურად ამოუწურავია და სრულიად ახალ შინაარს და ფორმებს იღებს. აქედან გამომდინარე, დისკუსია, კამათი მის შესახებ, რა თქმა უნდა, მომავალშიც ფრიად ინტენსიური იქნება. თუმცა, მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ უკვე არსებობს აზრთა ერთიანობა. ყალიბდება მეცნიერება გლობალიზაციის შესახებ სახელწოდებით „გლობალისტიკა“.

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებით მაღლდება მნიშვნელობა ეკონომიკური გლობალიზაციისა, რომელიც საყოველთაო ინტეგრატორის როლს ასრულებს. ეკონომიკური გლობალიზაციის არსი გამოიხატება იმით, რომ დღეს უკვე შესაძლებელია ნებისმიერი ეკონომიკური რესურსის გადაადგილება, მოპოვება, წარმოება და მოხმარება დედამიწის ნებისმიერ წერტილში, მიუხედავად მისი რომელიმე ქვეყნისადმი კუთვნილებისა.

ეკონომიკური გლობალიზაციის დადებითი ტენდენციებიდან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს მრავალგანზომილებიან განვითარებაზე გადასვლა; ცოდნის გლობალიზაციის გაძლიერება, ერთიანი საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბებისაკენ მოძრაობა; ადამიანის, საზოგადოებისა და ბუნების ერთიანობის გაღრმავება, ტექნოლოგიური გლობალიზაციის გაძლიერება; პროგრესული ინსტიტუციური გარდაქმნების დაჩქარება, პირველ რიგში, გლობალური ბაზრე-

ბის ჩამოყალიბება ეკონომიკის ყველა სფეროში; მსოფლიო მეურნეობისა და ცალკეული ქვეყნების რესურსების უფრო ეფექტური გამოყენებისათვის ხელშეწყობა, რაც შემოსავლის ზრდას, სიღარიბის შემცირებას, სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის დაჩქარებას განაპირობებს.

გლობალიზაციის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულება ეს არის ერთიანი საერთაშორისო ინოვაციური ქსელის ფორმირება, განვითარებული ქვეყნებისა და მათი კორპორაციების ერთობლივი სამეცნიერო-ტექნიკური, შემოქმედებითი თანამშრომლობა არა მარტო ბიზნესის გაფართოებისათვის, არამედ მსოფლიოს ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური განვითარებისათვის. ამ საქმიანობის შედეგები დადებითად აისახება არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ განვითარებად და განვითარების ყველაზე დაბალ სტადიაზე მყოფ ქვეყნებზე, რომელთაც ეძლევათ საშუალება თავი დააღწიონ მრავალსაუკუნოვან ჩამორჩენილობას და სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ პასიურობას.

თუკი მეორე მსოფლიო ომამდე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესით მოწინავე იყო დასავლეთ ევროპა, ომის შემდგომ პერიოდში ეს ადგილი დაიკავა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. 1901-1945 წლების განმავლობაში აშშ-ის მეცნიერებმა მიიღეს 18 ნობელის პრემია, გერმანელმა მეცნიერებმა -36, ინგლისელმა მეცნიერებმა-25, ფრანგებმა-16. ომის შემგდომ პერიოდში კი აშშ-ის მეცნიერებმა 180 ნობელის პრემია მიიღეს, რითიც არა თუ აღმოფხვრეს ჩამორჩენილობა, არამედ გაზარდეს აღმატებულობა. [8. გვ. 242-243]

ინოვაციური გლობალიზაცია ხელს უწყობს ცალკეული ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განვითარებას, ეკონომიკის დარგებში თანამედროვე ტექნოლოგიური წყობის ფორმირებას და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.

სამეცნიერო კვლევების შედეგების წარმოებაში ათვისებისათვის განმსაზღვრელია მეცნიერებისა და წარმოების ურთიერთებულების სისტემის შექმნა და განვითარება. ამდენად, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი სამართლიანად განიხილება როგორც ინოვაციური სფეროს ნაწილი, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს ეკონომიკის ევოლუციური თვითგანვითარების ბირთვს.

ინოვაცია ინოვაციური საქმიანობის შედეგია. ინოვაციის სპეციფიური შინაარსი გამოიხატება ცვლილებით, გარდაქმნით. ინოვაციური საქმიანობის მთავარი ფუნქცია კი ცვლილების განხორციელებაა. ინოვაციური პროცესი დაკავშირებულია ინოვაციის შექმნასთან, ათვისებასა და გავრცელებასთან. ინოვაციების შემქმნელები (წოვატორები) იყენებენ ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა პროდუქციის სასიცოცხლო ციკლი და ეკონომიკური ეფექტიანობა. მათი სტრატეგია მიზნად ისახავს კონკურენტებზე გამარჯვებას, უნიკალური სიახლის შექმნას, რომელიც აღიარებული იქნება მოცემულ სფეროში. [9, გვ. 1]

განვითარებული ქვეყნები დამაჯერებლად გადადიან განვითარების პრინციპულად ახალ ეტაპზე – ინოვაციურზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სიახლეთა გამოყენების პროცესი იქცევა გააზრებულ, მიზანდასახულ და კვლავნარმოებით პროცესად სისტემურ საფუძველზე, ხოლო თვითონ ინოვაციები განიხილებიან საზოგადოებაში პრობლემათა გადაწყვეტის მთავარ ინსტრუმენტად.

მსოფლიოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსხვავება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს შორის გამოიხატება არა მარტო საფინანსო რესურსების მოცულობით, არამედ ცოდნის უკმარისობით. ამჟამად, განვითარება განიხილება დაგროვილი ცოდნის დონის მიხედვით, კერძოდ, ტექნილოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ცოდნის დონით.

ცოდნის დეფიციტის დაძლევა თანამედროვე პირობებში საკმაოდ რთული ამოცანაა. განვითარებადმა ქვეყნებმა ტექნილოგიური ჩამორჩენილობიდან გამომდინარე მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ ცოდნის შეძენის, მისი ათვისების და გადაცემის თანმიმდევრული მექანიზმი. ცოდნის შეძენის ამოცანები უნდა მოიცავდნენ მსოფლიოში არსებული ცოდნის გამოყენებას საკუთარი პრობლემების გადასაწყვეტად, უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, სალიცენზიონ ხელშეკრულებების, პატენტების შეძენას და სხვა.

შეძენილი ცოდნის ათვისების აუცილებელ პირობას წარმოადგენს საყოველთაო განათლების ხელმისაწვდომობა, მათ შორის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობა, განსაკუთრებით ტექნილოგიებში, დასაქმებული მოსახლეობის უწყვეტი განათლების სისტემის არსებობა. ცოდნის გადაცემის მნიშვნელოვანი ეტაპის ორგანიზაციისათვის უნდა გამოყენებული



იქნას საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობისათვის საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

ვაჭრობის, ფინანსებისა და საინფორმაციო ნაკადების გლობალიზაციას თან ახლავს შესაძლებლობები და ხიდათიც. ტექნოლოგიური ჩამორჩენილობის ზრდის შემთხვევაში მსოფლიო კიდევ უფრო გაიხლიჩება არა მარტო კაპიტალისა და სხვა რესურსების გამო, არამედ ცოდნის გამო.

პრობლემები იქმნება თვით განვითარებულ ქვეყნებს შიგნით ცოდნისა და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობათა არათანაბარი პირობების გამო. ამიტომ ყველა ცალკე აღებულმა ქვეყანამ უნდა გადაწყვიტოს ცოდნის მოპოვებისა და გამოყენების მრავალგვაროვანი ტექნოლოგიური ჩამორჩენილობისა და საინფორმაციო დეფიციტის შემცირების პრობლემები. ამიტომ განსაკუთხებულ მნიშვნელობას იძენს მართვის პრობლება როგორც, მაკრო ასევე მიკრო დონეზე.

მართვის ფუნქციის ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს შიდა რესურსების გამოვლენა, მათი გამოყენება და მოწინავე გამოცდილების ძიება.

ინოვაციური განვითარების მიზნებისა და ამოცანების მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს ინოვაციური ციკლები. ინოვაციური ციკლი მოიცავს მანძილს, რომელიც იწყება ინოვაციის შექმნის იდეის შემუშავებით და მთავრდება ამ სიახლის დანერგვით. ციკლის ძირეული როლებია: მეცნიერება – წარმოება – მოხმარება. ი.შუმშეტერის აზრით, ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს სიახლეთა გამოყენება.

ინფორმაციული საზოგადოება ხასიათდება იმით, რომ მის ჩამოყალიბებაში აქტიური როლი ითამაშა და ამჟამადაც თამაშობს ახალი ტექნოლოგიები. ტექნოლოგიების განვითარებისათვის კი საჭიროა საერთო სპეციფიური მიდგომის შემუშავება გამომგონებლის, მეწარმისა და მომხმარებლისათვის, რომელიც ორიენტირებული იქნება ინოვაციებზე.

კომპანიები ვერ მოიპოვებენ წარმატებას გამძაფრებული კონკურენციული ბრძოლის პირობებში თუკი დროულად არ შეიტანებ ინოვაციებს თავიანთ ტექნოლოგიურ პროცესში, არ მოახდენონ კომუნიკაციისა და მენეჯმენტის ოპტიმიზირებას, კონკურენტებზე ადრე არ განახორციელებენ ახალ გამოგონებებს.

ახალი ეკონომიკის ჩამოყალიბებაში მთავარ ფაქტორად ინოვაციების დინამიკა გვევლინება. თანდათან ხმარებაში შემოდის ტერმინი „ინოვაციური ეკონომიკა“. ინოვაციური ეკონომიკა განვითარდა ინვესტირების სპეციფიური სახეობის შედეგად, რომელიც თან ახლავს უახლოეს ტექნოლოგიურ პროგრესს. გამომდინარე იქიდან, რომ ასეთი სახის ინვესტიციების დაბანდება ხდებოდა უშუალოდ წარმოების სარისკო სექტორში, მათ მიიღეს სახელწოდება სარისკო, ვენტურული („Venture“-რისკი) ინვესტიციების სახით.

ინდუსტრიული წარმოებისათვის დამახასიათებელი ინვესტიციებისაგან განსხვავებით, რომელთაც წლიურად მოაქვთ 2-3% ოდენობის მოგება, ვენტურულ ინვესტიციებს ძალუბრივი დიზაინის ტექნოლოგიების კომერციულ ბუმს, ისინი მუდამ თან ახლდა მათ განვითარებას, განაპირობებდა როგორც მათ მასიურ კრახს, ასევე აღორძინებასაც. ამჟამად, ვენტურული ინვესტიციები საფუძვლად უდევს ყოველი ახალი თაობის მაღალტექნოლოგიურ წარმოებას, ბიო და ნანო-ტექნოლოგიების ჩათვლით. [6, გვ. 2]

ვენტურული ინვესტირების ერთ-ერთი ცნობილი პიონერი, მენეჯერი გერმან ხაუზერი ასახელებს ხუთ მთავარ პირობას ვენტურული კაპიტალის წარმატებული განვითარებისათვის. ესენია:

1. ქვეყანაში მენეჯერთა და გამომგონებელთათვის მაღალკვალიფიკაციური საგანმანათლებლო სისტემის არსებობა;
2. სამეწარმეო სულისკვეთება;
3. ვენტურული კაპიტალის არსებობა;
4. სახელმწიფოს აქტიური მხარდაჭერა განათლების სისტემისა და ვენტურული ინვერსტირებისათვის სათანადო პირობების შექმნის თვალსაზრისით;
5. მსხვილი კომპანიების მუდმივად მზადყოფნა მცირე კომპანიებთან თანამშრომლობისათვის;

ინოვაციური ბიზნესის განვითარებისათვის მთავარი როლი ეკისრება სახელმწიფოს, მის მიერ გატარებულ პოლიტიკასა და შექმნილ პირობებს. ინოვაციების განვითარება ხორციელდება მაშინ, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებები, კომპანია-საწარმოები, კვლევითი ლაბორატორიები თავმოყრილია ერთ სივრცეში. ასეთი მაღალტექნოლოგიური ზონები ცნობილია როგორც „კლასტერები“. [6, გვ. 7]

სწორედ ამგვარი ვითარების დროს ნებისმიერი ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია ეროვნული ინოვაციური ეკონომიკის განვითარების დონეზე.

1990-ანი წლებიდან განვითარებული ქვეყნების ინოვაციური საქმიანობის სფეროში შეინშნება ორი უმნიშვნელოვანესი ტენდენცია: პირველი მდგომარეობს იმაში, რომ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაფინანსება სახელმწიფო სექტორიდან თანდათან გადადის კერძო სექტორში; მეორე — სამეცნიერო კვლევებისა და ახალი ტექნოლოგიების შემუშავებაში სულ უფრო და უფრო იზრდება ვენტურული კაპიტალისტების როლი. [9, გვ. 1]

ახალი ტექნოლოგიებისა და ცოდნის შექმნა და მათი გამოყენება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის განსაზღვრავს ქვეყნის როლსა და აღგილს, ეროვნული უსაფრთხოების დონეს მთელს მსოფლიოში. განვითარებული ქვეყნების მშპ-ის ზრდის 80-95% განპირობებულია ახალი ცოდნის გამოყენებით ტექნიკასა და ტექნოლოგიების. აქედან გამომდინარე, ამ ქვეყნებში ვითარდება ინოვაციური ეკონომიკა.

ინოვაციური ეკონომიკის მთავარი მახასიათებლებია:

- თანამედროვე ინფორმაციული და კომპიუტერული სისტემების არსებობა;
- განვითარებული ინფრასტრუქტურის არსებობა, რომელიც ხელსაყრელ პირობებს ქმნის ეროვნული ინფორმაციული რესურსების შესაქმნელად;
- წარმოების ყველა სფეროს, დარგისა და მართვის სისტემის დაჩქარებული ავტომატიზაცია;
- სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ინოვაციების სწაფი შექმნა და პრაქტიკაში დანერგვა;
- კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისა და გადამზადების მოქნილი სისტემის არსებობა;
- მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების ბაზაზე შემუშავებული ტექნოლოგიების წარმოებაში ინტენსიურად დანერგვა;
- ინტელექტუალური დარგების (მეცნიერება, განათლება, ხელოვნება, ფინანსური, იურიდიული და სამედიცინო მომსახურება, მენეჯმენტი, მარკეტინგი, კონსალტინგი და სხვა.) დაჩქარებული განვითარება და მომსახურების სფეროს გადაქცევა შრომითი საქმიანობის ძირითად სფეროდ;
- საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების განვითარება, რის შედეგადაც გამოგონებებისა და სხვა ინოვაციების შესახებ ინფორმაცია სწრაფად ვრცელდება მთელს მსოფლიოში;
- მსოფლიო ბაზარზე, ცოდნის, როგორც სპეციფიკური სახეობის საქონლის ცენტრალური ადგილის დაკავება;
- ეკონომიკის ინფორმაციული სექტორის დაჩქარებული ტემპით განვითარება;

ინოვაციური საქმიანობა ეს არის მეცნიერებისა და წარმოების სფეროს დამაკავშირებელი რგოლი რომელიც ხელს უწყობს მათ ინტეგრაციას.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარება ცხადყოფს, რომ 150 ქვეყნიდან, რომლებიც ინოვაციური განვითარების გზაზე დგანან მხოლოდ 10-15 ქვეყანას შესაძლოა დაერქვას მაღალგანვითარებული. მხოლოდ 7-8 ქვეყანა შეიძლება მივაკუთვნოთ მაღალტექნოლოგიურ ქვეყანათა რიგს, რადგანაც ისინი ინარჩუნებენ პირველობას მაკროტექნოლოგიების წარმოებით. მათ წილად მოდის მსოფლიოში მეცნიერებატევადი პროდუქციის ბრუნვის 92% (აშშ-39%, იაპონია-30%, გერმანია-16%, ჩინეთი-6%). ექსპერტთა აზრით, 2010 წელს მეცნიერებატევადი პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე შეადგენს 3,5 ტრლნ. დოლარს. აქედან 1,2 ტრლნ. დოლარი მოდის ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე [4, 11. გვ].

ინოვაციური სტრატეგია წარმატებული ქვეყნების გამოცდილებისა და ცალკეული ქვეყნის ეროვნული თავისებურებით უნდა განხორციელდეს. უპირველესი მნიშვნელობა უპირატესად კერძო სექტორის ძალისხმევაზე და სახელმწიფო მხარდაჭერაზე აგებული ინოვაციური სტრატეგიის სინთეზური გამოცდილების გამოყენებას ენიჭება. პირველის მაგალითია „სილი-



კონის ხეობა“ აშშ-ში, რომელიც უახლოესი ინოვაციებით ამარაგებს მთელ მსოფლიოს. სწორედ აქ მოქმედი ინოვაციური ფირმების ფილიალები, ერთობლივი ფირმები ინდოეთში, ჩინეთში, აზიის სხვა ქვეყნებში ასტიმულირებს მათ დაჩქარებულ განვითარებას. მეორის მაგალითია ფინეთი, რომელიც ინოვაციური საქმიანობის ეფექტური სახელმწიფო მხარდაჭერის გზით წავიდა და ერთ-ერთ ყველაზე უფრო მაღალგანვითარებულ ქვეყანად გადაიქცა. [4, გვ. 46]

პრაქტიკა ნათელყოფს, რომ ინოვაციური სფეროს განვითარება ( მეცნიერება, ტექნოლოგიები, მეცნიერებატევადი დარგები) ქმნის ეკონომიკის განვითარების მყარ საფუძველს, განსაზღვრავს საზღვრებს ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის. ამიტომ ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება მსოფლიო ეკონომიკის ხანგრძლივი განვითარებისათვის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს.

იმისათვის რომ ქვეყანა ინოვაციური განვითარების გზას დაადგეს, მას მოუნევს ინოვაციური საქმიანობის გააქტიურება და შესაბამისი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის შექმნა. აუცილებელია ეროვნული მეურნეობის რეორგანიზება მეცნიერებატევადი წარმოების საფუძველზე, ამის შედეგად კი ქვეყანა შესძლებს თავისი პოზიციების გაძლიერებას მსოფლიო ბაზარზე. მეცნიერებატევადი პროდუქციის წილი მსოფლიო ბაზარზე ცალკეული ქვეყნების მიხედვით შემდეგია: რუსეთი-0.3%, აშშ-36%, იაპონია-30%, ჩინეთი-6%. [7, გვ. 194]

ინოვაციური საქმიანობისათვის პრიორიტეტულია ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება, რომელიც მოიცავს იმ ინსტიტუტთა ერთობლიობას, რომლებიც ახდენენ ახალი საწარმოო საშუალებებისა და ახალი ცოდნის ტრანსფორმაციას ახალ კონკურენტუნარიან საქონელსა და მომსახურებაში. ამ სისტემის მიზანია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფა წარმოების ორიეტაციის შეცვლის გზით. ნაცვლად ნედლეულის მოპოვებისა, გამოყენებისა და გადამუშავებისა, ცოდნით ცოდნის წარმოება და ინოვაციურ ეკონომიკაზე გადასვლა.

მესამე ათასწლეულის დასაწყისში ადამიანური და ტექნოლოგიური პროგრესი გახდა ეკონომიკის განვითარების მთავარი ფაქტორი. განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ წარმატებულია ის ქვეყნები, რომლებმაც კაპიტალის ინვესტირება მოახდინეს ადამიანში — ახალ ცოდნაში, განათლებაში, ახალ ტექნოლოგიაში და მოწყობილობებში, ორგანიზაციასა და მართვაში. განვითარებული ქვეყნების ინოვაციური პოლიტიკის დონის განსაზღვრა ხდება იმის მიხედვით თუ მრეწველობის დარგების ოთხი დონიდან რომელს ანიჭებენ ისინი პრიორიტეტს. ეს დონეებია:

- ნედლეულის მოპოვება და პირველადი გადამუშავება;
- ტრადიციული, მძიმე მრეწველობა;
- მაღალტექნოლოგიური მრეწველობის დარგი ( High Tech) – ინდუსტრია.

სწორედ მათ წილზე ამ ქვეყნებში მოდის მშპ-ის 70-90%. გლობალურ კონკურენციაში იმაჯვებენ ის ქვეყნები, რომლებიც სათანადო პირობებს ქმნიან ადამიანის განვითარებისათვის, მეცნიერული კვლევებისა და სამეცნიერო-ტექნოლოგიური პროგრესის განვითარებისათვის.

## დასკვნა

ინოვაციური ეკონომიკის ფორმირებისათვის მნიშვნელოვანია ინოვაციური სტრატეგიის ჩამოყალიბება, რომელიც წარმატებული ქვეყნების გამოცდილებისა და ცალკეული ქვეყნის ეროვნული თავისებურებებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

ინოვაციური საქმიანობისათვის პრიორიტეტულია ეროვნული ინოვაციური სისტემის ფორმირება. კომპანიები ვერ მოიპოვებენ წარმატებას გამძაფრებული კონკურენციული ბრძოლის პირობებში, თუკი დროულად არ შეიტანენ ინოვაციებს თავიანთ ტექნოლოგიურ პროცესში, არ მოახდენენ კომუნიკაციისა და მენეჯმენტის ოპტიმიზებას, კონკურენტებზე ადრე არ მოიპოვებენ ახალ გამოგონებებს. ინოვაციური საქმიანობა ხელს უწყობს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციას, გვევლინება რა მათ დამაკავშირებელ რგოლად.

გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ცალკეული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, პირველ რიგში, ტექნოლოგიური განვითარების დონით განისაზღვრება,

მისთვის მნიშვნელოვანი და პიორიტეტულია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება ვენჩურული ბიზნესის განვითარების საფუძველზე.

სახელმწიფოს, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ინდუსტრიის ერთიანი სტრაქტეგიით უნდა მოხდეს ვერნჩურული ფონდებისა და ინსტიტუტების შექმნა; ხელი უნდა შეეწყოს ინდუსტრიული, საწარმოო და ტექნო პარკებისა და ზონების, კლასტერების ჩამოყალიბება – განვითარებას, რომელთა რეალური ამოქმედება უზრუნველყოფს ინოვაციური ეკონომიკის გაფართოებასა და გლობალურ სივრცეში ცალკეულ სახელმწიფოთა კონკურენტუნარიანობისა და თვითმყოფადობის შენარჩუნებას.

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. თამაზ ჩიკვაიძე. ეკონომიკური გლობალიზაციისა და ინტეგრაციის ახალი პარადიგმა: არსი, პრობლემები, პერსპექტივები. ჟურნალი „კომერსანტი“ №2, 2007.
2. თამაზ ჩიკვაიძე. საქართველოს ინოვაციური უსაფრთხოების სტრატეგია XXI საუკუნისათვის. ჟურნალი „ინოვაცია“, 2003.
3. ლეო ჩიქავა. ინოვაციური ეკონომიკა. თბილისი, საგამომცემლო სახლი „სიახლე“, 2006
4. А. В. Барышева, К. В. Балдин, С. Н. Галдицкая, М. М. Ищенко, И. И. Передеряев. Инновации. Москва, 2006
5. П.Гулькин Прямые инвестиции и венчурный капитал <http://www.finic.ru/services/pryamyeinvesticici/>
6. Олег Киреев. Инновационная Экономика. <http://www.njp.ru/rongoen:innovation>
7. Н. Л. Маренков. Инноватика. Москва, 2008.
8. Indicators of Science and Technology, Tokyo. <http://www.oecd.org/findDocument/0,230,en-2469.html>.
9. <http://www.montteki.ru/>.
10. <http://www.cfin.ru/invest/venture.shtml>



## ლალი ჩაგელიშვილი

### ინოვაციური ეკონომიკა გლობალიზაციის პირობებში

#### რეზიუმე

გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ცალკეული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა, პირველ რიგში, ტექნოლოგიური განვითარების დონით განისაზღვრება, მისთვის მნიშვნელოვანი და პრიორიტეტულია ინოვაციური ეკონომიკის ფორმირება ვენჩერული ბიზნესის განვითარების საფუძველზე.

ნაშრომში ავტორს განხილული აქვს გლობალიზაციისა და ინოვაციური ეკონომიკის ასპექტები, მათი შედეგები და დასკვნის სახით მოცემულია რეკომენდაცია, ინოვაციური ეკონომიკის ხელშეწყობისათვის კლასტერიების ჩამოყალიბებაზე, სადაც წამყვანი კლასტერები, ვენჩერული ფონდები და საზოგადოებები იქნებიან.

**Lali Chagelishvili**

#### Innovative Economy Under the Conditions Of Globalization

##### Abstract

Under the conditions of globalization when the competitiveness of national economy of different countries, first of all, is defined by the level of technical development, formation of economy on the basis of vencher business development is obvious.

In the theme author describes aspects of globalization and innovative economy. She also gives recommendations and solutions for maintaining the creation of clusters where leading clusters will be vencher funds and companies.



# სოციალური და კუმანიტარული მეცნიერებები

## ნონა ახალაშვილი

### ლიდერის ფინანსი პოლიტიკურ ფინანსი

პოლიტიკურ ლიდერობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ლიდერობის ფსიქოლოგიაში. იგი არის სპეციალისტი თავისი შინაარსითა და მასშტაბური გამოვლინებისა და შედეგების მიხედვით. ლიდერი პოლიტიკაში არის ადამიანი, რომელიც ფლობს საკუთარი პიროვნების გარშემო ხალხის შემოკრების, პოლიტიკური პროცესის მონაწილეებში თავისი ავტორიტეტის აღიარების და ა.შ. უნარს. ნათელია, რომ პოლიტიკური ლიდერობის ინსტიტუტი პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს განვითარებული საზოგადოებისათვის. ნებისმიერი ცხოვრების მიერ მოვლენის მსგავსად, პოლიტიკურ ლიდერობასაც აქვს თავისი „ანატომია“, მათ შორის პიროვნულ-ფსიქოლოგიური.

საუკუნეების განმავლობაში პოლიტიკური ლიდერობის საკითხი განსხვავებული მსოფლმხედველობისა და სამეცნიერო ინტერესების მქონე მეცნიერთა ყურადღებას იქცევდა.

დიდი ისტორია აქვს ძალაუფლების ფენომენის ზოგადფილოსოფიურ განხილვას (კონფუცი, არისტოტელე, ეპიკურე, პოლიბიოსი, პლატონი). ანტიკური ხანის მოაზროვნენი ლიდერის როლის შესრულებაში უპირველესად მორალურსა და ნორმატიულ ასპექტებზე საუბრობდნენ. მათთვის პოლიტიკაში ლიდერის მონაწილეობა წარმოადგენდა ადამიანური ღირსების გამოვლენის უმაღლეს ფორმას. ჰეროდოტემ და პლუტარქემ პოლიტიკის სფეროში ლიდერებს დიდი ყურადღება დაუთმეს; მათ გმირები, მონარქები და მხედართმთავრები ისტორიის შემქმნელებად გამოიყვანეს.

ნ.მაკიაველი ყურადღების აქცენტირებას ახდენდა ლიდერის მიერ ძალაუფლების შენარჩუნების ტექნოლოგიებზე, სახელმწიფოს დიდებას ახასიათებდა როგორც იდეალს, რის გამოც პოლიტიკოსებმა უნდა გამოიყენონ ნებისმიერი ხერხი, არ იფიქრონ თავიანთი საქციელის მორალურ მხარეზე.

ძალაუფლებისადმი მისწრაფებას, როგორც საზოგადოებრივ მიმართებათა სისტემაში ადამიანის შესვლის შედეგს, აანალიზებდა ჟ.ჟ.რუსო. ი.კანტმა, თ. პარსონსმა, ფ. ნიცშემ ისტორიის მამოძრავებელ ძალად „ძალაუფლებისადმი ნებელობა“ – ანუ ლიდერების შემოქმედებითი ინსტინქტი გამოაცხადეს, რომელიც თავისი ზეადამიანური თვისებებით ბრძოს ინსტინქტს დაღვეს.

ეს მიდგომა ახლოა XIX ს-ის შუახანებისა და დასასრულის ევროპულ სოციალურ ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში ლიდერობის განმარტებასთან. გ. ლებონი, გ. თარდი, ვ. ვუნდტი პოლიტიკური ლიდერობის ფენომენის ბუნებას მიიჩნევდნენ ირაციონალურ ფენომენად, რომელიც აერთიანებს ლიდერებსა და მიმდევრებს. მასაზე ლიდერის პიპონტური ზემოქმედების იდეა გაიზიარა ზ. ფროიდმა. შედიოდა რა ლებონთან პოლემიკაში, იგი ამ ზემოქმედების წყაროებს ადამიანის მიერ ავტორიტეტისადმი დაქვემდებარების მოთხოვნილებაში ეძებდა.

პოლიტიკური ლიდერობის პრობლემა წარმოაგდენს ერთ-ერთ ძირითადს იმ რიგი სამეცნიერო დისციპლინებისათვის, რომლებიც შეისწავლიან საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებას. პოლიტიკური ლიდერობის კონცეფციები პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს.

კონცეფციათა პირველი ჯგუფის თანახმად, ლიდერობა უნივერსალურია და გამომდინარე აქედან, მისი ფუნქციონირების კანონები ერთიანია ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში. პოლიტიკური ლიდერობის ფენომენი განიხილება ერთ დონეზე ისეთ მოვლენებთან, როგორიცაა: ლიდერობა მცირე ჯგუფში, ლიდერობა საზოგადოების ეკონომიკურ, საწარმოო, კულტურულ ცხოვრებაში, ასევე რელიგიური, სულიერი ლიდერობა.



კონცეფციათა მეორე ჯგუფი პოლიტიკურ ლიდერობას განიხილავს ხელმძღვანელობისა და მართველობის იგივეობად. ძალაუფლების ფორმალური ფლობა აქ განიხილება, როგორც აუცილებელი და საკმარისი პირობა პოლიტიკური ლიდერობისათვის. პოლიტიკური ლიდერობის გამოვლენა, მისი ფუნქციონირება წარმოდგენილია, როგორც ადმინისტრაციულ -ორგანიზაციული სამუშაო.

მესამე ჯგუფი პოლიტიკურ ლიდერობას გვაწვდის, როგორც საზოგადოების უნიკალურ მოვლენას, რომელიც არ დაიყვანება ფსიქო-ფიზიოლოგიურ, ეკონომიკურ ან სამართლებრივ პრინციპებზე. აქ პოლიტიკური ლიდერობა განხილულია, როგორც ერთ-ერთი აუცილებელი პოლიტიკური ინსტიტუტი, რომელიც ფუნქციონირებს, როგორც კონკრეტული და განსაკუთრებული მექანიზმი.

ამ კონცეფციებიდან თითოეულის არსებობის მართლზომიერება ეჭვს არ იწვევს. სრულიად ნათელია, რომ პოლიტიკური ლიდერობის ფენომენისადმი კონცეფტუალური მიდგომების უკიდურესი დაპირისპირება და მისი ვიწრო განმარტება არ შეიძლება ნაყოფიერი იყოს. პოლიტიკური ლიდერობის შესწავლაში ძირითადი მიმართულებებია: ინსტიტუციური, სოციოლოგიური, კულტურული, ისტორიული და ფსიქოლოგიური.

პოლიტიკური ლიდერობისადმი ინსტიტუციური მიდგომა, რომელიც სათავეს იღებს სოციოლოგიაში, უპირატესად დაკავშირებულია ამ ფენომენის ფუნქციონალურ-პროცედურულ მახასიათებლებთან, პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და შენარჩუნების მექანიკასა და ტექნოლოგიებთან. პოლიტიკური ლიდერობა ძირითადად განიხილება, როგორც ფორმალური და არაფორმალური წესების, პრინციპების, ნორმების, განწყობების მდგრადი კომპლექსი, რომელიც არეგულირებს მოცემული ტიპის საქმიანობას. ინსტიტუციური მიდგომის თანახმად, მნიშვნელოვანია არა სოციალური წარმომავლობის ფაქტი (მაგალითად, ლიდერი-ინდივიდებისა), არამედ სოციალური სტატუსი. ამ კონტექსტში პოლიტიკური ლიდერობა წარმოადგენს მმართველობით სტატუსს, სოციალურ პოზიციას, დაკავშირებულს უფლებრივი გადაწყვეტილებების მიღებასთან.

ინსტიტუციური მიდგომა ლიდერობას განიხილავს, როგორც საზოგადოებრივ პროცესში ჩართულ მყარ ფუნქციონალურ სტრუქტურას რეალიზებულს როლთა ერთობლიობის გზით. ეს მხარს უჭერს სოციუმს ურთიერთქმედებაში. ამ მიდგომას შეესაბამება ფორმალური ლიდერობის ცნება, რომელიც წარმოადგენს განსაზღვრული სუბიექტის პრიორიტეტულ ზეგავლენას ორგანიზაციის (ერთობის) სხვა წევრებზე, განმტკიცებულს მის ნორმებსა და წესებში. ამ მიდგომაში იგრძნობა იურიდიული ტრადიციის შესამჩნევი ზეგავლენა. ეს უკანასკნელი ლიდერობას განმარტავს, როგორც კონსტიტუციურ – სამართლებრივ ინსტიტუტს.

საინტერესოა ასევე კულტუროლოგიური კონცეპციები. მათში პოლიტიკური ლიდერობის პრობლემა განიხილება საზოგადოების პოლიტიკური კულტურის ცვლილებების კონტექსტში. ასეთი მიდგომის ერთ-ერთი ავტორის, რ. ტაკერის, აზრით, მთლიანობაში კულტურა, როგორც გარკვეული ჩვევების ჯამი, შედარებით მუდმივია, მაგრამ შესაძლებელია შეიცვალოს ამა თუ იმ მიზეზით. პოლიტიკური კულტურა, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური ცხოვრების მიმართულებასა და ორიენტაციას, რთული და წინააღმდეგობრივია. ზოგჯერ ეს წინააღმდეგობები გადაულახავია. ასე აღმოცენდება ლიდერობის მოთხოვნილება: გარემოება იძენს მნიშვნელობას ადამიანთა რიგი ჯგუფებისათვის.

მცირე ჯგუფებში ლიდერობა, როგორც წესი, არაფორმალურია. დიდ ჯგუფებში არსებობს ლიდერობის ფორმალური სტრუქტურები. რომელიმე პრობლემურ სიტუაციაში, როცა ოფიციალური ლიდერი, სთავაზობს საკუთარ შეფასებებსა და ზომებს, ამას აკეთებს ვინმე მოქალაქე. თუკი ლიდერი, სთავაზობს რა არსებული მდგომარეობის შეცვლის გზას, მხარდაჭერას იღებს მოსახლეობაში, მაშინ აღმოცენდება საზოგადოებრივი მოძრაობა, რომლის საქმიანობის შედეგად შესაძლოა მოხდეს ცვლილება პოლიტიკურ კულტურაში. აქედან გამომდინარე, ტაკერის აზრით, ლიდერის როლი საზოგადოებრივი მოძრაობის ინიციაციაში, რასაც შეიძლება მოჰყვეს ისტორიის შეცვლა, უდიდესია.

პროდუქტულია სოციოლოგიური მიდგომის გამოყენებაც პრობლემის შესწავლაში. უპირველესად, ლიდერობა შეეხო იმ ელიტური საზოგადოების გამოკვლევას, რომელმაც, გარკვეულ-წილად, ხელი შეუწყო პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის მახასიათებელი ნიშან-თვისებების გამოვლენას, იმ ადამიანთა წრის მონიშვნას, საიდანაც გამოდიან ლიდერები სხვადასხვა

ქვეყნებში. მეორეც, განსხვავებული პრობლემის გასაგებად მნიშვნელოვანი გამოდგა პოლიტიკურ პარტიებში გადაწყვეტილების მიღების მექანიზმთან დაკავშირებული სოციოლოგიური ნაშრომები. სოციოლოგიური კუთხით თავიანთი გამოკვლევებით ლიდერობის ანალიზში წვლილი შეიტანეს რ. მაკენზიმ, რ. მიხელსმა, გ. მოსკიმ, ვ. პარეტომ, მ. ვებერმა და ა.შ. ამ უკანასკნელის ძალაუფლების ტიპოლოგია და ქარიზმის კონცეპცია დღესდღეობითაც კი არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

სოციოლოგია ძირითადად განიხილავს „ლიდერი-მიმდევარის“ ზოგად საკითხებს, როგორიცაა, მაგალითად „უპირატესად რომელი სოციალური ჯგუფებიდან წამოიწევიან პოლიტიკური ლიდერები მოცემულ საზოგადოებაში?“, „როგორ ზემოქმედებას ახდენს სოციალური გარემო პოლიტიკური ლიდერის ქცევაზე?“ სოციოლოგიური მიდგომა საშუალებას იძლევა თვალსაჩინო გახდეს პოლიტიკური ლიდერობისთვის დამახასიათებელი ნიშნები, როგორც თანამედროვეობაში, ასევე წარსულში.

არანაკლებ საინტერესოა ისტორიული მიდგომა. იგი გულისხმობს მოვლენების შესწავლას მათი აღმოცენების, ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში, აძლევს ორიენტაციას ისტორიული სიტუაციის, კონკრეტული ვითარების თავისებურებების შემცნებაზე, სადაც ცხოვრობდა და მოქმედებდა ესა თუ ის პოლიტიკური ლიდერი. ისტორიული მიმართულების კვლევის ობიექტი წარმოდგენილია ცნობილი ადამიანების პოლიტიკური კარიერის ისტორიით. მსგავსი გამოკვლევების სიუჟეტურ-შინაარსობრივი ნაწილი გამოირჩევა ბიოგრაფიული ხასიათის ისტორიული ფაქტების ანალიზით.

პოლიტიკური ფსიქოლოგია აგრძელებს ზემოჩამოთვლილი მეცნიერებების ტრადიციას. ის ასევე შეისწავლის პოლიტიკასაც, მაგრამ თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ პოლიტიკის კვლევა მიმდინარეობს ადამიანის ფსიქოლოგიის დახმარებით და პირიქით, განიხილება ადამიანის ფსიქიკაზე სოციალურ-პოლიტიკური ფაქტორების გავლენა. პოლიტიკური ფსიქოლოგიის საგანს ლიდერთა ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლა წარმოადგენს. ასევე ისიც, თუ რა გავლენას ახდენს ესა თუ ის ფსიქოლოგიური ნიშან-თვისებები ლიდერის პოლიტიკურ ქცევაზე. იგი ცდილობს ისეთ შეკითხვებზე გასცეს პასუხი, როგორიცაა: როგორი ტემპერამენტი უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ ლიდერს და რა ზემოქმედებას ახდენს იგი მის მიერ გადაწყვეტილების მიღებაზე; რა ფსიქოლოგიურ თვისებებს უნდა ფლობდეს ლიდერი, რომ არჩევნებში გაიმარჯვოს; როგორ უნდა მოხდეს ელექტორატის მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინება და სხვა.

პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური მიდგომის ერთ-ერთ დამფუძნებლად ითვლება ამერიკელი მკვლევარი გ.დ.ლასუელი, რომელიც ჩ. მირიამთან, ბ. სკინერთან და უ. უაიტთან ერთად წარმოადგენს ჩიკაგოს „პოლიტიკის ფსიქოლოგიურ სკოლას“.

პოლიტიკური ლიდერი დაკავებულია პოლიტიკური საქმიანობით. პოლიტიკური საქმიანობის სპეციფიკა განსხვავებულია. უპირველესად, ის მიმართულია ძალაუფლებაზე და უწყვეტ კავშირშია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარესთან, შეზღუდულია მხოლოდ კანონით, რომელიც განსაზღვრავს პოლიტიკური საქმიანობისა და პოლიტიკის სუბიექტების შესაძლებლობების დასაშვებ ფარგლებს.

ნებისმიერ საქმიანობაში, მათ შორის პოლიტიკურში, ჩართულია პიროვნება, რომელიც ფლობს როგორც თანმობილ, ასევე შეძენილ ინდივიდუალურ- ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. ამავე დროს მისი განვითარება ექვემდებარება ადამიანის ბუნების ზოგადფსიქოლოგიურ კანონებს. გარდა ამისა, პოლიტიკური ლიდერი ფლობს განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. გამომდინარე აქედან, მას აქვს განსხვავებული ფსიქოლოგიური მოტივაცია. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ლიდერების საქმიანობის ანალიზისას.

პოლიტიკური ლიდერის პიროვნების სტრუქტურის ფსიქოლოგიურ დონეს მიეკუთვნება: ნებისყოფა, გრძნობები, აღქმა, აზროვნება, შეგრძნებები, ემოციები, მეხსიერება. ეს მახასიათებლები ეფუძნება ადამიანის ბიოლოგიურსა და სოციალურ საწყისს და ატარებს ფსიქოფიზიოლოგიურ ხასიათს. მაგრამ ჭარბობს სოციალური მდგრენელი. საქმე ისაა, რომ ადამიანში ყველა ეს თვისება ჩადებულია ბუნებრივად, მაგრამ მათი განვითარების დონე დამოკიდებულია ადამიანის სოციალურ საქმიანობაზე: ადამიანი, თითქოსდა, სწავლობს ბუნებისგან მონიჭებული თვისებების გამოყენებას და ცხოვრების პროცესში სრულყოფს მათ.



პიროვნების სტრუქტურის სოციალურ დონეს განეკუთვნება ყოველივე ის, რაც პიროვნების მიერ შეძენილია აღზრდის, სწავლებისა და საქმიანობის, ანუ საზოგადოებასთან ურთიერთქმედების პროცესში. ეს არის გამოცდილება, რომელიც პიროვნების მიერ ათვისებულია ცოდნის, უნარების, ჩვევების, ჩვეულებების და ა.შ. სახით. პიროვნების სტრუქტურის ამ დონეს მიეკუთვნება „პიროვნების მიმართულება“, რომელიც აერთიანებს პიროვნების დამოკიდებულებებს, მორალურ თვისებებს, სხვადასხვა მოთხოვნილებებს, გამოვლენილს მის მორალურ ნიშან-თვისებებში. ამ ჯგუფში შემავალ პიროვნულ ელემენტებს არ აქვს უშუალოდ თანშობილი ხასიათი, წანამძღვრები, არამედ ინდივიდუალურად ასახავენ საზოგადოებრივ ცნობიერებას. ესენია მსოფლმხედველობა, რწმენა, იდეალები, მიდრეკილებები, ინტერესები, სურვილები, ლტოლვები და სხვა.

პიროვნების სტრუქტურის სოციალური დონე ბაზისია პოლიტიკური საქმიანობის მიმართულების განსაზღვრაში.

პოლიტიკური ლიდერის საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი კომპონენტია „მე-კონცეპცია“.

არსებობს „მე კონცეპციის“ ცნების სხვადასხვანაირი განსაზღვრება:

ა. ეს არის ის, რასაც მე ვფლობ;

ბ. ეს არის ის, როგორც უნდათ, რომ დამინახონ;

გ. ეს არის საკუთარ თავზე მიმართული განწყობების ერთობლიობა;

დ. ეს არის საკუთარი თავის აღქმის სისტემა.

თანამედროვე ფსიქოლოგია „მე-კონცეფციას“ განიხილავს, როგორც საკუთარ თავზე ადამიანის წარმოდგენათა განუმეორებელ დინამიკურ სისტემას, რომელშიც შედის ფიზიკური, ინტელექტუალური და სხვა ნიშან-თვისებების საკუთრივი გაცნობიერება, ასევე თვითშეფასება, და მოცემულ პიროვნებაზე ზემოქმედი გარეგანი ფაქტორების აღქმა. „მე-კონცეფცია“ მრავალასპექტიანია. დ. ოფერი და ჩ. სტროზაერი პოლიტიკოსის „მე“-ს განიხილავს, როგორც ურთიერთდაკავშირებულ ექვს ნაწილს, ესენია: ფიზიკური „მე“, სექსუალური „მე“, ოჯახური „მე“, სოციალური „მე“, ფსიქოლოგიური „მე“, კონფლიქტების დამძლევი „მე“. სხვაგვარად ეს დაყოფა წარმოდგენილია ამგვარად: „მე“-სულიერი, „მე“-სოციალური, „მე“-პროფესიული, „მე“-სხეულებრივი, „მე“-სექსუალური, „მე“-ოჯახური, „მე“-ემოციური.

ლიდერობის ბუნების გასაგებად აუცილებელია მისი სამივე კომპონენტის – პიროვნების, გარემოს და მათი ურთიერთექმედების – განხილვა.

ლიდერობის პიროვნული კომპონენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და წინა პლანზეა წამონეული მკვლევართა უმეტესობის მიერ, მაგრამ მისი ანალიზისადმი მიდგომა სხვადასხვაგვარია.

ლიდერობის პიროვნული კომპონენტის ფსიქოლოგიური მდგრენელების დახასიათებაში დიდი მნიშვნელობა აქვთ ფსიქოდინამიკურ ნიშან-თვისებებს. დავახასიათოთ ზოგიერთი:

1. იმპულსურობა-რეფლექსიურობა

ეს თვისება მიუთითებს საქმიანობის მაორიენტირებელი და აღმასრულებელი ნაწილების თანაფარდობაზე. იმპულსური პოლიტიკური ლიდერები არ ფლობენ ორიენტაციას, ისინი ნაუცბათევად იწყებენ საქმის შესრულებას, რომელიც ხშირად მცდარია საქმიანობის ამოცანისა და პირობების არაადეკვატურად აღქმის გამო. რეფლექსიური პოლიტიკოსები პირიქით: საქმიანობის დაწყებამდე აუცილებლად დეტალურად გაარკვევენ, რა და როგორ გააკეთონ.

2. პლასტიურობა-რიგიდულობა

პლასტიურობა დაკავშირებულია ერთი საქმიანობიდან მეორეზე, ერთი განწყობილებიდან მეორეზე გადართვის სისწრაფესთან; რიგიდულობა ხასიათდება ერთ რომელიმე განწყობაზე ან მოქმედებაზე ფიქსაციით, სწრაფად გადართვის შეუძლებლობით.

პოლიტიკურ ლიდერებში რიგიდულობა ასოცირდება პედანტურობასთან და პუნქტუალობასთან. მათ არ შეუძლიათ ახალი საქმის წამოწყება სანამ ძველს არ დაამთავრებენ. პლასტიური და რიგიდული პოლიტიკური ლიდერები, ასევე, განსხვავდებიან ურთიერთობის სტილითაც: პლასტიურები სწრაფად აყალიბებენ განსაზღვრულ პოლიტიკურ ურთიერთობებს, მაგრამ სწრაფადვე ცვლიან მათ, იმ დროს როდესაც, რიგიდულები მისდევენ თავიანთ სტერეოტიპებსა და ღირებულებებს, რომლებიც ვითარდება თანდათანობით ხანგრძლივი დროის მანძილზე და იცვლება ძნელად.

### 3. ექსტრავერტირებულობა-ინტროვერტირებულობა

ამ თავისებურებებით ხასიათდება პოლიტიკური ლიდერების გახსნილობა, გარშემომყოფებისადმი ნდობის ხარისხი და სხვა.

ექსტრავერტი ლიდერები თავიდანვე გულლიები და მიმნდობები არიან, ადვილად ამყარებენ ხალხთან კონტაქტებს. ურთიერთობაში ბარიერის არარსებობა მათ ხელს უწყობს კონფლიქტების გადალახვაში, ახალი კავშირების დამყარებაში. ინტროვერტი ლიდერებისათვის გარემოსთან ასეთი გულლია დამოკიდებულება უკიდურესად ძნელია. ჩაკეტილობა, მკაცრი ბარიერები ხელს უშლის მათ ურთიერთობაში; ახალ ადამიანებს, უცხო სიტუაციებს ისინი დიდი სიფრთხილით აღიქვამენ.

### 4. ექსტრაპუნიციურობა-ინტრაპუნიციურობა

იგი უკავშირდება რთული სიტუაციების შეფასებას, ფრუსტრაციაზე ან სხვა ბარიერებზე რეაქციებს. ექსტრაპუნიციური ადამიანები სიძნელების დროს ხშირად ეყრდნობიან შემთხვევითობას ან გარეშე ვითარებას, რომლებიც წარუმატებლობისას იქცევა მიზეზად. ექსტრაპუნიციურობა, როგორც წესი, ნაკლებდამახასიათებელია პოლიტიკური ლიდერებისათვის, რომლებიც უფრო მეტად საკუთარ თავს უნდა დაეყრდნონ და არა ეჭვებს, ამიტომ მათთვის დამახასიათებელია ექსტრაპუნიციურობის ალტერანტიული თვისება \_ ინტრაპუნიციურობა.

პოლიტიკური მოღვაწეობის პროცესში, სადაც ადგილი აქვს ცვლილებათა სიმრავლეს, ყალიბდება პიროვნული თავისებურებები, დამოკიდებული არა მხოლოდ ფსიქოდინამიკის ნიშან-თვისებებზე, არამედ იმ პირობების ელფერზე, სადაც მოქმედებს პოლიტიკური ლიდერი. ასე ვლინდება აგრესიულობა, დაკავშირებული ექსტრაპუნიციურობასთან, ან შფოთიანობა, აღმოცენებული ძირითადად ინტრაპუნიციურობის საფუძველზე.

### 5. ემოციურობა

ეს არის თვისება, რომელიც ახასიათებს ადამიანის ქცევის ემოციურ მხარეს და გამოვლინდება ემოციურ რეაქციებში. ემოციურ რეაქციას აქვს ზღურბლი და გამოხატულების ფორმა. ზღურბლი განსაზღვრავს ემოციური რეაქციის გამომწვევი სტიმულის სიდიდეს, რაც დაკავშირებულია ადამიანის ზოგიერთ პიროვნულ მახასიათებელთან. პოლიტიკურ ლიდერებს შორის გვხვდება ისეთებიც, რომელთათვისაც საკმარისია უმნიშვნელო საბაზი გასაბრაზებლად ან გასამხიარულებლად. ემოციური რეაქციის ფორმა ახასიათებს მისი გარეგანი გამოხატულების ხარისხს. ზოგიერთ პოლიტიკურ ლიდერს ემოციები „სახეზე ანერია“, ისინი ყველასთვის ნათელია; სხვებს „დაფარული“ აქვს და ძნელია იმის მიხვედრა, თუ როგორია მათი ემოციური მდგომარეობა. ფსიქოლოგები ფიქრობენ, რომ რაც უფრო დაბალია ემოციური რეაქციის ზღურბლი და ამ რეაქციის რაც უფრო დახშულ ფორმას ფლობს ადამიანი, მით უფრო ნაკლებად მართავს საკუთარ სტრესებს.

6. მიმდინარე (ბუნებრივად გაპირობებული) და კრისტალიზებული (კულტურული გარემოთი გაპირობებული) უნარ-შესაძლებლობები.

პოლიტიკური ლიდერები ფლობენ საკმაოდ განვითარებულ ზოგად უნარებს, რომლებიც არ არის პირდაპირ კავშირში პოლიტიკურ მოღვაწეობასთან, მაგრამ ხელს უწყობს მათ ავტორიტეტულობას. მაგალითად: კარგი მხედველობითი (ვიზუალური) მესსიერება, იუმორის გრძნობა, კონცენტრირებული ყურადღება, ცნობისმოყვარეობა და სხვა. ჩამოთვლილი პიროვნული ფსიქოდინამიკური ნიშან-თვისებების რეალიზაციასა და განვითარებას ხელს უწყობს გარემო.

პიროვნული თვისებებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მკავლევარმა პოლიტიკური ლიდერების განსხვავებული კლასიფიცირება მოახდინა. პოლიტიკურ მეცნიერებაში ყველაზე მეტად გავრცელებულია მ. ვებერის კლასიფიკაცია, სადაც გამოყოფილია:

„ტრადიციული ლიდერობა“ – დაფუძნებული ძალაუფლების მემკვიდრეობით გზით გადაცემის სინმინდეზე;

„რაციონალურ-ლეგალური ლიდერობა“, რომლის მიხედვითაც მთავარია ლიდერის არჩევის ფორმალური წესების კანონიერად დაცვა და მისთვის მმართველობითი ფუნქციების ამ გზით გადაცემა;

„ქარიზმატული ლიდერობა“ უკავშირდება ლიდერობის განსაკუთრებულ, ზებუნებრივ უნარებს, რომლისგანაც უნდა ველოდოთ სასწაულს;

„ლიდერი – ბელადი“, რომელიც ხასიათდება რეალობაზე საკუთარი შეხედულებით, სასურველი მომავლის მიღწევის გზებისა და საშუალებების ცოდნით;



„ლიდერი – მარიონეტი“ – აღიარებას აღწევს იმის ხარჯზე, რომ ზუსტად გამოხატავს საკუთარი მიმდევრების ინტერესებს;

„ლიდერი – კომივოიაჟერი“ – ფლობს დარწმუნების განსაკუთრებულ უნარს;

„ლიდერი – მეხანძრე“ – მას შეუძლია ექსტრემალურ პირობებში სწრაფი რეაგირება.

გარდა ამ კლასიფიკაციისა არსებობს პოლიტიკური ლიდერების თანამედროვე კლასიფიკირება, რომლის თანახმადაც გამოყოფილია ლიდერი თანამდებობის მიხედვით; ლიდერი „შემთხვევითი“ და „დანიშნული“; ლიდერი წარმატებული და ეფექტური.

ჩვენ აღარ შევჩერდებით სხვა კლასიფიკაციაზე, რადგან ეს შორს წაგვიყვანს და შეიძლება თემის სათაურსაც გავცდეთ, მაგრამ პოლიტიკურ-ფიქოლოგიური ცოდნა და კულტურა ნების-მიერი ადამიანისათვის, მიუხედავად მისი პროფესიისა, საჭიროა, რადგან ყოველი ჩვენგანი მუდმივ ურთიერთქმედებაში იმყოფება სხვა ადამიანებთან და სახელმწიფოსთან. პოლიტიკური ფიქოლოგია თანამედროვეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახდა, რადგან იგი ფლობს უნიკალურ ბალანსს პოლიტიკური ყოფისა და ადამიანთა ქცევის შინაგანი პოლიტიკური მოტივების კავშირების გასაგებად.

– ადამიანს სჭირდება იდეა, – წერდა XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისის გამოჩენილი სოციოლოგი მაქს ვებერი, – და თუ იდეა ჭეშმარიტია, მხოლოდ ამის წყალობით შეუძლია ადამიანს რაიმე სრულფასოვანის შექმნა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Argyle M. Psychology and Social Problems. Social Science Paperbacks SSP. 226
2. Ashour A. S. The contingency model of leadership effectiveness. Vol. 9
3. Bass B.M., Riggio R.E. Transformational leadership. -2-nd ed. 2006.
4. Фернхем А., Хейвен П. Личность и социальное поведение. СПб., 2006
5. Вебер М. Избранные произведения. М., 1990
6. Чалдини Р. Психология влияния. 3-е межд. изд. СПб., 1999

## ნონა ახალაშვილი

### ლიდერის ფენომენი პოლიტიკურ ფსიქოლოგიაში

#### რეზიუმე

პოლიტიკურ ლიდერობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ლიდერობის ფსიქოლოგიაში. იგი არის სპეციფიკური თავისი შინაარსითა და შედეგების მიხედვით. პოლიტიკური ლიდერი ფლობს საკუთარი პი-როვნების გარშემო ხალხის შემოკრების, პოლიტიკური პროცესის მონაწილეებში თავისი ავტორიტეტის აღიარების და ა.შ. უნარს. პოლიტიკური ლიდერობის ინსტიტუტი პოლიტიკური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს განვითარებული საზოგადოებისათვის.

მცირე ჯგუფებში ლიდერობა არაფორმალურია. დიდ ჯგუფებში არსებობს ლიდერობის ფორმალური სტრუქტურები.

პოლიტიკური ფსიქოლოგიის საგანს ლიდერთა ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლა წარმოადგენს. ასევე ისიც, თუ რა გავლენას ახდენს ესა თუ ის ფსიქოლოგიური ნიშან-თვისება ლიდერის პოლიტიკურ ქცევაზე.

პოლიტიკური ლიდერის საქმიანობაში უმნიშვნელოვანესი კომპონენტია „მე-კონცეპცია“.

პოლიტიკური ფსიქოლოგია თანამედროვეობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება გახდა, რადგან იგი ფლობს უნიკალურ ბალანსს პოლიტიკური ყოფისა და ადამიანთა ქცევის შინაგანი პოლიტიკური მოტივების კავშირების გასაგებად.

**Nona Axalashvili**

#### Phenomena of leader in political psychology

#### Abstract

Political leadership is integral part of leadership psychology, its specificity is defined by its content and results.

Political leader has power to combine people who are involved in political processes and make them think of him as authoritative leader.

Institute of political leadership is the integral part of political life for developed society.

In small groups, leadership is informal, and in big groups, it combines formal structures of leadership.

Purpose of political psychology is to study characteristics of leader psychology and the influence of psychological characteristics over the political behavior.

The main component in political leader's activity is "the I concept".

Nowadays political psychology is one of the prioritized branches as it maintains unique balance to realize cohesion between political behaviour and internal political motivations.





## თამარ ბარბაკაძე

### აკაკი წერეთელი და „ქართლის ჭირი“

აკაკი წერეთლის სამწერლო-სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილესთან დაკავშირებით, 1908 წელს, იაკობ გოგებაშვილი თავის წერილში „იალბუზი ქართული პოეზიისა (საიუბილეო დახასიათება)“ წერდა: „აკაკის მაღალი ბუნება იტევს თავის წიაღში არა ერთის კუთხეს ჩვენის სამშობლოისას, არამედ მთელს საქართველოს. აკაკი პატარა საქართველოა, მაგრამ ამ დიდებულს სახელს მარტო მას ვერ დავუსაკუთრებთ, რადგან თვით აკაკის სასიხარულოდ და ჩვენდა სანუგეშოდ, პატარა საქართველონი სხვანიც გვყავს: რუსთაველი, ილია, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა“ (გოგებაშვილი 1990: 150).

საუკუნეზე მეტი გავიდა ამ სიტყვების დაწერიდან და, საბედნიეროდ, აზრი აკაკისა და საქართველოს იგივეობაზე არ შეცვლილა ჩვენს სამშობლოში.

საგულისხმოა, რომ თვითონ აკაკიც, იაკობ გოგებაშვილის ზემოხსენებულ სიტყვებამდე 16 წლით ადრე, ბარათაშვილის ნატვრას: „მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი“ – წინასწარმეტყველებად მიიჩნევდა და ნიკოლოზ ბარათაშვილს უწოდებდა „წინამორბედს ჩვენი ახალი ცხოვრების განთიადისას“; აკაკი ასეთ შეფასებას აძლევდა პოეტს: „მგოსანი იყო უპირველესი მთესველი გონებრივი ნაყოფისა, არა მარტო ერთი კუთხისა, მთელი საქართველოსი“ (წერეთელი 1990: 34). მოგვიანებით გალაკტიონმა აღნიშნა: „თვით აკაკის პიროვნება ქართველების ბედის ნატეხად იცვნეს“ (ტაბიძე 1975: 65).

დიდი პოეტების მათსავე სამშობლოსთან გათანაბრების ტრადიცია მხოლოდ ქართული მოვლენა არ არის და მაინც, ჩვენთვის განსაკუთრებით მტკიცნეულია საქართველოს მიწის გარეშე დარჩენილი, უცხოეთში გარდაცვლილი პოეტის ხევდრი. ბარათაშვილის მშობელ მიწაში დაბრუნებაც ამიტომ იქცა განთიადად და გურამიშვილიც ასევე გოდებდა, წინასწარმეტყველურად, მოსალოდნელი უბედურების გამო:

გეაჯები, ნუ გამწირავ, მოკვედე, შენ კერძ დამმარხეო,  
ჯოჯოხეთში ნუ ჩამაგდებ, მიწყალობე სამოთხეო!

აკაკი წერეთელმა, ერთ-ერთმა პირველმა, შეაფასა და ზუსტად განსაზღვრა დავით გურამიშვილის ადგილი და მნიშვნელობა ქართული ვერსიფიკაციის ისტორიაში.

„დავითიანის“ 1881 წლის გამოცემას თავისებურად გამოეხმაურა აკაკი, რომელმაც 1881 წლის მარტში, თბილისში, ხოლო იმავე წლის აპრილში წაიკითხა თავისი ცნობილი სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“, მოგვიანებით კი, 1898 წ. იანვარში დაბეჭდა „კრებულში“, ილიასადმი პასუხის დართვით. აკაკი დავით გურამიშვილის რეფორმატორობას ქართული ლექსის განახლებისას ასე წარმოგვიდგენს: „...მრავალ საუკუნების განმავლობაში ქართველი პოეტები ისე ბრძანდ გატაცებული იყვნენ რუსთველისაგან, ისე ძლიერად დამონებული, რომ ვეღარც კი წარმოედგინათ, თუ კიდევ შეიძლებოდა სხვა გვარი ლექსის წერა, თუ არა თექვსმეტმარცვლოვან და ოთხტაეპიან შაირისა. მიღიოდნენ რუსთველისაგან ერთხელვე გათელილ გზაზე, უდგნენ კვალში, მაგრამ იმოდენი ფეხმარჯვობა არა ჰქონდათ და მათი მსვლელობა, შედარებით რუსთველის მსვლელობასთან, კოჭლობა იყო.

პირველი მწერალი, რომელმაც გადაარჩინა თავი ამ მონებას და საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა, იყო დავით გურამიშვილი. ჯერ ისიც დიდ ხანს მისდევდა რუსთველს, ბოლოს მიხვდა, რომ მაჩანჩალა იყო მისი და სხვა არაფერი და მაშინ კი თქვა: „რუსთველი სიბრძნის ზღვა არის, მას სხვა ვერ შეედრებაო“, იკადრა გადახვევა და დაიწყო იმგვარ ლექსების წერა, როგორიც არიან: მისი „ქაცვია მწყემსი“ და მისი სახალხო „ეო-მეო“-ები (წერეთელი 1990: 278).

დავით გურამიშვილის „ეო-მეოსა“ და აკაკი წერეთლის ამავე სათაურით 1884 წელს დაწერილ ლექსის შორის წათესაობა თვალსაჩინოდ ააშკარავებს ამ ორი დიდი ქართველი პოეტის სულის მოძრაობას: ორივე მათგანი სოფლისა და ზესთასოფლის საზღვარზე იმყოფება, გრძნობს საკუთარ პასუხისმგებლობას ღვთის წინაშე, ზნეობრივი ტვირთის სიმძიმეს კი ამსუბუქებს ჭეშმარიტების მორჩილებით:

„ეო, მეო, აქეთ მომხედეო,

რას მომითხრობს საყვარელი, ყური დაუგდეო!

არავინა არს უფროსი ღვთისგან უდიდეო,  
ღვთის სიტყვასა - კაცთა ძესა – სიტყვას მისმენდეო“.  
(„ნა. სიტყვა ღვთისა“, გურამიშვილი 1980: 161)  
„ჰეო, მეო! კაცო სამინეო!  
შენ თუ შენი დედა გიყვარს  
რად მაძულებ მეო  
ვინც მე მშობა და გამზარდა,  
რისთვის დამიგმეო?

.....

ნერგი რაზე გამიოხრე,  
ნედლი გამიხმეო?..  
ქრისტიანად თავს იჩენდი,  
სჯული კი დაგმეო!“  
(„ჰეო მეო“, წერეთელი 1988: 290)

დავით გურამიშვილი მიმართავს სიტყვას, რომელიც ქრისტეც არის და სატრიფოც; ღვთა-ებრივი მიჯნურობა სახისა და ხატის, შინაარსისა და ფორმის მიმართ აირევება პოეტის მოთქმა-გოდებაში ძვირფასი დანაკარგის, სამშობლოს მოშორების გამო. საყვარელი, მზე, სამშობლო „უსასყიდლო მარგალიტია“, ფასდაუდებელია. დატყვევებული, ხაროში ჩაგდებული პოეტი ვერ დაივიწყებს მზეს, რომლის ათინათი ანუგეშებს, აიმედებს, რომ მზეთა მზე – ქრისტეს მამა, მამა-ლმერთი არ მიატოვებს მას. პოეტი მზეს ეძებს თინათინის სახით:

„სახით იგავად სათქმელი მამა მზეთა-მზედ ითქოსა,  
ძე ღვთისა მხოლოდ \_ შობილი მზე სიმართლისა იქოსა;  
მისთვის საწუთროს მნათობმან მზემ თინათინი ირქოსა“.

(მამა – მზეთა-მზეა, ძე – კაცებრივი ბუნებისა, არის „მზე სიმართლისა“, ქვეყნის მანათობელი მზე კი – თინათინია).

თინათინი მზის გამონაშუქია: „სარკითა თუ მისთანათა რათამე მზის შუქი კედელზე ციალებდეს“ (საბა). მოციმციმე ნათელს დავით გურამიშვილი ასე ხსნის: „სარკის მზის შუქის ციალ-სა უნოდენ ქართველთ ერია“. ამ თინათინის, მზის ციალით არის ავსებული პოეტის სახლ-კარი, ჭერი და კედლები, მისი მეშვეობით ნათდება სული, ხორციელი კი მას ვერ მოიხელთებს.

„საწუთროს მზის თინათინი მოგითხრა რაცა ფერია:  
სარკის მზის შუქით ციალსა უნოდენ ქართველთ ერია,  
ვერას ხორციელს სულფგმულსა ბჭალში ვერ დაუჭერია,  
მე თინათინით მინათობს სახლთ კედელ-ყურე, ჭერია“.

1885 წელს აკაკი წერს ლექსს, რომელსაც „გამოცანა“ ჰქვია და შეკითხვის პასუხი პოეტია, რომელიც ასე წარმოგვიდგენს თავს:

„მამად მზე მყავს, დედად \_ მთვარე,  
ვარსკვლავები წვრილ და-ძმადა  
.....  
ვინც რომ მიყვარს, ის ხომ მიყვარს;  
ისიც მიყვარს, ვინც რომ კი მძულს!  
მნარე ენას ვამსახურებ  
გაწმენდილს და მარად ტკბილ გულს“.  
(წერეთელი 1988: 291)



პოეტი - მესარქე, პოეტის გული - სარკე, მასში არეკლილი წუთისოფელი, რომელსაც ცა დაჰყურებს და თავის გულ-მკერდზე იწერს ადამიანთა ნამოქმედარს; მერე კი პოეტის ჩანგურს ანდობს სათქმელად, რომელსაც შეუძლია, ორხმოვანება მიანიჭოს სიტყვებს: საღმრთო და საერო. აკაკიმ იცის „ორ-აზროვანი, ორ-კილო, ერთის ხმით გამომეტყველ“ ლექსის საიდუმლოს, იგავის ახსნა:

„საამქვეყნო ზარია,  
საიმქვეყნო ზევსური“.  
(„გედი“, 1891. წერეთელი 1988: 840)

სწორედ ეს „ორ-აზროვანი, ორ-კილო“, „საამქვეყნო ზარი“ და „საიმქვეყნო ზევსურის“ ფონზე ვკითხულობ „განთიადს“, რომელიც აკაკიმ 1892 წელს დაწერა და, ერთდროულად, ქართველებს ნიკოლოზ ბარათაშვილიც აგულისხმებინა მის ადრესატად და დიმიტრი ყიფიანიც. არგუმენტები ორივეს მომხრებს უამრავი ჰქონდათ მაშინაც და ამჟამადაც, თუმცა ნაკლებად უნევენ ანგარიშს თვითონ აკაკის, მგოსანს, – „უპირველეს მთესველს გონებრივი ნაყოფისა, რომელიც მთელი საქართველოა, პატარა საქართველო“, ანუ მთლიანია, განუყოფელია, და, ამდენად, მისი ლექსიც სიმბოლოა, ნიშანია ზოგადისა, მთლიანისა და არა ალეგორია, ერთის, კონკრეტულის აღმნიშვნელი.

აკაკის „განთიადი“, ალბათ, იმ „კეთილგონიერი რეალიზმის ნიმუში უნდა იყოს, რომლის მიხედვითაც, მწერალი არის დემიურგი, ერთგვარი მაორგანიზებელი ძალა, აქტიური მონაწილე ქმნადობის პროცესისა; ამავდროულად, ის ამტკიცებს, რომ მან მიაღწია დახვეწილ სინთეზს ისეთ აბსტრაქციებს შორის, როგორიც არის წარმოდგენა და სინამდვილე“ (ელბაქიძე 2010: 45).

ლექსის საუკეთესო სტრიქონები:

„ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტო  
ჩემო სამშობლო მხარეო...“

სწორედ კონკრეტულისა და აპსტრაქტულის შეყრის ზღვარზეა დახატული ბგერნერის მეშვეობით, სარკისებური ანუ კონგრუენტული მიმართებით არის გადმოცემული ცისა და მინის განუყოფელი კავშირი: ცის ფირუზი სხვა არაფერია, თუ არა მასში არეკლილი ხმელეთის ზურმუხტი: რუზ - ზურ სამი ბგერის იდენტურობა იმ სამი ბგერით შედგენილ სიტყვას ამოატივ-ტივებს: მზე რომ ჰქვია; გურამიშვილის მზეთამზის სახის ალიტერაციულ ანალოგიად ვგულისხმობ აკაკის „ცა – ფირუზ, ხმელეთ – ზურმუხტს“. ორივე პოეტი კი „ქართლის ჭირისა“ და მისთვის, მის გამო ზვარაკად ქცეული, ნებაყოფლობითი მსხვერპლის სახეებად წარმოგვიდგება. „განთიადი“ კი სიმბოლოა „გიურად“, „ცეტურად“ თავგანწირული გმირებისა, ასე ძალიან რომ ჰგვანან პოეტებს.

„განთიადის“ „ცისკრის ვარსკვლავი“ 1890 წელს გამოჩნდა აკაკის ლექსში „მუშები“:

„ცისკრის ვარსკვლავიც კაშკაშობს -  
ის ხომ თვით უფლის თვალია!“  
(წერეთელი 1988: 334)

ასევე მოიაზრებს და იცნობს მას დავით გურამიშვილიც ლექსში „ოდეს დავითს ტყვეობასა შინა სციოდა“ მე-8 სტროფში, როდესაც ღვთის თვალს ასე ევედრება:

„განთიადისა ვარსკვლავო, მის მზეთა მზისა მთიებო,  
ვიკარგვი ბნელის ღამითა, ღღევ რად არ მომიძიებო!  
განმიადვილე გზასა სვლა, შორად ნუ განმიძიებო  
და თინათინითაც განმათბე, ყინვით ნუ განმიციებო“.

ამავე შინაარსის ლოცვა იკითხება „განთიადის“ სტრიქონებში:

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,  
ზე კალთა დამაფარეო...“

სწორედ „ცისკრის ვარსკვლავია“ ის მნათობი, რომელიც "სხივებს მაღლით ჰავდა-დებულის საფლავსა". ლექსის პირველი-სამი სტროფის პირველი ტაეპები "მთაწმინდას" ეთმობა. „მთაწმინდა ჩაფიქრებულა“, „დადუმებულა მთაწმინდა“, „მთაწმინდა გულში იხუტებს“, მხოლოდ IV სტროფში ჩნდება მგოსანი თავისი ანდერძით, რომლის პირველი ტაეპია სწორედ გაბრწყინებული ზეცისა და ხმელეთის ერთიანობის ამსახველი, მათი გამაერთიანებელი სარკი-სებური: რუზ - ზურ. საგულისხმოა, რომ ციური ფირუზი და ხმელეთის ზურმუხტი უმნიშვნელოვანესი ფერებია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსისა „არ უკიშინო სატრფოო“, რომლის სტროფითაც

„მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი,  
განთიადისა მორბედი,  
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდეს  
ტყეთა ფრინველი და ვარდი.  
მინდა მზე ვიყო, რომ სხივი  
ჩემსა გარემოს მოვავლო,  
სალამოს მიტომ ჩავიდე,  
რომ დილა უფრო ვაცხოვლო“.

დაიწყო აკაკიმ თავისი სიტყვა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაკრძალვაზე.

საინტერესოა, რომ „ციური ცვარი“, „შესაბამისად, „ცისფერი“, „მერანის“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“ და ზემოხსენებული ლექსის მიხედვით, ქალს მიემართება: „მერანში“ - ცრემლს აღნიშნავს, ხოლო „არ უკიშინო, სატრფოსა“ და „შემოღამებაში“ მას მაცოცხელებელ ნამად წარმოგვიდგენს. სწორედ ცისფერი, ციური ცვარი აცოცხლებს შავარნოს - დამჭკნარ მდელოს, აკაკის ლექსებშიც რომ ხშირად გვხვდება.

„ლექსა აქვს თავის კანონები და თავისი საიდუმლო!“ (წერეთელი 1988: 592) – გვაფრთხილებს აკაკი 1908 წელს, ლექსში, რომელსაც „მოლექს“ ჰქვია. მგოსნისათვის პოეტიკის საკითხებიც კარგად არის ცნობილი და ზეციური იდეალებიც: „ზეციური იდეალი გადმომქონდა ქვეყნიურში“ („გამოფხიზლება“) (წერეთელი 1988: 641).

აკაკი ბაქრაძე წერს: „როცა აკაკი წერეთელმა ღრმად ჩაიხედა ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ყველაფერი შეისწავლა, გააანალიზა და ასწონ-დასწონა, მან ცხადლით დაინახა სნეული საქართველო და შექმნა კიდეც მისი მხატვრული სახე.“

ეს იყო თავისუფლებადაკარგული, ეროვნულად დამონებული ქვეყნის ავადმყოფობა“ (ბაქრაძე 1991: 292-293).

საქართველოს ავადმყოფობას სახელწოდებად „ქართლის ჭირი“ დაარქვა დავით გურამიშვილმა, რომელიც, საუბედუროდ, ემსხვერპლა კიდეც ამ სნეულებას: სამშობლოს მიწასა და, შესაბამისად, განთიადსაც ვერ ეღირსა.

აკაკის „განთიადის“ მიხედვით, „ცისკრის ვარსკვლავსა“ და მთაწმინდას შორის ღვთიური სხივების სინათლე ქათქათებს, შარავანდედად მდგარი ქვეყნისათვის შეწირულის საფლავზე. აკაკის პოეზიაში, მგოსნის სიცოცხლის მიწურულს, მკვეთრად უპირისპირდება ერთმანეთს „შავ-ბედითი“ ვარსკვლავი - ბედისწერა და ცისკრის ვარსკვლავი - ბრწყინვალე და ნათელი დღის დასაწყისი:

„მაშ, დღეს რაღა? რისთვის გაურბი  
შავ-ბედით ვარსკვლავს... ჩემს ბედისწერას?..  
და რად ვშორდები თვალცრემლიანი  
სამშობლო აკვანს... შინაურ კერას?“



მისთვის, რომ მაინც მიყვარს და მიყვარს!  
არ მინდა გაქრეს ეს სიყვარული!..  
მსურს თაყვანს ვსცემდე, ვით ცისკრის ვარსკვლავს  
მისის სხივებით შორს მოხიბლული“.

ზეციური საქართველო - ცისკრის ვარსკვლავი – ამქვეყნად ციცინათელას სახით ევლინება პოეტის შთაგონებას.

დავით გურამიშვილისა და აკაკი წერეთლის საერთო სათქმელი ჟღერს ამ სიტყვებში:

„მე სულ ყოველთვის შენი ვარ, თუ შენ გინდოდეო;  
ვარ ჭირნანახი შენზედა, თორემ რას დაგდეო“.  
(გურამიშვილი 1980: 161)

მართებულად შენიშნავს დავით წერედიანი, როდესაც აკაკის ლირიკისა და, საერთოდ, ლირიკის რეალიზმის სათუოობაზე საუბრობს და მიიჩნევს, რომ „აკაკი წერეთელი თავის ლირიკაში, არა საჭირო საკითხებზე დაწერილ მეორეხარისხოვან ლექსებში, რომელთაც მაღალი პოეზიის მოთხოვნას არც თვითონ უყენებდა, არამედ წმინდა ლირიკაში, არ არის და არც ცდილობს იყოს რეალისტი. „განთიადი“ და „სულიკო“ გაცილებით მეტ პირობითობას შეიცავს, ვიდრე „შემოღამება მთანმინდაზედ“ და „საღამო გამოსალმებისა“ (წერედიანი 2002: 135).

სავსებით ვეთანხმებით და ვიზიარებთ დავით წერედიანის აზრს აკაკის პოეზიაში ძნელად-გასაგები კომპრომისების თაობაზე, ანუ, როდესაც პოეტი ცდილობდა, თავისი შედევრები ხშირად ლოგიკურობისა და „საზოგადოებრივად სასარგებლო საქმის“ მარწუხებში მოექცია მაშინ, როდესაც ლექსს „პირწმინდად ღვთის ბოძებული ლირიკული იმპულსით“ იწყებდა. კონკრეტულად, ამ აზრს ცნობილი მკვლევარი აკაკის „ციცინათელას“ თაობაზე გამოთქვამს, რომელიც სასიმღეროდ, სწორედ ამ პირველი სტროფის გამო გადაიქცა და არა ფუტკრისა და აბრეშუმის ჭიის გამო.

...აკაკის მიერ ზემოაღნიშნული „ლექსის საიდუმლო“, „თავის კანონებთან“ არის შერწყმული და აკაკის ლექსის უმთავრესი კანონი სტრიქონის მელოდიურობაა, რომელიც, კონკრეტულად, „განთიადში“ დაბალი შაირით (5/3) ამღერებული სტრიქონებით გამოიხატა: „8 მარცვლოვანი ლექსი, გარდა იმისა, რომ მსუბუქია და ელასტიური, არის ნამდვილი ქართული წყობა“, – აღნიშნავდა გალაკტიონი (გალაკტიონი 1975: 177). „ისეთი ლექსი, რომელსაც ჩვენში შაირს ეძნიან, სულ ოთხი სტრიქონისაგან შედგება, მაქსიმალურად კი არის შეკუმშული კონდენსაციაქ-მნილი ლირებულება. სულ ოთხ სტრიქონშია მოთავსებული ის, რასაც სხვა ვერ გადმოსცემს მთელ პოემაში“ (გალაკტიონი 1975: 312), – ასე ფიქრობდა გალაკტიონი იმ სალექსო ფორმაზე, რითაც არის შექმნილი „განთიადი“, „ქართლის ჭირით“ დასწეულებული მგოსნის შედევრი.

აკაკი მგოსანი იყო და ამ სახელს თვითონაც სიამოვნებით წარმოთქვამდა საკუთარი თავის დახასიათებისას. არტურ ლაისტი იგონებს, თუ როგორ შეხვდა აკაკის იგი 80-იანი წლების ქუთაისში და თბილისის ქუჩაზე როგორ ესალმებოდნენ პოეტს ტურფა ასულები: „ბედნიერი კაცი ხართ! - ვუთხარი მე.

ისინი მგოსანს აძლევენ საღამს და არა მე, - ღიმილით შენიშნა აკაკიმ და განაგრძო ამწვანებული სამშობლოს ქება.

დიახ, ის გახლდათ ჭეშმარიტი მგოსანი!..“ - დაასკვნის არტურ ლაისტი (ლაისტი 1991: 346).

„განთიადის“ შედევრად ქცევა ლექსის მეორე ნაწილმა განაპირობა, რომელიც სწორედ სწეული მგოსნის გულის-პასუხია, მისი ანდერძია:

„ნურც მკვდარს გამწირავ, ნურც ცოცხალს,  
ზე-კალთა დამაფარეო!..“

„აკაკი პატარა საქართველოა“ და ეს ლექსიც ამიტომ იქცა ანდერძად დაწერის დღიდან ყველა ქართველისათვის. გალაკტიონი აკაკი წერეთლისადმი მიძღვნილ პოემაში წერდა:

და აკაკიც მწარედ სწუხდა,  
გამოძახილებით ჰქუხდა  
მის სიმღერით – საქართველოს  
ცა - ფირუზად, მთა - ზურმუხტად.

სამი წლის მერე, 1895 წელს კი აკაკიმ „სულიკო“ დაუწერა საქართველოს და დაკარგულის ძებნის მარადიული სურვილით აღავსო მისი ლირიკის მცითხველი.

„განთიადის“ ცისკრის ვარსკვლავის სინათლე იმედსა და მხნეობას მატებს „სულიკოს“ მგოსანს და მარადიული დიალოგი სოფელსა და ზესთასოფელს შორის კვლავ გრძელდება:

დაგვქათქათებდა ვარსკვლავი,  
სხივები გადმოსულიყო;  
მას შევეკითხე შეფრქვევით:  
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?!”

#### **გამოყენებული ლიტერატურა:**

ბაქრაძე 1991: ბაქრაძე ა.კ. ბედი ქართლისა და აკაკი წერეთელი. - „აკაკის სამრეკლო“. თბ.: „განათლება“, 1991.

გოგებაშვილი 1990: გოგებაშვილი ი. რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად. ტ. II, თბ.: „განათლება“, 1990.

გურამიშვილი 1980: გურამიშვილი დ. თხზულებათა სრული კრებული. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1980.

ელბაქიძე 2010: ელბაქიძე მ. კეთილსინდისიერი და კეთილგონიერი რეალიზმი. - IV საერთაშორსიო სიმპოზიუმი: ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები (თემისები). თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2010.

ლაისტი 1991: ლაისტი ა. აკაკი წერეთელი. - „აკაკის სამრეკლო“. თბ.: „განათლება“, 1991.

მელიქიშვილი 2009: მელიქიშვილი ი. პალინდრომი გალაკტიონთან. - ლექსმცოდნეობა, II, თბ.: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

ტაბიძე 1975: ტაბიძე გ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. XII, თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1975.

წერეთელი 1988: წერეთელი ა. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. I. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1988:

წერეთელი 1990: წერეთელი ა. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტ. IV, V. თბ.: „საბჭოთა საქართველო“, 1990:

წერედიანი 2002: წერედიანი დ. ცოტა რამ აკაკის ლირიკაზე. ალმანახი „ლიტერატურა და სხვა“, № 4. თბ.: თსუ, 2002.



## თამარ ბარბაქაძე

### აკაკი წერეთელი და „ქართლის ჭირი“

#### რეზიუმე

აკაკი წერეთელმა ზუსტად განსაზღვრა დავით გურამიშვილის ადგილი და მნიშვნელობა ქართული ვერსიფიკაციის ისტორიაში.

აკაკი წერეთლისა და დავით გურამიშვილის პოეზიას ერთმანეთთან ანათესავებს საგალობლების, ლოცვების, ჰიმნების ინტონაციური და რიტმული წყობა, მელოდიურობა, ალიტერაცია.

„ქართლის ჭირმა“ განსაზღვრა დავით გურამიშვილის გოდება და მისი ვედრება: „...გეაჯები, ნუ გამწირავ, მოვკვდე, შენ კერძ დამმარხეო!“ ეს სიტყვები ექლდ გაისმის აკაკის "განთიადში: „...შენს მიწას მიმაბარეო!“, „მზეთამზის სახის“ ალიტერაციულ ანალოგიად გვესახება „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხ-ტო“. წყვილში: ფირუზ-ზურმუხტო, სარკისებურად არეკლილი ბგერების მეშვეობით, კონგრუენტული ანუ სარკისებური მიმართებით გადმოცემულია ცისა და მიწის განუყოფელი კავშირი.

დავით გურამიშვილის პოეზიაში „ათინათი“ // „თინათინი“ მზის გამონაშუქია, როგორც განთიადის ვარსკვლავს მოჰყვება („მზემ თინათინი ორქოსა“). თინათინი მზის მოციმულება ნათელია, ისევე როგორც აკაკის „ციცინათელა“. ამ ნათლის ესთეტიკით კი თანაბრად არის ავსებული აკაკისა და დავით გურამიშვილის პოეზია: სამშობლოს, ლმერთთან და სატრფოსთან წილნაყარი.

**Tamar Barbakadze**

### Akaki Tsereteli and “Kartlis Chiri” ("The Misfortunes of Georgia")

#### Abstract

Akaki Tsereteli precisely defined the place and meaning of David Guramishvili in the history of Georgian versification.

The poetry of Akaki Tsereteli and David Guramishvili has much in common when it concerns the chants, prays, intonational and rhythmic structure of the hymns, melody, alliteration.

“The Misfortunes of Georgia” determine David Guramishvili’s lament and his entreaty: “...Please, have pity on me! When I die, bury me on my native land”. These words resonate with Akaki’s “Gantiadi” (The Dawn): “...Let me be buried in a grave/upon on your bosom, native strand!” The alliteration analogy for the *mzetamzis saxe* (“beautiful as the sun”) seems to be: *ca-firuz, xmelet-zurmuxto* (“O azure sky, O emerald earth”). In a pair: *firuz-zurmuxto* (azure-emerald), the indivisible link between the sky and the earth is rendered with congruent or mirror relation, by means of mirror reflection of the sounds.

In David Guramishvili’s poetry *Atinati // Tinatini* is a ray of sunlight as it follows the morning star (“The sun takes the name of Tinatini”). Tinatini is a sparkling light of the sun as Akaki’s *Tsitsinatela* is. The poetry of both Akaki Tsereteli and David Guramishvili is saturated with the aesthetics of this light: equal to motherland, God and one’s love.



## ნაციონალური გენოსობის ფინანსურიზაციის მახასიათებლები

### გენოსობის ფინანსურიზაციის მახასიათებლები

გენოსობის პრობლემისადმი განსხვავებული მიდგომები ანტიკური სამყაროდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ არის ტოტელეს და პლატონის დროს, ფილოსოფოსები ცდილობდნენ აეხ-სნათ თუ რა იყო გენიალობა და როგორ შეიძლებოდა მისი ახსნა. მკვლევართა ნაწილი მას ღვთის საჩუქრად მიიჩნევდა, ნაწილი თვლიდა, რომ ეს იყო ღვთის სასჯელი. მედიკოსები ფიქ-რობდნენ, რომ გენიოსობა ზოგიერთ ჯირკვლებში გარკვეული ჰირმონების მაღალი დონით იყო განსაზღვრული, ხოლო გენეტიკოსები გენიოსობას გენეტიკურ მუტაციად მიიჩნევდნენ. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მკვლევარები ერთ საკითხში თანხმდებოდნენ, რომ გენიო-სებად იბადებიან. გენიოსად გახდომა შეუძლებელია, ვინაიდან ეს არც პროფესია და არც ჰობი. უფრო სწორად, გენია, ეს არის უდიდესი შემოქმედებითი ნიჭიერება, რომელიც განვითარების შესაძლებლობის შემთხვევაში, აუცილებლად, ყოველ შემთხვევაში, უმეტესწილად, იქცევა გე-ნიოსად.

ტრადიციულად მეორე თვალსაზრისს, რომ გენიალობა, ეს არის ავადმყოფობა და სასჯე-ლი, უკავშირებენ ცნობილი იტალიელი ფსიქიატრის ჩეზარე ლომბროზოს სახელს[2]. მართა-ლია, თავად ლომბროზო არასოდეს პირდაპირ არ ამტკიცებდა, რომ გენიალობასა და სიგიურე შორის პირდაპირი კავშირი არსებობს, მაგრამ მის მიერ მოპოვებული ემპირიული მასალა ამაზე მეტყველებს. ლომბროზო გენიოსებს ახასიათებს, როგორც მარტოსულებს, ოჯახური და საზო-გადოებრივი ვალდებულებებისადმი გულგრილებს, ავადმყოფურად მგრძნობიარებს, აქტიუ-რობის მკვეთრი ცვალებადობით, ჰიპერმეტაბიარებს სოციალური დასჯისა და წახალისე-ბისადმი, შიდა ქალის მაღალი წნევით, ტვინის დაავადებებისადმი მიდრეკილებით, სუსტი მგრძნობელობით სიცივისა და შიმშილისადმი და ა.შ. საინტერესო მონაცემები მოჰყვას ავ-ტორს: იტალიაში მცხოვრებ ებრაელ-აშენაზების პოპულაციაში გაცილებით მეტი სულით ავადმყოფია, ვიდრე თავად იტალიელებში, თუმცა პირველში, უფრო მეტი ნიჭიერი ადამიანი-ცაა. შედეგად, ავტორს ასეთი დასკვნა გამოაქვს: ერთ ადამიანში შეიძლება არსებობდეს რო-გორც გენიოსობა, ასევე სიგიურე[2].

სულიერად დაავადებულ გენიოსთა რიცხვი უსასრულოა. ეპილეფსიით დაავადებულნი იყ-ვნენ: პეტრარკა, მოლიერი, ფლობერი, დოსტოევსკი, რომ ალარაფერი ვთქვათ ალექსანდრე მა-კედონელზე, ნაპოლეონსა და იულიუს ცეზარზე. მელანქოლიკები იყვნენ რუსო, შატობრიანი, ფსიქოპათები ჯორჯ სანდი, მიქელანჯელო, ბაირონი, გოეთე და სხვ. ჰალუცინაციები სჭირდათ ბაირონს, გონჩაროვს და მრავალ სხვას.

ჰიპოთეზა „გენიოსი-შეშლილი“ დღესაც აქტუალურია[3]. დ.კარლსონი თვლის, რომ გენი-ოსი, ეს არის შიზოფრენის რეცესიული გენის მატარებელი. ჰიმოზიგოტურ მდგომარეობაში გენი თავს იჩენს ავადმყოფობის სახით. მაგ. გენიალური აინშტაინის შვილი შიზოფრენიით იყო ავად. ამავე სიაში იყვნენ დეკარტე, პასკალი, ნიუტონი, ფარადეი, პლატონი, კანტი, ემერსონი, სპენსერი, ჯემსი და სხვ.

ჩნდება კითხვა: გენიალობასა და ფსიქიკურ გადახრებზე წარმოდგენას საფუძვლად ხომ არ უდევს აღქმის ილუზია: ტალანტი გამორჩეულია და მისი პიროვნული თვისებებიც სახეზეა. იქნებ სულიერად ავადმყოფი ადამიანების რაოდენობა „საშუალო“ მასაშიც იგივეა, როგორიც გენიოსებში? მართლაც ტ.საიმონტონმა იკვლია ეს პრობლემა და დაასკვნა, რომ გენიოსებში სულიერად ავადმყოფი ადამიანების რაოდენობა იგივეა(10%), რაც ჩვეულებრივ ადამიანებში.

დოქტორმა სეგალინმა გამოიკვლია ბევრი ცნობილი ადამიანის, მათ შორის გოეთეს, ბაი-რონის, ბალზაკის, შუმანის, ბახის, ტოლსტოის, დოსტოევსკის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის და სხვ. ნინაპართა გენეალოგიური შტო და ავადმყოფობები. მიუხედავად მისია, რომ მის მიერ შედ-გენილი გენიოსთა სიაც და გამოტანილი დასკვნებიც, საკმაოდ შთამბეჭდავია, ბევრი სპეცია-ლისტი მათ მაინც სკეპტიკურად უყურებს. ყოველ შემთხვევაში, გენიალობასა და ფსიქიკურ აშ-ლილობას შორის, პირდაპირ და მით უმეტეს, საფუძვლიან კავშირს ვერ ხედავენ.

აზრი, რომ ყველა გენიოსს აუცილებლად ფსიქიკური გადახრა უნდა ჰქონდეს, რბილად რომ ვთქვათ, არასწორია[3]. ბუნებრივია, რთული არ არის იმ დიდი ადამიანების ჩამოთვლა, ვი-



საც მსგავსი პრობლემები ჰქონდა, მაგრამ ასევე ძალზე დიდია მსგავსი გადახრების არმქონე გენიოსების რაოდენობაც. მაგ.სპინოზა, ბეკონი, დანტე, ვოლტერი, შექსპირი, შოპენი, რახმანინოვი, დიუმა, ჩეხოვი, ტოლსტოი, გალილეი, შელინგი, ედისონი და ა.შ. გარევეული პიროვნული უცნაურობები, მაგ. ზღვარგადასული ეჭვიანობა, ემოციური გაუწონასწორებლობა, ისტერიულობა და ა.შ. საერთოდ, ბევრ ადამიანს ახასიათებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ფსიქიურად არიან დაავადებულნი, თუმცა სურვილის შემთხვევაში ცნობილი ადამიანებისათვის მსგავსი დიაგნოზის დასმა სულაც არ წარმოადგენს რაიმე პრობლემას, რასაც აკეთებდნენ კი-დეც ლომბბროზოს მიმდევრები. ამ კუთხით მათ სიაში მოხვდნენ შემდეგი ადამიანები: ვან გოგი მიიჩნევდა, რომ იგი ეშმაკს ჰყავდა შეპყრობილი; ჰოფმანს თვალთვალისა და ჰალუცინაციების მანია ჰქონდა; დოსტოევსკის ეპილეფსია სჭირდა; მანდელშტამს მძიმე ნევროზი და სუიციდის მცდელობები ჰქონდა; ფსიქიკის სერიოზული მოშლილობით იტანჯებოდნენ შუმანი, ბეთჰოვენი, გოგოლი, რუსო, ნიცშე, ჰენდელი; ანა ახმატოვას ღია სივრცის ეშინოდა, მაიაკოვსკის კი ინფექციების, რის გამოც სადაც არ უნდა წასულიყო, საპონიც თან მიჰქონდა; სკრიაბინის ყოველ შემოქმედებით შემოტევას წინ უსწრებდა ისტერიკა; ბერლიოზს მუსიკალური ნაწარმოებები აგდებდა ისტერიკაში; რაფაელს ყველგან მადონას სახე ელანდებოდა; მოპასანი ზოგჯერ საკუთარ ორეულს ხედავდა; გლინკას ნერვული აშლილობა ჰქონდა, რომელსაც ხშირად ჰალუცინაციაც ერთვოდა; პუშკინი ხასიათის მკვეთრი არამდგრადობითა და განწყობილების ცვალბადობით გამოირჩეოდა და ა.შ.

მიუხედავად არსებული კვლევებისა, მაინც გაჩნდა კითხვა: ვინ შეიძლება ჩაითვალოს გენიოსად და ვინ არა?( უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ცივილიზაციის მთელი არსებობის მანძილზე მათი რაოდენობა დაახლოებით 500–ს აღწევს).

თუ ჩვენ გენიოსობას ჩავთვლით პროცესად, მაშინ გენიოსი ეს არის ადამიანი, რომელიც ქმნის არაცნობიერის აქტივობის საფუძველზე და რომელსაც შესწევს საკმაოდ ფართო დიაპაზონის განცდათა აღქმა, გამომდინარე იქიდან, რომ არაცნობიერად შემოქმედი სუბიექტი გამდის რაციონალური საწყისისა და თვითრეგულაციის კონტროლიდან[1].

გენიოსობის მსგავსი განსაზღვრება მოგვცა თავად ლომბბროზომაც: „გენიალობის თავისებურება ტალანტთან შედარებით არის ის, რომ იგი არის არაცნობიერი და თავს იჩენს მოულოდნელად“. შესაბამისად, გენიოსი ქმნის არაცნობიერ მდგომარეობაში, ხოლო ტალანტი – რაციონალურად, გათვლილი გეგმის მიხედვით, გენიოსი თავისი არსით კრეატივია, ხოლო ტალანტი – ინტელექტუალი, თუმცა, ზოგადი უნარები ორივეს აქვს.

არსებობს გენიოსობის ტალანტისაგან განმასხვავებელი სხვა ნიშნებიც: ორიგინალობა, უნივერსალურობა, ცხოვრების შემოქმედებითი პერიოდის ხანგრძლივობა. თუმცა, ერთი რამ უდაოა: უბრალო შემოქმედებითობისაგან განსხვავებით გენიოსი ფლობს ძლიერ აქტიურ არაცნობიერს და როგორც წესი, მას მიღრეკილება აქვს ემოციური მდგომარეობის მკვეთრი ცვლილებებისაკენ. გენიოსის ფსიქოლოგიური ფორმულა ასე შეიძლება გამოისახოს: გენიოსი=მაღალი ინტელექტი+უფრო მაღალი კრეატულობა+ფსიქიკის აქტიურობა. რამდენადაც კრეატულობა აჭარბებს ინტელექტს, ამდენად, არაცნობიერის აქტიურობაც აჭარბებს ცნობიერს. დასაშვებია აგრეთვე, რომ სხვადასხვა ფაქტორების მოქმედებას მივყავართ ერთი და იგივე ეფექტამდე – თავის ტვინის ჰიპერექტიურობამდე, რაც მაღალ კრეატულობასთან და ინტელექტთან ერთიანობაში იძლევა გენიალობის ფენომენს[1;4].

საინტერესოა ზოგიერთი გამონათქვამი გენიოსების პიროვნების შესახებ. მაგ.შუმანი ამბობდა: „ტალანტი მუშაობს, გენიოსი ქმნის“. ლინკოლნი ამბობდა, რომ გენიოსს სძულს გათელილი გზა, იგი ეძებს იმ სფეროს, რომელიც ჯერ არ არის ნაკვლევი, წესები და შაბლონები ანგრევენ გენიალობას. შეიძლება ითქვას, რომ გენიოსი ტალანტისაგან განსხვავდება იმით, რომ გენიოსი აკეთებს იმას, რასაც უნდა რომ აკეთებდეს, ხოლო ტალანტი აკეთებს იმას, რაც მას შეუძლია. გოეთე აღნიშნავდა, რომ ტალანტს ყველაფრის შესწავლა შეუძლია, ხოლო გენიოსმა ყველაფერი იცის, თუმცა პრაქტიკული მიზნებისათვის, გენიოსი შეიძლება ნაკლებ ეფექტური იყოს, ვიდრე ტალანტი. როგორც შოპენჰაუერი ამბობდა, ყოველდღიური ცხოვრებისათვის გენიოსი ისევე გამოუსადეგარია, როგორც გიგანტური ტელესკოპი თეატრში.

განსაკუთრებით საინტერესოა ის, თუ რა პიროვნულ თვისებებს ფლობენ გენიოსები და რა დაავადებებთან და ფიზიკურ მდგომარეობებთან არის დაკავშირებული მათი გენიალობა და მაღალი ინტელექტუალური უნარები.

შემოქმედთა პიროვნული თავისებურებების შესახებ არსებული კვლევები საკმაოდ ფართოდ მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ეხლაც. ასე მაგ. შემოქმედი მათემატიკოსი ქალები აღნერილი არიან როგორც ინდივიდუალისტები და ეგოცენტრულები, ორიგინალური ნატურები, იდეით შეცყრობილები, არტისტულები, რთულები, თამამები, ემოციურები, მდიდარი ფანტაზიებით იმ დროს, როცა არაშემოქმედი პერსონები, მათი თანამშრომლების მიერ ხასიათდებიან, როგორც მხიარულები, აქტიურები, შრომისმოყვარეები, ტაქტიანები, ჩვეულებრივები, კონტაქტურები, გულისხმიერები, ორგანიზებულები, პრაქტიკულები, რეალისტურები, საიმედონი და სიმპატიურები. გამოკვლევებმა აგრეთვე უჩვენეს, რომ შემოქმედი ქალები გამოირჩევიან არაჩვეულებრივი აზროვნებით, მეამბოხე ხასიათითა და წესებისადმი დაუმორჩილებლობით, დრამატიზაციისადმი მიდრეკილებით და არაბუნებრივი თეატრალური ქცევით, ხასიათის ცვალებადობით, მეორეს მხრივ, მათ არ შეეფერებათ ისეთი თვისებები, როგორიცაა საიმედონბა, პასუხისმგებლობა, სიმპატიურობა, კონსერვატიულობა და კეთილგანწყობა.

საინტერესოა, რომ შემოქმედი ნატურები ადვილად ეწყობიან ადამიანებს, მაგრამ მთლიანობაში ისინი ნაკლებად არიან მიდრეკილნი სოციალური კონტაქტებისადმი. შემოქმედთა კომუნიკაციის დონე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის წევრების. შეიძლება ითქვას, რომ კომუნიკაბელურობა არ ითვლება ტალანტების თვისებად და ამის ახსნა ადვილად შეიძლება მათი მიზანდასახულებისა და იდეაში ჩართულობით. გავიხსენოთ, რომ გენიოსი იყო ისეთი ინტროვერტი პიროვნება, როგორიც იყო ისააკ ნიუტონი.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა მაირონ ალენმა სცადა ქულებით შეეფასებინა შემოქმედ მეცნიერთათვის ამა თუ იმ ფაქტორთა მნიშვნელობა. უმაღლესი ქულა მიენიჭა „უნარს, უარეყო პრობლემის გადაჭრის ჩვეულებრივი, სტანდარტული მეთოდები, რომლებიც უკვე არაეფექტურია და მოიძიო ახალი, ორიგინალური საშუალებები“ ანუ მხატვრული შემოქმედებისათვის ასევე მნიშვნელოვანია ორიგინალურობის ფაქტორი.

საინტერესოა აგრეთვე ვ.ბოდერმანის მიერ ჩამოყალიბებული გამოჩენილ ადამიანთა კონსტიტუციონალური თავისებურებები[5;6]. მათ შორის საკმაოდ ხშირად გვხვდებიან „მსუბუქი, სუსტი, საოცრად სიმეტრიული ტიპები, თუმცა ამავე დროს არიან დაბალი ტანის „გიგანტებიც“. პირველი ტიპი, გარდა ჯანმრთელობისა და ფიზიკური სიძლიერისა, ფლობს თითქმის ყველაფერს, მთელი მისი ენერგია კონცენტრირებულია თავის ტვინში“... დაბალტანიანი გიგანტები არიან ბედნიერნი, მათ ახასიათებთ როგორც ფიზიკური, ისე სულიერი სიძლიერე. დაბალი სიმაღლის სხეულებს განსაკუთრებული ტენდენცია აქვთ დიდი თავის ფორმებისადმი და ბუნებრივია, დიდი თავის ტვინისადმი, რომელიც ჩვეულებრივ ასოცირდება განსაკუთრებულ ინტელექტუალურ სიძლიერესთან.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად განსხვავებული შეხედულებებისა, მკვლევარების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ გენიოსების ძირითად პიროვნულ მახასიათებლებად ითვლება:

- ✓ დამოუკიდებლობა ანუ მათთვის ჯგუფის სტანდარტებზე მეტად მნიშვნელოვანია პიროვნული სტანდარტები; მსჯელობებსა და შეფასებებში – არაკონფორმულობა;
- ✓ გონებაგახსნილობა ანუ საკუთარი და სხვისი ფანტაზიების დაჯერებისადმი მზადყოფნა, სიახლისა და უჩვეულოს აღქმის უნარი;
- ✓ გაურკვეველი და გადაუჭრელი სიტუაციებისადმი მაღალი ტოლერანტობა, მსგავს სიტუაციებში კონსტრუქციული აქტივობა;
- ✓ განვითარებული ესთეტიზმი, სილამაზისადმი მისწრაფება და იუმორის კარგი გრძნობა[5].

რაც შეეხება იუმორის გრძნობას, შეიძლება გავიხსენოთ პუშკინის მრავალრიცხოვანი ეპიგრამები, როდესაც ერთი სიტყვის საშუალებით ხდებოდა ეპიგრამის მოქმედი გმირის ცინიკური და სახუმარო დახასიათება. ცნობილია კალმის ერთი მოსმით შექმნილი უამრავი მეგობრის განსაკუთრებული გენიოსები.



რული შარქი. მაგ. ხატვის დროს კარიკატურის შექმნის ძირითად პრინციპიად მიღებული იყო ერთ მთლიანობაში რამდენიმე ერთმანეთთან თითქოსდა შეუსაბამო ნაწილების გაერთიანება (მაგ. სახის გამომეტყველება საოჯახო ნივთების საშუალებით), არსებული დეტალების ჰიპერტროფია, პაროდიები და ა.შ.

და კიდევ ერთი საინტერესო პიროვნული ნიშანი – მათი მიამიტური და მიმნდობი ხასიათი[1]. მაქსიმ გორგი წიგნში „ადამიანები საკუთარ თავთან მარტო“ მოგვითხრობს ცნობილი ადამიანების უცნაურობებზე, რომლის ნახვაც მას თავად მოუნია: „მე ნანახი მაქსი, როგორ იჯ-და ანტონ ჩეხოვი ბალში და თავისი შლიაპით როგორ იჭრდა მზის სხივებს და როგორ ცდილობდა ისინი ქუდთან ერთად თავზე დაეხურა. სახეზე ეტყობოდა, რომ ნელ-ნელა ბრაზდებოდა. ეს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მან ქუდი ჯერ მუხლზე დაიბერტყა, მერე თავზე ჩამოიცვა, გაღიზიანებულმა ფეხი წაკრა იქვე მჯდომ ძალლს და შევიდა სახლში. შემდეგ იგი ასეთივე სიჯიუტით ცდილობდა სააფთიაქო სინჯარაში ჩაეტენა მსხვილი წითელი ფანქარი. ეს იყო აშკარა მცდელობა, რომ მას დაერღვია ფიზიკის ზოგიერთი კანონი. ჩეხოვი ამას ცდილობდა ექსპერი-მენტატორის შეუვალი სიჯიუტით“.

და მეორე შემთხვევა: ლევ ტოლსტოი ეკითხება ხვლიკს, რომელიც ქვაზე წევს და მზეს ეფიცხება. – კარგად ხარ? მწერალი დგას ქამარში თითებგაყრილი და უყურებს ხვლიკს, თითქოსდა პასუხს ელოდება. მან ფრთხილად მიმოიხედა ირგვლივ და ჩუმად უპასუხა:–აი, მე კი ცუ-დად ვარ.

რაც შეეხება გენიოსების სიცოცხლის ხანგრძლივობასა და მათი ნიჭიერების ასაკობრივ გამოვლინებებს, აქაც თავს იჩენს გარკვეული თავისებურებები. მაგ. პიკასომ ხატვა დაიწყო ერთი წლისამ, მოცარტმა 4-დან 6 წლამდე ასაკში შექმნა მრავალი მუსიკალური პიესა, ნურიევმა ცეკვა დაიწყო 3 წლის ასაკში, თუმცა 8 წლის ასაკში დაიწყო აინშტაინმა საუბარი. 14 წლისამ დაიწყეს ხატვა ვალენტინ სეროვმა და მიხეილ ნესტეროვმა და თანაც, თავიდანვე ხატავდნენ, როგორც გამოცდილი მხატვრები. უალრესად ადრე განვითარდა გოეთეს ნიჭიერება. 6-დან 8 წლამდე ის წერს საკმაოდ ორიგინალურ დიალოგებს. ალ.ბლოკი ამბობდა თავის თავზე, რომ ლამის 5 წლიდან დაიწყო წერა. ალ.პუშკინი 16 წლის იყო, როდესაც გ.დერუჟავინმა იგი პოეტად აღიარა. 14 წლის ასაკიდან დაიწყო წერა მ.ლერმონტოვმაც. ბაირონის ცნობილი თხზულებები დაიბეჭდა, როცა ის იყო 19 წლის, ხოლო დანარჩენები, როცა იგი იყო 21 წლის.

არსებობს უამრავი მაგალითი იმისა, რომ ძალზე ცნობილი ადამიანები ბავშვობაში ან ყმაწვილკაცობაში უმძიმესი დაავადებების გადატანის შემდეგ მაინც ცოცხლები რჩებოდნენ. მაგ. მ.ნესტეროვისთვის საფლავის ადგილიც კი უკვე შერჩეული ჰქონიათ, მაგრამ იგი მაინც გამოჯანმრთელებულა.

ავადმყოფობას უდიდეს პოზიტიურ მნიშვნელობას ანიჭებს როლ-დიტერ გერმანი, რომელიც ამბობს, რომ ავადმყოფობა აფართოებს გენიოსთა ფსიქოლოგიური გამოცდილების საზღვრებს, საშუალებას აძლევს მათ უფრო მეტი სიმძაფრით აღიქვან სამყარო, რაც თავის მხრივ, იწვევს სულიერი სიმაღლეების მიღწევის სურვილს.

რაც შეეხება უდიდეს შემოქმედთა სიცოცხლის ხანგრძლივობას, არ არის გარკვეული შეიძლება თუ არა ჩაითვალოს შემთხვევითობად მათი ხანმოკლე ცხოვრება? ძალზე დიდია იმ ტალანტთა რაოდენობა, რომლებიც ამ ცხოვრებიდან 35-37-44 წლის ასაკში წავიდნენ. მათი სიკვდილის მიზეზები სხვადასხვაა, თუმცა ამავე დროს თითქოს მსგავსებაც არის მათ შორის: გადასახლებები, ინტრიგები, დაძაბული ურთიერთობები. თუ შევეცდებით ამ შემოქმედების ჩამოთვლას, სია საკმაოდ შთამბეჭდავი გამოვა: მოცარტი(36), შუბერტი(31), შოპენი(36), მენდელ-სონი(37), რაფაელი(37), ვან გოგი(37), პუშკინი(37), გრიბოედოვი(34), ესენინი(30), მაიაკოვსკი(37), ბაირონი(37), გოგოლი(42), მოპასანი(43), ჩეხოვი(43), სკრიაბინი(43), ბოდლერი(45), ჯეკ ლონდონი(40) და ა.შ. პუშკინის მტკიცნეული სიკვდილი, ლერმონტოვის სიკვდილი დუელში, ბლოკის აუტანელი სულიერი აგონია, ესენინის და მაიაკოვსკის გათვლილი თვითმკვლელობები; რ.იაკობსონის აზრით, ბლოკი გაცილებით ადრე მოკვდა სულიერად, ვიდრე ფიზიკურად, ესენინი წერდა მოსალოდნელ სიკვდილზე, ხოლო მაიაკოვსკი წერდა გამოსამშვიდობებლ წერილს. რთულია არ აღნიშნო, რომ სულიერი აგონია და სიკვდილი არ იყო დაკავშირებული მათ შემოქმედებით გამოფიტვასთან[4].

ამრიგად, თუ ყოველივე ზემოთქმულის შეჯერებას შევეცდებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ გენიოსთა ცხოვრების ხანგრძლივობა და მათი დამოკიდებულება ფსიქოსომატური დაავა-

დებებისადმი, ნამდვილად იძლევა ხარისხობრივ განსხვავებას გამომხატველობის თვალსაზრისით, რაც იმას ნიშნავს, რომ შეიძლება ნევროზები და ფსიქოსომატური დაავადებები, მართლაც წარმოადგენდნენ კრეატული უნარების ფსიქოპათოლოგიურ საფუძველს. პირობითად შეიძლება გამოიყოს გამომხატველობის ორი ხარისხი. სუსტი ფორმით ავადმყოფობა შეიძლება გამოვლინდეს ფიქსირებული იდეებით ან ზოგად სხეულებრივ რეაქციებზე გაძლიერებული წარმოდგენებით, რომელსაც ისინი თვლიან ავადმყოფობად და მეორე, შედარებით ძლიერი ფორმით ემოციურმა სტრესმა შეიძლება სათავე დაუდოს რეალურ ფიზიკურ ავადმყოფობას, მაგალითის წყლულს ან ასთმას და სხვ. მაგ. პიეტა მოდრიანის ავადმყოფობა მიეკუთვნებოდა ნევროზის სუსტად გამოხატულ სახეობას, რაც გამოხატებოდა წესრიგისადმი აკვიატებული მისწრაფებით. იგი იყო საოცრად პედანტური და გამაღიზიანებლად პრეტენზიული. მას უყვარდა ცეკვა და ცეკვავდა ხაზგასმული მონდომებით და წესების მკაცრი დაცვით. თავის ცეკვის სტუდიაში ინარჩუნებდა ავადმყოფურ, მანიაკალურ სისუფთავეს. მისი ნახატის ფერებიც კი აბსოლუტურად სუფთა ფერებია და შემოიფარგლებოდა მხოლოდ პირველადი პრიზმული ფერებით.

თითქმის ასეთივე დაუოკებელი სწრაფვა სისუფთავისადმი ჰქონდა „გულივერების მოგზაურობის“ ავტორს, უაღრესად ღრმა ემოციების პატრონს ჯონატან სვიფტს, თუმცა გარკვეული აკვიატებები მასში გაცილებით უხეშად იყო გამოხატული.

უამრავი რამის შიში ჰქონდა ზიგმუნდ ფროიდს. კერძოდ, მას მთელი ცხოვრება პანიკურად ეშინოდა რკინიგზით მგზავრობის, თუმცა ის თავად ამას არ თვლიდა ჭეშმარიტ ფობიად. თითოეული მგზავრობის წინ მას აკანკალებდა და თანაც საოცრად ეშინოდა დაგვიანების. ეს შიში იმდენად დიდი იყო, რომ იგი ბაქანზე ერთი საათით ადრეც კი ცხადდებოდა.

გაცილებით სერიოზული შიშები ჰქონდა პაბლო პიკასოს. საკმაოდ დიდხანს, მას სიკვდილივით ეშინოდა თმის შეჭრის, ხოლო უკვე ასაკში მყოფი თვეობით არ მიდიოდა დალაქთან.

უან-უაკ რუსო, რომელსაც ბავშვობაში ეჭვი ეპარებოდა ღმერთის არსებობაში, თავისებურ რიტუალს მიმართავდა ამ შიშის დასაძლევად. ასე მაგ. იგი ხეს ესროდა კენჭს და ჩაიფიქრებდა, რომ თუ კენჭი ხეს მოხვდებოდა, ე.ი. მას ჯოჯოხეთი არ ემუქრებოდა და პირიქით. საინტერესო ამ ყველაფერში იყო ის, რომ იგი არჩევდა დიდ და მასთან ახლოს მდგომ ხეებს, რომ არმოხვედრის ალბათობა გაცილებით ნაკლები ყოფილიყო.

მსგავსი მაგალითების მოყვანა შეიძლება უსასრულოდ, მაგ. ფსიქიკური აშლილობის ამათუ იმ ფორმით იტანჯებოდნენ მიქელანჯელო, ჩაიკოვსკი, დიკენსი, ჰემინგუეი, ფიცჯერალდი, ბაირონი, ჰესე, ალან პო და ა.შ. აქვე გვინდა მოვიყვანოთ მარსელ პრუსტის სიტყვები, რომ „ყველაფერი დიადი მსოფლიოში იქმნება ნევროტიკების მიერ. შეიძლება დატკბე მომხიბვლელი მუსიკით, მშვენიერი სურათებით და ათასობით პატარ-პატარა საოცრებებით და ამ დროს მათი მნახველი ვერც კი წარმოიდგენს, რომ მათ შემქმნელებს ეს ყველაფერი უჯდებათ უამრავი გათენებული ღამის, ასთმის, ეპილეფსიის და რაც, ყველაზე საშინელია – სიკვდილის შიშის ფასად.“

იმის მაგალითად, თუ როგორ შეიძლება აკვიატებული იდეები გახდეს ნერვოზის საფუძველი, შეიძლება განვიხილოთ შვედი მეცნიერისა და თეოლოგიის პროფესორის სამუელ ოდმანის ცხოვრება. მას ისე ეშინოდა გაცილების, რომ ორპირი ქარის საფრთხეც კი პანიკაში აგდებდა. უსაფრთხოების მიზნით, იგი 43 წლის ასაკში ჩაწვა ლოგინში და 40 წელი იწვა ჩაცმული და თბილად დახურული [1].

ამ მოკლე ექსკურსის საფუძველზე, შეიძლება ითქვას: რომც არ ვიცოდეთ რა შეუძლია არაორდინალურ ნიჭიერებას, განსხვავებულ, ორიგინალურ და არასტერეოტიპულ აზროვნებას, უცნაურობის ნიღაბს ამოფარებულ გენიოსების გენიალურ ძიებებსა და აღმოჩენებს, შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ სამყარო არასრულფასოვანი ადამიანებით არის დასახლებული, მაგრამ, როგორც საქმე გვაქვს დიად აღმოჩენებთან და სულის შემძვრელ ქმნილებებთან, მათი უცნაური ქცევები უკვე ნაკლებ მნიშვნელოვანი ხდება, ხოლო რაც შეეხება გენიოსთა კიდევ ერთ-ერთ უცნაურობას – ყოველივე მატერიალურზე მაღლა დგომას, ამის მაგალითად ალბათ, ალექსანდრე მაკედონელისა და დიოგენეს შეხვედრის ისტორიაც კმარა. მაკედონელი ფილოსოფოსს მაშინ ესტუმრა, როცა ის მზეს ეფიცებოდა. მეფე მას მიუახლოვდა და უთხრა: „შენი ტვინი აღმაფრთოვანებს. მთხოვე, რაც გინდა“. „სასახლე, ფული, გემი სთხოვეო“, –ეჩურჩულებოდნენ დიოგენეს მეფის ხელგაშლილობით ნაქეზებული მისი მხლებლები. დიოგენემ კი მაკედონელს



ასე უპასუხა: „გაიწიე, მზეს მიჩრდილავ“.... „დიოგენობას ვინდომებდი, მაკედონელი რომ არ ვიყო!“ – წამოიძახა კიდევ უფრო მეტად აღფრთოვანებულმა ლამის მსოფლიოს გამგებელმა.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Николаенко Н.Н. Психология творчества. Санкт-Петербург. Речь. 2005
2. Ломброзо Чезаре. Гениальность и помещательство. СПб. 1892 (Ch.Lombrozo. Genio e folia (1864)).
3. Пономарев Я. А. Психология творчества. Москва. Изд. Наука. 1976.
4. 6. გოგიჩაშვილი – კრეატულობის კვლევა მოზარდობის ასაკში. საკანდიდატო დისერტაცია. თბილისი, 2004.
5. Guilford J. P. The nature of human intelligence. New York; McGraw-Hill. 1967
6. Koestler A. The act of creation. New York. Macmillan. 1964.

## ნანა გოგიჩაშვილი

გენიოსების ფსიქოპათოლოგიური მახასიათებლები

### რეზიუმე

ნაშრომში მიმოხილულია გენიოსობის პრობლემისადმი განსხვავებული მიდგომები, გენიოსობასა და ფსიქიკურ აშლილობას შორის არსებული ურთიერთობიმართება, აგრეთვე გენიოსობისა და ტალანტის განმასხვავებელი ნიშნები და შემოქმედთა პიროვნული თავისებურებები. ავტორი ფსიქოლოგიურ ჭრილში განიხილავს გენიოსების სიცოცხლის ხანგრძლივობის, მათი ნიჭიერების გამოვლენის ასაკობრივ თავისებურებებსა და ფსიქოსომატური დაავადებების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს.

Nana gogichashvili

### Psychopathological characteristics of geniuses

#### Abstract

The work consists of the review of differing approaches to the problem of being a genius, interrelationship existing between the nature of genius and psychiatric disorders, as well as common and distinguishing characteristic features and creative individual idiosyncrasies between the nature of genius and talent.

The author uses the psychological approaches to the life expectancy of geniuses, age-related peculiarities expressed by their talents and problems of mutual dependence on psychosomatic diseases





## მიღდრედ კალადეარიშვილი

### სად არის დასასრულის დასაცყისი ან დასაცყისის დასასრული?

„ვინ იცის, იქნებ, სიცოცხლე სიკვდილს ნიშნავს, სიკვდილი კი სიცოცხლეს“

ევრიპიდე

მსოფლიო ლიტერატურათმცოდნეობაში „სიკვდილი“ – მხატვრული ტექსტის ერთ-ერთი ელემენტია, ამიტომ ნებისმიერი ნაწარმოები, რომელშიც სიკვდილის ფენომენი ფიგურირებს, შეიძლება განვიხილოთ ტანატოლოგიურ ასპექტში. სიკვდილი ღრმადაა ჩაბეჭდილი ჩვენს გონებაში ქვეცნობიერი ფანტომის სახით, რომელსაც არ გააჩნია ცხოვრებისეული შინაარსი, რომელიც განუწყვეტლივ გვახსენებს თავს, გვაკრთობს და შიშს გვგვრის თავისი სიახლოვით. რამდენად რთულია სიცოცხლე და წარმოუდგენელია გარდაუვალი სიკვდილის სიცოცხლის გაგრძელებად აღქმა, განვიხილოთ მოთხოვობის -- „დასასრულის დასაწყისი“ მაგალითზე, ლიტერატურული ტანატოლოგის თვალსაზრისით.

მარი გიგაშვილის პატარა მოთხოვობა „დასასრულის დასაწყისი“, რომელიც მხატვრული ლიტერატურის მცირე უანრს განეკუთვნება, მკითხველს ღრმად ჩააფიქრებს სამყაროს საიდუმლოზე. დამაინტრიგებელი სათაური, რომელშიც თხრობის მთელი არსია ჩამალული, ბედნიერ დასასრულს არ გვიქადის, მაგრამ ნებისმიერ დასასრულს ხომ თავისი დასაწყისი აქვს... სწორედ ამ დასაწყისისკენ მიმავალი გზა უნდა ვიპოვოთ, რომელიც მის დასასრულში მთავრდება...

დასაწყისის ძიებაში ავტორს თავისი მცირერიცხვანი გმირების კვალდაკვალ მივყავართ. მოთხოვობის ფაბულაა — ყოვლისშემძლე სიცოცხლე სიკვდილის ზღურბლთან, სადაც ადამიანის ფაქტორი სრულიად უსუსურია, უმაღლესი, მთელი სამყაროს მმართველი ძალის წინაშე. ადამიანი მოკვდავია, ბუნების ნაწილია და მის კანონებს ემორჩილება; მასში ყველაფერი ჰარმონიული და ურთიერთშეთანხმებულია. როგორც ბუნების მდინარებაა უსასრულო და კანონზომიერი, ასევე ადამიანის ცხოვრებაც: ჩასახვა, დაბადება, ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკე, ახალგაზრდობა, შემდეგ სიბერე და გარდაცვალება. სიკვდილის იდუმალი ფილოსოფია ყოველდღიურ, ჩვეულებრივ კონტექსტში — ჩვენთვის უცნობ სამყაროში გადასვლაა.

„ყვავილების არომატით სავსე ნაზი გაზაფხულის სიო მსუბუქად დაქროდა ფერადი ყვავილებით მოფენილ მდელოზე, მხიარულად დასეირნობდა მთასა და პარში და ცდილობდა ეს სურნელი ყოვლისშემძლე მზემდე აეტანა.“

სიცოცხლე თავის დღესასწაულს ზეიმობდა“.

ასე იწყება მოთხოვობა „დასასრულის დასაწყისი“. პასტორალური პეიზაჟი, სოფლის ლამაზი სურათი — მასში იძირები და შორს სცილდები ხმაურიან ქალაქს — მიდიხარ იქ, სადაც განმარტოება, მწველი დღე, უბრალოება და ჰარმონია ადამიანსა და ბუნებას შორის ნამდვილ იდილიას ქმნის. ჭეშმარიტად, ღმერთმა დააჯილდოვა პატარა საქართველო ჯადოსნური სილამაზით, სადაც ჰარმონიულად ენაცვლებიან ერთმანეთს მთები და მდინარეები, მინდვრები და ქედები, ყვავილების სურნელება და გაზაფხულის მზის მოალერსე სხივები. სოფლის ცხოვრების ყოველდღიურობა ისე რეალურად აქვს წარმოდგენილი ავტორს, რომ უნებლიერ თვითონაც იძირები სოფლის ცხოვრების ამ ნანატრ მშვიდ ატმოსფეროში. აქ უღრუბლო ცაა, სინათლეა, არაფერი არღვევს სიმშვიდეს, არაფერი მოასწავებს უბედურებას...

მდინარესთან უსინათლო მოხუცი თანასოფლელებს ესაუბრება; მოშორებით, დიდი მუხის ჩრდილში ახალგაზრდა მწყემსები ისვენებენ და თან საქონელს დარაჯობენ... სიწყნარეა...

საოცრად ხატოვნად და დახვეწილად გადმოგვცემს ავტორი იმ შეგრძნებას, რასაც სოფლის უდარდელი თავისუფლება ჰქვია. ამ თავისუფლების აღქმა შეინიშნება სოფლელების ცხოვრების, საქციელისა თუ ურთიერთობების აღწერაში. სოფლის პეიზაჟი და ადამიანთა კეთილი სახეები ერთორგანულ მთლიანობაში ერთიანდება, სადაც ბუნება უბრალოდ მოთხოვობის ფონი კი არ არის, არამედ „დამოუკიდებელ მოქმედ პირად“ გვევლინება. ამგვარად, ბუნება ეხმარება ავტორს სულიერი მდგომარეობის პოეტური სახის შექმნაში.

მაგრამ უცებ, მწყემსი ქოთალას წინ, თითქოს მიწიდან ამოიმართაო, მზეს ჩამოეფარა შავად შემოსილი უცნაური უცნობის ფიგურა. ამ ეპიზოდით იწყება სიუჟეტის სწრაფი განვითარება და მისი ცენტრალური ფიგურა სწორედ ეს უცნობი ხდება. ავტორი მასთანაც და დანარჩენ

გმირებთანაც ძალიან მჭიდროდ გვაკავშირებს. მოგვიანებით ვიგებთ, რომ უცნობი ადამიანად ქცეული სიკვდილია.

მშვენიერ ცხოვრებისეულ ჰარმონიაში მყისიერად ირლვევა რაღაც; უცნობის იმპლიციდური სახე შეუმჩნევლად ამოდის ზედაპირზე და მოთხოვნის ღერძად, სიუჟეტის კვანძად იქცევა; დანარჩენი გმირების ბედიც სწორედ მას უკავშირდება. აქ კი ყოველი ჩვენგანი, მკითხველი, უნებურად იწყებს იმის გაცნობიერებას, რომ ცხოვრება ტრაგედია; რაც არ უნდა მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობდეს მოკვდავი, მისი დასასრული გარდაუვალია, მაშინაც კი, როდესაც მას დასაწყისი მოყვება.

უცნობი სოფლისკენ იმ გზით მიდის, რომელიც ქოთალამ უჩვენა. ხის ჩრდილში მჯდარ უსინათლო მოხუცს რომ გაუსწორდა, უცნობი შეჩერდა, რითაც თანასოფლელების გაუგებარი უკმაყოფილება და შიში გამოიწვია; ხალხი უცებ მიმოიფანტა. უსინათლო მოხუცის ერთგული ძალი ბომბორაც კი კუდამოძუებული გაშორდა იქაურობას და პატრონი ბედის ანაბარა მიატოვა.

უცნობის გარეგნობამ და მისგან წამოსულმა სიცივემ გარშემომყოფებში უცნაური თრთოლვა და შიში გამოიწვია. ყველა გაიქც-გამოიქცა, მხოლოდ უსინათლო გიგლა იჯდა გაუნდრევლად და ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა ირგვლივ.

უსინათლოს არაორდინარულობა მდგომარეობს იმაში, რომ ხდება „მეექვსე გრძნობისა“ და გონების სინთეზი, ტრადიციული ნორმების სრული გადაფასება. ეს გამოიხატება ნებისმიერი ოდნავ გასაგონი ბგერების გაგებასა და უფაქიზესი ფერთა გამის შეხებით აღქმაში. ეს ბუნებრივი ნიჭი ნათლად ვლინდება უცნობისა და უსინათლო გიგლას დიალოგში. როგორ ოსტატურად გაათამაშებს ავტორი ეპიზოდს, სადაც გიგლა უცნობის ტანსაცმლის ფერებს გამოიცნობს, რითაც სრულიად გააოგნებს მას. ავტორი კარგად იცნობს უსინათლოს ნიჭის სიმბოლურ სიდიადეს – ჩაწერების ირეალურ სამყაროს, რომელიც თავისი სრულყოფილების გამო მიუწვდომელია უბრალო მოკვდავისთვის.

„მე ზავრმა მიმოიხედა. იქვე ყვავილი მოხყვიტა და მოხუცს გადასცა

-- წითელი.

-- მართლა წითელია, როგორ მიხვდი? – გაოცება ვერ დამალა მე ზავრმა.

-- წითელი ფერი ცხელია.

-- ეს კი მწვანეა, ძალის მომცემი; ეს თეთრია, ამშვიდებს.

-- საოცარია.

-- ეს მოხუცო? და მე ზავრმა მას თავისი ლაბადის ბოლო გაუწოდა. მოხუცმა ხელი ნელა გაუსვა და უთხრა:

-- ეს შავია... უცნაური მავი. ასეთ ფერს არასდროს შევხვედრივარ. ის გაცილებით შავია, ვიდრე ოდესამე მიგრძნია. მძიმეა და საზარო. ასე რატომ გაცვია, არ გცხელა?“.....

გიგლა ქვეცნობიერად გრძნობს, რომ უცნობი მოახლოებული უბედურების მაცნეა, მაგრამ სიმშვიდეს ინარჩუნებს. იქნებ ეს მოხუცის სიბრძნეა, რომელიც ხშირად გამოიხატება განვლილი ცხოვრებისადმი მშვიდ დამოკიდებულებაში და სიკვდილის მოახლოებას დიდი ხანია შეეგუა მისი სული. ის ლირსებით სავსეა და ბრძნულად განაგრძობს საუბარს სიკვდილთან, იწვევს მას სახლში, აცნობს სოფლის წეს-ჩვეულებებსა და ქართველებისათვის ასე დამახასათებელ ეროვნული სტუმართმოყვარეობის ტრადიციებს, რითაც სამყაროსავით ბებერ სიკვდილსაც კი აღაფრთოვანებს.

სიკვდილის „ფიზიკური“ იერ-სახე – გამხდარი, ტანადი, გამყინვა მზერა, ლითონივით ცივი ხმა – ივსება ზნეობრივი თვისებით – სრული სასოწარკვეთილებით მასზე დაკისრებული მისისი გამო. ჩინდება უცნაური, თითქმის ფანტასტიკური სურათი – სიკვდილი განწირულად ქვითინებს და ავტორის მიერ უსინათლო გიგის წარმოსახვაში დახატული „კეთილი ადამიანის“ ფიგურა უცებ ძალიან მნიშვნელოვანი ხდება. სიკვდილი ცოცხლდება, სხვა იპოსტასში გარდაიქმნება და ადამიანის მიერ სიცოცხლის ტოლფას სუბსტანციად აღიქმება.

თანდათან, მოხუცსა და უცნობს შორის დაუსრულებელი დიალოგის პროცესში, სიკვდილს თავისი ფილოსოფიური აზროვნებით მოხუცი გიგლა საკუთარი არსის შეცნობისკენ მიჰყავს და ისიც ბოლოსდაბოლოს ხვდება, ვინ არის ეს „კეთილი ადამიანი“. და აი, მისი დასასრულიც დგება.

ჯოჯოხეთის მრისხანე მოციქულის მხატვრული სახე მოსალოდნელ შიშს არ იწვევს გიგლაში. ის მშვიდად და ღირსეულად ხვდება დასასრულის დადგომის ცნობას, მაგრამ... სიკვდილი



დროებით ტოვებს მოხუცს და საშუალებას აძლევს უკანასკნელად დატყებეს თავისი მრავალ-რიცხოვანი ოჯახით, სახლში დაწურული ღვინით, საყვარელი ნივთებით, ყველაფრით, რასაც წლების მანძილზე ქმნიდა.

სიკვდილი ცოტა ხნით მიდის, რომ ისევ დაბრუნდეს გიგლასთან, ახლა უკვე სამუდამოდ; მანამდე კი დაუმთავრებელი საქმე აქვს სოფელში – თან უნდა წაიყვანოს ყველაზე ნორჩი, ყველაზე უწყინარი არსება, რომელმაც ჯერ თავისი ოჯახური კერის შექმნაც კი ვერ მოასწრო – ქოთალა. ის მწყემსი-ჭაბუკი, რომელსაც ავტორი მოთხოვბის დასაწყისში გვაცნობს; რომელმაც პირველმა შენიშნა უცნობი და სოფლის გზაც მიასწავლა; რომელმაც იმ მშვენიერ კვირადღეს თითქოს თვითონ გამოუტანა თავს სიკვდილის განაჩენი.

და აქ უკვე მოხუციც იფეთქებს, ქოთალას სიკვდილს რომ გაიგებს, გმინვა აღმოხდება გულიდან და სასოწარკვეთილებას აღარ დამალავს.

-- „იმას რაღას ერჩოდი, ის ხომ ცხოვრებას ახლა იწყებდა, რატომ? – კითხულობს მოხუცი.

-- არ ვიცი... მაპატიე! – თავის მხრივ ქვითინებდა სიკვდილი. მოხუცი დაწყინარდა. გაუნძრევლად ისმენდა სიკვდილის მოთქმას შემდეგ მისკენ შებრუნდა, თითქოს პირველად დაინახაო.

-- უბედურო! – ჩაილაპარაკა მან

-- მაპატიე მოხუცო.

-- იმან ვაპატიოს, ვინც ასე დაგსაჯა".

და სიკვდილი? საიდან და რისთვის მოვიდა, ვინ შექმნა და გამოგზავნა იგი. ამ კითხვებზე სიკვდილს პასუხები არ აქვს. მან არ იცის ვინ და რატომ დასწყევლა იგი სამუდამოდ; ვინ და რატომ გაიმეტა ყველასგან საძულველი ტვირთის სატარებლად. საკუთარ ტკივილად ქცეული სიკვდილი თვითონ ოცნებობს სიკვდილზე. მისი ნება რომ იყოს, სიხარულით მოიკლავდა თავს; მაგრამ იგი საკუთარ თავს არ ეკუთვნის, იგი უკვედავია, რაოდნენ პარადოქსულადაც არ უნდა უღერდეს მისთვის უზენაესის მიერ გამოტანილი ვერდიქტი და მხოლოდ უსასრულობისაკენ მიმავალი, ცხოვრებისეული გამოცდილებით დაბრძენებული მოხუცი უდგება ფილოსოფიურად სიკვდილისთვის განკუთვნილ ტრაგიკულ მისიას.

გიგლა უკანასკნელად უზის გამლილ სუფრას თავის ოჯახთან ერთად და გონებაში ლოცავს თავის ახლობლებს. უცებ ოჯახურ იდილიას ძალის გამაყრუებელი ყეფა არღვევს და მოხუცი ხვდება, რომ მას მოაკითხეს, მისმა საათმაც ჩამოჰკრა. იგი თავისიანებს სთხოვს, იმ კაკლის ხესთან მიაცილონ, რომლის ძირშიც ასე უყვარდა ჯდომა. ყველა გააკვირვა მისმა თხოვნამ, მაგრამ კითხვა ვერავინ გაუბედა. უფროსის სიტყვა მათთვის კანონია და მათ გიგლა ბებერ კაკლის ხესთან მიჰყავთ. დიახ, ბებერ კაკლის ხესთან და ავტორი ამაზე შეგნებულად ამახვილებს ყურადღებას, რადგანაც მოხუცი არ უნდა მოკვდეს ნორჩი, აყვავებული, სიცოცხლით სავსე ხის ქვეშ. აქ მ. გიგაშვილი ერთ მთლიანობად წარმოგვიდგენს ადამიანს და ბუნებას – საიქიომი მიმავალ მოხუცს და დრომოქმულ ბებერ კაკლის ხეს.

უსინათლო მოხუცი სიკვდილის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას გრძნობს თავის მიმართ – პატივისცემის გამომხატველს და მზრუნველს და იგი უკანასკნელი სურვილის შესრულებას ითხოვს – ერთხელ მაინც დაინახოს სამყარო.

„— აგებილოს თვალი!

მოხუცს ნამნამები აუხამხამდა, ქუთუთოები აუთორთოლდა და თვალები გაახილა. მზის სინათლეგ თვალი მოსჭრა... მოხუცი შეიქმუხნა, თვალებზე ჯერ აიფარა ხელები, მერე კი ფრთხილად ჩამოუშვა და თამამად შეხედა მზეს.

— რა სილამაზეა! რა საოცარი და მშვენიერი ყოფილა სამყარო, უფრო მშვენიერი, ვიდრე მეგონა, — ჩაილაპარაკა აღტაცებულმა; ირგვლივ მიმოიხდა და აღმოხდა: — აი, თურმე როგორი ყოფილხარ, სიცოცხლევ!

მან უკანასკნელად მოავლო თვალი არემარეს და მზერა სიკვდილზე შეაჩერა.

— შენ ვერ შეძლებ სიცოცხლის მოკვლას, ვერ აჯობებ, ის ყველგანაა, შენშიც კი არის!?

ცოტა ხანს გაჩუმდა და განაგრძო:

— ან იქნებ სწორედ შენშია მისი საიდუმლო?! იქნებ სწორედ შენ ხარ მისი საოცარი და-სანყისი, ჰა?

? ! ? ! ? !

სამყაროს ერთადერთხელ და უკანასკნელად დანახვა, თანაც სიკვდილის პრიზმაში, განაპირობებს ორი საწყისის შეფასებაში ღრმა წვდომას: სიკვდილის ზღურბლთან მდგარი სიცოცხლისა და უსასრულო სიცოცხლის ჭიშკართან მდგარი სიკვდილის. აქ თვითონ სიკვდილის ფენომენია უნივერსალური და არა მხოლოდ გიგლას გონებით დანახული „კეთილი ადამიანის“ სახით, არამედ სულიერი თვითშეგნების ინდივიდუალური დონით, თავისი დამღუპველი არსით.

სანამ ვცოცხლობთ, სადღაც ცნობიერების სიღრმეში ვგრძნობთ სიკვდილის არსა; სიცოცხლეში იგი არ არის და ზეიმობს სიცოცხლე, ხოლო როდესაც სიკვდილი მოგვაკითხავს, გადავაბიჯებთ სიცოცხლის ზღურბლს, ვამთავრებთ არსებობას და დღესასწაულიც სიკვდილთან გადადის. არ ვიცით, რა ელის ადამიანს ზღურბლს იქით, სად და რატომ მიდის და როდის რომელ იპოსტასში მოგვევლინება ისევ; ალბათ ამიტომაც მოხუცი გიგლა, რომელმაც სიცოცხლე აჩუქა თავის შვილებს და ასე კარგად და ბრძნულად შეინარჩუნა ოჯახი, ღირსეულად და მშვიდად ტოვებს ამ ქვეყანას.

მოცემული მოთხრობის კონტექსტში სიკვდილი ჩვენზე ესთეტიურობით ზემოქმედებს. ავტორი მას განსაკუთრებული მხატვრული სახით წარმოგვიდგენს და გარკვეულწილად შიშისა და აგრესის საწინააღმდეგო იდეოლოგიას ქადაგებს. შესაძლოა, ეს დაკავშირებულია ტანატოლოგიური სიუჟეტის თავისებურ სტრუქტურულ აგებულებაზე, სადაც სიკვდილი, უცნობი მგზავრის სახით, ჩვეულებრივი ადამიანივით იქცევა — ეცნობა და ხარობს ცხოვრებისეული წეს-ჩვეულებით, სიცოცხლით. მთელი თხრობის მანძილზე, გიგლასთვის წუთიერად თვალის ჩინის დაბრუნებამდე, ავტორი არ ეხება ფილოსოფიურ საკითხს თვით სიცოცხლის არსისა და შინაარსის შესახებ; ეს სიუჟეტის განვითარებას შეუმლიდა ხელს, რამეთუ სიცოცხლის საკითხით, მისი უსასრულო ცხოველმყოფელი საწყისით დაინტერესება, უკვდავების იდეას წარმოშობდა შვილებში, შვილიშვილებში, შვილთაშვილებში და თუნდაც უსინათლო გიგლას მთელი ცხოვრების მონაგარში; ავტორის მიერ წარმოდგენილი სიკვდილის სახე კი უმნიშვნელო აღმოჩნდებოდა. სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა — ეს ერთ-ერთი ყველაზე იმპლიციდური და მიმზიდველი თემაა არა მხოლოდ ტანატოლოგიურ ლიტერატურათმცოდნეობაში, არამედ ზოგადად სამყაროში. ამ პრობლემის ანალიზისას ჩვენ ვხედავთ ადამიანის სრულ დამოკიდებულებას ბედისწერაზე, რომელსაც იგი გარდაუვალი დასასრულისკენ მიჰყავს...

ამ დასასრულს აქვს დასაწყისი...

მისი სახელია სიცოცხლე!..

#### **ლიტერატურა:**

მარი გიგაშვილის მოთხრობა „დასასრულის დასაწყისი“.

/დაიბეჭდა გაზეთ „კალმასობა“-ში №2 (94.) 2006 წ./



## მილდრედ კალანდარიშვილი

სად არის დასასრულის დასაწყისი ან დასაწყისის დასასრული?

### რეზიუმე

მსოფლიო ლიტერატურაში სიკვდილის სახე მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. მარი გიგაშვილის მოთხოვნის დამაინტრიგებელ სათაურში „დასასრულის დასაწყისი“ ჩადებულია სიკვდილის ფენომენის მთელი არსი. ის წარმოდგენილია ავტორის მიერ, როგორც უსასრულო სუბსტანცია, რომელიც ერთ მთლიანობას შეადგენს სიცოცხლესთან ერთად, დასასრულისა და დასაწყისის გარეშე. ავტორს მკითხველი მიჰყავს თავისი გმირების კვალდაკვალ და შეუმჩნევლად დგება ზღურბლთან, რომლის იქითაც იბადება ახალი საწყისი. აქ სიკვდილი ჩვენზე ესთეტიურად მოქმედებს და ქადაგებს გარკვეულ იდეოლოგიას — სიკვდილში სიცოცხლის გაგრძელებას — უკვდავებას. ამ ფილოსოფიაში არა მხოლოდ სიკვდილის, არა-მედ სიცოცხლის იმპლიციდურობაც მოიაზრება — დასასრულიც და დასასრულის დასაწყისიც.

Mildred Kalandarishvili

### Where is The beginning of the end or The end of the beginning

#### Abstract

In the world literature the image of « Death » has weighty place. In intrigue title of the story by Mary Gigashvili gives the whole essence of the phenomenon of death. She is represented by the author as a certain infinite substance forming a whole with life, without ending or beginning. The author takes us together with their heroes, quietly in the threshold of a new beginning. Here the death affects us aesthetically, preaching a certain ideology continuation of life in death, i.e. immortality. In this philosophy the entire implicitness, not only of neither death, nor life-end and the beginning of the end, so wisely enshrined the author in the title of his story.



## გურამ კუთალაძე

### ნუნდა (ეტიმოლოგიური ცდა)

ნუნდა - ტოპონიმი პირველად IX - XI საუკუნის წყაროებში გვხვდება. დღეისათვის ასე უნოდებენ მოზრდილ, დაუსახლებელ „ტერასებიან გორას“ და იქ აღმართულ ეკლესიას ვარძი-ის სიახლოვეს, სოფლების ნაქალაქევისა და თმოვვის გარემოცვაში.

ნუნდა, ლეონტი მროველის მიხედვით, ფარნავაზის სამეფო სახლის ერთ-ერთი რეზიდენ-ციაა, მოხელე-ერისთავის საჯდომი, ქვემო ჯავახეთში, მტკვრის ხეობის მარჯვენა ნაპირის გაშ-ლილ ვაკეზე ჯავახოსის მიერ ნაგები. ის ქართლის უპირველეს და უმტკიცეს ციხე-ქალაქთა რიცხვში, უკვე, ალექსანდე მაკედონელის აზიაში ლაშქრობის დროისათვის მოიხსენიება (1,24); მართალია, ლეონტის „მოქცევაი ქართლისად“ არ ადასტურებს, მაგრამ, ვფიქრობთ, უპირატესობა, ამ შემთხვევაში, საქართველოს ისტორიის უძველესი სახელმძღვანელო წიგნის პირველი ავტორ-რედაქტორის ინფორმაციას უნდა მიენიჭოს. მისი ცნობის უტყუარობა დას-ტურდება წერილობითი, არქეოლოგიური თუ ტოპონიმიკური მასალის მონაცემებით.

ნუნდა-ქალაქი მრავალუბნიანი დასახლება ყოფილა, პროფესორ ლ. ჭილაშვილის დაკვირ-ვებით, თანამედროვე წუნდის გორა ქალაქის ბირთვსა და ციტადელს მოიცავდა, დანარჩენი უბ-ნები კი ნაქალაქევის, ბერთაყანისა და ჯიუტ-მალას ტერიტორიაზე გავრცობილა. წუნდა, მეც-ნიერის დასკვნით, „მტკვრის ზემო წელის ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიური და სტრატეგი-ული პუნქტი იყო. ის თავისი უბნებით, გამაგრების სისტემით, ციხით (ხერთვისი) ამ რაიონში თითქმის ერთადერთია, რომელიც ქალაქად ჩაითვლება“ (2,30).

დღეს წუნდის მიდამოების ყველაზე დიდი სოფელი ნაქალაქევია. თავის დროზე სწორედ ამ სახელმა ავარაუდებინა მეცნიერებს აქ უძველესი ციხე - ქალაქის არსებობა. მის სამხრეთით შემორჩენილია ტოპონიმი ნასასახლევი და იქვე, სიახლოეს, „ჯიუტ-მალა“, სხვანაირად, ურიათ-უბანი: „ჯიუტ“ » ჯიეჰუდ « იეჰუდ -- ებრაული; „მალა“ » „მანა“ - იგივე უბანი; მაგ. კიმოთისმა-ნი (2, 34);

ნაქალაქევის ჩრდილო-დასავლეთით, მტკვრის მარჯვენა ფრიალო ნაპირზე ქარვასლის ნანგრევებია განვითარებული ფეოდალური ეპოქისა, თავის დროზე, გაცილებით ძველ, შესაძ-ლოა, ამავე დანიშნულების ნაგებობაზედ დაშენებული. ადგილს დღეს ნაქარვასლევი ეწოდება. ეტიმოლოგიურად ნათელი და გამჭვირვალეა ტოპონიმი ბერთაყანაც.

ჩვენთვის ხელმისაწვდომ სამეცნიერო ლიტერატურაში თვითონ წუნდა - ტოპონიმის, მისი ეტიმოლოგის თაობაზე არაფერია თქმული. პროფესორი მ. ბერიძე ჯავახეთის ტოპონიმიკური ანალიზისას წუნდა ტოპონიმის (პუნქტის) მხოლოდ ლოკალიზაციაზე საუბრობს (3); საკითხს გვერდს უვლის გ. ბედოშვილიც (4).

აღსანიშნავია, რომ წუნდა ვახუშტის წუნა-დ აქვს გადმოცემული, დადასტურებულია წონდა ფორმასხვაობაც. სიტყვის ეტიმოლოგის გასარკვევად ამოსავალი, ჩვენი აზრით, წუნ - ფორმატი უნდა იყოს, სახელის ვახუშტისეული გადმოცემაც, ვვარაუდობთ, ამას ამონმებს.

წუნ-ი სულხან-საბასთან განმარტებულია როგორც „წუნების ნაწილი, საწუნო“ (5). საზო-გადოდ, წუნ ძირით ნარმოებული სიტყვების სემანტიკა ნეგატიურობის მატარებელია, მდარეს, ზადიანის, კნინის მნიშვნელობით: წუმპე (იგივე წუნპე-მყრალი ლაფი); წუნკალი (წუნკი, უჯიშო, ზნედაცემული) და სხვ. ჩვენთვის, ჩვენი ჰიპოთეზისათვის, განსაკუთრებით საგულისყუროა ის კომპოზიტები, რომელის პირველი წევრი - წუნ - ძირი სემანტიკით ერთდროულად თხიერსა და წუნებას უკავშირდება. ისინი, ძირითადად, წუნდებულ, ნოტიო, წყლიან ობიექტს აღნიშნავს: წუნწუხი - 1. მყრალი ლაფი, წუმპე, 2. საქონლის პატივი წყალში გახსნილი; წუთხე (წუნთხე – წუნილი სითხე). ამავე თვალსაზრისით საინტერესოა წურბელა (წუნბელა?) სახელი, რომელიც დამდგარ, მყაყე წყალში მცხოვრებ არსებას მიემართება, ნეგატიური შეგრძნების აღმძვრელს. მეტად ფასეულია კომპოზიტი წუნწუბა, წუმწუმა (ინგილოური), ძველქართულად „იგივე გო-გირდი“ (6).

ვფიქრობთ, ტოპონიმი ეტიმოლოგიურად წუნ-ძირის ორთავე ზემო აღნიშნულ შინაარსი-საგან ნარმოსდგა. ასეთ შემთხვევაში ამ ძირით ნაწარმოები ტოპონიმი წყლიან ადგილს უნდა



აღნიშნავდეს, თანაც, თავის ამ წყლიანობაში, ზაღოვანს, ნაკლიანს. წუნდის მიდამო ჯავახეთში წყლიანობით, მართლაც, გამორჩეულია და, რაც, ამ შემთხვევაში, არსებითია, წუნდის გორას ძირში გოგირდოვანი წყლის გამოსავალია. ასეთივე გოგირდნებულებს მთელს ხეობაში, ხერთვი-სიდან ვარძიამდე, ვაწყდებით. გოგირდოვანი წყლები კი, როგორც ცნობილია, სპეციფიკური, უსიამო სურნელმატარებელია. წუნა სახელით, შესაძლოა, სწორედ გოგირდნებულების გამოსავა-ლები აღინიშნებოდა-ხოლმე, ოდესლაც, „მითოსურ უამში“. ასეთი წუნა-ადგილები მტკვრის ხე-ობის ამ მონაკვეთში იმდენივე იქნებოდა, რამდენიც გოგირდნებულობია - სოფელ ნაქალაქევ-თან, ვარძიასთან და სხვ. ვვარაუდობთ, რომ ეს პუნქტები, მათივ განსაკუთრებულობა-რჩეუ-ლობის წყალობით, საკრალურით შეიმოსა და თაყვანცემის ობიექტად იქცა, ხეობის ეთნო-ლინ-გვისტური ჯგუფი თავის საკერპო-სალოცავთ, ალბათ, სწორედ წუნა-წყლებთან გამართავდა, მათ გააღმრთობდა.

მითოსურ გააზრებაში, როგორც ცნობილია, სამყარო, დასაბამიერი ცენტრის მქონე, სხვადასხვა, ამ ცენტრის ნაირსახეობა ცენტრებად, შეიძლება ვთქვათ, მიკროცენტრებად ნა-ნილდება. ერთეული საცხოვრისის (სახლის) დონეზე ასეთ ცენტრი კერიაა ან დედაბოძი. ხოლო სახლის (კერის/დედაბოძის) გარეთ, მთელი (გორა) დასახლებისათვის ცალკე მდგომი, საერთო (მთავარი) საკერპო-სალოცავი. თავისითავად, ამ გორა-დასახლების (სოციუმის) სამყარო კერპ-სალოცავის (სამყაროული ცენტრის თავისითავში მომცველის და მასახიერებელის) გავლენის არეალით, სხვანაირად, მისი „ქვეყნით“ შემოიფარგლება. ასეთი გორა-დასახლებანი, დროთა სვლაში (მიზეზი ცხოვრების გართულება-გამრავალფეროვნება) ერთი იდეოლოგიური, პოლი-ტიკური და ეკონომიკური რეგალიის ქვეშ ერთიანდება; ზუსტად ასევე, მითოსური უამის რაღაც ეტაპზე დღევანდელი წუნდა გორა-საცხოვრისი წინაურდება, საკუთარი სამეურნეო-პოლიტი-კური რეგალიის ქვეშ აქცევს მთელს ხეობას, ჩვენი ვარაუდით, ხერთვისიდან მგელციხემდე (დღეს თურქეთშია). იმვის ერთი კონკრეტული, ეთნო-ლინგვისტური და პოლიტიკური სოციუმი, ისტორიული წუნდის „ქვეყანა“. ვიმეორებთ, ეს ეთნო-ლინგვისტურად და რელიგიურად ერთია-ნი სოციუმია, ერთი პოლიტიკური და სამეურნეო რეგალიის ქვეშ მოქცეული, რაც, სხვათა შო-რის, „ქართლის ცხოვრება“-მ, ზუსტი, სოციალ-პოლიტიკური ასპექტის მომცველი ტერმინით - „წუნდელნი“- აღბეჭდა: „დაუტევნა მას შინა ლაშქარი შემწედ წუნდელთა და მბრძოლად ოძრხე-ველთა და წარვიდა“ (I, 47).

წუნდაში, „ქართლის ცხოვრების“ თქმა რომ მოვიშველიოთ, წარმართ წუნდელთა „ღმერ-თები ღმერთობდნენ“. საბოლოოდ, რაღაც ეტაპზე წუნა-ცენტრის მთავარ ღვთაებას თავის თავში უნდა მოეცვა და გაეერთიანებინა სხვა წუნა საკერპო-სახელდებანი, რამაც მთავარი სა-კერპოს და ადგილის მრავლობითობის ფორმით აღნიშვნა განაპირობა: წუნ-და სიტყვაში ფუძი-სეული - და, ჩვენის აზრით, იგივე თა - მრავლობითობის პრეფიქსი უნდა იყოს, ენობრივი კა-ნონზომიერების შედეგად სახეცვლილი. რომ შევაჯამოთ, წუნდა სახელის წარმოქმნის გზა ჩვენ ასე გვესახება: წუნა — წუნათა — წუნდა.

ჩვენი თვალსაზრისის საარგუმენტაციოდ, როგორც უკვე ვთქვით, ტოპონიმის ვახუშტისე-ული წუნა ფორმა გამოდგება. აქვე, ამავე ასპექტით, ფრთხილ ვარაუდს გამოვთქვამთ წუნდის თანამედროვე ეკლესიის ხუროთმოძღვრული თავისებურებიდან გამომდინარე; ეკლესია, რო-გორც ძეგლის მკვლევარმა თ. ქარუმიძემ გაარკვია, რაღაც ძეგლ, მეცნიერის მიერ „კრიპტა“ -დ წოდებულ, ნაგებობაზედ არის დაშენებული. ისიც ცნობილია, რომ წუნდის ეკლესია გეგმარე-ბის თვალსაზრისით მეტად თავისებურია, ქართულ არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ტრადიციული დარბაზული გეგმარება აქ ტრაპეციული ფორმითაა შეცვლილი. თ. ქარუმიძე ამის მიზეზს „უკვე არსებული კრიპტის გეგმის“ თუ მისი ნაწილის შენარჩუნების წადილით ხსნის (7); თუ ეს ასეა, ეჭვის საფუძველი კი არა გვაქვს, საქმე რაღაც მნიშვნელოვან, აღნიშვნის, დახსომებისა და დაცვის ღირს ნაგებობასთან უნდა გვქონდეს; ასეთად, ვფიქრობთ, მხოლოდ საკრალური ობიექტი შეიძლებოდა ქცეულიყო. სავარაუდოა, რომ „კრიპტა“ ტრადიციული საკ-რალური ნაგებობის ნაწილს წარმოადგენს.

იოანე, კონსტანტინე ბიზანტიის იმპერატორის წარმოგზავნილი ეპისკოპოსი წუნდაში ეკ-ლესიას აგებს, დასაშვებია, რომ ეს, თავდაპირველი ეკლესია ტრადიციული წარმართულის სა-ლოცავის ადგილზე აიგო, უფრო მეტიც, შესაძლოა, ქრისტიანული ეკლესიისათვის სავსებით შეგნებულად გამოეყენებინათ წარმართული საკერპო-ნაგებობა, მისი ნაწილი მაინც. ასეთი შემ-

თხვევები საკმაოდაა, როგორც ქართულ ისე მსოფლიო ქრისტიანულ არქიტეტურაში. მაგალითად, „საგზებელსა თანა ცეცხლისასა“ აუგია ნიქოზის ეკლესია ვახტანგ გორგასალს (8,215); ცეცხლის ტაძრის რეკონსტრუქციის ნიმუშად ითვლება უფლისციხისა და ნეკრესის ბაზილიკები (9,12). ასევე, ლიბანის მთის კულტის ბაზილიკები, „ბევრი მეცნიერის მიერ ქრისტიანულ ეკლესიებადაა მიჩნეული“ (10,44-45). უფრო მეტიც, „ზოგიერთი ადრეული ეკლესის შიგნით სავარაუდოა სხვა, კერძოდ, მითრას კულტმსახურების წარმოების შემთხვევებიც: ეკლესიათა ერთ ჯგუფში დადასტურებულია სპეციალური სათავსოს - მითრეუმის - არსებობა“ (10,54). ხომ არ შეიძლება ჩვენს შემთხვევაშიც იგივე დავუშვათ; იქნებ, „მეცეცხლე“ და ქრისტიანი „წუნდელნი“ გარკვეული პერიოდი ერთ, ფუნქციურად და ტექნიკურადაც ორად გაყოფილ ნაგებობაში ლოცულობდა? ამით, საფიქრებელია, „ქვეყნის“ პირველი რელიგიური ცენტრის და სალოცავის სტატუსი გაიზრდებოდა და განმტკიცდებოდა, წარმართები ახალი რელიგიის მიმართ ლოიალობით განიმსჭვალებოდნენ, ქრისტეს ახალნერგნი რწმენაში გააძლიერებოდნენ და რიცხობრივადაც იმატებდნენ.

წუნდის თანამედროვე ეკლესიის დიდოსტატმა ხუროთმოძღვარმა კი საუკუნეთა შემდეგ საკუთარ ნაგებობას დაუნარჩუნა ტრადიციული სიწმინდის, საკრალურის უძველესი მატერიალური ნაშთი (7, 173).

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

1. ქართლის ცხოვრება II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 505
2. ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში I, 1968
3. მ. ბერიძე, ჯავახეთი, ტოპონიმიკური ანალიზი, თბ., 1992
4. გ. ბედოშვილი. „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი“, თბ., 2002
5. სულხან საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ნ.II, თბ. 1993
6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ტ. 8, თბ., 1964
7. თ. ქარუმიძე, წუნდის ეკლესია, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ნარკვევები VI, 2000
8. ქართლის ცხოვრება, მთ. რედაქტორი რ. მეტრეველი, თბ., 2008
9. ნ. სილაგაძე, ქართულ - ირანული ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტი, თსუ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი, შრომები I, თბ., 2010
10. თ. დუნდუა, ნ. სილაგაძე, MIOTPAZ საქართველოში, თბ., 2010,



## გურამ კუტალაძე

### წუნდა (ეტიმოლოგიური ცდა)

#### რეზიუმე

წუნდა სიტყვის ძირი არის წუნ - ფორმატი, რომელიც წუნებას, დაწუნებას აღნიშნავს. გვაქვს ისეთი კომპოზიტები, სადაც პირველი წევრი - წუნ - ძირი სემანტიკით ერთდროულად თხიერისა და დაწუნების შინაარსმატარებელია. ვვარაუდობთ, მტკვრის ხეობის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთის (ხერთვისიდან მგელციხემდე) უძველეს მოსახლეობას წუნა სახელით უნდა აღენიშნა გოგირდოვანი წყლების გამოსავალები, შესაბამისად, აქ არსებული საკერპონი. უამთა სიგრძეზე წუნდა გორის, მისი კერპის გარშემო დაჯგუფდა და გაერთიანდა მთელი „წუნდის ქვეყანა“, რასაც სახელის მრალობითობითი გაფორმება მოჰყვა; საბოლოოდ, ტოპონიმის წარმოშობის სქემა ასეთია: წუნა - წუნდა - წუნდა.

GuramKataladze

### Tsunda (Etymological experiment)

#### Summary

The bottom of the word Tsunda is Tsun –format, which means reject. We have comlpsites, where the first member – Tsun – bottom with semantics simultaneously means liquid and reject. It's significant, that Mtkvari ravine's interesting section (from Khertvisi to Mgelistikhe) "Of the epoch of mythos" population must have marked sulphatic springs, accordingly the icons, which're here. During the history, around the Tsunda population and its icon grouped and consolidated the whole "Tsunda's Land", this provoked of the name "Tsuna's" plural form.



## ლაურა კუტურიძე

### ფაქტისა და კომენტარის ურთიერთობისართვა

ერთ-ერთი თანამედროვე განმარტებით, „უურნალისტიკა არის სისტემა, რომელსაც საზოგადოება ქმნის ახალი ამბების მოხაპოვებლად”. [1,10]

ამჯერად ჩვენი განხილვის საგანია ახალი ამბების (news), როგორც უურნალისტური პროდუქტის, შექმნის უმთავრესი დილემა - ფაქტისა და კომენტარის ურთიერთობიმართება.

თითქოს პარადოქსია, მაგრამ უურნალისტიკის ეს უპირველესი და ფუნდამენტური ცნებები უურნალისტიკის განვითარების კვალობაზე უფრო მეტად ხდება ცხოველი დისკუსიისა და კვლევის საგანი. ყველა უურნალისტურ სახელმძღვანელოსა თუ ეთიკის კოდექსებში ფიგურირებს ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნის აუცილებლობა, მაგრამ არ გვხვდება ფაქტისა და კომენტარის ცნებების მკაფიო განსაზღვრა.

პროფესიულ ლიტერატურაში ფაქტზე მსჯელობისას აპრიორი იგულისხმება, რომ ამ ცნებით გამოხატულია უურნალისტის მიერ მოძიებული და შემოწმებული ფაქტობრივი მასალა და არა საკუთრივ ფაქტის განყენებული ცნება. მაგრამ ხშირად ფაქტი თავისთავად იგივედება ინფორმაციასთან, ახალ ამბავთან, სიმართლესთან, კომენტარი კი – არა მხოლოდ უურნალისტის ან რედაქტორის მოსაზრებასთან, არამედ, ნებისმიერ კომენტართან, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია ახალი ამბები (ნენს). ვითარებას ართულებს ის გარემოებაც, რომ ცნებები – **ინფორმაცია, ახალი ამბავი ზოგჯერ გამოიყენება როგორც უურნალისტური ასახვის ფორმა (ჟანრი), ზოგჯერ კი – როგორც ამ ფორმის ცალკეული კომპონენტი.**

ვნახოთ, როგორ არის განსაზღვრული ეს ცნებები იურიდიულ დოკუმენტში – საქართველოს კანონში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ. კანონის „ტერმინთა განმარტებაში“ (მუხლი 1.) „**ფაქტი**“ საერთოდ არ შედის, ხოლო შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი იწოდება „**აზრი**“:

„**აზრი – შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, ავრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.**“ \*\*(თავი I, მუხლი 1.ბ) [2,336]

ამ განმარტებაში აზრი, ანუ, იგივე კომენტარი, თვალსაზრისი, მკვეთრად არის გამიჯნული ფაქტისაგან, მაგრამ, აზრის განმარტებისაგან განსხვავებით, როგორც აღვნიშნეთ, არ არის მოცემული ფაქტის დეფინიცია. რაც შეეხება ფაქტისა და კომენტარის (ანუ, იურიდიული განსაზღვრებით – აზრის) ურთიერთობიმართებას, კანონში ასეა ჩამოყალიბებული:

„**აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.**“ (თავი I, მუხლი 7.5) [2,341]

შევეცადოთ პასუხი გავცეთ კითხვას – **რას ნიშნავს უურნალისტიკაში ფაქტი, რომლის-განაც უნდა გავმიჯნოთ კომენტარი (ანუ, აზრი, კანონის ტერმინოლოგით!)** და **რა დატვირთვა აქვს კომენტარის ცნებას?**

დავაყენოთ საკითხი ასე – თავისთავად სიმართლე, სინამდვილე არის თუ არა უკვე ფაქტი? როგორ განვასხვავოთ ფაქტი და შეფასება? რა უნდა გავმიჯნოთ – ფაქტი და მისი შეფასება (ანუ კომენტარი) თუ – მოვლენა და შეფასება?

ფაქტთან მიმართებაში კომენტარი და შეფასება იდენტური, ტოლფასი ცნებებია თუ არა?

არის კი ფაქტი რაღაც სავსებით ობიექტური და კომენტარი/შეფასება/თვალსაზრისი – სუბიექტური? ან – ფაქტი პირველადია და მასზე მსჯელობა და მისი შეფასება – მეორადი?

\* აქ და ყველგან ციტატებში ხაზგასმა ჩვენია (ლ.კ-ზ.)



კითხვების ეს კასკადი, ერთი შეხედვით, გვაძნევს, მაგრამ, მეორე მხრივ, გვეხმარება საკითხის არსის გარკვევაში.

**რეალობა ადამიანისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ფაქტი კი – არა!** ადამიანი (ამ შემთხვევაში ვიგულისხმოთ უურნალისტი) გამოყოფს, აფიქსირებს სინამდვილის/რეალობის რაღაც ფრაგმენტს, ასპექტს, მოვლენას, არქევეს მას გარკვეულ სახელს, აყალიბებს თვალსაზრისის/თვალსაზრისების სახით; თვალსაზრისებს ავითარებენ სინამდვილის/მოვლენის/ამბის თვითმხილველები, ექსპერტები, დიამეტრალურად განსხვავებული შეხედულების მქონე პიროვნებები და ა.შ; და, რაღა თქმა უნდა – თავად უურნალისტი ან რედაქტირა! ამ თვალსაზრისთაგან შესაძლოა რომელიმე იყოს ჭეშმარიტი (შეესაბამოდეს რეალობას) ან მცდარი (არ შეესაბამებოდეს რეალობას); მაგრამ ეს რომ დავადგინოთ, ე.წ. **ვერიფიკაციას** (ანუ, შემოწმებას, დადასტურებას) უნდა მივმართოთ – თვალსაზრისი სინამდვილეს უნდა შევადაროთ და დავრწმუნდეთ, რომ იგი ჭეშმარიტია, ან – მცდარი.

**მხოლოდ მას შემდეგ, როცა ალმოჩნდება, რომ ამგვარად ჩამოყალიბებული თვალსაზრისი სწორია, ის ყალიბდება ფაქტად/იქცევა ფაქტად!**

სიმართლის ძიების პროცესში (რომელიც ფაქტის ფუნდამენტად უნდა იქცეს), უურნალისტი შეიძლება შევადაროთ გეშიან და კარგად განვრთნილ მექებარს, ან – დეტექტივს.

უურნალისტიკის პროცესშიადგინებისადმი მიძღვნილი ამერიკული კვლევის („უურნალისტიკის ელემენტები“) ავტორები აღნიშნავენ, რომ „უურნალისტური სიმართლე“ უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სიზუსტე. ესაა „გადარჩევის პროცესი“, რომელიც, ერთი მხრივ, საწყის ამბავსა და, მეორე მხრივ, საზოგადოების, ახალი ამბების შემქმნელებისა და უურნალისტების ურთიერთქმედების პროცესში ვითარდება.“ [1.48]

თეორეტიკოსები მიიჩნევენ, რომ ფაქტს კი არ აღწერენ, არამედ, გადმოსცემენ. შეიძლება აღინიშნოს, როგორ ვითარდება მოვლენა და არა ფაქტი. ფაქტი საერთოდ „არ ხდება“, ეს არის მოვლენის ჩვენეული ინტერპრეტაცია, ჩვენს მიერ შექმნილი ხატი („სიტუაციური ხატი“), რომელიც შემოწმების (ვერიფიკაციის) შედეგად ნამდვილი აღმოჩნდა. [3,17-18]

ამ ათვლის წერტილიდან ფაქტი და კომენტარი, ფაქტი და თვალსაზრისი არათუ ურთიერთსაპირისპირ ცნებებია, არამედ, ერთი მთლიანი პროცესის – ამბავის, მოვლენის ფაქტად ჩამოყალიბების მთავარი კომპონენტები.

ანუ, ფაქტი ფაქტად იქცევა და ჩვენთვის ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ თვალსაზრისების მეშვეობით! სწორედ ამგვარად ჩამოყალიბებული ფაქტი არის ახალი ამბების (news), ანუ საინფორმაციო პროდუქტის, ფუნდამენტი.

აღსანიშნავია ისიც, რომ მასმედიის ზემოქმედების მკვლევარები ახალ ამბებს განმარტავენ, როგორც პროცესს; ახალი ამბები, უმეტესწილად, არის არა მოვლენა, არამედ, რაღაც პროცესის გაგრძელება. [4]

დავუბრუნდეთ ფაქტის და კომენტარის გამიჯვნის დილემას. ზემოაღნიშნულ მსჯელობაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ: **ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს ის კომენტარი/კომენტარები** (ანუ, თვალსაზრისები), **რომლისგანაც ფაქტი შედგება, და საკუთრივ უურნალისტის** (ან, რედაქტირის) **კომენტარი/თვალსაზრისი.**

უურნალისტს, რა თქმა უნდა, აქვს ფაქტებთან და მოვლენებთან თავისი დამოკიდებულება (თეორიაში მას უურნალისტურ ტენდენციას უწოდებენ) და არც მისი გამოხატვა ეკრძალება პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკის ფარგლებში, მაგრამ ტენდენცია არ უნდა გადაიზარდოს ტენდენციურობაში, მიკერძოებაში.

უურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციის დეკლარაციაში უურნალისტთა ქცევის პრინციპების შესახებ აღნიშნულია, რომ „... უურნალისტი ყოველთვის დაიცავს ახალი ამბების კეთილსინდისერად შეგროვებისა და გამოქვეყნების თავისუფლების, ასევე, ობიექტური კომენტირებისა და კრიტიკის უფლების პრინციპებს.“ [5,16] ანუ, დეკლარაცია არ გამორიცხავს უურნალისტური თვალსაზრისის არსებობის უფლებას.

ევროპის ქვეყნებში მოქმედ ეთიკის კოდექსებში გვხვდება ფორმულირება უურნალისტური კომენტარის/თვალსაზრისის თაობაზე. მაგალითად, ბელგიის კოდექსში აღნიშნულია, რომ

ფაქტებისა და კომენტარის გამიჯნვის პრინციპმა „ხელი არ უნდა შეუშალოს გაზეთს/უურნალს გამოხატოს როგორც საკუთარი, ასევე, სხვათა აზრები.“ [5,18]

ჩეხეთი: „კომენტარის გაკეთების დროს, უურნალისტი ტენდენციურობის გამო არ უნდა დასცილდეს სიმართლეს.“ [5,18]

პოლონეთი: „ავტორის კომენტარი ან ვარაუდი მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს ინფორმაციისგან.“ [5,18]

უურნალისტური თვალსაზრისის გამოხატვის უფლება განსაკუთრებით მკაფიოდაა ჩამოყალიბებული ლიტვის ეთიკის კოდექსში: „თვალსაზრისი უნდა გამოხატოს იმ უურნალისტმა, რომელიც უფლებამოსილია რედაქციის მიერ, ან ნებისმიერმა პიროვნებამ, რომელიც გამოხატავს შეხედულებებს ზოგად მოვლენებსა და ამბებზე. მიუხედავად ამისა, მოსაზრების სუბიექტურობა გარდაუვალია, ამიტომ ავტორმა უნდა უზრუნველყოს მოსაზრების კეთილსინდისიერად და სამართლიანად, ფაქტებისა და მონაცემების დამახინჯების გარეშე გადმოცემა.“ [5,19]

სხვათა შორის, ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების კოდექსებში ფაქტისა და კომენტარის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით მეტი სიცხადეა. როგორც ჩანს, ტრადიციული დემოკრატიის ქვეყნების კოდექსებში იგულისხმება, რომ ამ ცნებების დაკონკრეტება საჭირო არ არის, რამდენადაც ის განსაზღვრულია დამოუკიდებელი მედიის მრავალწლიანი პრაქტიკითა და .თეორიული წანამძღვრებით.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2007 წელს მიღებული მაუწყებელთა ქცევის კოდექსი ავალდებულებს მაუწყებლებს „ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნოს ფაქტი და კომენტარი. თავიდან უნდა იყოს აცილებული მოსაზრებათა ცალმხრივი ინტერპრეტაცია.“ (7,8)

საქართველოს **საზოგადოებრივი მაუწყებლის ქცევის კოდექსში** (პროფესიული სტანდარტები და უურნალისტური ეთიკის პრინციპები სსმ-ის პროგრამებში) დაშვებულია უურნალისტური თვალსაზრისის განვითარების უფლება: „უურნალისტს აქვს უფლება, გამოხატოს პროფესიული შეხედულება, რომელიც ობიექტურ ფაქტებზე იქნება დაფუძნებული, მაგრამ არა აქვს უფლება, ცალმხრივად შეაფასოს მოვლენები და საჯაროდ გამოხატოს სუბიექტური აზრი.“ (8,8)

საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი (ტ/კ I არხი), რადიო თავისუფლების ქართული რედაქციის გარდა, ჯერჯერობით ერთადერთი ქართული მედიასაშუალებაა, რომელსაც საკუთარი პროფესიული სტანდარტები აქვს შემუშავებული და დეკლარირებული (აქვე აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველი მედიასაშუალება საქართველოში, რომელსაც საკუთარი კოდექსი ჰქონდა და პრაქტიკაში ხელმძღვანელობდა მისი პრინციპებით, „დილის გაზეთი“ იყო).

დემოკრატიულ ინოვაციათა ცენტრის მიერ 2003 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ქართულ ბეჭდურ მედიაში ინფორმაციის/ანალიზის/კომენტარის/რეკლამის განუყოფლობა! მკითხველთა ჯგუფებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ამ ცნებებს შორის განსხვავება მკითხველის პირად შეფასებაზეა დამოკიდებული; ანუ, ის თავად ახდენს ინფორმაციის სტრუქტურებას გაზეთის კითხვის პროცესში. [6]

ქართულ მედიასივრცეში ამჟამადაც თითქმის იგივე ვითარებაა, რასაც, უმეტესწილად, არაპროფესიონალიზმი განაპირობებს – როცა უურნალისტი ვერ ახერხებს ფაქტების მწყობრად გადმოცემას, მკაფიოდ ვერ მიჯნავს საკუთარ და სხვათა თვალსაზრისებს; თუმც, არც ამ „გამყოფი ხაზის“ შეგნებული დარღვევის და თვალსაზრისებით მანიპულირების შემთხვევებია იშვიათი.

დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც მედიის თვითრეგულირების მექანიზმი მოქმედებს, ფაქტისა და კომენტარის გაუმიჯნაობა ხშირად ხდება მედიასაბჭოების განხილვის საგანი. მიუხედავად იმისა, რომ მედიასაბჭო საქართველოშიც არსებობს, ჩვენს რეალობაში ამგვარი პრაქტიკა ჯერ არ არის დამკვიდრებული.



### ლიტერატურა:

1. კოვაჩი, ბ., როზენსტილი ტ., (2006). *უურნალისტიკის ელემენტები*. თბილისი: იმპრესი
2. ცაცანაშვილი, მ. (2004). *ინფორმაციული სამართალი*. თბილისი
3. Понятия чести, достоинства и деловой репутации: спорные тексты СМИ и проблемы их анализа и оценки юристами и лингвистами. (2004). Москва: Издательство Медея
4. Брайант, Д.; Томпсон, С. (2004). *Основы воздействия СМИ*. Москва - Санкт-Петербург – Киев: Издательский дом Вильяме
5. უურნალისტური ეთიკა და თვითორეგულირების მექანიზმები. (რედაქტორი – კინწურაშვილი, თ.). (2003). თბილისი: თავისუფლების ინსტიტუტი
6. ქართულ პრესაში უურნალისტური ეთიკის ნორმების დაცვის მონიტორინგი. (2003). თბილისი: დემოკრატიულ ინოვაციათა ცენტრი
7. მაუნტებელთა ქცევის კოდექსი  
<http://gpb.ge/NormativeActs.aspx?LangID=1> (მოძიებულია 01.02.2011)
8. საზოგადოებრივი მაუნტებლის ქცევის კოდექსი (პროფესიული სტანდარტები და უურნალისტური ეთიკის პრინციპები სსმ-ის პროგრამები)  
<http://gpb.ge/NormativeActs.aspx?LangID=1> (მოძიებულია 01.02.2011)

## ლაურა კუტუბიძე

ფაქტისა და კომენტარის ურთიერთმიმართება

### რეზიუმე

ყველა უურნალისტურ სახელმძღვანელოსა თუ ეთიკის კოდექსებში ფიგურირებს ფაქტისა და კომენტარის გამიჯვნის აუცილებლობა, მაგრამ არ არსებობს თავისთავად ფაქტისა და კომენტარის ცნებების მკაფიო განსაზღვრა. ფაქტი, რომელსაც ახალი ამბები (news) გადმოსცემს, ეს არის ამბის/მოვლენის ინტერპრეტაცია, რომელიც ფაქტად იქცევა და ჩვენთვის ხელმისაწვდომი ხდება შემონმებული (ვერიფირებული) თვალსაზრისების მეშვეობით. ამ ათვლის წერტილიდან ფაქტი და კომენტარი, ფაქტი და თვალსაზრისი არათუ ურთიერთსაპირისპირო ცნებებია, არამედ, ერთი მთლიანი პროცესის – ამბავის, მოვლენის ფაქტად ჩამოყალიბების მთავარი კომპონენტები. ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯვნოს ის კომენტარები, რომლისგანაც ფაქტი შედგება, და საკუთრივ უურნალისტის (ან, რედაქტორის) კომენტარი.

**Laura Kutubidze**

### Relation between fact and comment

#### Abstract

The importance of separating fact from comment is figured in every journalistic manual or in codes of ethics, but we don't have the clear definitions of the concepts of fact and comment themselves. The fact, which is broadcasted in news, is simply an interpretation of event that then becomes a fact and is available for us through the verified points of view. From this starting point, fact and comment, fact and point of view are not only the controversial concepts, but the main components of one whole process – process of forming an event as a fact. The comments that form fact must be separated from the comment of journalist (editor) itself.





## ელგა ლომიძე

### აგონურის ზოგიერთი ასახტი თანამედროვე ურნალისტიკაში

სიმბოლოს პრობლემების გაგების გასაღებად კომუნიკაციურ სივრცეში დისციპლინათა-შორისი მიდგომა გვესახება. ჩვენს გამოკვლევაში ასეთი მიდგომა ყველაზე პროდუქტიულად გვესახება. ცნობილია, რომ რაც უფრო ფართოა პრობლემა, მით უფრო მარტივად უნდა იქნას გამოთქმული საკუთარი ჰიპოთეზა, საკუთარი ბოლო ჭეშმარიტება. ეს საშუალებას მოვცემს თავიდან ავიცილოთ მეცნიერული მიდგომების შესაძლო აღრევა და გაუგებრობა. ამგვარი რწმენა, ჩვენი თვალსაზრისით, მოცემული გამოკვლევის არამეცნიერულობისა და უსარგებლობის აღმნიშვნელი არ იქნება, რამეთუ ნებისმიერი ნაშრომის საბოლოო ამოცანა მდგომარეობს მის უნარში რთული მარტივად აქციოს, რათა მარტივი პრაქტიკაში იქნას გამოყენებული. ასეთ შემთხვევაში პრობლემისადმი ერთადერთ და სამართლიან მიდგომას ჩვენ ვხედავთ „მთლიანობის“ იდეაში - „პოლიზმის“ მიზნებში, სადაც მთლიანი ობიექტური და სუბიექტური საწყისის სინთეზირებას ახდენს. მხოლოდ ამგვარი მიდგომა გვაძლევს საშუალებას ჩავწვდეთ ძველი აგონისა და აგონისტიკის იდეებს, ძველი სიმბოლოების ბუნებას და ჩვენს ცხოვრებაში მათ აქტიურ არსებობას. ამ მიზნით ჩვენ ვაპირებთ მივმართოთ ბიოპოლიტიკის ბოლო მიღწევებს, მაგრამ შევეხებით მხოლოდ აგონისტურ ქცევას ბიოლოგიურ სფეროში და მის კავშირს ადამიანის ბუნებასთან, ჩვენი ქცევის სიმბოლურ ფორმებთან. ბუნებრივია, ამგვარი გააზრება შესაბამება ნატურალიზმის ფილოსოფიას. ამჟამად ნატურალიზმის პოზიციისკენ ბიოლოგის ბევრი ჰუმანიტარული სფერო ისწრაფვის, კერძოდ კი, ბიოეთიკა. ჩვენს თემასთან მიმართებაში ეს ნაბიჯი სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია.

მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს აგონისტური ქცევის თვალსაზრისით შესწავლისას ბიოლოგები იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ცხოველებისა და მცენარეების ქცევა, საქმაოდ ვრცელ ევოლუციურ დიაპაზონში ადამიანთა საზოგადოებასაც სავსებით ესადაგება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მთავარი ამოცანა საყოველთაო აგრესის, ყველას წინააღმდეგ ყველას ომის შემცირება უნდა იყოს. ბიოპოლიტიკური ტექნოლოგიების თვალსაზრისით, ცხოველებს, ისევე როგორც ადამიანებს, გააჩნიათ ამგვარი აქტის მოთხოვნილება, რომელსაც „აგრესიული ქცევის ბუფერი“ ეწოდება და თუ მაიმუნებში აგრესიულობის ჩამხმობ მოქმედებად თითებით ტაქტილური შეხება, ტუჩებით შეხება, სათამაშოდ მიწვევა ითვლება, ადამიანის შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს იგივე კოცნა, ხელის ჩამორთმევა ან სპორტული თამაშები.

საინტერესო იყო ჩვენთვის ინჸიბიდურობის ფაქტი ცხოველთა სამყაროში, აგრეთვე ალელობათის ფაქტი მცენარეებში. ბიოლოგები ხაზს უსვამენ, რომ ცხოველებს აგრესიულობის კორელაცია გააჩნიათ. ამრიგად, ირკვევა, რომ ზიანის მიყენების (კბილებით, ბრჭყალებით) რაც უფრო მძლავრი იარაღი გააჩნია მოცემულ ბიოლოგიურ სახეობას, მით უფრო ძლიერად არის მასში გამოხატული ინჸიბირება (ანუ „შინაგანი ბარიერი“), რომელიც წინ აღუდგება ამ „იარაღის“ უკონტროლო გამოყენებას. ადამიანთა საზოგადოებაში ამის პარალელების მოძებნა არც ისე ძნელია, იმავე „ინჸიბირების“ გამოვლინება ვიხილეთ, „შეკვების პოლიტიკაში“, სადაც ბირთვულ სახელმწიფოთა მეთაურები ვალდებულებას იღებენ არ გამოიყენონ ბირთვული იარაღი თანამედროვე სამხედრო კონფლიქტების მოსაგვარებლად. უფრო მეტიც - 2008 წლის აგვისტოს ომის დროს რუსეთის მხარეს საქართველოს წინააღმდეგ ძალის არაპროპორციულად გამოყენებაში დასდეს ბრალი, ანუ იგი „შინაგანი ბარიერის“, ძალის კორელაციის უქონლობაში ამხილეს.

რაც შეხება მცენარეთა სამყაროს, აგონური გამოვლინებები აქ მცენარეების ადელოგოპათიაში, გადარჩენის მიზნით ტოქსიკური ნივთიერებების დაგროვების, მეზობლებზე ამა თუ იმ სახით ზემოქმედების უნარში გამოიხატება. ჩრდილის მოყვარე მცენარე ნაძვი დამლუპველ ზემოქმედებას ახდენს მუხის ზრდაზე, ხშირად ასეთი მეზობლობა მუხას კლავს. მაინც რაში გამოიხატება აგონის კავშირი ყველა ჩამოთვლილ ფაქტთან? სწორედ აგონი გახდა შორეულ წარსულში „სოციალურ ურთიერთებულებათა საყოველთაო გრამატიკის“ მოდელის თავისებური ამმოქმედებელი. თუ შეუა საუკუნეებში ევროპის ქვეყნებში დუელები საქმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული, როგორც აგრესიისგან დაცლის სოციალურად მიღებული (თუმცა კი ინდივიდალურად სახიფათო) არხი, დღეს აგრესიის სუბლიმირებულ ფორმად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენს დროში ძალზე მოდური პრეზიდენტთა შიშველი ტორსების ბრძოლა. „სეკუნდანტებად“ აქ სიმბოლუ-

რად მასობრივი ინფორმაციის საშუალებები გვევლინება სათაურებით: „პრეზიდენტობა გინდა? - გაიხადე!“ „ვისი ტორსია უკეთესი?“, (Политический бодибилдинг, 2010) „ყავა რძის წინააღმდეგ“, „ობამა პუტინის წინააღმდეგ“, „კროლი ბატერფლაის წინააღმდეგ“. სხვადასხვა დროს ფოტორეპორტიორები კადრებში იჭერდნენ კლინტონს, სარკოზის, პუტინს, ბარაკ ობამას და სააკაშვილს, რომლებიც საკუთარი ათლეტური ფიგურების დემონსტრირებას ახდენდნენ. „ამას ჩვენი პოლიტიკოსები, ალნიშნავენ ვირტუალური მასობრივი ინფორმაციის სამუალებები, - შეგნებულად, საგანგებო შემთხვევებში და აშკარად გარკვეული მიზნით მიმართავენ“. ჩვენ უკვე ზუსტად ვიცით, რომ წელიწადში ერთხელ საკუთარი კარგი ფიზმომზადების საჩვენებლად ბევრი პოლიტიკოსი სიამოვნებით იხდის ტანზე-უკრაინაში ამ ქვეყნის მთავრობის წევრთა ბანაობა ნათლისდებისას ანდა საქართველოს პრეზიდენტის გაცურვები შავ ზღვაში მამაკაცური აგონური ძალის, ძლიერი ჯანმრთელობისა და მათ მიერ იმის დემონსტრირებაზეა გათვლილი, რომ „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“.

გ. ზედგინიძის კორესპონდენციაში „ორი პრეზიდენტის ტორსები“ (ვედგениძე, 2010) ნათელია: „სააკაშვილმა, ისევე, როგორც პუტინმა, კამერის წინ გაიხადა ტანზე. ვისი ტორსი ჯობია?... ოფიციალურად ამით მას უნდოდა საკუთარი წვლილი შეეტანა შავი ზღვის კურორტის პოპულარიზაციაში, რომელიც თანდათან საქართველოს ხელისუფალთა მთავარი პროექტი ხდება“. ეს არის ვლადიმერ პუტინის მორიგი გამოწვევა, რომელიც ასევე გაშიშვლდა კამერის წინ მთელი ქვეყნის თვალწინ“.

საქართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა საზოგადოებრივი დისკუსია გა-  
მართეს. პრეზიდენტი შესანიშნავად ცურავს, აღნიშნავდნენ გამოცემები, რადგან სიყმაწვილეში  
წყალბურთში საქართველოს ნაკრებში თამაშობდა. რაც შეეხება ამერიკულ საიტებს, ობამას  
„შიშველი ტორსის“ გამოჩენაზე მათ ძაზლე მახვილგონივრული რეაქცია ჰქონდათ. მათ ინ-  
ტერნეტში

განათავსეს კენჭისყრა ასეთი კითხვით: „ვისი შიშველი ტორსია უკეთესი: ვლადიმერ პუტინისა თუ ბარაკ ობამასი“ - პოლიტიკური ბოდიბილდინგი. (Vigeo. Paparaci. 61 შოკ. 2008).

დასავლური სამყაროს წამყვანი ქვეყნების პრეზიდენტთა ამგვარი აგონური მეტოქეობა უფრო მეტ ყურადღებას იპყრობს, ვიდრე მათი პოლიტიკური პროგრამები, გამოთქმამ „პოლიტიკური კუნთები“ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, ჩვენი თვალსაზრისით, ახალი სიმბოლური მნიშვნელობა შეიძინა, რომელიც იმათ ლოიალურ, არააგრესიულ და სავსებით ინგიბიდურ ქცევაზე მიუთითებს, ვის ხელშიც არის თავმოყრილი თანამედროვე იარაღის უძლეველი ძალა. ჩვეულებრივ მოქალაქეებს მაგალითს რომ აძლევენ, მსოფლიო ლიდერები საკუთარ სხეულზე ზრუნვის ძველებერძნულ კანონებს მისდევენ, რადგან ჩაფიქრებული პოლიტიკოსების საკუთარი რეზიდენციების ხეივნებში სეირნობის დრო სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. აგონი კი კვლავაც თავისი თავდაპირველი დანიშნულების ერთგული რჩება.

აგონი - ეროსი ბერძნულ მითოლოგიაში ერთი მხრივ დამაკავშირებელ საწყისს განასახიერებდა, მეორე მხრივ კი ადამიანის თავდაპირველი ცხოველური საწყისის სქემების ბრძოლის სულის გამოვლინების უმაღლეს ფორმებს. აგონი პიროვნებისგან პატივმოყვარული მოთხოვნილებების რეალიზაციას, ჯანსაღი კარიერიზმის პრობლემების გადაჭრას მოითხოვს. გაუცნობიერებელი ეროსი ყოველთვის ძალაუფლებისკენ სწრაფვაში ვლინდება. იუნგთან ეროსი სექსის სინონიმად ვერ იქნება განხილული, ის ფსიქიკური ბუნების - ესთეტიკური სულიერი საწყისების ერთ-ერთი ასპექტის სახით გვევლინება. შვეიცარიელმა ფსიქოანალიტიკოსმა ეროტიული გამოვლინების ექვსი სტადია შემოგვთავაზა ბიოლოგიური, სექსუალური, ესთეტიკური, სულიერი სიბრძნის ფორმით. (Олескин, 2010).

დიდი ხანია შემჩნეულია, რომ რაც უფრო ძლიერი და სრულყოფილია სიყვარული, მით უფრო მაღლე წყდება იგი. მაგრამ შეწყვეტა დაღუპვას როდი ნიშნავს. ეს გრძნობა ადამიანის ცხოვრების მთელ გზას ანათებს, რადგან როგორც დიდმა მწერალმა თქვა „ყველაფერი გაივლის, მაგრამ ყველაფერი არ ივიწყება“. ჟურნალ „სარკის“ 46-ე ნომერში სათაურით „რამ შეინირა თამრიკო გვერდწითელისა და გიორგი კახაბრიშვილის ოჯახი“ („სარკე“, 2010, 17-19 ნოემბერი), „ვარსკვლავიერი“ წყვილის არშემდგარი სიყვარულის ბანალური სიტუაცია კი არ არის წარმოდგენილი, არამედ ადამიანურ ურთიერთობათა აგონური ჭრილი, რომელმაც უთუოდ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. („სარკე“, 2010, 17-23 ნოემბერი). შესაძლოა მოცემული პუბლიკაცია არ ასახავს დღევანდელ ტენდენციებს, ასე ფართოდ რომ არის გამოყინებული „პრიალა“ პრესა-



ში, ეს არის „განზოგადებულად ტიპიური“ სიტუაცია. თუმცა ცნობილი ტელერეჟისორის გოგი კახაბრიშვილისა და პოპულარული მომღერლის თამრიკო გვერდწითელის მასალები გაშლილ გვერდებზე ისე გამოიყურება, როგორც აზრების შეჯახების მცდელობა, წარმოდგენილი ადამიანების ხასიათი, ბედი მყითხველისთვის ზნეობრიობის პრინციპების, სიცოცხლის სიყვარულის სიბრძნის სიმბოლოებად იქცევა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ კახაბრიშვილი და გვერდწითელი იმისთვის გაიყარნენ, რათა ყვარებოდათ. საქციელი საინტერესოა როგორც ხასიათის გამოვლინება, სადაც თითოეული გმირი თავის ადგილზე აღმოჩნდა, სადაც ბედის პარადოქსები საკმაოდ სენსაციურია, მაგრამ ისეა მოწოდებული, როგორც განსაკუთრებული ეთიკის სიმბოლო, როდესაც გმირების სიტყვებისა და საქციელის წყალობით მყითხველს კონფლიქტი ავინაუდება, რადგან საბოლოოდ აღმოჩნდა, რომ ეს არის მასალა სწორი გზის ძიების, დიდი ხელოვანების ძიების შესახებ.

აგონი - ეს არის პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანების, წესებისგარეშებრძოლის მონაწილე ყველაზე ძლიერი მებრძოლების, ყველაზელამაზიქალიშვილების, სახელმწიფოთაყველაზემძლავრიტექნოლოგიების, პარტიების, გაერთიანებების რეიტინგობანას თამაში წესების გარეშე,

„რა რეიტინგებში გაუსწო საქართველომ რუსეთს?“ („ალია“, 2010, 9-11 იანვარი) ასეთი სათაურით აქვეყნებს გაზეთი „ალია“ ექსპერტის ეკონომიკის საკითხებში სოსო ცისკარიშვილის კომენტარებს: „კავკას-პრესის ინფორმაციით, დსთ-ს ქვეყნებში ცხოვრების დონის ხარისხით საქართველონამყვან პოზიციას იკავებს. ინდექსი გამოაქვეყნა უურნალმა „ინტერნაციონალ ივინგი“, საქართველო გამოქვეყნებული რეიტინგით 56 ქულას აგროვებს, რითაც თანამეგობრობის ქვეყნებში მოლდოვასა და უკრაინას უთმობს პოზიციას, რომელთაც 65 და 62 ქულა აქვთ. ამავე რაოდენობის ქულა აქვს სომხეთს. აქ გათვალისწინებულია ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა საარსებო დონე, ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა, გარემო პირობები, კლიმატური პირობები, კულტურა, დასვენება, უსაფრთხოება და რისკფაქტორები“. გაზეთი პოსტსაბჭოთა სივრცის ლიდერებზე მიუთითებს. გამარჯვებული ყოფილი კავშირის რესპუბლიკების ამ სიაში ბალტიის ქვეყნები ლიდერობენ: ლიტვა (ქულა), ესტონეთი (71), ლატვია (70), ბელორუსმა და რუსეთმა მხოლოდ 54 ქულა დააგროვეს. შეფასება და კლასიფიკაცია ისე შემოვიდა ჩვენს ყოველდღიურობაში, რომ თანამედროვე უურნალისტიკის ძირითად ჟანრის წარმომქმნელ, პუბლიკაციების თავისებურების განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა, აქ მოვლენები შეიძლება განეკუთვნებოდეს საქმიანობის სხვადასხვა სფეროს: ეკონომიკას, ფინანსებს, პოლიტიკას, კულტურულ ცხოვრებას, სპორტს. რეიტინგების პოპულარობა ამჟამად საკმაოდ დიდია, მათ უურნალ-გაზეთების გვერდებზეც შეხვდებით. აგონური მოვლენის ამგვარი პოპულარობა ელემენტარული წესით აიხსნება: დღევანდელი მეანაბრისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს, რომელი ბანკები და კომპანიები შეიძლება იყოს მისთვის საიმედო, რომელ ოლიგარქს უნდა მიბაძოს.

ბრძოლის სიმბოლო სიტყვიერ ორთაბრძოლებშიც აქტიურად არის გამოხატული და ამის მაგალითები მრავლადაა.

მაგრამ ჩვენი ზოგადი აგონური კულტურის სუსტი ბაზა შესამჩნევია. მოსმენის, კამათის ლოგიკის წვდომის უნარის უქონლობა საერთო ავადმყოფობაა, რომელსაც საზოგადოება ძნელად სძლევს და ეს ცხადია. და მაინც არ შეიძლება არ დავინახოთ ჩვენი თანამედროვე უურნალისტიკის ძალისხმევა, რომელიც წარსულში დავინებულ და მხოლოდ აშშ-ს სახელმწიფობრიობის ჩამოყალიბების განთიადზე აქტიურად რეანიმირებულ ამ კულტურაში პირველ ნაბიჯებს დგამს. ამჯერად ჩვენ საქმე გვაქვს მთელი ჩვენი ცხოვრების აზრის, სტრუქტურისა და შინაარსის ცვლილებასთან, სადაც თითოეული ვალდებულია უწინარეს ყოვლისა იფიქროს საკუთარ ადგილზე საზოგადოებაში, თავის ამომწურავ შემოქმედებით რეალიზაციაზე, კარიერაზე მისი საუკეთესო გაგებით, ყოფისა და ყოფიერების ურთულეს პირობებში გადარჩენის გაკვეთილებზე.

ახლა კვლავ სიმბოლოს და აგონის პრობლემას დავუბრუნდეთ. ნებისმიერი კომუნიკატორი კომუნიკაციური ზემოქმედების ტექნოლოგიურ სისტემებში სიამოვნებით ეყრდნობა სიმბოლოს (Яровой, 2009). თავისი ამბივალენტურობისა და მნიშვნელობის ფართო ტევადობის გამო სიმბოლო სხვადასხვა განმარტებებს შეიცავს, შესაბამისად შესაძლებელია ის სხვადასხვა მიზნით, ანუ სხვადასხვა განზრახვით იქნას გამოყენებული. მანტიკური განმარტებების პრაქტიკაში სიმბოლო დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობით, თავის უმაღლეს და

უმდაბლეს განზომილებაში არის განმარტებული და თუ აგონის სიუჟეტებს ისე განვიხილავთ, როგორც უმაღლესი რიგის კულტურულ ვარიაციებს, სადაც შეჯიბრი, თამაში, ეროსი შეჯახებათა არეა, ეს ექსტრემალურპირობებში საზოგადოების კონსოლიდაციაც არის და გადარჩენაც. მაღალი აგონის ტექსტურა ფართო სიმბოლურ დიაპაზონში გამოდის. მის უმდაბლეს გამოვლინებას ვხედავთ ბოლო ასი წლის მასობრივი ინფორმაციის ყველაზე პოპულარულ სიმბოლოში - „ყვითელ ბიჭუნაში“ და მის მიმდევარ ყვითელ პრესაში, იაფფასიანი სენსაციების სამჭედლოში. მაღალი აგონის უკან დგას ურნალისტიკაში სოციალურად მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, მისი უმდაბლესი გამოვლინება - აუდიტორიით მანიპულირებაზე მიმართულ საინფორმაციო-გასართობი ინდუსტრიის დანამატად არის გადაქცეული. მოცემულ შემთხვევაში მიზანი ძალზე ტრივიალურია - ეკონომიკური და პოლიტიკური სარგებელი.

მივმართოთ პულიტცერის პირმშოს წარმოშობის ერთ-ერთ ისტორიას. არსებობს ვერსია, თითქოს ეს სიმბოლო ჩინეთ-იაპონიის ომის წლებში (1895) გაჩნდა. ამ ომმა დასავლეთს იაპონურ საზოგადოებაში ურაპატრიოტული ისტერიის მაგალითები უჩვენა. ამიტომაც გაჩნდა ამერიკული პრესის ფურცლებზე „ყვითელი ბიჭი“ აშკარად გამოხატული აზიური ნაკვთებით, მიზანი ყვითელ კონტინენტზე სიტუაციის პაროდირებაიყო.

პულიტცერის მიზნები - ემოციების გამოღვიძება წარმატებით განხორციელდა. ყვითელი საწყისის გამოჩენით სენსაციურმა რეპორტაჟებმა უურნალისტიკაში პროფესიული მეთოდები შეცვალა. ყურადღების ცენტრმა თავად ფაქტიდან მისი მიწოდების ფორმაზე გადაინაცვლა. ეპატაჟი, სენსაცია, ეკლეკტიზმი. ჩვენს ამოცანაში არ შედის ამ სახის პრესის ტექსტების შესწავლა, თუმცა ნათქვამის საილუსტრაციოდ მივმართავთ ორი პუბლიკაციის შედარებას, სადაც მაღალი ეროსი - აგონი („რამ შეიწირა მომღერლისა და რეჟისორის ოჯახი“) უთუოდ ენერება კულტურის ტექსტში. სრულიად სხვაგვარი ვარიაცია არის წარმოდგენილი გაზეთში „Prime Time“ სათაურით „ლალი მოროშკინას დაბადების დღე სტრიპტიზკლუბში“ („Prime Time“, 2010, 22 ნოემბერი) ურიცხვი რაოდენობის ფოტოსურათებით, რომლებზეც აღბეჭდილია ნახევრად-შიშველი მედლეობები, რომელიც თავის 41-ე დაბადების დღეს აღნიშნავს: „...დაემთხვა, ამიტომ ლალიმ თავიდანვე დამაინტრიგებელი შესავალი გააკეთა, საჯარო ბიბლიოთეკასთან ერთად რომ დავბადებულიყავი, იქ გადავიხდიდი, მაგრამ სტრიპტიზკლუბთან ერთად დავიბადე და იქ ვიხდი, თუმცა ვიხდი, თუ „ვიხდი“ ამას მერე გაარკვევთო“... და შოუც დაიწყო“. (Prime Time. 2010, 22 ნოემბერი).

როგორც ამგვარ გამოცემებს სჩვევია, პუბლიკაციების ვიზუალური მხარე ყვითელი გამოცემის ყველა კანონს პასუხობს: ცნობილი საზოგადო მოღვანის ეპატაჟი დაფიქსირებულია პოზებში, მიმიკაში, ნახევრად შიშველი მხიარული ქალებისა და მამაკაცების საჩოთირო გარემოცვაში. ყვითელი პრესის ტრადიციული ფერები - ნარინჯისფერი, წითელი, ცისფერი - ძლივს გამოკრთის ცუდი ბეჭდვის გამო.

ასე წარმატებით გადმოინაცვლა მხატვარ-გრაფიკოსის, რიჩარდ სუტკოლტის (1885) ნახატში გამოხატულმა ფრივოლურობის სიმბოლომ გაზით „The Word“-ში დაბეჭდილი „ყვითელი ბიჭუნას“ გამონათქვამებით ქართულ პრესაში, იმ განსხვავებით, რომ ორმოცი წლის ქალის ფრივოლურ გამონათქვამებს მის ფაშვაშა წელზე უზარმაზარი ცისფერი ბაფთა ამშვენებს. არსებობს მეცნიერული მტკიცებულებები, რომლებიც იმაზე მეტყველებს, რომ ახალშობილი ბავშვები ყველა ფერიდან სწორედ ყვითლის, როგორც ყველაზე ნათელი, ოპტიმისტური და ექსტრავერტური ფერისა გარჩევას იწყებენ. XX საუკუნიდან მოყოლებული ამ ფერმა დაბალი ხარისხის პრესის ნეგატიური მნიშვნელობა შეიძინა.

ფიზიოლოგიური ფაქტორები, რომლებიც ადამიანის სოციალურ ქცევაზე ზემოქმედებს, განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენს ცნობიერებასთან - ასე ირწმუნება თანამედროვე მეცნიერება ბიოპოლიტიკა. ეს დისციპლინათამორისი მეცნიერება იმ ეთიკური და პოლიტიკური იდეების, ღირებულებების ახალი სისტემის შემუშავებაში გვეხმარება, რომლებიც შექმნილი იდეოლოგიური ვაკუუმის დაძლევას უწყობენ ხელს. პოლიტიკური იდეების, ეთიკური კომპონენტებისა და მიზნების სისტემაში ბიოლოგის მისია მნიშვნელოვნად გაძლიერდა.



### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლორთქიფანიძე ო. (1989). ქველი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა. თბილისი.
2. სურმანიძე ლ. (2010). კულტურა მეთოდოლოგიურ პერსპექტივაში. თბილისი.
3. აბზიანიძე ზ., ელაშვილი ქ. (2006). სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. თბილისი.
4. გაბაშვილი ე. (2007). საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბილისი.
5. ზედელაშვილი გ. (9-11 იანვარი 2010). რა რეიტინგებში გაუსწრო საქართველომ რუსებს? გაზეთი „ალია“. №2 (2439).
6. ლალი მაროშვინას დაბადების დღე სტრიპტიზ კლუბში (22ნოემბერი 2010). გაზეთი "Prime Time". №47 (89)
7. ჩიტიძე ა. (17-19 ნოემბერი 2010). თამრიკო გვერდნითელი: „ჩემ გვერდით ცხოვრება ადვილი არ არის“. ჟურნალი „სარკე“. №46 2010.
8. ჩიტიძე ა. (17-23 ნოემბერი 2010). რამ შეინირა თამრიკო გვერდნითელისა და გიორგი კახაბრიშვილის ოჯახი. ჟურნალი „სარკე“. №43 (2010).
9. Debre P. (2001). Cours de mediologie generale. Gallimard.
10. McLuhan M. (1967). Understanding Media. New York.
11. Бенуас Л. (2006). Знаки, символы, мифы. Москва.
12. Луман Н. (2003). Что такое коммуникация? Москва.
13. Зедгенидзе Г. (2010). Два президентских торса.<http://slon.ru/blogs/gzedgenidze/post/484322/>
14. Олескин А. Биополитика. [http://lib.co.ua/science/oleskin1/Oleskin\\_1.txt](http://lib.co.ua/science/oleskin1/Oleskin_1.txt)
15. Политический бодибилдинг. (2008). ("TheGlobeAndMail", Канада)  
<http://www.inosmi.ru/world/20070827/236270.html>

## ელზა ლომიძე

აგონურის ზოგიერთი ასპექტი თანამედროვე ჟურნალისტიკაში

### რეზიუმე

აგონი, როგორც ძველბერძნული სამყაროსგან ნასესხები და ამერიკის ცხოვრების ყაიდაში წარმატებულად რეალიზმებული კულტურის ფორმა, დღეს ჩვენი ცნობიერების, ჩვენი კულტურის, კამათის კულტურის, პატიოსანი შეჯიბრის და ცხოვრების რთულ პირობებში გადარჩენის ნაწილი ხდება. პრესის კვლევისას გამოიკვეთა, რომ გაუმართლებელი აგრესით, ფსევდოსენსაციურობით აღსავსე და ზნეობრიობას მოკლებული თანამედროვე ყვითელი პრესის პუბლიკიები შეიძლება ისე განვიხილოთ, როგორც ყველაზე დაბალი, დამახინჯებული, მაღალ მორალს, პროფესიონალიზმსა და ოსტატობას მოკლებული ფორმა.

**Elza Lomidze**

### Aspects of Agonistic in modern Journalism

#### Abstract

Agony as a form of culture was transformed from Antic Greece and successfully integrated into American life style. Today it becomes necessary attribute to survive in difficult social conditions and expresses in our mentality, culture, honest competition and culture of debates. In the process of media research it became obviously that articles which are published in yellow papers are full of unusefull aggressiveness, false sensation and without of a drop of moral and high level of professionalism. Such kind of publications could be define as the lowest form of agony in journalism.





## თამარ მარაგიშვილი

### დისკუსის არსი

ენა განიხილება, როგორც კულტურის ნაციონალური კოდი და არა უბრალოდ, როგორც კომუნიკაციისა და შემეცნების ლინგვოკულტურა, ანთროპოცენტისტული პარადიგმის პრო-დუქტი ლინგვისტიკაში. იგი უშუალო კავშირშია კულტურასთან. სამყაროს შესახებ ინფორმაციის უდიდესი ნაწილი ადამიანთან მოდის ლინგვისტური არსით (სიტყვის საშუალებით).

ენა არის გზა, რომლითაც შევიმეცნებთ არა მარტო ერის მენტალობას, არამედ ღრმად ვწვდებით ერების შეხედულებას სამყაროზე, საზოგადოებაზე, საკუთარ თავზე. ენა არის სამყაროს ხატი და შესაბამისად ყოველი დისკურსი, მის ფარგლებში აგებული ტექსტით, არის ამ ხატის აქტუალიზაცია. სამყაროს ენობრივ ხატს მუდამ ერწყმის სამყაროს კულტურული ხატი, ანუ ის ხატი, რომელსაც ჩვენ გვიქმნის ჩვენი კულტურა.

ლინგვისტიკაში ენისადმი ანთროპოლოგიურმა მიდგომამ გაააქტიურა ინტერესი მოსაუბრის ქმედების პრივატულსა და სოციალურ მხარეებზე, ამის შედეგად ბევრი მკვლევარისათვის დისკურსი გახდა შესწავლის ძირეული ობიექტი.

დისკურსი რთული კომუნიკაციური მოვლენაა, რომელიც შეიცავს ექსტრალინგვისტურ ფაქტორებს (კოდნა სამყაროს შესახებ, აზროვნება, ინტენცია).

თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში დისკურსის განსაზღვრება სხვადასხვაგვარია. ინგლისურ-ინგლისური ლექსიკონი დისკურსს განსაზღვრავს, როგორც თემატურად ურთიერთადაკავშირებული ტექსტების ერთობლიობას. ლოგიკაში იგი (დისკურსი) გაიგება, როგორც სამეტყველო კომუნიკაციის სახეობა.

ზოგადად დისკურსი გაგებულია უფრო ფართოდ – როგორც ყველაფერი, რაც ითქმება და ინერება (სამეტყველო ქმედება, აქტი).

კომუნიკაციაში ტექსტს უწოდებენ კომუნიკაციის ინტროვერტულ ფიგურას, დისკურს კი – ექსტრავერტულ ფიგურას.

დისკურსში, როგორც ერთიან ორგანიზმი, ერთდროულად ხორციელდება არა მარტო ენის, არამედ ენობრივი აზროვნების ყველაზე მრავალგვარი ასპექტები. კლასიკურ ფილოსოფიაში დისკურსული აზროვნება, რომელიც ცნებათა ან მსჯელობათა თანამიმდევრობით იშლება, უპირისპირდება ინტუიციურ აზროვნებას, რომელიც, ყოველგვარი თანამიმდევრული გაშლის გარეშე, ერთხაშად მოიხელობას მთელს. გასული საუკუნის 70-იან წლებამდე ტერმინები „დისკურსი“ და „ტექსტი“ ევროპულ ლინგვისტიკაში პარალელურად იხმარებოდა.

პრინციპული განსხვავებების დანახვა, დისკურსისა და ტექსტის ცნებების გამიჯვნა და-კავშირებულია ტ.ა. ვან დეიკის დისკურსული ანალიზის სკოლასთან.

დისკურსი განსხვავებული პრინციპული მიდგომით ვითარდება, როგორც ლინგვისტური პრაგმატიკის მიმართულება.

იგი ტექსტის პრაგმატიზებული ფორმაა, მისი კომუნიკაციური მარკირებაა, რისი შესწავლაც შეუძლებელია კომუნიკაციის სუბიექტისა და მისი ადრესატის ფაქტორებისგან განცენებულად, იმის გაუთვალისწინებლად, თუ რამ განაპირობა კომუნიკაციის აქტი, როგორი კომუნიკაციური ინტენცია მართავს ამ აქტს და ვინაა მისი ადრესატი. პრაგმატიზებული ტექსტის პირობათა გამოვლენა კი, თავის მხრივ, მოითხოვს ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებას, რადგანაც მათში თავს იყრის როგორც საკუთრივ ენობრივი, ასევე გარეენობრივი ასპექტები.

გარდა ამისა, თანამედროვე სამყაროში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების როლის გაფართოებასა და ზრდასთან ერთად გაძლიერდა საზოგადოებრივი აზრის პოლიტიკური ზემოქმედება, საზოგადოებრივი მასების პოლიტიზირება, კერძოდ კი, პოლიტიკური დისკურსი, რომელიც ხდება ადამიანის ინფორმაციული ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. ამიტომ პოლიტიკური დისკურსის ანალიზი აუცილებელია მისი შინაგანი კონცეპტის შესწავლისათვის, მისი ჭეშმარიტი ინტენციისათვის (ანუ იმ მასალის შესწავლისათვის, რაც უზრუნველყოფს პოლიტიკური მოღვაწის სიტყვისა და ინტენციის გაგებას), რომელიც აისახება მის საჯარო გამონათქვა-მებში.

პოლიტიკური დისკურსის კოგნიტური ასპექტების კვლევის პრობლემა წარმოადგენს ენის კოგნიტური თეორიის ერთ-ერთ პრობლემას. პოლიტიკური კომუნიკაციის მკვლევარმა, ნების-

მიერ შემთხვევაში უნდა იცოდეს, რამდენად სწორად ესმით ერთმანეთის მოსაუბრესა და მსმენელს. გაგებაზე ორიენტაცია ფუნდამენტური პირობაა ადამიანური ურთიერთობისა. ამასთანავე წარმატებული დიალოგი წარიმართება არა მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანები ცდილობენ, გაიგონ სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმების მნიშვნელობა პოლიტიკურ გამონათქვამებში, არამედ, უპირველეს ყოვლისა მაშინ, როცა ისინი კონცენტრირებულნი არიან სინამდვილის ფიგურაზე, რომლის სფეროშიც და რომლის საფუძველზეც არსებობს კომუნიკაცია ტექსტზე, რომელიც უზრუნველყოფს მის შინაარსობრივ-ენობრივ მხარეს, ასევე დისკურსზე, რომელიც უზრუნველყოფს შინაარსობრივ-მეტყველებით საფუძველს, ვერბალურსა და არავერბალურ კომპონენტებთან ერთად. კომუნიკაციის პრობლემის გადაწყვეტა ხორციელდება პოლიტიკური დისკურსის ანალიზის საფუძველზე ანუ მის კოგნიტურ ასპექტებზე დაკვირვებით, რამეთუ დისკურსი გარკვეული კანონზომიერებით მოწესრიგებული მეტყველებაა.

დისკურსის ზუსტი და საყოველთაოდ აღიარებული განმარტება, მისი გამოყენების ყველა შემთხვევის მომცველი, არ არსებობს. ეს ცნება მოდიფიკაციას ახდენს და სახეს უცვლის ტრადიციულ წარმოდგენას სიტყვაზე, ტექსტზე, სტილზე და ენაზეც კი.

ყველაზე მკაფიოდ გამოიყოფა ტერმინ „დისკურსის“ გამოყენების სამი ძირითადი კლასი, გაჯერებული სხვადასხვა ნაციონალური ტრადიციებითა და კონკრეტული ავტორების წვლილით. პირველ კლასს განეკუთვნება ამ ტერმინის საკუთრივ ლინგვისტური მოხმარება ამერიკელი ლინგვისტის ზ.ჰარისის დისკურს-ანალიზის სტატიის სახელწოდებაში მოხდა. ტერმინ „დისკურსის“ ლინგვისტური გამოყენება ძალზე სხვადასხვაგვარია, მაგრამ მთლიანობაში შეიმჩნევა მეტყველების ტრადიციული გაგების, ტექსტისა და დიალოგის დაზუსტებისა და განვითარების მცდელობა. ერთის მხრივ დისკურსი მოიაზრება, როგორც სიტყვა, შერწყმული კომუნიკაციურ სიტუაციასთან და ამის შემძლეობით, როგორც კატეგორია, უფრო ნათლად გამოხატული სოციალური შინაარსით ინდივიდის სამეტყველო მოღვაწეობასთან შედარებით, დისკურსი – ეს ფენომენია ცხოვრებაში ჩაძირული.

მეორეს მხრივ ანალიზის რეალური პრაქტიკა შერწყმულია კომუნიკაციური სიტუაციების ჩარჩოებში ინფორმაციის მოძრაობის კანონზომიერებების გამოკვლევებთან, განხორციელებულს რეპლიკების ცვლით, რითაც ხდება დიალოგური ურთიერთებების ზოგიერთი სტრუქტურის რეალური აღნერა, რაც აგრძელებს სრულ სტრუქტურულ ხაზს, ამასთანავე ხაზგასმით აღინიშნება დისკურსის დინამიური ხასიათი, რაც კეთდება დისკურსის მცნებასა და ტექსტზე, როგორც სტატიკურ სტრუქტურაზე ტრადიციული წარმოდგენის განსასხვავებლად. ტერმინ „დისკურსის“ გაგების პირველი კლასი უმთავრესად წარმოდგენილია ინგლისურენოვან მეცნიერულ ტრადიციებში.

ტერმინ „დისკურსის“ გამოყენების მეორე კლასი, უკანასკნელ წლებში გამოსულია მეცნიერების ჩარჩოებიდან და გვხვდება პოპულარული პუბლიცისტიკაში, რომელიც ფრანგი სტრუქტურალისტებისა და პოსტსტრუქტურალისტებიდან მოდის. უპირველეს ყოვლისა კი მ.ფუკო-დან. ამ გამოყენების უკან შეიმჩნევა სწრაფვა სტილის ტრადიციული გაგების („სტილი – ეს ადამიანი“) და ინდივიდუალური ენის დაზუსტებისაკენ.

ამგვარად, „დისკურსი“ აღნერს საუბრის ხერხს და გააჩნია განსაზღვრება – როგორი ან ვისი დისკურსი. ვინაიდან მკვლევარებს აინტერესებთ არა დისკურსი მთლიანობაში, არამედ მისი კონკრეტული სხვადასხვაობები, მოცემული პარამეტრების ფართო კრებულით: სუფთა ენობრივი განმასხვავებელი ნიშნებით (იმ საზღვრებში, რომელიც ისინი შეიძლება იყოს მკაფიოდ იდენტიფიცირებულები), სტილისტური სპეციფიკით (რასაც ბევრად განსაზღვრავს რაოდენობრივი ტენდენციები ენობრივი საშუალებების გამოყენებისას), აგრეთვე თემატიკის სპეციფიკით, დარწმუნების სისტემებით, განსჯის მეთოდებით და ა.შ. (ის, რაზეც საუბრობს დისკურსის ავტორი და ისიც, როგორ საუბრობს იგი ამაზე). ამ გაგებით, დისკურსი – ეს არის სტილისტური სპეციფიკა პლუს მის უკან მდგარი იდეოლოგია. უფრო მეტიც, მიაჩნიათ, რომ საუბრის ხერხი (საშუალება) ბევრად განსაზღვრავს და ქმნის თვით საგნობრივ სფეროს დისკურსისათვის, აგრეთვე მის შესატყვის სოციალურ ინსტიტუციებს. ამგვარი გაგება ასევე წარმოადგენს სოციოლოგიურს უმაღლეს ხარისხში. არსებითად, განსაზღვრება როგორი ან ვისი დისკურსი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მითითება სოციალური ქმედების სუბიექტის კომუნიკაციურ თავისებურებაზე, ამასთანავე ეს სუბიექტი შეიძლება იყოს კონკრეტული, ჯგუფური, აბსტრაქტულიც კი.

ტერმინ დიკურსის მესამე გამოყენება დაკავშირებული გერმანელი ფილოსოფოსის და სოციოლოგის ი.ხაბერმასის სახელთან. იგი შეიძლება ჩაითვალოს სახეობითად წინამდებარე გაგე-



ბებთან მიმართებაში, მაგრამ გააჩნია მნიშვნელოვანი სპეციფიკა. მესამე გაგებაში დისკურსად იწოდება კომუნიკაციის განსაკუთრებული იდეალური სახეობა, განხორციელებული შესაძლებლობების მაქსიმალური დაშორებით სოციალური რეალობიდან, ტრადიციებიდან, კომუნიკაციური რუტინიდან და ა.შ. გააჩნია კომუნიკაციის მონაწილეთა შეხედულებებისა და ქმედების კრიტიკული განხილვისა და დასაბუთების მიზანი. ამგვარად ჩამოთვლილი სამი მაკროგაგება და მათი სხვადასხვა სახეობები ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან.

#### ლიტერატურა:

1. Бенвенист Э. Общая лингвистика, М. Прогресс. 1974
2. Дейк Т.А. Ван. Язык Познание Коммуникация. М. Прогресс. 1989
3. Van Dijk. Teun. A. Ideology and Discourse. [www.discourse-in-society.org](http://www.discourse-in-society.org)
4. Safire W. On Language -Times Books. 1981
5. ს. ომიაძე, ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა სემანტიკა და ფუნქციონირება ( სადისერტაციო ნაშრომი ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად). თბილისი, 2006

## თამარ მერაბიშვილი

დისკურსის არსი

### რეზიუმე

სტატია ეძღვნება დისკურსს, როგორც ფენომენს და მის გამოყენებას თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. სტატიაში განხილულია ტერმინ დისკურსის გამოყენების სამი ძირითადი კლასი და მათი კონკრეტული სხვადასვაობები.

ზოგადად დისკურსი გაგებულია როგორც ყველაფერი, რაც ითქმება და იწერება (სამეტყველო ქმედება, აქტი).

სტატიაში ხაზგასმულია, რომ კომუნიკაციის პროცესი წყდება პოლიტიკური დისკურსის ანალიზის საფუძველზე, ანუ მის კოგნიტურ ასპექტებზე დაკვირვებით, რამეთუ დისკურსი გარკვეული კანონზომიერებით მოწესრიგებული მეტყველებაა.

**Tamar Merabishvili**

### Discourse as a phenomenon

#### Abstract

This article deals with the discourse as a phenomenon and its usage in contemporary humanitarian sciences. Three main classes of applying discourse and their varieties are discussed in the article.

Generally discourse is understood as entirely everything that is said and written (Speech act) Communication problem solution is implemented on the basis of political discourse analysis and observation on its cognitive aspects, however discourse is a regulatory smooth speech.





## თამარ ფაცელაძია

### ზეობის ფილოსოფიის საკითხები

„ქმედება არის ყველაზე ნათელი და გამომ-  
სახველი ადამიანის არსის გახსნისა. რასაც ადამი-  
ანი აკეთებს, ისეთივეა თავად“

გეორგ ვილჰელმ ჰეგელი

პაიდეია თვალებს მიხელს, – აღნიშნავდა პლატონი. ძველი ბერძნები ტერმინით „პაიდეია“ (პერძ. Pais - ბავშვი) აღნიშნავდნენ მრავალმხრივ განათლებასა და აღზრდას და გულისხმობ-დნენ ჰარმონიული ადამიანის ჩამოყალიბებას. დღესაც ხშირად გამოთქვამენ შეშფოთებას გა-ნათლების დონის დაქვეითების გამო. სწორედ არასრულყოფილი განათლება და აღზრდის არა-სათანადო დონე უდევს საფუძვლად და განაპირობებს მრავალ პრობლემას თანამედროვე სამ-ყაროში, რომელთა გადაჭრაში თავისი როლი ფილოსოფიამაც უნდა შეასრულოს. ჯერ კიდევ სტოელები აღნიშნავდნენ, რომ ადამიანი განდევნის ფილოსოფიას, როდესაც დალხენილია და მიმართავს მას, როდესაც უჭირს.

ადამიანურ ქმედებებსა და საქციელს მარტო გონება არ განსაზღვრავს. ადამიანს სინდისი ანუ ზნეობრივი გრძნობაც ახასიათებს. სწორედ სინდისი, ე.ი. „მამხილებელი გონება“ ახდენს სიკეთისა და ბოროტების სიბრტყეში ჩვენი ქმედებებისა და საქციელის შეფასებას.

ვის მიერ იქნა ჩამოყალიბებული და დადგენილი მორალური კანონები, ადამიანების მიერ? შეუძლია კი ადამიანს იცხოვროს იმ მცნებებისა და მოთხოვნების გათვალისწინებითა და დაც-ვით, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებისათვის თვითონვე შექმნა? განა არ შევსწრებივართ ადა-მიანის არაადამიანურ საქციელს - ომს, ძალადობას, ღალატს? ე.ი. ადამიანი მორალური მოთ-ხოვნების მაინცდამაინც კარგი შემსრულებელი არ არის. მაგრამ იარსებებს კი მორალი, თუ მას ჩამოვაცილებთ საზოგადოდ აღიარებულ მოთხოვნებს, ნორმებს? წარმოვიდგინოთ - გონება შე-იმუშავებს გარკვეულ ზნეობრივ მაქსიმებს, ადამიანი კი (ზოგჯერ უპირობოდ, ზოგჯერ სპონ-ტანურად) იცავს მათ კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში, ე.ი. ცდილობს თავისი არჩევა-ნი შეაფარდოს მზა, დიდი ხნის წინ გამომუშავებულ მითითებებთან, მოთხოვნებთან. იქნება თუ არა ასეთი ადამიანის ქცევები ყოველთვის ზნეობრივი? მაგალითად, ავთანდილი, რომელიც ყო-ველთვის გონების კარნაბით მოქმედებს, ფატმანის დავალებით კლავს ადამიანს, რომლის „და-ნაშაულის“ შესახებ არაფერი იცის ან ფატმანთან სასიყვარულო ურთიერთობის დროს „ჰელავს თინათინის გონება, ძრნის იდუმლითა ძრნოლითა“; ჰელეტმა იცის, რომ მკვლელობა ბოროტებაა. მაგრამ მამის აჩრდილი არ ასვენებს და შურისძიებისაკენ მოუწოდებს. როგორ უნდა მოვიქ-ცეთ? მაქსიმები რომ ყველა ცხოვრებისეული შემთხვევისათვის გამოსავალი იყოს, ადამიანი დრამატულ სიტუაციებში არ ჩავარდებოდა და არც ავთანდილს დაეუფლებოდა სინაულისა და მონანიების გრძნობა და არც ჰელეტის წინაშე დადგებოდა დილემა - ყოფნა-არყოფნა, შურის-ძიება თუ მიტევება. გამოდის, რომ გამოსავალი ჩვენს ცხოვრებაში დამკვიდრებულ, ადამიანურ ურთიერთობის არსებულ ნორმებში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ ზნემაღლი ურთიერთობები-სათვის განსაზღვრულ ქცევის წესებში.

საუკუნეების მანძილზე მორალი ადამიანს სთავაზობდა ქცევის კონკრეტულ ორიენტი-რებს, გამოხატულს ან რელიგიურ ნორმებსა და ღირებულებებში ან ფილოსოფიურად დასაბუ-თებულ პოსტულატებში ან ცხოვრებისეული სიბრძნისა და გამოცდილების სახით.

ანტიკური ეპოქის ეთიკა საინტერესოა იმით, რომ აქ ჩამოყალიბდა ეთიკური აზრის თით-ქმის ყველა მიმართულება, რომელიც შემდგომ ევროპული აზროვნების განსჯის საგანი გახდა.

სოკრატეს აზრით, ზნეობრივი ნორმების გარეშე ადამიანი ადამიანად ვერ მოიაზრება. თუმცა მისთვის სულ სხვაა, როდესაც ადამიანი ზნეობრივ ნორმას ასრულებს ტრადიციის ძა-ლით, გაუცნობიერებლად (ასეა მიღებული) და სხვაა, როდესაც ზნეობრივ მოთხოვნას ასრულე-ბენ შეგნებულად, რადგან სხვაგვარად არ შეუძლიათ. ეს არ არის იძულებითი საქციელი. ამას შინაგანი ხმა, შეგნება და ღირსება კარნახობს. ადამიანი საკუთარი სინდისის წინაშე უნდა იყოს მართალი. შეგნებული ადამიანი არასწორად არ მოიქცევა, ბოროტებას არ ჩაიდენს და ამის წყა-ლობით ბედნიერიცაა. ბოროტებას მხოლოდ უვიცი სჩადის.

სოკრატემ შემოიტანა პირადი პასუხისმგებლობის ცნება. ადამიანმა თავისუფალი არჩევნის საფუძველზე უნდა განახორციელოს ქცევა, უნდა იცოდეს, აცნობიერებდეს რას აკეთებს, რომ პირადად იყოს პასუხისმგებელი თავის საქციელზე. პოზიცია, „ყველა ასე იქცევა და მეც ასე ვიქცევი“, მას, როგორც ადამიანს, არ შეშვენის.

სოკრატესათვის „სიკეთე არის ცოდნა“. მაგრამ იგი უნდა მოვიპოვოთ. ცოდნა არ არის იგივე, რაც შეხედულება. ცოდნა, შეხედულებისაგან განსხვავებით, დარწმუნების ელემენტს შეიცავს. სიკეთის ცოდნა, სოკრატეს მიხედვით, არის სიკეთის შეგნება. ამგვარად, სოკრატემ ზნეობა და ცოდნა ადამიანში ერთმანეთს დაუკავშირა. თუ იცი რა არის სიკეთე, ბოროტებას არ ჩაიდენ. ამიტომ იწვევს ადამიანებში გაკვირვებას შეენებულის შეუგნებელი საქციელი.

„მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი“ – ამპობდა სოკრატე. აღიარო საკუთარი სულიერი სიღატაკე მოჩვენებითი სიმდიდრის (აქ: ცოდნის) ფონზე, ეს მართლაც სულიერი გმირობის ტოლფასია. სწორედ რომ სულიერი სიღატაკე ბადებს სულიერ შიმშილსა და წყურვილს. ამ გამონათქვამით სოკრატე მოგვინოდებს მივმართოთ დაუღალავ, განუწყვეტელ სულიერ გარჯას. ცოდნის მიიღწევა მხოლოდ სულიერი დაძაბულობის და სრულყოფის გზითაა შესაძლებელი.

პლატონის აზრით, სიკეთე არის სამყაროს არსებობის საწყისი და საფუძველი. ის არის შემოქმედი, ღვთაებრივი საწყისი. იგი მზესავით აძლევს ყველაფერს სინათლესა და სიცოცხლეს. სიკეთე ადამიანში უნდა განხორციელდეს, იგი ღმერთს რომ დაემსგავსოს და ამაღლდეს. ფილოსოფიის მიზანი არის არა მხოლოდ ღმერთი, არამედ ადამიანიც. სწორედ ფილოსოფიამ უნდა აჩვენოს ადამიანს მშვენიერი ცხოვრების გზა.

ადამიანის მიზანი, პლატონის აზრით, არის სიკეთე. რაში მდგომარეობს ადამიანური სიკეთე - სიამოვნებასა თუ გონიერებაში? ადამიანური სიკეთე არც მხოლოდ სიამოვნებაა და არც მხოლოდ გონიერება, არამედ მათი ნაერთი. თუმცა ყოველი სიამოვნებისა და გონიერების ნაერთი არ იძლევა ნამდვილ სიკეთეს ადამიანისათვის, არამედ მხოლოდ მათი რჩეული სახეების ნაერთი. პლატონი სათნოებით აღსავსე ცხოვრებას ქადაგებს. იგი ოთხ სათნოებას ცნობს:

1. გონების სათნოება არის სიბრძნე. ამით გონება ბატონობს ადამიანის ცხოვრებაზე. სწორედ გონება იმეცნებს ცხოვრების აზრს და ახორციელებს მას.

2. ნების სათნოება არის სიმამაცე. იგი გონების თვალით იმორჩილებს სიამოვნებებს.

3. სურვილის სათნოება არის ზომიერება, თვითდაუფლება, დამორჩილება არაგონიერი ვნებებისა.

4. ზოგადი სათნოება, წინა სამის ჰარმონიული გაერთიანების შედეგი, არის სამართლიანობა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სულის ყოველმა ნანილმა შეასრულოს მხოლოდ თავისი ფუნქცია, არ გავიდეს თავისი თავის გარეთ. გონება იმორჩილებს, ნება ახორციელებს ამ დამორჩილებას; ვნებები თავსდება გარევეულ საზღვრებში. ასეთი ჰარმონიულობა არის ჩვენი სულის ბედნიერი განწყობილება.

სათნოება ჩვენი ცხოვრების უმაღლესი სიკეთეა, არასათნოება – უდიდესი ბოროტება. როგორც ჯანმრთელობა არის სხეულის სათნოება, ისე სათნოება არის სულის ჯანმრთელობა, – თვლიდა პლატონი.

არისტოტელე იყო პირველი, რომელმაც ყურადღება გაამახვილა „განზრახვის“ ცნებაზე. მან განზრახვა და არა ნება მიიჩნია მოქმედების ხასიათის განმსაზღვრელად. განზრახვა ეხება იმას, რისი განხორციელებაც შესაძლებელია, რისი გაკეთებაც ადამიანს შეუძლია. ნებას კი შეიძლება მიმართება ჰერონდეს შეუძლებელთან. განზრახვა გულისხმობს მიზნის მიღწევის საშუალებების შერჩევას. ნებას კი საქმე აქვს ადამიანური მოქმედების მიზნებთან. ნებამ შეიძლება დასახოს მიზანი, მაგრამ მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებს განსაზღვრავს განზრახვა.

არისტოტელე თვლიდა, რომ ცხოვრების მიზანი ბედნიერებაა. მხოლოდ ზნეობრივ ცხოვრებას მივყევართ ბედნიერებისაკენ. ბედნიერება არის ადამიანის ცხოვრება სათნოების შესაბამისად. ადამიანმა თავისი თავის გამოხატვა უნდა მოახდინოს სიკეთეში, სიკეთის სამსახურში, სიკეთის ქმედებაში.

ამ ჰერიოდის მოაზროვნები იმავდროულად ცდილობდნენ დაესაბუთებინათ, რომ მორალი არ უნდა იყოს მიმართული ადამიანური ბუნების წინააღმდეგ, ე.ი. დესპოტური. ამ პოზიციიდან არისტიპმა (ძვ.წ. 435-355) ჩამოაყალიბა სხეულებრივ სიამეთა თავისებური კულტი. სიამოვნება თავისთავად სიკეთეა. თუმცა მოჭარბებულ, ზღვარგადასულ სიამოვნებას შეუძლია ტკივილი მოგვაყენოს, დაგვტანჯოს კიდეც. გონივრულად, სწორად უნდა ვისიამოვნოთ და თავი ავა-



რიდოთ უსიამოვნებებს. სწორედ ეს არის ცხოვრების მიზანი და სათნოების კრიტერიუმი. საზოგადოდ, ბედნიერება ხომ სიამოვნებათა ერთობლიობაა ...

ასე ჩაისახა ანტიკურ ეთიკაში ჰედონიზმი, ეთიკური მიმდინარეობა, რომელიც სიამოვნებას განიხილავს როგორც ზნეობრივი საქციელის მოტივსა და მიზანს.

გერმანული კლასიკური ფილოსოფიის ფუძემდებელი იმანუელ კანტი თვლიდა, რომ ადამიანს სიკეთის კეთება შეუძლია არა მარტო ანგარებიანი მოსაზრებით, არამედ თავად სიკეთის იდეის გამოც – თუნდაც მხოლოდ ზნეობრივი კანონისა და მოვალეობის პატივისცემით, კეთოლი ნებით. ზნეობრიობაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალი არჩევნის პირობებში. თუ ადამიანს წავართმევთ არჩევნის უფლებას, მისი გადაწყვეტილება იძულების გზით იქნება მიღებული.

კანტმა წინ მორალური აუცილებლობის საკითხი წამონია. ზნეობრივი გრძნობა მეტნაკლებად ყოველ ადამიანში არსებობს. თუკი ადამიანი შეძლებს დაიოკოს და დაძლიოს მისწრაფები, ვნებები, გულის წადილები, იგი გონივრულ თავისუფლებას მოიპოვებს. მაშასადამე, ზნეობრივ კანონს გონება აყალიბებს, რაც თავის მხრივ, გონივრულობაზე, შეგნებულობაზე მეტყველებს. ე.ი. ჩვენს ნებას მართავს გონება. სწორედ ეს უნდა გახდეს ნებისმიერი ადამიანის ქცევის ერთადერთი საფუძველი.

ადამიანის სურვილებსა და მისწრაფებებს ზღვარი არ გააჩნია. რაც მეტი აქვს, უფრო მეტი სურს: ზოგს მატერიალური კეთილდღეობა, თანამდებობა, პატივისცემა, კარიერა, ზოგს დიდება, ზოგს მეტი ცოდნა და გამოცდილება, ზოგს ჯანმრთელობა, სილამაზე, ბედნიერება. ეს სრულიად ბუნებრივია. მაგრამ ეს ისეთი სიკეთებია, რომლებიც ადვილად შეიძლება იქცნენ ბოროტებად, თუკი ისინი შესაფერისი მიზნის მიხედვით არ იქნებიან გამოყენებული. კანტი გვთავაზობს ადამიანის თავისუფლებისა და მისი ბუნების დუალიზმს. ზნეობის კანონი, თავისი წარმოშობით, მიეკუთვნება თავისუფლების სამყაროს. ის ადამიანის პიროვნულ ავტონომიას ითხოვს. ადამიანს მხოლოდ ზნეობრივი კანონის თავისუფლება ამაღლებს.

უდავოა, ადამიანი გონიერი არსება, თუმცა იგი იმავდროულად არასრულყოფილიც არის. მისი ნება არასწორადაც შეიძლება იყოს მიმართული. ამიტომ ზნეობრივი პრინციპი უნდა მოქმედებდეს როგორც იძულება, როგორც კატეგორიული იმპერატივი. იმპერატივი შეიძლება იყოს პირობითი, ჰიპოთეზური (თუ საქციელი კარგია, როგორც მხოლოდ საშუალება რაიმესათვის, მაშინ ჰიპოთეზურ იმპერატივთან გვაქვს საქმე). ვთქვათ, ექიმი აფრთხილებს პაციენტს, გაუფრთხილდეს ჯანმრთელობას და თავი დაანებოს სიგარეტის მოწევას). მაგრამ იმპერატივი სავალდებულოც შეიძლება გახდეს, თუკი საქციელი თავისთავად კარგია (მაგალითად, ყველას პატიოსნებას ან გულწრფელობას თუ მოვთხოვთ). საქციელი ფასდება მისი შესაძლო შედეგებიდან გამომდინარე. მხოლოდ ზნეობრიობის იმპერატივი შეიძლება იყოს კატეგორიული - „მოიქეცი ისე, რომ შენი ნების მაქსიმას მუდამ ჰქონდეს საყოველთაო კანონის ძალა. ჩვენი საქციელი საყოველთაო კანონის ნორმად უნდა გამოდგეს“. ეს ზნეობრიობის პირველი ღირებულებაა.

კატეგორიული იმპერატივის მიმყოლი ადამიანი მორალური პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი არ არის. ის თავისუფალია იმიტომ, რომ მორალის აბსოლუტური ნორმები თვითონ მას, როგორც სუბიექტს ახასიათებს, რადგან ისინი აპრიორულია. მას აღარ სჭირდება მორალისაგან გაქცევა, ის უკვე თვითონ მორალია.

ე.ი. იმპერატივი საყოველთაო ზნეობრივი პრინციპია პირადი პრინციპის - მაქსიმას საწინააღმდეგოდ. მაქსიმა არის ნების სუბიექტური, ინდივიდუალური პრინციპი. კატეგორიული იმპერატივი კი გამოხატავს კანონს, რომელიც ემპირიული პირობებისაგან დამოუკიდებელია. კატეგორიული იმპერატივი ნების ისეთი პრინციპია, რომელსაც მიზნისა და ინტერესებისაგან დამოუკიდებელი ღირებულება გააჩნია. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კატეგორიულ იმპერატივს არავითარი მიზანი არ აქვს. მიზანი რომ არ ჰქონდეს, ნების არსებობას აზრი არ ექნებოდა. კანტი ანსხვავებს სუბიექტურ მიზნებს, რომლებსაც ყველა გონიერი არსებისათვის აქვს მნიშვნელობა. ყველა მიზანი, რომლის მნიშვნელობა იყარგლება სუბიექტით, შეფარდებითა. ჰიპოთეზური იმპერატივი შეფარდებით მიზანს ემყარება. მაგრამ არის კი ისეთი რამ, რომლის თავისთავად არსებობა უკვე ფლობს აბსოლუტურ ღირებულებას? თუ არის, მაშინ კატეგორიული იმპერატივის საფუძველი მხოლოდ მასში შეიძლება მდგომარეობდეს. ასეთია ადამიანი, როგორც გონიერი არსება, ანუ პიროვნება. პიროვნება თავისთავად არის მიზანი და კანტის აზრით, მასზე მაღალი მიზანი არ არსებობს. იგი აყალიბებს კატეგორიული იმპერატივის მეორე ღირებულე-

ბას: „ყოველთვის მოეპყარი კაცობრიობას, როგორც შენი სახით, ისე ყველა დანარჩენის სახით, როგორც მიზანს და არასოდეს როგორც მხოლოდ საშუალებას“.

ადამიანების დამოკიდებულება ერთმანეთისადმი უფრო ხშირად პრაგმატული და ანგარებიანია. კანტი მიგვანიშნებს: ადამიანი თავისთავად ღირებულია. არ შეიძლება გვსურდეს სხვა ადამიანთან ზნეობრივი ურთიერთობების დამყარება და იმავდროულად ვფიქრობდეთ მხოლოდ გამორჩენასა და საკუთარ სარგებელზე. სარგებლიანობის პრინციპი შეიძლება არაზნეობრივი აღმოჩნდეს, თუ საკუთარი, თუნდაც კეთილშობილური და უაღრესად სასარგებლო მიზნებისათვის ადამიანს ვიყენებთ მხოლოდ როგორც საშუალებას. ადამიანის ქცევა უნდა იყოს სრულიად უანგარო. ზნეობრივი ქცევის ერთადერთი მოტივი შეიძლება იყოს არა უბრალოდ სიკეთის ჩადენის სურვილი, არამედ მორალური კანონის პატივისცემა. ადამიანი მხოლოდ თავისი თავისუფალი ნებით, ზნეობრივი კანონის პატივისცემით განხორციელებული მოქმედების შედეგად არის ზნეობრივი. ადამიანი თავისუფალია მაშინ, როცა იგი ორიენტირს არა თავის მგრძნობიარე არსში, არამედ თავის ზნეობრივ, გონიერ ბუნებაში ეძებს.

ყოველდღიურობაში ადამიანის ცხოვრებისეული ორიენტაციები მისი სურვილების, მისწრაფებების, ვნებების საფუძველზე ყალიბდება. ინდივიდს, უპირველეს ყოვლისა, რაღაც სურს და ახორციელებს კიდეც თავის ზრახვებს. იგი ყოველთვის ვერ იქცევა შეგნებულად. ეს თითქოს ბუნებრივია, რადგან „პრაქტიკულ ფილოსოფიაში საქმე ეხება არა იმას, რაც ხდება, არამედ იმ კანონებს, რაც უნდა იყოს, თუმცა ეს არასდროს იქნება“ (ი.კანტი).

ამასთანავე, ადამიანი ის ერთადერთი ცოცხალი არსებაა, რომელსაც გათავისებული აქვს საკუთარი არსებობის საზღვრები, მტკიცნეულად განიცდის ამას და მარადისობას ესწრაფვის. ამიტომაა, რომ იგი, თუკი მას კარგად ესმის საკუთარი თავის, თავისი დანიშნულების, ყოველთვის ცდილობს ისეთი მიზნის განხორციელების საქმეში მიიღოს მონანილეობა, რომელიც მის ელემენტარულ არსებობაზე ზრუნვას აღემატება და რომელსაც, საბოლოო ჯამში, მნიშვნელობა აქვს მთელი საზოგადოებისათვის, მომდევნო თაობებისათვის ანუ სხვაგვარად, რომელსაც საყოველთაო, აბსოლუტური და მარადიული ღირებულება აქვს. მაგრამ ძალიან ძნელია ემსახურებოდე საყოველთაო მნიშვნელობის მიზანს, საზოგადოებრივ იდეალს, ასრულებდე შესატყვის ნორმებს და იმავდროულად არ დაკარგო საკუთარი განსაკუთრებული, ინდივიდუალურ-პიროვნული სახე.

ეს სირთულე მაშინ უფრო იგრძნობა, როცა ვაცნობიერებთ, რომ ყოველი საყოველთაო-საზოგადოებრივი მნიშვნელობის იდეალი წარმავალი და ისტორიულია. ადრე ეს იდეალი ქრისტიანულ ღმერთს ასახიერებდა; უკვე კარგა ხანია, რაც თანამედროვე ადამიანმა ეჭვი შეიტანა ამ იდეალში და მისთვის, როგორც ფრიდრიხ ნიცშემ გამოაცხადა, „ღმერთი მოკვდა“. ჩვენს ახლო წარსულში ქრისტიანული იდეალი კომუნიზმისაკენ სწრაფვამ შეცვალა; შემდეგ - მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სახით იჩინა თავი, რომელიც ერთობ საეჭვო და ორაზროვანი აღმოჩნდა: მისი მიმართულებით მოძრაობამ კაცობრიობა სულიერი და ფიზიკური კატასტროფების წინაშე დააყენა. ამ გამოცდილებამ თანამედროვე ადამიანი თითქმის დაარწმუნა, რომ ყოველი მისი მიზანი, იდეალი თუ საქმე წარმავალი და დროებითია და რომ, მაშასადამე, მისთვის მარადისობისაკენ მიმავალი გზა მოჭრილია: მისი სიკვდილი არის სიკვდილი უკვალოდ. ამიტომ აღარ აქვს აზრი არაფერს. ამიტომა ყველაფერი ამაო, უნაყოფო, ფუჭი, გარდა საკუთარ ბიოლოგიურ არსებობაზე ზრუნვისა და სხეულებრივი სიამოვნებების მიღებისა.

უკვდავების რწმენის გაქრობასთან ერთად ადამიანს ეთიკური საყრდენიც ეცლება. როგორც ცნობილია, ეთიკურობა საყოველთაო მნიშვნელობის ნორმების დაცვას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, მარადიული, უცვლელი, აბსოლუტური იდეალის არსებობას მოასწავებს და მის გარეშე ყველა ღირებულებას ერთი ფასი ედება - სიკეთესაც და ბოროტებასაც, სამართლიანობასაც და უსამართლობასაც. თავისთავად არცერთი იქნება არც უკეთესი, არც უარესი, თუკი არ იარსებებს რაღაც საზომი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრება ადამიანის საქციელის სიმაღლე-სიმდაბლე. მორალი გვთავაზობს იდეალს - როგორ უნდა ვიცხოვო, როგორ უნდა მოვიქცე. ზნეობრიობა კი გულისხმობს როგორ ვცხოვო, როგორ ვიქცევი.

ზნეობრიობის უძველესი პრინციპი, „ქცევის ოქროს წესი“ მოითხოვს: „მოექეცი სხვას ისე, როგორც გსურს შენ რომ მოგექცნებ“ (ან „ნუ გაუკეთებ სხვას იმას, რაც არ გინდა შენ გაგიკეთონ“). შევეცადოთ თანამედროვე, მომხმარებლური ფსიქოლოგიის მქონე ადამიანის ცხოვრებისეული თვალთახედვით შევხედოთ ამ წესს და გავაანალიზოთ.



თუ გავითვალისწინებთ, რომ სიკეთე თავისითავად გულისხმობს უანგარობას, ხომ არ არ-ლვევს ეს წესი ამ აპრიორულ მოცემულობას? შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად, ალბათ, არღვევს. ჯერ ერთი, თუ მე ბოროტებას არ ჩავდივარ მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ არ მინდა სხვამ ზიანი მომაყენოს, ჩემს ქცევას სიკეთეს ვერ ვუწოდებ, რადგან იგი გარკვეულ მერკანტი-ლურ მოსაზრებას ემყარება. მეორე, ვთქვათ, მე განუხრელად ვასრულებ ამ წესს, მაქვს თუ არა იმის გარანტია, რომ სხვა ადამიანებიც ასეთივე პატიოსნები იქნებიან ჩემს მიმართ? ცხოვრები-სეული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სწორედ ასეთ გულუბრყვილო, მიამიტ ადამიანებს ზიან-საც აყენებენ და ატყუებენ კიდეც. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ არც ქცევის „ოქროს წესი“ აკ-მაყოფილებს თანამედროვე ადამიანის თვალსაზრისით ზნეობრიობის პრინციპის აბსოლუტურობას?

საყოველთაოდ მიჩნეულია, რომ ზნეობრივი ანუ კეთილი საქციელი არის ისეთი ქცევა, რომელსაც სიკეთე მოაქვს მეორე ადამიანისათვის. ზნეობრივი საქციელი უნდა იყოს:

- შეგნებული
- თავისუფალი
- უანგარო

ზნეობრივი საქციელი სხვა ადამიანის მიმართ განხორციელებული ქმედებაა. იგი აუცი-ლებლად გაცნობიერებული და შეგნებული ხასიათის უნდა იყოს. ე.ი. ჩვენ ვიქცევით ზნეობრი-ვად, თუ ვიცით, რომ ეს მოქმედება ზნეობრივად მისაღები ანუ კეთილი საქციელია და შეგნებუ-ლად ვახორციელებთ მას საკუთარი პრინციპებიდან გამომდინარე და ამ პრინციპების პატივის-ცემის გამო.

ზნეობრივი საქციელის მეორე ნიშანია თავისუფლება. ეს ნიშნავს, რომ საქციელი თავისუ-ფალი უნდა იყოს სხვა ღმერთის, ადამიანის, საზოგადოების, ხელისუფლების და ა.შ. ზეგავლე-ნისაგან. ადამიანი მას ახორციელებს მხოლოდ საკუთარი პრინციპების პატივისცემის გამო.

ზნეობრივი საქციელის მესამე ნიშანია უანგარობა. ეს საქციელი არ გულისხმობს სანაც-ვლო სარგებლის მიღებას. ადამიანი ახორციელებს ზნეობრივ საქციელს მხოლოდ მორალური პრინციპების საფუძველზე, რაც მასში ბადებს სიამოვნების განცდასა და სიამაყის გრძნობას. ეს სიამაყე ადამიანად ყოფნის სიამაყეა. ზნეობრივი საქციელი არის ადამიანური ღირსების საქ-მე.

სიკეთე არის სხვის მიმართ განხორციელებული სასიამოვნო, უსაფრთხო და სასარგებლო მოქმედება. მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ზნეობრივი საქციელი ყოველთვის არ არის სასიამოვ-ნო და სასარგებლო მეორე ადამიანისათვის. ხშირად არაზნეობრივი საქციელი, „დათვური სამ-სახური“ უფრო მისაღები და სასიამოვნო შეიძლება იყოს სხვისთვის. ადამიანი ბუნებით ეგოის-ტია. მართალია მასში ალტრუისტული საწყისიც არის, მაგრამ მისი ყოველი მოქმედების საფუძ-ველი მაინც საკუთარი კეთილდღეობისა და უზრუნველყოფილი ცხოვრებისაკენ სწრაფვაა და არც თუ იშვიათად ამ მიზანს იგი სხვა ადამიანების ხარჯზე აღწევს. მაშინ როგორ უნდა აკეთოს ადამიანმა სიკეთე?

კეთილი საქციელი უანგარო საქციელია, რაც, თავის მხრივ, შემდეგს გულისხმობს: რაო-დენ რთულიც არ უნდა იყოს, უნდა შევეცადოთ და გადავლახოთ საკუთარი ეგოისტური ბუნება და სხვისი ინტერესები ჩვენი მოქმედების მიზანდ გადავაკეციოთ. რაღაცის მისაღწევად ადამია-ნი მხოლოდ საშუალება კი არ უნდა იყოს ჩვენთვის, არამედ მიზანი. მაგრამ, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ არ შეიძლება, მაგალითად, ადამიანის ჯანმრთელობის გამოყენება თუნდაც ყველაზე კეთილშობილური მიზნებისათვის, ვთქვათ სამედიცინო დონორობისათვის?

მორალური თვალსაზრისით (ამავდროულად იურიდიულითაც) დონორობა უნდა იყოს ნე-ბაყოფლობითი, შეგნებული გადაწყვეტილება და უანგარო ქმედება. ამჟამად ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში, ნებადართულია ცოცხალი დონორისაგან ორგანოებისა და ქსოვი-ლების მხოლოდ გენეტიკური ნათესავებისაგან გადანერგვა. მორალური პოზიციებიდან ამ დროს წარმოშობა კონფლიქტი მედიცინის ორ ძირითად პრინციპს შორის - „აკეთე სიკეთე“ და „არ ავნო“. ერთი მხრივ, პაციენტის ახლობლის თავგანწირვის შედეგად ჩნდება ავადმყოფის გა-დარჩენისა და სიცოცხლის გახანგრძლივების შანსი („აკეთე სიკეთე“), მეორე მხრივ, სერიოზუ-ლი ზიანი ადგება დონორის ჯანმრთელობას (ირლვევა პრინციპი „არ ავნო“), გამორიცხული არ არის ლეტალური შედეგიც.

ამ შემთხვევაში პრინციპის „არ ავნოს“ დარღვევა შეიძლება გამართლდეს პოტენციური დონორის უფლებით მსხვერპლა, გაიღოს ერთ-ერთი წყვილი ორგანო ახლობელი ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, როცა სხვა საშუალება უკვე აღარ არსებობს. ეს უფლება ეფუძნება მოყვასის სიყვარულს, თანაგრძნობასა და ალტრუიზმის გრძნობას. თავისთავად ეს კეთილშობილური საქციელია. თუმცა, როდესაც საქმე ეხება არაწყვილი სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანოს გადანერგვას, არც საზოგადოებამ და არც სამედიცინო პერსონალმა არ უნდა მიიღოს ეს მსხვერპლი. მშობლებსაც კი არ უნდა მიეცეს უფლება შვილის გადასარჩენად ხელყონ საკუთარი სიცოცხლე და გადაუნერგონ მას არაწყვილი სასიცოცხლო მნიშვნელობის ორგანო, მაგალითად, გული. ეს უკვე აღარ არის სიკეთე. ეს უბრალოდ არაზნეობრივია და არც რელიგიური და არც მორალური თვალსაზრისით გამართლება არ აქვს.

ზნეობრიობის დაფუძნების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვალსაზრისი მოცემულია რელიგიურ მსოფლმხედველობაში. რელიგია, ფილოსოფიისაგან განსხვავებით, ყველასათვის მისაღები და სასურველი ფენომენია. რელიგიისადმი ინდეფერენტული განწყობა ადამიანური ბუნების არასრულფასოვნებაზე მიანიშნებს. განვითარების დაბალ საფეხურზე ეს, ალბათ, სულიერი სამყაროს უნარების განუვითარებლობაზე მეტყველებს; განვითარების მაღალ საფეხურზე კი მიუთითებს სულიერების ისეთ მდგომარეობაზე, როდესაც სულის თავდაპირველი, ბუნებრივი მთლიანობა უკვე დარღვეულია, ახალი კი ჯერ მიუღწეველია.

ადამიანი ყოველთვის ექებდა თავის თავში ღმერთს და ისწრაფვოდა მისკენ. რწმენაში ეძებდნენ ადამიანები გარემომცველი წყვდიადის „ჭეშმარიტების ჩირალდანს“, „მანათობელ ვარსკვლავს“ და პოულობდნენ შვებას, სიმშვიდეს, ნუგეშს, იმედსა და იდეალს. თუკი ოდესლაც ღმერთები მრისხანე, შურისმაძიებელი ღვთაებები იყვნენ, ქრისტიანული ღმერთი სიყვარულის, თავმდაბლობის, მიმტევებლობის განსახიერება; თუკი ოდესლაც ღმერთებს იგივე ვნებები ეუფლებოდათ, რაც ადამიანებს, იესო ქრისტე უბინო, უმანკო ღმერთ-კაცია, რომლის ზნეობრივი სრულყოფილება მიუწვდომელია ნებისმიერი ადამიანისათვის; თუკი ოდესლაც ადამიანები საკუთარი ცოდვების მოსანანიებლად მსხვერპლს სწირავდნენ ღმერთებს, იესო ქრისტემ თავისი მინიერი აღსასრულით გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვები და ადამიანებს ზნეობრივი ცხოვრების გზა აჩვენა.

ამდენად, ქრისტიანობაში ზნეობრიობის საწყისი და გარანტი არის ღმერთი. ქრისტიანულ მორალში ცენტრალური იდეა, რაც კაცობრიობის თვითშემეცნების ზნეობრივ განვითარებას ემსახურება, არის ის, რომ ადამიანი აბსოლუტური ფასეულობაა, როგორც ხატი და მსგავსი ღვთისა. ქრისტიანობა ზნეობრივ პრობლემას განიხილავს როგორც შინაგანი თანაფარდობის, დამოკიდებულების პრობლემას ადამიანის სულსა და ღმერთს შორის. ქრისტიანული ღმერთი კი უსაზღვრო და ყოვლისმომცველი სიყვარულია. მაშასადამე, ადამიანის ზნეობრიობის საფუძველიც ღვთისა და მოყვასის სიყვარულია. არა სიკეთე და გონიერება (ღმერთი თავად არის აბსოლუტური სიკეთე და გონიერება), როგორც ეს სოკრატესთან იყო, არამედ ღმერთის უსაზღვრო და ყოვლისმომცველი სიყვარულისკენ სწრაფვა და მასთან მიახლება. ე.ი. ადამიანის სათნოება მდგომარეობს არა სიკეთეში, არამედ ყოვლისმომცველ სიყვარულში, ღმერთის, მოყვასის, განსაკუთრებით უცხოს, მტრის გულწრფელ სიყვარულში. „გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ“ (იოან. 15.12). სიყვარულის ეს, თითოეული ჩვენგანისათვის პრაქტიკულად მიუღწეველი სიმბოლო ადამიანის შინაგან სიკეთესა და სიფაქიზეს ამაღლებს და მას ღმერთთან აახლოებს.

ქრისტიანული ეთიკის საფუძველია რწმენა, სიყვარული და იმედი. ადამიანი კი როგორც ზნეობრივი არსება, თავისი ცხოვრების წესით პასუხისმგებელია უსასრულო და მარადიული, აბსოლუტური სიკეთის ანუ ღმერთის წინაშე.

ეთიკა - რთული და წინააღმდეგობრივი ფენომენია. იგი ზნეობრივ პრობლემებს განიხილავს არა მარტო ყოფით დონეზე, არამედ მათ ფილოსოფიურ დასაბუთებასაც ცდილობს. ეთიკის ისტორია საჭირბოროტო, სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემების გადაწყვეტის ისტორიაა - როგორ არ დავკარგოთ ადამიანური სახე, მოვიპოვოთ თავისუფლება, ვისწრაფოთ ზნეობრივი სრულყოფისაკენ და ვიცხოვროთ ღირსეულად. ამისათვის კი ალბათ საჭიროა, რომ ზნეობრივი სანქციები ვეძებოთ არა საზოგადოების მხარდაჭერაში, საზოგადოებრივ აზრში, გარემოსთან შემგუებლობაში, არამედ საკუთარ „მე“-ში.

ზნეობის საკითხები, რომლებიც მრავალი საკუუნის წინ ადამიანთა გონებას აღელვებდა, დღეს ისევ აქტუალურია. ყოველდღიურობა განუწყვეტლივ გვთავაზობს არჩევანს და პასუხსაც



მკაცრად გვთხოვს - გამოვთქვა საკუთარი აზრი, თუ უმრავლესობას შევუერთდე? საკუთარი სიმართლე დავიცვა, თუ გაჩუმება ვარჩიო? მიზნის მისაღწევად სიკეთისა და სიმართლის რთული გზით ვიარო, თუ უფრო მოკლე და სარფიანი გზა ავირჩიო?

ეთიკა ჩვენი ყველა სწრაფვისა და ქმედების მსაჯულია. ეთიკის ისტორია გარკვეულ ზნეობრივ გამოცდილებას გვთავაზობს, გვაძლევს საზომს სიკეთისა და ბოროტების გასარჩევად და ამით გვეხმარება სწორი არჩევნის გაკეთებაში.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. ბუთხუზი თ. შესაძლებლობის აღსრულება. თბ., 2008
2. დანელია ს. ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები. თბ., 1983
3. თევზაძე გ. XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია. თბ., 2002
4. კაკაბაძე ზ. ფილოსოფიური საუბრები. თბ., 1988
5. მსოფლიო ფილოსოფიის ანთოლოგია. ტ. 1. მ. 1968
6. პლატონი. თხზ. ტ. 1. მ. 1969
7. რამიშვილი ვ. ფილოსოფია. თბ., 2009
8. შუმანაშვილი გ. გამოყენებითი ეთიკის საფუძვლები თბ., 2004

## თამარ ფანცულაია

### ზნეობის ფილოსოფიის საკიხები

#### რეზიუმე

ეთიკა (მეცნიერება მორალის შესახებ) ფილოსოფიური დისციპლინაა, რომელიც ადამიანური ცხოვრებისათვის საჭირო ნორმებს აყალიბებს. საუკუნების მანძილზე მორალი ადამიანებს სთავაზობდა ქცევის კონკრეტულ ორიენტირებს, გამოხატულს ან რელიგიურ ნორმებსა და ლირებულებებში ან ფილოსოფიურად დასაბუთებულ პოსტულატებში ან ცხოვრებისეულ სიბრძნისა და გამოცდილების სახით. პრობლემა „არსებულისა“ და „საჭიროს“ გააზრებაზე დადის. გამოსავალი ჩვენს ცხოვრებაში დამკვიდრებულ, ადამიანურ ურთიერთობათა არსებულ ნორმებში არ უნდა ვეძებოთ, არამედ ზნემაღალი ურთიერთობებისათვის განკუთვნილ აუცილებელ წესებში.

**Tamar Panculaia**

#### Issues of Philosophy of morality

#### Abstract

Ethics (science about morale) is a philosophic discipline, which formulates the norms, necessary for human life. During centuries, morale offered to people specific reference points, expresses through either religious norms and values or philosophically justified postulates or in the form of life wisdom and experience. Problem comes to the understanding of the “existing” and “required”. We don’t have to try to find the way out in the existing norms of human relations, but in the necessary rules intended for high morale relations.





## ლალი ყაულაშვილი

### ანთიმოზ ივერიელი — განვითარებელი და მესტამპე

ანთიმოზ ივერიელის დაბადების და გარდაცვალების წლები მკვლევართა შორის კამათს იწვევს. მაგ. გ. ლეონიძე წერდა: „ანთიმ ივერიელი დაბადებულა 1650 წლის ახლო ხანებში“, ხოლო რაც შეეხება ქ. შარაშენიძესა და ფ. ჯინჯიხაშვილს, როგორც ჩანს, მათ ანიმოზ ივერიელის დაბადების წელი უკვე დადგენილად მიაჩნიათ, რადგან თავიანთ გამოკვლევებში ისინი ამ თარიღად კონკრეტულად 1650 წელს ასახელებენ. ჩვენში გავრცელებული ლიტერატურის გარდა, რომელიც ანთიმ ივერიელის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხება, უცხოეთში არ არსებობს თოთქმის არცერთი საბუთი ან გამოკვლევა, რომელშიც მითითებულია ანთიმ ივერიელის დაბადების წელი. გამონაკლისს წარმოადგენს რუმინელი მკვლევარის თ. ჩერბულეტის ნაშრომი, რომელშიც მოცემულია ანთიმ ივერიელის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღი 1650-1716 წლები. ერთადერთი წყარო, რომელიც საშუალებას გვაძლევს დაახლოებით მაინც ვიმსჯელოთ ანთიმ ივერიელის დაბადების წელზე, ეს არის ანთიმიზის ფრესკული პორტრეტი, შემონახული გოვორის მონასტრის კედელზე და დათარიღებული 1706 წლით, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ანთიმიზ ივერიელი ამ პორტრეტზე უკვე ხანში შესულ ადამიანად გამოიყურება, მის დაბადების დროდ შეიძლება მივიჩნიოთ 1650 წელი.

ანთიმიზ ივერიელის ბავშვობა და სიჭაბუკე ნაკლებადაა ცნობილი. იგი დაიბადა ქართულ დიდგვაროვან ოჯახში, სადაც მას ბავშვობიდანვე ჰქონდა შექმნილი სათანადო პირობები ცოდნისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების დასაუფლებლად, რაც შეეხება „ივერიელს“, ამ სახელს აწარმოებდნენ ათონის ივერთა მონასტრისაგან, რადგან მხოლოდ ივერიის მონასტრის ბერს შეეძლო სახელი „ივერიელი“ ეტარებინა[1:19].

1666 წელს ანთიმიზ ივერიელი იგივე ანდრია 16 წლის ასაკში მოიტაცეს თურქებმა და სტამბოლის ბაზარზე გაყიდეს. იგი აქ იყიდა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა. იგი პატ-რიარქთან 23 წელიწადს დარჩა და თარჯიმნად მუშაობდა. უთარგმნიდა საქართველოს კათალიკოსოს წერილებს და უდგენდა საპასუხო ეპისტოლეებს ქართულ ენაზე. ანთიმიზს საოცარი ნიჭიერება და მისწრაფება აღმოაჩნდა სწავლა-განათლებისადმი, ბრწყინვალედ შეინავლა საღვთისმეტყველო და საერო ლიტერატურა, ფილოსოფია, რიტორიკა და სახელოვნებო დარგები. იგი შესანიშნავი მხატვარი იყო, იშვიათი უნარი ჰქონდა ძერწვისა, ქვაზე და ხეზე მკვეთრებისა, ოქრომჭედლობისა, ხუროთმოძღვრებისა, კალიგრაფიისა, სასტამბო ხელოვნებისა. საკუთარი ნიჭიერებისა და იერუსალიმის პატრიარქის ხელის შეწყობით მან საფუძვლიანად შეისწავლა წიგნის ბეჭდვა და სასტამბო საქმე. იმასთან დაკავშირებით თუ სად დაეუფლა ანთიმიზ ივერიელი სასტამბო საქმეს მკვლევარები ორ ჯგუფად იყოფიან: ერთნი გამოთქვამენ ვარაუდს, რომ ანთიმიზმა სასტამბო საქმე შეისწავლა ეპიოსკოპოს მიტროფანეს ხელმძღვანელობითა და ხელისშეწყობით ბეზუეში, ხოლო მეორენი მის საგამომცემლო საქმიანობას ასევე ეპიოსკოპოს მიტროფანეს სახელს უკავშირებენ, მაგრამ ბეზუეს ნაცვლად ბუქარესტს ასახელებენ. თუმცა არსებობს მკვლევარ ნ. შერბინესკუს გამოკვლევა სადაც იგი წერს: „არსებობს აზრი, რომ ანთიმიზ ივერიელმა ბეჭდვის საქმე შეისწავლა ჩვენს ქვეყანაში, როცა იგი იყო ბეზუეში ეპიოსკოპოს მიტროფანეს მონაფედ, “ მაგრამ ეს არ შეესაბამება სიმართლეს, რადგან მიტროფანე ბეზუეში ჩავიდა 1691 წელს, როდესაც ანთიმიზი უკვე მუშაობდა ბუქარესტში თავის პირველ წიგნზე. შეიძლება ანთიმიზ ივერიელი დაეუფლა მბეჭდავის ხელობას ბუქარესტის სტამბაში, როგორც ვარაუდობს ისტორიკოსი ნ. დობრესკუ, მაგრამ უფრო მართებულად უნდა მივიჩნიოთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ მან სასტამბო საქმე შეისწავლა იერუსალიმის პატრიარქ დოსითეოსთან ყოფნისას და სწორედ იგი დაეხმარა. ამავე პერიოდში აითვისა მან სხვადასხვა ენები: თურქული, არაბული, ბერძნული და რუმინული.

ანთიმიზ ივერიელის, როგორც მბეჭდავის მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები დაკავშირებულია 1678 წელს ბუქარესტში დაარსებულ სტამბასთან, სადაც 13 წლის მანძილზე რვა წიგნი დაიბეჭდა, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია 1688 წელს გამოქვეყნებული „ბიბლია“. სხვადასხვა დროს ამ სტამბაში დაიბეჭდა ანთიმიზ ივერიელის მიერ ძველბერძნულიდან ახალ ბერძნულ ენაზე გადმოთარგმნილი - „შეგონებანი ბასილ მაკედონელისა თავის ძის ლეონისადმი“, „ბერძნულ-რუმინული ლიტურგია“ და „ფსალმუნი“. აქ გამოცემული ყოველი წიგნი განყო-

ბილი იყო დიდი ოსტატობით, მაღალი გემოვნების სამკაულებით, გრავიურებით, იგი ყოველ-თვის ცდილობდა, რომ მის მიერ გამოცემული წიგნი პოლიგრაფიულად გამორჩეული ყოფილი-ყო [2:32].

1690 წელს ვლახეთის მთავარმა ბრინჯოვიანუმ ანთიმოზი თავის ქვეყანაში მიიწვია, სადაც იგი მაღალ და უფლა რუმინულ და საეკლესიო სლავურ ენებს. რუმინეთი მისთვის მეორე სამშობლო გახდა, მისი წყალობით მთავარმა ბრინჯოვიანუმ ფართო კულტურული საქმიანობა გააჩადა, მან ანთიმოზს სამიტროპოლო ჩააბარა. ვლახეთში აყვავდა რუმინული და ბერძნული ლიტერატურა, დაიბეჭდა 64 წიგნი და გაკეთდა ამდენივე მხატვრული ყდა. იბეჭდობდა არა მხოლოდ სა-ეკლესიო, არამედ საერო წიგნებიც - ბერძნულ, სლავურ და არაბულ ენებზე [4:158].

1694 წელს ანთიმოზ ივერიელი გადავიდა სნაგოვოში, სადაც ნახევრად დანგრეული და და-ვიწყებული მონასტერი იყო და დაიწყო მისი აღდგენა, რომელიც აღადგინა კიდეც, აქვე დაარსა ახალი სტამბა. მისი მეცადინეობით სულ მაღალ სნაგოვო ქვეყნის დიდი კულტურული ცენტრი შეიქნა. აქ იბეჭდებოდა წიგნები სხვადასხვა ენებზე. მან სტამბის გვერდით გახსნა ტოპოგრაფიული სკოლა. მასვე ებარა სასულიერო სამსახურიც, როგორც სანაგოვოს მონასტრის იღუმენს. მაგრამ მოშურნებმა მოახერხეს მის მიმართ მთავრის გულიწყრომის გამოწვევა და ანთიმოზი იძულებული შეიქნა სნაგოვო დაეტოვებინა.

ანთიმოზ ივერიელის მიერ სნაგოვოს მონასტრის სტამბაში დაბეჭდილი წიგნებიდან აღსა-ნიშნავია: 1701 წელს დაბეჭდილი „კონდაკი“, 1702 წელს - „უამნი“...

1705 წელს ანთიმოზ ივერიელი დანიშნეს რიმნიკის ეპისკოპოსად, სადაც მან სტამბაც მო-აწყო, ხოლო 1708 წელს იგი უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიტად აკურთხეს. ამ პერიოდიდან მო-ყოლებული 1716 წლამდე მისი უშუალო მონანილეობით აგებული და აღდგენილი იქნა ოცი ეკ-ლესია და მონასტერი. კონსტანტინე ბრინჯოვიანუს მართვის პერიოდში ანთიმოზის ხელმძღვა-ნელობით აგებულ და რესტავრირებულ რუმინულ ისტორიულ ძეგლებს ქართული ხუროთმოძღვრების გავლენის კვალი ამჩნევია. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 1713-1715 წლებში მის მიერ ბუქარესტში აშენებული „ყოვლად წმიდათა“ მონასტერი, ღირსშესანიშნავი ძეგლი ეპოქი-სა, რომელსაც საკუთარი ბიბლიოთეკაც გააჩნდა.

1709 წელს ანთიმოზ ივერიელმა კონსტანტინე ბრინჯოვიანუს მიართვა თავისი ერთერთი საუკეთესო ნაწარმოები „ძველი და ახალი აღთქმის დასები“ ანუ ბიბლიის ილუსტრირებული ის-ტორია. იგი შედგებოდა მედალიონში ჩასმული ხუთასი პორტრეტისაგან, რომელზეც გამოსახუ-ლი იყო ქრისტეს წინაპართა სახეები. 1713 წელს ანთიმოზ ივერიელი ხალხში წიგნისადმი სიყვა-რულის აღძვრის მიზნით ბეჭდავს „ალექსანდრიას“ – რომანს ალექსანდრე მაკედონელზე, „სა-სარებას“ რუმინულ ენაზე, რომელსაც იგი პირველად აწერს ხელს რუმინულად, აგრეთვე საინ-ტერესო „ანთოლოგიონი“, „სლავური გრამატიკა“ და ა.შ.

სასტამბო ხელოვნების განვითარებას მან ხელი შეუწყო არა მარტო რუმინეთში, მისი დახ-მარებითა და ხელმძღვანელობით სტამბები დაარსდა საქართველოსა და ალეპოში (სირია) [3:25].

მიუხედავად დატვირთული ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობისა იგი არ ივინ-ყებდა საქართველოს და აქ მომხდარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის საქმის კურსში იყო. მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც საქართველოში შეიქმნა რეალური პირობა სტამ-ბის დაარსებისა, ვახტანგ მეექვსე იერუსალიმის პატრიარქის ქრიზანთეს მეშვეობით დაუკავ-შირდა ანთიმოზ ივერიელს და სთხოვა ამ საქმეში დამარება. მან ამისათვის საქართველოში გა-მოაგზავნა თავისი საუკეთესო მონაფე მიხეილ იშტვანოვიჩი, რომელმაც ანთიმოზის მეცადნიე-ბითა და ზედამხედველობით ისე შეისწავლა სასტამბო ხელოვნება, რომ სახელი გაითქვა რო-გორც შესანიშნავმა ხელოვანმა. დიდია ანთიმოზ ივერიელის დამსახურება საქართველოს პირ-ველი სტამბის დაარსებაში [5:98].

ანთიმოზ ივერიელი მეჩვიდმეტე საუკუნის დასასრულისა და მეთვრამეტე საკუნის დასაწ-ყისის ერთერთ საუკეთესო მწერლად ითვლება. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წიგნი, წინასიტ-ყვაობა თუ ბოლოსიტყვაობა, ლექსები, თარგმანები. მისი დამსახურება სცილდება საქართვე-ლოსა და რუმინების საზღვრებს და საკაცობრიო მნიშვნელობა ენიჭება. მისი ნაწარმოებები დიდად მნიშვნელოვანია, როგორც თხრობის ფორმით, ისე შინაარსით. მან მდიდარი ლიტერა-ტურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა – დღემდე მის მთავარ ნაწარმოებად რჩება „ქადაგებანი“ ანუ „დიდახები“. ანთიმოზის ყველაზე დიდი დამსახურება ის არის, რომ იგი რუმინულ ენაზე ქა-დაგებდა. მან „უცხოელმა“ პირველად შეიტანა ვლახეთის საეკლესიო ღვთისმსახურებაში რუმი-



ნული ენა, ამით დასაბამი მისცა რუმინულის, როგორც ეროვნული ენის, დამკვიდრებას და განვითარებას ვლახეთის ლიტერატურაში. მისი ენა ცოცხალი, ბუნებრივი და ნათელია. ეს ის ენაა, რომელზეც ხალხი ლაპარაკობდა. ანთიმოზ ივერიელი მართებულად ითვლება რუმინული ლიტერატურის შემოქმედად და რუმინული რელიგიური საისტორიო ხელოვნების ფუძემდებლად.

#### ლიტერატურა:

1. გვინჩიძე ო. ანთიმ ივერიელი (მესტამბე და პოლიტიკური მოღვაწე). - თბ., 1973
2. კურდლელაშვილი შ. ქართული სტამბის ისტორიიდან. - თბ., 1973
3. ლოლაშვილი ივ. ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან. - თბ., 1978.
4. შარაშენიძე ქ. პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722). - თბ., 1955
5. გვინჩიძე ი. ანთიმ ივერიელი. - თბ., 1989
6. ჯინჯихაშვილი ფ. ანთიმ ივერიელი (ართი ივერიანუ) Жизнь и творчество [1659-1716]. - 1967.

## ლალი ყაულაშვილი

### ანთიმოზივერიელიგანმანათლებელიდამესტამპე

#### რეზიუმე

ანთიმოზივერიელმა მთელი თავისი მოღვაწეობა მიუძღვნა რუმინული ეროვნული კულტურის აღორძინების საქმეს, დიდი წვლილი შეიტანა რუმინული სალიტერატურო ენის განვითარებისა და წიგნის ბეჭდვის საქმეში. მის მიერ დაარსებულ სტამბებში მისივე ხელმძღვანელობით იძეჭდებოდა წიგნები სხვა-დასხვა ენებზე. მისი მოღვაწეობის შედეგად რუმინეთი XVII-XVIII სს. მიჯნაზე გადაიქცა მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრად, რომელიც სხვა ქვეყნებსაც ამარავებდა მათ ენაზე გამოცემული წიგნებით. მისივე სახელთანაა დაკავშირებული თბილისში პირველი ქართული სტამბის დაარსება 1709 წელს და იმავე წელს ქართული „სახარების“ დაბეჭდვა.

**Lali Kaulashvili**

**Antimoz Iverieli Enlightener and Typographer**

#### Abstract

AntimozIverieli devoted his entire work to the revival of Romanian National culture, he contributed to the development of the Romanian language and typography. Books in different languages were printed in the printing-houses, established by him. Due to his work Romania became the major cultural center in XVII-XVIII centuries.

Romania supplied other countries by books, published in their native languages. The establishment of the first printing house in 1709 in Tbilisi and printing of the Georgian “Gospel” is connected with his name as well





## მარინე ჩაგელიშვილი

### შეფასება როლი უცხოური /ინგლისური / ენის სრულებისას

შეფასება არის ინტეგრირებული პროცესი საგანმანათლებლო პროცესში. პერიოდულად სასწავლო დაწესებულებების საკეთილდღეოდ, შემსწავლელთა სწავლებასთან მიმართებაში, უნდა ხდებოდეს მასწავლებლების, სახელმძღვანელოების, პროგრამების, დამხმარე საშუალებების შეფასება.

იმისათვის, რომ სწავლა ეფექტური იყოს სტუდენტმა უნდა იცოდეს თუ როგორ სძლევს ის ამა თუ იმ ასპექტს სწავლის პროცესში. ამისთვის კი აუცილებელია მასწავლებელი იყოს ინფორმირებილი იმის შესახებ, თუ რა იცის თითეულმა მოსწავლემ, რას გრძნობს, რომელი უნარ-ჩვევა აქვს გასავითარებელი, რათა დავეხმაროთ სისუსტეების დაძლევაში.

ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენი მრავალწლიანი პრაქტიკიდან გამომდინარე, ეფექტურად მიგვაჩინა შეფასების ისეთი სახეების გამოყენება როგორიცაა: თვითშეფასება, მასწავლებლის მიერ სტუდენტის მუშაობის შეფასება, სტუდენტის მიერ მასწავლებლის მუშაობის შეფასება. (იხ. სქემა 1,2 და 3).

#### სქემა №1

|                   |             |             |
|-------------------|-------------|-------------|
| სტუდენტი-----     | საგანი----- | თემა-----   |
| მასწავლებელი----- |             | თარიღი----- |

1. მუშაობაში ვმონაწილეობი

ა. აქტიურად ბ. პასიურად

2. თავი გავართვი:

ლექსიკას: ა) ნაწილობრივ ბ) მთლიანად

გრამატიკას: ა) ნაწილობრივ ბ) მთლიანად

მეტყველებას: ა) ნაწილობრივ ბ) მთლიანად

**მასწავლებლის მიერ სტუდენტის მუშაობის შეფასება.**

#### სქემა №2

|   |             |             |
|---|-------------|-------------|
| სტუდენტი -----  | საგანი----- | თემა-----   |
| მასწავლებელი-----   |             | თარიღი----- |
| 1. მუშაობდა წყვილებში   | აქტიურად    | პასიურად    |
| 2. იღებდა მონაწილეობას.<br>ჯგუფურ მუშაობაში.                    |             |             |
| 3. სცემდა პასუხს ჩემს მიერ<br>დასმულ კითხვებს.                  |             |             |
| 4. იღებდა მონაწილეობას<br>პრობლემების გადამჭრელ<br>აქტივობებში. |             |             |

**მოსწავლის მიერ მასწავლებლის მუშაობის შეფასება  
სქემა №3**

სტუდენტი ----- საგანი -----  
თემა ----- თარიღი -----

|   | ყოველთვის | ხანდახან | როცა დრო<br>რჩება |
|---|-----------|----------|-------------------|
| 1.ამონტებს ჩვენს მიერ შესრულებულ<br>სამუშაოს; გვიხსნის შეცდომებს.                     |           |          |                   |
| 2.ახსნის დროს ყურადღებას ამახვილებს<br>ყველა დეტალზე.                                 |           |          |                   |
| 3.კლასში მუშაობისას გასაგებად<br>ხსნის დავალების პირობას.                             |           |          |                   |
| 4.არ გვაწყებინებს მუშაობას<br>ვიდრე არ გავიგებთ პირობას.                              |           |          |                   |
| 5.ჯგუფურ(წყვილებში) მუშაობის<br>დროს იძლევა საჭირო მითითებებს<br>სიძნელის დასაძლევად. |           |          |                   |

|   | <b>შეფასების აღწერა</b>  |
|---|--|
| 1 | <ul style="list-style-type: none"> <li>. ასახელებს მხოლოდ კონკრეტულ საგნებს</li> <li>. იმეორებს ერთი და იგივე სიტყვებს</li> <li>. ვერ იგებს სხვის მეტყველებას</li> </ul>   |
| 2 | <ul style="list-style-type: none"> <li>საუბრობს მარტივი ლექსიკით</li> <li>. იგებს ცალკეულ სიტყვებს და ფრაზებს, საჭიროებს გამოირებას</li> </ul>   |
| 3 | <ul style="list-style-type: none"> <li>.ცდილობს გადმოსცეს ინფორმაცია</li> <li>. მეტყველებისას ხშირად ჩერდება, ეძებს შესაბამის სიტყვებს</li> <li>. იმეორებს აზრებს</li> <li>. იგებს მარტივ წინადადებებს</li> <li>. საუბრობს მცირე პაუზებით</li> </ul> |
| 4 | <ul style="list-style-type: none"> <li>.ცდილობს იხმაროს რთული წინადადებები</li> <li>. ხშარობს შესაბამის ლექსიკას</li> <li>. იგებს კლასის შეკითხვებს</li> <li>.საუბრობს გამართულად მცირე შეცდომებით</li> </ul>  |
| 5 | <ul style="list-style-type: none"> <li>.ხმარობს რთულ კონსტრუქციებს და მრავალფეროვან ლექსიკას</li> <li>. უშვებს მცირე გრამატიკულ შეცდომებს</li> <li>.იგებს სხვის მეტყველებას</li> <li>. საუბრობს გამართულად დაბრკოლების გარეშე</li> </ul>             |
| 6 | <ul style="list-style-type: none"> <li>. ხმარობს რთულ ლექსიკას და გრამატიკულ კონსტრუქციებს</li> <li>. დაბრკოლების გარეშე იგებს სხვის მეტყველებას</li> </ul>  |



ასეთი სახის შეფასების სქემების წარდგენა სასურველია ხდებოდეს ყოველი თემის დასრულების შემდეგ, რაც ხელს შეუწყობს სწავლის სწავლებას; ანუ, სტუდენტმა გააზრებულად უნდა აღიქვას საკუთარი შესაძლებლობები. დაინახოს პლიუსები და მინუსები და ისწრაფვოდეს რაც შეიძლება მცირე დროში აღმოფხვრას ხარვეზ ები. მასწავლებელმა კი მუდმივად ეძიოს გზები და ხერხები, რათა უფრო მისაწვდომი და ადვილად გასაგები გახადოს შესასწავლი მასალა.

საქართველოს სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში, ზოგადად, მისაღებია საკმაოდ დიდი ხნის წინ დაწერგილი სტუდენტთა ქულებრივი შეფასების მეთოდი.

ზოგიერთი მეცნიერი(Black,S.Walberg,H,j Kohn,A) გვთავაზობს რომ სწავლების დროს აქცენტი გაკეთდეს არა ქულებზე, არამედ იმაზე თუ რა ცოდნა შეიძინა სტუდენტმა, რა უნარ-ჩვევები გამოიუშავდა ენის შესწავლის პროცესში. ქულა კონკრეტული ტესტის დონის განმსაზღვრელია. თანამედროვე სწავლების პროცესში კი აქცენტი უნდა კეთდებოდეს იმაზე, თუ რა უნარ-ჩვევების გამოიუშავება შეძლო სტუდენტმა სწავლის შედეგად. ამასთან მიმართებაში არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. შესაძლოა ზოგიერთმა თეორეტიკოსმა თუ პრაქტიკოსმა მასწავლებელმა ეს ორივე გააიგივოს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ვიდრე ტესტურ შემოწმებამდე მივალთ, რაც შემაჯამებელი შეფასების სახედ გვევლინება, უნდა არსებობდეს მოსწავლის სხვადასხვა უნარების დამადასტურებელი შეფასებები, რაც დაემატება სტუდენტთა საბოლოო შეფასების ქულათა მაჩვენებლებს. ჩვენ გამოვყოფთ სწავლების პროცესში სტუდენტთა მიღწევების შეფასებას მეტყველების ოთხივე უნარ-ჩვევის(წერა, კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა) განვითარებისას.

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ემსახურება რამოდენიმე მიზანს:

1. სტუდენტთა სწავლის შეფასება(შემოწმება)
2. სტუდენტთა სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრა.
3. კონკრეტული სტრატეგიის შემოწმება.

არსებობს სტუდენტთა შეფასების სამი, ყველიზე უფრო გავრცელებული ფორმა. ესენია:

- ა. სტუდენტთა ნათქვამის შეფასება(საკლასო მუშაობაში მისი მონაწილეობის წილი).
- ბ. სტუდენტის აქტიურობა(კლასში მისი ჩართულობის წილი).
- გ. სტუდენტის წერილობითი სამუშაოს შეფასება(საშინაო დავალება, ტესტები, ესეები და ა.შ.).

როდესაც ჩვენ ვაფასებთ სტუდენტის მეტყველებას, ყურადღებით უნდა მოვუსმინოთ და დავაკვირდეთ მის მიერ დასმულ კითხვას, პასუხებს. მის ინტერაქციას სხვა სტუდენტებთან და გამოვიტანოთ დასკვნა თუ რამდენად შეძლო მან მიზნის მიღწევა, რამდენად გამართულად საუბრობდა, რამდენად შეძლო თემასთან დაკავშირებული ლექსიკის (ფრაზეოლოგიზმების) ხმარება,

რამდენად გასაგებად ჩამოაყალიბა აზრი. აქ მასწავლებელი ძირითად აქცენტს აკეთებს „fluency“ - ზე. საუბრის დროს დაშვებულ შეცდომებს მასწავლებელი ინიშნავს და მის ანალიზს აკეთებს მეცადინეობის ბოლოს, ან მეორე მეცადინეობაზე.

#### სქემა №4

ამ სქემაში წარმოგიდენთ სტუდენტთა ზეპირმეტყველების შეფასებას დონეების მიხედვით. ქულებს ანიჭებს მასწავლებელი დონეების შესაბამისად. (მაგ. 5 ქულიანი სისტემის დროს 1 და მე-2 დონეს მიენიჭება 0,5 თითოეულს, მე-3 დონეს 2 ქულა, მე-4 დონეს 3 ქულა, მე-5 დონეს 4 ქულა, მე-6 დონე).

სტუდენტთა წერითი მეტყველების შეფასებისას ჩვენ ვითვალისწინებთ მათ

საშინაო დავალებებს, ტესტებს, ესეებს, თავისუფალ წერას, ჩანაწერების-დღიურის წარმოებას. ეს წერითი მეტყველების ის სახეებია, რომლებიც ხელს უწყობენ წერითი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარებას.

წერითი წამუშევრების შეფასებისას უნდა გვახსოვდეს: . უყურადღებოდ არ დავტოვოთ არც ერთი დეტალი, რაც სტუდენტმა ფურცელზე დაიტანა.

. თემების თუ თავისუფალი წერის გასწორების შემდეგ ბოლოში დავურთოთ კომენტარი შეცდომებზე.

კომენტარი უნდა იყოს დადებითი ემოციების გამომწვევი ტერმინოლოგით და არა უარ-ყოფითი, რათა სტუდენტს არ დავუკარგოთ სტიმული წერითი სამუშაოს შესრულებისა. ნარმოგიდენთ თემების შეფასების სქემას.

#### სქემა №4 (თხზულების შეფასება)

| Fluency   | Accuracy  | ქულა |
|---|---|------|
| ნაწერი ძალიან კარგია. იგი სრულყოფილად პასუხობს დავალებას. აზრი მკაფიოდაა გადმოცემული და გამყარებულია პირადი მოსაზრებებით. | გრამატიკული შეცდომები არ აღემატება 3-ს. პუნქტუაციური შეცდომები უმნიშვნელოა.   | 9-10 |
| ნაწერი კარგია. პასუხობს დავალებას. ჩანს პირადი მოსაზრება, მაგრამ მცირე ინფორმაციაა მოცემული.                              | დაშვებული შეცდომები არ აღემატება 5-ს. ლექსიკა მოთხოვნის შესატყვისია. პუნქტუაციის შეცდომები ხელს არ უშლის აზრის გაგებას. | 8-7  |

|  |  |     |
|--|--|-----|
| ნაწერი საშუალო დონისაა. აზრის გაგება ზოგიერთ შემთხვევაში ჭირს. არგუმენტები არაა დამაჯერებელი. ნაწერი 100 სიტყვამდეა. | დაშვებულია 8-9 გრამატიკული შეცდომა. ლექსიკა შეზღუდულია.  | 6-5 |
| ნაწერი სუსტია . მოკლებულია არგუმენტებს. ინფორმაცია ზოგადია. უმეტეს შემთხვევაში აზრი გაუგებარია.                      | დაშვებულია 9-10 გრამატიკული შეცდომა. ლექსიკა მარტივია. მართლწერაში დაშვებული შეცდომები ზოგ შემთხვევაში ხელს უშლის აზრის გაგებას. | 4-3 |
| ნაწერი ძალიან სუსტია. ინფორმაცია მწირია. აზრის გაგება უმეტესწილად შეუძლებელია. სიტყვათა რაოდენობა 50-ზე ნაკლებია.    | ნაწერი ძალიან სუსტია. ინფორმაცია მწირია. აზრის გაგება უმეტესწილად შეუძლებელია. სიტყვათა რაოდენობა 50-ზე ნაკლებია.                | 2-1 |
| ფურცელი ცარიელია ან დაწერილია 1 ან 2 ნინა-დადება.  | დაწერილიდან შეუძლებელია აზრის გამოტანა.  | 0   |

2 არტიკლი-1 გრამატიკული შეცდომა.

3 ლექსიკური შეცდომა-1 გრამატიკულის ტოლფასია.

6 პუნქტუაციის და ორთოგრაფიის შეცდომა -1 გრამატიკულის ტოლფასია.

განმეორებადი შეცდომები ითვლება 1 შეცდომად.

თუ სიტყვის მართლწერაში დაშვებული შეცდომა ცვლის სიტყვის მნიშვნელობას არ შეესაბამება კონტექსტს, ის ითვლება 1 შეცდომად.

გრამატიკული ფორმის ნარმოების დროს (ჰეს-ჰას) დაშვებული შეცდომა 1 შეცდომაა.

ტესტური შემონმების დროს, ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, რეალური ცოდნის გამომულავნების და შესაბამისი შეფასების მიზნით ტესტი ისე უნდა იყოს შედგენილი, რომ ჩანდეს მოსწავლის ანალიზის უნარი. პასუხის შემოხაზვა უნდა ხდებოდეს ანალიზის მეშვეობით და არა მექანიკურად ინტუიციის დონეზე.



მაგ: -----hat is very modern.

- a) mothers      b)mothers'      c)**mother's**  
right answer is - c –as it shows possession.

ტესტზე ასეთი პასუხის გაცემისას ნათელია, რომ სტუდენტმა იცის თეორია და მსჯელობით მიღის სწორ პასუხამდე.

მასწავლებელი რაც უფრო მეტ აქტიური სწავლებისა და კრიტიკული აზროვნების სავარჯიშოებს იყენებს, მით უფრო ცხადი ხდება მისთვის, რომ სტუდენტთა შეფასებისას ახლებური მიღვიმაა საჭირო.

კითხვის სწავლების დროს მოსწავლეს კარგად უნდა ჰქონდეს გაცნობიერე-ბული თუ რას კითხულობს, რატომ კითხულობს და ვისთვის კითხულობს. აქე-დან გამომდინარე სწავლების დაწყებით ეტაპზე საძაც აუცილებელია გამოყენე-ბულ იქნას ხმამაღალი კითხვა გთავაზობთ შეფასების შემდეგ სქემას.

**სქემა 5** ( კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება, დაწყებითი ეტაპი).

| შეფასების კრიტერიუმები  | ქულა |
|---|------|
| 1. კითხულობს გამართულად დამარცვლის გარეშე.<br>აკეთებს სწორ მახვილებს. სიტყვებს გამოთქვამს სწორად.                               | 5    |
| 2. კითხულობს მცირე პაუზებით. უშვებს მცირე შეცდომებს<br>ნარმოთქმაში. აკეთებს სწორ მახვილებს. სიტყვებს გამოთქვამს სწორად.         | 4    |
| 3. სიტყვებს კითხულობს დამარცვლით. წინადადებას მთლიანად ვერ ამბობს გამართულად. უშვებს შეცდომებს მახვილებში. ყლაპავს ბოლო ბერებს. | 3    |
| 4. უჭირს ასოების გადაბმა და სიტყვის წარმოთქმა. თითქმის ვერ აბავს წინადადებებს. ყლაპავს ბერებს. ჭირს მოსმენა და აზრის გამიტანა.  | 2    |
| 5. უჭირს ასოების გამოცნობა. ვერ ცნობს სიტყვას. ვერ გამოთქვავს ბერებს სწორად, ჭირს მოსმენა.                                      | 1    |

კითხვის სტრატეგიების სწავლების შემდეგ, გთავაზობთ სქემას, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს სტუდენტის შეფასებაში საშუალო და მაღალ საფეხურზე. სტუდენტისათვის კი უფრო ნათელი გახდება თუ რას წინავს შემოქმედებითი კითხვადა რა მიზანს ემსახურება ის.

**სქემა 6**

|  |                                  |
|--|----------------------------------|
| ახდენს ფაქტების დეტალურ კონსტატაციას. აკეთებს ანალიზს და შეუძლია ფაქტების დეტალური აღწერა. თავისუფლად ართმევს თავს კრიტიკული აზროვნების განმავითარებელ კითხვებს.                     | ფრიადი                           |
| იხსენებს დეტალებს, მცირედი პაუზებით პოულობს საკვანძო საკითხებს. აკეთებს ზოგიერთი ფაქტის ანალიზს. ,მეტნაკლები სიზუსტით აღწერს ნაწარმოების მოქმედ გმირებს.                             | კარგი                            |
| ახასიათებს იმ მოქმედ პირებს რომელიც ახსოვს. მეტნაკლები სიზუსტით ართმევს თავს კითხვებზე პასუხს. შეუძლია გამოხატოს აზრი თუ რატომ მოსწონს ან არ მოსწონს ნაწარმოები.                     | დამაკმაყოფილებელი                |
| აღწერს და მსჯელობს ძალიან არადამაჯერებლად. უჭირს კითხვებზე პასუხის გაცემა. უჭირს სწორი პასუხებისათვის არგუმენტების მოიებნა. ვერ ამტკიცებს თუ რატომ მოსწონს ან არ მოსწონს ნაწარმოები. | საჭიროებს კითხვა-ზე მეტ მუშაობას |

შეფასების ასეთი სქემების რეგულარულად (ყოველი მოდულის ბოლოს) წარმოება მასნავ-ლებელს გაუადვილებს საბოლოო შეფასების გამოყვანას. სტუდენტები საჭიროებისამებრ შეავ-სებენ სქემებს, რომლებიც სემესტრის ბოლოს მათი მიღწევების მაჩვენებელი იქნება. ისინი უნ-და ინახებოდეს თითოეული სტუდენტის პირად საქაღალდეში და მასნავლებელმა უნდა მოახდი-ნოს მათი განხილვა, გარჩევა, რათა სტუდენტმა შეძლოს სწავლის შემდგომ პროცესში მისთვის არასასურველი მაჩვენებლის გამოსწორება.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მხოლოდ ასეთი მუშაობით შევძლებთ სასურველი შედეგის მიღწევას ენის სწავლებაში რამეთუ ჩვენი მიზანია ვასნავლოთ სტუდენტებს სწავლა, ენის სტრუქტურე-ბის, ელემენტების ლოგიკური ალება და არა გაუაზრებელი დაზეპირება, რასაც ხშირ შემთხვე-ვაში სავალალო შედეგამდე მივყავართ და საბოლოოდ, სამწუხაროდ, უმეტესად სახეზე გვყავს ხოლმე ისეთი მზა პროფესია, რომელთაც მასნავლებლის დახმარების გარეშე უჭირთ ინფორ-მაციის მიღება და გაცემა ნებისმიერი ფორმით.

### **გამოყენებული ლიტერატურა**

1. Black,S- portfolio assessment.1993
- 2.Rakow, S.J.Assessment: a driving force. 1992.
3. Doran R L. Authentic assessment.1993
4. Madaus, G.F. The growth of assessment. Challenges and achievements of American Education.1993
- 5.Willis,S the well-rounded classroom. 1994
6. Hansen, J. Evaluation: my portfolio shows who I am. 1992



## მარინე ჩაგელიშვილი

### შეფასების როლი უცხოური (ინგლისური) ენის სწავლებისას

#### რეზიუმე

შეფასება არის ინტეგრირებული პროცესი საგანმანათლებლო პროცესში. პერიოდულად სასწავლო დაწესებულებების საკეთილდღეოდ, შემსწავლელთა სწავლებასთან მიმართებაში, უნდა ხდებოდეს მასწავლებლების, სახელმძღვანელოების, პროგრამების, დამხმარე საშუალებების შეფასება.

ამ მიზნის მისაღწევად ეფექტურად მიგვაჩნია შეფასების ისეთი სახეების გამოყენება როგორიცაა: თვითშეფასება, მასწავლებლის მიერ სტუდენტის მუშაობის შეფასება, სტუდენტის მიერ მასწავლებლის მუშაობის შეფასება.

**Marine Chagelishvili**

#### The role of assessment in English language teaching

#### Abstract

Theme ‘the role of assessment in English language teaching’, death with very problematic question nowadays. Author gives us different schemes that will help learners to master four skills of communication( listening, reading, speaking and writing) and overcome the problems students face. With the help of these schemes students will get used how to learn learning.



## დალი ჩივილაძე

### პრესის გენეზისისათვის

უურნალისტიკის სამყარო რომ შეისწავლო, მის წინარე პერიოდს აუცილებელად უნდა გაეცნო. პირველი ნაბეჭდი გაზეთები XVII საუკუნის დასასახისში წარმოიშვა, უურნალები — იმავე საუკუნის შუახანებში, გამოქვაბულიდან გამოსვლის კვალდაკვალ, ადამიანთა ურთირთობების ფორმებად სხვადასხვა ნიშნები მოიაზრებოდა, მათ შორის ხმები, მარცვლებად წარმოთქმული ბეგერები, მიმიკა, შეძახილები შემდეგ და შემდეგ დანანევრებული სიტყვები, უფრო მოვიანებით — ქვები, ფირნიშნებზე გამოხატული სიმბოლოები, შეტყობინების მიზნით ცეცხლის გამოყენება და ა. შ.

უურნალისტიკა დაწერილ და ზეპირ ტექსტს მოიაზრებს. იგი არის ფართო საზოგადოების-თვის ინფორმაციის მოძიების, დაგროვების, დამუშავების და მიწოდების შემოქმედებით ფორმა-თა ერთობლიობა, ანუ უურნალისტიკა ფართო საზოგადოებისათვის ახალი ამბების (ნიუსების) შეკრება-დამუშავება-გავრცელება.

უძველეს დროში იყო ეპოქა, როდესაც დამწერლობა არ არსებოდა. ამ ეპოქაში მცოდნედ ითვლებოდნენ შამანები, წინასწარმეტყველები, მკითხავები, ტომის წინამძღვრები, ხევისბერე-ბი.

პირველყოფილი საზოგადოების ბელადები ხელმძღვანელებიც იყვნენ და იდეოლოგებიც. გადარჩენისთვის აუცილებელი იყო თემის წევრების ერთიანობა, გაჩნდა ერთმანეთის გასაგები სიტყვა, — რომელიც იყო აზრის, გამოცდილების, თანაცხოვრების საერთო წესების შედეგად თავის დაცვის, ურთიერთდახმარების გამომხატველი. დამწერლობის გაჩენის შემდგომ, სიტყვა უნივერსალური შეიქნა არა მხოლოდ გახმოვანების და წარმოთქმის ძალით, არამედ იმ ძალი-თაც, რომ სიტყვა გადაიცემოდა თითოეულისათვის და, შესაბამისად, ყველასათვის. სიტყვის ფერმენტის ამ თავისებურებამ უნიკალური მნიშვნელობა შეიძინა კაცობრიობის კულტურული წინსვლისა და პროგრესის საქმეში.

უხსოვარ დროს ხალხს დამწერლობა სასწაულად მიაჩნდა, ამიტომ იგი ღმერთების საჩუქრად მოიაზრებოდა. (მსოფლიოში 14 დამწერლობაა, მათ შორის ერთ-ერთია თვითმყოფადი ქართული დამწერლობაც).

უნდა გავიხსენოთ, რომ დამწერლობის ე.ნ. წინაპარი „საგნობრივი წერილი“ იყო, რომელიც პირველყოფილ საზოგადოებაში აღმოცენდა ინფორმაციის გადაცემის მიზნით (ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის ამა თუ იმ ფორმის გარეშე ცხოვრება კაცობრიობის განვითარების არც ერთ საფეხურზე არ მოიაზრებოდა).

უხსოვარ დროს ჩვენს წინაპარს შეეძლო თავისი მოწინააღმდეგისათვის გაეგზავნა ზეითუნის ხის ტოტი, რაც შერიგებისკენ მოწოდებად აღიქმებოდა, ე. ი. ზეითუნის ხის ტოტი მშვიდობის ნიშანი იყო. „საგნობრივი წერილი“ არ იყო ხმოვანი, ის მხოლოდ საგნით გადასცემდა შეტყობინების აზრს. ბერძენი ისტორიკოსი პერიდოტე მოგვითხრობს ერთი „დიპლომატიური დოკუმენტის“ შესახებ, რომელიც სკვითებმა მეფე დარიოს გაუზავნება. ეს იყო შემდეგი „დოკუმენტი“ — ჩიტი, თავი და ხუთი ისარი, ამ საგნობრივი გზავნილის აზრი შემდეგი გახლდათ: თუ თქვენ, სპარსელები, როგორც ჩიტები ცაში არ აფრინდებით, ან როგორც თავვები მიწაში არ ჩაძვრებით, ან როგორც ბაყაყები ჭაობში არ ჩაეფლობით, უკან ვერ დაბრუნდებით, ამ ისრებით განიგმირებითო (დაიხოცებითო). მართლაც, დარიოსი სკვითებმა დაამარცხეს. სკვითების ნობათი — ინფორმაციის გადაცემის თავისებური ხერხი — „საგნობრივი წერილი“ აღმოჩნდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების განვითარების ადრეულ ეპოქაში ინფორმაციის გადაცემის სხვადასხვა ფორმები არსებოდა. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ საბერძნეთი, იტალია, საქართველო.

ათენში ხალხის თავშეყრის ადგილს, სადაც ორატორები ერთმანეთს სიტყვებით ეჯიბრებოდნენ, ფორუმი ენოდებოდა. ერთ-ერთი პირველი ორატორი, ვისი სახელიც ჩვენამდეა მოღწეული, არის გორგია (ძვ.წ. 485-380), იგი მჭერმეტყველებაში იმდენად სახელგანთქმული იყო, რომ 58 წლის ასაკში განცვიფრებაში მოუყვანია მსმენელები და ანტიკური თამაშების ორატორთა ასპარეზობის პროგრამით წარმოთქმულ სიტყვაში ოქროს პრიზი დაუმსახურებია. პუბლიცისტიკის წინამორბედად შეიძლება ისოკრატეს (ძვ.წ. 436-338) დასახელება, რომელიც არასოდეს



გამოსულა ზეპირად, მან წერილობითი მჭერმეტყველება დამკვიდრა, თუმც, სწავლულების აზრით, ელადაში წერილობითმა მჭერმეტყველებამ პოპულარობა ვერ მოიპოვა. მდიდარი რომაელები, ვინც არდადეგებზე იმპერიის შორეულ პროვინციებში იმყოფებოდნენ, მაგრამ ცდილობდნენ, არ მოწყვეტილიყვნენ დედაქალაქის ცხოვრებას და სცოდნოდათ დედაქალაქური ამბები, ქირაობდნენ განათლებულ თავისუფალ მოქალაქეებს, რომლებიც „შორეთში მყოფთ“ რეგულარულად წერილობით ატყობინებდნენ როგორც პოლიტიკურ ამბებს, ასევე ქალაქურ ჭორებს. წერა-კითხვის მცოდნე ეს თავისუფალი მოქალაქეები სხვადასხვა დამკვეთს ერთი და იგივე ინფორმაციას მეტ-ნაკლები სიზუსტით გადასცემდნენ, ე. ი. მათი საქმიანობა ინფორმაციის მოპოვებით, მისი დამუშავებით, სხვადასხვა დაინტერესებულთათვის მინოდებით შემოიფარგლებოდა, რაშიც მათ გასამრჯელოს უხდიდნენ.

თბილისში მოედანს, სადაც თავს იყრიდა მეფის განზრახვისა და გადაწყვეტილების გასაგებად თავშეყრილი ხალხი, — „სალაყბო“ ეწოდებოდა, ხოლო საქართველოს მთაში — „საფიხვნო“. ეს ადგილები ინფორმაციის მიღების ადგილები იყო. „სალაყბოსა“ და „საფიხვნოდან“ მაცნეს მეშვეობით მთელს ქვეყანაში ვრცელდებოდა ამბავი — ინფორმაცია. ასე რომ, ვიდრე გუტენბერგის გამოგონება „მოევლინებოდა“ სამყაროს, ინფორმაციას მოწყურებული ჩვენი წინაპარი, ზეპირი გზით კრებდა მისთვის საინტერესო შეტყობინება — ნიუსს და იქმაყოფილებდა მოთხოვნილებას ახალ ამბავზე. ამრიგად, ინფორმაციის შეტყობინება, გადაცემა და გააზრება ზეპირიც არსებობდა, — „ზეპირ გაზეთად“ რომ მოიხსენიებენ მეცნიერები დღეს. ამიტომ უურნალისტიკის ისტორიის კვლევას ანტიკური ეპოქიდან იწყებენ სწავლულები, რადგანაც უურნალისტიკის ისტორიის სათავეები ამ დროიდან იღანდება;

რომაული პანთეონი იცნობს ქალღმერთ ფატას, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი (გრიგორი პრუტკოვსკი) ინფორმაციის ქალღმერთად მოიაზრებს. ფატას ასი თვალი და ასი ყური ჰქონდა, მას არასოდეს ეძინა, ყველაფერს ხედავდა, ტყუილისა და მართლის ერთნაირი თავგამოდებით შემურები და გამავრცელებელი იყო.

ბერძნულ მითოლოგიაში ერთ-ერთი ქარიტა (რომაულად-გრაცია), რომელსაც პეიტო (პიფო) ერქვა — დარწმუნების, პოლემიკის გამართვის, ანუ თანამედროვე გაგებით, პუბლიცისტიკის ქალღმერთად ითვლება.

რომში პასკუინოს ქანდაკებასთან ბევრი მახვილგონიერი და ენაკვიმატი პოეტი, თუ არაპოეტი გროვდებოდა, იქ შექმნილ ლექსებს პასკუინოს ქანდაკებას აკრავდნენ, რაც შემდეგ მთელს რომში ვრცელდებოდა. პასკუინოდან წარმოიშვა პასკუილი, როგორც სატირის ჟანრი. რომში გამოჩენდა ასეთივე სხვა ქანდაკება — „მარფორიო“, რომელიც სატირული ლექსებით და გესლიანი სიტყვა-პასუხით იყო დაფარული; ეს ორი ქანდაკება რომში ერთგვარი ცოცხალი გაზეთი იყო, ბეჭდური გაზეთების ფუნქციური წინამორბედი (პაატა ნაცვლიშვილი).

ძველ ეგვიპტეში ფარაონები ინფორმაციას პაპირუსის ფურცელებით ავრცელებდნენ, რომელიც გაზეთის წინაპრად შეიძლება ჩაითვალოს (პაპირუსის დამზადების ხერხი ეგვიპტეში გამოიყონეს, საიდანაც მთელს ძველ მსოფლიოში გავრცელდა). ძვ. წელთაღრიცხვის 59 წელს რომში კეიისრის ბრძანებით დამზადდა თიხის ფირფიტები, ე. წ. დაფები, რაც ფორუმის შენობაში საჩინო ადგილას გამოკიდეს. მასზე ოფიციოზის ამბებს იუნივებოდნენ, რასაც „სენატისა და ხალხის ყოველდღიური ოქმები“ ენოდებოდა. ამასთან ხალხისთვის საჭირო ყოველდღიურ ამბებს, ანუ ქალაქის ახალ ამბებს (ნიუსს) — მოედნებსა და ბაზრებში ჰკიდებდნენ. ამ თიხის ფირფიტებიანი „გაზეთის“ წინაპრს სათაური არ ჰქონდა, ის გამოირჩეოდა ლაკონურობით, სიმარტივით, ადვილად გასაგები ენით. ეს „გაზეთი“ სხვადასხვა ამბების უწყებები იყო — „Acta Senatus“-ი და „Acta diuma populi Romani“. ამ უწყებებში მოსათავსებელი ამბები იწერებოდა თაბაშირით დაფარულ ფირფიტებზე და თვალშიმოსახვედრ ადგილზე იკიდებოდა. წერა-კითხვის მცოდნე ხალხს, ვინც ქალაქში ახალ ამბებს, თუ ჭორებს აგროვებდა და ამუშავებდა „Acta diurnas“-თვის, „დიურნალისტები“ ერქვათ. ისინი თანამედროვე რეპორტიორის წინაპრები არიან, მათ შემდგომ „უურნალისტები“ უწოდეს. სიტყვები „დიურნალისტი“ და „უურნალისტი“ ერთი ეტიმოლოგიისაა. ქართულად მათ „დღე“ შეესატყვისება.

იაპონიაში ბეჭდური ტექნიკის აღმოცენებამდე არსებობდა „გაზეთები“ - გამომწვარი თიხის ფირფიტები. ყველაზე ძველი ასეთი „გაზეთი“ — „იომიური კავარაბანი“ („წაიკითხე და გადაეცი“) 1615 წლით თარიღდება. ინგლისში ვრცელდებოდა — ხელნაწერი ფურცელები — „Nevs

Letters". რუსეთის სამეფო კარზე XVII საუკუნიდან ხელნაწერი „კურანტები“ დგებოდა, რომელ-საც სასახლის წინ მდებარე მოედანზე ხმამაღლა კითხულობდნენ.

ჩინეთში ტანის დინასტიის პერიოდში 713-741 წლებში შექმნილ ჩინურ ლიტერატურულ თხზულებებში პირველადაა მოხსენებული „დედაქალაქის სამთავრობო გაზეთი“, რომელიც გა-მოდიდა საუკუნის განმავლობაში, თუმცა მსოფლიოში ამ პირველი გაზეთის ეგზემპლარებს ჩვენამდე არ მოუღწევია. მჭედელმა **პი შენა** თიხის ძელაკისაგან გამოჭრა იეროგლიფები, თი-ხის გამომწვარ ნიშნებს წაუსვამდა კუპრს, მიაკრავდა მეტალის ფირფიტაზე, ზემოდან ბრინჯის ქაღალდს დააფარებდა და ბრინჯის ქაღალდიან ფირფიტას პრესის ქვეშ მოაქცევდა. **პი შენის** თიხის ფირფიტები მალე ცვდებოდა, ანაბეჭდი ბუნდოვანი ხდებოდა, 1392 წელს კორეელებმა თიხის ლიტერები სპილენძით შეცვალეს. ჩინელებმა გამოიგონეს ქაღალდი, სასტამბო საღებავი და წიგნის ბეჭდვის ტექნიკა, მაგრამ **გუტენბერგის** აღმოჩნდამ კაცობრიობა არნახულ პროგ-რესს აზიარა.

1445 წელს ქ. მაინცის (გერმანია) მკვიდრმა იოჰან გენსფლაიშმა. რომელმაც დედის გვარი — **გუტენბერგი** — აირჩია, საბეჭდი დაზგა შექმნა, დაამზადა მყარი ფოლადის შტამპები ამოკ-ვეთილი ასოებით, რაც ტექნოლოგიური ნოვაცია იყო. ლითონისაგან თითოეული ასო ისე იყო ცალ-ცალკე ჩამოსხმული, რომ საჭიროების შემთხვევაში ასოების ერთ ხაზზე განლაგება შეიძ-ლებოდა, ამასთან ლითონის ასოები დიდი ხანი არ ცვდებოდა. გუტენბერგი ოცი წელი ხვეწდა ასოების ჩამოსხმის ტექნიკას, მან ეს ასოები შტამპებიდან რბილ თითბერზე დატვიფრა, გაა-ცალკევა და თითბრის პატარა ფორმებად აქცია, რომელშიც ასოები სპეციალური ნაერთის გა-მოყენებით სათითაოდ ჩაასხა. მან ასევე ლამპის ჭვარტლისაგან სელის თესლის ზეთოვან ლაკში განზავებული მელანი შექმნა, რაც ძალზე პრაქტიკული ტექნიკა აღმოჩნდა, რომელსაც ასეული წელი იყენებდნენ. გუტენბერგმა რამდენიმეწლიანი ექსპერიმენტით გამოიგონა ხრახნისებრი წნებით მელანნასმულ შრიფტზე წიგნის გვერდების დაწნევის სისტემა. ამ გამოგონების დახვე-წაც რამდენიმეწლიანი ექსპერიმენტით მიმდინარეობდა, რათა ტყავზე ან ქაღალდზე წნებისათ-ვის აუცილებელი წნევა მიეღო და მექანიკური ბეჭდვა საზოგადოებაში დამკვიდრებულიყო (რა-საც ხელით გადაწერილი წიგნისათვის უნდა ეჯობა).

1452 წ. გუტენბერგმა 42 სტრიქონიანი ბიბლია დაბეჭდა, რომელიც დღეს „გუტენბერგის ბიბლიად“ იწოდება და მსოფლიოში პირველ წიგნად მიიჩნევა. გუტენბერგს უცნაური ბე-დი არგუნა განვებამ: ამგვარ დიდ საქმეს დიდი ფულიც სჭირდებოდა, იდეა-ნოვაცია რომ რეა-ლობად ექცია ნოვატორმა მოაზროვნება ფული თავისი ვექილისაგან ისესხა, რომელმაც უჩივლა და ვალის გასტუმრება მოსთხოვა. გუტენბერგმა ვალი ვერ გადაიხადა, რის გამოც მას ჩამოერ-თვა წნები, შრიფტი, გამზადებული ბიბლიის ეგზემპლარები და უფლება გამოგონებაზე. ყოველ-გვარი სახსრის გარეშე დარჩენილი გუტენბერგი დაბრმავდა კიდეც და უმწეობაში გაატარა დარჩენილი სიცოცხლე. მას აზნაურმა ადოლფ ფონ ნასაუგმა გაუწვდინა კეთილისმყოფელის ხელი და ყოველწლიური თანხა დაუნიშნა. 1468 წელს სამოცდაათი წლის ასაკში გუტენბერგი გარდაიცვალა.

გუტენბერგის ნაბეჭდი „ინდუსტრიის“ გამოგონებამ გზა გაუხსნა პროგრესისა და ცოდნის გავრცელებას დროსა და სივრცეში, მან საფუძველი ჩაუყარა სამყაროს ვიზუალურ აღქმას, ეროვნული ენებისა და სახელმწიფოების ჩამოყალიბებას, განმანათლებლობას, სამწერლო თუ სამეცნიერო რევოლუციებს (მედიაფილოსოფოსი მარშალ მაკლუენი).

**XVI** საუკუნის მეორე ნახევარში ვენეციაში პერიოდულად გამოდიოდა საინფორმაციო ფურცლები, რომლის შესაძენად წვრილ იტალიურ მონეტა „გაცეტას“ იხდიდნენ. ამ ფურცლებს „ავიზი“ ერქვა, რაც იტალიურად „ცნობებს“ ნიშნავს. ასე რომ, „გაზეთი“ სწორედ ამ ვენეციური წვრილი ფულის სახელწოდებიდან დაერქვა პერიოდულად გამომავალ უსათაურო საინფორმა-ციონ ბიულეტენს, რომელიც სხვადასხვა ინფორმაციის შემცველი ხელნაწერი ფურცელი იყო, იგი სხვადასხვა ქაღაქებში მყოფი პროფესიონალ შემგროვებელთა მიერ მოწოდებული ამბების ინფორმაციით ივსებოდა, მათ ავიზატორები ეწოდებოდათ. ვენეციაში ავიზატორთა პროფესია პრესტიულად არ ითვლებოდა, ასეთ ხელნაწერ ითხგვერდიან საინფორმაციო ფურცლებს თავდაპირველად უფასოდ არიგებდნენ დაინტერესებული პირები, შემდეგ ამ ფურცლებს ფასი დაედო და ვენეციურ წვრილ მონეტა „გაცეტას“ იხდიდნენ. პირველი უსათაურო ხელნაწერი ინ-ფორმაციის შემცველი ბიულეტენი 1493 წლით თარიღდება, რომელშიც აღწერილია რომის იმპე-რატორისა და გერმანიის მეფე ფრიდრიხ მესამის დაკრძალვის ამბები. ეს ბიულეტენები მეთ-



ვრამეტე საუკუნემდე არსებობდა, იგი ნაბეჭდი გაზეთების მომრავლებით განიდევნა ხმარებიდან.

იტალიაში გუტენბერგის გამოგონება იტალიის მეფის სურვილით დაინერგა რის შემდეგაც გავრცელდა ბეჭდური პერიოდიკა.

1636 წ. ფლორენციაში ყოველკვირეული უსათაურო გამოცემა გამოვიდა, ხოლო 1642-82 წლებში გენუაში პირველი სათაურიანი გაზეთი დაიბეჭდა სახელწოდებით „Sincero“ („გულწრფელი“).

ინგლისში წიგნის ბეჭდვა ადრე, 1477 წელს დაიწყეს, პირველი გაზეთი — „უიკლი ნიუსი“ 1621 წელს გამოვიდა, ამის მიზეზი უნინარესად ბრიტანეთში პარლამენტის მიერ მიღებული მკაცრი ცენზურული კანონი გახლდათ.

საფრანგეთში პირველად ლიტერატურული „მერკურ ფრანსეზი“ გამოიცა, რომელიც 1611-1644 წლებში იბეჭდებოდა წელიწადში ერთხელ, ხოლო კარდინალ რიშელიეს ინიციატივით პირველი გაზეთი 1631 წელს დაიბეჭდა „ლა გაზეტ“-ის სათაურით.

1609 წ. გერმანიაში დაიწყო ნაბეჭდი ფურცლების გამოცემა, რომელიც თითქოს გავდა გაზეთს. იმავე პერიოდში ჰოლანდიაში გამოდის ახალი ამბების მოკლედ თავმოყრილი ნაბეჭდი ფურცელი, რომელსაც „კორანტი“ ეწოდებოდა და ვაჭართა ფენისთვის იყო განკუთვნილი.

კომერციის განვითარება და მოსახლეობის ზრდა ამერიკაში ხელს უწყობდა მოთხოვნას ახალ ამბებზე, მის გავრცელებაზე, რაც რეკლამის განვითარებითაც იყო ნასაზრდოები.

1704 წ. ბოსტონში გამოვიდა გაზეთი „Boston News-Letters“-ის სახელწოდებით, რომელიც ამერიკის კოლონიების პირველ გაზეთადა მიჩნეული. 1719 წ. „Boston Gazette“ დაარსა იულიამ ბრუკერმა, 1721 წ. კერძო გაზეთი — „New England Courant“-ი დაარსდა ბოსტონში, იგი გათვლილი იყო განათლებულ და წარმატებულ საზოგადოებაზე, ვისაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები არ აფრთხობდა.

1830 წლისათვის ორთქლზე მომუშავე საროტაციო საწერები მანქანა გამოიგონეს, რომელიც დიდი ტექსტოლოგიური ნოვაცია იყო. მან ქაღალდის ორივე გვერდზე ბეჭდვით გაზარდა გაზეთის ტირაჟი და გააიათა კიდეც.

1833 წ. ნიუ-იორკში გამოვიდა პატარა გაზეთი „New York Sun“ დევიზით „ის ყველასთვის ანათებს“, მაგრამ გაზეთი განკუთვნილი იყო ნაკლებად განათლებული ადამიანებისათვის. რედაქტორმა უჩვეულო ხერხს მიმართა — გაზეთს პატარა ბიჭები ყიდდნენ ქუჩებში ერთ პენად (გოგონა ბიჭურად გადაცმული უნდა ყოფილიყო), ამან გაზეთის ათასობით ეგზემპლარის გასაღება უზრუნველყო. გაზეთის რეკლამამ და საგაზეთო სივრცის ანაზღაურებიანმა გასხვისებამ დიდი წარმატება მოუტანა რედაქციას და წარმოშვა „ერთპენიანი“ პრესა.

ამერიკაში გაზეთი მოგებაზე ორიენტირებული კერძო ბიზნესი იყო, კონკურენციის დონე იზრდებოდა, 1890-იან წლებში გაზეთ „New York Sunday World“-ის შემოსავალი სამასათასამდე გაზარდა ჟოზეფ პულიცერმა, რომლის საგაზეთო მასალები კატასტროფებზე, მელოდრამებსა და დაჩაგრულის დაცვაზე იყო აგებული, რასაც უცნაური ფოტოები, სატირული შარჟები და კორუმპირებული მოხელეების კარიკატურები „ამშვენებდა“. ამ გაზეთში პირველად დაიბეჭდა ფერადი კომიქსები, რამაც ფრიად უჩვეულო, მაგრამ ერთობ საინტერესო გახადა გაზეთი, უკბილო, გაკრეჭილთმიანმა, თავშიშველა, ყვითელ ტომრის ფორმაში გამოწყობილმა ბიჭუნამ გაზეთის ტირაჟი საგრძნობლად გაზარდა, მისმა შარჟმა მთელი მიმართულება შექმნა, რომელსაც „ყვითელი პრესა“, „ყვითელი უურნალისტიკა“ დაერქვა.

ხელნაწერი ინფორმაციები ნაბეჭდმა გაზეთმა და უურნალმა ჩანაცვლა. კულტურულმა სამყარომ საზოგადოებაზე ზემოქმედების მძლავრი საშუალების წარმოშობა იზეიმა.

და მაინც, ვინ შეიძლება უურნალისტიკის, როგორც ინფორმაციის გავრცელების კრეატივის დამწყები, პირველი უურნალისტი ყოფილიყო?! მეოცე საუკუნის მკვლევარებმა იტალიელი პიეტრო არეტინო (1492-1556) აღიარეს.

არეტინო, არეცოელს ნიშნავს. არეცო უძველესი ქალაქია იტალიაში ფლორენციის მახლობლად. არეტინოს მამა — დელ ტურა — ლარიბი მეხამლე ყოფილა, დედა — ტიტა — სილამაზით განთქმული ქალაქელი ქალბატონი, რომლის პორტრეტიც არეცოში, წმინდა ავგუსტინეს ტაძარში ღვთისმშობლის მოდელად გამოხატეს, რითაც დიდად ამაყობდა მისი შვილი.

14 წლის პიეტრო არეტინომ პერუჯაში სტამბაში დაიწყო მკინძავის შეგირდად მუშაობა, ამასთან ფერწერის შესწავლასაც სიამოვნებით აგრძელებდა. წერდა ლექსებს, კომედიებს. მან

სახელი პასკვილის წერით გაითქვა; მისი პასკვილი „სპილოს ანდერძი“ მთელს იტალიაში გავრცელდა. არეტინო თავისი დროის ყველაზე თავისუფალი ადამიანი იყო.

არეტინოს 3 000-ზე მეტი წერილი 6 ტომშია გაერთიანებული, რაც მის სიცოცხლეშივე ცალკე წიგნებად გამოდიოდა. მათში სხარტი, სარკასტული მახვილსიტყვისამით მხილებულია სამღვდელოება. რომის პაპი, კათოლიკური ეკლესიის კარდინალები, სამეფო მაღალი თანამდებობის პირები. სატირულმა კალამმა არეტინოს დიდი ავტორიტეტი და სიმდიდრე მოუპოვა. „არეტინო იყო ყველაზე დიდი შანტაჟისატი ისტორიაში და „შხამიანი კალმის“ პირველი ჭეშმარიტად თანამედროვე მფლობელი; სხვა სიტყვებით, — არეტინო პრესას უყურებდა როგორც სახალხო სააღმასარებლოს, ხოლო საკუთარ თავს, — როგორც კალმით შეიარაღებულ მოძღვარს... მას შეეძლო ეთქვა, „მე მაქვს მხოლოდ ბატის ფრთა და ქაღალდის რამდენიმე ფურცელი, მაგრამ მე ... დავცინი მთელ სამყაროს“ (მედიაფილოსოფონის მარშალ მაკლუენი).

თვალი გადავავლოთ პრესამდელ ქართულ სინამდვილეს და უურნალისტიკის აღმოცენების სათავეებს საქართველოში. პირველი ქართული ნაბეჭდი გაზეთი XIX სუკუნის ოციანი წლების დასასრულს 1819 წლის 8 მარტს (ახალი სტილით 21 მარტს) გამოვიდა. ეს პერიოდი საქართველოს ისტორიის უჩვეულოდ მძიმე პერიოდია. ბაგრატიონთა ტახტის გაუქმება, ქვეყნის თავისუფლების დაკარგვა, „ერთმორწმუნე“ რუსეთის გუბერნიად გამოცხადება და განსხვავებული საზოგადო წესრიგის დასამყარებლად სამხედრო მმართველობის — მთავარმმართებლის პოსტის დაწესება, რითაც დასრულდა რუსეთის მიერ საქართველოს „პოლიტიკური დაპყრობა“, და დაინყო ახლადშემორთებული „ქართლ-კახეთის გუბერნიის“ „ეკონომიკური დაპყრობა“, ეს ის არსებითი ცვლილებებია, რაც ეროვნულ დამოუკიდებლობას, ეროვნულ თვითმყოფადობას უთხრიდა ძირს. პირველ ნაბეჭდ გაზეთს წინ „ზეპირი გაზეთი“ უძლოდა, რაც ინფორმაციის ზეპირ გავრცელებაში მდგომარეობდა. ძველ თბილისში, სამეფო სახლის წინამდებარე მოედანს, რომელიც საეპისკოპოსო და კარის ეკლესიის მთავარ მოედანსაც წარმოადგენდა, — „სალაყბო“ ეწოდებოდა. აქ შეკრებილი საზოგადოება მეფის, თუ ეპისკოპოსის ზეპირ განჩინებას ელოდა, რაც საინტერესო „ნიუსს“ (ახალ ამბავს) შეიცავდა — მეფე იწყებდა ლაშქრობას, ან მოსალოდნელი იყო მტრის თავდასხმა, რის გამოც საჭირო იყო ჯარის შეგროვება, თუ მხედრობის შეკრება, ან მეფის სანადიროდ მზადება, თუ სანადიმო რიტუალის მოწყობა იგეგმებოდა, ეს სიახლეები „სალაყბოს“ მოედნიდან ვრცელდებოდა მთელს ქართლ-კახეთში. საქართველოს მთიანეთშიც იყო განსაკუთრებული ადგილი, სადაც თემის რჩეული იკრიბებოდნენ და სათემო საკითხებზე მსჯელობდნენ. ასეთ ადგილს „საფიხენო“ ეწოდებოდა. ასე რომ, სიახლეთა საჯარობა, საქვეყნო ახალი ამბების სასხვისოდ გავრცელება რომ უურნალისტიკის ძირითადი ფუნქციაა, ამით ჰგავს ეს „ზეპირი გაზეთი“ ნაბეჭდ გაზეთს. „ზეპირი გაზეთი“ საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი გახლდათ. იგი ნაბეჭდი პრესის პარალელურადაც ხანგრძლივ არსებობდა საქართველოში. სიტყვა „გაზეთი“ პირველად ოფიციალურ მიმოწერაში, იოანე ბატონიშვილის „გარდაქმნის“ პროექტში გვხვდება. იოანე ბატონიშვილმა გიორგი XII-ს მე-18 საუკუნის ბოლოს — 1799 წელს — წარუდგინა ქვეყნის წინსვლისთვის საჭირო ღონისძიებები, რომელშიც შემდეგი პუნქტიცაა გათვალისწინებული: „აგრეთვე იბეჭდებოდეს გაზეთი თვეში ორჯელ, აქედამაც იქნება შემოსავალი და ხალხიც შეეჩვევიანო“. მაგრამ გიორგი XII დროს გაზეთი არ გამოცემულა.

ცნობილია, რომ ვახტანგ მეექვსემ 1708 წელს ევლახეთიდან (რუმინეთიდან) გამოწერილი სასტამბო მოწყობილობის მიღების შემდეგ თბილისში გახსნა პირველი ქართული სტამბა, რომელშიც დაიბეჭდა „სახარება“, „დავითნი“, „სამოციქულო“, „რჯულის კანონი“ და სხვ., ხოლო 1712 წელს დაიბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ვახტანგ მეექვსის კომენტარებით. ეს სტამბა პირველი იყო მთელს ამიერკავკასიაში. ამასთან მეთვრამეტე საუკუნეში ერეკლე მეორის ხანგრძლივი მეფობის უამს, იბეჭდებოდა ერთდროული „ფურცლები“ და „განცხადებები“.

1768 წელს გამოიცა „ეპისკოპოსთა მიმართ“, რომელშიც მისი უდიდებულესობა მეფე და სასულიერო მწყემსმთავარი ავალებენ ეპისკოპოსებს — ქვეშევრდომთ, გაატარონ საეკლესიო ცხოვრების გასაუმჯობესებელი ღონისძიებანი, რათა მრევლში არ ბუდობდეს „ავნი და ღმრთის განმარისხებელი საქმენი“. მეფე და სამღვდელოების წინამდლოლი საზოგადოებრივი ცხოვრების გასაუმჯობესებელ მითითებებს გადასცემენ მრევლს, მოძღვრავენ, რათა არ ჩაიდინონ ცოდვანი.

და მაინც, ვინ შეიძლება პირველ ქართველ უურნალისტად მივიჩნიოთ? ისევე, როგორც არეტინო მიიჩნიეს უურნალისტიკის პიონერად, პრესამდელ პირველ ქართველ უურნალისტად სულხან-საბა ორბელიანი(1658-1725) შეიძლება ჩავთვალოთ. მისი „მოგზაურობა ევროპაში“ ის



ნაწარმოებია, სადაც დიპლომატმა და ლექსიკოგრაფმა, მოგზაურმა და მეგავემ, ბევრი უურნალისტური ხერხი (უურნალიზმი) გამოიყენა. იგი XVII—XVIII საუკუნეების მიჯნაზე დღიურების სახით დაწერილ „მოგზაურობაში“ იმ უურნალისტური ხერხებით გადმოსცემს ნანახსა და გამონილს (რეპორტაჟის, ნარკვევის ელემენტები) მკითხველისათვის ინფორმაციის გადაცემის აუცილებელი მუხტი რომაა ჩადებული. ამდენად, სულხან-საბა ორბელიანი პირველ ქართველ უურნალისტად შეიძლება ვალიაროთ (პაატა ნაცვლიშვილი). პირველი ნაბეჭდი გაზეთი თბილისში 1819 წლის 8 მარტს ძვ. სტ. (21 მარტს ახალი სტილით) გამოიცა სახელწოდებით „საქართველოს გაზეთი“. მას მთავარმართებელთან არსებული სამხედრო კორპუსის შტაბი გამოსცემდა, ამ გაზეთის პროგრამა 1818 წლის ოქტომბერში გამოქვეყნდა „გამოცხადების“ სახელწოდებით, რომელშიც ხაზგასმულია კვირაში ერთხელ გამომავალი გაზეთის მიზნები და ამოცანები და, რაც მთავარია, ხელმომწერთა რიცხვის სასურველი რაოდენობა (500 ხელისმომწერალი), რომლის გარეშეც გაზეთის გამოცემა გაჭირდებოდა. მართლაც, იანვრისთვის ხელისმომწერლები არ შეგროვილან, სომეხთა ეპისკოპოს ნერსესს ქართული გაზეთის 100 ეგზემპლარი ერთდროულად გამოუწერია, რასაც გაზეთის გამოცემის საქმე დაუგვირვენებია. „საქართველოს გაზეთი“ დგებოდა რუსულ ენაზე, რადგანაც მას რუსი სამხედრო პირები ქმნიდნენ. რუსულად გაზეთს „გრუზინსკაია გაზეტა“ ეწოდებოდა, რომელსაც მთარგმნელი თარგმნიდა ქართულად და იმეჭდებოდა ქართულ ენაზე. გაზეთს 1820 წელს შეეცვალა სახელწოდება. ახალმა მთარგმნელმა რუსული სახელწოდება — „გრუზინსკაია გაზეტა“ თარგმნა „ქართულ გაზეთად“, ასე რომ „საქართველოს გაზეთი“ და „ქართული გაზეთი“ „Грузинская газета“-ს თარგმანია და არა ორი სხვადასხვა გაზეთი. ამ ორი სათაურის წყაროა ერთი რუსული სახელწოდება, პოლიტიკური დატვირთვა ამ სათაურებს არ გააჩნიათ.

ამრიგად, პირველი ქართული ნაბეჭდი გაზეთი 1819 წლის 21 მარტს „საქართველოს გაზეთის“ სახელწოდებით, ხოლო 1920 წელს „ქართული გაზეთის“ სახელწოდებით გამოვიდა. 1821 წლის სექტემბერში გაზეთის გამოცემა შეწყდა. გაზეთი კვირაში ერთხელ, ფოსტის გასვლის დღე-ებში იბეჭდებოდა. „საქართველოს გაზეთს“ რედაქტორი არ აწერდა ხელს, მას არც ცენზურის ნებართვა გააჩნდა, რადგანაც გაზეთის შემქმნელები თანამდებობრივად ცენზორის უფლებებით სარგებლობდნენ. იბეჭდებოდა „ზენრის ფორმით“, მასალებს სათაური არ გამოარჩევდა, გაზეთის გვერდები სვეტებად არ იყო დაყოფილი. მართალია, პირველი გაზეთის ირგვლივ ბევრი შენიშვნა გამოითქვა სამეცნიერო ლიტერატურაში (პაატა გუგუშვილი, მიხეილ გოცაძე, ალექსანდრე კალანდაძე), მაგრამ ეს გაზეთი დიდი ქართული უურნალისტიკის პირველი ნაბიჯია, პირველი მერცხალია და ამდენად, მისი დამსახურება როგორც პირველისა, განუზომელია.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. პიეტრო არეტინო, Рассуждения. Фамильная библиотека Будуар. Вита – Нова, спб. 2007.
2. პ. გუგუშვილი, ქართული უურნალისტიკა, 1941.
3. მ. გოცაძე, ქართული უურნალისტიკის ისტორია.
4. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, ნ. V, 1913.
5. ალ. კალანდაძე, ქართული უურნალისტიკის ისტორია, წიგნი I, 1977.
6. ბ. კილანავა, „ეროვნული დამწერლობის სათავეებთან“, წიგნში — რჩეული შრომები, მესამე ტომი, 2009.
7. ბ. ნაცვლიშვილი, პიეტრო არეტინო, — ხელმწიფეთა რისხვა და უურნალისტიკის წინამორბედი, კრებულში „შუასაუკუნეების ისტორიის საკითხები“, VII, თბილისი, 2005.
8. ბ. ნაცვლიშვილი, ქართული უურნალისტიკის გენეზისისათვის, სადოქტორო დისერტაცია, დაცვა შედგა 2009 წ. იანვარში საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში.
9. რომელი არეტინო? [http://onlytome.com/584-dragon-agenachalo-2009\\_rus-pc.html](http://onlytome.com/584-dragon-agenachalo-2009_rus-pc.html).
10. ე. Прохоров, Введение в теорию журналистики, Учебное пособие, 2000.

**დალი ჩიკვილაძე**

**პრესის გენეზისისათვის**

### **რეზიუმე**

ნაშრომში განხილულია ნაბეჭდი პრესის აღმოცენების ისტორია, გუტენბერგის გამოგონების მნიშვნელობა და პირველი ბეჭდური მედიის წარმოშობა სხვადასხვა ქვეყანასა და საქართველოში.

აგრეთვე მსოფლიოს უურნალისტიკის პიონერად მიჩნეული იტალიელი პიეტრო არეტინოს მსგავსად პირველ ქართველ უურნალისტად სულხან-საბა ორბელიანის აღიარება პაატა ნაცვლიშვილის კვლევა-ძიებით და პირველი ქართული ნაბეჭდი გაზეთის მნიშვნელობა.

**Dali Chikviladze**

### **The Issue of Genezes of Press**

#### **Abstract**

The paper is giving the reasons and history of appearing of first print press; the importance of Gutenberg's famous machine; first newspapers and their development in different countries and Georgia as well.

The paper is underlining the importance of admitted of well known first Italian journalist Pedro Aretino and according Georgian researcher Paata Nacvlishvili his Georgian analogue Sulkhan Saba Orbeliani which was recognized by scientist as the first Georgian journalist.



# განსამება

## ვალერი ვაშაკიძე

### თინათინ ყუქჩიშვილი – ქადაგის და მასწავლებელი

10 მაისს მორიგი დაბადების დღის მილოცვას ვაპირებდი, მაგრამ . . . ქართულმა ჰუმანიტარულმა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა - გარდაიცვალა გამოჩენილი მკვლევარი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი თინათინ ყაუხჩიშვილი. მისი ხანგრძლივი და უაღრესად ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობის საქვეყნო აღიარებაზე მეტყველებს, რომ ქალბატონი თინათინის მოსაზრებები და დასკვნები ხშირადა დამოწმებული ზოგადად ანტიკური პერიოდის თუ ქართველოლოგის კარდინალური პრობლემების შესწავლისადმი მიძღვნილ როგორც ქართულ, ასევე უცხოელ კოლეგათა ნაშრომებში.

თინათინ ყაუხჩიშვილის მრავალფეროვანი სამეცნიერო შემოქმედება თავად ანტიკური ხანის ბერძნული ნარატიული თუ ეპიგრაფიკული ძეგლების მდიდარმა შინაარსობრივმა მხარემ განაპირობა. სწორედ ამიტომაცაა, რომ ქალბატონი თინათინი იკვლევდა ბერძნული და ქართული ენების ურთიერთმიმართების, კულტურის, სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკურ-პოლიტიკური ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, საზოგადოებრივი განვითარების მრავალ ძირეულ საკითხს.

თინათინ ყაუხჩიშვილის პირველი დამრიგებელი და სამეცნიერო ხელმძღვანელი მისი მამა, საქართველოში კლასიკური ფილოლოგისა და ბიზანტინისტიკის ერთ-ერთი მესაძირკვლე, სიმონ ყაუხჩიშვილი გახლდათ. მისიდა სხვა ქართველ თვალსაჩინო მოღვაწეთა - ივანე ჯავახიშვილის, გრიგოლ წერეთლის, კორნელი კეკელიძის, აკაკი შანიძის, გიორგი ახვლედიანის, გიორგი წერეთლის, არნოლდ ჩიქობავას, ნიკოლოზ ბერძენიშვილის, ვარლამ თოფურიას, ილია აბულაძისა და სხვათა მცდელობას, შეგირდის ნიჭიერებას და სიბეჯითეს შედეგად ის მოჰყვა, რომ ქალბატონი თინათინი უმაღლესი დონის პროფესიონალად ჩამოყალიბდა.

თინათინ ყაუხჩიშვილის კვლევა-ძიებების შედეგად დატოვებული მრავალმხრივი მეცნიერული მემკვიდრეობის შეფასებისას ძირითადად სამი მიმართულება შეიძლება გამოიყოს:

- ქართულ-ბერძნული ენობრივი ურთიერთობები;
- ბერძნული ეპიგრაფიკა;
- საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები.

ამ ურთულესი საკითხების შესწავლას მკლევარმა მთელი თავისი ცხოვრება შეალია და არაერთი უმნიშვნელოვანესი დასკვნაც გააკეთა. მათი უმრავლესობა მეცნიერული არგუმენტების შეუვალობით გამოიჩინა და საყოველთაოდ არის გაზიარებული.

თინათინ ყაუხჩიშვილის შრომებში „მასალები და ისტორიისათვის (VI-X სს ძეგლების მიხედვით)“ (საკვალიფიკაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად), „ზოგიერთი კავშირისა და ნანილაკის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში“ (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, I, თბილისი, 1946), „კომპოზიტები ძველ ქართულში“ (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 47, თბილისი, 1952) და სხვა გამოწვლილვით არის შესწავლილი ქართულ-ბერძნული ენობრივი ურთიერთობების, საკუთრივ ქართულის, საერთო - ქართულისა და ბერძნულის, საერთო - ქართულისა და სომხურის, საერთო - ქართულის, ბერძნულისა და სომხური ენების გრამატიკული წყობისა დალექსიკური შედეგნილობის საკითხები. აკადემიკოსი თ. გამყრელიძის თქმით, „ქალბატონმა თინათინ ყაუხჩიშ-

ვილმა თავისი ნაშრომებით ქართულ-ბერძნულ ენობრივიურთიერთობების სფეროში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ძველი ქართული ენის მრავალი პრობლემის შესწავლაში“.

ფასდაუდებელია ის ლვანლი, რაც ქალბატონმა თინათინმა საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა დროიდან (ძვ. წ. VI/V – XIX სს.) შემონახული ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლების გამოვლენას, შესწავლასა და გამოცემის საქმეს დასძო. საველე ექსპედიციებისას გადამოწმებული და აღმოჩენილი, ასევე მუზეუმებსა და საცავებში დაუნჯებული მასალების ყოველმხრივი შესწავლის შედეგი იყო მონოგრაფიული გამოკვლევა „ბერძნული წარწერები საქართველოში“ (თბილისი, 1951), რომელსაც იმთავითვე ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერების მხრიდან უმაღლესი შეფასება და აღიარება მოჰყვა. აკადემიკოსი კ. კეკელიძე აღნიშნავდა: „იგი საინტერესოა როგორც ზოგადმეცნიერული, ისე ქართველოლოგიური თვალსაზრისითაც... ეს შრომა სახელმძღვანელოდ დარჩება საქართველოში არსებული ბერძნული წარწერების შესწავლის საქმეში... ასეთი სრული და საიმედო კრებული ბერძნული წარწერებისა საქართველოში ჯერ არ გვქონია“. აკადემიკოსი შ. ამირანაშვილის აზრით, „აქ მოყვანილ წარწერებს მნიშვნელობა აქვს არამარტო ქართული ხელოვნების ისტორიისათვის, არამედ ბიზანტიის ხელოვნების ისტორიისთვისაც... თ. ყაუხებიშვილის ეს შრომა ამშვენებს ფილოლოგიურ მეცნიერებას“.

ხსენებულმა მონოგრაფიამ ცნობილი რუსი, ჩეხი, ფრანგი მეცნიერების ყურადღებაც მიიყრო და ბევრი საქებარი რეცენზია დაიმსახურა.

თინათინ ყაუხებიშვილი ამით არ დაკმაყოფილებულა. მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და აზარტით, ქალბატონი თინათინი თითქმის სამოცი წლის განმავლობაში ჩაჰკირკიტებდა საქართველოში დაცული ბერძნული ეპიგრაფიკის ძეგლებს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში მკვლევარმა კიდევ ერთხელ შემოიარა საქართველოს ყოველი კუთხე, ადგილზე გადაამოწმა თითოეული წარწერა. ბუნებრივია, ამას დაემატა არქეოლოგიური ექსპედიციების შედეგად აღმოჩენილი ახალი მასალაც, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა მის მიერ იყო შესწავლილი და გამოქვეყნებული. შედეგად 1999 წელს ქლბატონმა თინათინმა საქართველოს ბერძნული წარწერების I ტომი, ხოლო 2002 წელს II და III ტომები გამოსცა. 2004 წელსგამოქვეყნდა „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსის“ მეორე, შევსებული გამოცემა. მასში საქართველოში აღმოჩენილი 1000-ზე მეტი ბერძნული წარწერა სრულიად ახლებურადა ამეტყველებული. ავტორს ისინი შესწავლილი აქვს ენობრივი, პალეოგრაფიული, ისტორიული, ლიტერატურული, კულტუროლოგიური და სხვა თვალსაზრისით.

ამ წარწერების მონაცემებზე დაყრდნობით, წარმოჩენილია სხვადასხვა ეპოქის ქართველური სამყაროს მრავალმხრივი ურთიერთობები არამარტო ბერძნულენოვან ცივილიზაციებთან, არამედ შავიზღვისპირეთთან, ირანთან და სხვა. სწორედ ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ყველა იმ მკვლევარისათვის, ვინც ბერძნულ პალეოგრაფიას სწვლობს, „საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი“ ნამდვილად სამაგიდო წიგნად დარჩება.

თინათინ ყაუხებიშვილმა უდიდესი ამაგი დასძო ისტორიული საქართველოს შესახებ ძველი ბერძნი ავტორების ცნობების ქართულ ენაზე თარგმნას, მეცნიერულ ინტერპრეტაციას და გამოცემას. მეცნიერს ლომის წილი უდევს იმაში, რომ ქართველ მკვლევართათვის სტრაბონის „გეოგრაფია“, ცნობები საქართველოს შესახებ (თბილისი, 1957), აპიანეს „მითოდატეს ომების ისტორია“ (თბილისი, 1959), ჰეროდოტეს „ისტორია“ ორ ტომად (თბილისი, 1975, 1976), ჰიპოკრატეს „ცნობები საქართველოს შესახებ“ (თბილისი, 1965), ჰოლიბიოსის „ცნობები საქართველოს შესახებ“ (თბილისი, 1967), „ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ“ ექვს წიგნად (თბილისი, 1967-1987) და ა. შ. ესოდენ ხელმისაწვდომი გახდა. აქ აუცილებელია ითქვას, რომ ბევრი ბერძენი ავტორის ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა სწორედ მან შემოიტანა. მათ რიცხვს განეკუთვნებიან, მაგალითად, დიონისიოს პალიკარნასელი, ნიკოლაოს დამასკელი, მემნონი, ლუკიანე, კლავდიოს ელიანუსი და სხვა.

თითოეული ბერძენი ავტორის თხზულების თარგმნისას თინათინ ყაუხებიშვილი ეყრდნობოდა ბერძნული დედნის უახლეს კრიტიკულ გამოცემას, იძლეოდა ბერძნულ-ქართულ პარალელურ ტექსტს, შესავალში მსჯელობდა ავტორზე, მის პირველწყაროზე, გამოცემებზე და ა. შ. განსაკურებული ყურადღებით სწავლობდა ის ავტორის ტერმინოლოგიას და მხოლოდ ამის შემდეგ საფუძვლიანად აფასებდა საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ პრობლემის გაშუქებისათვის კონკრეტული ცნობის, როგორც წყაროს, ღირებულებას. მოკლედ, თინათინ ყაუხებიშვილის წყა-



როსადმი მიდგომის სტილი იმდენად ღრმა და ამომწურავია, რომ ერთხელ ნათქვამი ახლაც უნდა გავიმეორო: როდესაც ქალბატონი თინათინის მიერ ინტერპრეტირებულ ძველბერძენ ავტორებს ეცნობი, საკვლევი თითქმის აღარაფერი გრჩება და იძულებული ხარ, ძირითადად, მისი დასკვნები გაიმეორო.

საგანგებოდ აღნიშვნის ღირსია თინათინ ყაუხეჩიშვილის ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა. იგი ათწლეულების მანძილზე კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო არაერთი ფილოლოგისა და ისტორიკოსის სამეცნიერო ხელმძღვანელი. მეც ერთი მათგანი ვარ, ვინც უზომოდ არის დავალებული ამ შესანიშნავი პიროვნებისა და მართლაც დიდი მეცნიერისაგან.

ძნელია შეგირდისაგან ოსტატის დახასიათება! ქალბატონ თინაზე (როგორც მე მას მივმართავდი), ჩვენი ოცდაათწლიანი ურთიერთობის შედეგად, რომელიც კაბინეტურთან ერთად ათწლიან საველე მუშაობასასაც მოიცავდა, ერთხელ დავწერე: იგი შეგირდისაგან მოითხოვს არჩეული სპეციალობისადმი უანგარო სიყვარულს, საქმისადმი თავგანწირვას, სათანადო ცოდნასა და განათლებას, ხოლო მოსაზრების გამოთქმისას - ზომიერებას. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თ. ყაუხეჩიშვილთან მუშაობისას და ურთიერთობისას, სპეციალობასთან ერთად, სწავლობ პუნქტუალობას, ნაღდი მეცნიერისათვის დამახასათებელ კეთილსინდისიერებას, ეჩვევი კამათის კულტურას, მოკლედ, იღებ ყველა იმ საუკეთესო თვისებას, რომელიც ასე ჭარბად აქვს თ. ყაუხეჩიშვილს. ის არ ზღუდავს ახალგაზრდა მკვლევარს, გამოთქვას მისგან განსხვავებული მოსაზრება, თუნდაც არ იზიარებდეს მას, მაგრამ მოთხოვნა არის უმკაცრები: მეცნიერული დასკვნა უნდა ემყარებოდეს არგუმენტებს და უნდა შეჩერდე იქ, სადაც წყარო არ იძლევა უფრო შორს წასვლის შესაძლებლობას. საკუთარი გამოცდილებიდან ვიტყვი, რომ თ. ყაუხეჩიშვილთან ურთიერთობის პირველ ეტაპზე შეგირდისათვის წაყენებული ყველა ეს მოთხოვნა გარკვეულ გალიზიანებასაც კი იწვევს, მაგრამ უგუნური უნდა იყო, რომ ვერ მიხვდე - ყველაფერი შენს სასიკეთოდ კეთდება.

ბუნებრივია, დღესაც იმავე აზრისა ვარ. ქალბატონი თინა მაგალითი იყოიმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ჭეშმარიტმა მეცნიერმა. სიმართლე ვთქვა, ეს თითქმის შუძლებელია. ის წერდა ყველგან - მატარებელში, სოფლის ოლრო-ჩოლრო გზებზე მიმავალ მოჯაყჯაყე მანქანაში, ნახევრადჩაბნელებულ ტაძარში... ამ დროს მას არაფერი აინტერესებდა, მისთვის იყო მხოლოდ საყვარელი საქმე. რაც შეეხება აზრის გამოთქმას, ქალბატონი თინათავისი დიდი ცოდნის მიუხედავად, ზოგად თემებს გაურბოდა და პროფესიულ საკითხებზე საუბარს ამჯობინებდა. სხვათა შორის, ის მოსწავლეებისგანაც ამას ითხოვდა და „ყოვლისმცოდნეებს“ არ წყალობდა.

ერთი შეხედვით ძალზე მკაცრი ქალბატონი თინა, რომელსაც მარტო მისთვის დამახასიათებელი, თინასეული, მნარე გამონათქვამებით, ყველასთვის კუთვნილი ადგილი შეეძლო მიეჩინა, თავისი შინაური წრის თავგადაკლული გულშემატკიცვარი და უერთგულესი მეგობარი იყო. ადამიანებთან თამაში მისთვის მიუღებელი და წარმოუდგენელი რამ იყო. თავად უშუალო და პირდაპირი, თუკი ვისმეს ქვენა გრძნობას შეამჩნევდა, თავისთან ახლოს არ გააჭაჭანებდა.

ქალბატონი თინას შესახებ ბევრის თქმა შეიძლება და ყველაფერს ეს წერილი, ნამდვილად, ვერ დაიტევს, მაგრამ ერთი აუცილებლად უნდა აღვნიშნო - მისი განსაკუთრებული მეცნიერული ავტორიტეტი, რომლითაც იგი სარგებლობდა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, უცხოელ კოლეგებში. თავად არაერთხელ ვყოფილვარ იმის მოწმე, თუ როგორი მონიშნებით და პატივისცემით ეპყრობოდნენ მას სხვა ცნობილი მეცნიერები. სხვადასხვა დონის სამეცნიერო ხასიათის თავყრილობებზე ვისმენდი მათ აღფრთოვანებულ შეფასებებს, გამოსვლებს და უზომოდ ამაყი ვიყავი.

ახლა, როცა ქალბატონი თინა ჩვენს შორის აღარ არის, კიდევ უფრო ცხადი გახდა ის ვეებერთელა პასუხისმგებლობა, რასაც თინათინ ყაუხეჩიშვილის მოწაფეობა ჰქვია და მაინც, მადლობა უფალს, რომ ეს ბედი მარგუნა.



## ჩვენი ავტორები:

**ნონა ახალაშვილი** - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის /გთსუ-ს/  
მოწვეული ასოცირებული პროფესორი

**თამარ ბარბაქაძე** - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**ვენედი ბენიძე** - გთსუ-ს სრული პროფესორი

**ნანა გოგიჩაშვილი** - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**მიხეილ ვიურგერი** - ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი /გერმანია/

**ვალერი ვაშაკიძე** - გთსუ-ს სრული პროფესორი

**დავით ვეკუა** - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**ამირან თავართქილაძე** - გთსუ-ს სრული პროფესორი

**სოფიკო თევდორაძე** - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**ლია თოთლაძე** - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**სერგეი იაკუბოვსკი** - მეჩენიკოვის ოდესის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი

**დავით კალანდარიშვილი** - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**მილდრედ კალანდარიშვილი** - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**ვასილ კაციაშვილი** - გთსუ-ს ასოციაციური პროფესორი

**ჰელმუტ კური** - ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროფესორი /გერმანია/

**გურამ კუტალაძე** - გთსუ-ს სრული პროფესორი

**ლაურა კუტუბიძე** - ზუბაშვილი - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**ნათელა ლაცაბიძე** - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**გივი ლობუანიძე** - გთსუ-ს სრული პროფესორი

**ელზა ლომიძე** - გთსუ-ს ასისტენტ-პროფესორი

**თამარ მერაბიშვილი** - გთსუ-ს ასისტენტ-პროფესორი

**თალიკო ჟვანია** - გთსუ-ს სრული პროფესორი

**ტატიანა როდიონოვა** - მეჩენიკოვის ოდესის ეროვნული უნივერსიტეტის პროფესორი

**ჩარლზ მორგან სტრომე** - აშშ საერთაშორისო ექსპერტი, პროფესორი

**ლაშა ტაბატაძე** - გთსუ-ს ასისტენტ-პროფესორი

**თამარ ფანცულაძა** - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**შენგელი ფიცხელაური** - გთსუ-ს სრული პროფესორი

**ედიშერ ფუტკარაძე** - გთსუ-ს სრული პროფესორი

**ლიანა ყარალაშვილი** - ქართული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**ლალი ყაულაშვილი** - გთსუ-ს ბიბლიოთეკის გამგე

**ეკატერინე შენგელია** - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**რომან შენგელია** - გთსუ-ს მოწვეული სრული პროფესორი

**კობა ჩაგელიშვილი** - გთსუ-ს სრული პროფესორი

**ლალი ჩაგელიშვილი** - გთსუ-ს სრული პროფესორი

**მარინე ჩაგელიშვილი** - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი

**დალი ჩიკვილაძე** - გთსუ-ს სრული პროფესორი

**სერგო ჭელიძე** - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი



## OUR AUTHORS

Nona Axalashvili – Associate Professor of Guram Tavartkiladze Teaching University /GTTU/  
Tamar Barbakadze — Associate Professor of GTTU  
Venedi Benidze – Full Professor of GTTU  
Koba Chagelishvili – Full Professor of GTTU  
Lali Chagelishvili – Full Professor of GTTU  
Marine Chagelishvili – Professor of GTTU  
Sergo Chelidze – Associate Professor of GTTU  
Dali Chikviladze – Full Professor of GTTU  
Nana Gogichashvili – Associate Professor of GTTU  
D. KalandariShvili – Associate Professor of GTTU  
Mildred Kalandarishvili – Associate Professor of GTTU  
L. Karalashvili – Associate Professor of GTTU  
Vasil Katsiashvili – Associate Professor of GTTU  
Lali KaulaShvili – Director of Library  
Helmut Kury – Professor of the University Freiburg /Germany/  
Guram Kutaladze — Full Professor of GTTU  
Laura Kutubidze-Zubashvili — Associate Professor of GTTU  
Natela Iatsabidze – Associate Professor of GTTU  
Givi Lobzhanidze – Full Professor of GTTU  
Elza Lomidze – Assistant Professor of GTTU  
Tamar Merabishvili – Assistant Professor of GTTU  
Tamar Panculaia – Associate Professor of GTTU  
Edisher Phutkaradze – Professor of GTTU  
Shengeli Pitskelauri – Full Professor of GTTU  
Tatiana Rodionova – Professor of Odessa National University  
Ekaterine Shengelia – Associate Professor of GTTU  
Roman Shengelia – Full Professor of GTTU  
Charlz M. Stromme – Professor of USA  
Lasha Tabatadze – Assistant Professor of GTTU  
Lia Totladze – Associate Professor of GTTU  
Amiran Tavartkiladze – Full Professor of GTTU  
Sopiko Tevdoradze — Associate Professor of GTTU  
Valeri Vashakidze – Full Professor of GTTU  
David Vekua – Associate Professor of GTTU  
Micheil Wuenger – Doctor of Law. Freiburg /Germany/  
Sergey Yakubovskiy – professor of Odessa National University  
Taliko Zhvania – Full Professor of GTTU

## მოთხოვები

### **რომლებიც წაეყინება კრებულში გამოსაქვეყნებელ ნაშრომებს:**

კრებულში გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე.
- ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე (7-8 სტრიქონი) ორ ენაზე (ქართული, ინგლისური).
- ორივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი
- ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი Microsoft Word-ში;
- ქართული ნაშრომი იწყობა Acadnusx შრიფტით;
- ინგლისური ნაშრომები იწყობა Times New Roman შრიფტით;
- შრიფტის ზომა 12, ინტერვალი ერთი;
- ნაშრომის მოცულობა შეიძლება იყოს 5-დან 10-მდე ნაბეჭდი A4 ზომის გვერდი, სქოლიობით და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალით (არაუმეტეს 8-10 დასახელებისა) და რეზიუმეების ჩათვლით;
- ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: მისამართი (სახლის, სამსახურის), სამეცნიერო ხარისი და წოდება, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა;
- ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა მოგვაწოდოთ როგორც დისკეტით, ისე ამონაბეჭდი სახით ერთ ეგზემპლარად A4 ზომის ქაღალდზე;
- ნაშრომში გამოქვეყნებულ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი.

ნაშრომის რეცენზირება მოხდება ანონიმური წესით

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონებზე: 23 20 20; ან 599 90 40 04.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი  
რედაქციის მისამართია – თბილისი, სამლერეთის ქ. 5

ფასი სახელშეკრულებო

შეკვეთის №

ტირაჟი



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, თე: 22 36 09, 8(99) 17 22 30  
E-mail: universal@internet.ge